

დოკუმენტების კრებული

გაეროს კონვენცია ქალთა მიმართ
დისკრიმინაციის ყველა ფორმის
აღმოფხვრის შესახებ, კონვენციის
ფაკულტატიური ოქმი და ორგანიზაციის
რეკომენდაციები



2018 წელი, თბილისი

გაეროს კონვენცია ქალთა მიმართ
დისკრიმინაციის ყველა ფორმის
აღმოფხვრის შესახებ, კონვენციის
ფაკულტატიური ოქმი და გოგადი
რეკომენდაციები



2018 წელი, თბილისი

I.	გაეროს კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ	4
II.	ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის ფაკულტატიური ოქმი	13
III.	ზოგადი რეკომენდაცია № 19 ქალთა მიმართ ძალადობა	17
IV.	ზოგადი რეკომენდაცია № 21 თანასწორობა ქორწინებასა და ოჯახურ ურთიერთობებში	23
V.	ზოგადი რეკომენდაცია № 23 პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრება	32
VI.	ზოგადი რეკომენდაცია № 25 ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის მე-4 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით, დროებითი სპეციალური ზომები	42
VII.	ზოგადი რეკომენდაცია № 26 შრომითი მიგრანტი ქალები	50
VIII.	ზოგადი რეკომენდაცია № 27 ხანდაზმული ქალები და მათი ადამიანის უფლებების დაცვა	63
IX.	ზოგადი რეკომენდაცია № 28 ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის მეორე მუხლის მიხედვით წევრი ქვეყნების ძირითადი ვალდებულებები	72
X.	ზოგადი რეკომენდაცია № 29 ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის მე-16 მუხლთან მიმართებით	83
XI.	ზოგადი რეკომენდაცია № 30 ქალების შესახებ კონფლიქტის პრევენციის, კონფლიქტურ და პოსტ-კონფლიქტურ სიტუაციებში	92
XII.	ერთობლივი დოკუმენტი: ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის ზოგადი რეკომენდაცია N31/გავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N18 გავნა პრაქტიკის შესახებ	116

XIII.	ზოგადი რეკომენდაცია N32 ქალთა ლტოლვილის სტატუსის, თავშესაფრის, მოქალაქეობისა და მოქალაქეობის უქონლობის გენდერული ასპექტების შესახებ	139
XIV.	ზოგადი რეკომენდაცია N33 ქალებისათვის მართლმსაჯულებაზე წვდომის შესახებ	159
XV.	ზოგადი რეკომენდაცია N34 სოფლად მცხოვრებ ქალთა უფლებების შესახებ	183
XVI.	ზოგადი რეკომენდაცია N35 ქალების მიმართ გენდერული ძალადობის შესახებ, რომელიც აახლებს N19 ზოგად რეკომენდაციას	210

I. გაეროს კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ

მიღებულია: გენერალური ასამბლეის მიერ 1979 წლის 18 დეკემბერს
ძალაშია: 1981 წლის 3 სექტემბრიდან

წინამდებარე კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები,

ითვალისწინებენ რა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებამ კვლავ დაამკვიდრა ადამიანის ძირითადი უფლებების, ადამიანის ღირსების და პიროვნების ღირებულების და ქალთა და მამაკაცთა თანასწორუფლებიანობის რწმენა,

ითვალისწინებენ რა, რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია ადასტურებს დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპს და აღიარებს, რომ ადამიანები თავისუფლები და ღირსები და უფლებებით თანასწორები იბადებიან და რომ თითოეული ადამიანი უნდა სარგებლობდეს მასში აღიარებული ყველა უფლებითა და თავისუფლებით ყოველგვარი განსხვავების გარეშე, მათ შორის განურჩევლად სქესისა,

ითვალისწინებენ რა, რომ ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტების მონაწილე სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება უზრუნველყონ ქალებისა და მამაკაცებისათვის თანასწორი უფლება ისარგებლონ ყველა ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებით,

მხედველობაში იღებენ რა გაეროსა და მისი სპეციალიზებული სააგენტოების ეგიდით მიღებულ საერთაშორისო კონვენციებს ქალთა და მამაკაცთა თანასწორობისათვის ხელშეწყობის მიზნით,

ასევე ითვალისწინებენ რა გაეროსა და მისი სპეციალიზებული სააგენტოების მიერ მიღებულ რეგულაციებს, დეკლარაციებსა და რეკომენდაციებს ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით,

თუმცა, შემფოთებულნი არიან რა იმით, რომ მთელი რიგი ამ დოკუმენტების მიუხედავად, კვლავაც ხდება ქალთა მნიშვნელოვანი დისკრიმინაცია,

შეგვახსენებენ რა, რომ ქალთა მიმართ დისკრიმინაცია არღვევს თანასწორობისა და ადამიანის ღირსების პატივისცემის მიზნებს, აბრკოლებს მამაკაცის თანაბრად ქალის მონაწილეობას თავისი ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში, ხელს უშლის საზოგადოებრივი და ოჯახური კეთილდღეობის გაუმჯობესებას და კიდევ უფრო აძნელებს ქალთა შესაძლებლობების სრულ გამოვლენას თავიანთი ქვეყნებისა და კაცობრიობის საკეთილდღეოდ,

შემფოთებულნი არიან რა იმით, რომ სიღატაკის პირობებში ქალებისათვის ძალიან ნაკლებად ხელმისაწვდომია სურსათი, ჯანდაცვა, განათლება, პროფესიული მომზადება და შრომითი მონაწილობის შესაძლებლობანი, ასევე სხვა მოთხოვნილებანი,

დარწმუნებულნი არიან რა, რომ თანასწორობასა და სამართლიანობაზე დაფუძნებული ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის დამყარება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქალთა და მამაკაცთა თანასწორობას,

ხაზს უსვამენ რა, რომ აპარტიდის, ყველა ფორმის რასიზმის, რასობრივი დისკრიმინაციის, კოლონიალიზმის, ნეოკოლონიალიზმის, აგრესიის, უცხოური ოკუპაციისა და ბატონობისა და სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევის აღმოფხვრა აუცილებელია მამაკაცთა და ქალთა უფლებების სრული განხორციელებისათვის,

ადასტურებენ რა, რომ საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცება, საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, ურთიერთთანამშრომლობა ყველა სახელმწიფოს შორის მათი სოციალური და ეკონომიკური სისტემების მიუხედავად, საყოველთაო და სრული განიარაღება, განსაკუთრებით ბირთვული განიარაღება მკაცრი და ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლით, სამართლიანობის, თანასწორობისა და ურთიერთსარგებლიანობის პრინციპების დამკვიდრება ქვეყნებს შორის ურთიერთობაში და უცხოური და კოლონიური ბატონობის ქვეშ მყოფი ხალხების თვითგამორკვევისა და დამოუკიდებლობის უფლების განხორციელება, ასევე სახელმწიფოთა ეროვნული სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა ხელს შეუწყობს სოციალურ პროგრესსა და განვითარებას და, როგორც ამის შედეგი, ხელს შეუწყობს მამაკაცთა და ქალთა სრული თანასწორობის მიღწევას,

დარწმუნებული არიან რა, რომ ქვეყნების სრული განვითარება, მთელი მსოფლიოს კეთილდღეობა და მშვიდობის საქმე ყველა დარგში მამაკაცთა თანაბრად ქალთა მამაკაცურ მონაწილეობას მოითხოვს,

ითვალისწინებენ რა ქალთა ნვლილს ოჯახურ კეთილდღეობასა და საზოგადოების განვითარებაში, რაც დღემდე სრულად არაა აღიარებული, დედობის სოციალურ მნიშვნელობას და ორივე მშობლის როლს ოჯახში და ბავშვების აღზრდაში და აცნობიერებენ რა, რომ ქალის როლი გვარის გაგრძელებაში დისკრიმინაციის მიზეზი არ უნდა იყოს, რამდენადაც ბავშვების აღზრდა მამაკაცებისა და ქალების და მთელი საზოგადოების ერთობლივ პასუხისმგებლობას მოითხოვს,

ახსოვთ რა, რომ მამაკაცთა და ქალთა სრული თანასწორობის მისაღწევად აუცილებელია როგორც მამაკაცის, ასევე ქალის ტრადიციული როლის შეცვლა საზოგადოებასა და ოჯახში,

მტკიცედ აქვთ რა გადამწყვეტილი, განახორციელონ ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ დეკლარაციაში გამოცხადებული პრინციპები, და ამ მიზნით მიიღონ ყველა საჭირო ზომა ყველა ფორმითა და გამოვლინებითი ასეთი დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

ნაწილი I

ქალთა მიმართ დისკრიმინაცია

მუხლი 1

წინამდებარე კონვენციის მიზნებისათვის ცნება „ქალთა მიმართ დისკრიმინაცია“ ნიშნავს ნებისმიერ განსხვავებას, გამონაკლისსა და შეზღუდვას სქესობრივი ნიშნით, რომელიც გამიზნულია შეასუსტოს და გამორიცხოს ქალთა მიერ, მათი ოჯახური მდგომარეობის მიუხედავად, მამაკაცთა და ქალთა თანასწორობის საფუძველზე, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, სამოქალაქო ან ნებისმიერ სხვა დარგში ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების აღიარება, სარგებლობა ან განხორციელება.

მუხლი 2

მონაწილე სახელმწიფოები გმობენ ქალთა ყველა ფორმის დისკრიმინაციას, თანახმა არიან დაუყოვნებლივ ყველა ხელმისაწვდომი საშუალებით გაატარონ ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის პოლიტიკა და ამ მიზნით ვალდებულებას კისრულობენ:

- ა) მამაკაცთა და ქალთა თანასწორობის პრინციპი შეიტანონ თავიანთ ეროვნულ კონსტიტუციაში ან სხვა შესაბამის კანონმდებლობაში, თუ ეს ჯერ კიდევ არ გაკეთებულა, და კანონის და სხვა შესაბამისი საშუალებების დახმარებით უზრუნველყონ ამ პრინციპის განხორციელება;
- ბ) მიიღონ შესაბამისი კანონმდებლობა და სხვა ზომები, მათ შორის სანქციებიც, რომლებიც, იქ, სადაც ეს აუცილებელია, კრძალავს ქალთა ყოველგვარ დისკრიმინაციას;
- გ) დაანესონ მამაკაცებთან თანასწორ საფუძველზე ქალთა უფლებების სამართლებრივი დაცვა და უზრუნველყონ კომპეტენტური ეროვნული სასამართლოებისა და სხვა სახელმწიფო დანესებულებების დახმარებით ქალთა ეფექტიანი დაცვა დისკრიმინაციის ნებისმიერი აქტისაგან;
- დ) თავი შეიკავონ ქალთა მიმართ რაიმე დისკრიმინაციული აქტების ან ქმედებათა ჩადენისაგან და უზრუნველყონ, რომ სახელმწიფო ორგანოებმა და დანესებულებებმა ამ ვალდებულების შესაბამისად იმოქმედონ;
- ე) მიიღონ ყველა შესაბამისი ზომა რომელიმე პირის, ორგანიზაციის ან საწარმოს მიერ ქალთა დისკრიმინაციის აღსაკვეთად;
- ვ) მიიღონ ყველა შესაბამისი ზომა, მათ შორის

საკანონმდებლოც, მოქმედი კანონების, დადგენილებების, ჩვეულებებისა და პრაქტიკის გასაუქმებლად, რომლებიც ქალთა დისკრიმინაციას წარმოადგენს;

- 8) გააუქმონ თავიანთი სისხლის სამართლის კანონმდებლობის ყველა დებულება, რომლებიც ქალთა დისკრიმინაციას წარმოადგენს.

მუხლი 3

მონაწილე სახელმწიფოები ყველა დარგში, და კერძოდ პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ დარგებში, მიიღებენ ყველა შესაბამის ზომას, მათ შორის საკანონმდებლოსაც, ქალთა ყოველმხრივი პროგრესისა და განვითარების უზრუნველსაყოფად, რათა მამაკაცებთან თანასწორ საფუძველზე უზრუნველყოფილი იყვნენ ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების განხორციელებითა და სარგებლობით.

მუხლი 4

1. მონაწილე სახელმწიფოთა მიერ დროებითი ზომების მიღება, რომლებიც მიმართულია ქალთა და მამაკაცთა ფაქტობრივი თანასწორობის დამყარების დასაჩქარებლად, არ მიიჩნევა, როგორც ეს წინამდებარე კონვენციით განისაზღვრება, დისკრიმინაციულად, თუმცა იგი არანაირად არ უნდა იწვევდეს არათანასწორუფლებიანი ან დიფერენცირებული სტანდარტების შენარჩუნებას; ეს ზომები უნდა გაუქმდეს, როდესაც მიღწეულ იქნება შესაძლებლობათა თანასწორობის და თანასწორუფლებიანი ურთიერთობის მიზნები.
2. მონაწილე სახელმწიფოთა მიერ სპეციალური ზომების მიღება, რომლებიც მიმართულია დედობის დასაცავად, მათ შორის იმ ზომების ჩათვლით, რომლებსაც წინამდებარე კონვენცია შეიცავს, დისკრიმინაციულად არ ითვლება.

მუხლი 5

მონაწილე სახელმწიფოები მიიღებენ ყველა შესაბამის ზომას, რათა:

- ა) შეცვალონ მამაკაცთა და ქალთა ქცევის სოციალური და კულტურული მოდელები ცრურწმენათა აღმოფხვრის და და ყველა იმ ჩვეულებისა და პრაქტიკის გაუქმების მიღწევის მიზნით, რომლებიც ერთ-ერთი სქესის არასრულფასოვნების ან უპირატესობის, ანდა მამაკაცებისა და ქალების როლის სტერეოტიპულობის იდეას ეფუძნება;
- ბ) უზრუნველყონ, რომ ოჯახური აღზრდა მოიცავდეს დედობის, როგორც სოციალური ფუნქციის სწორად გაგებას და თავიანთი შვილების აღზრდისა და განათლებისათვის მამაკაცთა და ქალთა საერთო პასუხისმგებლობის აღიარებას, იმ პირობით, რომ ყველა შემთხვევაში ბავშვების ინტერესები უპირატესია.

მუხლი 6

მონაწილე სახელმწიფოები ყველა შესაბამის ზომას მიიღებენ, მათ შორის საკანონმდებლოს, ქალებით ყველა სახის ვაჭრობის და ქალთა პროსტიტუციის ექსპლუატაციის აღსაკვეთად.

ნაწილი II

მუხლი 7

მონაწილე სახელმწიფოები ყველა შესაბამის ზომას მიიღებენ ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა დისკრიმინაციის აღსაკვეთად და, კერძოდ, მამაკაცთა თანასწორად უზრუნველყოფენ ქალებს უფლებით:

- ა) ხმა მისცენ ყველა არჩევნებსა და საჯარო რეფერენდუმზე და არჩეული იქნან ყველა საჯარო არჩევით ორგანოში;
- ბ) მონაწილეობდნენ მთავრობის პოლიტიკის ფორმულირებასა და განხორციელებაში და იკავებდნენ სახელმწიფო თანამდებობებს, აგრეთვე სახელმწიფო მართვის ყველა დონეზე ახორციელებდნენ ყველა სახელმწიფოებრივ ფუნქციას;
- გ) მონაწილეობდნენ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ასოციაციების საქმიანობაში, რომლებიც ქვეყნის საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების პრობლემებზე მუშაობენ.

მუხლი 8

მონაწილე სახელმწიფოები მიიღებენ ყველა შესაბამის ზომას, რათა უზრუნველყონ ქალები შესაძლებლობით, მამაკაცთა თანაბარი პირობებით და რაიმე დისკრიმინაციის გარეშე წარმოადგენდნენ თავიანთ მთავრობას საერთაშორისო დონეზე და მონაწილეობდნენ საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობაში.

მუხლი 9

1. მონაწილე სახელმწიფოები ქალებს ანიჭებენ მამაკაცთა თანასწორ უფლებებს მოქალაქეობის შექმნის, შეცვლისა და შენარჩუნების საკითხში. ისინი, კერძოდ, უზრუნველყოფენ, რომ

არც უცხოელზე დაქორწინება, არც ქმრის მოქალაქეობის შეცვლა ქორწინების განმავლობაში არ ინვევდეს ცოლის მოქალაქეობის ავტომატურ შეცვლას, არ გადააქცევდეს მას მოქალაქეობის არმქონე პირად და არ აიძულებდეს მას მიიღოს ქმრის მოქალაქეობა.

2. მონაწილე სახელმწიფოები ანიჭებენ ქალებს მამაკაცთა თანასწორ უფლებებს მათი შვილების მოქალაქეობის საკითხში.

ნაწილი III

მუხლი 10

მონაწილე სახელმწიფოები მიიღებენ ყველა შესაბამის ზომას ქალთა დისკრიმინაციის აღსაკვეთად, რათა უზრუნველყონ ისინი მამაკაცთა თანასწორი უფლებებით განათლების დარგში და, კერძოდ, მამაკაცთა და ქალთა თანასწორობის საფუძველზე უზრუნველყონ:

- ა) ერთნაირი პირობები პროფესიის ან სპეციალობის არჩევისას ორიენტაციისათვის, განათლებისა და დიპლომების მიღების ხელმისაწვდომობისათვის და მისაღებად ყველა კატეგორიის სასწავლო დაწესებულებებში როგორც სოფლის, ისე ქალაქის რაიონებში; ეს თანასწორობა უზრუნველყოფილია სკოლამდელ, ზოგად, სპეციალურ და უმაღლეს ტექნიკურ განათლებაში, ასევე ყველა სახეობის პროფესიული მომზადებაში;
- ბ) ერთნაირი სასწავლო პროგრამების, ერთნაირი გამოცდების, ერთნაირი კვალიფიკაციის მასწავლებელთა შემადგენლობის, ერთნაირი ხარისხის სასკოლო ნაგებობებისა და აღჭურვილობის ხელმისაწვდომობა;
- გ) მამაკაცთა და ქალთა როლის ნებისმიერი სტერეოტიპული კონცეფციის აღმოფხვრა ყველა დონის და ყველა ფორმის სწავლებისას ერთობლივი სწავლების და სწავლების სხვა სახეობების ნახალისების გზით, რომლებიც ხელს შეუწყობს ამ მიზნის მიღწევას და, კერძოდ, სასწავლო სახელმძღვანელოებისა და სასკოლო პროგრამების გადასინჯვის, ასევე სასკოლო სწავლების მეთოდების ადაპტაციის გზით;
- დ) სტიპენდიებისა და განათლებისათვის სხვა დახმარებების მიღების ერთნაირი შესაძლებლობები;
- ე) განათლების განგრძობის პროგრამების, მათ შორის მოზრდილებს შორის ცოდნის გავრცელების პროგრამებისა და ფუნქციური განათლების პროგრამების ხელმისაწვდომობის ერთნაირი შესაძლებლობები, რომლებიც, კერძოდ,

გამიზნულია მამაკაცთა და ქალთა ცოდნაში ნებისმიერი განსხვავების რაც შეიძლება სწრაფი აღმოფხვრისათვის;

- ვ) გოგოების რიცხვის შემცირება, რომლებიც სკოლას ვერ ამთავრებენ, და პროგრამების შემუშავება გოგოებისა და ქალებისათვის, რომლებმაც სკოლა დროზე ადრე მიატოვეს;
- ზ) ერთნაირი შესაძლებლობები სპორტსა და ფიზიკურ მომზადებაში აქტიური მონაწილეობისათვის;
- თ) საგანმანათლებლო ხასიათის სპეციალური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ოჯახური ჯანმრთელობის და კეთილდღეობის ხელშეწყობის მიზნით, მათ შორის ინფორმაციისა და ოჯახის რიცხოვნობის დაგეგმვის შესახებ კონსულტაციის ხელმისაწვდომობა.

მუხლი 11

1. მონაწილე სახელმწიფოები ყველა შესაბამის ზომას მიიღებენ დასაქმების დარგში ქალთა დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად, რათა უზრუნველყონ მამაკაცთა და ქალთა თანასწორობის საფუძველზე თანაბარი უფლებები, კერძოდ:
 - ა) შრომის უფლება, როგორც ყველა ადამიანის განუყოფელი უფლება;
 - ბ) სამუშაოზე აყვანისას ერთნაირ შესაძლებლობათა უფლება, მათ შორის შერჩევის ერთნაირი კრიტერიუმების გამოყენება დაქირავებისას;
 - გ) პროფესიის ან სამუშაოს სახეობის თავისუფალი არჩევის, თანამდებობრივი დანიშნულებისა და დასაქმების გარანტიის უფლება, ასევე უფლება, ისარგებლონ ყველა სამუშაო შეღავათითა და პირობით, გაიარონ პროფესიული მომზადება და გადამზადება, შეგირდობის, მაღალი დონის პროფესიული მომზადების და რეგულარული გადამზადების ჩათვლით;
 - დ) თანაბარი ანაზღაურების, მათ შორის შეღავათების მიღების, თანაბარი ღირებულების შრომის მიმართ თანაბარი პირობების, ასევე სამუშაოს ხარისხის შეფასებისას თანაბარი მიდგომის უფლება;
 - ე) სოციალური უზრუნველყოფის უფლება, კერძოდ პენსიაზე გასვლის, უმუშევრობის, ავადმყოფობის, ინვალიდობის, სიბერისა და შრომისუნარიანობის დაკარგვის სხვა შემთხვევებში, ასევე ანაზღაურებადი შვებულების უფლება;
 - ვ) ჯანმრთელობის დაცვის და შრომის უსაფრთხო პირობების, მათ შორის გვარის გაგრძელების ფუნქციის შენარჩუნების უფლება.
2. დაქორწინების ან დედობის მიზეზით ქალთა დი-

სკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად და მათთვის შრომის ეფექტიანი უფლების უზრუნველსაყოფად მონაწილე სახელმწიფოები მიიღებენ შესაბამის ზომებს, რათა:

- ა) აკრძალოს, სანქციათა გამოყენების მუქარით, სამუშაოდან დათხოვნა ორსულობის მიზეზით ან ორსულობის ან მშობიარობის გამო შვებულების მიზეზით, ან სამუშაოდან დათხოვნისას ოჯახური მდგომარეობის გამო დისკრიმინაცია;
 - ბ) შემოიღონ ანაზღაურებადი შვებულებები ან შვებულებები შესაბამისი სოციალური დახმარებებით ორსულობისა და მშობიარობის გამო წინა სამუშაო ადგილის, უფროსობის ან სოციალური დახმარების დაკარგვის გარეშე;
 - გ) წაახალისონ აუცილებელი დამატებითი სოციალური მომსახურების განწევა, რათა მშობლებს საშუალება მისცენ ოჯახურ მოვალეობათა შესრულება შეუთავსონ შრომით საქმიანობას და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობას, კერძოდ ბავშვთა მოვლის დაწესებულებათა ქსელის შექმნისა და გაფართოების გზით;
 - დ) უზრუნველყონ ორსულობის პერიოდში ქალების განსაკუთრებული დაცვა ისეთ სახეობათა სამუშაოზე, რომლის მავნებლობა ჯანმრთელობისათვის დამტკიცებულია.
3. კანონმდებლობა, რომელიც ეხება წინამდებარე მუხლში მოყვანილ უფლებათა დაცვას, პერიოდულად განიხილება მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის გათვალისწინებით, ასევე გადაისინჯება, უქმდება ან ფართოვდება, რამდენადაც ეს საჭიროა.

მუხლი 12

1. მონაწილე სახელმწიფოები ყველა შესაბამის ზომას მიიღებენ ჯანდაცვის დარგში ქალთა დისკრიმინაციის აღსაკვეთად, რათა მამაკაცებთან თანასწორ საფუძველზე უზრუნველყონ მათთვის სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა, კერძოდ ისეთი მომსახურებისა, რომელიც ოჯახის რიცხოვნობის დაგეგმვას ეხება.
2. წინამდებარე მუხლის 1 პუნქტის დებულებებისგან დამოუკიდებლად, მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ ქალებს შესაბამისი მომსახურებით ორსულობის, მშობიარობისა და მშობიარობის შემდგომ პერიოდში, სთავაზობენ რა მათ, როცა ეს აუცილებელია, უფასო მომსახურებას, ასევე შესაბამის კვებას ორსულობისა და მეძუძურობის პერიოდში.

მუხლი 13

მონაწილე სახელმწიფოები ყველა შესაბამის ზომას

მიიღებენ ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების სხვა სფეროებში ქალთა დისკრიმინაციის აღსაკვეთად, რათა მამაკაცთა და ქალთა თანასწორობის საფუძველზე უზრუნველყონ თანაბარი უფლებები, კერძოდ:

- ა) საოჯახო დახმარების უფლება;
- ბ) სესხის, უძრავი ქონების გირაოთი სესხის მიღებასა და სხვა ფორმის ფინანსური კრედიტის უფლება;
- გ) დასვენებასთან, სპორტთან დაკავშირებულ ღონისძიებებსა და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში მონაწილეობის უფლება.

მუხლი 14

1. მონაწილე სახელმწიფოები ითვალისწინებენ განსაკუთრებულ პრობლემებს, რომლებსაც აწყდებიან სოფლად მცხოვრები ქალები, და მნიშვნელოვან როლს, რომელსაც ისინი ასრულებენ თავიანთი ოჯახების ეკონომიკური კეთილდღეობის უზრუნველყოფაში, ასევე მათ საქმიანობას მეურნეობის არასასაქონლო დარგებში, და ყველა შესაბამის ზომას მიიღებენ სოფლად მცხოვრებ ქალთა მიმართ წინამდებარე კონვენციის დებულებათა გამოსაყენებლად.
2. მონაწილე სახელმწიფოები ყველა შესაბამის ზომას მიიღებენ სოფლის რაიონებში ქალთა დისკრიმინაციის აღსაკვეთად, რათა მამაკაცთა და ქალთა თანასწორობის საფუძველზე უზრუნველყონ მათი მონაწილეობა სოფლის რაიონების განვითარებაში და ასეთი განვითარებით სარგებლის მიღებაში და, კერძოდ, უზრუნველყოფენ ასეთ ქალებს უფლებით:
 - ა) მონაწილეობა მიიღონ განვითარების გეგმების განხორციელებაში ყველა დონეზე;
 - ბ) ხელი მიუწვდებოდეთ შესაბამის სამედიცინო მომსახურებაზე, მათ შორის ოჯახის დაგეგმვის საკითხების შესახებ ინფორმაციაზე, კონსულტაციაზე და მომსახურებაზე;
 - გ) უშუალოდ ისარგებლონ სოციალური დაზღვევის პროგრამების ყველა სიკვეთით;
 - დ) მიიღონ ყველა ფორმის მომზადება და ფორმალური თუ არაფორმალური განათლება, მათ შორის ფუნქციური განათლება, ასევე ისარგებლონ სათემო მომსახურების ყველა საშუალებით, სასოფლო-სამეურნეო საკითხებზე საკონსულტაციო სამსახურით, კერძოდ მათი ტექნიკური დონის ასამაღლებლად;
 - ე) შექმნან თვითდახმარების ჯგუფები და კოოპერატივები, რათა უზრუნველყონ ეკონომიკური შესაძლებლობების თანაბარი ხელმისაწვდომ-

- ობა დაქირავებით მუშაობის ან დამოუკიდებელი შრომითი საქმიანობის მეშვეობით;
- ვ) მონაწილეობა მიიღონ ყველა ფორმის კოლექტიურ საქმიანობაში;
 - ზ) ხელი მიუწვდებოდეთ სასოფლო-სამეურნეო კრედიტებსა და სესხებზე, გასაღების სისტემაზე, შესაბამის ტექნოლოგიებზე და თანაბარი სტატუსით სარგებლობდნენ მიწის და აგრარულ რეფორმებში, ასევე მიწების ხელახალი გადანაწილების გეგმებში;
 - თ) ისარგებლონ ცხოვრების სათანადო პირობებით, განსაკუთრებით საცხოვრებელი პირობებით, სანიტარიული მომსახურებით, ელექტრო- და წყალმომარაგებით, ასევე ტრანსპორტითა და კავშირგაბმულობის საშუალებებით.

ნაწილი IV

მუხლი 15

1. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ კანონის წინაშე ქალთა თანასწორობას მამაკაცებთან.
2. მონაწილე სახელმწიფოები ქალებს ანიჭებენ მამაკაცთა თანაბარ სამოქალაქო უფლებპუნარიანობას და მისი რეალიზაციის ერთნაირი შესაძლებლობებს. ისინი, კერძოდ, უზრუნველყოფენ მათ თანაბარი უფლებებით ხელშეკრულებების დადებისას და ქონების მართვისას, ასევე მათ მიმართ თანაბარ მოპყრობას სასამართლოებსა და ტრიბუნალებში საქმის წარმოების ყველა ეტაპზე.
3. მონაწილე სახელმწიფოები თანახმა არიან, რომ ყველა ხელშეკრულება და ნებისმიერი სხვა სახის კერძო დოკუმენტები, რომელთა სამართლებრივი შედეგია ქალთა უფლებპუნარიანობის შეზღუდვა, ბათილად ჩაითვალოს.
4. მონაწილე სახელმწიფოები მამაკაცებს და ქალებს ანიჭებენ ერთნაირ უფლებებს კანონმდებლობის მიმართ, რომელიც ეხება პირთა გადაადგილებას და საცხოვრებელი ადგილისა და ადგილსამყოფელის არჩევის თავისუფლებას.

მუხლი 16

1. მონაწილე სახელმწიფოები ყველა შესაბამის ზომას მიიღებენ ქალთა დისკრიმინაციის აღსაკვეთად ყველა საკითხში, რომლებიც ეხება ქორწინებასა და ოჯახურ ურთიერთობებს და, კერძოდ, უზრუნველყოფენ მამაკაცთა და ქალთა თანასწორობის საფუძველზე:
 - ა) ქორწინების ერთნაირ უფლებებს;

- ბ) მეუღლის თავისუფალი არჩევის და მხოლოდ მათი თავისუფალი და სრული თანხმობის შემთხვევაში ქორწინების ერთნაირ უფლებებს;
 - გ) ქორწინების პერიოდში და განქორწინებისას ერთნაირ უფლებებსა და მოვალეობებს;
 - დ) მამაკაცების და ქალების, როგორც მშობლების, ერთნაირ უფლება-მოვალეობებს, მათი ოჯახური მდგომარეობის მიუხედავად, საკითხებში, რომლებიც მათ შვილებს ეხება; ყველა შემთხვევაში შვილების ინტერესები უპირატესია;
 - ე) ერთნაირ უფლებებს თავისუფლად და პასუხისმგებლობით გადანიშნულ შვილების რაოდენობის და მათი დაბადების შუალედების საკითხი და ხელი მიუწვდებოდეთ ინფორმაციაზე, განათლებაზე, ასევე სახსრებზე, რომლებიც ამ უფლების განხორციელების საშუალებას იძლევა;
 - ვ) ერთნაირი უფლება-მოვალეობებს იყვნენ ბავშვების მეურვეები, მზრუნველები, რწმუნებულები და მშვილებლები ან ახორციელებდნენ ანალოგიურ ფუნქციებს, როდესაც ისინი გათვალისწინებულია ეროვნული კანონმდებლობით; ყველა შემთხვევაში ბავშვების ინტერესები უპირატესია;
 - ზ) ცოლ-ქმრის ერთნაირ პირად უფლებებს, მათ შორის გვარის, პროფესიის და საქმიანობის არჩევის უფლებას;
 - თ) მეუღლეთა ერთნაირ უფლებებს ქონების ფლობის, შექენის, მართვის, სარგებლობისა და განკარგვის საქმეში როგორც უფასოდ, ასევე საფასურით.
2. ბავშვის დანიშვნას და ქორწინებას იურიდიული ძალა არ აქვს და ყველა საჭირო ზომა მიიღება, მათ შორის საკანონმდებლოც, რათა განისაზღვროს მინიმალური საქორწინო ასაკი და ქორწინებათა სავალდებულო რეგისტრაცია სამოქალაქო მდგომარეობის აქტებში.

ნაწილი V

მუხლი 17

1. წინამდებარე კონვენციის განხორციელების მიმდინარეობის განსახილველად ფუძნდება ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი (შემდგომში კომიტეტად წოდებული), რომელიც კონვენციის ძალაში შესვლის მომენტისათვის შედგება თვრამეტი, ხოლო მისი რატიფიკაციის ან მასთან ოცდამეთხუთმეტე მონაწილე სახელმწიფოს მიერთების შემდეგ – ოცდასამი ექსპერტისაგან, რომლებსაც ახასიათებთ მაღალი ზნეობრივი თვისებები და

კომპეტენტურობა სფეროში, რომელსაც წინამდებარე კონვენცია მოიცავს. ამ ექსპერტებს მონაწილე სახელმწიფოები ირჩევენ თავიანთი მოქალაქეებისგან და მოქმედებენ თავიანთი სახელით, ამასთან მხედველობაში მიიღება სამართლიანი გეოგრაფიული განაწილება და სხვადასხვა ფორმის ცივილიზაციების, ასევე ძირითადი სამართლებრივი სისტემების წარმომადგენლობა.

2. კომიტეტის წევრებს ირჩევენ ფარული კენჭისყრით მონაწილე სახელმწიფოთა მიერ წამოყენებულ პირთა სიიდან. ყოველ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია წამოაყენოს ერთი პირი თავის მოქალაქეთა რიცხვიდან.
3. პირველადი არჩევნები ტარდება წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლიდან ექვსი თვის შემდეგ. ყოველი არჩევნების ჩატარებამდე სულ ცოტა სამი თვით ადრე გაეროს გენერალური მდივანი მონაწილე სახელმწიფოებს უგზავნის წერილს წინადადებით წარმოადგინონ თავიანთი კანდიდატურები ორი თვის განმავლობაში. გენერალური მდივანი ამზადებს სიას, რომელშიც ანბანის მიხედვით შეყვანილია ამგვარად წამოყენებული პირები მონაწილე სახელმწიფოთა მითითებით, რომლებმაც წამოაყენეს ისინი, და წარუდგენს ამ სიას მონაწილე სახელმწიფოებს.
4. კომიტეტის წევრთა არჩევნები ტარდება მონაწილე სახელმწიფოების სხდომაზე, რომელსაც გენერალური მდივანი იწვევს გაეროს ცენტრალურ დანესებულებებში. ამ სხდომაზე, რომელზეც მონაწილე სახელმწიფოთა ორი მესამედი შეადგენს კვორუმს, კომიტეტში არჩეულ პირებად ითვლებიან ის კანდიდატები, რომლებიც ხმების უმეტეს რაოდენობას და მონაწილე სახელმწიფოების იმ წარმომადგენელთა ხმების აბსოლუტურ უმრავლესობას მიიღებენ, რომლებიც ესწრებიან და მონაწილეობენ კენჭისყრაში.
5. კომიტეტის წევრებს ოთხი წლის ვადით ირჩევენ. მაგრამ პირველ არჩევნებში არჩეული ცხრა წევრის უფლებამოსილების ვადა ორი წლის შემდეგ იწურება; პირველი არჩევნების ჩატარებისთანავე ამ ცხრა წევრის გვარებს წილისყრით ირჩევენ კომიტეტის თავმჯდომარე.
6. კომიტეტის ხუთ დამატებით წევრს ირჩევენ წინამდებარე მუხლის 2, 3 და 4 პუნქტების დებულებათა შესაბამისად ოცდამეთხუთმეტე სახელმწიფოს მიერ კონვენციის რატიფიკაციის ან მასთან მიერთების შემდეგ. ამგვარად არჩეული ორი დამატებითი წევრის უფლებამოსილების ვადა ორი წლის შემდეგ იწურება;

ამ ორი წევრის გვარებს წილისყრით ირჩევენ კომიტეტის თავმჯდომარე.

7. გაუთვალისწინებელი ვაკანსიების შესავსებად მონაწილე სახელმწიფო, რომლის ექსპერტმაც შეწყვიტა ფუნქციონირება როგორც კომიტეტის წევრმა, ნიშნავს სხვა ექსპერტს თავისი მოქალაქეებიდან, იმ პირობით თუ მას კომიტეტი მოიწონებს.
8. კომიტეტის წევრები იღებენ გენერალური ასამბლეის მიერ დამტკიცებულ ანაზღაურებას გაეროს სახსრებიდან კომიტეტის მოვალეობათა მნიშვნელობის გათვალისწინებით ასამბლეის მიერ დადგენილი წესებითა და პირობებით.
9. გაეროს გენერალური მდივანი გამოჰყოფს საჭირო პერსონალსა და მატერიალურ სახსრებს წინამდებარე კონვენციის შესაბამისად კომიტეტის ფუნქციათა ეფექტიანი შესრულებისათვის.

მუხლი 18

1. მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულია კისრულობენ გაეროს გენერალურ მდივანს კომიტეტის განსახილველად წარუდგინონ ანგარიშები საკანონმდებლო, სასამართლო, ადმინისტრაციულ ან სხვა ზომებზე, რომლებიც მათ მიიღეს წინამდებარე კონვენციის დებულებათა შესასრულებლად, და ამასთან დაკავშირებით მიღწეულ პროგრესზე:
 - ა) წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლიდან ერთი წლის განმავლობაში შესაბამისი სახელმწიფოსათვის;
 - ბ) ამის შემდეგ ყოველ ოთხ წელიწადში მაინც და შემდგომში, როდესაც ამას კომიტეტი მოითხოვს.
2. ანგარიშებში შეიძლება მითითებულ იქნეს ის ფაქტორები და სიძნელეები, რომლებიც გავლენას ახდენს წინამდებარე კონვენციით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების ხარისხზე.

მუხლი 19

1. კომიტეტი ამტკიცებს თავის საკუთარ პროცედურის წესებს.
2. კომიტეტი თავის თანამდებობის პირებს ორი წლის ვადით ირჩევენ.

მუხლი 20

1. კომიტეტი ყოველწლიურად ატარებს სხდომებს, როგორც წესი, არა უმეტეს ორკვირიანი პერიოდის განმავლობაში, რათა განიხილოს წინამდებარე კონვენციის 18 მუხლის შესაბამისად

წარმოდგენილი მოხსენებები.

2. კომიტეტის სხდომები, როგორც წესი, ტარდება გაეროს ცენტრალურ დანესებულებებში ან ნებისმიერ სხვა შესაბამის ადგილას, რომელსაც კომიტეტი განსაზღვრავს.

მუხლი 21

1. კომიტეტი ყოველწლიურად ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მეშვეობით გაეროს გენერალურ ასამბლეას წარუდგენს ანგარიშს თავისი საქმიანობის შესახებ და შეუძლია შეიტანოს ზოგადი ხასიათის წინადადებები და რეკომენდაციები, დაფუძნებული მონაწილე სახელმწიფოებისაგან მიღებული ანგარიშების და ინფორმაციის შესწავლაზე. ასეთი ზოგადი ხასიათის წინადადებები და რეკომენდაციები შედის კომიტეტის ანგარიშში მონაწილე სახელმწიფოთა შენიშვნებთან ერთად, თუკი ასეთი არსებობს.
2. გაეროს გენერალური მდივანი კომიტეტის მოხსენებებს ინფორმაციისათვის უგზავნის ქალთა მდგომარეობის შემსწავლელ კომისიას.

მუხლი 22

სპეციალიზებულ სააგენტოებს უფლება აქვთ წარმოდგენილი იყვნენ წინამდებარე კონვენციის ისეთ დებულებათა განხორციელების შესახებ საკითხების განხილვისას, რომლებიც მათი საქმიანობის სფეროში შედის. კომიტეტს შეუძლია სპეციალიზირებულ სააგენტოებს შესთავაზოს მოამზადონ მოხსენებები იმ დარგებში კონვენციის განხორციელების შესახებ, რომლებიც მისი საქმიანობის სფეროს განეკუთვნებიან.

ნაწილი VI

მუხლი 23

არაფერი წინამდებარე კონვენციაში არ ეხება რაიმე დებულებებს, რომლებიც უფრო მედატ უწყობენ ხელს მამაკაცთა და ქალთა თანასწორობის მიღწევას და რომლებსაც შეიძლება შეიცავდეს:

- ა) მონაწილე სახელმწიფოს კანონმდებლობა; ან
- ბ) სხვა რომელიმე საერთაშორისო კონვენცია, ხელშეკრულება ან შეთანხმება, რომელიც ძალაშია ასეთი სახელმწიფოსათვის.

მუხლი 24

მონაწილე სახელმწიფოები ვალდებული არიან ერ-

ოვნულ დონეზე ყველა საჭირო ზომა მიიღონ წინამდებარე კონვენციით აღიარებული უფლებების სრული რეალიზაციის მისაღწევად.

მუხლი 25

1. წინამდებარე კონვენცია ხელმოსაწერად გახსნილია ყველა სახელმწიფოსათვის
2. გაეროს გენერალური მდივანი წინამდებარე კონვენციის დეპოზიტარად ინიშნება.
3. წინამდებარე კონვენცია რატიფიკაციას ექვემდებარება. სარატიფიკაციო სიგელები შესაძლებად გაეროს გენერალურ მდივანს ბარდება.
4. წინამდებარე კონვენცია გახსნილია მისაერთებლად ყველა სახელმწიფოსათვის. მიერთება ხორციელდება გაეროს გენერალური მდივნისათვის მიერთების შესახებ დოკუმენტის ჩაბარების გზით.

მუხლი 26

1. წინამდებარე კონვენციის გადასინჯვის შესახებ თხოვნა შეიძლება წარდგენილ იქნეს ნებისმიერ დროს ნებისმიერი მონაწილე სახელმწიფოს მიერ გაეროს გენერალური მდივნის სახელზე წერილობითი შეტყობინების გზით.
2. გაეროს გენერალური ასამბლეა, თუ იგი საჭიროდ მიიჩნევს რაიმე ზომების გატარებას, იღებს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ როგორი ზომები უნდა იქნეს გატარებული ასეთი თხოვნის მიმართ.

მუხლი 27

1. წინამდებარე კონვენცია ძალაში შედის ოცდამეათე დღეს გაეროს გენერალური მდივნისათვის მეოცე სარატიფიკაციო სიგელის ან მიერთების შესახებ დოკუმენტის ჩაბარების შემდეგ.
2. თითოეული სახელმწიფოსათვის, რომელიც წინამდებარე კონვენციის რატიფიცირებას მოახდენს ან მეოცე სარატიფიკაციო სიგელის ან შეერთების შესახებ დოკუმენტის ჩაბარების შემდეგ მიუერთდება მას, წინამდებარე კონვენცია ძალაში შედის ოცდამეათე დღეს მისი სარატიფიკაციო სიგელის ან მიერთების შესახებ დოკუმენტის შესანახად ჩაბარების შემდეგ.

მუხლი 28

1. გაეროს გენერალური მდივანი იღებს და ყველა სახელმწიფოს უგზავნის დათქმების ტექსტს, რომლებიც სახელმწიფოებმა რატიფიკაციის ან შეერთების მომენტში გააკეთეს.
2. დათქმა, რომელიც შეუთავსებელია წინამდებარე

რე კონვენციის მიზნებთან და ამოცანებთან, არ დაიშვება.

3. დათქმები შეიძლება მოიხსნას ნებისმიერ დროს შესაბამისი შეტყობინების გაგზავნის გზით გაეროს გენერალური მდივნის სახელზე, რომელიც შემდეგ ამის შესახებ აცნობებს ყველა მონაწილე სახელმწიფოს. ასეთი შეტყობინება ძალაში შედის მისი მიღების დღიდან.

მუხლი 29

1. ნებისმიერი დავა ორ ან მეტ მონაწილე სახელმწიფოს შორის წინამდებარე კონვენციის განმარტების ან გამოყენების თაობაზე, რომელიც ვერ გადაწყდა მოლაპარაკების გზით, ერთ-ერთი მონაწილე მხარის თხოვნით საარბიტრაჟო განხილვაზე გადაეცემა. თუ საარბიტრაჟო განხილვის შესახებ განცხადების შეტანიდან ექვსი თვის განმავლობაში მხარეებმა ვერ მოახერხეს თანხმობის მიღწევა საარბიტრაჟო განხილვის ორგანიზაციის თაობაზე, ამ მხარეთაგან ნებისმიერს შეუძლია მოცემული დავა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს გადასცეს სასამართლოს სტატუტის შესაბამისი განაცხადის შეტანის გზით.
2. თითოეულ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია წინამდებარე კონვენციის ხელმოწერის ან რატიფიკაციისას ან მასთან მიერთებისას განაცხადოს, რომ იგი არ თვლის თავს შეზღუდულად ვალდებულებებით, რომლებსაც ამ მუხლის 1 პუნქტი შეიცავს. სხვა მონაწილე სახელმწიფოებს არ აკისრიათ მოცემული მუხლის აღნიშნული პუნქტიდან გამომდინარე ვალდებულებები, რომელიმე სხვა მონაწილე სახელმწიფოს მიმართ, რომელმაც აღნიშნული დათქმა გააკეთა.
3. ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს, რომელმაც გააკეთა დათქმა წინამდებარე მუხლის 2 პუნქტის შესაბამისად, შეუძლია ნებისმიერ დროს მოხსნას თავისი დათქმა გაეროს გენერალური მდივნისათვის შეტყობინების გზით.

მუხლი 30

წინამდებარე კონვენცია, რომლის ტექსტებიც რუსულ, ინგლისურ, არაბულ, ესპანურ, ჩინურ და ფრანგულ ენებზე თანაბრად ავთენტიკურია, შესანახად ბარდება გაეროს გენერალურ მდივანს.

აღნიშნულის დასტურად სათანადოდ უფლებამოსილმა ქვემოთ ხელმოწერებმა ხელი მოაწერეს წინამდებარე კონვენციას.

II. ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის ფაკულტატიური ოქმი

მიღებულია: 1999 წლის 6 ოქტომბერს
გენერალური ასამბლეის 28-ე სხდომაზე
ძალაშია: 2000 წლის 22 დეკემბრიდან

მოცემული ოქმის მონაწილე სახელმწიფოები

აღნიშნავენ რა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება განამტკიცებს ადამიანის ძირითადი უფლებების, ადამიანის პატივისა და ღირსების, ქალისა და კაცის თანასწორი უფლებების დაცვის გარანტიებს,

ასევე აღნიშნავენ რა, რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის თანახმად, ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორუფლებიანი, და ყველას შეუძლია ისარგებლოს დეკლარაციაში მოცემული უფლებებითა და თავისუფლებებით, გამონაკლისის გარეშე, მათ შორის, განურჩევლად სქესისა,

მიუთითებენ რა, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ხელშეკრულებითა და ადამიანის უფლებათა დაცვის სხვა საერთაშორისო აქტებით აკრძალულია დისკრიმინაცია სქესობრივი კუთვნილების საფუძველზე,

ასევე მიუთითებენ რა ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციაზე (კონვენცია), რომელშიც მონაწილე სახელმწიფოებიც გამოხატავენ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის და აცხადებენ თანხმობას სათანადო საშუალებებით და დაუყოვნებლივ განახორციელონ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის პოლიტიკა,

ადასტურებენ რა თავიანთ გადანაცვლებას უზრუნველყონ ქალთა მიერ ადამიანის უფლებებითა და ძირითადი თავისუფლებებით სრული და თანასწორი სარგებლობა და მიიღონ ეფექტური ზომები აღნიშნული უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევათა თავიდან ასაცილებლად,

შეთანხმდნენ შემდეგზე: მუხლი 1

წინამდებარე ოქმის მონაწილე ნებისმიერი სახელმწიფო („მონაწილე სახელმწიფო“) აღიარებს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის („კომიტეტი“) უფლებამოსილებას მიიღოს და განიხილოს მე-2 მუხლის თანახმად მისთვის მიწოდებული განაცხადი.

მუხლი 2

განაცხადი შესაძლებელია მიწოდებულ იქნას მონაწილე სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ მყოფ, იმ პირთა ან პირთა ჯგუფების მიერ ან სახელით, რომლებიც საკუთარ თავს აცხადებენ მონაწილე სახელმწიფოს მიერ კონვენციაში შეტანილი ნებისმიერი უფლების დარღვევის მსხვერპლად. განაცხადის მიწოდების შემთხვევაში პირთა ან პირთა ჯგუფების სახელით, აუცილებელია ამ უკანასკნელთა თანხმობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ინფორმაციის ავტორს შეუძლია დაასაბუთოს ასეთი თანხმობის გარეშე მოქმედების საფუძველიანობა.

მუხლი 3

განაცხადის მიწოდება ხდება წერილობითი ფორმით. იგი არ უნდა იყოს ანონიმური. კომიტეტი არ იღებს განაცხადს კონვენციის მონაწილე ისეთი სახელმწიფოს შესახებ, რომელიც არ არის მოცემული ოქმის მონაწილე.

მუხლი 4

1. კომიტეტი არ განიხილავს მიწოდებულ განაცხადს ვიდრე არ დაადგენს, რომ ამონაწერი საშუალებები და დაცვის ყველა შიდა სახელმწიფოებრივი საშუალება, გარდა იმ შემ-

თხვევებისა, როდესაც უფლების დაცვის პროცესი დაუსაბუთებლად იყო გაჭიანურებული ან არ იძლეოდა ეფექტურ შედეგს.

2. კომიტეტი არ განიხილავს მიწოდებულ განაცხადს, იმ შემთხვევაში თუ:
 - (ა) განაცხადში დასმული საკითხი უკვე შესწავლილი იქნა კომიტეტის მიერ, ან მისი შესწავლა განხორციელდა ან ხორციელდება საერთაშორისო გამოძიების ან დავის რეგულირების სხვა პროცედურის საფუძველზე;
 - (ბ) ის არ შეესაბამება კონვენციის დებულებებს;
 - (გ) ის მოკლებულია მოტივაციას და არ არის სათანადოდ დასაბუთებული;
 - (დ) ადგილი აქვს განაცხადის გაგზავნის უფლების ბოროტად გამოყენებას;
 - (ე) მიწოდებულ განაცხადში აღნიშნულ ფაქტებს ადგილი ჰქონდათ მონაწილე სახელმწიფოს მიერ მოცემული ოქმის ძალაში შესვლამდე გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ ფაქტების არსებობას ძალაში შესვლის თარიღის შემდგომაც აქვს ადგილი.

მუხლი 5

1. ინფორმაციის მიღების შემდეგ და გადანაცვების გამოტანამდე კომიტეტმა შესაძლოა მონაწილე სახელმწიფოს მოსთხოვოს მიიღოს შესაბამისი დროებითი ზომები აღნიშნული დარღვევის მსხვერპლის ან მსხვერპლთათვის გამოუსწორებელი ზიანის თავიდან ასაცილებლად;
2. მოცემული მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კომიტეტის ქმედება ავტომატურად არ გულისხმობს განაცხადის დასაშვებობის ან მისი არსებითი მხარის შესახებ გადანაცვების მიღებას.

მუხლი 6

1. თუ კომიტეტი განაცხადს დაუშვებლად არ გამოაცხადებს დაინტერესებული მონაწილე სახელმწიფოსადმი მიმართვის გარეშე და იმ შემთხვევაში, თუ პირები ან პირთა ჯგუფები დათანხმდებიან მათი ვინაობის გამხელაზე მონაწილე სახელმწიფოს წინაშე, კომიტეტი დაინტერესებულ მხარეებს შემოტანილ განაცხადს კონფიდენციალურად წარუდგენს.
2. ექვსი თვის ვადაში, მიმღები მონაწილე სახელმწიფო წარადგენს კომიტეტში წერილობით განმარტებას ან განაცხადებას, სადაც განხილული იქნება მოცემული საკითხი და მითითებული

იქნება ღონისძიებები (თუ ასეთი არსებობს), რომელიც განხორციელებულ იქნა მის მიერ.

მუხლი 7

1. კომიტეტი მოცემული ოქმის საფუძველზე მიღებულ განაცხადს განიხილავს პირების ან პირთა ჯგუფის მიერ მათი სახელით, ან დაინტერესებული მონაწილე სახელმწიფოს მიერ, მისთვის მიწოდებული ყველა სახის ინფორმაციის გათვალისწინებით, იმ პირობით, რომ ეს ინფორმაცია გადაეცემა დაინტერესებულ მხარეებს.
2. კომიტეტი მოცემული ოქმით გათვალისწინებულ ინფორმაციას განიხილავს დახურულ სხდომებზე.
3. განაცხადის შესწავლის შემდეგ, კომიტეტი დაინტერესებულ მხარეებს აღნიშნულ ინფორმაციასთან დაკავშირებით მიაწვდის თავის მოსაზრებებს და რეკომენდაციებს, თუ ასეთი არსებობს.
4. მონაწილე სახელმწიფო ყურადღებით განიხილავს კომიტეტის მოსაზრებებს, რეკომენდაციებთან ერთად, თუ ასეთი არსებობს, და კომიტეტს ექვსი თვის განმავლობაში მიაწვდის წერილობით პასუხს, რომელიც მოიცავს ინფორმაციას მის მიერ კომიტეტის მოსაზრებებისა და ღონისძიებების გათვალისწინებით გატარებული ნებისმიერი ღონისძიების შესახებ.
5. კომიტეტმა შესაძლოა მოსთხოვოს მონაწილე სახელმწიფოს კონვენციის მე-18 მუხლით გათვალისწინებული შემდგომი ანგარიშების წარდგენის გზით დამატებითი ინფორმაციის მიწოდება იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც მონაწილე სახელმწიფომ გაატარა კომიტეტის მოსაზრებებისა და რეკომენდაციებს გათვალისწინებით.

მუხლი 8

1. იმ შემთხვევაში, თუ კომიტეტი მიიღებს სარწმუნო ინფორმაციას მონაწილე სახელმწიფოს მიერ კონვენციაში მითითებული უფლებების უხეში და სისტემატური დარღვევის შესახებ, კომიტეტი მოუწოდებს მონაწილე სახელმწიფოს თანამშრომლობისკენ ინფორმაციის შემოწმების მიზნით და სთხოვს მას წარუდგინოს თავისი დაკვირვების მონაცემები აღნიშნულ ინფორმაციასთან დაკავშირებით.
2. დაინტერესებული მონაწილე სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილი დაკვირვების მონაცემე-

ბისა და ასევე მის ხელთ არსებული სხვა სახის სარწმუნო ინფორმაციის საფუძველზე, კომიტეტს შეუძლია დანიშნოს ერთი ან მეტი წევრი გამოკვლევის ჩატარებისა და კომიტეტებისთვის ანგარიშის დაუყოვნებლივ წარდგენის მიზნით. მონაწილე სახელმწიფოსთან შეთანხმებით, გამოკვლევის ჩატარება შეიძლება ითვალისწინებდეს ვიზიტს მის ტერიტორიაზე.

3. გამოკვლევის შედეგების შესწავლის შემდეგ, კომიტეტი ამ შედეგებს წარუდგენს დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოს კომენტარებთან და რეკომენდაციებთან ერთად.
4. დაინტერესებული მონაწილე სახელმწიფო კომიტეტის მიერ წარმოდგენილი გამოკვლევის შედეგების, კომენტარებისა და რეკომენდაციების მიღებიდან ექვსი თვის განმავლობაში, თავისი დაკვირვების მონაცემებს გადასცემს კომიტეტს.
5. აღნიშნული გამოკვლევა ჩატარდება კონფიდენციალურობის დაცვით, და მონაწილე სახელმწიფოსთან თანამშრომლობის გზით საქმის შესწავლის ყველა ეტაპზე.

მუხლი 9

1. კომიტეტმა შეიძლება მოთხოვოს დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოს კონვენციის მე-18 მუხლით გათვალისწინებულ ანგარიშში დანვრილებითი ინფორმაციის შეტანა იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც განხორციელდა მოცემული ოქმის მე-8 მუხლის საფუძველზე ჩატარებული გამოკვლევის საპასუხოდ.
2. მე-8.4 მუხლით მითითებული ექვსთვიანი პერიოდის ბოლოს, კომიტეტს შეუძლია საჭიროებისამებრ მოსთხოვოს დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოს ინფორმაციის წარდგენა გამოკვლევის საპასუხოდ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.

მუხლი 10

1. თითოეულ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია, მოცემული ოქმის ხელმოწერის, რატიფიცირების ან მასთან მიერთების დროს განაცხადოს, რომ იგი არ ცნობს კომიტეტის კომპეტენციას, რომელიც გათვალისწინებულია მე-8 და მე-9 მუხლებით.
2. ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს, რომელმაც გააკეთა განაცხადი მოცემული მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შეუძლია ნებისმიერ დროს უკან გამოიხმოს ეს განაცხადი

გენერალური მდივნისთვის შეტყობინების მიზნით.

მუხლი 11

მონაწილე სახელმწიფო მიიღებს შესაბამის ზომებს, რათა იმ პირთა მიმართ, რომლებზეც ვრცელდება მისი იუსრიდიქცია, არ ჰქონდეს ადგილი მუქარას ან არასათანადო მოპყრობას მოცემული ოქმის შესაბამისად მათი კომიტეტთან ურთიერთობის გამო.

მუხლი 12

კონვენციის 21-ე მუხლის შესაბამისად შედგენილ წლიურ ანგარიშში კომიტეტს შეაქვს მოცემული ოქმით გათვალისწინებული საქმიანობის მოკლე აღწერა.

მუხლი 13

თითოეული მონაწილე სახელმწიფო უზრუნველყოფს კონვენციისა და მოცემული ოქმის ფართო საზოგადოებისთვის გაცნობასა და კომიტეტის მოსაზრებებისა და რეკომენდაციების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, განსაკუთრებით იმ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია ამ მონაწილე სახელმწიფოსთან.

მუხლი 14

კომიტეტი შეიმუშავებს საპროცედურო წესებს, რომლებიც უნდა შესრულდეს მოცემული ოქმის საფუძველზე კომიტეტისთვის დაკისრებული ფუნქციების განხორციელების დროს.

მუხლი 15

1. მოცემული ოქმი ღიაა ხელმოწერისთვის ნებისმიერი იმ სახელმწიფოსთვის, რომელმაც ხელი მოაწერა კონვენციას, მოახდინა მისი რატიფიკაცია ან მიუერთდა მას.
2. მოცემული ოქმი ექვემდებარება რატიფიკაციას ნებისმიერი იმ სახელმწიფოს მიერ, რომელმაც მოახდინა კონვენციის რატიფიკაცია ან მიუერთდა მას. სარატიფიკაციო სიგელები შესაძლებელია გადაეცემა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.
3. მოცემულ ოქმს შეუძლია მიუერთდეს ნებისმიერი ის სახელმწიფო, რომელმაც მოახდინა კონვენციის რატიფიკაცია ან მიუერთდა მას.
4. მიერთება ძალაში შევა მიერთების აქტის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისთვის შესაბამისად გადაცემის გზით.

მუხლი 16

1. მოცემული ოქმი ძალაში შევა შეათე სარატიფიკაციო სიგელის ან მიერთების აქტის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისთვის შესანახად გადაცემიდან სამი თვის შემდეგ.
2. თითოეული იმ სახელმწიფოსთვის, რომელმაც მოახდინა მოცემული ოქმის რატიფიკაცია ან მიუერთდა მას ოქმის ძალაში შესვლის შემდეგ, მოცემული ოქმი ძალაში შევა ამ სახელმწიფოს სარატიფიკაციო სიგელის ან მიერთების აქტის შესანახად გადაცემიდან სამი თვის შემდეგ.

მუხლი 17

მოცემული ოქმის დებულებათა მიმართ და-
ოქმების გაკეთება დაუშვებელია

მუხლი 18

1. ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს წარუდგინოს წინადადება მოცემულ ოქმში ცვლილებების შეტანის შესახებ. გენერალური მდივანი შესატანი ცვლილებების შესახებ აცნობებს მონაწილე სახელმწიფოებს თხოვნით, რათა მათ შეატყობინონ მხარს უჭერენ თუ არა მონაწილე სახელმწიფოების კონფერენციის ჩატარებას ცვლილებების შეტანის შესახებ წინადადების განხილვის და კენჭისყრის მიზნით. იმ შემთხვევაში თუ კონფერენციის ჩატარებას მხარს დაუჭერს მონაწილე სახელმწიფოების არანაკლებ ერთი მესამედი, გენერალური მდივანი მოიწვევს კონფერენციას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით. ნებისმიერი შესწორება, რომელიც მიიღება კონფერენციაზე დამსწრე მონაწილე სახელმწიფოთა ხმების უმრავლესობით, დასამტკიცებლად წარედგინება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეას.
2. შესწორებები ძალაში შევა გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეასა და ოქმში მონაწილე სახელმწიფოების ორი მესამედის მიერ მათი მოწონების და მიღების შემდეგ, შესაბამისი საკონსტიტუციო პროცედურის თანახმად.
3. ძალაში შესვლის შემდეგ, შესწორებებს ექნება სავალდებულო ძალა იმ მონაწილე სახელმწიფოებისთვის, რომელთაც ისინი მიიღეს, ხოლო სხვა მონაწილე სახელმწიფოებზე გავრცელდება მოცემული ოქმის დებულებები და მათ მიერ ადრე მიღებული შესწორებები.

მუხლი 19

1. ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია მოცემული ოქმის დენონსირება ნებისმიერ დროს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სახელზე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების გზით. დენონსაცია ძალაში შევა გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების მიღებიდან ექვსი თვის შემდეგ.
2. ძალაში შესვლის თარიღის დადგომამდე, დენონსაცია არ შეზღუდავს მოცემული ოქმის დებულებათა გავრცელებას მე-2 მუხლის საფუძველზე წარდგენილ შეტყობინებაზე, ან მე-8 მუხლით გათვალისწინებული გამოკვლევის ჩატარებაზე.

მუხლი 20

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი აცნობებს სახელმწიფოებს:

- ა) მოცემული ოქმით გათვალისწინებული ხელმოწერების, რატიფიკაციისა და მიერთების შესახებ.
- ბ) მოცემული ოქმის ძალაში შესვლის თარიღისა და მე-18 მუხლით გათვალისწინებული ნებისმიერი შესწორების შესახებ.
- გ) მე-19 მუხლით გათვალისწინებული დენონსაციის შესახებ.

მუხლი 21

1. მოცემული ოქმი, რომლის არაბულ, ესპანურ, ინგლისურ, რუსულ, ფრანგულ და ჩინურ ტექსტებს თანაბარი ძალა გააჩნიათ, შესანახად გადაეცემა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის არქივს.
2. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი მოცემული ოქმის დამოწმებულ ასლებს გადასცემს კონვენციის 25-ე მუხლში მითითებულ ყველა სახელმწიფოს.

III. ზოგადი რეკომენდაცია № 19

ქალთა მიმართ ძალადობა

მიღებულია: 1992 წელს, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის მე-11 სხდომაზე

ზოგადი ინფორმაცია

1. გენდერული ძალადობა მნიშვნელოვნად აფერხებს ქალთა შესაძლებლობას, თანასწორობის პრინციპების შესაბამისად, კაცების მსგავსად სრულად ისარგებლონ ძირითადი უფლებებითა და თავისუფლებებით.
2. 1989 წელს კომიტეტმა გამოსცა რეკომენდაცია, რომლის თანახმადაც, სახელმწიფოებმა ეროვნულ ანგარიშში უნდა ასახონ ძალადობისა და მასთან ბრძოლის ფარგლებში გატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია (მე-12 ზოგადი რეკომენდაცია, VIII სესია).
3. 1991 წელს, X სესიაზე კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ XI სესიის ნაწილი დათმობოდა კონვენციის მე-6 და სხვა მუხლებს, რომლებიც ქალთა მიმართ ძალადობას, ისევე როგორც ქალთა სექსუალურ ჩაგვრასა და ექსპლუატაციას შეეხება. ეს თემა შეირჩა 1993 წლის ადამიანის უფლებათა მსოფლიო კონფერენციაზე, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 1990 წლის 18 დეკემბერის 45/155 რეზოლუციის საფუძველზე ჩატარდა.
4. კომიტეტმა ჩათვალა, რომ ყველა ხელშემკვრელი სახელმწიფოს ეროვნული ანგარიშში ადეკვატურად არ ასახავდა ქალთა წინააღმდეგ მიმართული დისკრიმინაციას, გენდერულ ძალადობასა და ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტებს შორის არსებულ ურთიერთკავშირს. კონვენციის სრული იმპლემენტაცია მოითხოვს, რომ ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის მიზნით სახელმწიფოებმა პროაქტიულად მიიღონ ქმედითი ზომები.
5. კომიტეტი სახელმწიფოებს მოუწოდებს, რომ ეროვნული კანონმდებლობისა და პოლიტიკის გადახედვის ფარგლებში, ისევე როგორც კონვენციის იმპლემენტაციის შესახებ ეროვნული ანგარიშის მომზადების დროს, არსებითად გაითვალისწინონ გენდერული ძალადობის საკითხზე კომიტეტის მიერ მომზადებული კომენტარები.

ზოგადი კომენტარები

6. კონვენციის 1-ლ მუხლში მოცულია ქალთა მიმართ ძალადობის განმარტება. დისკრიმინაციის განმარტება მოიცავს გენდერულ ძალადობას, რომელიც მიმართულია ქალის წინააღმდეგ იმის გამო, რომ ის ქალია, ან რომელიც არაპროპორციულად არასასურველ მდგომარეობაში აყენებს ქალებს. აღნიშნული ქმედებები მოიცავს ფიზიკურ, მენტალურ ან სექსუალურ ზიანს ან ტანჯვას, ასეთი ქმედებების მუქარას, იძულებასა და თავისუფლების აღკვეთის სხვა ფორმებს. გენდერულმა ძალადობამ შესაძლოა დაარღვიოს კონვენციის ცალკეული დებულებები, იმის მიუხედავად აღნიშნული ქმედებები სიტყვა-სიტყვით არის თუ არა გათვალისწინებული კონვენციის შესაბამის დებულებებში.
7. კონვენციის 1-ლი მუხლში განერილი განმარტების მნიშვნელობისთვის დისკრიმინაციად ჩაითვლება გენდერული ძალადობა, რომელიც აფერხებს ან შეუძლებელს ხდის ქალთა მიერ საერთაშორისო სამართლითა და ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში არსებული კონვენციებით გათვალისწინებული ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებებით სარგებლობას. ასეთ ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს განეკუთვნება:
 - (ა) სიცოცხლის უფლება;
 - (ბ) წამების, სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა;
 - (გ) თანასწორობის პრინციპზე დაყრდნობით საერთაშორისო ან არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტების დროს მოქმედი ჰუმანიტარული ხასიათის ნორმებით გათვალისწინებული დაცვით სარგებლობის უფლება;
 - (დ) ადამიანის თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება;
 - (ე) სამართლებრივი დაცვით თანაბრად სარგებლობის უფლება;

- (ვ) ოჯახურ ცხოვრებაში თანასწორობის უფლება;
 - (ზ) მაქსიმალურად ხელმისაწვდომი ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობის უფლება;
 - (თ) სამართლიანი და სათანადო სამუშაო პირობებით სარგებლობის უფლება.
8. კონვენცია ვრცელდება საჯარო დაწესებულებების მიერ განხორციელებული დისკრიმინაციის შემთხვევებზე. კონვენციის დარღვევის გარდა ძალადობის ამგვარმა გამოვლინებამ შესაძლოა დაარღვიოს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლითა და სხვა კონვენციებით გათვალისწინებული ვალდებულებები.
9. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ კონვენციის დებულებების მნიშვნელობისთვის დისკრიმინაცია არ მოიცავს მხოლოდ სახელმწიფოს მიერ ან სახელმწიფოსთვის განხორციელებულ ქმედებებს (იხილეთ კონვენციის მე-2(ე), 2(ვ) და მე-5 მუხლები). მაგალითად, კონვენციის მე-2(ე) მუხლი ავალდებულებს სახელმწიფოებს, რომ ქალთა წინააღმდეგ ნებისმიერი პირის, ორგანიზაციისა თუ დაწესებულების მიერ განხორციელებული დისკრიმინაციის აღმოფხვრის მიზნით ყველა ზომა მიიღონ. ზოგადი საერთაშორისო სამართლისა და ადამიანის უფლებათა დაცვის სპეციალური კონვენციების მიხედვით, სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი შესაძლოა კერძო პირების მიერ განხორციელებული ქმედებების შემთხვევაშიც დადგეს, თუკი სახელმწიფო არ მიიღებს სათანადო ზომებს, რათა თავიდან აიცილოს აღნიშნული უფლებების დარღვევები ან გამოიძიოს და დასაჯოს ძალადობრივ ქმედებებზე პასუხისმგებელი პირები და უზრუნველყოს სათანადო კომპენსაციის მიღება.

კომენტარები კონვენციის სპეციალურ მუხლებზე

მე-2 და მე-3 მუხლები

10. კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლები ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის ყოვლისმომცველი ვალდებულების გარდა 5-16 მუხლებით სპეციალურ ვალდებულებებსაც ითვალისწინებენ.

მე-2(ვ), მე-5 და მე-10(ა) მუხლები

11. ჩვეულებებზე დამყარებული ზოგადი მიდგომა, რომ ქალები ვაცებზე არიან დამოკიდებულნი და რომ საზოგადოებაში მათი სტატუსი სტერეოტიპულ როლებს ემყარება, ხელს უწყობს ძალადობრივი და იძულებითი ხასიათის პრაქტიკის ჩამოყალიბებას, რის გამოც ქალთა წინააღმდეგ ხორციელდება ძალადობა ოჯახში და ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ხელყოფა, როგორცაა იძულებითი ქორწინება, ფემიციდი ქორწინებაში, თავდასხმები მუავის გამოყენებით და ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრება. ასეთი ცრურწმენები და პრაქტიკა შესაძლოა ქალთა დაცვისა და კონტროლის მიზნით მსგავსი ძალადობრივი ქმედებების გასამართლებლად გამოიყენებოდეს. მსგავსი ძალადობრივი ქმედებების გამოყენებით ქალთა ფიზიკური და მენტალური ხელშეუხებლობისთვის მიყენებული ზიანი აფერხებს ქალთა მიერ ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების შესახებ ცოდნის მიღების, ამ უფლებებით სარგებლობასა და მათი პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობას. მიუხედავად იმისა, რომ ეს ზოგადი კომენტარი ძირითადად რეალურ ძალადობას ან მსგავსი ძალადობის მუქარას შეეხება, გენდერული ძალადობის ამგვარი შემთხვევების გამოვლინების შედეგად ქალები კვლავაც რჩებიან მეორეხარისხოვან და დამოკიდებულ როლში, ისინი არ არიან სათანადოდ წარმოდგენილნი პოლიტიკურ ცხოვრებაში, მათთვის განათლების მხოლოდ დაბალი საფეხურია ხელმისაწვდომი, მათ არ აქვთ შესაძლებლობა დაეუფლონ საჭირო უნარ-ჩვევებსა და ჰქონდეთ წვდომა დასაქმების ადგილებზე.

12. ამგვარი დამოკიდებულება ხელს უწყობს პორნოგრაფიის პროპაგანდას და ბეჭდვით საშუალებებსა თუ სხვა კომერციულ სფეროებში ქალთა სექსუალურ ობიექტებად და არა ინდივიდებად წარმოჩენას. რაც, თავის მხრივ კიდევ უფრო აღვივებს გენდერულ ძალადობას.

მე-6 მუხლი

13. კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, ხელშემკვრელი სახელმწიფოები ვალდებულნი არიან აღკვეთონ ქალთა ტრეფიკინგი და იძულებითი პროსტიტუცია, რაც ხელს უწყობს ქალ-

14. სიღარიბე და უმუშევრობა ქალთა ტრეფიკინგს უწყობს ხელს. ტრეფიკინგის სხვადასხვა ფორმის გახშირებასთან ერთად სექსუალური ექსპლუატაციის სხვა ფორმებიც ვითარდება, როგორცაა, სექსუალური ტურიზმი, განვითარებადი სახელმწიფოებიდან ქალების განვითარებულ სახელმწიფოებში შინამოსამსახურებად დასაქმება და მათი უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე ქორწინების ორგანიზება. ასეთი პრაქტიკა წინააღმდეგობაში მოდის თანასწორობის პრინციპზე და ყრდნობით ქალთა მიერ უფლებებით სრულად სარგებლობასთან, ისევე როგორც მათი უფლებებისა და ღირსებების დაცვასთან. ამავდროულად, ისინი ქალებს ძალადობისა და ხელყოფის განსაკუთრებული საფრთხის წინაშე აყენებენ.
15. სიღარიბე და უმუშევრობა ხშირად აიძულებს ქალებს, მათ შორის გოგონებსაც, რომ ჩაებან პროსტიტუციაში. სექსმუშაკები მათი (ხშირად უკანონო) სტატუსის გამო ძალადობის საფრთხის თვალსაზრისით განსაკუთრებულ მონყვლად ჯგუფს განეკუთვნებიან. ისინი ხშირად არიან საზოგადოებაში მარგინალიზებული. ეს პირები გაუპატიურებისა და სხვა ფორმის ძალადობისაგან სამართლებრივი დაცვის კუთხით სხვების მსგავსად უნდა სარგებლობდნენ.
16. ომები, შეიარაღებული კონფლიქტები და ტერიტორიების ოკუპაცია ხშირად იწვევს პროსტიტუციის, ქალების ტრეფიკინგისა და სექსუალური ხელყოფის შემთხვევების ზრდას. ასეთ დროს განსაკუთრებული დაცვითი და სადამსჯელო ღონისძიებები უნდა გამოიყენებოდეს.

მე-11 მუხლი

17. დასაქმების სფეროში თანასწორობა მნიშვნელოვნად იზღუდება, როდესაც ქალები გენდერული ნიშნით ძალადობის, მათ შორის სამუშაო დანესებულებებში სექსუალური შევიწროების, მსხვერპლნი არიან.
18. სექსუალური შევიწროება მოიცავს უსიამოვნო სექსუალური ხასიათის ქცევას, მათ შორის ფიზიკურ კონტაქტსა და სხვა მცდელობებს, სექსუალური შინაარსის მქონე განცხადებებს, პორნოგრაფიის ჩვენებისა და სექსუალური ხასიათის მოთხოვნებს; მნიშვნელობა არ აქვს, ასეთი ქცევა გამოხატულია ვერბალურად თუ ქმედებით. ამგვარი პრაქტიკა დამამცირებელია და შესაძლოა ჯანმრთელობასა და უსაფრთხო-

ებასთან დაკავშირებული პრობლემები გამოიწვიოს. დისკრიმინაციულია ქმედება, თუ ქალს აქვს გონივრული ეჭვი, რომ აღნიშნულის გაპროტესტება უარყოფით გავლენას მოახდენს მის სამსახურებრივ მდგომარეობაზე, მათ შორის სამსახურში აყვანასა თუ დანიშნულებაზე, ასეთი პროტესტის შედეგად სამსახურში მტრული სამუშაო გარემო შეიქმნება.

მე-12 მუხლი

19. კონვენციის მე-12 მუხლის მიხედვით, სახელმწიფოები ვალდებული არიან უზრუნველყონ ქალებისთვის ჯანდაცვის სისტემაზე ხელმისაწვდომობა. ქალთა წინააღმდეგ მიმართული ძალადობა მათ ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს საფრთხეს უქმნის.
20. ზოგიერთ სახელმწიფოში არსებობს კულტურასა და ჩვეულებებზე დამყარებული პრაქტიკა, რომელიც ზიანს აყენებს ქალებისა და ბავშვების ჯანმრთელობას. ასეთი პრაქტიკა მოიცავს ფეხმძიმე ქალებისთვის დიეტურ შეზღუდვებს, მამრობითი სქესის ბავშვებისთვის უპირატესობის მინიჭებას, ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრებას - ამოკვეთას თუ ტრამპირებას.

მე-14 მუხლი

21. სოფლად მცხოვრები ქალები გენდერული ძალადობის საფრთხის ქვეშ იმყოფებიან, რადგან ბევრ ასეთ საზოგადოებაში ჩვეულებებზე დამფუძნებული მიდგომების თანახმად ქალები დაქვემდებარებულ როლში იმყოფებიან. სოფლად მცხოვრები გოგონები ძალადობისა და სექსუალური ექსპლუატაციის განსაკუთრებული საფრთხის ქვეშ აღმოჩნდებიან, როდესაც ისინი ქალაქებში სამსახურის ძებნას იწყებენ.

მე-16 მუხლი (და მე-5 მუხლი)

22. იძულებითი სტერილიზაცია ან აბორტი უარყოფითად აისახება ქალთა ფიზიკურ და მენტალურ ჯანმრთელობაზე და არღვევს ქალთა უფლებას თავად გადაწყვიტონ, თუ რამდენი შვილის ყოლა სურთ.
23. ოჯახში ძალადობა ქალთა მიმართ ძალადობის ყველაზე დაფარულ ფორმას განეკუთვნება. ძალადობის ეს ფორმა ყველა საზოგადოებაში არსებობს. ოჯახურ ურთიერთობებში ყველა

ასაკის ქალების მიმართ ხორციელდება სხვადასხვა სახის ძალადობა, მათ შორის, ცემა, გაუპატიურება და სხვა ფორმის სექსუალური ხელყოფა, ფსიქოლოგიური და სხვა ფორმის ძალადობა, რომელიც ჩვეულებებზე დაფუძნებული მიდგომების შედეგად ხორციელდება. ეკონომიკური დამოუკიდებლობა ბევრ ქალს აიძულებს განაგრძოს ძალადობაზე დამყარებული ურთიერთობა. მამაკაცების მიერ ოჯახში ქალთა უფლება-მოვალეობების დაკნინება ძალადობისა და იძულების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს. ძალადობის ასეთი ფორმები ქალთა ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის და აფერხებს თანასწორობის პრინციპზე დაყრდნობით, ოჯახურ და სამოქალაქო ცხოვრებაში ეფექტური მონაწილეობის შესაძლებლობას.

სპეციალური რეკომენდაციები

24. აღნიშნული კომენტარების გათვალისწინებით ქალთა წინააღმდეგ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი სახელმწიფოებს მოუწოდებს:
- (ა) ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა სათანადო და ეფექტური ზომები უნდა მიიღონ, რათა აღმოფხვრან კერძო თუ საჯარო პირების მიერ განხორციელებული ყველა ფორმის გენდერული ძალადობა;
 - (ბ) ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ქალების ძალადობისა და ხელყოფის, მათ შორის, გაუპატიურების, სექსუალური და გენდერული ძალადობის სხვა ფორმებისაგან, ისევე როგორც მათი ხელშეუხებლობისა და ღირსების დაცვა. მსხვერპლთათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაცვისა და დახმარების პროგრამები. აღნიშნული კონვენციის ეფექტური იმპლემენტაციისთვის უმნიშვნელოვანესია აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებითვის გენდერულად სენსიტიური სწავლება;
 - (გ) ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შინაარსობრივი ანალიზი, სტატისტიკური მონაცემების შეგროვება და ძალადობის აღკვეთისა და აღმოფხვრის მიზნით განხორციელებული ზომების შეფასება;

- (დ) მედიაში ქალთა უფლებების დაცვისა და ხელშეწყობის მიზნით ეფექტური ზომები უნდა იქნეს გატარებული;
- (ე) ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა უნდა მოახდინონ იმ ადგილობრივი ჩვეულებებისა და ძალადობის ანალიზი, რომელიც ხელს უწყობს და ინვესტს ქალთა წინააღმდეგ ძალადობას. ამავდროულად, ეროვნულ ანგარიშში ასახული უნდა იყოს ამგვარი ძალადობისა და მისი შედეგების აღმოფხვრის მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია;
- (ვ) აღიშნული ჩვეულებებისა და ძალადობრივი ზომების დაძლევის მიზნით ეფექტური ზომები უნდა იქნეს მიღებული. სახელმწიფოებმა უნდა შემოიღონ განათლებისა და საჯარო ინფორმაციის გავრცელების ისეთი პროგრამები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ქალთა თანასწორობისთვის საფრთხის შემქმნელი მოსაზრებების აღმოფხვრას (მე-3 რეკომენდაცია, 1987);
- (ზ) ქალთა ტრეფიკინგისა და სექსუალური ექსპლუატაციის აღმოფხვრისთვის აუცილებელია პრევენციისა და სადამსჯელო ზომების მიღება;
- (თ) ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა ანგარიშში უნდა გაითვალისწინონ ინფორმაცია ამ პრობლემებისა და მათი აღმოფხვრის მიზნით გატარებული ზომების შესახებ, მათ შორის, სისხლის სამართლის ნორმების, პრევენციისა და რეაბილიტაციის იმ ზომების შესახებ, რომლებიც დაეხმარება პროსტიტუციაში ჩაბმულ ან ტრეფიკინგისა თუ სხვა ფორმის სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლ ქალებს. აღნიშნული უნდა იყოს ამ ზომების ეფექტურობაც;
- ი) ძალადობის მსხვერპლთათვის უზრუნველყოფილ უნდა იყოს მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა და ასევე, მათ ხელი უნდა მიუწვდებოდეთ სამართლებრივი დაცვის მექანიზმებზე, მათ შორის უნდა არსებობდეს კომპენსაციის მიღების შესაძლებლობა;
- (კ) ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა ეროვნულ ანგარიშში უნდა გაითვალისწინონ ინფორმაცია სექსუალური შევიწროებისა და სამსახურში ამგვარი და სხვა მსგავსი იძულებითი პრაქტიკისაგან ქალთა დაცვის შესახებ;
- (ლ) ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა უნდა შექმნან ან ხელი შეუწყონ ოჯახში ძალადობის, გაუპატიურების, სექსუალური შევიწროებისა

- დასხვა ფორმის გენდერული ძალადობის მსხვერპლთა დაცვის მომსახურებების განვითარებას, მათ შორის თავშესაფრის, კვალიფიციური ექიმის, რეაბილიტაციისა და სამართლებრივი დახმარების ხელმისაწვდომობის კუთხით;
- (მ) ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები ამგვარი პრაქტიკის დაძლევისათვის და ეროვნული ანგარიშის შემუშავების პროცესში მხედველობაში მიიღონ ქალთა წინადაცვლის საკითხზე კომიტეტის მიერ მომზადებული რეკომენდაცია (მე-14 რეკომენდაცია);
- (ნ) ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ საგანგებო ზომები რათა უზრუნველყონ, რომ განაყოფიერებისა და რეპროდუქციის პროცესში იძულებას არ აქვს ადგილი და რომ ქალებს არ აიძულონ ისეთი უსაფრთხო სამედიცინო პროცედურების გამოყენება, როგორცაა ნაყოფის კონტროლის საშუალებების არარსებობის გამო უკანონო აბორტი და სხვანი;
- (ო) ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა ეროვნულ ანგარიშში უნდა გაწერონ ინფორმაცია ამ პრობლემების მასშტაბურობის შესახებ და მიუთითონ მათი დაძლევის მიზნით გატარებულ ღონისძიებებზე;
- (პ) ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ძალადობის მსხვერპლთა დახმარების მიზნით არსებული მომსახურება ხელმისაწვდომია სოფლად მცხოვრები ქალებისთვის და რომ აუცილებელი მომსახურებებით სარგებლობა იზოლირებული თემების წევრ ქალებსაც შეუძლიათ;
- (ჟ) ძალადობისგან ქალთა დაცვის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებებს განეკუთვნება სწავლება და პოტენციური დასაქმების შესაძლებლობების შექმნა და შინა-მოსამსახურე ქალების სამუშაო პირობებზე ზედამხედველობის მექანიზმის არსებობა;
- (რ) სოფლად მცხოვრები ქალების მიმართ არსებული საფრთხეების შესახებ ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა კომიტეტს უნდა მიაწოდონ ინფორმაცია ამ პირებზე ძალადობისა და მათი ხელშეუხებლობის დარღვევის შემთხვევების მასშტაბურობისა და ხასიათის შესახებ, მათ სპეციალურ საჭიროებებსა და მათი დახმარების მიზნით არსებული მომსახურებების ხელმისაწვდომობაზე, ამ ზომების ეფექტურობისა და ძალადობის დაძლევის შესახებ;
- (ს) ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის მიზნით განსახორციელებელ ზომებს განეკუთვნება შემდეგი ღონისძიებები:
- (i) ოჯახში ძალადობის შემთხვევაში უნდა არსებობდეს ზიანის ანაზღაურების საშუალებები და საჭიროების შემთხვევაში უნდა მოხდეს სისხლისსამართლებრივი სანქციების გამოყენებაც;
- (ii) ქალი ოჯახის წევრის მკვლელობის ან მის მიმართ ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების შემთხვევაში სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ უნდა ითვალისწინებდეს ოჯახის ღირსების დაცვას, როგორც მსგავსი ქმედებისთვის პასუხისმგებლობის გამორიცხვის ან შემსუბუქების შესაძლებლობას;
- (iii) ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს უსაფრთხოებისა და ხელშეუხებლობის უზრუნველყოფისთვის საჭირო მომსახურებები, მათ შორის თავშესაფრები, სამართლებრივი დახმარება და რეაბილიტაციის პროგრამები;
- (iv) ოჯახში ძალადობის ჩამდები პირებისთვის განკუთვნილი რეაბილიტაციის პროგრამები;
- (v) ინცესტის ან სექსუალური ხელყოფის მსხვერპლთა ოჯახების დახმარების ხელშეწყობისთვის განკუთვნილი პროგრამები;
- (ტ) ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა ეროვნულ ანგარიშში უნდა გაითვალისწინონ ინფორმაცია ოჯახში ძალადობისა და სექსუალური ხელყოფის შემთხვევების მასშტაბურობის, ისევე როგორც მათი პრევენციის, პასუხისმგებელი პირების დასჯისა და სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფისთვის არსებული ზომების შესახებ;
- (უ) გენდერული ძალადობისგან ქალთა დაცვის მიზნით ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა სამართლებრივი და სხვა სახის საჭირო ზომები, როგორცაა, *inter alia*:
- (i) ეფექტური სამართლებრივი ზომები, მათ შორის სისხლისსამართლებრივი სანქციები, ქალთა ყველა ფორმის ძალადობისგან, *inter alia* ოჯახში ძალადობის, სექსუალური ხელყოფისა და მოსახურში სექსუალური შეურაცხყოფისაგან დაცვის უზრუნველსაყოფად არ-

სებული სამოქალაქო ზიანის ანაზღაურებისა და კომპენსაციის ხელმისაწვდომობა;

- (ii) პრევენციული ზომების არსებობა, მათ შორის საჯარო ინფორმაციის გავრცელება და საზოგადოებაში ქალისა და კაცის როლთან დაკავშირებით არსებული არასწორი სტერეოტიპებისა და სტიგმის დაძლევისთვის საჭირო საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება;
- (iii) დამცავი ღონისძიებების არსებობა, მათ შორის თავშესაფრების, სამართლებრივი დახმარების, რეაბილიტაციისა და გენდერული ძალადობის მსხვერპლთა თუ ამგვარი ძალადობის საფრთხის წინაშე მყოფი პირების დახმარებისთვის განკუთვნილი მომსახურებების ხელმისაწვდომობა;
- (ფ) ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა კომიტეტს უნდა მიაწოდონ ინფორმაცია გენდერული ძალადობის ყველა ფორმის შესახებ და ანგარიშში გაითვალისწინონ მათ ხელთ არსებული ყოველგვარი სტატისტიკური მონაცემი და ძალადობის ამგვარი ფორმების გამოვლინების შედეგად მსხვერპლთათვის მიყენებული ზიანის შესახებ;
- (ქ) ხელშემკვრელი სახელმწიფოების ანგარიში უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ქალების წინააღმდეგ მიმართული ძალადობის დაძლევის მიზნით შემუშავებულ სამართლებრივ, პრევენციულ და დამცავ ზომებსა და მათ ეფექტურობაზე.

IV. ზოგადი რეკომენდაცია № 21

თანასწორობა ქორწინებასა და ოჯახურ ურთიერთობებში

მიღებულია: 1994 წელს, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის მე-13 სხდომაზე

- ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 34/180 რეზოლუცია, დანართი) აღიარებს საზოგადოებასა და ოჯახში ადამიანის უფლებების კუთხით ქალთა და კაცთა თანასწორობას. კონვენციას ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ხელშეკრულებებს შორის მნიშვნელოვან ადგილს იკავებს.
- ადამიანის უფლებათა დაცვის სხვა საერთაშორისო კონვენციები და დეკლარაციები ოჯახსა და ოჯახში ქალის როლს დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. ამ დოკუმენტების რიცხვს განეკუთვნება ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 217/A (III) რეზოლუცია), სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 2200 A (XXI) რეზოლუცია, დანართი), კონვენცია ქორწინებაში მყოფ ქალთა მოქალაქეობის შესახებ (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 1040 (XI) რეზოლუცია, დანართი), კონვენცია ქორწინებაზე თანხმობის, ქორწინების მინიმალური ასაკისა და ქორწინების რეგისტრაციის შესახებ (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 1763 A (XVII) რეზოლუცია, დანართი) და ამავე საკითხზე შემდგომი რეკომენდაცია (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 2018 (XX) რეზოლუცია) და ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ ნაირობის პროგრესული სტრატეგიები.¹
- ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია კიდევ ერთხელ აღიარებს ზემოხსენებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და დეკლარაციებში გათვალისწინებული ქალთა განუსხვისებელი უფლებების მნიშვნელობას. ამასთან, კონვენცია ხაზს უსვამს საზოგადოების წევრების ცნობიერების ფორმირებასა და ქცევაზე კულტურისა და ჩვეულებების გავლენას. ეს ფაქტორები, ხშირ შემთხვევაში, ქალთა მიერ ძირითადი უფლებებით სარგებლობის საკითხზეც აისახება.

ზოგადი ინფორმაცია

- 1994 წელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ 44/82 რეზოლუციის თანახმად ოჯახის საერთაშორისო წლად გამოაცხადა. კომიტეტს სურს ისარგებლოს ამ შემთხვევით და კიდევ ერთხელ გაუსვას ხაზი ოჯახში ქალთა ძირითადი უფლებების დაცვის მნიშვნელობას და იმედს გამოთქვამს, რომ ეს განცხადება იქნება ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ეროვნულ დონეზე გატარებული ღონისძიებების წინაპირობა.
- ოჯახის საერთაშორისო წლის აღსანიშნავად ამგვარი ფორმის არჩევის გზით კომიტეტს სურს გააანალიზოს კონვენციის სამი მუხლი, რომლებიც ოჯახში ქალთა უმნიშვნელოვან როლს შეეხება:

მე-9 მუხლი

- ხელშემკვრელი სახელმწიფოები ქალებს ანიჭებენ კაცებთან თანაბარ უფლებას მიიღონ, შეიცვალონ ან შეინარჩუნონ თავიან-

¹ იხილეთ, Report of the World Conference to Review and Appraise the Achievements of the United Nations Decade for Women: Equality, Development and Peace, Nairobi, 15-26 July 1985 [გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ათი წლის მანძილზე გაწეული

სამუშაოს შედეგების განხილვისა და შეფასების მიზნით გამართული მსოფლიო კონფერენციის ანგარიში: თანასწორობა, განვითარება და მშვიდობა, ნაირობი, 15-26 ივლისი 1985] (United Nations publications, Sales No. E.85.IV.10), I თავი, სექცია A.

თი მოქალაქეობა. კერძოდ, ისინი უზრუნველყოფენ, რომ არც უცხოელთან ქორწინება, არც ქორწინების დროს ქმრის მოქალაქეობის შეცვლა არ იწვევს ცოლის მოქალაქეობის ავტომატურად შეცვლას, არ აქცევს მას მოქალაქეობის არმქონე პირად და არ შეიძლება ქალის იძულება მიიღოს ქმრის მოქალაქეობა.

2. მონაწილე სახელმწიფოები ქალებს ანიჭებენ კაცებთან თანაბარ უფლებას მათი შვილების მოქალაქეობის მიმართ.

კომენტარი

6. მოქალაქეობა სამოქალაქო ცხოვრებაში მონაწილეობის უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. ზოგადად, სახელმწიფოები მოქალაქეობას საკუთარ ტერიტორიაზე დაბადებულ პირებს ანიჭებენ. თუმცა, მოქალაქეობის მოპოვება შესაძლებელია ცალკეულ სახელმწიფოში დასახლების შემთხვევაში, ან ისეთი ჰუმანიტარული მიზეზებით, როგორცაა, მოქალაქეობის არქონა. მოქალაქეობისა და ეროვნების სტატუსის გარეშე ქალებს ეზღუდებათ ხმის მიცემისა და სახელმწიფო დაწესებულებებში მუშაობის უფლება; მოქალაქეობის არქონამ, ხშირად, შესაძლებელია სახელმწიფო შეღავათებით სარგებლობისა და საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლებების შეზღუდვაც გამოიწვიოს. ზრდასრულ ქალს უნდა შეეძლოს მოქალაქეობის შეცვლა და ქორწინებისა თუ განქორწინების ან ქმრისა თუ მამის მოქალაქეობის შეცვლამ ავტომატურად არ უნდა გამოიწვიოს მისი მოქალაქეობის შეცვლა.

მე-15 მუხლი

1. ხელშემკვრელი სახელმწიფოები ცნობენ კანონის წინაშე ქალებისა და მამაკაცების თანასწორობას.
2. მონაწილე სახელმწიფოები ქალებს ანიჭებენ მამაკაცებთან თანაბარ სამოქალაქო უფლებაუნარიანობას და მისი განხორციელების თანაბარ შესაძლებლობებს, კერძოდ, მათთვის უზრუნველყოფენ თანაბარ უფლებებს ხელშეკრულების დადებისას და ქონების მართვის საკითხში, აგრეთვე თანაბარ დამოკიდებულებას მათდამი სასამართლოებსა და ტრიბუნალებში საქმის წარმოების ყველა ეტაპზე.
3. ხელშემკვრელი სახელმწიფოები თანხმდებიან, რომ ძალადაკარგულად ითვლება ყველა ხელშეკრულება და ყველა სხვა კერძო საბუთი, რომლებიც თავიანთი სამართლებრივი შედეგით ზღუდავს ქალთა უფლებაუნარიანობას.

4. ხელშემკვრელი სახელმწიფოები ვაცებსა და ქალებს თანაბარ უფლებებს ანიჭებენ კანონმდებლობის მიმართ, რომელიც ეხება პირთა გადაადგილებას და საცხოვრებელი ადგილის არჩევას.

კომენტარი

7. როდესაც ქალებს მეუღლისა თუ სხვა მამაკაცების დახმარების გარეშე არ შეუძლიათ დადონ ხელშეკრულებები თუ აიღონ ფულადი სესხი, მათი სამართლებრივი ავტონომია ირღვევა. მსგავსი შეზღუდვები უარყოფითად აისახება მათი საკუთრების უფლებებზე და აფეხრებს ქალთა მიერ საკუთარი ბიზნესისა და სხვა ფორმის სახელშეკრულებო ურთიერთობების დამოუკიდებლად მართვის შესაძლებლობას. ამგვარი შეზღუდვების გამო მათ არ შეუძლიათ თავად გამოიმუშაონ საკუთარი და მათზე დამოკიდებული პირების არსებობისთვის საჭირო სახსრები.
8. ცალკეულ ქვეყნებში ქალთა მიერ სასამართლოში საქმის აღძვრა, სამართლებრივი დახმარებით სარგებლობის უფლება და სამართლებრივი დაცვის მექანიზმებით სარგებლობის უფლება კანონით იზღუდება. სხვა ქვეყნების კანონმდებლობის თანახმად ქალების მიერ მონაწილის სტატუსით მიცემულ ჩვენებასა თუ მტკიცებულებას ვაცებთან შედარებით ნაკლები სამართლებრივი წონა გააჩნია. მსგავსი კანონები და ჩვეულებები ზღუდავენ ქალთა უფლებას ეფექტურად ისარგებლონ და დაიცვან თავიანთი საკუთრება და იყვნენ საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები. როდესაც სახელმწიფოში ქალთა უფლებაუნარიანობა კანონით იზღუდება ან ცალკეულ პირებსა თუ დაწესებულებებს შესაძლებლობა აქვთ დააკნინონ ქალის როლი ამ პროცესებში, ამით მნიშვნელოვნად იზღუდება ქალთა უფლება იყვნენ მამაკაცებთან თანასწორნი და თავად გამოიმუშაონ თავიანთი და მათზე დამოკიდებული პირების არსებობისთვის საჭირო სახსრები.
9. მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ანგლო-ამერიკული სამართლით გათვალისწინებული ცნებაა და გულისხმობს იმ სახელმწიფოს, რომელშიც ცხოვრებაც პირს სურს და რომლის იურისდიქციაც კონკრეტულ პირზე ვრცელდება. ბავშვის საცხოვრებელი ადგილი, თავდაპირველად, მშობლების საცხოვრებელი ადგილის მიხედვით განისაზღვრება, თუმცა ზრდასრულობის პერიოდში პირის საცხოვ-

რებელ ადგილად ჩაითვლება სახელმწიფო, სადაც ის მუდმივად ცხოვრობს და სურს განაგრძოს იქ ცხოვრება. ისევე როგორც მოქალაქეობის შემთხვევაში, ხელშემკვრელი სახელმწიფოების მიერ კომიტეტისთვის მიწოდებული ეროვნული ანგარიშებიდან ნათლად იკვეთება, რომ პრაქტიკაში ქალები ყოველთვის დამოუკიდებლად ვერ ირჩევენ მუდმივ საცხოვრებელ ადგილს. მოქალაქეობის მსგავსად, ზრდასრულ ქალს ქორწინების სტატუსის მიუხედავად თავისუფლად უნდა შეეძლოს სურვილის შემთხვევაში მუდმივი საცხოვრებელი ადგილის შეცვლა. მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მამაკაცების მსგავსად შეცვლის უფლებაში ნებისმიერი სახის ჩარევამ შესაძლოა ავტომატურად დაარღვიოს ქალთა უფლება მიმართონ სასამართლოს იმ ქვეყანაში, სადაც ისინი ცხოვრობენ ან შეაფერხოს ამ ქვეყანაში თავისუფლად და დამოუკიდებლად შესვლისა თუ მისი დატოვების უფლება.

10. მიგრანტ ქალებს, რომლებიც დროებით სხვა სახელმწიფოში ცხოვრობენ, კაცების მსგავსად უნდა ჰქონდეთ უფლება, რომ იცხვრონ თავიანთ მეუღლეებთან, მენყვილეებთან და ბავშვებთან ერთად.

მე-16 მუხლი

1. ხელშემკვრელი სახელმწიფოები იღებენ ყველა საჭირო ზომას ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის ყველა საკითხში, რომლებიც ეხება ქორწინებასა და ოჯახურ ურთიერთობას, და, კერძოდ კაცთა და ქალთა თანასწორობის საფუძველზე უზრუნველყოფენ:
 - ა) ქორწინების თანაბარ უფლებებს;
 - ბ) მეუღლის თავისუფალი არჩევის და მხოლოდ თავისუფალი და სრული თანხმობით ქორწინების თანაბარ უფლებებს;
 - გ) ქორწინების პერიოდში და განქორწინების დროს თანაბარ უფლებებსა და მოვალეობებს;
 - დ) კაცებისა და ქალების, როგორც მშობლების, თანაბარ უფლებებს, მათი ოჯახური მდგომარეობის მიუხედავად, ყველა საკითხში, რომლებიც მათ შვილებს ეხება; ყველა შემთხვევაში ბავშვის ინტერესები უმთავრესია;
 - ე) თანაბარ უფლებას და მოვალეობას, რომ თავისუფლად და პასუხისმგებლობით წყვეტდნენ შვილების რაოდენობის და მათ დაბადებას შორის დროის შუალედების საკითხს და რომ ჰქონდეთ ინფორმაციის, განათლების მიღების, აგრეთვე იმ საშუალებებით სარგებლობის შესაძლებლობა, რომლებიც ხელს უწყობს მათ

- ამ უფლების განხორციელებაში;
- ვ) თანაბარ უფლებას და მოვალეობას, რომ იყვნენ ბავშვთა მეურვეები, მზრუნველები, მრწმუნებლები, მშვილებლები ან ახორციელებდნენ ანალოგიურ ფუნქციებს, როცა ისინი გათვალისწინებულია ეროვნული კანონმდებლობით; ყველა შემთხვევაში უმთავრესია ბავშვის ინტერესები;
- ბ) ცოლისა და ქმრის თანაბარ პირად უფლებებს, მათ შორის გვარის, პროფესიის და საქმიანობის არჩევის უფლებას;
- თ) მეუღლეთა თანაბარ უფლებას ქონების ფლობის, შექმნის, მართვის, გამოყენების და მისი უფასოდ და ფასიანი განკარგვის მიმართ.
2. ბავშვის ნიშნობას ან ქორწინებას იურიდიული ძალა არა აქვს და მიიღება ყველა საჭირო ზომა, მათ შორის საკანონმდებლო ქორწინების მინიმალური ასაკის განსაზღვრის და სამოქალაქო მდგომარეობის აქტებში ქორწინების სავალდებულო რეგისტრაციის მიზნით.

კომენტარი

საჯარო და პირადი ცხოვრება

11. საჯარო და პირადი ცხოვრება ისტორიულად საზოგადოებაში განსხვავებულად აღიქმებოდა და შესაბამისად – განსხვავებულადვე რეგულირდებოდა. ქალების საქმიანობა პირად თუ ოჯახურ ცხოვრებაში ტრადიციულად თითქმის ყველა საზოგადოებაში დაქვემდებარებულ და მეორეხარისხოვან საქმეს განეკუთვნებოდა.
12. ამგვარი საქმიანობა საზოგადოების ცხოვრებისთვის აუცილებელია და მათ მიმართ განსხვავებული და დისკრიმინაციული კანონებისა და ჩვეულებების გამოყენება გაუმართლებელია. ხელშემკვრელი სახელმწიფოების მიერ კომიტეტისთვის მიწოდებულ ეროვნულ ანგარიშებში იკვეთება, რომ ჯერ კიდევ არსებობს სახელმწიფოები, სადაც საკანონმდებლო დონეზე ქალთა და კაცთა თანასწორობა ჯერ კიდევ არ არსებობს. შესაბამისად, ქალებს საზოგადოებასა და ოჯახში თანასწორი სტატუსით სარგებლობა არ შეუძლიათ. იმ ქვეყნებშიც კი, სადაც თანასწორობა სამართლებრივად უზრუნველყოფილია, როლების გადანაწილება განსხვავებულია და როგორც წესი, ქალის როლი მეორეხარისხოვანია. ამრიგად, ირღვევა კონვენციის მე-16, მე-2, მე-5 და 24-ე მუხლებით გათვალისწინებული სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპები.

განსხვავებული სახის ოჯახები

13. ოჯახის ხასიათი და ცნება სხვადასხვა ქვეყნებში და ხშირად, ცალკეული ქვეყნის რეგიონებშიც განსხვავებულია. კონვენციის მე-2 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად, როგორი ფორმისაც არ უნდა იყოს ოჯახი, ქვეყნის სამართლებრივი სისტემის, რელიგიის, ჩვეულებებისა და ტრადიციების მიუხედავად, ოჯახში ქალთა მდგომარეობა სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპზე დაყრდნობით უნრუნველყოფილი უნდა იყოს როგორც კანონმდებლობით, ისე - პრაქტიკაში.

პოლიგამიური ქორწინებები (მრავალქორწინება)

14. ხელშემკვრელი სახელმწიფოების ეროვნულ ანგარიშებში ნათლად იკვეთება, რომ პოლიგამია საკმაოდ ბევრ ქვეყანაშია გავრცელებული. პოლიგამიური ქორწინება წინააღმდეგობაში მოდის ქალისა და კაცის თანასწორობის უფლებასთან და შესაძლოა ქალებსა და მათზე დამოკიდებულ პირებზე მძიმე და უარყოფითი ემოციური და ფინანსური გავლენა იქონიოს. სახელმწიფოებმა არ უნდა წაახალისონ მსგავსი ქორწინებები; აუცილებელია მათი აკრძალვა. კომიტეტი მიიჩნევს, რომ ზოგი ხელშემკვრელი სახელმწიფო, რომელთა კონსტიტუციაც ცნობს ქალთა და კაცთა თანასწორობას, ჯერ კიდევ აღიარებს პრაქტიკაში გავრცელებულ და ჩვეულებებზე დაფუძნებულ პოლიგამიურ ქორწინებებს. ამით ირღვევა ქალთა კონსტიტუციური უფლებები და კონვენციის მე-5 (ა) მუხლი.

მე-16(1)(ა) და (ბ) მუხლები

15. მიუხედავად იმისა, რომ უმეტესი ქვეყნის ეროვნული კონსტიტუცია და კანონმდებლობა კონვენციასთან შესაბამისობაშია, ჩვეულებები, ტრადიციები და აღნიშნული კანონმდებლობის პრაქტიკაში რეალურად აღსრულების სიმწირე არღვევს კონვენციას.

16. ქალთა უფლება თავისუფლად აირჩიონ მეუღლე და იქორწინონ, მათი ცხოვრების, ისევე როგორც ადამიანის ღირსებისა და თანასწორობის, უმნიშვნელოვანესი ასპექტია. ხელშემკვრელი სახელმწიფოების ეროვნული ანგარიშების ანალიზი ცხადყოფს, რომ ჯერ კიდევ არსებობს სახელმწიფოები, სადაც ჩვეულებების, რელიგიურ შეხედულებებსა და ცალკეული პირების ეთნიკური წარმომავლობის

გამო პრაქტიკაში ხშირია ქალების იძულებითი ქორწინება ან ხელმეორედ დაქორწინება. სხვა ქვეყნებში დამკვირვებელია ქალების დაქორწინება ფულადი ანაზღაურებისა თუ პრივილეგიების სანაცვლოდ. ზოგ ქვეყანაში სიღარიბე ქალებს აიძულებს, რომ ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით დაქორწინდნენ უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე. მენყვილის ასაკისა და ნათესაობრივი ურთიერთობების კუთხით არსებული გონივრული შეზღუდვების გარდა, კანონმდებლობით არ უნდა იზღუდებოდეს ქალთა თავისუფლება დამოუკიდებლად გადანყვითონ, დაქორწინდნენ თუ არა, და თავადვე აირჩიონ თავიანთი მეუღლე.

მე-16(1)(გ) მუხლი

17. ხელშემკვრელი სახელმწიფოების ეროვნული ანგარიშების ანალიზი ცხადყოფს, რომ ბევრი ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად ქორწინებაში მყოფი მეუღლეების უფლება-მოვალეობები შესაძლოა რელიგიური და ჩვეულებითი სამართლის პრინციპებს და არა კონვენციით გათვალისწინებულ პრინციპებს ემყარებოდეს. კანონმდებლობასა და პრაქტიკაში ქორწინებასთან დაკავშირებული საკითხების მრავალფეროვნება ხშირად უარყოფითად აისახება ოჯახში ქალთა უფლებებზე მდოგარეობაზე. ასეთი შეზღუდვების გამო ოჯახში ძირითადი გადანყვითილების მიმღებ პირად ქმარი მიიჩნევა, რაც, თავის მხრივ, ეწინააღმდეგება კონვენციის მოთხოვნებს.

18. ამასთან, de facto კავშირი, როგორც წესი, კანონმდებლობით არ არის აღიარებული. კანონმდებლობით უზრუნველყოფილი უნდა იყოს, რომ მსგავს ურთიერთობებში ქალებსა და კაცებს როგორც ოჯახურ ცხოვრებაში, ისე შემოსავლისა და ფინანსური სახსრების განაწილების თვალსაზრისით, თანასწორი უფლებები გააჩნდეთ. ასეთ ურთიერთობებში ქალებს მათზე დამოკიდებულ შვილებსა და ოჯახის სხვა წევრებთან მიმართებით კაცების მსგავსი უფლებები და მოვალეობები უნდა ჰქონდეთ.

მე-16(1)(დ) და (ვ) მუხლები

19. ხელშემკვრელი სახელმწიფოების უმეტესობა კონვენციის მე-5 (ბ) მუხლის შესაბამისად ცნობს ბავშვებზე ზრუნვისა და მათი რჩენის თვალსაზრისით მშობლების თანასწორ და ერთობლივ ვალდებულებებს. ბავშვთა უფლებათა დაცვის კონვენციით (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური

ასამბლეის 44/25 რეზოლუცია, დანართი) გათვალისწინებული პრინციპი, რომ „უპირველესი ყურადღება დაეთმოს ბავშვის საუკეთესო ინტერესს“, დღეისთვის უკვე საყოველთაოდ არის აღიარებული. თუმცა, პრაქტიკაში მაინც არსებობს პრობლემები. ზოგიერთ სახელმწიფოში მშობლებს ბავშვთან მიმართებით თანაბარი უფლებები არ გააჩნიათ; ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია ისეთ შემთხვევებში, როდესაც მშობლები ქორწინებაში არ იმყოფებიან. ასეთი წყვილების ბავშვები, ხშირად, ქორწინებაში დაბადებული შვილების მსგავსი სამართლებრივი სტატუსით არ სარგებლობენ და თუკი დედა განქორწინებულია ან ცალკე ცხოვრობს, მამები ქალებს თავიანთ ბავშვებზე ზრუნვის, მათი დაცვისა და რჩენის ვალდებულების ერთობლივად განხორციელების საშუალებას არ აძლევენ.

20. კონვენციით გათვალისწინებული ერთობლივი უფლებები და ვალდებულებები მეურვეობის, მშობლის მოვალეობების, მზრუნველობისა და შვილად აყვანის პრინციპების დაცვით კანონმდებლობით უნდა იყოს უზრუნველყოფილი. ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა ყველა ზომა უნდა მიიღონ, რათა კანონმდებლობის შესაბამისად, ორივე მშობელმა, ოჯახური სტატუსისა თუ ბავშვთან ერთად ცხოვრების მიუხედავად, თანაბრად შეძლოს ბავშვის მიმართ მშობლის უფლება-მოვალეობების განხორციელება.

მე-16(1)(ე) მუხლი

21. ქალთა ვალდებულება გააჩინონ და გაზარდონ შვილები უარყოფითად აისახება განათლების, დასაქმებასა და პიროვნული განვითარებისთვის აუცილებელი სხვა აქტივობების ხელმისაწვდომობაზე. ამავდროულად, ბავშვთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობები ცოლ-ქმარს შორის არათანაბრად არის გადანაწილებული. ქალთა და ბავშვთა ფიზიკურ და მენტალურ ჯანმრთელობაზე მნიშვნელოვან გავლენას შვილების რაოდენობაც ახდენს. ამრიგად, ზემოხსენებული მიზეზებიდან გამომდინარე, ქალებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა თავისუფლად გადაწყვიტონ თავიანთი შვილების რაოდენობა და მშობიარობის შუალედები.

22. ხელშემკვრელი სახელმწიფოების ეროვნულ ანგარიშებში იკვეთება იძულების პრაქტიკა, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქალების ცხოვრებაზე. ასეთი პრაქტიკის მაგალითებს განეკუთვნება იძულებითი ფეხმძიმობა, აბორტი ან სტერილიზაცია. შვილის ყოლა-არ-

ყოლის საკითხი მეუღლეებსა და მენყვილებს შორის შეთანხმების საფუძველზე უნდა იყოს მიღებული და ერთპიროვნულად არ უნდა იქნეს მიღებული ქმრის, მშობლის, მენყვილის ან მთავრობის მიერ. სათანადო და უსაფრთხო ჩასახვის საწინააღმდეგო ზომების გამოყენების შესახებ გადანყვეტილების მიღების პროცესში ქალებს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ ამ ზომებისა და მათი გამოყენების შესახებ ინფორმაციაზე. კონვენციის მე-10(თ) მუხლის შესაბამისად უზრუნველყოფილი უნდა იყოს სექსუალური განათლებისა და ოჯახის დაგეგმვის შესახებ ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა.

23. დღეისთვის ყველა თანხმდება, რომ არსებობს ოჯახის წევრების კეთილდღეობის, ჩასახვის დაგეგმვისა და ჯანმრთელობის დაცვის სათანადო და ხელმისაწვდომი საშუალებები. ამასთან, ამგვარი მომსახურებებით სარგებლობა ხელს უწყობს ცხოვრებისა და მოსახლეობაში ჯანმრთელობის დონის ამაღლებას, მოსახლეობის რაოდენობის ზრდის რეგულირებას, გარემოს შენარჩუნებასა და მდგრად ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას.

მე-16(1)(ზ) მუხლი

24. მტკიცე ოჯახი თანასწორობის, სამართლიანობისა და ოჯახის თითოეული წევრის კეთილდღეობის პრინციპებს ემყარება. შესაბამისად, კონვენციის მე-11 მუხლის (ა) და (ბ) პუნქტების თანახმად ოჯახის ყველა წევრს აქვს უფლება აირჩიოს საკუთარი პროფესია და სამსახური, რომელიც მის შესაძლებლობებს, კვალიფიკაციასა და ინტერესის სფეროს ყველაზე უკეთ შეესაბამება. ამასთან, თითოეულ წევრს უნდა ჰქონდეს უფლება აირჩიოს თავისი გვარი და ამით შეინარჩუნოს საკუთარი ინდივიდუალურობა და იდენტობა, რომელიც მას საზოგადოების სხვა წევრებისგან განასხვავებს. ქალს ეზღუდება ეს უფლება, თუკი კანონმდებლობით ან ჩვეულებების გამო ქორწინების დროს გვარის შეცვლას ან გვარზე უარის თქმას აიძულებენ.

მე-16(1)(თ) მუხლი

25. ამ მუხლში გათვალისწინებული უფლებები ემთხვევა და ავსებს კონვენციის მე-15(2) მუხლში მოცემულ დებულებებს, რომელთა მიხედვითაც სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს სახელმეკრულელო ურთიერთობებში მონაწილეობისა და ქონების განკარგვის საკითხებში ქალთა და კაცთა თანასწორობა.

26. მე-15(1) მუხლის თანახმად, ქალები კანონის წინაშე კაცებთან თანასწორნი უნდა იყვნენ. ქალების მიერ ქონების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლება ქალთა ფინანსური დამოუკიდებლობის ქვაკუთხედაა. ბევრ ქვეყანაში ქალთა საკუთრების უფლება არსებობისა და საკუთარი და თავისი ოჯახის წევრების სათანადო საცხოვრისითა და საკვებით უზრუნველყოფის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს.
27. ქვეყნები, სადაც აგრარული რეფორმა ან სხვადასხვა სოციალურ თუ ეთნიკურ ჯგუფებს შორის მიწის ნაკვეთების გადანაწილება მიმდინარეობს, ქალებს ოჯახური სტატუსის მიუხედავად უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ამ პროცესში და კაცების მსგავსად მიიღონ შესაბამისი წილი.
28. უმეტეს ქვეყანაში ქალი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი დაუოჯახებელი ან განქორწინებულია; ბევრი ქალი მარტო არჩენს ოჯახს. ქონების გადანაწილების დისკრიმინაციული პროცედურები, რომლებიც ოჯახში ქალებისა და შვილების რჩენის ვალდებულებას მხოლოდ კაცს აკისრებს, არარეალისტურია. შესაბამისად, ნებისმიერი საკანონმდებლო ნორმა თუ ჩვეულებითი ადათ-წესი, რომელიც ქორწინების დასრულებისა თუ ურთიერთობის ფაქტობრივად განწყვეტის ან შეუღლის გარდაცვალების შემდეგ საკუთრების უფლების განხორციელებაში კაცს უპირატეს მდგომარეობაში აყენებს, დისკრიმინაციული ხასიათისაა. ასეთი ზომები მნიშვნელოვნად აზარალებს ქალებს და ზღუდავს მათ უფლებას განქორწინდნენ, განქორწინების შემდეგ განაგრძონ არსებობა და ოჯახის შენახვა, როგორც ეს ღირსეულ, დამოუკიდებელ ადამიანს შეეფერება.
29. ყველა ეს უფლება ქალის ოჯახური სტატუსის მიუხედავად უნდა იყოს უზრუნველყოფილი.

ქორწინებაში შეძენილი ქონება

30. არსებობს სახელმწიფოები, რომლებიც ქორწინების ან de facto თანაცხოვრების დროს შეძენილი ქონების წილობრივი გამიჯვნის ან განქორწინებისა თუ გაშორების შემდეგ ქონების გადანაწილების პროცესში ქალისა და კაცის თანასწორობას არ აღიარებენ. ბევრ ქვეყანაში თანასწორობა აღიარებულია, თუმცა ამ უფლებით პრაქტიკულ სარგებლობას სამართლებრივი პრეცედენტები და ადათ-წესები ზღუდავს.

31. ცალკეულ შემთხვევებში (მაშინაც კი, როდესაც სახელმწიფოში ქალებისთვისაც აღიარებულია საკუთრების უფლება და მათ შეუძლიათ ამ უფლების დაცვის მიზნით მიმართონ სასამართლოს) ქორწინების დროს ქალის მიერ მოპოვებული ქონების განკარგვის უფლება მხოლოდ კაცს აქვს. ბევრ ქვეყანაში, მათ შორის, სადაც საზოგადოებრივი ქონების ცნება არსებობს, მეუღლეების საერთო ქონების განკარგვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ცოლის თანხმობა აუცილებელი არ არის. მსგავსი შეზღუდვები უარყოფითად აისახება ქალის მიერ ამ ქონებით სარგებლობისა და მათ მიერ შემოსავლის მიღების შესაძლებლობაზე.
32. ზოგ ქვეყანაში ქორწინების დროს მოპოვებული ქონების გადანაწილების დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ქორწინების დროს მოპოვებულ ფინანსურ საქმიანობას ენიჭება და არ ხდება ისეთი არაფულადი წვლილის გათვალისწინება, როგორცაა ბავშვების აღზრდა, მოხუცი ნათესავების მოვლა და სამინაო საქმეები. ხშირად ცოლის მიერ მსგავსი არაფულადი ხასიათის წვლილი ქმარს შესაძლებლობას აძლევს მიიღოს ფულადი შემოსავალი და გაზარდოს ოჯახის ფინანსური სახსრები. ფინანსურ და არაფინანსურ საქმიანობას თანაბარი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს.
33. ბევრ ქვეყანაში ფაქტობრივი ურთიერთობების დროს მოპოვებული ქონების ფლობის, სარგებლობის და განკარგვის საკითხი სამართლებრივად ქორწინებაში შეძენილი ქონების მსგავსად არ არის რეგულირებული. შესაბამისად, ასეთი ურთიერთობების დასრულების შემდეგ ქალი მეწყვილე კაცთან შედარებით მნიშვნელოვნად ნაკლებ წილს იღებს. დისკრიმინაციული კანონმდებლობა და ადათ-წესები, რომლებიც შვილიან ან უშვილო დაქორწინებულ ან დაუქორწინებელ ქალებს არახელსაყრელ პირობებში აყენებს, უნდა გაუქმდეს.

მემკვიდრეობა

34. ხელშემკვრელი სახელმწიფოების ეროვნულ ანგარიშში გათვალისწინებული უნდა იყოს ინფორმაცია მემკვიდრეობის საკითხების მარეგულირებელი საკანონმდებლო და ჩვეულებითი ნორმების შესახებ, რადგანაც ეს საკითხი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქალთა სამართლებრივ მდგომარეობაზე. აღნიშნული საკითხის მნიშვნელობას აღიარებს კონვენციის დებულებები და ეკონომიკური და სოციალური

საბჭოს 884 D (XXXIV) რეზოლუცია, რომელშიც საბჭო მოუწოდებს სახელმწიფოებს, რომ უზრუნველყონ გარდაცვლილ ადამიანთან მსგავსი ნათესაური კავშირის მქონე ქალებმა და კაცებმა ქონების თანაბარი წილი მიიღონ და მემკვიდრეობის უფლებით სარგებლობისას თანაბარი სტატუსი ჰქონდეთ. როგორც წესი, ამ დებულების მოთხოვნები პრაქტიკაში არ სრულდება.

35. ბევრ ქვეყანაში, მემკვიდრეობისა და საკუთრების სამართალი კანონმდებლობასა და პრაქტიკაში ქალების მიმართ დისკრიმინაციულია. უთანასწორო მოპყრობის გამო ქალებს ქმრის ან მამის გარდაცვალების შემთხვევაში ქვრივ კაცებთან და ძმებთან შედარებით მემკვიდრეობის უფრო მცირე წილი ერგებათ. ცალკეულ შემთხვევებში, გარდაცვლილი პირის ქონებიდან ქალებს მხოლოდ შეზღუდული და კონტროლს დაქვემდებარებული უფლებები ეძლევათ. ხშირად, ქვრივი ქალების მემკვიდრეობის უფლება არ შეესაბამება ქორწინების დროს შექმნილ ქონებასთან მიმართებით თანასწორობის პრინციპს. ასეთი დებულებები შეუსაბამობაშია კონვენციის მოთხოვნებთან და უნდა გაუქმდეს.

მე-16(2) მუხლი

36. 1993 წლის 14-45 ივნისს ვენაში გამართულ ადამიანის უფლებების მსოფლიო კონფერენციაზე მიღებული ვენის დეკლარაციისა და სამოქალაქო პროგრამის მიხედვით, სახელმწიფოები ვალდებული არიან შეცვალონ არსებული კანონმდებლობა და რეგულაციები და აღკვეთონ ისეთი ჩვეულებებისა და პრაქტიკის გამოყენება, რომელიც არასრულწლოვანი გოგოების მიმართ დისკრიმინაციულია და ზიანს აყენებთ მათ. მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის და ბავშვთა უფლებათა კონვენციის დებულებების თანახმად, სახელმწიფოებს ეკრძალებათ აღიარონ ქორწინება იმ პირებს შორის, რომლებსაც სრულწლოვანებისთვის არ მიუღწევიათ. ბავშვთა უფლებათა დაცვის კონვენციის თანახმად, „ბავშვად ითვლება ყოველი ადამიანი რომელსაც 18 წელი არ შესრულებია, თუ კანონით, რომელიც ამ ბავშვის მიმართ გამოიყენება, ის უფრო ადრე არ აღწევს სრულწლოვანებას.“ ამ დეფინიციის მიუხედავად, ვენის დეკლარაციის დებულებების გათვალისწინებით, კომიტეტი მიიჩნევს, რომ ქორწინების მინიმალური ასაკი ქალებსთვის და კაცებისთვისაც 18 წელი უნ-

და იყოს. ქორწინების შედეგად ქალები და კაცები ცოლ-ქმრულ ურთიერთობაში საპასუხისმგებლო უფლება-ვალდებულებებს იღებენ. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის თანახმად არასრულწლოვანების, განსაკუთრებით კი გოგოების ქორწინება და ბავშვების ყოლა უარყოფით გავლენას ახდენს მათ ჯანმრთელობასა და განათლებაზე. შედეგად, იზღუდება მათი ეკონომიკური დამოუკიდებლობა.

37. ეს ყოველივე უარყოფითად აისახება არა მხოლოდ ქალთა პიროვნების ჩამოყალიბების პროცესზე, არამედ ზღუდავს მათი სამუშაო უნარ-ჩვევებისა და დამოუკიდებლობის განვითარებას და ამცირებს მათი დასაქმების შესაძლებლობებს, რაც, თავის მხრივ, საბოლოო ჯამში აზიანებს მათ ოჯახებსა და საზოგადოებებს.
38. ბოგი ქვეყნის კანონმდებლობა ქალისა და კაცისთვის განსხვავებულ ქორწინების ასაკს აწესებს. ასეთი დებულებები ემყარება არასწორ მოსაზრებას, რომ ქალებს კაცებისაგან განსხვავებული ინტელექტუალური განვითარების დონე აქვთ, ან რომ ქორწინებისთვის მათი ფიზიკურ და ინტელექტუალურ განვითარებას მნიშვნელობა არ აქვს. მსგავსი კანონმდებლობა უნდა შეიცვალოს. სხვა ქვეყნებში დაშვებულია გოგოების ნიშნობა და გადაწყვეტილების მათ ნაცვლად ოჯახის წევრების მიერ მიღება. მსგავსი წესები ეწინააღმდეგება კონვენციის მოთხოვნებს და ამავდროულად, მნიშვნელოვნად ზღუდავს ქალთა თავისუფლებას დამოუკიდებლად აირჩიონ თავიანთი მეუღლე.
39. ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა უნდა დაანესონ სამოქალაქო თუ ჩვეულებებისა და რელიგიური რიტუალების მიხედვით ჩატარებული ქორწინების სამოქალაქო რეგისტრაციაში გატარების მკაცრი ვალდებულება. ამრიგად, მეუღლეების თანასწორობის პრინციპის დაცვით, ქორწინებისთვის მინიმალური ასაკობრივი ზღვრის დაწესებით, ბიგამიისა (ორქორწინება) და პოლიგამიის აკრძალვისა და ბავშვთა უფლებების დაცვით სახელმწიფოები შეძლებენ შეასრულონ კონვენციის მოთხოვნები.

რეკომენდაციები

ქალთა მიმართ ძალადობა

40. ოჯახში ქალის როლის გათვალისწინებით,

კომიტეტს სურს ხაზი გაუსვას მე-19 ზოგადი რეკომენდაციის (მე-19 სესია) მნიშვნელობას², რომლის მიხედვითაც, ქალების მიმართ ძალადობა მნიშვნელოვნად აფერხებს მამაკაცებთან მიმართებით ქალთა თანასწორობის უფლებით სარგებლობის შესაძლებლობას. კომიტეტი მოუწოდებს ხელშემკვრელ სახელმწიფოებს, დაიცვან ზოგადი რეკომენდაცია და უზრუნველყონ საჯარო და ოჯახურ ცხოვრებაში ქალთა წინააღმდეგ მიმართული გენდერული ძალადობის აღმოფხვრა.

დათქმები

41. კომიტეტმა არაერთხელ აღნიშნა, რომ შემაშფოთებელია იმ სახელმწიფოთა რიცხვი, რომლებმაც კონვენციის მე-16 მუხლის ყველა ან ცალკეულ დებულებებთან მიმართებით დათქმები გააკეთეს, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც დათქმა კონვენციის მე-2 მუხლთან მიმართებითაც გაკეთდა. ეს სახელმწიფოები აცხადებენ, რომ კონვენციის ცალკეული მუხლების მოთხოვნები წინააღმდეგობაში მოდის ოჯახის ცნებასთან (რომელიც *in te alia* კულტურულ თუ რელიგიურ შეხედულებებს ეფუძნება) ან ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტატუსთან.
42. ამ სახელმწიფოთა უმრავლესობა აღიარებს ოჯახს, როგორც პატრიარქალურ საწყისზე დაფუძნებულ ერთობას, რომელშიც ქმარი ან შვილი პრივილეგირებული სტატუსით სარგებლობს. ზოგ ქვეყანაში ფუნდამენტალისტური თუ სხვა სახის ექსტრემისტული შეხედულებები და ეკონომიკური სიდუხჭირე ხელს უწყობს ძველი ღირებულებებისა და ტრადიციების დაბრუნებას, რომლებიც ოჯახში ქალის როლს მნიშვნელოვნად აკნინებს. სხვა ქვეყნებში, სადაც მიიჩნევა, რომ გენდერის მიუხედავად ზრდასრულ ადამიანებს შორის თანასწორობა ეკონომიკური განვითარებასა და ზოგადად, საზოგადოების კეთილდღეობას ხელს უწყობს, მსგავსი აკრძალვები და რეაქციონერული თუ ექსტრემისტური იდეები თანდათანობით შესუსტდა.
43. კომიტეტი მოითხოვს, რომ სახელმწიფოებმა (განსაკუთრებით, კონვენციის მე-2, მე-3 და

24-ე მუხლებთან მიმართებით) თანდათანობით იმოქმედონ ოჯახში ქალთა უთანასწორობის აღმოფხვრის მიზნით და გააუქმონ კონვენციის (განსაკუთრებით – მე-9, მე-15 და მე-16 მუხლებით გათვალისწინებულ) დებულებებთან მიმართებით გაკეთებული დათქმები.

44. ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა ქმედითი ზომები უნდა მიიღონ ქალებსა და კაცებს შორის უთანასწორობის შესახებ კანონმდებლობით, ჩვეულებებითა და რელიგიური დოგმებით განმტკიცებული შეხედულებების აღმოფხვრის მიზნით, რათა თანდათანობით მიაღწიონ განსაკუთრებით კონვენციის მე-16 მუხლთან მიმართებით გაკეთებული დათქმის გაუქმებამდე.
45. თავდაპირველი და შემდგომი პერიოდული ანგარიშების განხილვის შედეგად კომიტეტმა აღნიშნა, რომ კონვენციის ხელშემკვრელ ზოგ სახელმწიფოში, რომლებმაც კონვენციის რატიფიკაცია ან მასთან მიერთება დათქმების გარეშე მოახდინეს, (განსაკუთრებით ოჯახური ურთიერთობების მარეგულირებელი) ეროვნული კანონმდებლობა კონვენციის მოთხოვნებს არ შეესაბამება.
46. ამ სახელმწიფოების კანონმდებლობა ითვალისწინებს ბევრ ზომას, რომლებიც ნორმების, ჩვეულებებისა და სოციალურ-კულტურული ცრურწმენების გამო ხელს უწყობენ ქალთა დისკრიმინაციას. ეს სახელმწიფოები, ზემოხსენებული მუხლების დაცვასთან დაკავშირებით შექმნილი მდგომარეობის გამო, სირთულეებს უქმნიან კომიტეტს, სათანადოდ შეაფასოს და გაიგოს ამ ქვეყნებში ქალთა სამართლებრივი მდგომარეობის საკითხი.
47. კონვენციის 1-ლი და მე-2 მუხლების საფუძველზე კომიტეტი მოითხოვს, რომ ამ სახელმწიფოებმა უზრუნველყონ ზემოხსენებულ საკითხებთან დაკავშირებით ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შეფასება და ეროვნულ კანონმდებლობაში ყველა საჭირო ცვლილების გატარება, რათა აღმოფხვრან ქალთა დისკრიმინაცია.

ანგარიშები

48. აღნიშნული ზოგადი კომენტარებით გათვალისწინებული რეკომენდაციების საფუძველზე ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა ეროვნულ ანგარიშში უნდა გაითვალისწინონ შემდეგი სახის ინფორმაცია:
 - (ა) კონვენციის დებულებებთან, განსაკუთრებით კი მე-16 მუხლთან, მიმართებით გაკეთებული დათქმების გაუქმების კუთხით განეული ღონი-

² იხილეთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ოფიციალური არქივი, 44-ე სესია, 38-ე დანართი (A/47/38) [Official Records of the General Assembly, Forth-seventh Session, Supplement No. 38 (A/47/38)], თავი I.

სძიებების პროგრესი;

- (ბ) შეესაბამება თუ არა მათი კანონმდებლობა კონვენციის მე-9, მე-15 და მე-16 მუხლებს და კონვენციის მოთხოვნების დაცვის კუთხით იქმნება თუ არა პრაქტიკაში პრობლემები რელიგიური თუ საკანონმდებლო ან ჩვეულებითი ნორმების გამო.

კანონმდებლობა

- 49. ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა კონვენციის, კონკრეტულად კი – მე-9, მე-15 და მე-16 მუხლების, მოთხოვნების შესრულების მიზნით საჭიროების შემთხვევაში უნდა უზრუნველყონ შესაბამისი კანონმდებლობის მიღება და დაცვა.
- 50. ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა კონვენციის მე-2, მე-3 და 24-ე მუხლებისა და ამ ზოგადი კომენტარის რეკომენდაციების შესაბამისად სათანადო ზომები უნდა მიიღონ, რათა უზრუნველყონ კონვენციის პრინციპების დაცვა, განსაკუთრებით ისეთი რელიგიური, სამართლებრივი და ჩვეულებთან მიმართებით, რომლებიც კონვენციის პრინციპებს ეწინააღმდეგებიან.

V. ზოგადი რეკომენდაცია № 23:

პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრება

მიღებულია: 1997 წელს, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის მე-16 სხდომაზე

მონაწილე სახელმწიფოები მიიღებენ ყველა შესაბამის ზომას ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალის დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად, კერძოდ, ქალისათვის, მამაკაცის თანასწორად, უზრუნველყოფენ უფლებას:

- ა) მისცეს ხმა ყველა არჩევნებასა და სახალხო რეფერენდუმში და არჩეული იქნეს ყველა ორგანოში, რომლებსაც საჭაროდ ირჩევენ;
- ბ) მონაწილეობდეს მთავრობის პოლიტიკის ფორმულირებასა და განხორციელებაში და ეკავოს სახელმწიფო პოსტები, აგრეთვე, ახორციელებდეს ყველა სახელმწიფო ფუნქციას, აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა დონეზე;
- გ) მონაწილეობდეს იმ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ასოციაციების საქმიანობაში, რომლებიც ქვეყნის საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების პრობლემებით არიან დაკავებული.

ზოგადი ინფორმაცია

1. ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია საგანგებო მნიშვნელობას ანიჭებს ქალთა მონაწილეობას მათი ქვეყნების საზოგადოებრივ ცხოვრებაში. კერძოდ, კონვენციის პრეამბულაში ნათქვამია: „ვიდეო ერთხელ აღნიშნავენ რა, რომ ქალის დისკრიმინაცია არღვევს თანასწორუფლებიანობისა და ადამიანური ღირსების პატივისცემის პრინციპებს, ხელს უშლის მამაკაცის თანაბრად ქალის მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში, აბრკოლებს საზოგადოებისა და ოჯახის კეთილდღეობის ზრდას და ართულებს ქალის შესაძლებლობათა სრულად გამოვლენას მისი ქვეყნისა და კაცობრიობის საკეთილდღეოდ.“
2. შემდეგ კონვენციის პრეამბულაში ვიდეო ერთხელ არის ხაზგასმული გადანყვეტილებათა მიღების პროცესში ქალთა მონაწილეობის მნიშვნელობა:

„დარწმუნებულნი არიან რა, რომ ქვეყნის სრული განვითარება, მსოფლიო კეთილდღეობა და მშვიდობა მოითხოვს ყველა სფეროში ქალის მაქსიმალურ მონაწილეობას მამაკაცის თანასწორად.“

3. კონვენციის პირველ მუხლში ტერმინი „ქალთა მიმართ დისკრიმინაცია“ შემდეგნაირად არის განმარტებული:
„სქესის ნიშნით ნებისმიერი განსხვავება, გარიყვა თუ შეზღუდვა, რომლის მიზანი ან შედეგია ქალის მიერ, მისი ოჯახური მდგომარეობის მიუხედავად, მამაკაცისა და ქალის თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების აღიარების, გამოყენების ან განხორციელების შესუსტება ან მოღიანად უარყოფა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, სამოქალაქო თუ ნებისმიერ სხვა სფეროში.“
4. საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა მონაწილეობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ სხვა კონვენციები, დეკლარაციები და საერთაშორისო კვლევები და მათში ჩამოყალიბებულია თანასწორობის საერთაშორისო სტანდარტების ჩარჩო. ზემოხსენებულ დოკუმენტებს განეკუთვნება ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია¹, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი², კონვენცია ქალთა პოლიტიკური უფლებების შესახებ³, ვენის დეკლარაცია⁴, პეკინის დეკლარაციისა და სამოქმედო პლატფორმის მე-13 პუნქტი⁵, კონვენციის საფუძველზე მომზადებული №5 და №8

1 გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 217 A (III).
2 გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 2200 A (XXI), დანართი.
3 გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 640 (VII).
4 ადამიანის უფლებათა საკითხებისადმი მიძღვნილი მსოფლიო კონფერენციის ანგარიში, ვენა, 1993 წლის 14-25 ივნისი A/CONF.157/24 (Part I), თავი III.
5 ქალებისადმი მიძღვნილი მეოთხე მსოფლიო კონფერენციის ანგარიში, პეკინი, 1995 წლის 4-15 სექტემბერი (A/CONF.177/20 და Add.1), თავი I, რეზოლუცია 1, დანართი I.

ზოგადი რეკომენდაციები⁶, ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ მიღებული №25 ზოგადი კომენტარი⁷, ევროკავშირის საბჭოს მიერ მიღებული რეკომენდაცია გადანყვეტილებათა მიღების პროცესში ქალებისა და მამაკაცების დაბალანსებული მონაწილეობის შესახებ⁸ და ევროკომისიის მიერ მიღებული დოკუმენტი „როგორ უნდა დამკვიდრდეს გენდერული ბალანსი პოლიტიკურ გადანყვეტილებათა მიღების პროცესში.“⁹

5. მე-7 მუხლი მონაწილე სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებას, მიიღონ ყველა შესაბამისი ზომა ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალის დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად და უზრუნველყონ ქალების თანასწორობა მამაკაცებთან პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მე-7 მუხლში განსაზღვრული ვალდებულება ეხება პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს და იგი არ შემოიფარგლება მხოლოდ (ა), (ბ) და (გ) ქვეპუნქტებში ჩამოთვლილი სფეროებით. ქვეყნის პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრება ფართო ცნებაა. იგი ეხება პოლიტიკური უფლებამოსილების, კერძოდ, საკანონმდებლო, სასამართლო, აღმასრულებელი და ადმინისტრაციული უფლებამოსილების განხორციელებას. ეს ტერმინი მოიცავს საჯარო მმართველობის ყველა ასპექტს და საერთაშორისო, სახელმწიფო, რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე პოლიტიკის ჩამოყალიბებას და განხორციელებას. ეს ცნება ასევე მოიცავს სამოქალაქო საზოგადოების მრავალ ასპექტს, მათ შორის საზოგადოებრივ საბჭოებს და ადგილობრივ საბჭოებს, აგრეთვე ისეთი ორგანიზაციების საქმიანობას, როგორებიცაა პოლიტიკური პარტიები, პროფესიული კავშირები, პროფესიული ან სამრეწველო ასოციაციები, ქალთა ორგანიზაციები, სათემო ორგანიზაციები და სხვა ორგანიზაციები, რომლებიც ქვეყნის საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების პრობლემებით არიან დაკავებული.

6 იხ. გენერალური ასამბლეის ოფიციალური ჩანაწერები, ორმოცდამესამე სხდომა, დამატება № 38 (A/43/38), თავი V.

7 CCPR/21/21/Rev.1/Add.7, 1996 წლის 27 აგვისტო.

8 96/694/EC, ბრიუსელი, 1996 წლის 2 დეკემბერი.

9 ევროკომისიის დოკუმენტი V/1206/96-EN (1996 წლის მარტი).

6. კონვენცია ადგენს, რომ იმისათვის, რომ ქმედითი იყოს, თანასწორობა მიღწეული უნდა იქნეს იმ პოლიტიკური სისტემის ფარგლებში, რომელშიც თითოეული მოქალაქე სარგებლობს ხმის მიცემის უფლებით და უფლებით, თავად იქნეს არჩეული პერიოდულ, საყოველთაო და ფარული კენჭისყრის საფუძველზე გამართულ არჩევნებში, იმგვარად, რომ გარანტირებული იყოს ელექტორატის ნება-სურვილის თავისუფლად გამოხატვა, როგორც ეს გათვალისწინებულია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ინსტრუმენტებით, როგორებიც არის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 21-ე მუხლი და სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის 25-ე მუხლი.

7. კონვენციის მიერ ყურადღების გამახვილებამ შესაძლებლობათა თანასწორობის და საზოგადოებრივ ცხოვრებაში და გადანყვეტილებათა მიღებაში მონაწილეობის მნიშვნელობაზე განაპირობა ის ფაქტი, რომ კომიტეტმა კიდევ ერთხელ განიხილა მე-7 მუხლი და შესთავაზა მონაწილე სახელმწიფოებს, რომ საკუთარი კანონებისა და პოლიტიკის შემცველი დოკუმენტების გადასინჯვისას და კონვენციის საფუძველზე ანგარიშების წარდგენისას გაითვალისწინონ ქვემოთ ჩამოყალიბებული კომენტარები და რეკომენდაციები.

კომენტარები

8. ადამიანის აქტივობის საზოგადოებრივი და კერძო სფეროები ყოველთვის ერთმანეთისგან დამოუკიდებლად განიხილებოდა და შესაბამისადაც რეგულირდებოდა. ქალებს ყოველთვის მიაკუთვნებდნენ კერძო ან შინაურ სფეროს და ისინი ასოცირებულნი იყვნენ ბავშვების გაჩენასთან და გაზრდასთან. და ყველანაირ საზოგადოებაში ეს საქმიანობა უფრო ნაკლებ მნიშვნელოვნად იყო მიჩნეული. ამის საპირისპიროდ საზოგადოებრივი ცხოვრება, რომელსაც დიდ პატივს სცემენ და მნიშვნელოვნად მიიჩნევენ, ვრცელდება ბევრნაირ საქმიანობაზე, რომელიც სცილდება კერძო და შინაურ სფეროს. მამაკაცებს ისტორიულად აქვთ როგორც დომინანტური როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ისე ძალაუფლება, დაიქვემდებარონ ქალები ცხოვრების კერძო სფეროში.

9. მიუხედავად ქალების ცენტრალური როლისა ოჯახისა და საზოგადოების მხარდაჭერაში და განვითარებაში მათ მიერ შეტანილი წვლილისა,

ისინი გარიყულნი იყვნენ პოლიტიკური ცხოვრებიდან და გადანყვეტილებათა მიღების პროცესიდან, რომელიც განსაზღვრავს მათ ყოველდღიურ ცხოვრებას და საზოგადოების მომავალს. განსაკუთრებით კრიზისების პერიოდში ეს გარიყვა ახშობდა ქალების ხმას და უხილავს ხდიდა მათ წვლილსა და გამოცდილებას.

10. ყველა ქვეყანაში საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა მონაწილეობის შემაფერხებელი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორები იყო ფასეულობათა და რელიგიურ შეხედულებათა კულტურული კორპუსი, მომსახურების არარსებობა და მამაკაცების უუნარობა, გაენაწილებინათ ქალებთან ოჯახის მონაწილასთან და ბავშვებზე ზრუნვასთან და მათ აღზრდასთან დაკავშირებული ფუნქციები. ყველა ქვეყანაში კულტურული ტრადიციები და რელიგიური შეხედულებები თავის როლს თამაშობდა იმაში, რომ ქალები საქმიანობის მხოლოდ კერძო სფეროებში განიხილებოდნენ და არ ეძლეოდათ საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობა.
11. ქალების ნაწილობრივ გათავისუფლება შინაური საქმის ტვირთისგან მისცემს მათ შესაძლებლობას, უფრო სრულად ჩაერთონ საკუთარი თემების ცხოვრებაში. ქალების ეკონომიკური დამოკიდებულება მამაკაცებზე ხშირად ხელს უშლის მათ მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადანყვეტილებების მიღებაში და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად მონაწილეობაში. საქმიანობის ორმაგი ტვირთი და მათი ეკონომიკური დამოკიდებულება, რასაც თან ერთვის საზოგადოებრივი და პოლიტიკური სამუშაოს შესასრულებელი ხანგრძლივი ან მოუქნელი საათები, ხელს უშლის ქალებს, იყვნენ უფრო აქტიურები.
12. სტერეოტიპული აღქმა, მათ შორის მედიის მიერ, ქალებს პოლიტიკურ ცხოვრებაში ზღუდავს ისეთი საკითხებით, როგორებიც არის გარემოს დაცვა, ბავშვები და ჯანმრთელობა, და არ აძლევს მათ შესაძლებლობას, აიღონ პასუხისმგებლობა ფინანსურ, საბიუჯეტო კონტროლისა და კონფლიქტების მოგვარების სფეროებში. კიდევ ერთი დაბრკოლებაა ის, რომ ქალებს ნაკლებად აქვთ ისეთი პროფესიები, საიდანაც ხდება პოლიტიკოსების მოზიდვა. ქვეყნებში, სადაც ქალი ლიდერები მაინც მოიპოვებენ ხოლმე ძალაუფლებას, ეს უფრო შეიძლება იყოს მათი მამების, მეუღლეების ან მამაკაცი ნათესავების ზეგავლენის შედეგი, ვიდრე საკუთრივ მათი წარმატებისა არჩევნებში.

პოლიტიკური სისტემები

13. ქალებისა და მამაკაცების თანასწორობის პრინციპი შეტანილი იქნა უმეტესი ქვეყნების კონსტიტუციებსა და კანონებში და ყველა საერთაშორისო ინსტრუმენტში. მიუხედავად ამისა, უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში ქალებს არ მიუღწევიათ თანასწორობისათვის და ეს უთანასწორობა ღრმავდებოდა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი დაბალი მონაწილეობის გამო. მხოლოდ მამაკაცების მიერ შემუშავებული სხვადასხვა პოლიტიკა და მიღებული გადანყვეტილებები ასახავს ადამიანების გამოცდილებასა და პოტენციალის მხოლოდ ნაწილს. საზოგადოების სამართლიანი და ქმედითი მონაწილესის საჭიროა მისი ყველა წევრის ჩართვა და მონაწილეობა მისი მონაწილესის პროცესში.
14. არც ერთ პოლიტიკურ სისტემას არ მიუნიჭებია ქალებისთვის სრული და თანაბარი მონაწილეობის არც უფლება და არც სარგებელი. თუმცა დემოკრატიულმა სისტემებმა გააუმჯობესეს ქალთათვის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობები, ბევრმა ეკონომიკურმა, სოციალურმა და კულტურულმა ბარიერმა, რომლებიც ჯერ კიდევ დგას ქალების წინაშე, სერიოზულად შეზღუდეს ქალების მონაწილეობა ამ პროცესებში. ისტორიულად სტაბილურ დემოკრატიულ საზოგადოებებშიც კი ვერ მოხერხდა მოსახლეობის მდებარეობითი სქესის ნაწილის შეხედულებებისა და ინტერესების სრულად და თანასწორად გათვალისწინება. საზოგადოებები, რომლებშიც ქალები გარიყულნი არიან საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობისა და გადანყვეტილებების მიღებისგან, ვერ იქნებიან მიჩნეულნი დემოკრატიულად. დემოკრატიის ცნებას მხოლოდ მაშინ ექნება რეალური და დინამიკური მნიშვნელობა და მორსმომავალი შედეგები, როდესაც პოლიტიკურ გადანყვეტილებათა მიღებაში თანასწორად მიიღებენ მონაწილეობას ქალები და მამაკაცები და თანაბრად იქნება გათვალისწინებული მათი ინტერესები. მონაწილე სახელმწიფოთა ანგარიშების განხილვა ცხადყოფს, რომ როდესაც არსებობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში და გადანყვეტილებების მიღებაში ქალების სრული და მამაკაცების თანასწორი მონაწილეობა, უმჯობესდება მათი უფლებების განხორციელება და კონვენციასთან შესაბამისობა.

დროებითი სპეციალური ზომები

15. მართალია, დე იურე ბარიერების აღმოფხვრა აუცილებელია, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. ის, რომ არ ხერხდება ქალების სრული და თანასწორი მონაწილეობის მიღწევა, შესაძლოა არ ხდებოდეს განზრახ და გამონვეული იყოს მოძველებული პრაქტიკითა და პროცედურებით, რომლებიც წინასწარი განზრახვის გარეშე მამაკაცებს ანიჭებენ უპირატესობას. კონვენციის მე-4 მუხლი მოუწოდებს მონაწილე სახელმწიფოებს, გამოიყენონ დროებითი სპეციალური ზომები მე-7 და მე-8 მუხლებში განსაზღვრული უფლებების სრულად განხორციელების უზრუნველსაყოფად. იმ ქვეყნებში, რომლებმაც შემოიღეს ქმედითი დროებითი სტრატეგიები თანასწორი მონაწილეობის მიღწევის მცდელობისას, განხორციელდა რიგი ღონისძიებებისა, მათ შორის ქალი კანდიდატების მოზიდვა, მათი ფინანსური დახმარება და ტრენინგი, საარჩევნო პროცედურების შეცვლა, თანასწორი მონაწილეობისკენ მიმართული კამპანიების წამოწყება, რაოდენობრივი მიზნებისა და კვოტების დაწესება და ქალების დანიშვნა საჯარო თანამდებობებზე, როგორებიც არის სასამართლო სისტემაში ან სხვა ისეთ პროფესიულ ჯგუფებში არსებული პოზიციები, რომლებიც არსებით როლს თამაშობენ ყველა საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებაში. ბარიერების ოფიციალური აღმოფხვრა და დროებითი სპეციალური ზომების შემოღება საზოგადოებრივ ცხოვრებაში მამაკაცებისა და ქალების თანაბარი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად პოლიტიკურ ცხოვრებაში ნამდვილი თანასწორობის არსებითი წინაპირობებია. თუმცა საჯარო სფეროში მამაკაცთა დომინირების საუკუნოვანი ტრადიციის გადასალახავად საჭიროა ქალების ხელშეწყობა და დახმარება საზოგადოების ყველა სექტორის მიერ, რათა მიაღწიონ სრულ და ქმედით მონაწილეობას, ხელშეწყობა, რომელსაც უნდა წარუძღვნენ თავად კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები, ასევე პოლიტიკური პარტიები და საჯარო მოხელეები. მონაწილე სახელმწიფოებს აკისრიათ ვალდებულება, უზრუნველყონ, რომ დროებითი სპეციალური ზომები შემუშავებული იყოს იმგვარად, რომ ხელი შეუწყონ თანასწორობის პრინციპის დამკვიდრებას და, შესაბამისად, იცავდნენ კონსტიტუციით განსაზღვრულ პრინციპს – ყველა მოქალაქისთვის თანასწორობის გარანტირებას.

დასკვნა

16. არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხი, რომელზეც პეკინის სამოქმედო პლატფორმაში⁵ ყურადღება გამახვილებული, არის განსხვავება დე იურე და დე ფაქტო მდგომარეობას შორის, ანუ განსხვავება უფლებას და პოლიტიკურ და ზოგადად საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა რეალურ მონაწილეობას შორის. კვლევა ცხადყოფს, რომ თუ ქალთა მონაწილეობა აღწევს 30-35 პროცენტს (ზოგადად ეწოდება „კრიტიკული მასა“), მაშინ აღინიშნება რეალური ზემოქმედება პოლიტიკურ რეალობაზე და გადაწყვეტილებათა შინაარსზე და ხდება პოლიტიკური ცხოვრების შევსება ახალი ძალებით.

17. საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა ფართო წარმომადგენლობის მისაღწევად ქალებს უნდა მიენიჭოთ სრული თანასწორობა პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლების განხორციელებაში; ისინი სრულად და თანასწორად უნდა იყვნენ ჩართულნი გადაწყვეტილებათა მიღებაში ყველა დონეზე, როგორც სახელმწიფო, ისე საერთაშორისო მასშტაბით, რათა საკუთარი წვლილი შეიტანონ თანასწორობის, განვითარებისა და მშვიდობის მიღწევის მიზნებში. ამ მიზნების მისაღწევად და ჭეშმარიტი დემოკრატიის დამკვიდრების უზრუნველსაყოფად გადამწვეტი მნიშვნელობა აქვს გენდერულ პერსპექტივას. ამ მიზნების გამო უმნიშვნელოვანესია ქალების ჩართვა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რათა საზოგადოებამ ისარგებლოს მათი პოტენციური წვლილით, რათა უზრუნველყოფილი იქნეს მათი ინტერესების დაცვა და შესრულდეს გარანტია, რომელიც გულისხმობს, რომ ადამიანის უფლებებით ყველა ადამიანი უნდა ისარგებლოს, მიუხედავად სქესისა. ქალთა სრულ მონაწილეობას არსებითი მნიშვნელობა აქვს არა მარტო მათთვის შესაძლებლობების მინიჭების მხრივ, არამედ ასევე მთლიანად საზოგადოების პროგრესისათვის.

ხმის მიცემის უფლება და უფლება, თავად იქნეს არჩეული (მე-7 მუხლი, პუნქტი (ა))

18. კონვენცია მონაწილე სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებას, განახორციელონ სათანადო ზომები იმისათვის, რომ საკუთარ კონსტიტუციებში თუ კანონმდებლობაში უზრუნველყონ ქალების უფლება, მამაკაცების თა-

- ნასწორად მისცენ ხმა ყველა არჩევნებსა და სახალხო რეფერენდუმში და თავად იქნენ არჩეულნი. ეს უფლებები უზრუნველყოფილი უნდა იქნეს როგორც დე იურე, ისე დე ფაქტო.
19. მონაწილე სახელმწიფოთა ანგარიშების განხილვა ცხადყოფს, რომ მართალია, თითქმის ყველა მათგანმა მიიღო საკონსტიტუციო თუ სხვა საკანონმდებლო ნორმები, რომლებიც ქალებსა და მამაკაცებს ანიჭებს თანასწორ უფლებას, მისცენ ხმა ყველა არჩევნებსა და სახალხო რეფერენდუმში და თავად იქნენ არჩეულნი, მაგრამ ბევრ ქვეყანაში ქალებს კვლავ სირთულეები ხვდებათ ამ უფლებით სარგებლობაში.
20. ამ უფლებით სარგებლობას შემდეგი ფაქტორები უშლის ხელს:
- (ა) ქალებს ხშირად მამაკაცებთან შედარებით ნაკლებად მიუწვდებათ ხელი კანდიდატების, პარტიების პოლიტიკური პლატფორმებისა და კენჭისყრის პროცედურების შესახებ ინფორმაციაზე – ინფორმაციაზე, რომელიც მათ არ მიანოდეს მთავრობებმა და პოლიტიკურმა პარტიებმა. კიდევ სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებიც აბრკოლებს ქალთა მიერ მათი უფლების – ხმა მისცენ და თავად იქნენ არჩეულები – სრულად და თანასწორად განხორციელებას, არის წერა-კითხვის უცოდინრობა, ასევე ნაკლები ცოდნა პოლიტიკური სისტემების შესახებ ან იმ ზემოქმედების შესახებ, რასაც პოლიტიკური ინიციატივები და პოლიტიკა მოახდენს მათ ცხოვრებაზე. ის ფაქტი, რომ ქალები ვერ ათვისებენ იერებენ იმ უფლებებს, პასუხისმგებლობასა და ცვლილების შესაძლებლობებს, რასაც მათ ხმის მიცემის უფლება მისცემს, იმასაც ნიშნავს, რომ ქალები ხშირად არ რეგისტრირდებიან ხმის მისაცემად;
- (ბ) ქალების ორმაგი ტვირთი, ასევე ფინანსური შეზღუდვები ამცირებს დროს და შესაძლებლობას ქალებისთვის, რომ თვალის მიადევნონ საარჩევნო კამპანიებს და ჰქონდეთ საკუთარი ხმის მიცემის უფლების განხორციელების სრული თავისუფლება;
- (გ) ბევრ ქვეყანაში ტრადიციები და სოციალური და კულტურული სტერეოტიპები ართმევენ ქალებს სურვილს, ისარგებლონ ხმის მიცემის საკუთარი უფლებით. ბევრი მამაკაცი ზემოქმედებას ახდენს ან აკონტროლებს ქალების ხმებს ქალის დარწმუნების მცდელობით ან პირდაპირი ქმედებით, მათ შორის ქალის ხმის უფლების მის ნაცვლად თავად განხორციელებით. თავიდან უნდა იქნეს აცილებული ნებისმიერი ასეთი სახის ქმედებები;

- (დ) სხვა ფაქტორები, რომლებიც ზოგიერთ ქვეყანაში ხელს უშლის ქალთა ჩართულობას მათი თემების საზოგადოებრივ ან პოლიტიკურ ცხოვრებაში, მოიცავს მათი გადაადგილების თავისუფლების ან მონაწილეობის უფლების შეზღუდვას, პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა მონაწილეობის მიმართ ნეგატიურ დამოკიდებულებას ან ქალი კანდიდატების მიმართ ელექტორატის რწმენის და მათი ხელშეწყობის ნაკლებობას. გარდა ამისა, ზოგიერთი ქალი პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართვას თავად მიიჩნევს უსიამოვნოდ და თავს არიდებს პოლიტიკურ კამპანიებში მონაწილეობას.
21. ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორები თუნდაც ნაწილობრივ ხსნის იმ პარადოქსს, რომ ქალები, რომლებიც მთელი ელექტორატის ნახევარს წარმოადგენენ, არ სარგებლობენ პოლიტიკური ძალაუფლებით და არ აყალიბებენ ბლოკებს, რომლებიც წარმოაჩენდნენ მათ ინტერესებს, შეცვლიდნენ მთავრობას ან აღმოფხვრიდნენ დისკრიმინაციულ პოლიტიკას.
22. ხმის მიცემის სისტემა, პარლამენტში ადგილების განაწილება, იმ რაიონის არჩევა, სადაც კენჭს იყრის – ეს ყველაფერი მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს პარლამენტში არჩეული ქალების პროპორციულ რაოდენობაზე. პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა შეითვისონ თანაბარი შესაძლებლობებისა და დემოკრატიის პრინციპები და ყველა დონე იხმარონ იმისათვის, რომ დააბალანსონ მამაკაცი და ქალი კანდიდატების რაოდენობა.
23. ქალების მიერ ხმის მიცემის უფლებით სარგებლობა არ უნდა ექვემდებარებოდეს შეზღუდვებს ან პირობებს, რომლებიც არ ეხება მამაკაცებს ან რომლებსაც არაპროპორციულად დიდი ზეგავლენა აქვთ ქალებზე. მაგალითად, ხმის უფლების შეზღუდვა იმ პირებისთვის, ვისაც განათლების გარკვეული დონე აქვს, ვინც ფლობს მინიმალურ აუცილებელ ქონებას ან ვინც წერა-კითხვა იცის, არა მართო არაგონივრულია, არამედ ამან შეიძლება დაარღვიოს ადამიანის უფლებების საყოველთაო გარანტია. ასევე სავარაუდოა, რომ ეს გამოიწვევს არაპროპორციულად დიდ ზეგავლენას ქალებზე და ამით დაარღვევს კონვენციის დებულებებს.

მთავრობის პოლიტიკის ფორმულირებაში მონაწილეობის უფლება (მე-7 მუხლი, პუნქტი ბ))

24. ქალების მონაწილეობა მთავრობის საქმიანობაში პოლიტიკის ფორმულირების დონეზე

ზოგადად დაბალია. და თუმცა მნიშვნელოვანი პროგრესი აღინიშნება და ზოგიერთ ქვეყანაში მიღწეული იქნა თანასწორობა, ბევრ ქვეყანაში ქალთა მონაწილეობა რეალურად შემცირდა.

25. მე-7 მუხლის (ბ) პუნქტი ასევე მოითხოვს მონაწილე სახელმწიფოებისგან, უზრუნველყონ ქალების უფლება, სრულად მონაწილეობდნენ მთავრობის პოლიტიკის ფორმულირებასა და განხორციელებაში ყველა სექტორსა და ყველა დონეზე. ეს ხელს შეუწყობდა გენდერული საკითხების აქტუალიზებას და სახელმწიფო პოლიტიკის შექმნაში გენდერულ პერსპექტივასაც შეიტანდა.
26. მონაწილე სახელმწიფოებს აკისრიათ პასუხისმგებლობა, როდესაც ეს მათი უფლებამოსილების ფარგლებშია, დააკისრონ ქალებს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების ფუნქცია, კონსულტაციები გაიარონ მათთან და გაითვალისწინონ იმ ჯგუფების რჩევები, რომლებშიც ფართოდ არის წარმოდგენილი ქალთა შეხედულებები და ინტერესები.
27. გარდა ამისა, მონაწილე სახელმწიფოებს აკისრიათ ვალდებულება, დაადგინონ და დაძლიონ მთავრობის პოლიტიკის ფორმულირებაში ქალთა სრული მონაწილეობისთვის არსებული სხვა ბარიერები. ეს ბარიერები შეიძლება იყოს ქალების სიმბოლურად დანიშვნით დაკმაყოფილება და ტრადიციული და ჩვეულებითი მიდგომები, რომლებიც ხელს უშლის ქალების მონაწილეობას. როდესაც ქალები არ არიან ფართოდ წარმოდგენილნი მთავრობის უმაღლეს დონეებზე ან მათთან ხდება არაადეკვატური კონსულტირება ან საერთოდ არ ხდება, მთავრობის პოლიტიკა არ იქნება ყოვლისმომცველი და ეფექტიანი.
28. მართალია, აღმასრულებელი ხელისუფლების მაღალ თანამდებობებზე და ადმინისტრაციულ პოზიციებზე ქალების დანიშვნის უფლებამოსილება მონაწილე სახელმწიფოებს აქვთ, მაგრამ პოლიტიკურ პარტიებს ასევე აკისრიათ პასუხისმგებლობა, უზრუნველყონ, რომ ქალები ჩართულები იყვნენ პარტიულ სიებში და დასახელებულნი იყვნენ არჩევნებში კენჭის საყრელად ისეთ ადგილებში, სადაც არსებობს მათი წარმატების მეტი შანსი. მონაწილე სახელმწიფოებმა ასევე ყველა ზომა უნდა განახორციელონ იმისათვის, რომ უზრუნველყონ ქალების დანიშვნა სამთავრობო საკონსულტაციო ორგანოებში მამაკაცების თანასწორად და რომ ეს ორგანოები სათანადოდ ითვალისწინებდნენ ქალების წარმომადგენლობითი ჯგუფების შეხედულებებს.

ხელისუფლების არსებითი პასუხისმგებლობაა, წაახალისოს ინიციატივები, რომლებიც მიზნად ისახავს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას და იმ დამოკიდებულების შეცვლას, რომელიც ახდენს ქალთა დისკრიმინაციას ან ხელს უშლის ქალების ჩართვას პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

29. მაღალ აღმასრულებელ და ადმინისტრაციულ თანამდებობებზე, ასევე საკონსულტაციო ორგანოების წევრებად ქალთა თანასწორი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად რიგი მონაწილე სახელმწიფოების მიერ განხორციელებული ზომების მაგალითებია: ისეთი წესის შემოღება, რომლის მიხედვით როდესაც პოტენციური კანდიდატები ერთნაირად კვალიფიციურნი არიან, უპირატესობა ქალ კანდიდატს მიენიჭება; ისეთი წესის შემოღება, რომლის მიხედვით არც ერთი სქესის წარმომადგენლები არ უნდა შეადგენდნენ საჯარო უწყების წევრთა 40 პროცენტზე ნაკლებს; ვკოტა აღმასრულებელ თანამდებობებზე და საჯარო სამსახურში ქალებისათვის; და ქალთა ორგანიზაციებთან კონსულტირება იმის უზრუნველსაყოფად, რომ საჯარო უწყებებში და სამსახურებში დასასაქმებლად კვალიფიციური ქალები იქნენ დასახელებულნი და ასეთი ქალების სიების შედგენა და წარმოება საჯარო უწყებებში და პოზიციებზე დასანიშნად ქალების დასახელების ხელშესაწყობად. როდესაც საკონსულტაციო ორგანოებში წევრები ინიშნებიან კერძო ორგანიზაციების წარდგინებით, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მოუწოდონ ამ ორგანიზაციებს, დაასახელონ კვალიფიციური და შესაფერისი ქალები ამ ორგანოების წევრთა კანდიდატებად.

უფლება, ეკავოთ სახელმწიფო პოსტები და ახორციელებდნენ ყველა სახელმწიფო ფუნქციას (მე-7 მუხლი, პუნქტი (ბ))

30. მონაწილე სახელმწიფოთა ანგარიშების განხილვა ცხადყოფს, რომ ქალები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, დაიკავონ მაღალი თანამდებობები აღმასრულებელ ხელისუფლებაში, საჯარო სამსახურში და საჯარო მმართველობის ორგანოებში, სასამართლო და მართლმსაჯულების სისტემებში. ქალები იშვიათად ინიშნებიან უმაღლესი რგოლის ან ზეგავლენის მქონე პოზიციებზე და მართალია, ზოგიერთ ქვეყანაში ქალების რაოდენობა შეიძლება იზრდებოდეს შედარებით დაბალ

თანამდებობებზე და ისეთ პოზიციებზე, რომლებიც, ჩვეულებრივ, ასოცირდება ოჯახთან, ისინი წარმოადგენენ მხოლოდ პატარა უმცირესობას გადანაცვლებათა მიმღებ პოზიციებზე ისეთ სფეროებში, როგორებიც არის ეკონომიკური პოლიტიკა ან განვითარება, პოლიტიკური საქმეები, თავდაცვა, სამშვიდობო მისიები, კონფლიქტების მოგვარება ან კონსტიტუციის განმარტება.

31. მონაწილე სახელმწიფოთა ანგარიშების განხილვა ასევე ცხადყოფს, რომ გარკვეულ შემთხვევებში კანონი გამოიცხადებს ქალების მიერ სამეფო ძალაუფლების განხორციელებას, მოსამართლის ფუნქციის შესრულებას რელიგიურ ან ტრადიციულ ტრიბუნალებში, რომლებსაც იურისდიქციას სახელმწიფო გადასცემს, ან სამხედრო სამსახურში სრულფასოვნად მონაწილეობას. ეს ნორმები ახდენს ქალთა დისკრიმინაციას, ართმევს საზოგადოებას ქალების მონაწილეობით მოტივილ სარგებელს და მათ უნარებს მათი თემების ცხოვრების აღნიშნულ სფეროებში და ეწინააღმდეგება კონვენციის პრინციპებს.

უფლება, მონაწილეობდნენ არასამთავრობო, საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციების საქმიანობაში (მე-7 მუხლი, პუნქტი (გ))

32. მონაწილე სახელმწიფოთა ანგარიშების განხილვა ცხადყოფს, რომ იმ მცირეოდენ შემთხვევებში, როდესაც ქალებს მიენიჭებათ ინფორმაცია პოლიტიკურ პარტიებთან დაკავშირებით, ქალები მაინც არასაკმარისად არიან წარმოდგენილნი ან მათ აკისრიათ ნაკლები ზეგავლენის მქონე როლები, ვიდრე მამაკაცებს. ვინაიდან პოლიტიკური პარტიები მნიშვნელოვანი საშუალებაა გადანაცვლებათა მიმღების როლების უზრუნველსაყოფად, მონაწილე სახელმწიფოთა მთავრობებმა უნდა მოუწოდონ პოლიტიკურ პარტიებს, შეამოწმონ, თუ რამდენად სრულად და თანასწორად მონაწილეობენ ქალები მათ საქმიანობაში და როდესაც ეს ასე არ არის, დაადგინონ ამის მიზეზები. მთავრობებმა პოლიტიკურ პარტიებს უნდა მოუწოდონ, აგრეთვე, შემოიღონ ქმედითი ზომები, მათ შორის უზრუნველყონ ინფორმაციის მიწოდება და ფინანსური და სხვა რესურსები, რათა გადალახონ ქალების სრულფასოვანი მონაწილეობისა და წარმომადგენლობისათვის

არსებული დაბრკოლებები და უზრუნველყონ, რომ ქალებს რეალურად ჰქონდეთ მამაკაცების თანასწორი შესაძლებლობა, შეასრულონ პარტიის თანამდებობის პირების როლი და დასახელებულნი იქნენ კანდიდატებად არჩევნებისთვის.

33. ზოგიერთი პოლიტიკური პარტიის მიერ შემოღებულ ზომებს შორის არის: მათ აღმასრულებელ ორგანოებში ქალებისათვის გარკვეული აუცილებელი მინიმალური რაოდენობის პოზიციების გარანტირება, ბალანსის უზრუნველყოფა არჩევნებისთვის დასახელებული ქალი და მამაკაცი კანდიდატების რაოდენობაში, ასევე იმის უზრუნველყოფა, რომ არ ხდებოდეს ქალების მიმართვა ნაკლებად სასურველი ელექტორატისკენ ან პარტიულ სი-აში ნაკლებად სახარბიელო პოზიციებზე. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ამგვარი დროებითი სპეციალური ზომები საგანგებოდ იყოს ნებადართული დისკრიმინაციის საწინააღმდეგო კანონმდებლობით ან თანასწორობის სხვა კონსტიტუციური გარანტიებით.

34. სხვა ორგანიზაციებს, როგორებიც არიან პროფესიული კავშირები და პოლიტიკური პარტიები, აკისრიათ ვალდებულება, აჩვენონ საკუთარი ერთგულება გენდერული თანასწორობის პრინციპისადმი საკუთარ წესდებებში ამ წესების შეტანის, ამ წესების გამოყენების და საკუთარ აღმასრულებელ საბჭოებში წევრების გენდერულად დაბალანსებული შემადგენლობის უზრუნველყოფის გზით, რათა ამ საბჭოებს შეეძლოთ ისარგებლონ საზოგადოების ყველა სექტორის სრული და თანასწორი წარმომადგენლობით და ორივე სქესის წარმომადგენელთა მიერ შეტანილი წვლილით. ასეთი ორგანიზაციები, ისევე, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციები, უზრუნველყოფენ ტრენინგის შესაძლებლობებს ქალებისათვის პოლიტიკური, მონაწილეობისა და ლიდერობის უნარების შესაძენად.

მე-8 მუხლი (საერთაშორისო დონე)

მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ყველა შესაბამის ზომას, რათა უზრუნველყონ ქალისათვის მამაკაცის თანასწორად და დისკრიმინაციის გარეშე საერთაშორისო დონეზე მთავრობის წარმოდგენისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა.

კომენტარები

35. მე-8 მუხლის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოთა მთავრობები ვალდებული არიან, უზრუნველყონ ქალების მონაწილეობა საერთაშორისო საქმიანობის ყველა დონეზე და ყველა სფეროში. ეს მოითხოვს მათ ჩართვას¹⁰ ეკონომიკურ და სამხედრო საკითხებში როგორც ორ, ისე მრავალ სახელმწიფოს შორის დიპლომატიის წარმოებისას და საერთაშორისო და რეგიონულ კონფერენციებზე წაარგზავნილ ოფიციალურ დელეგაციებში.
36. მონაწილე სახელმწიფოთა ანგარიშების განხილვა ცხადყოფს, რომ ქალები ძალზე არასაკმარისად არიან წარმოდგენილნი მთავრობათა უმეტესობის დიპლომატიურ და საგარეო სასახურებში, განსაკუთრებით კი უმაღლეს რანგში. ქალებს უფრო მეტად ნიშნავენ ქვეყნის საგარეო ურთიერთობებისთვის ნაკლები მნიშვნელობის მქონე საელჩოებში და ზოგიერთ შემთხვევაში ქალების დანიშვნისას ხდება მათი დისკრიმინაცია ოჯახური მდგომარეობის გამო. სხვა შემთხვევებში მამაკაცი დიპლომატებისთვის მინიჭებული მეუღლესთან და ოჯახთან დაკავშირებული პრივილეგიები ხელმიუწვდომელია იმავე პოზიციაზე მყოფი ქალებისთვის. ქალებისთვის ხშირად არ არსებობს საერთაშორისო საქმიანობაში ჩართვის შესაძლებლობები მათ საოჯახო პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული დაშვებების გამო, მათ შორის იმ დაშვების გამო, რომ ოჯახის წევრებზე ზრუნვა უარს ათქმევინებს ქალს დანიშვნის მიღებაზე.
37. გაეროში და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში ბევრი მუდმივი მისიის დიპლომატებს შორის არ არიან ქალები და ძალიან მცირე რაოდენობის ქალია მაღალ პოზიციებზე. მსგავსი სიტუაციაა ექსპერტთა შეხვედრებზე და კონფერენციებზე, რომლებზეც ყალიბდება საერთაშორისო და გლობალური მასშტაბის მიზნები, სამოქმედო პროგრამები და პრიორიტეტები. გაეროს სისტემის ორგანიზაციები და სხვა-

დასხვა ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო სტრუქტურები რეგიონულ დონეზე მნიშვნელოვანი საერთაშორისო დამსაქმებლები გახდნენ, მაგრამ აქაც ქალები უმცირესობას შეადგენენ და უმეტესად დაბალ პოზიციებზე არიან დასაქმებულები.

38. ქალებისა და მამაკაცებისათვის ცოტა შესაძლებლობაა საიმისოდ, რომ თანაბარ პირობებში წარმოადგინონ მთავრობები საერთაშორისო დონეზე და მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობაში. ეს ხშირად შესაბამის პოზიციებზე და ოფიციალურ დელეგაციებში დანიშვნის და დანიანურების ობიექტური კრიტერიუმების და პროცესების არარსებობის შედეგია.
39. თანამედროვე მსოფლიოს გლობალიზაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანს ხდის ქალების ჩართვას და მონაწილეობას საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობაში მამაკაცების თანასწორად. გენდერული პერსპექტივის და ქალთა უფლებების ჩართვა ყველა საერთაშორისო უწყების საქმიანობაში იმპერატივა მთავრობებისთვის. ბევრი საკვანძო გადანაცვლებულია გლობალური მნიშვნელობის საკითხებზე, როგორებიც არის სამშვიდობო პროცესები და კონფლიქტების მოგვარება, სამხედრო დანახარჯები და ბირთვული განიარაღება, განვითარება და გარემო, საგარეო დახმარება და ეკონომიკური რესტრუქტურისაცია, ქალების შეზღუდული მონაწილეობით მიიღება, მაშინ, როცა არასამთავრობო დონეზე ქალები ამ სფეროებში ფართო მონაწილეობას იღებენ.
40. ქალების კრიტიკული მასის ჩართვა საერთაშორისო მოლაპარაკებებში, სამშვიდობო საქმიანობაში, პრევენციული დიპლომატიის ყველა დონეზე, მედიაციაში, ჰუმანიტარულ დახმარებაში, სოციალურ შერიგებაში, სამშვიდობო მოლაპარაკებებში და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების საერთაშორისო სისტემაში მნიშვნელოვან შედეგებს მოიტანს. შეიარაღებული თუ სხვა სახის კონფლიქტების მოგვარებისას აუცილებელია გენდერული პერსპექტივის არსებობა და ანალიზი ქალებსა და მამაკაცებზე კონფლიქტების განსხვავებული შედეგების გასაგებად¹⁰.

რეკომენდაციები

მე-7 და მე-8 მუხლები

41. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მათი კონსტიტუციები და კანონმდებლობები შეესაბამებოდეს კონვენციის

10 იხ. 1995 წლის 4-15 სექტემბერს პეკინში ჩატარებული ქალებისადმი მიძღვნილი მეოთხე მსოფლიო კონფერენციის მიერ მიღებული სამოქმედო პლატფორმის 141-ე პუნქტი (A/CONF.177/20, თავი I, რეზოლუცია 1, დანართი II). იხ. აგრეთვე 134-ე პუნქტი, რომელშიც ნათქვამია: „ძალიან სტრუქტურებში ქალების სრულ მონაწილეობას და მათთვის ამ სტრუქტურების მამაკაცების თანასწორ მისაწვდომობას, ასევე ქალების სრულფასოვან ჩართვას კონფლიქტების პრევენციისა და მოგვარების ყველაწარმოადგენელ მსდელლობებში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება მშვიდობისა და უსაფრთხოების დამყარების ხელშეწყობისათვის.“

- პრინციპებს, კერძოდ კი მე-7 და მე-8 მუხლებს.
42. მონაწილე სახელმწიფოებს აკისრიათ ვალდებულება, განახორციელონ ყველა საჭირო ზომა, მათ შორის მიიღონ მათი კონსტიტუციის შესაბამისი კანონმდებლობა, რათა უზრუნველყონ, რომ ისეთი ორგანიზაციები, როგორებიც არიან პოლიტიკური პარტიები და პროფესიული კავშირები, რომლებსაც შეიძლება უშუალოდ არ ეკისრებოდეთ ვალდებულებები კონვენციის საფუძველზე, არ ახდენდნენ ქალების დისკრიმინაციას და პატივს სცემდნენ მე-7 და მე-8 მუხლებში ჩამოყალიბებულ პრინციპებს.
43. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა განსაზღვრონ და განახორციელონ დროებითი სპეციალური ზომები, რათა უზრუნველყონ ქალების მამაკაცებთან თანასწორი წარმომადგენლობა მე-7 და მე-8 მუხლებში აღნიშნულ ყველა სფეროში.
44. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა განმარტონ მე-7 და მე-8 მუხლებთან დაკავშირებული ნებისმიერი დათქმების მიზეზები და შედეგები და მიუთითონ, თუ რა შემთხვევაში ასახავს ეს დათქმები საზოგადოებაში ქალების როლის მიმართ ტრადიციულ, ჩვეულებით ან სტერეოტიპულ დამოკიდებულებას, ასევე მიუთითონ ის ზომები, რომლებსაც მონაწილე სახელმწიფოები ახორციელებენ ამგვარი დამოკიდებულების შესაცვლელად. მონაწილე სახელმწიფოებმა საფუძვლიანად უნდა გადასინჯონ ამგვარი დათქმების აუცილებლობა და თავიანთ ანგარიშებში ჩართონ მათი გაუქმების ვადები.

მე-7 მუხლი

45. იმისათვის, რომ მე-7 მუხლის (ა) პუნქტის საფუძველზე მიღწეული იქნეს შედეგი, უნდა განისაზღვროს, განხორციელდეს და მონიტორინგი გაენიოს ზომებს, რომლებიც მიზნად ისახავს:
- (ა) ბალანსის მიღწევას ქალებსა და მამაკაცებს შორის, რომლებსაც უკავიათ არჩევითი თანამდებობები;
- (ბ) იმის უზრუნველყოფას, რომ ქალებს გათვითცნობიერებული ჰქონდეთ ხმის მიცემის საკუთარი უფლება, ამ უფლების მნიშვნელობა, ასევე ის, თუ როგორ უნდა ისარგებლონ ამ უფლებით;
- (გ) თანასწორობისთვის არსებული ბარიერების აღმოფხვრას, მათ შორის ბარიერებისა, რომლებიც დაკავშირებულია წერა-კითხვის, ენის უცოდინრობასთან, სიღარიბესთან და ქალების გადაადგილების თავისუფლების შემაფერხებელ ფაქტორებთან;

- (დ) იმ ქალებისთვის დახმარების განწვევას, ვინც სირთულეს განიცდის თავისი უფლების – მისცეს ხმა და თავად იქნეს არჩეული – განხორციელებისას.
46. მე-7 მუხლის (ბ) პუნქტის საფუძველზე განსახორციელებელი ზომების მიზანია, უზრუნველყოს:
- (ა) თანასწორობა მთავრობის პოლიტიკის ფორმულირებისას ქალთა წარმომადგენლობაში;
- (ბ) ქალების მიერ საჯარო თანამდებობების მამაკაცების თანასწორად დაკავების უფლებით რეალურად სარგებლობა;
- (გ) ქალების სამუშაოდ აყვანის ღია და გასაჩივრებას დაქვემდებარებული პროცესები.
47. მე-7 მუხლის (გ) პუნქტის საფუძველზე განსახორციელებელია ზომები, რომლებიც მიზნად ისახავს:
- (ა) ქმედითი კანონმდებლობის მიღებას, რომელიც კრძალავს ქალთა დისკრიმინაციას;
- (ბ) არასამთავრობო ორგანიზაციების და საზოგადოებრივი და პოლიტიკური ასოციაციების წახალისებას, შემოიღონ სტრატეგიები, რომლებიც ხელს უწყობს ქალთა წარმომადგენლობას და მონაწილეობას მათ საქმიანობაში.
48. მე-7 მუხლთან დაკავშირებით ანგარიშების წარმოდგენისას მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა:
- (ა) აღწერონ სამართლებრივი ნორმები, რომლებიც წარმოადგენს მე-7 მუხლით განსაზღვრული უფლებების განხორციელების საფუძველს;
- (ბ) წარმოადგინონ აღნიშნული უფლებების ნებისმიერ შეზღუდვასთან დაკავშირებული დეტალები, მიუხედავად იმისა, თუ რით არის გამოწვეული ეს შეზღუდვა – სამართლებრივი ნორმებით თუ ტრადიციული, რელიგიური თუ კულტურული პრაქტიკით;
- (გ) აღწერონ განხორციელებული ზომები, რომლებიც მიზნად ისახავს აღნიშნული უფლებებით სარგებლობის წინაშე არსებული ბარიერების აღმოფხვრას;
- (დ) ჩართონ ანგარიშებში სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც კლასიფიცირებული იქნება სქესის მიხედვით და აჩვენებს იმ ქალების პროცენტულ ოდენობას მამაკაცებთან შეფარდებით, ვინც სარგებლობს აღნიშნული უფლებებით;
- (ე) აღწერონ პოლიტიკის, მათ შორის განვითარების პროგრამებთან დაკავშირებული პოლიტიკის ფორმულირების სახეები, რომლებშიც მონაწილეობენ ქალები, და მიუთითონ მათი მონაწილეობის დონე და მასშტაბი;
- (ვ) მე-7 მუხლის (გ) პუნქტის საფუძველზე აღწერონ,

თუ რა მასშტაბით მონაწილეობენ ქალები მათ ქვეყნებში არასამთავრობო ორგანიზაციების, მათ შორის ქალთა ორგანიზაციების საქმიანობაში;

- (ბ) გააანალიზონ, თუ რამდენად უზრუნველყოფს მონაწილე სახელმწიფო აღნიშნულ ორგანიზაციებთან კონსულტირებას, ასევე რა ზემოქმედებას ახდენს მათი რჩევები მთავრობის პოლიტიკის ფორმულირებასა და განხორციელებაზე ყველა დონეზე;
- (თ) წარმოადგინონ ინფორმაცია პოლიტიკურ პარტიებში, პროფესიულ კავშირებში, დამსაქმებელთა ორგანიზაციებში და პროფესიულ ასოციაციებში წევრების და თანამდებობის პირების სახით ქალების არასაკმარის წარმომადგენლობასთან დაკავშირებით, და გააანალიზონ ამის გამომწვევი მიზეზები.

- პროცესების შემუშავების მცდელობები;
- (გ) აღწერონ ის ზომები, რომლებიც განხორციელდა, რათა ფართოდ გავრცელდეს ინფორმაცია ქალებთან დაკავშირებით მთავრობის მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებების შესახებ, ასევე მრავალმხრივი ფორუმების მიერ ქალების დანიშნულებაზე პასუხისმგებელი როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო უწყებებისთვის გამოცემული ოფიციალური დოკუმენტები;
- (დ) წარმოადგინონ ინფორმაცია პოლიტიკური საქმიანობის გამო ქალთა დისკრიმინაციის შესახებ როგორც კერძო პირების, ისე ქალთა თუ სხვა ორგანიზაციების წევრების სახით.

მე-8 მუხლი

- 49. იმისათვის, რომ მე-8 მუხლის საფუძველზე მიღწეული იქნეს შედეგი, უნდა განისაზღვროს, განხორციელდეს და მონიტორინგი გაეწიოს ზომებს, რომლებიც მიზნად ისახავს, უზრუნველყოფილი იქნეს გენდერული ბალანსის გაუმჯობესება გაეროს ყველა უწყების, მათ შორის გენერალური ასამბლეის ძირითადი კომიტეტების, ეკონომიკურ და სოციალურ საქმეთა საბჭოს და ექსპერტთა უწყებების, მათ შორის სახელმეკრულებო ორგანოების, წევრებს შორის, ასევე დამოუკიდებელ სამუშაო ჯგუფებში ან რომელიმე ქვეყანაში წარმომადგენლად თუ საგანგებო წარმომადგენლად დანიშვნის დროს.
- 50. მე-8 მუხლთან დაკავშირებით ანგარიშების წარმოდგენისას მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა:
 - (ა) წარმოადგინონ სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც კლასიფიცირებული იქნება სქესის მიხედვით და აჩვენებს იმ ქალების პროცენტულ ოდენობას, რომლებიც დაკავებულნი არიან საგარეო საქმიანობით ან რეგულარულად მონაწილეობენ საერთაშორისო მისიებში ან საერთაშორისო საქმიანობაში სახელმწიფოს სახელით, მათ შორის მონაწილეობენ საერთაშორისო კონფერენციებზე წარგზავნილ სამთავრობო დელეგაციებში ან დასახელებულნი არიან სამშვიდობო თუ კონფლიქტის მოგვარების როლებზე, და მათი პოზიციების რანგს შესაბამის სექტორში;
 - (ბ) აღწერონ შესაბამის პოზიციებზე და ოფიციალურ დელეგაციებში ქალების დანიშვნისა და დანიშნულების ობიექტური კრიტერიუმების და

VI. ზოგადი რეკომენდაცია № 25

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის

ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ

კონვენციის მე-4 მუხლის პირველ

პუნქტთან მიმართებაში, დროებითი

სპეციალური ზომები

მიღებულია: 2004 წელს, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის 30-ე სხდომაზე

შესავალი

1. ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტმა მეოცე სესიაზე (1999) კონვენციის 21-ე მუხლის შესაბამისად, გადანყვიტა, რომ შეემუშავებინა ზოგადი რეკომენდაცია ქალების დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის პირველი პარაგრაფის მე-4 მუხლის შესახებ. ეს ახალი რეკომენდაცია უნდა აგებულიყო, inter alia, ადრეულ ზოგად რეკომენდაციებზე, მათ შორის, რეკომენდაცია #8 (მე-7 სესია, 1988), კონვენციის მე-8 მუხლის დანერგვის შესახებ და #23 (მე-16 სესია, 1997), საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალების შესახებ, აგრეთვე კონვენციის წევრი ქვეყნების ანგარიშების შესახებ და ამ ანგარიშებზე კომიტეტის შემაჯამებელ შენიშვნებზე.
2. წარმოდგენილი ზოგადი რეკომენდაციით კომიტეტი მიზნად ისახავს, რომ განმარტოს მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის ბუნება და მნიშვნელობა, რათა ხელი შეუწყოს და უზრუნველყოს მისი სრული გამოყენება წევრი ქვეყნების მიერ კონვენციის დანერგვაში. კომიტეტი ხელს უწყობს წევრ ქვეყნებს, რომ თარგმნონ ეს ზოგადი რეკომენდაცია სახელმწიფო და ადგილობრივ ენებზე და ფართოდ გაავრცელონ ის საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებაში, მათ შორის მათ ადმინისტრაციულ სტრუქტურებში, ისევე, როგორც სამოქალაქო საზოგადოებაში, რაც მოიცავს მედიას, სამეცნიერო საზოგადოებას და ადამიანის უფლებებისა და ქალების ასოციაციებსა და ინსტიტუტებს.

საფუძველი: კონვენციის საგანი და მიზანი

3. კონვენცია არის დინამიკური ინსტრუმენტი. 1979 წელს კონვენციის მიღების შემდეგ კომიტეტმა და საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე სხვა სუბიექტებმა ხელი შეუწყეს პროგრესული აზროვნებით კონვენციის მუხლების და ქალების დისკრიმინაციის სპეციფიკური ბუნებისა და ასეთ დისკრიმინაციასთან ბრძოლის ინსტრუმენტების არსებითი შინაარსის გააზრებასა და განმარტებას.
4. მე-4 მუხლის პირველი პუნქტის ფარგლები და შინაარსი განსაზღვრულ უნდა იქნას კონვენციის ზოგადი საგნისა და მიზნის კონტექსტში, რაც არის ქალების დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა ქალების კაცებთან დე-ფაქტო და დე-იურე თანასწორობის მიღწევის თვალსაზრისით მათ მიერ მათი უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების გამოყენების დროს. კონვენციის წევრი ქვეყნები სამართლებრივად ვალდებული არიან, რომ პატივი სცენ, დაიცვან, ხელი შეუწყონ და შეასრულონ ქალების ეს უფლება, რომ არ იყვნენ დისკრიმინირებულნი და უზრუნველყონ ქალების განვითარება და წინსვლა, რათა გააუმჯობესონ მათი პოზიცია მამაკაცებთან როგორც დე-იურე ისე დე-ფაქტო თანასწორობისას.
5. კონვენცია სცდება ბევრ ეროვნულ და საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებსა და ნორმებში გამოყენებულ დისკრიმინაციის კონცეფციას. იმ დროს, როცა სტანდარტები

და ნორმები კრძალავენ დისკრიმინაციას სქესის ნიადაგზე და იცავენ კაცებსა და ქალებს თვითნებური, უსამართლო და/ან გაუმართლებელი გარჩევისაგან, კონვენცია ფოკუსირებულია ქალების წინააღმდეგ დისკრიმინაციაზე, ხაზს უსვამს, რომ ქალები განიცდიდნენ და კვლავ განიცდიან სხვადასხვა ფორმის დისკრიმინაციას, რადგან არიან ქალები.

6. 1-დან მე-5 და 24 მუხლების ერთობლივი მოსმენა, რომელიც ქმნის ზოგად განმარტებით ჩარჩოს კონვენციის ყველა არსებითი მუხლისათვის, მიუთითებს, რომ სამი ვალდებულება არის მთავარი ნევრი ქვეყნების ძალისხმევით, რათა აღმოფხვრან დისკრიმინაცია ქალების წინააღმდეგ. ეს ვალდებულებები უნდა დაინერგოს გაერთიანებულად და გავრცელდეს ქალების კაცებთან თანასწორი მოპყრობის წმინდად სამართლებრივი ვალდებულების მიღმა.
7. პირველ რიგში, ნევრი ქვეყნების ვალდებულებაა, უზრუნველყონ, რომ მათ კანონებში არ იყოს პირდაპირი ან არაპირდაპირი¹ დისკრიმინაცია ქალები წინააღმდეგ და რომ ქალები დაცულნი არიან – საჯარო პირების, სასამართლოს, ორგანიზაციების, სანარმოების ან კერძო პირების მიერ განხორციელებული დისკრიმინაციისაგან, როგორც საჯარო ისე კერძო სფეროში – კომპეტენტური ტრიბუნალების, ასევე სანქციებისა და სხვა საშუალებების მიერ. მეორე, ნევრი სახელმწიფოების ვალდებულებაა, რომ გააუმჯობესონ ქალების დე ფაქტო პოზიცია რეალური და ეფექტური პოლიტიკითა და პროგრამებით. მესამე, ნევრი ქვეყნების ვალდებულებაა, რომ ყურადღება მიაქციონ გავრცელებულ გენდერულ ურთიერთობებს² და გენდერზე დაფუძნებულ სტერეოტიპებს, რომლებიც გავლენას ახდენენ

1 არაპირდაპირ დისკრიმინაციას ქალების წინააღმდეგ შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს, როდესაც კანონები, პოლიტიკა და პროგრამები დაფუძნებულია გარეგნულად გენდერულად ნეიტრალურ კრიტერიუმებზე, რომლებსაც ფაქტობრივი ეფექტის დროს საზიანო გავლენა აქვთ ქალებზე. გენდერულად ნეიტრალურმა კანონებმა, პოლიტიკამ და პროგრამებმა შესაძლოა განუზრახავად უკვდავოს წარსული დისკრიმინაციის შედეგები. ისინი შესაძლოა, უნებლიედ მორგებული იყოს ცხოვრების მამაკაცურ წესზე და შესაბამისად, არ მიიღოს მხედველობაში ქალის ცხოვრებისეული გამოცდილებები, რომელიც შეიძლება განსხვავდებოდეს კაცებისაგან. ეს განსხვავებები შესაძლოა არსებობდეს ქალების მიმართ მიმართული სტერეოტიპული მოლოდინების, მიდგომებისა და საქციელის გამო, რომლებიც ეფუძნება ბიოლოგიურ განსხვავებებს ქალსა და კაცს შორის. ისინი ასევე შესაძლოა არსებობდეს კაცების მიერ ქალების ზოგადად არსებული სუბორდინაციის გამო.

ქალებზე არა მხოლოდ ინდივიდთა მიერ ინდივიდუალური აქტების მეშვეობით, არამედ ასევე კანონის, სამართლებრივი და სოციალური სტრუქტურებით და ინსტიტუტებით.

8. კომიტეტის თვალსაზრისით, წმინდად სამართლებრივი ან პროგრამული მიდგომა არ არის საკმარისი, რომ მიღწეულ იქნას ქალების დე ფაქტო თანასწორობა მამაკაცებთან, რომელსაც კომიტეტი განიხილავს, როგორც ფუნდამენტურ თანასწორობას. გარდა ამისა, კონვენცია ითხოვს, რომ ქალებს მიეცეთ თანასწორი სანჯისი და რომ ისინი იყვნენ უფლებამოსილნი ხელსაყრელი გარემოს მიერ, რათა მიაღწიონ შედეგების თანასწორობას. ეს არ არის საკმარისი, რათა მოხდეს ქალებისათვის მამაკაცების იდენტური მოპყრობის გარანტირება. პირიქით, ბიოლოგიურად, ისევე როგორც სოციალურად და კულტურულად კონსტრუირებული განსხვავებები ქალებსა და კაცებს შორის მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული. გარკვეულ პირობებში ქალებისა და კაცების არაიდენტური მოპყრობა იქნება საჭირო, რათა გათვალისწინებულ იქნას ასეთი განსხვავებები. ფუნდამენტური თანასწორობის მიზნის მიღწევა ასევე ითხოვს ეფექტურ სტრატეგიას, რომელიც მიმართული იქნება ქალების არაადეკვატურად წარმოდგენის დაძლევისაკენ და ქალების და მამაკაცთა შორის რესურსებისა და ძალის გადანაწილებისაკენ.
9. შედეგების თანასწორობა არის დეფაქტო ან ფუნდამენტური თანასწორობის ლოგიკური დასკვნა. ეს შედეგები ბუნებით შეიძლება იყოს რაოდენობრივი ან/და ხარისხობრივი; ანუ ქალები სარგებლობენ მათი უფლებებით სხვად-

2 „გენდერი განსაზღვრულია, როგორც სოციალური მნიშვნელობა, მინიჭებული ბიოლოგიური განსხვავებებისათვის. ეს არის იდეოლოგიური და კულტურული აგებულება, მაგრამ ასევე მრავლდება მატერიალური პრაქტიკის სფეროს ფარგლებში; თავის მხრივ, ის გავლენას ახდენს ასეთი პრაქტიკის შედეგებზე. ის გავლენას ახდენს რესურსების, ქონების, სამუშაოს, გადამწყვეტილების მიღებისა და პოლიტიკური ძალის გადანაწილებაზე და ოჯახსა და საჯარო ცხოვრებაში უფლებებით სარგებლობაზე. მიუხედავად კულტურათა შორის და დროის მანძილზე განსხვავებებისა, გენდერული ურთიერთობები მსოფლიოს გარშემო იწვევს ქალებსა და კაცებს შორის ძალაუფლების ასიმეტრიას. აქედან გამომდინარე, გენდერი არის სოციალური გამომწვეველი და ამ მხრივ ის წააგვს სხვა განმწვეველებს, როგორცაა რასა, კლასი, ეთნიკურობა, სქესი და ასაკი. ის გვეხმარება, გავიგოთ გენდერული იდენტურობის სოციალური აგებულება და ძალის უნიკალური სტრუქტურა, რომელიც ხაზს უსვამს სქესთა შორის ურთიერთობას“ 1999 მსოფლიო კვლევა განვითარებაში ქალთა როლის შესახებ, გაერთიანებული ერები, ნიუ იორკი, 1999, გვერდი ix.

ასხვა სფეროებში სამართლიანად თანაბარი რაოდენობით მამაკაცებთან ერთად, სარგებლობენ იგივე შემოსავლის დონით, სარგებლობენ გადამწყვეტილების თანაბრად მიღებით და პოლიტიკური გავლენით და ქალები სარგებლობენ ძალადობისაგან თავისუფლებით.

10. ქალების პოზიცია არ გაუმჯობესდება, სანამ ქალების დისკრიმინაციისა და მათი უთანასწორობის ძირითადი მიზეზები ეფექტურად არ იქნება განხილული. ქალებისა და მამაკაცების ცხოვრება განხილულ უნდა იქნას შინაარსობრივად და ზომები უნდა იქნას მიღებული შესაძლებლობების, ინსტიტუტებისა და სისტემების რეალური ტრანსფორმაციის მიმართ, ისე, რომ ისინი აღარ დაეფუძნოს ძალისა და ცხოვრების სტილის ისტორიულად განსაზღვრულ მამრობით პარადიგმას.
11. ქალების ბიოლოგიურად განსაზღვრული პერმანენტული საჭიროებები და გამოცდილება უნდა გამოირჩეოდეს სხვა საჭიროებებისაგან, რაც შესაძლოა იყოს ინდივიდუალური სუბიექტების, დომინანტური გენდერული იდეოლოგიის ან ასეთი დისკრიმინაციის გამოვლინების მიერ ქალების წარსული და აწმყო დისკრიმინაციის შედეგი. ქალების მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრისათვის გადადგმული ნაბიჯების პარალელურად ქალების საჭიროებები შესაძლოა შეიცვალოს ან გაქრეს ან გახდეს ქალისა და კაცის საჭიროებები. შესაბამისად, ქალების დე ფაქტო ან ფუნდამენტური თანასწორობის მისაღწევად კანონების, პროგრამებისა და პრაქტიკის მუდმივი მონიტორინგია საჭირო, რათა თავიდან იქნას აცილებული არაიდენტური მოპყრობის უკვადავყოფა, რაც ვეღარ იქნება გამართლებული.
12. ქალების გარკვეული ჯგუფები, რომლებიც, გარდა იმისა, რომ განიცდიან დისკრიმინაციას, მათი, როგორც ქალების წინააღმდეგ, ასევე შეიძლება განიცდიდნენ დამატებით დისკრიმინაციას სხვადასხვა საფუძვლებზე, როგორცაა რასა, ეთნიკური ან რელიგიური იდენტურობა, შეზღუდული შესაძლებლობები, ასაკი, კლასი, კასტა ან სხვა ფაქტორები. ასეთ სახის დისკრიმინაციამ შესაძლოა გავლენა იქონიოს ქალების ამ ჯგუფებზე პირდაპირ ან განსხვავებული ხარისხით ან განსხვავებული გზებით ვიდრე კაცებზე. ნევრ ქვეყნებს შესაძლოა დასჭირდეთ სპეციფიკური დროებითი სპეციალური ზომების მიღება, რათა აღმოფხვრან ასეთი მრავალი სახის დისკრიმინაცია ქალების წინააღმდეგ და მისი შე-

რული ნეგატიური ზეგავლენა მათზე.

13. ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის გარდა ადამიანის უფლებების სხვა საერთაშორისო ინსტრუმენტები და პოლიტიკის დოკუმენტები, რომლებიც მიღებულ იქნა გაერთიანებული ერების სისტემაში, შეიცავენ მუხლებს დროებითი სპეციალური ზომების შესახებ, რათა ხელი შეუწყონ თანასწორობის მიღწევას. ასეთი საშუალებები აღწერილია სხვადასხვა ტერმინოლოგიით და მნიშვნელობა და ინტერპრეტაცია, რაც ასეთ სახის ზომებს ეძლევა, ასევე განსხვავებულია. კომიტეტს იმედი აქვს, რომ წარმოდგენილი ზოგადი რეკომენდაციები მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესახებ ხელს შეუწყობს ტერმინოლოგიის განმარტებას.³
14. კონვენცია მიმართულია წარსული და აწმყო სოციალური და კულტურული კონტექსტების დისკრიმინაციული საზღვრების მიმართ, რომლებიც ხელს უშლიან ქალების მიერ მათი ადამიანის უფლებებითა და ფუნდამენტური თავისუფლებებით სარგებლობას. ის მიმართულია ქალების მიმართ დისკრიმინაციის ყველა

3 მაგალითისთვის იხილეთ საერთაშორისო კონვენცია ყველა ფორმის რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ, რომელიც ადგენს დროებით სპეციალურ ზომებს. ხელშეკრულების მონიტორინგის ორგანოების პრაქტიკა, როგორებიცაა რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტი და ადამიანის უფლებათა კომიტეტი გვიჩვენებს, რომ ეს ორგანოები ითვალისწინებენ დროებითი სპეციალური ზომების გამოყენებას, როგორც სავალდებულოს, რათა მიაღწიონ შესაბამისი ხელშეკრულებების მიზნებს. საერთაშორისო შრომის ორგანიზაციის ეგიდით მიღებული კონვენციები და გაერთიანებული ერების საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურული ორგანიზაციების სხვადასხვა დოკუმენტები ასევე ღიად და ფარულად უზრუნველყოფენ მსგავს ზომებს. გაეროს ადამიანის უფლებათა ხელშეწყობისა და დაცვის ქვეკომისიამ გაითვალისწინა ეს საკითხი და დანიშნა სპეციალური მომხსენებელი, რათა მოეზადებინა ანგარიშები მის განსახილველად და სამოქმედოდ. კომისიამ ქალთა სტატუსის შესახებ განიხილა დროებითი სპეციალური ზომების გამოყენება 1992 წელს. შედეგად, გაერთიანებული ერების მიერ მსოფლიო კონფერენციებზე მიღებული დოკუმენტები ქალთა შესახებ და მისი შემდგომი, 2000 წლის განხილვა შეიცავს მითითებას პოზიტიური მოქმედების, როგორც დე-ფაქტო თანასწორობის მიღწევის ინსტრუმენტის შესახებ. დროებითი სპეციალური ზომების გამოყენება გაერთიანებული ერების გენერალური მდივნის მიერ არის პრაქტიკული მაგალითი ქალთა დასაქმების სფეროში, მათ შორის სამდივნოში ქალთა რეკრუტირების, ხელშეწყობისა და განთავსების ადმინისტრაციული ინსტრუქციების მეშვეობით. ეს საშუალებები მიმართულია ყველა დონეზე 50/50 გენდერული გადანაწილების მიზნის მიღწევაზე, ასევე განსაკუთრებით ზედა ეშელონებში.

ფორმის აღმოსაფხვრელად, მათ შორის მათი არსებითი ან დე-ფაქტო უთანასწორობის მიზეზებისა და შედეგების აღმოფხვრაზე. შესაბამისად, დროებითი სპეციალური ზომების გამოყენება კონვენციის თანახმად, არის ერთ-ერთი საშუალება ქალებისათვის დე-ფაქტო ან ფუნდამენტური თანასწორობის გასააზრებლად, ვიდრე დისკრიმინაციის აკრძალვისა და თანასწორობის ნორმებიდან გამონაკლისი.

დროებით სპეციალური ზომების მნიშვნელობა და საზღვრები ქალების მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციაში

მუხლი 4, პუნქტი 1

წვერი ქვეყნების მიერ დროებითი სპეციალური ზომების მიღება, რომლებიც მიმართულია ქალებსა და მამაკაცებს შორის დე-ფაქტო თანასწორობის დაჩქარებისაკენ არ უნდა იქნას აღქმული, როგორც დისკრიმინაცია, როგორც განსაზღვრულია წარმოდგენილ კონვენციაში, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოიწვიოს არათანაბარი და განსხვავებული სტანდარტების შენარჩუნება; ეს საშუალებები უნდა შეჩერდეს, როდესაც შესაძლებლობებისა და მოპყრობის თანასწორობის მიზანი მიღწეული იქნება.

მუხლი 4, პუნქტი 2

წვერი ქვეყნების მიერ სპეციალური ზომების მიღება, მათ შორის წარმოდგენილი კონვენციის ზომებისა, რომლებიც მიმართულია დედობის დასაცავად, არ უნდა იქნას განხილული, როგორც დისკრიმინაციული.

ა. კავშირი მე-4 მუხლის პირველ და მეორე პუნქტებს შორის

15. მკაფიო განსხვავებაა მე-4 მუხლის პირველი პუნქტის და მეორე პუნქტის „სპეციალური ზომების“ მიზნებს შორის. მე-4 მუხლი პირველი პუნქტის მიზანი არის ქალების პოზიციის გაუმჯობესების დაჩქარება, რათა მიაღწიონ თავის დე-ფაქტო ფუნდამენტურ თანასწორობას კაცებთან და გავლენა მოახდინოს სტრუქტურულ, სოციალურ და კულტურულ ცვლილებებზე, რაც აუცილებელია ქალების მიმართ დისკრიმინაციის წარსული და აწმყო ფორმებისა და გავლენის გამოსასწორებლად და აგრეთვე მათთვის კომპენსაციის უზრუნვე-

ლსაყოფად. ეს ზომები დროებითი ბუნებისაა.

16. მე-4 მუხლის პუნქტის 2 უზრუნველყოფს არა-იდენტურ მოპყრობას ქალებისა და კაცების მიმართ მათი ბიოლოგიური განსხვავებების გამო. ეს ზომები მუდმივი ხასიათისაა, სულ მცირე, იმ დრომდე სამან მე-11 მუხლის მე-3 პუნქტში ნახსენები სამეცნიერო და ტექნოლოგიური ცოდნა არ მოგვცემს გადახედვის შესაძლებლობას.

ბ. ტერმინოლოგია

17. კონვენციის *travaux préparatoires* იყენებს განსხვავებულ ტერმინებს მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დროებითი სპეციალური ზომების“ აღსაწერად. თავად კომიტეტი, მის წინა ზოგად რეკომენდაციებში, იყენებდა სხვადასხვა ტერმინებს. წვერი ქვეყნები ხშირად აიგივებენ „სპეციალურ ზომებს“ მისი მკარეექტირებელი, საკომპენსაციო ხელისშემწყობი გაგებით ტერმინებთან „დადებითი ქმედება“, „პოზიტიური ქმედება“, „პოზიტიური ზომები“, „საპირისპირო დისკრიმინაცია“. ეს ტერმინებო წარმოიშვა განხილვებიდან და სხვადასხვა პრაქტიკიდან, რომლებიც შეიძლება აღმოჩენილ იქნას სხვადასხვა ეროვნულ კონტექსტში.⁴ წარმოდგენილ ზოგად რეკომენდაციაში და წვერი ქვეყნების ანგარიშების გათვალისწინების მისი პრაქტიკის შესაბამისად, კომიტეტი იყენებს მხოლოდ ტერმინს „დროებითი სპეციალური ზომები“ როგორც მონოდებულია მე-4 მუხლის პირველ პუნქტში.

გ. მე-4 მუხლის პირველი პარაგრაფის საკვანძო ელემენტები

4 ტერმინი „affirmative action“ გამოყენებულია ამერიკის შეერთებულ შტატებში და გაერთიანებული ერების რამდენიმე დოკუმენტში, ხოლო ტერმინი „პოზიტიური ქმედება“ ამჟამად ფართოდ გამოიყენება ევროპაში და აგრეთვე გაერთიანებული ერების ბევრ დოკუმენტში. თუმცა, ტერმინი „პოზიტიური ქმედება“ სხვა მნიშვნელობით გამოიყენება საერთაშორისო ადამიანის უფლებების სამართალში „პოზიტიური სახელმწიფო ქმედების“ აღსაწერად (სახელმწიფოს ვალდებულება, რომ წამოიწყოს ქმედება vs. სახელმწიფოს ვალდებულება, რომ თავი შეიკავოს ქმედებისაგან) აქედან გამომდინარე, ტერმინი „პოზიტიური ქმედება“ ბუნდოვანია, რადგან მისი მნიშვნელობა არ შემოიფარგლება დროებითი სპეციალური ზომებით, როგორც არის გაგებული კონვენციის მე-4 მუხლის პირველ პარაგრაფში. ტერმინები „საპირისპირო დისკრიმინაცია“ ან „პოზიტიური დისკრიმინაცია“ გაკრიტიკებულია რამდენიმე ავტორის მიერ, როგორც შესაბამო.

18. მე-4 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით წევრი ქვეყნების მიერ მიღებული ზომები მიმართული უნდა იყოს ქალების თანასწორი მონაწილეობის დაჩქარებისაკენ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, ცივილურ თუ სხვა სფეროებში. კომიტეტი განიხილავს ამ ზომების გამოყენებას არა როგორც დისკრიმინაციის აკრძალვის ნორმის გამონაკლისს, არამედ როგორც ხაზგასმას, რომ დროებითი სპეციალური საშუალებები არის წევრი ქვეყნების აუცილებელი სტრატეგიის ნაწილი, რომლებიც მიმართულია ქალების მამაკაცებთან ფუნდამენტური ან დეფაქტო თანასწორობის მიღწევისაკენ ადამიანის უფლებებითა და ფუნდამენტური თავისუფლებებით სარგებლობისას. იმ დროს, როცა დროებითი სპეციალური ზომები ხშირად ასწორებს ქალების მიმართ წარსული დისკრიმინაციის შედეგებს, წევრი ქვეყნების ვალდებულება კონვენციის მიხედვით, რომ გააუმჯობესონ ქალების პოზიცია მამაკაცებთან დეფაქტო ან ფუნდამენტურ თანასწორობასთან დაკავშირებით, არსებობს წარსული დისკრიმინაციის ნებისმიერი მტკიცებულების მიუხედავად. კომიტეტი ითვალისწინებს, რომ წევრი ქვეყნები, რომლებიც მიიღებენ და დანერგავენ ასეთ ზომებს კონვენციის მიხედვით, არ ახდენენ დისკრიმინაციას კაცების მიმართ.
19. წევრმა ქვეყნებმა მკაფიოდ უნდა განასხვავონ ქალებისათვის დეფაქტო ან ფუნდამენტური თანასწორობის მიღწევის კონკრეტული მიზნის დასაჩქარებლად მეოთხე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით განსახორციელებელი დროებითი სპეციალური ზომები და სხვა ზოგადი სოციალური კურსები, რომელიც მიღებულია ქალებისა და გოგონების სიტუაციის გასაუმჯობესებლად. ყველა ზომა, რომელიც პოტენციურად არის ან იქნება სასარგებლო ქალებისათვის, არ არის დროებითი სპეციალური ზომა. ზოგადი პირობების მუხლს, ქალებისა და გოგონების სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტური უფლებების გარანტირებისათვის, შედგენილს მათთვის ღირსეული ცხოვრებისა და მათ მიმართ დისკრიმინაციის აკრძალვის უზრუნველსაყოფად, ვერ ეწოდება დროებითი სპეციალური ზომა.
20. მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ნათლად აყალიბებს ასეთი სპეციალური ზომების „დროებით“ ბუნებას. ეს ზომები, შესაბამისად, არ უნდა იქნას მიჩნეული, როგორც აუცილებელი სამუდამოდ, მიუხედავად იმისა, რომ „დრო-

- ებითს“ მნიშვნელობა, ფაქტობრივად, შესაძლებელია შედეგად წარმოშობდეს ასეთი ზომების დიდი დროის განმავლობაში გამოყენებას. დროებითი სპეციალური ზომის ხანგრძლივობა უნდა განისაზღვროს კონკრეტულ პრობლემაზე რეაგირების მისი ფუნქციონალური შედეგის მიხედვით და არა დროის წინასწარ განსაზღვრული პასაჟის მიხედვით. დროებით სპეციალური ზომები უნდა შეწყდეს, როდესაც მათი სასურველი შედეგები მიიღწევა და შენარჩუნდება დროის განმავლობაში.
21. ტერმინი „სპეციალური“, რომელიც შეესაბამება ადამიანის უფლებათა დისკურსს, ასევე ფრთხილად უნდა იქნას განმარტებული. მისი გამოყენება ზოგჯერ ყოფს ქალებს და სხვა ჯგუფებს, რომლებიც დისკრიმინაციის მსხვერპლნი არიან, როგორც სუსტი, მოწყვლადი და დამატებითი ან „სპეციალური“ ზომების საჭიროების მქონედ, რათა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობდნენ ან იყვნენ კონკურენტუნარიანი. თუმცა, „სპეციალურის“ რეალური მნიშვნელობა მე-4 მუხლის პირველი პუნქტის ფორმულირებაში არის, რომ ზომები შედგენილია სპეციალური მიზნებისათვის.
22. ტერმინი „ზომები“ მოიცავს სამართლებრივი, აღმასრულებელი, ადმინისტრაციული და სხვა სარეგულაციო ინსტრუმენტების, კურსის და პრაქტიკის სიმრავლეს, როგორცაა ურთიერთობისა და მხარდაჭერის პროგრამები; რესურსების გადანაწილება და მოგროვება; პრეფერენციული მოპყრობა; მიზნობრივი რეკრუტირება, დაქირავება და ხელშეწყობა; რაოდენობრივი მიზნები დაკავშირებული დროის ინტერვალით; და კვოტირების სისტემები. კონკრეტული „ზომის“ არჩევანი დამოკიდებული იქნება კონტექსტზე, რომელშიც მე-4 მუხლის პირველ პუნქტშია გამოყენებული და სპეციფიკურ მიზანზე, რომლის მიღწევასაც ის გეგმავს.
23. დროებითი სპეციალური ზომების მიღებამ შესაძლოა მიგვიყვანოს სამიზნე ჯგუფის ან ინდივიდების კვალიფიკაციებისა და დამსახურების განხილვამდე და კამათამდე კაცებთან შედარებით ნაკლებად კვალიფიციური ქალებისათვის შეღავათების შესახებ ისეთ სფეროებში, როგორცაა პოლიტიკა, განათლება და დასაქმება. დროებითი სპეციალური ზომები მიმართულია რა დეფაქტო ან ფუნდამენტური თანასწორობის მიღწევის დაჩქარებისაკენ, კითხვები კვალიფიკაციისა და დამსახურების შესახებ, კერძოდ კი, საჯარო და კერძო სექტორში დასაქმების სფეროში,

ფრთხილად უნდა იქნას გადახედული გენდერული მიუკერძოებლობისათვის, რადგან ისინი ნორმატიულად და კულტურულად განსაზღვრულია. საჯარო და პოლიტიკურ სამსახურში დანიშვნის, შერჩევის ან არჩევისათვის ფაქტორები, კვალიფიკაციისა და დამსახურების გარდა, მათ შორის დემოკრატიული სამართლიანობის პრინციპების გამოყენება და ამომრჩეველთა არჩევანი, ასევე უნდა თამაშობდეს როლს.

24. მე-4 მუხლის პირველი პუნქტი 1, 2, 3, 5 და 24 მუხლებთან ერთად ნაკითხვისას, გამოყენებულ უნდა იქნას მე-6-დან მე-16 მუხლების ჩათვლით კავშირში, რომლებიც ადგენენ, რომ წევრმა ქვეყნებმა უნდა მიიღონ „ყველა შესაბამისი ზომა“. შესაბამისად, კომიტეტი განიხილავს, რომ წევრი ქვეყნები ვალდებული არიან, რომ მიიღონ და დანერგონ დროებითი სპეციალური ზომები ნებისმიერ ამ მუხლებთან კავშირში, თუ ეს ზომები შესაძლებელია გამოჩნდეს, როგორც საჭირო და შესაბამისი, რათა მოხდეს ქალების დეფაქტო ან ფუნდამენტური თანასწორობის საყოველთაო ან სპეციფიკური მიზნის მიღწევის დაჩქარება.

IV. წევრი ქვეყნების რეკომენდაციები

25. წევრი ქვეყნების ანგარიშები უნდა მოიცავდეს ინფორმაციას დროებით სპეციალური ზომების მიღების ან ნაკლებობის შესახებ კონვენციის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად და წევრმა ქვეყნებმა, სასურველია, გამოიყენონ ტერმინი „დროებითი სპეციალური ზომები“ რათა თავიდან ავიცილოთ გაუგებრობა.

26. წევრმა ქვეყნებმა მკაფიოდ უნდა განასხვავონ ქალებისათვის დეფაქტო ან ფუნდამენტური თანასწორობის მიღწევის კონკრეტული მიზნის დასაჩქარებლად განხორციელებულ დროებითი სპეციალური ზომები და სხვა ზოგადი სოციალური კურსები, რომლებიც მიღებულია ქალებისა და გოგოების სიტუაციის გასაუმჯობესებლად. წევრმა ქვეყნებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ყველა ზომა, რომელიც პოტენციურად არის ან იქნება სასარგებლო ქალებისათვის, არ კვალიფიცირდება, როგორც დროებით სპეციალური ზომა.

27. წევრმა ქვეყნებმა უნდა გაანალიზონ ქალების სიტუაციის კონტექსტი ცხოვრების ყველა სფეროში, ასევე სპეციფიკურ, სამიზნე რაიონებში, როდესაც იყენებენ დროებით სპეციალურ ზომებს, რომ დააჩქარონ ქალების დეფაქტო

ან ფუნდამენტური თანასწორობის მიღწევა. მათ უნდა შეაფასონ დროებითი სპეციალური ზომების გავლენა მათ ეროვნული კონტექსტში კონკრეტულ მიზანთან დაკავშირებით და მიიღონ ის დროებითი სპეციალური ზომები, რომელთაც ისინი თვლიან ყველაზე მისაღებად, რათა დააჩქარონ ქალების დეფაქტო ან ფუნდამენტური თანასწორობის მიღწევა.

28. წევრმა ქვეყნებმა უნდა განმარტონ რომელიმე ზომის არჩევის მიზეზები. ამგვარი ზომების გამოყენების დასაბუთება უნდა მოიცავდეს ქალების რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციას, მათ შორის პირობებს და გავლენას, რომელიც აყალიბებს მათ ცხოვრებას და შესაძლებლობებს – ან ქალების სპეციფიკური ჯგუფის, რომლებიც განიცდიან დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმებს – და რომლის პოზიციის გაუმჯობესებას აპირებს წევრი ქვეყანა დაჩქარებული წესით ასეთი დროებით სპეციალური ზომების გამოყენებით. იმავდროულად, კავშირი ამ ზომებსა და ზოგად ზომებს შორის და ძალისხმევა ქალების პოზიციის გასამყარებლად უნდა იქნას განმარტებული.

29. წევრმა ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ ადეკვატური ახსნა, თუ რატომ ვერ მიიღეს დროებით სპეციალური ზომები. მიუღებლობა არ შეიძლება მხოლოდ უფლებაუნარობის დამტკიცებით ან უმოქმედობის ახსნით უპირატესი საბაზრო ან პოლიტიკური ძალების საშუალებით, როგორც დამახასიათებელია კერძო სექტორისათვის, კერძო ორგანიზაციებისათვის ან პოლიტიკური პარტიებისათვის. წევრ ქვეყნებს შეახსენებენ, რომ კონვენციის მეორე მუხლი, რომელიც ნაკითხულ უნდა იქნას ყველა სხვა მუხლთან ერთად, აკისრებს პასუხისმგებლობას წევრ ქვეყანას ამ მოქმედი სუბიექტების მოქმედებებისათვის.

30. წევრმა ქვეყნებმა შესაძლოა განაცხადონ დროებითი სპეციალური ზომების შესახებ სხვადასხვა მუხლების თანახმად. მეორე მუხლის თანახმად წევრ ქვეყნებს სთხოვენ, რომ მოახსენონ ასეთი ზომების სამართლებრივი ან სხვა საფუძველის შესახებ და ითხოვენ კონკრეტული მიდგომის არჩევის მათ დასაბუთებას. წევრ ქვეყნებს შემდეგ სთხოვენ ნებისმიერ დეტალს კანონმდებლობის შესახებ, რაც ეხება სპეციალურ ზომებს, კერძოდ კი, ასეთი სახის კანონმდებლობა უზრუნველყოფს თუ არა საკვალდებულო და ნებაყოფლობით ბუნებას დროებითი სპეციალური ზომებისათვის.

31. წევრმა ქვეყნებმა თავის კონსტიტუციაში ან მათ

ეროვნულ კანონმდებლობაში უნდა ჩართონ მუხლები, რომლებიც დროებითი სპეციალური ზომების მიღების საშუალებას იძლევა. კომიტეტი შეახსენებს წევრ ქვეყნებს, რომ კანონმდებლობას, როგორცაა სავალდებულო ანტი-დისკრიმინაციული აქტები, თანაბარი შესაძლებლობების აქტები ან აღმასრულებელი ბრძანებები ქალების თანასწორობის შესახებ, შეუძლია უზრუნველყოს მითითებები დროებითი სპეციალური ზომების ტიპის შესახებ, რომელიც გამოყენებულ უნდა იქნას განცხადებული მიზნის ან მიზნების მისაღწევად მოცემულ სფეროებში. ასეთი მითითებები ასევე შესაძლოა შესული იყოს დასაქმების ან განათლების შესახებ კონკრეტულ კანონმდებლობაში. შესაბამისი კანონმდებლობა დისკრიმინაციის წინააღმდეგ და დროებითი სპეციალური ზომები უნდა ფარავდეს სახელისუფლო მოქმედ სუბიექტებს ასევე კერძო ორგანიზაციებსა და სანარმოებს.

32. კომიტეტი წევრი ქვეყნების ყურადღებას აპყრობს ფაქტს, რომ დროებითი სპეციალური ზომები ასევე შესაძლოა დაეფუძნოს ბრძანებებს, კურსის დირექტივებს და/ან ადმინისტრაციულ სახელმძღვანელო მითითებებს, რომლებიც ფორმულირებული და მიღებულია ხელისუფლების ეროვნული, რეგიონული ან ადგილობრივი აღმასრულებელი მტოების მიერ, რათა დაფარონ საჯარო დასაქმება და საგანმანათლებლო სექტორები. ასეთი დროებითი სპეციალური ზომები შეიძლება შეიცავდეს სამოქალაქო მომსახურებას, პოლიტიკურ სფეროსა და კერძო საგანმანათლებლო და დასაქმების სექტორებს. შემდგომ კომიტეტი წევრი ქვეყნების ყურადღებას მიაპყრობს ფაქტს, რომ ასეთი ზომები შესაძლოა ასევე მოლაპარაკებულ იქნას საჯარო ან კერძო დასაქმების სექტორის სოციალურ პარტნიორებს შორის ან გამოყენებულ იქნას ნებაყოფლობით საფუძველზე ან საჯარო ან კერძო სანარმოების, ორგანიზაციების, ინსტიტუტებისა და პოლიტიკური პარტიების მიერ.

33. კომიტეტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სამოქმედო გეგმა დროებითი სპეციალური ზომებისათვის უნდა იქნას შედგენილი, გამოყენებული და შეფასებული სპეციფიკურ ეროვნულ კონტექსტში და იმ პრობლემის სპეციფიკური ბუნების ფონის საწინააღმდეგოდ, რომლის გადალახვასაც ისინი აპირებენ. კომიტეტი რეკომენდაციას უწევს წევრ ქვეყნებს, რომ მათ ანგარიშში უზრუნველყონ ნებისმიერი სამოქმედო გეგმის დეტალები, რომლებიც შესაძლოა მიმართულ იქნან ქა-

ლებისათვის დაშვების შესაქმნელად და კონკრეტულ სფეროებში მათი ნაკლებად წარმოდგენის გადასალახად, კონკრეტულ სფეროებში რესურსებისა და ძალაუფლების გადასანაწილებლად და/ან ინსტიტუციური ცვლილებების საინიციატივოდ, წარსული ან აწმყო დისკრიმინაციის გადასალახად და დეფაქტო თანასწორობის მიღწევის დასაჩქარებლად. ანგარიშები ასევე უნდა ხსნიდეს, ასეთი სახის სამოქმედო გეგმები მოიცავს თუ არა მოსაზრებებს ასეთ ზომების გაუთვალისწინებელი პოტენციური უარყოფითი გვერდითი ეფექტების შესახებ, ასევე შესაძლო მოქმედებების შესახებ მათგან ქალების დაცვის შესახებ. წევრმა ქვეყნებმა ასევე უნდა აღწერონ მათ ანგარიშში დროებითი სპეციალური ზომების შედეგები და შეაფასონ ასეთი ზომების შესაძლო მარცხის მიზეზები.

34. მესამე მუხლის მიხედვით წევრმა ქვეყნებმა ანგარიში უნდა წარადგინონ ინსტიტუტ(ებ)ზე, რომლებიც პასუხისმგებელი არიან შედგენაზე, დანერგვაზე, მონიტორინგზე, შეფასებასა და ასეთ სპეციალური დროებითი ზომების ძალაში შესვლაზე. ასეთი პასუხისმგებლობა შესაძლებელია დაკისრებულ იქნას არსებულ ან დაგეგმილ ეროვნულ ინსტიტუტებში, როგორცაა ქალების სამინისტროები, ქალების დეპარტამენტები სამინისტროებში ან საპრეზიდენტო ოფისებში, ომბუდსმენები, ტრიბუნალები ან კერძო ან საჯარო ბუნების სხვა ერთეულები, რომელთაც გააჩნიათ საჭირო მანდატი, რომ შეადგინონ სპეციფიკური პროგრამები, მონიტორინგი გაუწიონ მათ დანერგვას და შეაფასონ მათი ზეგავლენა და შედეგები. კომიტეტი რეკომენდაციას უწევს, რომ წევრმა ქვეყნებმა უზრუნველყონ, რომ ქალებს, ზოგადად და ქალების დაზარალებულ ჯგუფებს კონკრეტულად, ჰქონდეთ თავისი როლი ასეთი პროგრამების შედგენაში, დანერგვასა და შეფასებაში. კოლაბორაცია და კონსულტაციები სამოქალაქო საზოგადოებასთან და არა-სამთავრობო ორგანიზაციებთან, როლებიც წარმოადგენენ ქალების სხვადასხვა ჯგუფებს, განსაკუთრებით რეკომენდებულია.

35. კომიტეტი ყურადღებას აქცევს და იმეორებს მის ზოგად რეკომენდაციას #9-ს, რომელიც ეხება სტატისტიკურ მონაცემებს ქალების სიტუაციის შესახებ და რეკომენდაციას უწევს, რომ წევრმა ქვეყნებმა უზრუნველყონ სტატისტიკური მონაცემები, რომელიც დაშლილი იქნება სქესის მიხედვით, რათა გაიზომოს ქალების დეფაქტო ან ფუნდამენტური თანასწორობის პროგრესის

მიღწევები და დროებითი სპეციალური ზომების ეფექტურობა.

36. წევრმა ქვეყნებმა ანგარიში უნდა წარადგინონ სხვადასხვა სფეროებში მიღებული დროებითი სპეციალური ზომების შესახებ კონვენციის შესაბამისი მუხლ(ებ)ის შესაბამისად. კონკრეტული მუხლების მიხედვით ანგარიშის წარდგენა უნდა მოიცავდეს მითითებებს კონკრეტულ მიზნებსა და სამიზნეებზე, გრაფიკზე და კონკრეტული ზომების შერჩევის მიზეზებზე, საფეხურებს ქალებისათვის, რომ საშუალება მიეცეთ ჰქონდეთ დაშვება ამგვარ ზომებზე და დაწესებულებას, რომელიც პასუხისმგებელი იქნება დანერგვასა და პროგრესზე. წევრ ქვეყნებს ასევე მოეთხოვებათ, რომ აღწერონ, რამდენ ქალზე ახდენს ზემოქმედებას ზომები, რამდენი მიიღებდა დაშვებას და მონაწილეობას მიიღებდა კონკრეტულ სფეროში დროებით სპეციალური ზომის გამო, ასევე რესურსებისა და ძალის რაოდენობა, რომლის გადანაწილებას გეგმავს ის და კონკრეტულად რამდენ ქალზე ამ დროის განმავლობაში.
37. კომიტეტი იმეორებს მის ზოგად რეკომენდაციებს 5, 8 და 23, სადაც ის იძლევა დროებითი სპეციალური ზომების გამოყენების რეკომენდაციას განათლების, ეკონომიკის, პოლიტიკისა და დასაქმების სფეროებში, სფეროში, სადაც ქალები წარმოდგენენ მათ ხელისუფლებას საერთაშორისო დონეზე და მონაწილეობენ საერთაშორისო ორგანიზაციების სამუშაოში და პოლიტიკური და საჯარო ცხოვრების სფეროში. წევრმა ქვეყნებმა უნდა გააძლიერონ, მათი ეროვნული კონტექსტის ფარგლებში, ასეთი ძალისხმევა, განსაკუთრებით განათლების ყველა ასპექტში ყველა დონეზე, ისევე როგორც სწავლების ყველა ასპექტი და დონე, დასაქმება და წარმოდგენა საჯარო და პოლიტიკურ ცხოვრებაში. კომიტეტი გვახსენებს, რომ ყველა ინსტანციაში, განსაკუთრებით ჯანმრთელობის სფეროში, წევრმა ქვეყნებმა ფრთხილად უნდა განსაზღვრონ თითოეულ სფეროში მიმდინარე და პერმანენტული და დროებით ბუნების ზომები.
38. წევრ ქვეყნებს შეახსენებენ, რომ დროებით სპეციალური ზომები მიღებულ უნდა იქნას კულტურული პრაქტიკისა და სტერეოტიპული მიდგომებისა და ქცევების მოდიფიკაციისა და აღმოფხვრის დასაჩქარებლად, რომლებიც არის დისკრიმინაციული ან არასახარბიელო ქალებისათვის. დროებით სპეციალური ზომები ასევე დანერგილ უნდა იქნას კრედიტებისა და

სესხების, სპორტის, კულტურისა და რეკრეაციის და სამართლებრივი გათვითცნობიერებულობის სფეროებში. სადაც აუცილებელია, ასეთი ზომები მიმართულ უნდა იქნას ქალების მიმართ, რომლებიც აღმოჩნდნენ მრავალმხრივი დისკრიმინაციის მსხვერპლნი, განსაკუთრებით, სოფლად მცხოვრები ქალები.

39. მიუხედავად იმისა, რომ დროებითი სპეციალური ზომები შეიძლება ვერ იქნას გამოყენებული კონვენციის ყველა მუხლის მიხედვით, კომიტეტი რეკომენდაციას უწევს, რომ მათი მიღება გათვალისწინებულ უნდა იქნას, როდესაც ერთი მხრივ, თანასწორი მონაწილეობის დაშვების დაჩქარების და მეორე მხრივ, ძალაუფლებისა და რესურსების გადანაწილების დაჩქარების საკითხები იქნება ჩართული, ასევე, როდესაც შესაძლებელი იქნება იმის ჩვენება, რომ ეს ზომები იქნება აუცილებელი და ყველაზე შესაფერისია კონკრეტული პირობების დროს.

VII. ზოგადი რეკომენდაცია № 26

შრომითი მიგრანტი ქალები¹

მიღებულია: 2008 წელს, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის 42-ე სხდომაზე

შესავალი

1. ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტმა (კომიტეტი) დაადასტურა რა, რომ მიგრანტი ქალები, ყველა ქალის მსგავსად არ უნდა განიცდიდნენ დისკრიმინაციას მათი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში, გადანაცვითა მის ოცდამეთორმეტე სესიაზე (2005 წლის იანვარი) ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის 21-ე მუხლის შესაბამისად (კონვენცია), გასცეს ზოგადი რეკომენდაცია მიგრანტი ქალების გარკვეულ კატეგორიასთან დაკავშირებით, რომლებიც შეიძლება აღმოჩნდნენ ძალადობისა და დისკრიმინაციის რისკის ქვეშ.²
2. ამ ზოგადი რეკომენდაციის მიზანია თავისი წვლილი შეიტანოს წევრი სახელმწიფოების ვალდებულებების შესრულებაში, რათა პატივი სცეს, დაიცვას და შეასრულოს შრომითი მიგრანტი ქალების უფლებები სხვა ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ სამართლებრივ ვალდებულებებთან, ასევე მსოფლიო კონფერენციების სამოქმედო გეგმების თანახმად ნაკისრ ვალდებულებებთან და მიგრაციაზე ორიენტირებული სახელშეკრულებო ორგანოების, განსაკუთრებით ყველა შრომითი მიგრანტისა და მათი ოჯახის წევრების უფლებების დაცვის კომიტეტის მნიშვნელოვან სამუშაოსთან ერთად.³ მიუხედავად იმისა, რომ კომიტეტი აღნიშნავს, რომ საერთაშორისო კონვენცია ყველა შრომითი მიგრანტისა და მათი ოჯახის წევრების უფლებების დაცვის შესახებ იცავს ადამიანებს, მათ შორის მიგრანტ ქალებს მათი მიგრაციის სტატუსის საფუძველზე, კონვენცია ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ იცავს ყველა ქალს, მათ შორის მიგრანტ ქალებს სქესისა და გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, რომ მიგრაცია წარმოადგენს ახალ შესაძლე-

1 კომიტეტი აღიარებს ყველა შრომითი მიგრანტის და მათი ოჯახის წევრების უფლებების დაცვის კომიტეტის წვლილს რეკომენდაციის მომზადებისას.

2 ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი აღიარებს და ცდილობს დაეყრდნოს მნიშვნელოვან სამუშაოს მიგრანტთა უფლებებთან დაკავშირებით, რომელიც განახორციელებს ადამიანის უფლებათა დაცვის სხვა სახელშეკრულებო ორგანოებმა, სპეციალურმა მომსახურებელმა მიგრანტების უფლებების შესახებ, გაეროს განვითარების ფონდმა ქალთა ინტერესების დასაცავად, განყოფილებამ ქალთა წინსვლასთან დაკავშირებით, კომისიამ ქალთა სტატუსის შესახებ, გენერალურმა ასამბლეამ და ქვეკომისიამ ადამიანის უფლებათა ხელშეწყობისა და დაცვის შესახებ. კომიტეტი ასევე მიმართავს თავის ადრინდელ ზოგად რეკომენდაციებს, როგორცაა ზოგადი რეკომენდაცია N 9 ქალთა მდგომარეობის შესახებ სტატისტიკური მონაცემების შეგროვებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით ზოგადი რეკომენდაცია N 12 ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ, ზოგადი რეკომენდაცია N 13 თანაბარი ღირებულების სამუშაოსთვის თანაბარი ანაზღაურების შესახებ, ზოგადი რეკომენდაცია N 15 ქალთა მიმართ დისკრიმინაციის თავიდან აცილების შესახებ ეროვნულ სტრატეგიებში, შექმნილი იმუნოდეფიციტის სინდრომის პრევენციისა და კონტროლთან დაკავშირებით (მიდსი), ზოგადი რეკომენდაცია N 19 ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ და ზოგადი რეკომენდაცია N 24 ქალებისთვის ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის შესახებ, ისევე როგორც წევრი სახელმწიფოების ანგარიშების განხილვისას კომიტეტის მიერ გაკეთებული შემაჯამებელი კომენტარები.

3 ხელშეკრულებებისა და კონვენციების გარდა ასევე გამოიყენება ქვემოთ მოცემული პროგრამები და სამოქმედო გეგმები. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ვენის დეკლარაცია და 1993 წლის ადამიანის უფლებათა მსოფლიო კონფერენციის მიერ დამტკიცებული სამოქმედო პროგრამა (ნაწილი II, პარ. 33 და 35). ქაიროს საერთაშორისო კონფერენციის სამოქმედო პროგრამა მოსახლეობისა და განვითარების შესახებ (თავი X). მსოფლიო სამიტის სამოქმედო პროგრამა სოციალური განვითარების შესახებ (თავ. 3). პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა, მეოთხე მსოფლიო კონფერენცია ქალების შესახებ, მსოფლიო კონფერენცია რასიზმის, რასობრივი დისკრიმინაციის, ქსენოფობიისა და მასთან დაკავშირებული შეუწყნარებლობის შესახებ 2001 წლის აგვისტო-სექტემბერი, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სამოქმედო გეგმა შრომითი მიგრანტების შესახებ, 2004.

ბლობებს ქალებისთვის და შეიძლება იყოს მათი ეკონომიკური გაძლიერების საშუალება ფართო მონაწილეობის მეშვეობით, მან ასევე შეიძლება დააყენოს მათი უფლებები და უსაფრთხოება რისკის ქვეშ. აქედან გამომდინარე, ამ ზოგადი რეკომენდაციის მიზანია შეიმუშავოს გარემოებები, რომელიც ხელს შეუწყობს ბევრი შრომითი მიგრანტი ქალის განსაკუთრებულ დაუცველობას და მათ გამოცდილებებს სქესისა და გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის თვალსაზრისით, რაც წარმოადგენს მათი უფლებების დარღვევის მიზეზს და შედეგს.

3. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო უფლებამოსილია გააკონტროლოს თავიანთი საზღვრები და დაარეგულიროს მიგრაცია, მათ უნდა გააკეთონ ეს თავიანთი ვალდებულებების სრული დაცვით, როგორც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებების მხარეებმა, რომლის რატიფიცირება მათ მოახდინეს, ისევე როგორც მასთან მიერთება. ეს მოიცავს უსაფრთხო მიგრაციის პროცედურების ხელშეწყობას და ვალდებულებას, პატივი სცენ, დაიცვან და შეასრულონ ქალთა უფლებები მიგრაციის მთელი ციკლის განმავლობაში. ამ ვალდებულებების შესრულება უნდა მოხდეს შრომითი მიგრანტი ქალების სოციალური და ეკონომიკური წვლილის აღიარებით საკუთარ ქვეყანაში და დანიშნულების ქვეყნებში, მათ შორის მოვლისა და შიდა სამუშაოების მეშვეობით.

4. კომიტეტი აღიარებს, რომ მიგრანტი ქალები შეიძლება დაიყოს სხვადასხვა კატეგორიებად, რომელიც უკავშირდება ფაქტორებს, რაც იწვევს იძულებით მიგრაციას, მიგრაციის მიზანს და დარჩენის ვადას, რისკის და ცუდი მოპყრობის წინაშე დაუცველობას და მათ სტატუსს იმ ქვეყანაში, სადაც მოხდა მათი მიგრაცია და მათ უფლებას მოქალაქეობის მისაღებად. კომიტეტი ასევე აღიარებს, რომ ეს კატეგორიები რჩება მიმდინარე და ნაწილობრივ თანმხვედრი და ამიტომ ზოგჯერ რთულია მკაფიო გამიჯვნის გაკეთება სხვადასხვა კატეგორიებს შორის. ამდენად, წინამდებარე ზოგადი რეკომენდაცია შემოიფარგლება შემდეგი კატეგორიის მიგრანტი ქალების მდგომარეობის განხილვით რომლებიც, როგორც მუშაკები, დასაქმებულები არიან დაბალანაზღაურებად სამუშაოზე და შეიძლება აღმოჩნდნენ ძალადობისა და დისკრიმინაციის მაღალი რისკის წინაშე და ვინც შეიძლება ვედარასოდეს მოიპოვის მუდმივი დარჩენის ან მოქალაქეობის უფლება

დასაქმების ქვეყანაში მყოფი პროფესიული შრომითი მიგრანტებისაგან განსხვავებით. როგორც ასეთი, ხშირ შემთხვევაში, მათ არ დაიცავს შესაბამისი ქვეყნის კანონი, არც დე-იურე და დე-ფაქტო დონეზე. შრომითი მიგრანტი ქალების ამ კატეგორიაში შედიან:⁴

- (ა) შრომითი მიგრანტი ქალები, ვინც მიდის მიგრაციაში დამოუკიდებლად;
 - (ბ) შრომითი მიგრანტი ქალები, ვინც შეუერთდა თავის მეუღლეებს და ოჯახის სხვა წევრებს, რომლებიც ასევე არიან მუშაკები;
 - (გ) საბუთების არმქონე⁵ შრომითი მიგრანტი ქალები, ვინც შეიძლება მოხვდეს ნებისმიერ შემთხვევაში კატეგორიაში.
- თუმცა კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მიგრანტი ქალების ყველა კატეგორია შედის კონვენციის ნევრი სახელმწიფოების ვალდებულებების მოქმედების ფარგლებში და დაცული უნდა იყოს ყველა ფორმის დისკრიმინაციისაგან კონვენციის თანახმად.
5. მამაკაცებისა და ქალების მიგრაციის მიუხედავად, მიგრაცია არ არის გენდერულად ნეიტრალური ფენომენი. მიგრანტი ქალების

4 ეს ზოგადი რეკომენდაცია ეხება მხოლოდ მიგრანტი ქალების სამუშაოსთან დაკავშირებულ მდგომარეობას. მიუხედავად იმ რეალობისა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში შრომითი მიგრანტი ქალები შეიძლება გახდნენ ტრეფიკინგის მსხვერპლი დაუცველობის სხვადასხვა ხარისხის გამო, რომელსაც ისინი აწყდებიან, ეს ზოგადი რეკომენდაცია არ განიხილავს გარემოებებს, რომლებიც დაკავშირებულია ტრეფიკინგთან. ტრეფიკინგის ფენომენი რთულია და საჭიროებს უფრო მიზანმიმართულ ყურადღებას. კომიტეტი მიიჩნევს, რომ ეს ფენომენი შეიძლება იყოს უფრო სრულყოფილად განხილული კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, რომელიც ავალდებულებს ნევრი სახელმწიფოებს “მიიღონ ყველა შესაბამისი ზომა, საკანონმდებლო ზომების ჩათვლით, რათა აღკვეთონ ქალებით ვაჭრობის ყველა ფორმა და ქალების პროსტიტუციის ექსპლუატაცია”. თუმცა კომიტეტი ხაზს უსვამს, რომ წინამდებარე ზოგადი რეკომენდაციის ბევრი ელემენტი ასევე მნიშვნელოვანია იმ სიტუაციებში, სადაც მიგრანტი ქალები აღმოჩნდნენ ტრეფიკინგის მსხვერპლი.

5 საბუთების არმქონე მშრომელები არიან ის მშრომელი მიგრანტები, რომლებსაც არ გააჩნიათ მოქმედი ბინადრობის ან მუშაობის ნებართვა. არსებობს ბევრი გარემოება, რომლის პირობებშიც ეს შეიძლება მოხდეს. მაგალითად, არაკეთილსინდისიერ აგენტებს შეუძლიათ მათ მისცენ ყალბი დოკუმენტები ან ისინი შეიძლება შევიდნენ ქვეყანაში მოქმედი მუშაობის ნებართვით, მაგრამ შეიძლება შემდგომში დაკარგონ ის, რადგან დამსაქმებელს შეუძლია თვითნებურად შეწყვიტოს მათი მომსახურება, ან გახდეს საბუთების არმქონე, რადგან დამსაქმებელს შეუძლია ჩამოართვას მათ პასპორტები. ზოგჯერ მშრომელები შეიძლება უფრო დიდხანს დარჩნენ მუშაობის ნებართვის ვადის ამოწურვის შემდეგ და შევიდნენ ქვეყანაში მოქმედი საბუთებით.

პოზიცია განსხვავდება მიგრანტი მამაკაცების პოზიციისაგან კანონიერი მიგრაციის არხების, სექტორის, სადაც ისინი ახდენენ მიგრაციას, მათ მიერ განცდილი ძალადობის ფორმების და გამომდინარე შედეგების თვალსაზრისით. ქალებზე ზემოქმედების კონკრეტული გზების გასაცნობიერებლად შესწავლილი უნდა იქნას ქალთა მიგრაცია გენდერული უთანასწორობის თვალსაზრისით, ტრადიციული მდებარეობითი როლები, გენდერული შრომის ბაზარი, გენდერზე ორიენტირებული ძალადობის საყოველთაო გავრცელება და სიღარიბის და შრომითი მიგრაციის მსოფლიო ფემინიზაცია. ამიტომ, გენდერული ასპექტების ინტეგრაცია არის აუცილებელი ქალი მიგრანტების პოზიციის ანალიზისა და პოლიტიკის განვითარებისთვის დისკრიმინაციასთან, ექსპლუატაციასა და ძალადობასთან საბრძოლველად.

ადამიანის უფლებებისა და გენდერული თანასწორობის პრინციპების გამოყენება

6. ყველა შრომით მიგრანტ ქალს აქვს უფლება ისარგებლოს ადამიანის უფლებების დაცვით, რომელიც გულისხმობს სიცოცხლის უფლებას, პირადი თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლებას, ასევე უფლებას, რომ არ აწამონ, იყოს თავისუფალი დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობისაგან, იყოს თავისუფალი დისკრიმინაციისაგან სქესის, რასის, ეროვნების, კულტურული თავისებურებების, ენის, რელიგიის ან სხვა სტატუსის საფუძველზე, უფლებას იყოს თავისუფალი სიღარიბისგან, ადექვატური ცხოვრების უფლებას, კანონის წინაშე თანასწორობის უფლებას და კანონის სათანადო პროცესებით სარგებლობის უფლებას. ეს უფლებები უზრუნველყოფილია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში და ადამიანის უფლებათა ბევრ ხელშეკრულებაში, რომელიც რატიფიცირებულია ან რომელსაც მიუერთდნენ გაეროს წევრი სახელმწიფოები.
7. შრომით მიგრანტ ქალებს ასევე აქვთ უფლება ისარგებლონ დისკრიმინაციისგან დაცვით კონვენციის საფუძველზე, რომელიც მოითხოვს წევრი სახელმწიფოებისაგან მიიღონ ყველა შესაბამისი ზომა დაყოვნების გარეშე, რათა აღმოფხვრან ქალთა მიმართ ყველა ფორმის

დისკრიმინაცია და უზრუნველყონ, რომ მათ შეძლონ განახორციელონ და ისარგებლონ დეიურე და დე-ფაქტო უფლებებით ყველა სფეროში მამაკაცებთან თანაბარ საფუძველზე.

ფაქტორები, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ ქალთა მიგრაციაზე

8. ქალები შეადგენენ მსოფლიოს მიგრანტი მოსახლეობის დაახლოებით ნახევარს. სხვადასხვა ფაქტორები, როგორცაა გლობალიზაცია, ახალი შესაძლებლობების ძიების მცდელობა, სიღარიბე, გენდერული კულტურული პრაქტიკა და გენდერული ძალადობა წარმოშობის ქვეყნებში, სტიქიური უბედურებები ან ომები და შიდა სამხედრო კონფლიქტები, განსაზღვრავს ქალთა მიგრაციას. ეს ფაქტორები ასევე მოიცავს შრომის ქვედანაყოფების გამწვავებას სქესობრივი ნიშნით ფორმალურ და არაფორმალურ წარმოებაში და მომსახურების სფეროში დანიშნულების ქვეყნებში, ისევე, როგორც მამაკაცებზე ორიენტირებული გართობის კულტურას, რომელიც ქმნის მოთხოვნას ქალებზე, როგორც გამართობებზე. ქალების რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა, რომლებიც მართო მიდიან მიგრაციაში, როგორც დაქირავებული მუშა-ხელი, ფართოდ აღინიშნება, როგორც ამ ტენდენციის ნაწილი.

სქესისა და გენდერული ნიშნით ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული პრობლემები მიგრანტ ქალებთან მიმართებაში

9. იმის გამო, რომ მიგრანტი ქალების უფლებების დარღვევა დაფიქსირდა წარმოშობის ქვეყანაში, სატრანზიტო და დანიშნულების ქვეყნებში, ეს ზოგადი რეკომენდაცია განიხილავს სამივე სიტუაციას, რათა ხელი შეუწყოს კონვენციის გამოყენებას, შემდგომში შრომითი მიგრანტი ქალების უფლებების და ქალებისა და მამაკაცების არსებითი თანასწორობის წინსვლას მათი ცხოვრების ყველა სფეროში. ის ასევე იხსენებს, რომ მიგრაცია არსებითად გლობალური მოვლენაა, რომელიც მოითხოვს ქვეყნებს შორის თანამშრომლობას მრავალმხრივ, ორმხრივ და რეგიონულ დონეზე.

წარმოშობის ქვეყანაში გამგზავრებამდე⁶

10. სახლის დატოვებამდეც კი შრომითი მიგრანტი ქალების წინაშე წარმოიქმნება ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული უამრავი პრობლემა, მათ შორის სრული აკრძალვა და შეზღუდვები ქალთა მიგრაციასთან მიმართებაში სქესის საფუძველზე ან ასაკის, ოჯახური მდგომარეობის, ორსულობის ან მშობიარობის სტატუსის გამო, ასევე ოკუპაციისთვის დამახასიათებელი შეზღუდვები და მოთხოვნები, რომელიც გულისხმობს, რომ ქალებმა უნდა მიიღონ წერილობითი ნებართვა მამრობითი სქესის ნათესავებისგან, რათა აიღონ პასპორტი გამგზავრების ან მიგრაციის მიზნით. ზოგჯერ შესაძლოა მოხდეს ქალების დაყოვნება დამსაქმებელი აგენტების მიერ გამგზავრებისთვის მოსამზადებელი ტრენინგისთვის, რომლის დროსაც ისინი შეიძლება აღმოჩნდნენ ფინანსური, ფიზიკური, სექსუალური და ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი. ქალები შეიძლება ასევე დაზარალებულნი იყოს მიგრაციის შესახებ განათლების, ტრენინგის და სანდო ინფორმაციის შეზღუდული ხელმისაწვდომობიდან გამომდინარე შედეგების გამო, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს გაზრდილი დაუცველობა დამსაქმებლებთან მიმართებაში. დამსაქმებელმა აგენტებმა შესაძლოა დააკისრონ ქალებს ექსპლუატატორული მოსაკრებლები, რაც ზოგჯერ წარმოშობს დიდ ფინანსურ სირთულეებს მათთვის, ვისაც როგორც წესი, გააჩნიათ ნაკლები აქტივები, ვიდრე მამაკაცებს, და ხდის ქალებს უფრო დამოკიდებულს, მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ მათ სჭირდებათ თანხის სესხება ოჯახისგან, მეგობრებისგან, ან გამსესხებლებისგან მევახშური პროცენტით.

6 მე-10 და მე-11 პარაგრაფები აღწერს ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ პრობლემებს სქესთან და გენდერთან მიმართებაში, რომლებიც წარმოიქმნება ქალების წინაშე მათი წარმოშობის ქვეყანაში, ისევე როგორც გამგზავრებამდე, ასევე დაბრუნებისას. ტრანზიტთან და საზღვარგარეთ ცხოვრებასთან დაკავშირებული პრობლემები განხილულია მე-12 პარაგრაფიდან 22-ე პარაგრაფამდე. ეს პარაგრაფები არის საილუსტრაციო და სულაც არ ნიშნავს, რომ ამომწურავია. აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულმა გარკვეულმა პრობლემებმა, რომლებიც აქ არის აღწერილი, შეიძლება განაპირობოს ქალის გადაწყვეტილება არა-ნებაყოფლობით მიგრაციაში წასვლასთან დაკავშირებით შესაბამისი საერთაშორისო სამართლის შესაბამისად; ასეთ შემთხვევაში, უნდა მივმართოთ ამ ნორმებს.

წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნებისას

11. შრომით მიგრანტ ქალებს შესაძლოა წარმოექმნათ სქესისა და გენდერულ საფუძველზე დისკრიმინაციასთან დაკავშირებული პრობლემები, მათ შორის, დაბრუნებული ქალების სავალდებულო შემოწმება აივ-ინფექციასა და შიდსზე, დაბრუნებული ახალგაზრდა ქალების მორალური „რეაბილიტაცია“ და გაზრდილი პირადი და სოციალური ხარჯები მამაკაცებთან შედარებით, გენდერზე ორიენტირებული სათანადო მომსახურების გარეშე. მაგალითად, მამაკაცები შეიძლება დაუბრუნდნენ სტაბილურ ოჯახურ მდგომარეობას, ხოლო დაბრუნებისას ქალები შეიძლება აღმოჩნდნენ ოჯახის დაშლის საშიშროების წინაშე და მათი სახლში არყოფნა განიხილება, როგორც ასეთი დაშლის გამომწვევი მიზეზი. ასევე შეიძლება წარმოიშვას ექსპლუატატორული დამსაქმებელი აგენტებისაგან რეპრესიების წინააღმდეგ დაცვის ნაკლებობის პრობლემა.

ტრანზიტის ქვეყნებში

12. შრომით მიგრანტ ქალებს შესაძლოა შეექმნათ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული სხვადასხვა პრობლემები უცხო ქვეყნებში ტრანზიტით ყოფნისას. აგენტთან და ესკორტთან ერთად მგზავრობისას ქალი მიგრანტები შეიძლება მიტოვებული იქნან, თუ აგენტს შეექმნება პრობლემა ტრანზიტის დროს ან დანიშნულების ქვეყანაში ჩასვლისას. ქალები ასევე დაუცველნი არიან სექსუალური და ფიზიკური შეურაცხყოფის წინაშე აგენტების და ესკორტის მხრიდან ტრანზიტის ქვეყნებში მოგზაურობისას.

დანიშნულების ქვეყნებში

13. მას შემდეგ, რაც ისინი მიაღწევენ თავიანთი დანიშნულების ადგილებს, შრომითი მიგრანტი ქალები შეიძლება აღმოჩნდნენ მრავალი ფორმის დე იურე და დე ფაქტო დისკრიმინაციის წინაშე. არსებობს ქვეყნები, რომელთა მთავრობები ზოგჯერ აწესებენ შეზღუდვებს და აკრძალვებს ქალთა დასაქმებასთან დაკავშირებით კონკრეტულ სფეროებში. ნებისმიერ შემთხვევაში, შრომითი მიგრანტი ქალების წინაშე დგას დამატებითი რისკები მამაკაცებთან შედარებით, რადგან გენდერულად გულგრილი გარემო, რომელიც კრძალავს ქალების მობილობას, და აძლევს

მათ თავიანთი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ შესაბამისი ინფორმაციის შეზღუდულ ხელმისაწვდომობას. ქალებისთვის შესაფერისი სამუშაოს გენდერული გაგება განაპირობებს სამუშაო ადგილების შექმნას, რომელიც ასახავს ოჯახურ და სამსახურებრივ ფუნქციებს, რომელსაც მიაკუთვნებენ ქალებს ან, რომელიც არის არაფორმალურ სექტორში. ასეთ პირობებში, პროფესიები, რომელშიც ქალები დომინირებენ, არის კერძოდ, საოჯახო საქმე და გართობის რამდენიმე სახე.

14. გარდა ამისა, დანიშნულების ქვეყნებში, ასეთი პროფესიები შეიძლება გამოირიცხოს სამუშაოს სამართლებრივი განმარტებებიდან და ამით ჩამოართვას ქალებს სხვადასხვა სამართლებრივი დაცვა. ასეთი პროფესიების დროს მიგრანტ ქალებს ექმნებათ პრობლემები სავალდებულო კონტრაქტების მიღებასთან დაკავშირებით სამუშაოს ვადებთან და პირობებთან მიმართებაში, რაც იწვევს ზოგჯერ უფრო ხანგრძლივი დროით მუშაობას ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების გარეშე. გარდა ამისა, შრომითი მიგრანტი ქალები ხშირად აღმოჩნდებიან გადაძვეთი დისკრიმინაციის წინაშე, განიცდიან არა მხოლოდ სქესობრივ და გენდერულ დისკრიმინაციას, არამედ ასევე ქსენოფობიას და რასიზმს. დისკრიმინაცია რასაზე, ეთნიკურობაზე, კულტურულ თავისებურებებზე, ეროვნებაზე, ენაზე, რელიგიაზე ან სხვა სტატუსზე დაყრდნობით, შეიძლება გამოიხატოს სქესობრივი და გენდერული გზებით.
15. სქესის და გენდერის საფუძვლით დისკრიმინაციის გამო, შრომითი მიგრანტი ქალები შეიძლება ნაკლებ ხელფასს ღებულობდნენ, ვიდრე მამაკაცები, ან საერთოდ არ ღებულობდნენ ხელფასს, ან ხდება გადახდა, რომლებიც აგვიანებს გამგზავრებამდე, ან ხელფასები ირიცხება ანგარიშებზე, რომლებიც მიუწვდომელია მათთვის. მაგალითად, ადგილობრივი მუშაკების დამსაქმებლებს ხშირად შეაქვთ მუშაკის ხელფასი ანგარიშზე დამჭირავებლის სახელით. თუ ქალსაც და მის მეუღლესაც, ორივეს აქვს მუშაკის სტატუსი, ქალის ხელფასის გადახდა შესაძლებელია მისი მეუღლის ანგარიშზე. მუშაკებს, რომლებიც დასაქმებულები არიან ისეთ სექტორში, სადაც დომინირებენ ქალები, დაუშვებელია აუნაზღაურონ ყოველკვირეული დასვენების და ეროვნული დღესასწაულების დღეები. ან, თუ მათ მძიმე ტვირთად ადევთ დასაქმების გადასახადიდან გამომდინარე ვალი, შრომითი მიგრანტ ქალებს არ შეუძლიათ დატოვონ შეუ-

რაცხმყოფელი სიტუაციები, რადგან მათ სხვა გზა არ აქვთ ვალის დასაფარავად. ასეთი დარღვევების წინაშე შეიძლება, რა თქმა უნდა, აღმოჩნდნენ არა-მიგრანტი ადგილობრივი ქალები მსგავს სამუშაო ადგილებზე, სადაც დომინირებენ ქალები. თუმცა, არა-მიგრანტ ადგილობრივ ქალებს აქვთ უკეთესი სამუშაო მობილურობა. მათ აქვთ არჩევანი, თუმცა შეზღუდული, დატოვონ რეპრესიული სამუშაო სიტუაცია და იპოვონ სხვა სამუშაო, ხოლო ზოგიერთ ქვეყანაში, შრომითი მიგრანტი ქალი შეიძლება აღმოჩნდეს უსაბუთოდ, როგორც კი ის დატოვებს თავის სამუშაოს. არა-მიგრანტ ადგილობრივ მუშაკ ქალებს შეიძლება, უფრო მეტიც, ჰქონდეთ გარკვეული ეკონომიკური დაცვა ოჯახის მხარდაჭერის მეშვეობით, თუ ისინი არიან უმუშევრები, ხოლო მიგრანტ ქალებს ვერ ექნებათ ასეთი დაცვა. ამგვარად შრომითი მიგრანტი ქალები დგანან რისკების წინაშე სქესის და გენდერის, ისევე როგორც მათი მიგრანტის სტატუსის საფუძველზე.

16. შრომითმა მიგრანტმა ქალებმა შეიძლება ვერ შეძლონ დანაზოგების საიმედოდ შენახვა და გადაცემა რეგულარული არხების მეშვეობით იზოლაციის (შიდა მუშაკებისთვის), რთული პროცედურების, ენის ბარიერების, ან მაღალი საოპერაციო ხარჯების გამო. ეს არის დიდი პრობლემა, რადგან, ზოგადად ისინი ნაკლებს გამოიმუშავენ, ვიდრე მამაკაცები. ქალები შეიძლება დამატებით აღმოჩნდნენ ოჯახური ვალდებულებების წინაშე, რაც გულისხმობს მთელი თავიანთი შემოსავლის გადარიცხვას თავიანთი ოჯახის წევრებისთვის იმ ხარისხით, რომელიც შესაძლოა არ არის მოსალოდნელი მამაკაცებისგან. მაგალითად, მართხელა/დაუქორწინებელი ქალისგან შესაძლოა ელოდნენ შორეული ნათესავების დახმარებასაც.
17. შრომითი მიგრანტი ქალები ხშირად ბარალდებიან არსებული უთანასწორობის გამო, რომელიც საფრთხეს უქმნის მათ ჯანმრთელობას. მათ შეიძლება ვერ შეძლონ მიიღონ ჯანდაცვის მომსახურება, მათ შორის, რეპროდუქციული ჯანმრთელობის მომსახურება, რადგან სადაზღვევო ან ჯანდაცვის ეროვნული სქემები არ არის ხელმისაწვდომი მათთვის, ან მათ შეიძლება მოუწიოთ ძალიან ძვირი გადასახადის გადახდა. რადგან ქალების ჯანმრთელობის საჭიროებები განსხვავდება მამაკაცების საჭიროებებისგან, ეს ასპექტი მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას. ისინი ასევე შესაძლოა დაზარალდნენ სამსახურში

მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმების ან სამსახურსა და საცხოვრებელ ადგილს შორის უსაფრთხო მგზავრობისთვის აუცილებელი პირობების არარსებობის გამო. იქ, სადაც ხდება საცხოვრებელი უზრუნველყოფა, განსაკუთრებით ქალური პროფესიების შემთხვევაში, როგორცაა ქარხანა, ფერმა ან საოჯახო საქმე, საცხოვრებელი პირობები შეიძლება იყოს ცუდი და შემჭიდროვებული. არ იყოს წყალი და შესაბამისი სანიტარული პირობები, ან არ ჰქონდეთ განმარტობის და ჰიგიენის დაცვის საშუალება. შრომით მიგრანტ ქალებს ზოგჯერ უწევთ დისკრიმინაციული სავალდებულო აივინფექციის / შიდსის შემონქმების ან სხვა ინფექციების მიმართ შემონქმების გავლა მათი თანხმობის გარეშე, რასაც მოჰყვება შემონქმების შედეგების მიწოდება აგენტებისა და დამსაქმებლებისთვის, და არა თავად მუშაკისთვის. ამან შეიძლება გამოიწვიოს სამუშაოს დაკარგვა ან დეპორტაცია, თუკი შემონქმების შედეგები აღმოჩნდება დადებითი.

18. დისკრიმინაცია შეიძლება იყოს განსაკუთრებით მწვავე ორსულობასთან დაკავშირებით. შრომით მიგრანტ ქალებს შესაძლოა მოუწიოთ სავალდებულო ორსულობის ტესტების გავტება, რასაც მოჰყვება დეპორტაცია, თუ ტესტი დადებითია; იძულებითი აბორტი ან უსაფრთხო რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და აბორტის მომსახურების ხელმისაწვდომობის არარსებობა, როდესაც დედის ჯანმრთელობა არის რისკის ქვეშ, ან თუნდაც სექსუალური ძალადობის შემდეგ; არარსებობა, ან არაადეკვატურობა, დეკრეტული შვებულება და შეღავათები და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურების არარსებობა, რაც იწვევს ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ სერიოზულ რისკებს. შრომითი მიგრანტი ქალები შეიძლება ასევე აღმოჩნდნენ სამსახურიდან გათავისუფლების სამიშროების წინაშე ორსულობის გამოვლენის საფუძველზე, რაც ხშირად იწვევს არარეგულარულ საიმომიგრაციო სტატუსს და დეპორტაციას.

19. შრომით მიგრანტ ქალებს შეიძლება შეექმნათ განსაკუთრებით არახელსაყრელი პირობები ქვეყანაში დარჩენასთან დაკავშირებით. ისინი ზოგჯერ ვერ სარგებლობენ ოჯახის გამოღიანების პროგრამებით, რომლებიც შეიძლება არ გავრცელდეს მუშაკებზე, რომლებიც მუშაობენ ისეთ სექტორებში, სადაც დომინირებენ ქალები, როგორცაა ოჯახებში ან გართობის სექტორში მომუშავე ქალები. დასაქმების ქვეყანაში

ნაში დარჩენის ნებართვა შეიძლება მკაცრად შეიზღუდოს, განსაკუთრებით ოჯახებში მომუშავე შრომითი მიგრანტი ქალებისთვის, როდესაც იწურება კონკრეტული დროით გაფორმებული კონტრაქტების ვადა ან წყდება დამსაქმებლის ახირების გამო. თუ ისინი კარგავენ საიმომიგრაციო სტატუსს, შეიძლება აღმოჩნდნენ უფრო დაუცველები ძალადობის წინაშე დამსაქმებლის ან სხვების მხრიდან, რომელთაც სურთ ბოროტად გამოიყენონ სიტუაცია. თუ ისინი დააკავეს, შესაძლოა აღმოჩნდნენ ძალადობის მსხვერპლი დაკავების ცენტრებში მომუშავე თანამდებობის პირების მხრიდან.

20. შრომითი მიგრანტი ქალები უფრო მეტად დაუცველნი არიან სექსუალური ძალადობის, სექსუალური შევიწროების და ფიზიკური ძალადობის წინაშე, განსაკუთრებით ისეთ სექტორებში, სადაც ქალები დომინირებენ. ოჯახებში მომუშავე ქალები განსაკუთრებით დაუცველნი არიან ფიზიკური და სექსუალური ძალადობის წინაშე, ისინი განიცდიან საკვების და ძილის ნაკლებობას და სისასტიკეს დამსაქმებლების მხრიდან. შრომითი მიგრანტი ქალების სექსუალური ძალადობა სხვა სამუშაო გარემოში, როგორცაა ფერმები და სამრეწველო სექტორი, წარმოადგენს პრობლემას მთელ მსოფლიოში (იხილეთ E/CN.4/1998/74/Add.1). შრომითი მიგრანტი ქალები, რომლებიც მიდიან მიგრაციაში, როგორც შრომითი მიგრანტი მამაკაცების მეუღლეები ან ოჯახის წევრებთან ერთად ეჯახებიან ოჯახური ძალადობის დამატებით რისკს მათი მეუღლეების და ნათესავების მხრიდან, თუკი ისინი წარმოადგენენ ისეთ კულტურას, რომელიც დიდად აფასებს მორჩილ ქალთა როლს ოჯახში.

21. მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა შეიძლება შეიზღუდოს შრომითი მიგრანტი ქალებისთვის. ზოგიერთ ქვეყანაში შეზღუდვა წესდება შრომითი მიგრანტი ქალების მიერ სამართლებრივი სისტემის გამოყენებაზე, რათა მიიღონ დისკრიმინაციული შრომითი სტანდარტებისაგან, დასაქმების დისკრიმინაციისაგან და სქესისა და გენდერული ნიშნით ძალადობისაგან დაცვის საშუალებები. გარდა ამისა, შრომითმა მიგრანტმა ქალებმა შეიძლება ვერ მიიღონ მთავრობის უფასო სამართლებრივი დახმარებით სარგებლობის უფლება, და შეიძლება იყოს სხვა წინააღმდეგობებიც, როგორცაა გულგრილად და მტრულად განწყობილი ხელისუფლების წარ-

მომადგენლები და ზოგჯერ კი ოფიციალურ პირებსა და დამნაშავეებს შორის შეთქმულება. ზოგიერთ შემთხვევაში, დიპლომატები იდენიენ სექსუალურ ძალადობას, ძალადობას და დისკრიმინაციის სხვა ფორმებს შინამოსამსახურე მიგრანტი ქალების მიმართ, იმ დროს, როცა სარგებლობენ დიპლომატიური იმუნიტეტით. ზოგიერთ ქვეყანაში ფიქსირდება ხარვეზები კანონებში, რომლებიც იცავს შრომით მიგრანტ ქალებს. მაგალითად, მათ შეიძლება დაკარგონ სამუშაო ნებართვა მას შემდეგ, რაც წარადგენენ ანგარიშს ძალადობის ან დისკრიმინაციის შესახებ და შემდეგ ვედარ რჩებიან ქვეყანაში სასამართლო პროცესის მიმდინარეობის მანძილზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამ ფორმალური ბარიერების გარდა, პრაქტიკულ ბარიერებს შეუძლია ხელი შეუშალოს სამართლებრივი დაცვის საშუალებების ხელმისაწვდომობას. ბევრმა არ იცის ქვეყნის ენა და თავიანთი უფლებები. შრომითი მიგრანტი ქალები შეიძლება განიცდიდნენ მობილობის ნაკლებობას, რადგან დამსაქმებელმა შეიძლება არ მისცეს მათ უფლება გავიდნენ სამუშაო ან საცხოვრებელი ადგილების გარეთ, აუკრძალოს მათ ტელეფონების გამოყენება ან ჯგუფებში და კულტურულ ასოციაციებში განვლიანება. მათ ხშირად არ გააჩნიათ ინფორმაცია თავიანთი საელჩოების და ხელმისაწვდომი მომსახურების შესახებ დამსაქმებელზე ან მეუღლეზე დამოკიდებულების გამო ასეთ ინფორმაციასთან დაკავშირებით. მაგალითად, ძალიან რთულია შინამოსამსახურე შრომითი მიგრანტი ქალებისთვის, რომლებიც თითქმის არასდროს ტოვებენ დამსაქმებლის თვალთახედვის ზონას, დარეგისტრირდნენ თავიანთ საელჩოებში ან შეიტანონ საჩივრები. როგორც ასეთი, ქალებს შეიძლება არ ჰქონდეთ არანაირი გარე კონტაქტები და საჩივრის შეტანის არავითარი შანსი, და ისინი შეიძლება განიცდიდნენ ძალადობას და შეურაცხყოფას ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, მანამ სანამ სიტუაცია ექვემდებარება ზემოქმედებას. გარდა ამისა, დამსაქმებლების მიერ პასპორტების ჩამორთმევა ან რეპრესალიის შიში, თუკი შრომითი მიგრანტი ქალები ჩაერთვებიან ისეთ სექტორში, რომელიც დაკავშირებულია კრიმინალურ ქსელებთან, გამორიცხავს მათ მიერ ანგარიშის წარდგენას.

22. საბუთების არმქონე შრომითი მიგრანტი ქალები განსაკუთრებით დაუცველნი არიან ექსპლუატაციის და შეურაცხყოფის წინაშე მათი

არალეგალური საიმიგრაციო სტატუსის გამო, რომელიც ამწვავებს მათი გამორიცხვის და ექსპლუატაციის რისკს. ისინი შეიძლება გამოყენებული იქნან, როგორც იძულებითი მუშახელი და მათთვის მინიმალური შრომითი უფლებების ხელმისაწვდომობა შეიძლება შეიზღუდოს დასმენის შიშით. ისინი შეიძლება ასევე აღმოჩნდნენ პოლიციის მხრიდან თავდასხმის მსხვერპლი. თუ მოხდება მათი დაკავება, ისინი როგორც წესი, დაისჯებიან საიმიგრაციო კანონების დარღვევების გამო და მათ მოათავსებენ დაკავების ცენტრებში, სადაც ისინი დაუცველნი არიან სექსუალური ძალადობის წინაშე და შემდეგ მოხდება მათი დეპორტაცია.

რეკომენდაციები ნევრი სახელმწიფოებისთვის⁷

წარმოშობის და დანიშნულების ქვეყნების საერთო პასუხისმგებლობა

23. წარმოშობის და დანიშნულების ქვეყნების საერთო პასუხისმგებლობა მოიცავს:
- (ა) ყოვლისმომცველი გენდერულად სენსიტიური და უფლებებზე დაფუძნებული პოლიტიკის ფორმულირებას: ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა გამოიყენონ კონვენცია და ზოგადი რეკომენდაციები, რათა ჩამოაყალიბონ გენდერულად სენსიტიური და უფლებებზე დაფუძნებული პოლიტიკა თანასწორობისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის საფუძველზე მიგრაციის ყველა ასპექტის და ეტაპის დასარეგულირებლად და ადმინისტრირებისთვის, რათა ხელი შეუწყონ შრომითი მიგრანტების ქალებისთვის საზღვარგარეთ მუშაობის ხელმისაწვდომობას, ხელი შეუწყონ უსაფრთხო მიგრაციას და უზრუნველყონ შრომითი მიგრანტი ქალების უფლებების დაცვა (მე -2 (ა) და 3);
 - (ბ) მიგრანტი ქალების და შესაბამისი არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიურ ჩართვას: ნევრი სახელმწიფოები უნდა შეეცადონ შრომითი მიგრანტი ქალების და შესაბამისი არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიურად ჩართვას პოლიტიკის ფორმულირების, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების

⁷ ჩამოთვლილი მუხლები თითოეული რეკომენდაციისთვის შეეხება კონვენციის მუხლებს ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრასთან დაკავშირებით.

პროცესში (მუხლი 7 (ბ));

- (გ) კვლევას, მონაცემთა შეგროვებას და ანალიზს: წევრმა სახელმწიფოებმა უნდა ჩაატარონ და მხარი დაუჭირონ რაოდენობრივ და ხარისხობრივ კვლევას, მონაცემთა შეგროვებას და ანალიზს, რათა დადგინდეს პრობლემები და საჭიროებები, რომელსაც აწყდებიან შრომითი მიგრანტი ქალები მიგრაციის პროცესის ყველა ეტაპზე, რათა ხელი შეუწყონ შრომითი მიგრანტი ქალების უფლებებს და ჩამოაყალიბონ შესაბამისი პოლიტიკა (მუხლი 3).

წარმოშობის ქვეყნებისთვის დამახასიათებელი მოვალეობები

- 24. წარმოშობის ქვეყნებმა პატივი უნდა სცენ და დაიცვან თავიანთი მდებარეობითი სქესის მოქალაქეების უფლებები, რომლებიც მიდიან მიგრაციაში მუშაობის მიზნით. ღონისძიებები, რომელთა გატარებაც შეიძლება საჭირო იყოს, მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, შემდეგით:
 - (ა) დისკრიმინაციული აკრძალვის და შეზღუდვების მოხსნა მიგრაციასთან დაკავშირებით: წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გააუქმონ სქესის ნიშნით აკრძალვები და დისკრიმინაციული შეზღუდვები ქალთა მიგრაციასთან დაკავშირებით ასაკის, ოჯახური მდგომარეობის, ორსულობის ან მშობიარობის სტატუსის საფუძველზე. მათ უნდა მოხსნან შეზღუდვები, რომელიც მოითხოვს ქალებისგან მიიღონ ნებართვა თავიანთი მეუღლისგან ან მამრობითი მეურვისგან პასპორტის მისაღებად ან გასამგზავრებლად (მუხლი 2 (ფ));
 - (ბ) განათლება, ცნობიერების ამაღლება და ტრენინგი სტანდარტიზებული შინაარსით: წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშაონ განათლებისა და ცნობიერების ასამაღლებელი შესაბამისი პროგრამა დაინტერესებულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, გენდერისა და მიგრაციის სპეციალისტებთან, მიგრაციის გამოცდილების მქონე შრომითი მიგრანტი ქალებთან და საიმედო დასაქმების სააგენტოებთან მჭიდრო თანამშრომლობით. ამ მხრივ, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა (მუხლები 3, 5, 10 და 14):
 - (i) მიაწოდონ ან ხელი შეუწყონ უფასო და ხელმისაწვდომ ფასად სქესზე და უფლებებზე დაფუძნებული გამგზავრების წინა ინფორმაციის მიღებას და სასწავლო პროგრამით სარგებლობას, რომელიც გაზრდის პერსპექტიული მიგრანტი ქალების ინფორმირებულობას პოტენციური ექსპლუატაციის შესახებ, მათ შორის: შრომითი ხელშეკრულებების რეკომენდი-

რებული შინაარსი, დასაქმების ქვეყნებში სამართლებრივი უფლებები და მოვალეობები, ფორმალური და არაფორმალური ზიანის ან-აზღაურების მექანიზმების მოთხოვნის პროცედურები, პროცესები, რომელთა მეშვეობითაც მიიღებს ინფორმაციას დამსაქმებლების შესახებ, დანიშნულების ქვეყნებში კულტურული პირობები, სტრესის მენეჯმენტი, სასწრაფო დახმარება და საგანგებო ღონისძიებები, მათ შორის, თავიანთი ქვეყნის საელჩოს და სხვადასხვა სამსახურების ცხელი ხაზის ნომერი; ინფორმაცია გზაში ყოფნისას უსაფრთხოების შესახებ, მათ შორის აეროპორტის და ავი-ახაზების მიმართულებები და ინფორმაცია ზოგადი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის, მათ შორის აივ-ინფექციის/შიდსის პრევენციის შესახებ. ასეთი სასწავლო პროგრამების სამიზნეები უნდა იყონ ქალები, რომლებიც არიან პერსპექტიული შრომითი მიგრანტები, ურთიერთობის ეფექტური პროგრამის მეშვეობით, რომელიც უნდა დარჩეს დეცენტრალიზებულ სასწავლო ობიექტებში, რათა ხელმისაწვდომი იყოს ქალებისთვის;

- (ii) მიაწოდონ ავთენტური, საიმედო დასაქმების სააგენტოების სია და შექმნან ერთიანი საინფორმაციო სისტემა საზღვარგარეთ ხელმისაწვდომი სამუშაო ადგილების შესახებ;
- (iii) მიაწოდონ ინფორმაცია მეთოდებთან და პროცედურებთან დაკავშირებით მუშაკი ქალების სამუშაოდ მიგრაციის მიზნით, რომელთაც სურთ მიგრაცია დასაქმების სააგენტოებისგან დამოუკიდებლად;
- (iv) მოითხოვონ დასაქმების სააგენტოებისგან მონაწილეობის მიღება ცნობიერების ასამაღლებელ და სასწავლო პროგრამებში და გააცნონ მათ შრომითი მიგრანტი ქალების უფლებები, სქესის და გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის ფორმები, ექსპლუატაცია, რომელიც ქალებმა შესაძლოა განიცადონ და სააგენტოების მოვალეობები ქალების მიმართ;
- (v) ხელი შეუწყონ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას ქალების ყველა ფორმის მიგრაციის ხარჯებთან და სარგებელთან დაკავშირებით და ჩაატარონ კულტურული ცნობიერების ასამაღლებელი აქტივობები ფართო საზოგადოებისთვის, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს მიგრაციის რისკებს, საფრთხეებს და შესაძლებლობებს, ქალთა უფლებას ისარგებლონ თავიანთი შემოსავლებით საკუთარი ფინანსური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და იმის საჭიროებას, რომ შეინარჩუნონ ბალანსი ოჯახის მიმართ ქალთა

- პასუხისმგებლობასა და საკუთარი თავის მიმართ მათ პასუხისმგებლობას შორის. ცნობიერების ამაღლების ასეთი პროგრამა შეიძლება განხორციელდეს ფორმალური და არაფორმალური საგანმანათლებლო პროგრამების მეშვეობით;
- (vi) ხელი შეუწყონ მასმედიას, საინფორმაციო და საკომუნიკაციო სექტორს წვლილი შეიტანონ ცნობიერების ამაღლებაში მიგრაციის საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის ეკონომიკაში მიგრანტი ქალების მიერ შეტანილ წვლილთან და ექსპლუატაციის და დისკრიმინაციის წინაშე ქალთა დაუცველობასთან და სხვადასხვა ადგილებთან დაკავშირებით, სადაც ხდება ასეთი ექსპლუატაცია;
- (გ) რეგულაციები და მონიტორინგის სისტემები, შემდეგნაირად:
- (i) წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ წესები და შეიმუშაონ მონიტორინგის სისტემები, რათა უზრუნველყონ, რომ დასაქმების აგენტებმა და დასაქმების სააგენტოებმა პატივი სცენ ყველა შრომით მიგრანტ ქალს. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შეიყვანონ თავიანთ კანონმდებლობაში არარეგულარული დასაქმების ყოვლისმომცველი განმარტება დასაქმების სააგენტოების მიერ კანონის დარღვევის გამო სამართლებრივი სანქციების შესახებ დებულებასთან ერთად (მუხლი 2 (ე));
- (ii) წევრმა სახელმწიფოებმა ასევე უნდა განახორციელონ აკრედიტაციის პროგრამები, რათა უზრუნველყონ კარგი პრაქტიკა დასაქმების სააგენტოებს შორის (მუხლი 2 (ე));
- დ) ჯანდაცვის მომსახურება: წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ სტანდარტიზებული და ავთენტური ჯანმრთელობის სერტიფიკატები დანიშნულების ქვეყნების მოთხოვნის საფუძველზე და მოსთხოვონ პერსპექტიულ დამსაქმებლებს შეიძინონ სამედიცინო დაზღვევა შრომითი მიგრანტი ქალებისთვის. გამგზავრების წინა აივ-ინფექციის/შიდსის ყველა საჭირო შემოწმება ან გამგზავრების წინა ჯანმრთელობის გამოკვლევები უნდა ჩატარდეს მიგრანტი ქალების უფლებების პატივისცემით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოხალისეობას, უფასო და ხელმისაწვდომი მომსახურების უზრუნველყოფას და სტიგმატიზაციის პრობლემებს (მუხლები 2 (ფ) და 12);
- (ე) სამგზავრო დოკუმენტები: წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ქალებს ჰქონდეთ სამგზავრო დოკუმენტების დამოუკიდებელი და თანაბარი ხელმისაწვდომობა (მუხლი 2 (დ));
- (ვ) იურიდიული და ადმინისტრაციული დახმარება: წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობა სამუშაოდ მიგრაციასთან დაკავშირებით. მაგალითად, სამართლებრივი მიმოხილვა ხელმისაწვდომი უნდა იყოს, რათა უზრუნველყოფილი იქნას სამუშაო კონტრაქტების ნამდვილობა და ქალთა უფლებების დაცვა მამაკაცებთან თანასწორობის საფუძველზე (მე -3 და 11);
- (ბ) შემოსავლის ფულადი გზავნილების დაცვა: წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები, რათა დაიცვან შრომითი მიგრანტი ქალების ფულადი გზავნილები და მიანოდონ ინფორმაცია და დაეხმარონ ქალებს ისარგებლონ ფორმალური ფინანსური ინსტიტუტების სერვისებით და გადააგზავნონ ფული სახლში და ხელი შეუწყონ მათ მონაწილეობას დანაზოგების სქემებში (მუხლები 3 და 11);
- (თ) დაბრუნების უფლების ხელშეწყობა: წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ქალებმა, ვისაც სურთ დაბრუნდნენ თავიანთ წარმოშობის ქვეყნებში შეძლონ ამის გაკეთება იძულებისა და ძალადობის გარეშე (მუხლი 3);
- (ი) ქალების მომსახურება დაბრუნებისას: წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშაონ და გააკონტროლონ ყოვლისმომცველი სოციალურ-ეკონომიკური, ფსიქოლოგიური და იურიდიული მომსახურება, რომელიც მიზნად ისახავს დაბრუნებული ქალების რეინტეგრაციას. მათ მონიტორინგი უნდა გაუწიონ სერვის პროვაიდერებს, რათა უზრუნველყონ, რომ ისინი არ სარგებლობენ საზღვარგარეთ მუშაობის შემდეგ დაბრუნებული ქალების დაუცველი პოზიციით და უნდა ჰქონდეთ გასაჩივრების მექანიზმები, რათა დაიცვან ქალები დამქირავებლების, დამსაქმებლების და ყოფილი მეუღლეების მხრიდან რეპრესალიებისგან (მუხლები 2 (გ) და 3);
- (კ) დიპლომატიური და საკონსულო დაცვა: წევრმა სახელმწიფოებმა სათანადოდ უნდა მოამზადონ და ზედამხედველობა გაუწიონ დიპლომატიურ და საკონსულო პერსონალს, რათა უზრუნველყონ, რომ ისინი ასრულებენ თავიანთ ფუნქციას, საზღვარგარეთ მყოფი შრომითი მიგრანტი ქალების უფლებების დაცვასთან მიმართებაში. ასეთი დაცვა უნდა ითვალისწინებდეს ხარისხის ხელშეწყობის მომსახურების ხელმისაწვდომობას მიგრანტი ქალებისთვის, მათ შორის თარჯიმნების დროულ უზრუნველყოფას, სამედიცინო მომსახურებას, კონსულტაციას, იურიდიულ დახმარებას და თავშესაფარს საჭიროების შემთხვევაში. როცა წევრ სახელმწიფოებს აკისრიათ კონკრეტული

ვალდებულებები საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ან ხელშეკრულებების თანახმად, როგორცაა ვენის კონვენცია საკონსულო ურთიერთობების შესახებ, ეს ვალდებულებები შესრულებული უნდა იქნას სრულად შრომით მიგრანტ ქალებთან მიმართებაში (მუხლი 3);

ტრანზიტის ქვეყნებისთვის დამახასიათებელი პასუხისმგებლობები

25. ნევრმა სახელმწიფოებმა, რომელთა გავლითაც მგზავრობენ მიგრანტი ქალები, უნდა მიიღონ ყველა ზომა, რათა უზრუნველყონ, რომ მათი ტერიტორიები არ გამოიყენება შრომითი მიგრანტი ქალების უფლებების დარღვევის ხელშეწყობისთვის. ღონისძიებები, რომელთა განხორციელებაც შეიძლება საჭირო იყოს, მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, შემდეგით:
- (ა) ხელისუფლების მოხელეთა ტრენინგი, მონიტორინგი და ზედამხედველობა: ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ თავიანთი სასაზღვრო პოლიციის და საიმიგრაციო სამსახურის თანამშრომლების სათანადო ტრენინგი/მომზადება, ზედამხედველობა და მონიტორინგი გენდერულად სენსიტიური და არადისკრიმინაციული პრაქტიკის გათვალისწინებით, როდესაც საქმე ეხება მიგრანტ ქალებს (მუხლი 2 (დ));
 - ბ) დაცვა შრომითი მიგრანტი ქალების უფლებების დარღვევის წინააღმდეგ, რომელსაც ადგილი აქვს მათი იურისდიქციის ფარგლებში: ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ აქტიური ზომები, რათა უზრუნველყონ მიგრაციასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებების ყველა დარღვევის პრევენცია, დევნა და დასჯა, რომელსაც ადგილი აქვს მათი იურისდიქციის ფარგლებში, იმის მიუხედავად თუ ვინ ჩაიდინა ის, საჭარო ხელისუფლების ორგანოებმა თუ კერძო აქტიორებმა. ნევრმა სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ ან უზრუნველყონ მომსახურება და დახმარება იმ შემთხვევაში, თუ ქალები, რომლებიც მგზავრობენ აგენტთან ან ესკორტთან ერთად, აღმოჩნდებიან მიტოვებულები, ყველანაირად უნდა შეეცადონ კვალდაკვალ მიყვნიენ დამნაშავეებს და გამოიყენონ სამართლებრივი ზომები მათ წინააღმდეგ (მე -2 (გ) და (ე));

მოვალეობები სპეციფიკური დანიშნულების ქვეყნებში

26. ნევრმა სახელმწიფოებმა იმ ქვეყნებში, სადაც მიგრანტი ქალები მუშაობენ, უნდა მიიღონ ყველა შესაბამისი ზომა, რათა უზრუნველყონ შრომითი მიგრანტი ქალების დისკრიმინაციის აკრძალვა და თანაბარი უფლებები, მათ შორის, თავიანთ საზოგადოებაში. ღონისძიებები, რომელთა განხორციელებაც შეიძლება საჭირო იყოს, მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, შემდეგით:
- (ა) დისკრიმინაციული აკრძალვებისა და შეზღუდვების მოხსნა მიგრაციაზე: ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა გააუქმონ აშკარა აკრძალვები და დისკრიმინაციული შეზღუდვები ქალების მიგრაციაზე. მათ უნდა უზრუნველყონ, რომ მათი სავიზო სქემები არ ეწეოდეს ქალების არაპირდაპირ დისკრიმინაციას, რაც გულისხმობს მიგრანტი ქალების ნებართვის შეზღუდვას შეასრულონ გარკვეული კატეგორიის სამუშაო, სადაც მამაკაცები დომინირებენ, ან გარკვეული ქალური პროფესიების გამოორიცივით სავიზო სქემებიდან. გარდა ამისა, მათ უნდა მოხსნან აკრძალვები, რომელიც უკრძალავს შრომით მიგრანტ ქალებს ცოლად გაჰყვნიენ მოქალაქეებს ან მუდმივ მაცხოვრებლებს, დაფუძნდნენ ან უზრუნველყონ დამოუკიდებელი საცხოვრებელი (მუხლი 2 (ვ));
 - ბ) შრომითი მიგრანტი ქალების უფლებების სამართლებრივი დაცვა: ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ კონსტიტუციური და სამოქალაქო სამართლის და შრომის კოდექსებმა უზრუნველყონ შრომითი მიგრანტი ქალები იგივე უფლებებით და დაცვით, რომელიც ვრცელდება ყველა მუშაკზე ქვეყანაში, მათ შორის ორგანიზების და თავისუფლად გაერთიანების უფლებით. მათ უნდა უზრუნველყონ შრომითი მიგრანტი ქალების კონტრაქტების კანონიერება. კერძოდ, მათ უნდა უზრუნველყონ, რომ პროფესიები, სადაც დომინირებენ შრომითი მიგრანტი ქალები, როგორცაა საოჯახო საქმეები და გართობის რამდენიმე სახე, დაცულია შრომის კანონმდებლობით, მათ შორის, რეგულაციებით ხელფასთან და სამუშაო საათებთან დაკავშირებით, ჯანმრთელობისა და უსაფრთხ-

ოების კოდექსებით და რეგულაციებით დღესას-
წაულებთან და შვებულებასთან დაკავშირებით.
კანონები უნდა შეიცავდეს მიგრანტი ქალების
სამუშაო ადგილის პირობების მონიტორინგის
მექანიზმებს, განსაკუთრებით ისეთი სახის სა-
მუშაოს შემთხვევაში, სადაც ისინი დომინირე-
ბენ (მე -2 (ა), (ვ) და 11);

- (გ) სამართლებრივი დაცვის საშუალებების ხელ-
მისაწვდომობა: ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა
უზრუნველყონ, რომ შრომით მიგრანტ ქალებს
ჰქონდეთ საშუალება ისარგებლონ სამართ-
ლებრივი დაცვის საშუალებებით, როდესაც მათი
უფლებები ირღვევა. კონკრეტული ზომები
მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, შემდე-
გით (მუხლები 2 (გ), (ვ) და 3):
- (i) აქვეყნებს და უზრუნველყოფს კანონების და
დებულებების შესრულებას, რომელიც მოიცავს
შესაბამისი სამართლებრივი დაცვის საშუალე-
ბებს და საჩივრების განხილვის მექანიზმებს
და ქმნის დავის მოგვარების ადვილად ხელ-
მისაწვდომ მექანიზმებს, რომელიც დაიცავს
ისევე როგორც საბუთების მქონე, ასევე სა-
ბუთების არმქონე შრომით მიგრანტ ქალებს
დისკრიმინაციისგან და სქესის ნიშნით ექსპლუ-
ატაციისა და ძალადობისაგან;
- (ii) აუქმებს ან ცვლის კანონებს, რომელიც გამო-
რიცხავს შრომითი მიგრანტი ქალების მიერ
სასამართლოების და ზიანის ანაზღაურების
სხვა სისტემების გამოყენებას. ეს მოიცავს
კანონებს მუშაობის ნებართვის დაკარგვის
შესახებ, რაც იწვევს შემოსავლის დანაკარგს
და შესაძლო დეპორტაციას საიმიგრაციო
ხელისუფლების მიერ, როდესაც მუშაკს შეაქვს
საჩივარი ექსპლუატაციის ან ძალადობის
შესახებ და გამოძიების დასრულებამდე. ნე-
ვრმა სახელმწიფოებმა უნდა შეიტანონ მო-
ქნილობა დამსაქმებლების ან სპონსორების
შეცვლის პროცესში დეპორტაციის გარეშე იმ
შემთხვევებში, როდესაც მუშაკები უჩივიან
ძალადობას;
- (iii) უზრუნველყონ შრომითი მიგრანტი ქალებისთ-
ვის სამართლებრივი დახმარების და სასამა-
რთლოების და მარეგულირებელი სისტემების
ხელმისაწვდომობა, რომელთაც აკისრიათ
შრომისა და დასაქმების კანონების აღსრუ-
ლების პასუხისმგებლობა, მათ შორის უფასო
იურიდიული დახმარების მეშვეობით;
- (iv) უზრუნველყონ დროებითი თავშესაფარი შრო-
მითი მიგრანტი ქალებისთვის, რომელთაც სურთ
დატოვონ შეურაცხმყოფელი დამსაქმებლები,
ქმრები ან სხვა ნათესავები და უზრუნველყონ
უსაფრთხო საცხოვრებელით სასამართლო
პროცესის განმავლობაში;

- (დ) სამართლებრივი დაცვა გადაადგილების თა-
ვისუფლებისთვის: ნევრმა სახელმწიფოებმა
უნდა უზრუნველყონ, რომ დამსაქმებლებმა
და დამქირავებლებმა არ ჩამოართვან ან გაა-
ნადგურონ სამგზავრო ან პირადობის დამადა-
სტურებელი დოკუმენტები, რომლებიც ეკუთვნის
მიგრანტ ქალებს. ნევრმა სახელმწიფოებმა
უნდა მიიღონ ზომები, რათა დაასრულონ
იძულებითი იზოლაცია ან მიგრანტი ქალების
სახლებში ჩაკეტვა, განსაკუთრებით მათი, ვინც
მუშაობენ შინამოსამსახურებად. პოლიციის
თანამშრომლებს გავლილი უნდა ჰქონდეთ
ტრენინგი, რათა დაიცვან შრომითი მიგრანტი
ქალების უფლებები ასეთი ძალადობისაგან
(მუხლი 2 (ე));
- (ე) ოჯახის გამთლიანების არადისკრიმინაციული
სქემები: ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუ-
ნველყონ, რომ ოჯახის გამთლიანების სქემები
შრომითი მიგრანტებისთვის არ იყოს პირდაპირ
ან არაპირდაპირ დისკრიმინაციული სქესის
საფუძველზე (მუხლი 2 (ვ));
- (ვ) ბინადრობის არადისკრიმინაციული წესები:
როდესაც შრომითი ქალი მიგრანტების ბინ-
ადრობის ნებართვა ეფუძნება დამსაქმებლის
ან მეუღლის სპონსორობას, ნევრმა სახელ-
მწიფოებმა უნდა მიიღონ დებულებები დამო-
უკიდებელი ბინადრობის სტატუსთან დაკა-
ვშირებით. წესები შემუშავებული უნდა იქნას
ისე, რომ ქალს, რომელიც გარბის თავისი
შეურაცხმყოფელი დამსაქმებლისგან ან მეუ-
ღლისგან ან გაათავისუფლეს სამსახურიდან
ძალადობის შესახებ საჩივრის შეტანის გამო,
ჰქონდეს კანონიერად დარჩენის უფლება (მუხ-
ლი 2 (ვ));
- (ზ) ტრენინგი და ცნობიერების ამაღლება: ნევრმა
სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ცნობი-
ერების ამაღლების სავალდებულო პროგრამ-
ები, რომლებიც ეხება შრომით მიგრანტ ქა-
ლებს და ტრენინგი გენდერულ ასპექტებთან
დაკავშირებით შესაბამისი საჯარო და კერძო
დასაქმების სააგენტოებისთვის და დამსაქმე-
ბელებისთვის, ასევე შესაბამისი სახელმწიფო
მოხელეებისთვის, როგორცაა მაგალითად,
სისხლის სამართლის ოფიცრები, საზღვრის პო-
ლიცია, საიმიგრაციო ხელისუფლება, სოციალ-
ური მომსახურებისა და ჯანდაცვის პროვაიდე-
რები (მუხლი 3);
- (თ) მონიტორინგის სისტემები: ნევრმა სახელმ-
წიფოებმა უნდა მიიღონ წესები და შეიმუშაონ
მონიტორინგის სისტემები, რათა უზრუნველყონ,
რომ დასაქმების აგენტებმა და დამსაქმებლებმა
პატივი სცენ ყველა შრომითი მიგრანტი ქალის

უფლებებს. ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა განახორციელონ დასაქმების სააგენტოების მჭიდრო მონიტორინგი და მათი სისხლისსამართლებრივი დევნა ძალადობის, იძულების, მოტყუების ან ექსპლუატაციის აქტების წინააღმდეგ (მუხლი 2 (ე));

(ი) მომსახურების ხელმისაწვდომობა: ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ მუშაკი მიგრანტი ქალებისთვის ენობრივად და კულტურულად შესაბამისი გენდერულად სენსიტიური მომსახურების ხელმისაწვდომობა, მათ შორის ენის და უნარ-ჩვევების სასწავლო პროგრამები, საგანგებო თავშესაფრები, ჯანდაცვის მომსახურება, პოლიციის მომსახურება, რეკრეაციული პროგრამები და პროგრამები, რომლებიც განკუთვნილია სპეციალურად იზოლირებული შრომითი მიგრანტი ქალებისთვის, როგორცაა შინამოსამსახურეები და სხვები, ვინც იზოლირებული არიან სახლში, ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა გარდა. ძალადობის მსხვერპლთათვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი საგანგებო და სოციალური მომსახურება მათი სამედიცინო სტატუსის მიუხედავად (მუხლები 3, 5 და 12);

(კ) ციხეში მყოფი შრომითი მიგრანტი ქალების უფლებები, მიუხედავად იმისა აქვთ თუ არა მათ საბუთები: ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ შრომითი მიგრანტი ქალები, რომლებიც იმყოფებიან ციხეში, არ აღმოჩნდნენ დისკრიმინაციის და გენდერული ძალადობის მსხვერპლი და რომ ორსული და მეძუძური დედებისთვის, ისევე როგორც ქალებისთვის გაუარესებული ჯანმრთელობის მდგომარეობით, ხელმისაწვდომი იყოს შესაბამისი მომსახურება. მათ უნდა უზრუნველყონ იმ კანონების, რეგულაციების ან პოლიტიკის მიმოხილვა, აღმოფხვრა ან რეფორმირება, რომელიც იწვევს შრომითი მიგრანტი ქალების არაპროპორციული რაოდენობის დაკავებას მიგრაციასთან დაკავშირებული მიზეზების გამო (მუხლი 2 (დ) და 5);

(ლ) მუშაკი მიგრანტი ქალების სოციალური ჩართვა: ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ პოლიტიკა და პროგრამები, რომლის მიზანია საშუალება მისცეს შრომით მიგრანტ ქალებს ინტეგრაცია მოახდინონ ახალ საზოგადოებაში. ასეთი ძალისხმევა უნდა ითვალისწინებდეს შრომითი მიგრანტი ქალების კულტურული თვითმყოფადობის პატივისცემას და მათი უფლებების დაცვას კონვენციის შესაბამისად (მუხლი 5);

(მ) საბუთების არმქონე შრომითი მიგრანტი ქა-

ლების დაცვა: საბუთების არმქონე ქალთა მდგომარეობა საჭიროებს განსაკუთრებულ ყურადღებას. საბუთების არმქონე მიგრანტი ქალების სამედიცინო სტატუსის არარსებობის მიუხედავად ნევრ სახელმწიფოებს აქვთ ვალდებულება დაიცვან მათი ძირითადი უფლებები. საბუთების არმქონე შრომით მიგრანტ ქალებს უნდა ჰქონდეთ სამართლებრივი დაცვის საშუალებების და სამართლიანობის ხელმისაწვდომობა სიცოცხლის და სასტიკი და დამამცირებელი მოპყრობის რისკის შემთხვევაში, ან თუ მათ აიძულებენ იძულებით შრომას, ან ართმევენ ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილების უფლებას, მათ შორის ჯანდაცვასთან ან ორსულობა და მშობიარობასთან დაკავშირებული საგანგებო სიტუაციების დროს, ან თუ ისინი განიცდიან დამსაქმებლების ან სხვების მხრიდან ფიზიკურ და სექსუალურ ძალადობას. თუ მოხდება მათი დაკავება ან დაპატიმრება, ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ საბუთების არმქონე შრომითი მიგრანტი ქალების მიმართ განხორციელდეს ჰუმანური მოპყრობა და ჰქონდეთ კანონის სათანადო პროცესის ხელმისაწვდომობა, მათ შორის უფასო იურიდიული დახმარების მეშვეობით. ამ მხრივ, ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა გააუქმონ ან შეცვალონ კანონები და პრაქტიკა, რომელიც უკრძალავს საბუთების არმქონე შრომით მიგრანტ ქალებს გამოიყენონ სასამართლოები და ბიანის ანაზღაურების სხვა სისტემები. თუ ვერ მოხერხდება დეპორტაციის თავიდან აცილება, ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა განიხილონ თითოეული შემთხვევა ინდივიდუალურად, გენდერთან დაკავშირებული გარემოებების და ადამიანის უფლებების დარღვევების რისკების გათვალისწინებით წარმოშობის ქვეყანაში (მუხლები 2 (გ), (ე) და (ვ));

ორმხრივი და რეგიონული თანამშრომლობა

27. ზომები, რომელთა მიღებაც აუცილებელია, მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით:

(ა) ორმხრივი და რეგიონალური შეთანხმებები: ნევრმა სახელმწიფოებმა, რომლებიც აგზავნიან ან ღებულობენ და სატრანზიტო ქვეყნებმა უნდა დადონ ორმხრივი ან რეგიონული შეთანხმებები ან ურთიერთგაგების მემორანდუმები შრომითი მიგრანტი ქალების უფლებების დასაცავად, რომლებიც შემუშავებულია ამ ზოგად რეკომენდაციაში (მუხლი 3);

- (ბ) საუკეთესო პრაქტიკა და ინფორმაციის გაზიარება, შემდგენიარად:
- (i) წევრ სახელმწიფოებს ასევე მოუწოდებენ გაუზიარონ თავიანთი საუკეთესო პრაქტიკის გამოცდილება და შესაბამისი ინფორმაცია, რათა ხელი შეუწყონ შრომითი მიგრანტი ქალების უფლებების სრულ დაცვას (მუხლი 3);
- (ii) წევრმა სახელმწიფოებმა უნდა ითანამშრომლონ ინფორმაციის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით შრომითი მიგრანტი ქალების უფლებების დარღვევაში დამნაშავეების შესახებ. მას შემდეგ, რაც მიიღებენ დამნაშავეების შესახებ ინფორმაციას თავიანთი ტერიტორიის ფარგლებში, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები, რათა გამოიძიონ, განახორციელონ სამართლებრივი დევნა და დასაჯონ ისინი (მუხლი 2 (გ)).

რეკომენდაციები მონიტორინგთან და ანგარიშის ჩაბარებასთან დაკავშირებით

28. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შეიტანონ თავიანთ ანგარიშებში ინფორმაცია სამართლებრივი სტრუქტურის, პოლიტიკისა და პროგრამების შესახებ, რომელიც მათ განახორციელებს შრომითი მიგრანტი ქალების უფლებების დასაცავად სქესთან და გენდერთან დაკავშირებული პრობლემების გათვალისწინებით, რომელიც ჩამოთვლილია მე-10, 22-ე პარაგრაფებში და რომელსაც მართავს ამ ზოგადი რეკომენდაციის 23-ე და 27-ე პარაგრაფებში მოცემული რეკომენდაციები. ადექვატური მონაცემები უნდა შეგროვდეს კანონების, პოლიტიკისა და პროგრამების აღსრულებისა და ეფექტურობის და შრომითი მიგრანტი ქალების დე ფაქტო მდგომარეობის შესახებ ისე, რომ ანგარიშებში შესული ინფორმაცია იყოს მნიშვნელოვანი. ეს ინფორმაცია მიწოდებული უნდა იქნას კონვენციის ყველაზე შესაფერისი მუხლების შესაბამისად, რომლის დროსაც იხელმძღვანელებენ რეკომენდაციებთან დაკავშირებით გაცემული წინადადებებით.

ადამიანის უფლებათა შესაბამისი ხელშეკრულებების რატიფიცირება ან მათთან მიერთება

29. წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებენ მოახდინონ შრომითი მიგრანტი ქალების უფლებების დაცვის შესახებ ყველა საერთაშორისო დოკუმენტის რატიფიცირება, კერძოდ, საერთაშორისო კონვენციის ყველა შრომითი მიგრანტის და მათი ოჯახის წევრების უფლებების დაცვის შესახებ.

VIII. ზოგადი რეკომენდაცია № 27

ხანდაზმული ქალები და მათი ადამიანის უფლებების დაცვა

მიღებულია: 2010 წელს, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის 47-ე სხდომაზე

შესავალი

1. ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი (შემდგომში „კომიტეტი“), გამოხატა შემფოთება ხანდაზმული ქალების მიმართ განხორციელებული მრავალი ფორმის დისკრიმინაციის გამო და ასევე იმის გამო, რომ არ ხდება ხანდაზმული ქალების უფლებების სისტემატური განხილვა მონაწილე სახელმწიფოების ანგარიშებში, და ორმოცდამეორე სესიაზე, რომელიც ჩატარდა 2008 წლის 20 ოქტომბრიდან 7 ნოემბრამდე, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის 21-ე მუხლის საფუძველზე (შემდგომში „კონვენცია“) მიიღო გადაწყვეტილება ხანდაზმულ ქალებთან და მათი უფლებების დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციის მიღების თაობაზე.
2. 2002 წლის 26.03 - 5.07-ში მიღებულ გადაწყვეტილებაში, კომიტეტმა აღიარა, რომ კონვენცია „არის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, ხანდაზმული ქალების უფლებების დაცვასთან დაკავშირებული კონკრეტული პრობლემების მოსაგვარებლად.“¹ ზოგადი რეკომენდაცია #25 კონვენციის მე-4 მუხლის 1 პუნქტთან მიმართებაში (დროებითი სპეციალური ზომები), ასევე აღიარებს, რომ ასაკი არის ძირითადი საფუძველი, რის გამოც ქალები განიცდიან დისკრიმინაციის მრავალ ფორმას. კერძოდ, კომიტეტი აღიარებს ასაკისა და სქესის მიხედვით დაყოფილი სტატისტიკური მონაცემების საჭიროებას, რათა უკეთ შეაფასოს ხანდაზმული ქალების მდგომარეობა.
3. კომიტეტი ადასტურებს ხანდაზმული ქალების უფლებებთან დაკავშირებით მიღებულ ადრინდელ ვალდებულებებს, რომლებიც ჩადებულია

შემდეგ ინსტრუმენტებში: ვენის საერთაშორისო სამოქმედო გეგმა დაბერების საკითხებთან დაკავშირებით², პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა³, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საფუძვლები/ პრინციპები ხანდაზმულ პირებთან დაკავშირებით (გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 46/91, დანართი), მოსახლეობის და განვითარების საერთაშორისო კონფერენციის სამოქმედო პროგრამა,⁴ მადრიდის საერთაშორისო სამოქმედო გეგმა დაბერების საკითხებთან დაკავშირებით 2002 წ.,⁵ ეკონომიკის, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარი No.6 ხანდაზმულ პირთა ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებთან დაკავშირებით (1995წ.) და სოციალურ დაზღვევასთან დაკავშირებული ზოგადი კომენტარი No.19 (2008 წ.).

ზოგადი ინფორმაცია

4. გაერთიანებული ერების მიმდინარე მონაცემების მიხედვით მომდევნო 36 წლის განმავლობაში, მოსახლეობაში 60 წელს გადაცილებულთა რაოდენობა გადააჭარბებს 15 წლამდე

1 იხ. გენერალური ასამბლეის ოფიციალური ჩანაწერები, 57-ე სესია, დამატება No. 38 (A/57/38, ნაწილი პირველი, თავი I, გადაწყვეტილება 26/III, და თავი VII, პარაგრაფები 430-436).

2 მსოფლიო ასამბლეის ანგარიში დაბერების საკითხებთან დაკავშირებით, ვენა 1982 წლის 26 ივლისი - 6 აგვისტო (გაერთიანებული ერების პუბლიკაცია, გამოც. No. E.95.XIII.18) თავი VI, განყ. A.

3 ქალების უფლებების დაცვის საკითხებთან დაკავშირებული მეოთხე მსოფლიო კონფერენციის ანგარიში, პეკინი, 1995 წლის 4-15 სექტემბერი (გაერთიანებული ერების პუბლიკაცია, გამოც. No. E.96.IV.13), თავი I, რეზოლუცია 1, დანართი I და II.

4 მოსახლეობისა და განვითარების საკითხებთან დაკავშირებული საერთაშორისო კონფერენციის ანგარიში, 1994 წლის 5-13 სექტემბერი, კაირო (გაერთიანებული ერების პუბლიკაცია, გამოც. No. E.95.XIII.18), თავი I, რეზოლუცია 1, დანართი.

5 დაბერების საკითხებთან დაკავშირებული მეორე მსოფლიო ასამბლეის ანგარიში 2002 1995 წლის 8-12 აპრილი, მადრიდი (გაერთიანებული ერების პუბლიკაცია, გამოც. No. E.02.IV.4) თავი I, რეზოლუცია 1, დანართი II.

ასაკის პირთა რაოდენობას, გლობალურად. დაახლოებით 2050 წლისთვის ხანდაზმულ ადამიანთა რაოდენობა 2 მილიარდს გადააჭარბებს, ანუ იქნება გლობალური მოსახლეობის 22 პროცენტი - ეს არის 60 წელს გადაცილებული მოსახლეობის ამჟამინდელი 11 პროცენტის უპრეცედენტო გაორმაგება.

5. დაბერების გენდერული მახასიათებელი გვაჩვენებს, რომ ქალები ცოცხლობენ უფრო მეტ ხანს ვიდრე მამაკაცები და ხანდაზმული ქალები უფრო ხშირად ცხოვრობენ მარტო ვიდრე მამაკაცები. იმ დროს როდესაც 60 წლის ყოველ 100 ქალზე 83 მამაკაცი მოდის, 80 წლის ასაკიანთა შორის ყოველ 100 ქალზე მხოლოდ 59 მამაკაცია. ამას გარდა, გაერთიანებული ერების ეკონომიკისა და სოციალურ ურთიერთობათა დეპარტამენტის სტატისტიკური მონაცემები განსაზღვრავს, რომ 60 წელს გადაცილებულ მამაკაცთა 80 პროცენტი არის დაქორწინებული, ხოლო ხანდაზმული ქალების მხოლოდ 48 პროცენტია დაქორწინებული.⁶
6. ეს უპრეცედენტო დემოგრაფიული დაბერება, ცხოვრების დონის ამაღლებიდან და ძირითადი ჯანდაცვის სიტემების გაუმჯობესებიდან გამომდინარე, ასევე შობადობისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის შემცირების გამო, შესაძლოა ჩაითვალოს განვითარების წარმატებულ ძალისხმევად და რომელიც გაგრძელდება და აქცევს ოცდამეერთე საუკუნეს დაბერების საუკუნედ. მიუხედავად ამისა, ამგვარ დემოგრაფიულ ცვლილებებს მოსდევს ღრმა შედეგები ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებში და ზრდის დისკრიმინაციის საკითხების მოგვარების აუცილებლობას, რომელსაც განიცდიან ხანდაზმული ქალები, უფრო მასშტაბური და სისტემატური ხასიათით კონვენციის ფარგლებში.
7. დაბერების საკითხები არის დღის წესრიგში როგორც განვითარებული ასევე განვითარებადი ქვეყნებისთვის. ხანდაზმულ პირთა პროპორცია ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში მოსალოდნელია გაიზარდოს 8 პროცენტიდან 2010 წლის მონაცემით, 20 პროცენტამდე 2050 წლისთვის,⁷ იმ დროს როდესაც ბავშვების რაოდენობა მცირდება 29 პროცენტიდან 20 პროცე-

ნტზე.⁸ ნაკლებად განვითარებად რეგიონებში მცხოვრები ხანდაზმული ქალების რაოდენობა 2010 წლიდან 2050 წლამდე გაიზარდება 600 მილიონამდე.⁹ ეს დემოგრაფიული მაჩვენებლები წარმოადგენს განვითარებული ქვეყნების ძირითად გამოწვევას. საზოგადოების დაბერება კარგად დამკვიდრებული ტენდენციაა და წარმოადგენს განვითარებული ქვეყნების დამახასიათებელ თვისებას.

8. ხანდაზმული ქალები არ არიან ერთგვაროვანი ჯგუფის წარმომადგენლები. მათ გააჩნიათ გამოცდილების, ცოდნის, შესაძლებლობის და უნარების მრავალფეროვნება, მიუხედავად ამისა, მათი ეკონომიკური და სოციალური სიტუაცია დამოკიდებულია რიგ დემოგრაფიულ, პოლიტიკურ, ეკოლოგიურ, კულტურულ, სოციალურ, ინდივიდუალურ და ოჯახურ ფაქტორებზე. ხანდაზმული ქალების წვლილი როგორც მათი თემის საზოგადოებრივი და სოციალური ცხოვრების ლიდერის, მენარმის, აღმზრდელის, მრჩეველის, შუამავლის, სხვა ფუნქციებთან ერთად, არის შეუფასებელი.

მიზანი და ამოცანა

9. ხანდაზმულ ქალებთან დაკავშირებული ძირითადი რეკომენდაცია და მათი უფლებების დაცვის ხელშეწყობა იკვლევს კონვენციის საკითხებისა და დაბერების საკითხების ურთიერთობას. ის განსაზღვრავს ქალების დისკრიმინაციის მრავალ ფორმას, რომლებსაც ისინი ხვდებიან ხანდაზმულობასთან ერთად, მონაწილე ქვეყნების მიერ დაბერების საკითხებთან დაკავშირებული სავარაუდო ვალდებულებების შინაარსის მონახაზი შემუშავებულია ღირსებისა და ხანდაზმული ქალების უფლებების დაცვით და მოიცავს პოლიტიკის რეკომენდაციებს, რომლებიც მიზნად ისახავს ხანდაზმულ ქალთა პრობლემებზე რეაგირების მეინსტრუქციებს ეროვნულ სტრატეგიაშია, ინიციატივებსა და დადებითი ქმედებების შემუშავებაში, რათა ხანდაზმულმა ქალებმა სრულად შეძლონ საზოგადოებაში ჩართვა დისკრიმინაციის გარეშე და მამაკაცებთან თანაბარი უფლებების საფუძველზე.

6 გაერთიანებული ერების ეკონომიკისა და სოციალური ურთიერთობების დეპარტამენტი, მოსახლეობის დაბერება და განვითარება 2009 წლის გრაფიკი, ხელმისაწვდომია ელ-მისამართზე: <http://www.un.org/esa/population/publications/ageing/ageing2009.htm>.

7 Ibid.

8 გაერთიანებული ერების ეკონომიკისა და სოციალური ურთიერთობების დეპარტამენტი, მოსახლეობის განყოფილება, მსოფლიო მოსახლეობის დაცვა: 2008 წლის მოსახლეობის მონაცემთა გადახედვა, <http://esa.un.org/unpp/index.asp?panel=1>.

9 Ibid.

10. ზოგადი რეკომენდაცია ასევე ურჩევს წევრ სახელმწიფოებს რომ კონვენციის იმპლემენტაციის ანგარიშებში შეიტანონ ხანდაზმული ქალების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია. ხანდაზმული ქალების მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ მათი ღირსების პატივისცემით და კეთილსინდისიერების და სიმტკიცით უფლების დაცვით.

კონკრეტული პრობლემური სფეროები

11. იმ დროს, როდესაც მამაკაცებიც და ქალებიც განიცდიან დისკრიმინაციას ხანდაზმულ ასაკში, ხანდაზმული ქალები განიცდიან დაბერებას განსხვავებულად. გენდერული უთანასწორობის გავლენა მათი ცხოვრების განმავლობაში უფრო მეტად მძიმდება ხანდაზმულობის ასაკში და ხშირად ამის საფუძველს წარმოადგენს ღრმად გამჯდარი კულტურული და სოციალური ნორმები. დისკრიმინაცია, რომელსაც განიცდიან ხანდაზმული ქალები ხშირად არის რესურსების უსამართლოდ გადანაწილების, არასათანადო მოპყრობის, უგულვებელყოფისა და ძირითადი მომსახურებების შეზღუდული ხელმისაწვდომობის შედეგი.
12. დისკრიმინაციის კონკრეტული ფორმები, რომლებიც ხორციელდება ხანდაზმული ქალების წინააღმდეგ, შესაძლოა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს სხვადასხვა სოციო-ეკონომიკური პირობებისა და სოციალურ-კულტურული გარემოდან გამომდინარე, ასევე ეს დამოკიდებულია განათლების, დასაქმების, ჯანმრთელობის დაცვის, ოჯახის და პირადი ცხოვრების თანაბარ შესაძლებლობებსა და არჩევანის უფლებებზე. უმეტეს ქვეყნებში, კომუნიკაციის უნარების ნაკლებობა, შესაბამისი საცხოვრებელი პირობების, სოციალური მომსახურებების და ინტერნეტის ხელმისაწვდომობის პრობლემა, მართობა და იზოლაცია ქმნის პრობლემებს ხანდაზმული ქალებისთვის. ხანდაზმული ქალები, რომლებიც ცხოვრობენ სოფლად ან ქალაქის გარეუბნებში, ხშირად განიცდიან ძირითადი საარსებო რესურსების, უზრუნველყოფილი შემოსავლის, ჯანმრთელობის დაცვის ხელმისაწვდომობის, ინფორმაციის, შეღავათებით სარგებლობის და მათი უფლებების დაცვის ნაკლებობას.
13. დისკრიმინაცია რომელსაც განიცდიან ხანდაზმული ქალები ხშირ შემთხვევაში მრავალმხრივია, ასაკობრივი დისკრიმინაციის ფაქტორე-

ბის სხვა ფაქტორებთან შერწყმით, როგორცაა სქესი, ეთნიკური წარმომავლობა, შეზღუდული შესაძლებლობები, სიღარიბის დონე, სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა, საემიგრაციო სტატუსი, საქორწინო და ოჯახური სტატუსი, განათლება და სხვა საფუძვლები. ხანდაზმული ქალები, რომლებიც არიან უმცირესობის, ეთნიკური ან ადგილობრივი ჯგუფების წევრები, იძულებით გადაადგილებული ან მოქალაქეობის არმქონე, ხშირად განიცდიან არათანაბარი დონის დისკრიმინაციას.

14. ბევრი ხანდაზმული ქალი განიცდის უგულვებელყოფას, რადგან ისინი აღარ ითვლებიან საჭიროდ პროდუქტიული და რეპროდუქციული თვალსაზრისით და საკუთარი ოჯახებისთვის განიხილებიან როგორც ტვირთი. დაქვრივება და განქორწინება უფრო მეტად ამწვავებს მათ დისკრიმინაციას, ხოლო ჯანდაცვის მომსახურებების ნაკლებობა ან შეზღუდული ხელმისაწვდომობა და პირობები, ისეთი დაავადებებისთვის როგორცაა დიაბეტი, კიბო, ჰიპერტენზია, გულის უკმარისობა, კატარაქტა, ოსტეოპოროზი და ალცჰაიმერი, ხელს უშლის ხანდაზმულ ქალებს ისარგებლონ მათი ადამიანური უფლებების სრული დაცვით.
15. ქალების სრული განვითარების და დაწინაურების მიღწევა შესაძლებელია სიცოცხლის ციკლის მიდგომის მეშვეობით, რომელიც აღიარებს და მიმართავს ქალის ცხოვრების სხვადასხვა ეტაპებს – ბავშვობიდან მოზარდის ასაკამდე, ზრდასრულობიდან და ხანდაზმულობამდე – და ზემოქმედებას ახდენს ყველა ეტაპზე ხანდაზმული ქალების უფლებების დაცვის განხორციელებაზე. კონვენციით გამყარებული უფლებები მოქმედებს ქალის ცხოვრების ყველა ეტაპზე. მიუხედავად ამისა, უმეტეს ქვეყნებში, ასაკობრივი დისკრიმინაცია კვლავ ხდება და დაშვებულია ინდივიდების მიმართ, ინსტიტუციურ და პოლიტიკურ დონეებზე, მხოლოდ რამდენიმე ქვეყანას აქვს კანონმდებლობა, რომელიც კრძალავს დისკრიმინაციას ასაკობრივი ნიშნით.
16. გენდერული სტერეოტიპების ფორმირებამ, ტრადიციულმა და ჩვეულებებამ დაფუძნებულმა პრაქტიკამ შესაძლოა მავნე ზემოქმედება იქონიოს ხანდაზმული ქალების ცხოვრების ყველა სფეროზე, განსაკუთრებით შეზღუდული შესაძლებლობების მქონეებზე, მათ შორის ოჯახურმა ურთიერთობებმა, საზოგადოების როლმა, მედიის მიერ გაშუქებამ, დამსაქმებელთა დამოკიდებულებამ, ჯანდაცვამ და სხვა მომსა-

ხურეების მომწოდებლებმა, შესაძლოა გამოიწვიოს ფიზიკური ძალადობა, ისევე როგორც ფსიქოლოგიური, ვერბალური და ფინანსური შეურაცხყოფა/შევიწროვება.

17. ხანდაზმული ქალები ხშირად განიცდიან დისკრიმინაციას შეზღუდვების სახით, რაც ხელს უშლის მათ მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკურ და გადამწყვეტილების მიღების პროცესებში. მაგალითად, საიდენტიფიკაციო საბუთების ან ტრანსპორტირების ნაკლებობა, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს ხანდაზმულ ქალებს მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში. ზოგიერთ ქვეყანაში, ხანდაზმული ქალებს არ აქვთ უფლება მონაწილეობა მიიღონ მათ უფლებების დამცავი ასოციაციების ან სხვა არასამთავრო ორგანიზაციების მუშაობაში. გარდა ამისა, პენსიაზე გასვლის სავალდებულო ასაკი შესაძლოა უფრო ნაკლები იყოს ქალებისთვის ვიდრე მამაკაცებისთვის, რაც შესაძლოა დისკრიმინაციული იყოს ქალებისთვის, მათ შორის მათთვისაც, რომლებიც წარმოადგენენ საკუთარ სახელმწიფოს საერთაშორისო დონეზე.
18. ლტოლვილის სტატუსის მქონე ან მოქალაქეობის არმქონე ან თავშესაფრის მაძიებელი ხანდაზმული ქალები, ისევე როგორც ემიგრანტი მუშაკები ან იძულებით გადაადგილებული პირები, ხშირად განიცდიან დისკრიმინაციას, ძალადობასა და უყურადღებობას. იძულებით გადაადგილებული ან მოქალაქეობის არმქონე ხანდაზმული ქალები, შესაძლოა განიცდიდნენ პოსტ-ტრავმული სტრესის სინდრომს, რომელიც შესაძლოა არ იყოს აღიარებული ან არ ექვემდებარებოდეს მკურნალობას ჯანმრთელობის დაცვის პროვაიდერების მიერ. ხანდაზმულ ლტოლვილებს ან იძულებით გადაადგილებულ ქალებს ხშირად ეუბნებიან უარს სამედიცინო დახმარებაზე, რადგან მათ არ აქვთ კანონიერი სტატუსი ან დოკუმენტები ან/და დასახლებულები არიან სამედიცინო დაწესებულებისგან შორს. ისინი ასევე განიცდიან კულტურულ და ენობრივ ბარიერს მომსახურების მიღების დროს.
19. დამსაქმებლები ხანდაზმულ ქალებს ხშირად მიიჩნევენ არამომგებიან ინვესტიციად განათლებისა და პროფესიული ტრენინგებისთვის. ასევე ხანდაზმულ ქალებს არ აქვთ თანაბარი შესაძლებლობა შეისწავლონ თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები და არც რესურსები მათ შესაძენად. ხანდაზმული ქალების უმეტესობა, რომლებიც ცხოვრობენ სიღარიბეში, განსაკუთრებით შეზღუდული შესაძლებლობები მქონე და ქალაქგარეთ მაცხოვრებლები, მოკლებული არიან განათლების მიღების უფლებას, მცირე ფორმალურ ან არაფორმალურ განათლებას. გაუნათლებლობამ და მათემატიკური უნარების არქონამ შესაძლოა შეზღუდოს ხანდაზმული ქალების სრულფასოვანი მონაწილეობა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, ეკონომიკაში, და ასევე რიგი მომსახურებების, უფლებების და რეკრეაციული აქტივობები ხელმისაწვდომობა.

20. ქალები მცირედ არიან წარმოდგენილი ოფიციალური დასაქმების სექტორში. ქალების, როგორც წესი, უხდებიან უფრო ნაკლებს ვიდრე მამაკაცებს იგივე ან თანაბარი ღირებულების საქმიანობაში. გარდა ამისა, მთელი ცხოვრების განმავლობაში დასაქმებაში არსებულ გენდერულ დისკრიმინაციას გააჩნია ერთობლივი გავლენა ხანდაზმულ ასაკზე, აიძულებს ხანდაზმულ ქალებს დადგინდონ არაპროპორციულად დაბალი შემოსავალისა და საპენსიო განაკვეთის წინაშე, ვიდრე იღებენ მამაკაცები. ზოგად კომენტარში No. 19, კომიტეტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ აღიარებს, რომ პენსია ფონდიდან, წარმოქმნილი დამჭირავებლის ხარჯზე მუშაკთა შენატანის გარეშე, საჭირო იქნება უმეტესობა სახელმწიფოებში, რადგან ნაკლებს სავარაუდოა, რომ ყველა დაიფარება შენატანების სქემის მიერ (პუნქტი 4. (ბ)), იმ დროს, როდესაც კონვენციის მუხლი 28, პარაგრაფი 2 (ბ), რომელიც შეეხება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებებს უზრუნველყოფს, განსაკუთრებით შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ხანდაზმული ქალების სოციალურ დაცვას. ხანდაზმული ასაკის პენსიის გაცემა, როგორც წესი, მჭიდროდ არის დაკავშირებული აქტიური ცხოვრების პერიოდში მიღებულ ხელფასთან, ხანდაზმული ქალები ხშირ შემთხვევაში იღებენ უფრო დაბალ პენსიას მამაკაცებთან შედარებით. გარდა ამისა, ხანდაზმული ქალები განსაკუთრებით განიცდიან ასაკობრივ და სქესის ნიშნით დისკრიმინაციას, რასაც მამაკაცებისგან განსხვავებით მივყავართ განსხვავებულ საპენსიო ასაკამდე. ქალები უნდა ექვემდებარებოდნენ ნებაყოფლობით საპენსიო ასაკს, რათა მოხდეს მათი უფლებების დაცვა, იმისათვის, რომ მათ შეძლონ მუშაობის გაგრძელება სურვილისამებრ და გაზარდონ საკუთარი საპენსიო სარგო, შეძლებისდაგვარად, მამაკაცებთან თანაბარ დონეზე. ცნობილი ფაქტია, რომ ხანდაზმული ქალების უმეტესობა ზრუნავს და ზოგჯერ წარმოადგენს დამოკიდებული ბავ-

შვების, მეუღლეების/პარტნიორების ან ხანდაზმული მშობლების ან ნათესავების ერთადერთ მომვლელს. იშვიათად ხდება ამ აუნაზღაურებელი ზრუნვის ფინანსური და ემოციური ღირებულების აღიარება.

21. ხშირად უგულებელყოფილია ხანდაზმულ ქალთა უფლება თავად გადანყვიტონ და თანხმობა განაცხადონ ჯანდაცვის საკითხებთან მიმართებაში. სოციალური მომსახურებები, მათ შორის გრძელვადიანი ზრუნვა, ხანდაზმული ქალებისთვის არაპროპორციულად მცირდება როდესაც ხდება სახელმწიფო ხარჯების შემცირება. პოსტ-მენოპაუზის, პოსტ-რეპროდუქციული და სხვა ასაკიდან გამომდინარე და გენდერული სპეციფიკის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა და უკმარისობები როგორც წესი რჩება მკვლევარების, აკადემიური შესწავლის, საზოგადოებრივი პოლიტიკისა და მომსახურების მომწოდებელთა ყურადღების მიღმა. სქესობრივი ჯანმრთელობისა და აივ/შიდსის ვირუსების შესახებ ინფორმაცია იშვიათად მიწოდებათ ხანდაზმულ ქალებს მისაღები, ხელმისაწვდომი და შესაბამისი ფორმით. ხანდაზმული ქალების უმეტესობა არ აქვს ინდივიდუალური ჯანმრთელობის დაზღვევა, ან გამოირიცხებიან სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სქემიდან, რადგან მათ არ შეუძლიათ საკუთარი წვლილი მუშაობის პერიოდში არაფორმალურ სექტორში ან ანაზღაურების გარეშე მუშაობის უზრუნველყოფაში.
22. ხანდაზმულ ქალებს არ აქვთ უფლება მოითხოვონ ოჯახური დახმარება, თუ ისინი არ არიან მშობლები ან მათი მზრუნველობის ქვეშ მყოფი ბავშვების კანონიერი მეურვეები.
23. მიკრო-საკრედიტო და ფინანსური სქემებს როგორც წესი გააჩნიათ ასაკობრივი შეზღუდვა ან სხვა კრიტერიუმი, რაც ზღუდავს ხანდაზმული ქალებისთვის ხელმისაწვდომობას. ხანდაზმული ქალების უმეტესობა, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც მიჯაჭვული არიან საკუთარ სახლებს, ვერ იღებენ მონაწილეობას კულტურულ, რეკრეაციულ და საზოგადოებრივ აქტივობებში, რაც ამყოფებს მათ იზოლაციაში და ნეგატიურ გავლენას ახდენს მათ კეთილდღეობაზე. ხშირად, საკმარისი ყურადღება არ ექცევა დამოუკიდებლად ცხოვრების მოთხოვნებს, როგორცაა პირადი დახმარება, შესაბამისი საცხოვრებელი პირობები, მათ შორის ხელმისაწვდომი საცხოვრებელი შეთანხმებები და გადაადგილების საშუალებები.

24. ბევრ ქვეყანაში, ხანდაზმული ქალების უმეტესობა ცხოვრობს სოფლად, სადაც მომსახურების ხელმისაწვდომობა კიდევ უფრო რთულდება მათი ასაკიდან და სიღარიბის დონიდან გამომდინარე. ხანდაზმული ქალების გარკვეული ნაწილი იღებს არარეგულარულ, არა-საკმარის ან არა-უფლად გზავნილებს ემიგრანტი-მომუშავე შვილებისგან. წყლის, საკვების და საცხოვრებლის უფლების აღკვეთა წარმოადგენს სოფლად მაცხოვრებელი ხანდაზმული ქალების ყოველდღიური ცხოვრების ნაწილს. ხანდაზმული ქალები ვერ ახერხებენ სწორად კვებას გარემოებების კომინაციაშიდან გამომდინარე, როგორცაა საკვების მაღალი ფასები და მათი შემოსავლის შეუსაბამობა-დასაქმებასთან დაკავშირებული დისკრიმინაცია, სოციალური დაზღვევიდან და რესურსების წვდომიდან გამომდინარე. ტრანსპორტის შეზღუდულმა წვდომამ შესაძლოა მოახდინოს ხანდაზმული ქალების სოციალურ მომსახურებასთან და საზოგადოებრივ და კულტურულ აქტივობაში მონაწილეობის პრევენცია. მსგავსი შეზღუდული წვდომა შესაძლოა გამოწვეული იყოს იმით, რომ ხანდაზმულ ქალებს გააჩნიათ დაბალი შემოსავალი და ასევე საჯარო პოლიტიკის შეუსაბამობით, რომელიც არ უზრუნველყოფს მისაღებ და ხელმისაწვდომ საჯარო ტრანსპორტირებას, რომელიც დააკმაყოფილებს ხანდაზმული ქალების საჭიროებებს.
25. კლიმატის ცვლილება სხვადასხვაგვარ გავლენას ახდენს ქალებზე, განსაკუთრებით ხანდაზმულ ქალებზე, რომლებიც გამომდინარე ფიზიოლოგიური განსხვავებებიდან, ფიზიკური შესაძლებლობიდან, ასაკიდან და სქესიდან, ისევე როგორც სოციალური ნორმებიდან და როლიდან, ასევე დახმარებისა და რესურსების შეუსაბამო გადანაწილებიდან, რომელიც დაკავშირებულია სოციალურ იერარქიასთან, პრაქტიკულად არიან დაუცველები ბუნებრივი სტიქიის/ კატასტროფის შემთხვევაში. რესურსების და გადანყვიტელების მიღებაში მონაწილეობის შეზღუდული წვდომა აძლიერებს მათ დაუცველობას კლიმატური ცვლილებებისადმი.
26. ზოგიერთი საკანონმდებლო და ჩვეულებითი კანონის თანახმად, ქალებს არ გააჩნიათ გარდაცვლილი მეუღლის ქონების მემკვიდრეობით მიღებისა და მისი მართვის უფლება. რამდენიმე სამართლებრივი სისტემა ამას ამართლებს ქვრივებისთვის ეკონომიკური უზრუნველყოფის სხვა საშუალებების მიწოდებით, როგორცაა

გარდაცვლილის ქონებიდან გამოყოფილი და-ხმარების სახის გადასახადი. თუმცა, სინამდვილეში ასეთი პირობები იშვიათად ხორციელდება და ქვრივები ხშირად რჩებიან საარსებო პირობების გარეშე. ზოგიერთი კანონი განსაკუთრებულად უწევს დისკრიმინაციას ხანდაზმულ ქვრივებს და ზოგიერთი ქვრივი კი არის „ქონების მითაცების“ მსხვერპლი.

27. ხანდაზმული ქალები განსაკუთრებულად დაუცველნი არიან ექსპლუატაციისა და ძალადობის მიმართ, მათ შორის ეკონომიკური ძალადობის, როდესაც მათი ქმედუნარიანობა შემცირებულია ადვოკატის ან ოჯახის წევრების მოქმედებით, მათი თანხმობის გარეშე.
28. კომიტეტის ზოგადი რეკომენდაცია No. 21 (1994 წ.) აცხადებს, რომ „პოლიგამიური ქორწინება არღვევს ქალების მამაკაცებთან თანასწორობის უფლებას და შესაძლოა მოყვეს სერიოზული შედეგები მასზე დამოკიდებული ადამიანებთან დაკავშირებით, ამგვარად ასეთი სახის ქორწინებებს არ უნდა შეეწყოს ხელი და უნდა აიკრძალოს“ (პუნქტი14). დღეისათვის პოლიგამიური ქორწინებები კვლავ რჩება ზოგიერთი წევრი სახელმწიფოს პრაქტიკაში და მრავალი ქალი იმყოფება პოლიგამიური კავშირში. ასაკოვანი ცოლები ხშირად უგულვებელყოფილი არიან პოლიგამიურ ქორწინებაში, რადგან აღარ ითვლებიან რეპროდუქციულად ან ეკონომიკურად აქტიურებად.

რეკომენდაციები

ზოგადი

29. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა აღიარონ, რომ ხანდაზმული ქალები წარმოადგენენ საზოგადოების მნიშვნელოვან რესურსს და უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები, მათ შორის საკანონმდებლო, რათა შემცირდეს ხანდაზმული ქალების დისკრიმინაცია. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ გენდერისა და ასაკის მიმართ მგრძობიარე პოლიტიკა და ზომები, მათ შორის დროებითი განსაკუთრებული ზომები, კონვენციის მუხლი 4, პუნქტი1 შესაბამისად და კომიტეტის No. 23 (1997წ.) და No. 25 (2004) ზოგადი რეკომენდაციების შესაბამისად, რათა უზრუნველყონ ხანდაზმული ქალების სრული და ეფექტური მონაწილეობა პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სამოქალაქო ცხოვრებაში, ასევე საზოგადოების ნებისმიერ სხვა სფეროში.

30. წევრ სახელმწიფოებს აკისრიათ ვალდებულება უზრუნველყონ სრული განვითარება და წინსვლა მათი ცხოვრების ნებისმიერ ეტაპზე როგორც მშვიდობიან ასევე კონფლიქტის დროს, ისევე როგორც ნებისმიერი ადამიანური ფაქტორით ან/და ბუნებრივი კატასტროფების დროს. წევრმა სახელმწიფოებმა ასევე უნდა უზრუნველყონ, რომ ყველა სამართლებრივმა დებულებებმა, პოლიტიკამ და ინტერვენციებმა მიზნად დაისახოს, რომ ქალების განვითარება და წინსვლა არ უწევს დისკრიმინაციას ხანდაზმულ ქალებს.
31. წევრი სახელმწიფოების ვალდებულებებმა უნდა გაითვალისწინოს ქალების მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციის მრავალმხრივი ბუნება და დარწმუნდეს, რომ გენდერული თანასწორობის პრინციპები ვრცელდება ქალების სიცოცხლის მთელი ციკლის განმავლობაში, კანონმდებლობით და ასევე ხორციელდება პრაქტიკაში. ამასთან დაკავშირებით, წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებენ გააუქმონ ან შეცვალონ არსებული კანონი, რეგულაციები და წეს-ჩვეულებები, რომლებიც დისკრიმინაციულია ხანდაზმული ქალების მიმართ და დარწმუნდნენ, რომ კანონი კრძალავს ყოველგვარ დისკრიმინაციას გენდერული და ასაკობრივი ნიშნებით.
32. იმისათვის, რომ მხარი დავუჭიროთ სამართლებრივ რეფორმას და პოლიტიკის ფორმულირებას, წევრი სახელმწიფოებს მოვუწოდებთ მოაგროვონ, გაანალიზონ და გაავრცელონ ასაკისა და სქესის მიხედვით დაყოფილი მონაცემები, რათა ჰქონდეთ ინფორმაცია ხანდაზმულ ქალებთან დაკავშირებით, მათ შორის მათზე რომლებიც ცხოვრობენ ქალაქგარეთ (სოფლად), კონფლიქტის ტერიტორიაზე, მიეკუთვნებიან უმცირესობას და არიან შეზღუდული შესაძლებლობების მქონენი. მსგავსი მონაცემები, სხვა საკითხებთან ერთად, განსაკუთრებით ორიენტირებული უნდა იყოს, სიღარიბეზე, წერა-კითხვის უცოდინარობაზე, ძალადობაზე, აუნაზღაურებელ სამუშაოზე, მათ შორის აივ/შიდსის ვირუსის მატარებლების ან დაავადებულთა მოვლაზე, მიგრაციაზე, ჯანდაცვის ხელმისაწვდომობაზე, განსახლებაზე, სოციალურ და ფინანსურ დახმარებებსა და დასაქმებაზე.
33. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ხანდაზმული ქალებისთვის ინფორმაციის მიწოდება მათ უფლებებთან დაკავშირებით და იმის შესახებ, თუ როგორ მიიღონ იურიდიული

მომსახურება. მათ უნდა მოამზადონ პოლიცია, სასამართლო, ისევე როგორც იურიდიული დახმარების და საადვოკატო მომსახურებების წარმომადგენლები ხანდაზმული ქალების უფლებებში, გახადო მგრძობიარე და ასწავლონ საჯარო პირებს და დაწესებულებებს ასაკთან და გენდერთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც გავლენას ახდენს ხანდაზმულ ქალებზე. ინფორმაცია, იურიდიული დახმარება, ეფექტური საშუალებები და ზარალის ანაზღაურება უნდა იყოს თანაბრად ხელმისაწვდომი და მისაღები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ხანდაზმული ქალებისთვისაც.

34. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მისცენ საშუალება ხანდაზმულ ქალებს მიიღონ ზარალის ანაზღაურება და გადაჭრან მათი უფლებების დარღვევის საკითხები, მათ შორის ქონების მართვის უფლება და დარწმუნდნენ, რომ ხანდაზმულ ქალებს არ აქვთ მოკლებული ქმედითუნარიანობა შემთხვევით ან დისკრიმინაციულ საფუძველზე.
35. წევრი სახელმწიფოები უნდა დარწმუნდნენ, რომ კლიმატის ცვლილება და კატასტროფის რისკის შემცირების ზომები არის გენდერზე ორიენტირებული და მგრძობიარე ხანდაზმული ქალების საჭიროებებისა და მონყვლადობის მიმართ. წევრმა სახელმწიფოებმა ასევე ხელი უნდა შეუწყონ ხანდაზმული ქალების, კლიმატის ცვლილების შედეგების შემსუბუქების და ადაპტაციასთან დაკავშირებული გადანყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობას.

სტერეოტიპები

36. მონაწილე ქვეყნებს აკისრიათ მოვალეობა აღმოფხვრან ნეგატიური სტერეოტიპები და შექმნან კულტურული და სოციალური ქცევის ისეთი მოდელები, რომლებიც არ იქნებიან ზიანის მომტანი ხანდაზმული ქალებისთვის, რათა შემცირდეს მათი ფსიქიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური, ვერბალური და ეკონომიკური შეურაცხყოფა, განსაკუთრებით შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ხანდაზმულებისა, ნეგატიურ სტერეოტიპებსა და კულტურულ ჩვეულებებზე დაფუძნებული გამოცდილებიდან გამომდინარე.

ძალადობა

37. მონაწილე ქვეყნებს აკისრიათ მოვალეობა შეიმუშაონ კანონმდებლობა, რომელიც აღიარებს და კრძალავს ძალადობას, მათ შორის ოჯახურ ძალადობას, სქესობრივ ძალადობას,

და სახელმწიფო ორგანიზაციებში განხორციელებულ ძალადობას ხანდაზმული ქალების მიმართ, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მიმართ. წევრ სახელმწიფოებს აკისრიათ ვალდებულება გამოიძიონ, განახორციელონ სისხლისსამართლებრივი დევნა და დასაჯონ ხანდაზმული ქალების მიმართ განხორციელებული ძალადობის ყველა შემთხვევა/მოქმედება, მათ შორის ისეთი შემთხვევებიც, რომლებიც არის ტრადიციული პრაქტიკისა და რწმენის შედეგი.

38. წევრმა სახელმწიფოებმა ყურადღება უნდა მიექციონ ძალადობას, რომელსაც განიცდიან ხანდაზმული ქალები შეიარაღებული კონფლიქტის დროს, შეიარაღებული კონფლიქტების გავლენა ხანდაზმული ქალების ცხოვრებაზე და წვლილი, რომლის შეტანაც შეუძლიათ მათ კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებისა და რეკონსტრუქციის პროცესებში. წევრმა სახელმწიფოებმა სათანადო ყურადღება უნდა დაუთმონ ხანდაზმული ქალების მდგომარეობას სექსუალური ძალადობის, იძულებით გადაადგილების და ლტოლვილის პირობების მისამართით შეიარაღებული კონფლიქტის დროს. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ გაერთიანებული ერების შესაბამისი რეზოლუცია ქალების, მშვიდობის და უსაფრთხოების შესახებ მსგავს საკითხებზე გადანყვეტილების მიღებისას, მათ შორის, ნაწილობრივ უნდა გაითვალისწინონ უსაფრთხოების საბჭოს რეზოლუციები 1325 (2000 წ.), 1820 (2008 წ.) და 1889 (2009 წ.).

საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა

39. წევრ სახელმწიფოებს აკისრიათ პასუხისმგებლობა უზრუნველყონ ხანდაზმული ქალების შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, დაიკავონ საჯარო თანამდებობები ნებისმიერ დონეზე და რომ ხანდაზმულ ქალებს გააჩნდეთ ყველა საჭირო დოკუმენტაცია არჩევნებში ხმის მისაცემად და კანდიდატად მონაწილეობის მისაღებად.

განათლება

40. წევრ სახელმწიფოებს აკისრიათ ვალდებულება უზრუნველყონ თანაბარი შესაძლებლობა განათლების დარგში ყველა ასაკის ქალისთვის და დარწმუნდნენ, რომ ხანდაზმულ ქალებს აქვთ წვდომა ზრდასრულთა განათლებაზე და

მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის შესაძლებლობა, ისევე როგორც საგანმანათლებლო ინფორმაციაზე, რომელიც სჭირდებათ საკუთარი თავის და ოჯახის კეთილდღეობისთვის.

სამსახური და საპენსიო განაკვეთი

41. წევრ სახელმწიფოებს აკისრიათ ვალდებულება ხელი შეუწყონ ხანდაზმული ქალების მონაწილეობას ანაზღაურებად სამსახურში ასაკობრივი და გენდერული დისკრიმინაციის გარეშე. წევრი სახელმწიფოები უნდა დარწმუნდნენ, რომ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ხანდაზმული ქალების პრობლემებს, რომლებსაც ისინი ხვდებიან სამუშაო ცხოვრებაში, რომ მათ არ აიძულებენ პენსიაზე ადრეულ გასვლას ან არ უქმნიან მსგავს სიტუაციას. წევრმა სახელმწიფოებმა ასევე უნდა აწარმოონ ხანდაზმული ქალების ანაზღაურებასთან დაკავშირებული გენდერული ხასიათის გარღვევების მონიტორინგი.
42. წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან დარწმუნდნენ, რომ საპენსიო ასაკი როგორც სახელმწიფო ისე კერძო სექტორში არ არის დისკრიმინაციული ქალების მიმართ. აქედან გამომდინარე, წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან დარწმუნდნენ, რომ საპენსიო პოლიტიკა არანაირად არ არის დისკრიმინაციული, იმ შემთხვევაშიც კი როდესაც ქალები ნაადრევად გადიან პენსიაზე და რომ ყველა ხანდაზმულ ქალს, რომელიც იყო აქტიური მუშაკი აქვს შესაბამისი პენსიის წვდომა. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, დროებითი აუცილებელი ზომები, მსგავსი პენსიის გარანტირებულად მიღებისათვის.
43. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ხანდაზმული ქალებისთვის, განსაკუთრებით მათთვის ვისაც აკისრია ბავშვებზე ზრუნვის პასუხისმგებლობა, შესაბამის სოციალურ და ფინანსურ დახმარებებზე წვდომა, როგორცაა ბავშვზე ზრუნვის დახმარება, ისევე როგორც ყველა საჭირო მხარდაჭერის წვდომა ხანდაზმულ მშობლებზე ან ნათესავზე ზრუნვისას.
44. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ პენსიები წინასწარი შენატანის გარეშე, მაკაცებთან თანაბარი უფლებების საფუძველზე, ყველა ქალისთვის რომელთაც არ გააჩნიათ სხვა პენსია ან არ აქვთ საკმარისი უსაფრთხო შემოსავალი, სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული შეღავათები ხელმისაწვდომი

უნდა იყოს ხანდაზმული ქალებისთვის, განსაკუთრებით მათთვის ვინც ცხოვრობს მოშორებულ ტერიტორიებზე ან სოფლად.

ჯანმრთელობა

45. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ჯანმრთელობაზე ზრუნვის კომპლექსური პოლიტიკა, რომელიც მიზნად დაისახავს ხანდაზმული ქალების ჯანდაცვის საჭიროებებს, ქალებისა და ჯანდაცვის შესახებ კომიტეტის No. 24 ზოგადი რეკომენდაციის (1999 წ.) გათვალისწინებით. ასეთმა პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს მისაღები და ხელმისაწვდომი ჯანდაცვა ხანდაზმული ქალებისთვის, საჭიროების შემთხვევაში, მომსახურების გადასახადის აღმოფხვრა, ჯანდაცვის მუშაკთა ტრენინგი გერიატრიულ დაავადებებთან დაკავშირებით, მედიკამენტების მიწოდება ასაკობრივი ქრონიკული და არა-ინფექციური დაავადებების სამკურნალოდ, გრძელვადიან ჯანმრთელობის და სოციალური დაცვა, მათ შორის ზრუნვა რომელიც იძლევა დამოუკიდებლად ცხოვრების და პალიატიური ზრუნვის საშუალებას. გრძელვადიანი ზრუნვა უნდა მოიცავდეს ინტერვენციებს, რომლებიც ხელს შეუწყობს ქცევის და ცხოვრების წესის შეცვლას, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწვეას, როგორცაა ჯანსაღი კვების პრაქტიკა და აქტიური ცხოვრების წესი, ხელმისაწვდომი ჯანდაცვის მომსახურებები, მათ შორის სკრინინგი და ხანდაზმულ ქალებში უფრო მეტად გავრცელებული დაავადებების მკურნალობა. ჯანდაცვის პოლიტიკა ასევე უნდა უზრუნველყოფდეს, რომ ხანდაზმული ქალებისთვის მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის მიწოდებული ჯანდაცვის სერვისი დაეფუძნოს პირის თავისუფალ და ინფორმირებულ თანხმობას.
46. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ სპეციალური პროგრამები მორგებული ხანდაზმული ქალების ფიზიკურ, გონებრივ, ემოციურ და ჯანმრთელობის საჭიროებებზე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქალებს რომლებიც წარმოადგენენ უმცირესობებს და არიან შეზღუდული შესაძლებლობების მქონეები, ისევე როგორც ქალებს, რომლებსაც დავალებული აქვთ შვილიშვილებზე და ოჯახზე დამოკიდებული სხვა ახალგაზრდებზე ზრუნვა, ზრდასრული ახალგაზრდების მიგრაციიდან გამომდინარე, ასევე ქალებს რომლებიც უვლიან აივ/შიდსის ვირუსით დაავადებულ ოჯახის წევრებს.

ეკონომიკური გაძლიერება

47. წევრ სახელმწიფოებს აკისრიათ ვალდებულება აღმოფხვრან ეკონომიკურ და სოციალურ სფეროში ხანდაზმული ქალების მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციის ყველა ფორმა. ყველა ბარიერი დაკავშირებული ასაკთან და სქესთან სასოფლო-სამეურნეო სესხის მისაღებად უნდა იქნას ამოღებული და უნდა მოხდეს ხანდაზმული ფერმერი ქალების და მცირე მინადმოქმედებას შესაბამისი ტექნოლოგიებისადმი წვდომის უზრუნველყოფა. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ მხარდაჭერის სპეციალური პროგრამა და გირაოსგან თავისუფალი მიკრო-კრედიტები, ასევე ხელი შეუწყონ ხანდაზმული ქალების მიკრო-მენარმეობას. ხანდაზმული ქალებისთვის უნდა შეიქმნას რეკრეაციული გართობის და დასვენების ადგილები და უნდა მიეწოდოსთ გასვლითი სახის საინფორმაციო მომსახურება, ისეთ ხანდაზმულ ქალებს, რომლებიც მიჯაჭვული არიან საკუთარ სახლებს. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიაწოდონ მისაღები და ხელმისაწვდომი ტრანსპორტირების საშუალება ხანდაზმულ ქალებს, მათ შორის სოფლად მაცხოვრებელ ქალებსაც, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში, მათ შორის თემის აქტივობებშიც.

სოციალური დახმარება

48. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ აუცილებელი ზომები ხანდაზმული ქალების შესაბამისი საცხოვრებელი პირობების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, მათი საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით და აღმოფხვრან ყველაწინააღმდეგობა, არქიტექტურული სახის და სხვა, რომლებიც აფერხებს ხანდაზმული პირების გადაადგილებას და მივყავართ იძულებით ტყვეობამდე. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ სოციალური მომსახურებები, რაც საშუალებას მისცემს ხანდაზმულ ქალებს დარჩნენ საკუთარ სახლებში და იცხოვრონ დამოუკიდებლად რაც შეიძლება დიდხანს. კანონები და პრაქტიკა, რომლებიც ნეგატიურ გავლენას ახდენენ ხანდაზმულ ქალებზე საცხოვრებლის, მიწისა და საკუთრების უფლებებთან დაკავშირებით, უნდა გაუქმდეს. წევრმა სახელმწიფოებმა ასევე უნდა დაიცვან ხანდაზმული ქალები იძულებითი გამოსახლებისა და უსახლკარობისგან.

სოფლად მაცხოვრებელი და მოწყვლადი ხანდაზმული ქალები

49. წევრი სახელმწიფოები უნდა დარწმუნდნენ, რომ ხანდაზმული ქალები ჩართული და წარმოდგენილი არიან სოფლისა და ქალაქის განვითარების დაგეგმარების პროცესებში. წევრმა სახელმწიფოებმა ხანდაზმული ქალები უნდა უზრუნველყონ წყლით, ელექტროენერჯით და სხვა კომუნალური მომსახურებებით. პოლიტიკამ, რომელიც მიზნად ისახავს სასმელი წყლის წვდომის გაფართოვებას და შესაბამისი სანიტარული ზომების დაცვას, უნდა უზრუნველყოს შესაბამისი ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა და არ უნდა საჭიროებდეს დამატებით ფიზიკური ძალის გამოყენებას.

50. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ გენდერულად და ასაკის მიმართ მგრძობიარე კანონები და პოლიტიკა, რათა უზრუნველყონ ლტოლვილის სტატუსის ან მოქალაქეობის არმქონე ხანდაზმული ქალების, ისევე როგორც იძულებით გადაადგილებული ან მომუშავე-ემიგრანტების დაცვა.

ქორწინება და ოჯახური ცხოვრება

51. წევრ სახელმწიფოებს აკისრიათ ვალდებულება გააუქმონ ყველა კანონი, რომელიც დისკრიმინაციას უწევს ხანდაზმულ ქალებს, ქორწინების და მისი შეწყვეტის, მათ შორის ქონებისა და მემკვიდრეობის საკითხებში.

52. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გააუქმონ ყველა კანონი, რომელიც დისკრიმინაციას უწევს ხანდაზმულ ქვრივ ქალებს, ქონებასა და მემკვიდრეობის მიღების საკითხებში, დაიცვას ისინი მიწის მითაცებისაგან. მათ უნდა მიიღონ კანონები მემკვიდრეობის ანდერძის გარეშე მიღების შესახებ, რომლებიც შეასრულებენ საკუთარ მოვალეობებს კონვენციის შესაბამისად. გარდა ამისა, მათ უნდა მიიღონ ზომები ხანდაზმული ქალების იძულებით, მათი სურვილის გარეშე, ქორწინებასთან დაკავშირებით, და დარწმუნდნენ, რომ მემკვიდრეობის მიღება არ არის იძულებითი ქორწინების გარემოება გარდაცვლილი მეუღლის ძმაზე ან ნებისმიერ სხვა პიროვნებაზე.

53. წევრმა სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუშალონ და აკრძალონ პოლიგამიური კავშირები, No. 21 ძირითადი რეკომენდაციის თანახმად, და უნდა უზრუნველყონ, პოლიგამი ქმრის გარდაცვალების შემდეგ მისი ქონების თანაბარი გაიყოფა მის მეუღლეებსა და შვილებს შორის.

IX. ზოგადი რეკომენდაცია № 28

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის

ყველა ფორმის აღმოფხვრის

შესახებ კონვენციის მეორე

მუხლის მიხედვით წევრი ქვეყნების

ძირითადი ვალდებულებები

მიღებულია: 2010 წელს, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის 47-ე სხდომაზე

შესავალი

1. ამ ზოგადი რეკომენდაციის მეშვეობით ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი („კომიტეტი“) მიზნად ისახავს, რომ განმარტოს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის („კონვენცია“) მეორე მუხლის ფარგლები და მნიშვნელობა, რომელიც უზრუნველყოფს გზებს წევრი ქვეყნებისათვის, რომ ქვეყნის შიდა დონეზე მოხდეს კონვენციის მთავარი მუხლების დანერგვა. კომიტეტი რეკომენდაციას უწევს წევრ ქვეყნებს, რომ თარგმნონ ეს ზოგადი რეკომენდაციები ეროვნულ და ადგილობრივ ენებზე და ფართოდ გაავრცელონ ხელისუფლების, სამოქალაქო საზოგადოების, მათ შორის მედიის, მეცნიერებისა და ადამიანის უფლებების და ქალთა ორგანიზაციებსა და ინსტიტუტების სხვადასხვა შტოებში.
2. კონვენცია დინამიური ინსტრუმენტია, რომელიც უზრუნველყოფს საერთაშორისო სამართლის განვითარებას. 1982 წელს მისი პირველი სესიის შემდეგ, კომიტეტი და ეროვნული და საერთაშორისო დონის სხვა მონაწილე სუბიექტებმა წვლილი შეიტანეს კონვენციის მუხლების მთავარი შინაარსის, ქალების მიმართ დისკრიმინაციის სპეციფიკური ბუნებისა და ასეთ დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის სხვადასხვა ინსტრუმენტების განმარტებასა და გაგებაში.
3. კონვენცია არის საერთაშორისო ადამიანის უფლებათა საყოველთაო სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც მიმართულია ადამიანის ყველა უფლებებით სარგებლობის უზრუნველყოფისა და ქალების მიმართ სქესის ნიადაგზე დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრისა და გაერთიანებული ერების ქარტია, ადამიანის უფლებების უნივერსალური დეკლარაცია, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი, ბავშვთა უფლებების კონვენცია, მიგრანტი მუშაკებისა და მათი ოჯახის წევრების უფლებების დაცვის საერთაშორისო კონვენცია და შშმ პირთა უფლებების კონვენცია მოიცავს მკაფიო დებულებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ქალების ვაცების მიმართ თანასწორობას იმ უფლებებით სარგებლობისას, რომელთაც ისინი იცავენ, იმ დროს, როცა საერთაშორისო ადამიანის უფლებათა სხვა ხელშეკრულებები, როგორცაა რასისტული დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის საერთაშორისო კონვენცია, არაპირდაპირი ფორმით გამომდინარეობენ სქესის ნიშნით დისკრიმინაციის აღკვეთის კონცეფციიდან. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციებმა #100 (1951), რომელიც ეხება ქალი და ვაკი მუშაკების თანაბარ ანაზღაურებას თანაბარი ღირებულების შრომისათვის, #111 (1958), რომელიც ეხება შრომისა და დასაქმების სფეროში დისკრიმინაციას და #156 (1981) რომე-

ლიც ეხება ქალი და კაცი მუშაკების თანაბარ შესაძლებლობებსა და თანაბარ მოპყრობას: მუშაკებს ოჯახური პასუხისმგებლობებით, კონვენციამ განათლებაში დისკრიმინაციის წინააღმდეგ, დეკლარაციამ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ, ვენის დეკლარაციამ და სამოქმედო პროგრამამ, ქაიროს სამოქმედო პროგრამამ და პეკინის დეკლარაციამ და სამოქმედო პლატფორმამ ასევე წვლილი შეიტანეს ქალების კაცებთან თანასწორობისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ საერთაშორისო სამართლებრივ რეჟიმში. მსგავსად, იმ ქვეყნების ვალდებულებები, რომლებიც მიუერთდნენ რეგიონული ადამიანის უფლებათა სისტემებით, დამატებითა უნივერსალური ადამიანის უფლებათა ჩარჩოსათვის.

4. კონვენციის მიზანია სქესის ნიადაგზე ქალების მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა. ის უზრუნველყოფს ქალებისათვის თანაბარი აღიარების, ყველა ადამიანის უფლებებითა და ფუნდამენტური თავისუფლებით სარგებლობას და განხორციელებას პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, სამოქალაქო, საშინაო ან ნებისმიერ სხვა სფეროში, დამოუკიდებლად მათი სტატუსისა და კაცებთან თანასწორობის საფუძველზე.
5. მიუხედავად იმისა, რომ კონვენცია მხოლოდ ეხება სქესზე დაფუძნებულ დისკრიმინაციას, პირველი მუხლის მეორე (ვ) და მესამე (ე) მუხლებთან ერთად ინტერპრეტირება მიუთითებს, რომ კონვენცია მოიცავს გენდერზე დაფუძნებულ დისკრიმინაციას ქალთა წინააღმდეგ. ტერმინი „სქესი“ აქ აღნიშნავს ბიოლოგიურ განსხვავებას ქალსა და კაცს შორის. ტერმინი „გენდერი“ ეხება სოციალურად კონსტრუირებულ ერთეულებს, ატრიბუტებსა და როლებს ქალებისა და კაცებისათვის და საზოგადოების სოციალურ და კულტურულ მნიშვნელობას ამ ბიოლოგიური განსხვავებებისათვის, რომელიც შედეგად წარმოშობს იერარქიულ ურთიერთობებს ქალებსა და კაცებს შორის და ძალაუფლებისა და უფლებების გადანაწილებას კაცების სასარგებლოდ და არახელსაყრელად ქალებისათვის. ქალებისა და კაცების ამ სოციალურ პოზიციონებაზე გავლენას ახდენს პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული, სოციალური, რელიგიური, იდეოლოგიური და გარემო ფაქტორები და შესაძლებელია შეიცვალოს კულტურისა და საზოგადოების მიერ. კონვენციის გამოყენება გენდერზე დაფუძნებული

დისკრიმინაციის დროს ნათელია პირველ მუხლში შესული დისკრიმინაციის განმარტების მიერ. ეს განმარტება მიუთითებს, რომ ნებისმიერი განსხვავება, გამონაკლისი ან აკრძალვა, რომლის შედეგიან მიზანი არის ქალების მიერ ადამიანის უფლებებითა და ფუნდამენტური თავისუფლებით სარგებლობის და განხორციელების დაკნინება ან აღიარების გაბათილება არის დისკრიმინაცია, იმ შემთხვევებშიც, როდესაც დისკრიმინაცია განსაზღვრული არ ყოფილა. ეს შესაძლოა ნიშნავდეს, რომ ქალებისა და კაცების მიმართ იდენტურმა ან ნეიტრალური მოპყრობა შესაძლოა წარმოადგენდეს დისკრიმინაციას ქალების მიმართ, თუ ასეთი სახის მოპყრობის შედეგად ან მისგან გამომდინარე ქალები ვერ შეძლებენ საკუთარი უფლების განხორციელებას, იმის გამო რომ მხედველობაში არ იყო მიღებული წინასწარ არსებული და სქესის ნიშანზე დაფუძნებული არახელსაყრელი მდგომარეობა და უთანასწორობა, რომლებსაც აწყდებიან ქალები. კომიტეტის შეხედულებები ამ საკითხზე დასტურდება მისი ანგარიშების განხილვით, მისი ზოგადი რეკომენდაციებით, გადანყვეტილებებით, ვარაუდებითა და განცხადებებით, ინდივიდუალური ურთიერთობების განხილვით და მის მიერ ჩატარებული მოკვლევებით დამატებითი ოქმის ფარგლებში.

6. მე-1 მუხლი ძალიან მნიშვნელოვანია კონვენციის სრული დანერგვისათვის, რადგან ის განსაზღვრავს წევრი ქვეყნების ზოგადი სამართლებრივი ვალდებულებების ბუნებას. მე-2 მუხლში დაცული ვალდებულებები მჭიდროდაა დაკავშირებული კონვენციის ყველა სხვა მთავარ მუხლებთან, რადგან წევრ ქვეყნებს აქვთ ვალდებულება, უზრუნველყონ, რომ ყველა ვალდებულება, რომელიც დაცულია ამ კონვენციით სრულად დაფასებულია ეროვნულ დონეზე.
7. კონვენციის მე-2 მუხლი ნაკითხულ უნდა იქნას მე-3, 4, 5 და 24-ე მუხლებთან ერთად და პირველ მუხლში დაცული დისკრიმინაციის განმარტების ფონზე. გარდა ამისა, ზოგადი ვალდებულებების ფარგლები, რომლებიც შესულია მეორე მუხლში, ასევე განმარტებულ უნდა იქნას კომიტეტის მიერ გამოცემული ზოგადი რეკომენდაციების, დასკვნითი დაკვირვებების, შეხედულებებისა და სხვა ფორმულირებების, მათ შორის მოკვლევების პროცედურების და ცალკეულ საქმეებზე გადანყვეტილებების კონტექსტში. კონვენციის სულისკვეთება მოიცავს სხვა უფლებებს, რომლებიც მკაფიოდ არ

არის აღნიშნული კონვენციაში, მაგრამ რომელთაც გავლენა აქვთ ქალების კაცებთან თანასწორობის მიღწევაზე, რაც წარმოადგენს ქალების მიმართ დისკრიმინაციის ფორმას.

II. ნევრი ქვეყნების ვალდებულებების ხასიათი და ფარგლები

8. მეორე მუხლი მოუწოდებს ნევრ ქვეყნებს, რომ დაგმონ ქალთა მიმართ დისკრიმინაცია „მისი ყველა ფორმით“, იმ დროს, როცა მესამე მუხლი ეხება შესაბამის ზომებს, რომლებიც ნევრმა ქვეყნებმა უნდა მიიღონ „ყველა სფეროში“, რომ უზრუნველყონ ქალთა სრული განვითარებისა და წინსვლა. ამ მუხლების მეშვეობით კონვენცია წინასწარ ითვალისწინებს დისკრიმინაციის ახალი ფორმების წარმოშობას, რომელიც მისი შედეგისას ჯერ არ ყოფილა განსაზღვრული.
9. მეორე მუხლის მიხედვით ნევრმა ქვეყნებმა უნდა განიხილონ მათი სამართლებრივი ვალდებულებების ყველა ასპექტი კონვენციის მიხედვით, რომ პატივი სცენ, დაიცვან და შეასრულონ ქალების უფლებები, რომ არ იყვნენ დისკრიმინაციის მსხვერპლნი და ისარგებლონ თანასწორობით. პატივისცემის ვალდებულება ნევრი ქვეყნებისაგან მოითხოვს ისეთი კანონების, პოლიტიკის, რეგულაციების, პროგრამების, ადმინისტრაციული პროცედურებისა და ინსტიტუციური სტრუქტურების მიღებას, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ შედეგად წარმოშობს ქალებისათვის მათი სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და სხვა კულტურული უფლებებით სარგებლობისათვის ხელის შეშლას. დაცვის ვალდებულება ნევრი ქვეყნებისაგან მოითხოვს, რომ დაიცვან ქალები დისკრიმინაციისაგან კერძო სუბიექტების მხრიდან და მიიღონ ზომები, რომლებიც პირდაპირ არის მიმართული ჩვეულებითი და სხვა პრაქტიკის აღმოფხვრისაკენ, რომლებიც ზიანს აყენებს და ახანგრძლივებს ორივე სქესის არასრულფასოვნების ან განდიდების ცნებას ქალის და კაცის სტერეოტიპულ როლებს. შესრულების ვალდებულება მოითხოვს ნევრი ქვეყნებისაგან, რომ გადადგან ნაბიჯები, რათა უზრუნველყონ, რომ ქალები და კაცები სარგებლობდნენ თანასწორი უფლებებით დეიურე და დე-ფაქტო, რაც მოიცავს, სადაც შესაძლებელია, დროებით სპეციალური ზომების მიღებას კონვენციის მე-4 მუხლის პირველი

- პუნქტის და ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის, რომელიც ეხება დროებით სპეციალურ მიზნებს, რეკომენდაცია #25-ის შესაბამისად. ეს საჭიროებს ზომების ან ქცევების ვალდებულებებს ან შედეგებს. ნევრმა ქვეყნებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ მათ უნდა შეასრულონ მათი სამართლებრივი ვალდებულებები ქალების მიმართ საჯარო პოლიტიკის, პროგრამებისა და ინსტიტუციონალური ჩარჩოების შექმნით, რომლებიც მიმართული იქნება ქალების სპეციფიკური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, რაც მიგვიყვანს მათი პოტენციალის სრულ განვითარებამდე კაცებთან თანასწორ საფუძველზე.
10. ნევრ ქვეყნებს აქვთ ვალდებულება, რომ არ გამოიწვიონ დისკრიმინაცია ქალთა მიმართ მოქმედებებით ან შეცდომებით; შემდეგ ისინი ვალდებული არიან, რომ აქტიური რეაგირება მოახდინონ ქალთა მიმართ დისკრიმინაციაზე, მიუხედავად იმისა ასეთი მოქმედებები ან უმოქმედობა ჩადენილია სახელმწიფო თუ კერძო მოქმედი სუბიექტების მიერ. დისკრიმინაცია შესაძლოა წარმოშობას სახელმწიფოს უმოქმედობის გამო, როდესაც ის არ იღებს აუცილებელ სამართლებრივი ზომებს, რათა უზრუნველყოს ქალების უფლებების სრული რეალიზაცია, როდესაც არ იღებს ეროვნულ პოლიტიკას, რომელიც მიმართული იქნება ქალებსა და კაცებს შორის თანასწორობაზე და როდესაც არ აღასრულებს შესაბამის კანონებს. მსგავსად, ნევრ ქვეყნებს აქვთ საერთაშორისო პასუხისმგებლობა, რომ შექმნან და მუდმივად გააუმჯობესონ ზოგადად ქალების და კონკრეტულად სპეციფიკური მონაცემები ჯგუფების ნევრი ქალების მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის სტატისტიკური მონაცემთა ბაზები.
 11. ნევრი ქვეყნების ვალდებულებები არ ნყდება შეიარაღებული კონფლიქტის განმავლობაში ან საგანგებო ვითარების დროს, რომელიც წარმოიშვა პოლიტიკური მოვლენების ან ბუნებრივი კატაკლიზმების გამო. ასეთ სიტუაციებს დიდი გავლენა აქვს და ფართო შედეგებს იწვევს ქალების მიერ მათი ფუნდამენტური უფლებებით თანასწორ დონეზე სარგებლობასა და განხორციელებაზე. ნევრმა ქვეყნებმა უნდა მიიღონ სტრატეგიები და მიიღონ ზომები, რომლებიც მიმართული იქნება შეიარაღებული კონფლიქტების დროს და საგანგებო ვითარებისას ქალების კონკრეტულ საჭიროებებზე.

12. საერთაშორისო სამართლის ქვემდებარების მიუხედავად, სახელმწიფოები უპირველესად ახორციელებენ ტერიტორიულ იურისდიქციას. წვერი ქვეყნების ვალდებულებები ვრცელდება დისკრიმინაციის გარეშე მოქალაქეებსა და არა მოქალაქეებზე, რაც მოიცავს ლტოლვილებს, თავშესაფრის მაძიებლებს, მიგრანტ მუშაკებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს მათ ტერიტორიაზე ან ეფექტური კონტროლის ფარგლებში, მიუხედავად იმისა, არიან თუ არა ისინი მათ ტერიტორიაზე. წვერი ქვეყნები პასუხისმგებელი არიან მათ ყველა მოქმედებაზე, რომელიც გავლენას ახდენს ადამიანის უფლებებზე, მიუხედავად იმისა, დაზარალებული პირი არის თუ არა მათ ტერიტორიაზე.
13. მუხლი 2 არ შემოიფარგლება წვერი ქვეყნების მიერ ქალების მიმართ პირდაპირი ან არაპირდაპირი დისკრიმინაციის აკრძალვით. მუხლი 2 ასევე აკისრებს აუცილებელი ზრუნვის ვალდებულებას წვერი ქვეყნებს, რათა მოახდინოს კერძო სუბიექტების მიერ დისკრიმინაციის პრევენცია. ზოგ შემთხვევაში კერძო სექტორის მოქმედებები ან უმოქმედობა შეიძლება მიეკუთვნოს სახელმწიფოს საერთაშორისო სამართლის მიხედვით. წვერი ქვეყნები, შესაბამისად, ვალდებული არიან, რომ უზრუნველყონ, რომ კერძო მოქმედი სუბიექტები არ ჩაერთვებიან ქალების მიმართ დისკრიმინაციაში, როგორც განსაზღვრულია კონვენციაში. შესაბამისი ზომები, რომლებიც სავალდებულოა, რომ წვერმა ქვეყნებმა მიიღონ, მოიცავს კერძო მოქმედი სუბიექტების მოქმედებების რეგულაციებს განათლებასთან, დასაქმებასთან და ჯანმრთელობის პოლიტიკასა და პრაქტიკასთან, სამუშაო პირობებსა და სამუშაო სტანდარტებთან და სხვა სფეროებთან დაკავშირებით, რომლებშიც კერძო მოქმედი სუბიექტები უზრუნველყოფენ მომსახურებას ან ნაგებობებს, როგორცაა ბანკები და საცხოვრებლები.

III. მე-2 მუხლის ზოგადი ვალდებულებები

ა. მე-2 მუხლის შესავალი წინადადება

14. მეორე მუხლის შესავალი წინადადება იკითხება შემდგენიერად „წვერი ქვეყნები გმობენ დისკრიმინაციას ქალთა მიმართ ყველა ფორმით, თანხმდებიან, რომ ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრისათვის განახორციელონ პოლიტიკა ყველა შესაბამისი საშუალებებით და დაუყოვნებლივ“.
15. პირველი ვალდებულება, რომელიც მოხსენიებულია მეორე მუხლის ქუდში არის „ქალების მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის დაგმობის“ ვალდებულება. წვერი სახელმწიფოებს აქვთ უშუალო და უწყვეტი ვალდებულება, რომ დაგმონ დისკრიმინაცია. ისინი ვალდებული არიან, რომ გამოუცხადონ თავის მოსახლეობას და საერთაშორისო საზოგადოებას მათი სრული წინააღმდეგობა ქალების მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის მიმართ ხელისუფლების ყველა დონეზე და ყველა შტოზე და მათი მზადყოფნა, რომ აღმოფხვრან ქალების მიმართ დისკრიმინაცია. ტერმინი „ყველა ფორმის დისკრიმინაცია“ ნათლად ავალდებულებს წვერი ქვეყნებს, რომ იყვნენ ყურადღებით დისკრიმინაციის ყველა ფორმის დაგმობისას, მათ შორის, ფორმების, რომელებიც მკაფიოდ არ არის განსაზღვრული კონვენციაში ან შესაძლოა ისინი იყოს განვითარებადი.
16. წვერი ქვეყნები ვალდებული არიან, რომ პატივი სცენ, დაიცვან და შეასრულონ ქალების უფლება, რომ არ იყვნენ დისკრიმინირებულნი და უზრუნველყონ ქალების განვითარება და პროგრესირება, იმისათვის, რომ მათ გაიუმჯობესონ თავისი პოზიცია და განახორციელონ მათი დეფაქტო ან დე-იურე უფლება ან ფუნდამენტური თანასწორობა კაცებთან. წვერმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ არ არსებობდეს პირდაპირი ან არაპირდაპირი დისკრიმინაცია ქალთა მიმართ. ქალების მიმართ პირდაპირი დისკრიმინაცია მოიცავს სხვადასხვა მოპყრობას, რომელიც მკაფიოდაა დაფუძნებული სქესსა და გენდერზე. ქალების მიმართ არაპირდაპირი დისკრიმინაცია ვლინდება, როდესაც კანონი, პოლიტიკა, პროგრამა ან პრაქტიკა არის ნეიტრალური, როდესაც საქმე ეხება ქალებსა და კაცებს, მაგრამ გააჩნია ქალებზე დისკრიმინაციული ზემოქმედება პრაქტიკაში, რადგან მანამდე არსებული უთანასწორობები არ ყოფილა განხილული ნეიტრალური ზომების გამო. უფრო მეტიც, არაპირდაპირი დისკრიმინაციის შეუძლია გაამწვავოს არსებული უთანასწორობა, იმის გამო, რომ არ ცნობენ დისკრიმინაციის სტრუქტურულ და ისტორიულ ჩარჩოებს და არათანაბარი ძალის ურთიერთობებს ქალებსა და კაცებს შორის.
17. წვერი ქვეყნებს ასევე გააჩნიათ ვალდებულება, უზრუნველყონ, რომ ქალები დაცულნი არიან საჯარო ხელისუფლების, სასამართლო, ორგ-

ანიზაციების, საწარმოების ან კერძო პირების მიერ საჯარო ან კერძო სფეროებში განხორციელებული დისკრიმინაციისაგან. ეს დაცვა უზრუნველყოფილი უნდა იყოს კომპეტენტური ტრიბუნალების და სხვა საჯარო ინსტიტუტების მიერ და უნდა გაძლიერდეს სანქციებითა და გარანტიებით, სადაც შესაძლებელია. წევრი ქვეყნები უნდა უზრუნველყოფდნენ, რომ ყველა სახელმწიფო ორგანოს სრულად ჰქონდეს გათვითცნობიერებული სქესისა და გენდერის საფუძველზე თანასწორობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპები და რომ ადეკვატური სწავლება და ცნობადობის გაზრდის პროგრამები შედგენილი და განხორციელებული იყოს ამ მხრივ.

18. ურთიერთგადაკვეთა არის მთავარი არსი მე-2 მუხლში წევრი ქვეყნების ზოგადი ვალდებულებების ფარგლების ძირითადი არსის გასაგებად. სქესსა და გენდერზე დაფუძნებული დისკრიმინაცია განუყოფლად დაკავშირებული სხვა ფაქტორებზე, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ ქალებზე, როგორცაა რასა, ეთნიკურობა, რელიგია ან რწმენა, ჯანმრთელობა, სტატუსი, ასაკი, კლასი, კასტა და სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა. სქესსა და გენდერზე დაფუძნებულმა დისკრიმინაციამ შესაძლოა გავლენა იქონიოს ქალებზე, რომლებიც მიეკუთვნებიან ასეთ ჯგუფებს, სხვადასხვა ხარისხით ან კაცებისგან განსხვავებულად. წევრმა ქვეყნებმა სამართლიანად უნდა აღიარონ დისკრიმინაციის ასეთი ურთიერთგადაკვეთი ფორმები და განახორციელონ პოლიტიკა და პროგრამები, რომლებიც შედგენილია ასეთი აღმოჩენების აღმოსაფხვრელად, რაც მოიცავს, სადაც შესაძლებელია, დროებით სპეციალურ ზომებს კონვენციის მე-4 მუხლის პირველი პარაგრაფის და #25 რეკომენდაციის თანახმად.

19. ქალების მიმართ დისკრიმინაცია სქესისა და გენდერის საფუძველზე, როგორც ქალთა მიმართ ძალადობის #19 ზოგად რეკომენდაციაშია ფორმულირებული, მოიცავს გენდერზე დაფუძნებულ ძალადობას, კონკრეტულად კი, ძალადობას, რომელიც მიმართულია ქალის მიმართ, იმ მიზეზით, რომ ის ქალია ან ძალადობას, რომელიც გავლენას ახდენს ქალზე არაპროპორციულად. ეს არის დისკრიმინაციის ფორმა, რომელიც სერიოზულად უშლის ხელს ქალის შესაძლებლობას, რომ ისარგებლოს და განახორციელოს მისი ადამიანის უფლებები და ფუნდამენტური თავისუფლება კაცებთან თანასწორობის საფუძველზე. ეს მოიცავს აქ-

ტებს, რომლებიც აყენებს ფიზიკურ, მენტალურ ან სექსუალურ ზიანს, ასეთი აქტების საფრთხე, ბენოლა და თავისუფლების სხვა შეზღუდვა, ძალადობა, რომელიც წარმოიშობა ოჯახში ან ოჯახური ერთეულის ფარგლებში ან სხვა ურთიერთობის ფარგლებში ან ძალადობა ჩადენილი ან დაშვებული სახელმწიფოს ან მისი სააგენტოების მიერ, მიუხედავად მისი წარმოშობის ადგილისა. გენდერზე დაფუძნებულმა ძალადობამ შესაძლოა დაარღვიოს კონვენციის კონკრეტული მუხლები, მიუხედავად იმისა, ეს მუხლები ახსენებენ თუ რა ძალადობას. წევრ ქვეყნებს აქვთ ვალდებულება, რომ ადეკვატონ, გამოიძიონ, დაადასტალონ და დასაჯონ გენდერზე დაფუძნებული ძალადობის ასეთი აქტები.

20. შესრულების ვალდებულება მოიცავს ქვეყნების ვალდებულებას, რომ ხელი შეუწყონ დაშვებას უზრუნველყონ ქალების უფლებების სრული რეალიზაცია. ქალების ადამიანის უფლებები უნდა შესრულდეს დე ფაქტო ან ფუნდამენტური თანასწორობის ხელის შეწყობით ყველა შესაბამისი საშუალებით, რაც მოიცავს ეფექტური და კონკრეტული პოლიტიკისა და პროგრამების მეშვეობით, რომლებიც მიმართულია ქალების პოზიციის გაუმჯობესებისაკენ და ასეთი თანასწორობის მიღწევისაკენ, რაც მოიცავს, მეოთხე მუხლის პირველი პარაგრაფისა და #25 რეკომენდაციის თანახმად დროებითი სპეციალური ზომების მიღების საშუალებით.

21. წევრი ქვეყნები, კერძოდ, ვალდებულნი არიან, რომ ხელი შეუწყონ გოგოების თანასწორ უფლებებს, რადგან გოგოები არიან ქალთა უფრო დიდი საზოგადოების ნაწილი და უფრო მონყვლადნი არიან დისკრიმინაციის მიმართ ისეთ სფეროებში, როგორცაა დაშვება საბაზისო განათლებაზე, ტრეფიკინგი, არასათანადო მოპყრობა, ექსპლუატაცია და ძალადობა. დისკრიმინაციის ყველა ეს სიტუაცია მძიმდება, როდესაც მსხვერპლი არიან თინეიჯერები. შესაბამისად, წევრმა ქვეყნებმა ყურადღება უნდა მიაქციონ (თინეიჯერი) გოგოების სპეციალურ საჭიროებებს მათთვის სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ სწავლების უზრუნველყოფით და ისეთი პროგრამების განხორციელებით, როლებიც მიმართულია აივ/შიდსის, სექსუალური ექსპლუატაციისა და თინეიჯერთა ფეხმძიმობის პრევენციისაკენ.

22. ქალებსა და კაცებს შორის თანასწორობის, ან გენდერული თანასწორობის თანდაყოლილი პრინციპი, არის კონცეფცია, რომ ყველა ადამიანი, მიუხედავად სქესისა, თავისუფალია,

რომ განავითაროს პირადი შესაძლებლობები, განაგრძოს მისი პროფესიული კარიერა და გააკეთოს არჩევანი სტერეოტიპების, ხისტი გენდერული როლებისა და ცრურწმენების მიერ დაწესებული შეზღუდვების გარეშე. წევრ ქვეყნებს მოუწოდებენ, რომ გამოიყენონ მხოლოდ ქალებისა და კაცების თანასწორობის ან გენდერული თანასწორობის კონცეფცია და არ გამოიყენონ გენდერული სამართლიანობის კონცეფცია კონვენციის თანახმად მათი ვალდებულებების განხორციელებისას. უკანასკნელი კონცეფცია გამოყენებულია ზოგიერთ იურისდიქციაში, რომელიც ეხება სამართლიან მოპყრობას ან მოპყრობას, რომელიც განსხვავებულია, მაგრამ აღქმულია, როგორც თანასწორი უფლებების, სარგებლის, ვალდებულებებისა და შესაძლებლობების მხრივ.

23. წევრი ქვეყნები ასევე თანხმდებიან, რომ „მისდინო ყველა შესაბამისი ზომებით“ ქალების მიმართ დისკრიმინაციის ფორმების აღმოფხვრის პოლიტიკას. ეს ვალდებულება, რომ გამოიყენონ ზომები ან ქცევის კონკრეტული გზა წევრ ქვეყანას აძლევს მოქნილობას, რომ ჩამოაყალიბოს პოლიტიკა, რომელიც იქნება შესაბამისი მისი კონკრეტული სამართლებრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური, ადმინისტრაციული და ინსტიტუციონალური ჩარჩოსათვის და რომელსაც შეეძლება, რეაგირება მოახდინოს კონკრეტულ წინააღმდეგობაზე და ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის წინააღმდეგობაზე, რომელიც არსებობს ამ წევრ ქვეყანაში. თითოეულ წევრ ქვეყანას უნდა შეეძლოს, რომ გაამართლოს მისი არჩეული კონკრეტული ზომების შესაბამისობა და მოახდინოს დემონსტრირება, მიაღწევს თუ არა ის ჩაფიქრებულ ეფექტსა და შედეგს. საბოლოოდ, კომიტეტის გადასანწყვეტია წევრმა ქვეყანამ მართლა მიიღო თუ არა ყველა საჭირო ზომები ეროვნულ დონეზე, რომლებიც მიმართულია კონვენციაში აღიარებული უფლებების სრული რეალიზაციისაკენ.

24. მეორე მუხლის შესავალი ფრაზის ძირითადი ელემენტები არის წევრი ქვეყნების ვალდებულება, რომ განახორციელონ ქალების მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის პოლიტიკა. ეს მოთხოვნა წევრი ქვეყნის მიერ კონვენციის განხორციელების ზოგადი სამართლებრივი ვალდებულების აუცილებელი და მნიშვნელოვანი კომპონენტია. ეს ნიშნავს, რომ წევრმა ქვეყანამ დაუყოვნებლივ უნდა შეაფასოს ქალების დე-იურე და დე-ფაქტო სიტუაცია და მი-

იღოს კონკრეტული ზომები, რომ მოახდინოს პოლიტიკის ფორმულირება და დანერგვა, რომელიც მიმართული იქნება, რაც შეიძლება მკაფიოდ, ქალების მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრისა და ქალების კაცებთან ფუნდამენტური თანასწორობის მიღწევის მიზნის მიმართ. ხაზგასმა არის წინ სვლაზე: სიტუაციის შეფასებიდან ზომების ყოვლისმომცველი სპექტრის საწყის მიღებასა და ფორმულირებამდე, ამ ზომებზე მუდმივი დაყრდნობით მათი ეფექტურობისა და წარმოშობადი პრობლემების ფონზე, რათა მიღწეულ იქნას კონვენციის მიზნები. ასეთი პოლიტიკა უნდა მოიცავდეს კონსტიტუციურ და სამართლებრივ გარანტიებს, რაც მოიცავს შიდა დონეზე სამართლებრივ მუხლებთან გათანაბრებას და საწინააღმდეგო სამართლებრივი მუხლების შესწორებას. ის ასევე უნდა მოიცავდეს სხვა შესაბამისი ზომებს, როგორცაა ყოვლისმომცველი სამოქმედო გეგმები და მათი მონიტორინგისა და დანერგვის მექანიზმებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ქალებისა და კაცების ფუნდამენტური და ფორმალური თანასწორობის პრაქტიკული რეალიზაციის მექანიზმებს.

25. პოლიტიკა უნდა იყოს ყოვლისმომცველი და უნდა ეხებოდეს ცხოვრების ყველა სფეროს, მათ შორის, სფეროებს, რომლებიც მკაფიოდ არ არის აღნიშნული კონვენციის ტექსტში. ის უნდა ეხებოდეს საჯარო და კერძო ეკონომიკურ სფეროებს, ისევე როგორც შიდა სფეროს, რათა უზრუნველყოს, რომ ხელისუფლების ყველა შტო (აღმასრულებელი, სამართლებრივი და სასამართლო განშტოებები) და ხელისუფლების ყველა საფეხური თავის თავზე იღებს მათ შესაბამის პასუხისმგებლობას დანერგვაზე. ის უნდა მოიცავდეს ზომების სრულ სპექტრს, რომლებიც შესაბამისი და აუცილებელია წევრი ქვეყნის კონკრეტულ პირობებში.

26. პოლიტიკამ უნდა განსაზღვროს წევრი ქვეყნის იურისდიქციის ქვეშ მყოფი ქალები (მათ შორის, არა-მოქალაქე, მოქალაქე, მიგრანტი, თავშესაფრის მაძიებელი და მოქალაქეობის არმქონე ქალები), როგორც უფლების მატარებლები, განსაკუთრებული ხაზგასმით ქალთა ჯგუფებზე, რომლებიც ყველაზე მარგინალიზებულნი არიან და რომლებიც შესაძლოა გარალდებოდნენ ურთიერთმკვეთი დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმების გამო.

27. პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს, რომ ქალებს, როგორც ინდივიდებსა და ჯგუფებს, ჰქონდეთ დამკვეთ ინფორმაციაზე კონვენციის მიხედვით მათი უფლებების შესახებ და რომ

მათ შედგოთ ეფექტურად უზრუნველყონ ამ უფლებების ხელშეწყობა და მოთხოვნა. წევრმა ქვეყანამ ასევე უნდა უზრუნველყოს, რომ ქალებს შეეძლოთ აქტიური მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკის განვითარებაში, დანერგვასა და მონიტორინგში. ამ მხრივ, გამოყოფილ უნდა იქნას რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფენ, რომ ადამიანის უფლებები და ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციები არიან კარგად ინფორმირებულნი, ადეკვატურად კონსულტირებულნი და ზოგადად შეეძლოთ, რომ ითამაშონ აქტიური როლი პოლიტიკის საწყის და შემდგომ განვითარებაში.

28. პოლიტიკა უნდა იყოს მოქმედებაზე და შედეგებზე ორიენტირებული, იმ მხრივ, რომ მან უნდა ჩამოაყალიბოს ინდიკატორები, კრიტერიუმები და ვადები, უზრუნველყოს ადეკვატური რესურსირება ყველა შესაბამისი მოქმედი სუბიექტისათვის და სხვაგვარად მისცეს საშუალება ამ მოქმედ სუბიექტებს, რომ ითამაშონ მათი როლი შეთანხმებული კრიტერიუმებისა და მიზნების მიღწევაში. ამ მიზნით, პოლიტიკა დაკავშირებული უნდა იყოს ძირითად სამთავრობო სავალუტო პროცესებთან, რათა უზრუნველყოს, რომ პოლიტიკის ყველა ასპექტი ადეკვატურად არის დაფინანსებული. მან უნდა უზრუნველყოს მექანიზმები, რომლებიც აგროვებს რელევანტურ სქესზე დეტალიზებულ მონაცემებს, უზრუნველყოფს ეფექტურ მონიტორინგს, ახდენს უწყვეტ შეფასებას და არსებული ზომების გადახედვისა და დამატების შესაძლებლობას და აგრეთვე, იმ სხვა ახალი ზომების იდენტიფიცირების შესაძლებლობას იძლევა, რომლებიც შესაძლოა იყვნენ შესაბამისი. უფრო მეტიც, პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს, რომ ხელისუფლების აღმასრულებელ შტოში არსებობს ძლიერი და ფოკუსირებული ორგანოები (ადგილობრივ ქალთა პროცედურები), რომლებიც მიიღებენ ინიციატივას, მოახდენენ კანონმდებლობის, პოლიტიკისა და პროგრამების დანერგვის განხორციელებასა და კოორდინაციას, რომლებიც საჭიროა კონვენციის თანახმად წევრი ქვეყნების მიერ ვალდებულებების შესასრულებლად. ეს ინსტიტუტები გაძლიერებულ უნდა იქნას, რომ ხელისუფლების პირდაპირ მაღალ საფეხურებისათვის უზრუნველყოს რჩევები და ანალიზი. პოლიტიკამ ასევე უნდა უზრუნველყოს, რომ დამოუკიდებელი მონიტორინგის ინსტიტუტები, როგორცაა ეროვნული ადამიანის უფლებათა ინსტიტუტი ან დამოუკიდებელ ქალთა კომისია ჩამოყალიბ-

ებულია ან არსებული ეროვნული ინსტიტუტები იღებენ მანდატს, რომ ხელი შეუწყონ და დაიცვან კონვენციით გარანტირებული უფლებები. პოლიტიკა უნდა მოიცავდეს კერძო სექტორს, მათ შორის ბიზნესს, სანარმოებს, მედიას, ორგანიზაციებს, საზოგადო ჯგუფებს და ინდივიდებს და ხელს უნდა უწყობდეს მათ ჩართულობას ისეთი ზომების მისაღებად, რომლებიც შეასრულებენ კონვენციის მიზნებს კერძო ეკონომიკურ სფეროში.

29. სიტყვა „დაუყოვნებლივ“ ნათელს ხდის, რომ წევრი ქვეყნების ვალდებულება, რომ შეასრულონ მათი პოლიტიკა ყველა შესაძლო საშუალებებით, არის დაუყოვნებელი ბუნების. ეს ენა არის უპირობო და არ დაუშვებს ნებისმიერ დაყოვნებას ან ვალდებულებების მიზანმიმართულად ეტაპობრივად შესრულებას, რასაც სახელმწიფოები ვარაუდობენ კონვენციის რატიფიცირებისას ან მიერთებისას. აქედან გამომდინარეობს, რომ გადადება ვერ იქნება გამართლებული რაიმე საფუძველით, მათ შორის, პოლიტიკური, სოციალური, კულტურული, რელიგიური, ეკონომიკური, რესურსების ან სხვა გასათვალისწინებელი მოვლენებით ან შეზღუდვებით სახელმწიფოს ფარგლებში. იქ, სადაც წევრი ქვეყანა ეტახება რესურსების შეზღუდვებს ან საჭიროებს ტექნიკურ ან სხვა ექსპერტიზას, რათა ხელი შეუწყოს კონვენციის თანახმად მისი ვალდებულებების შესრულებას, შესაძლოა სავალდებულო იყოს საერთაშორისო თანამშრომლობის მოძიება ამ სიძნელეების გადასალახად.

ბ. ქვეპუნქტი (ა)-(ბ)

30. მეორე პარაგრაფი გამოხატავს წევრი ქვეყნების ვალდებულებას, რომ დანერგონ კონვენცია ზოგადად. მისი მთავარი მოთხოვნები უზრუნველყოფენ ჩარჩოს კონკრეტული ვალდებულებების დასაწერად, რომლებიც განსაზღვრულია მეორე მუხლში, ქვეპარაგრაფებში (ა)-(გ) და კონვენციის ყველა სხვა მთავარ მუხლში.
31. ქვეპუნქტი (ა), (ვ) და (ბ) აყალიბებენ წევრი ქვეყნების ვალდებულებებს, რომ უზრუნველყონ სამართლებრივი დაცვა და გააუქმონ ან შეცვალონ დისკრიმინაციული კანონები და რეგულაციები, როგორც ქალების მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის პოლიტიკის ნაწილი. წევრმა ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ, რომ კონსტიტუციური ცვლილებების ან სხვა შესაბამისი სამართლებრივი ინსტრუმენტების

მეშვეობით ქალებსა და კაცებს შორის თანასწორობისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრის პრინციპი დაცული იყოს შიდა კანონით, რომელსაც ექნება უპირატესი და აღსრულებადი სტატუსი. მათ ასევე უნდა დაადგინონ კანონმდებლობა, რომელიც კრძალავს დისკრიმინაციას ქალთა ცხოვრების ნებისმიერ სფეროში. წევრ ქვეყნებს აქვთ ვალდებულება, რომ მიიღონ შესაბამისი ზომები და განაახლონ ან გააუქმონ არსებული კანონები, რეგულაციები, ჩვეულებები და პრაქტიკა, რომელიც შეიცავს ქალების მიმართ დისკრიმინაციას. ქალთა კონკრეტული ჯგუფები, მათ შორის, ვისაც ჩამოერთვა თავისუფლება, იძულებით გადაადგილებული პირები, თავშესაფრის მაძიებელი და მიგრანტი ქალები, მოქალაქეობის არ მქონე ქალები, ლესბოსელი ქალები, მებღუდული შესაძლებლობების მქონე ქალები, ტრეფიკინგის მსხვერპლი ქალები, ქვრივები და ასაკოვანი ქალები, განსაკუთრებით მოწყვლადები არიან დისკრიმინაციის მიმართ სამოქალაქო და სისხლის სამართლის, რეგულაციებისა და ჩვეულებითი სამართლის და პრაქტიკის მეშვეობით. კონვენციის რატიფიცირებით ან მიერთებით წევრმა ქვეყნებმა ვალდებულება უნდა აიღონ, რომ მოახდინონ კონვენციის მათ შიდა სამართლებრივ სისტემებში გაერთიანება ან მისთვის სხვაგვარად შესაბამისი სამართლებრივი ძალის მინიჭება მათ შიდა სამართლებრივ განკარგულებებში, რათა დაცული იყოს მისი მუხლების იძულებითი აღსრულების უფლება ეროვნულ დონეზე. ეროვნულ დონეზე კონვენციის მუხლების პირდაპირი გამოყენების საკითხი არის კონსტიტუციური სამართლის თემა და დამოკიდებულია ხელშეკრულების სტატუსზე შიდა სამართლებრივ წესრიგში. თუმცა, კომიტეტი მისდევს აზრს, რომ ქალების ცხოვრების ყველა სფეროში დისკრიმინაციის დაუშვებლობისა და თანასწორობის უფლება, როგორც დაცულია კონვენციაში, შესაძლებელია გაძლიერებულად იყოს დაცული იმ ქვეყნებში, სადაც კონვენცია ავტომატურად ან სპეციფიკური ინკორპორაციის მეშვეობით არის შიდა სამართლებრივი წესრიგის ნაწილი. კომიტეტი მოუწოდებს იმ წევრ ქვეყნებს, სადაც კონვენცია არ წარმოადგენს შიდა სამართლებრივი წესრიგის ნაწილს, რომ იფიქრონ კონვენციის ადგილობრივ კანონმდებლობის ნაწილად გამოცხადებაზე, მაგალითად, თანასწორობაზე ზოგადი კანონის მეშვეობით, რათა ხელი შეუწყონ კონვენციის უფლებების სრულ რეალიზაციას, როგორც მო-

თხოვნილია მე-2 მუხლში.

32. ქვეპუნქტი (ბ) შეიცავს წევრი ქვეყნების ვალდებულებას, უზრუნველყონ, რომ დისკრიმინაციის ამკრძალავი და ქალებისა და კაცების თანასწორობის ხელშემწყობი კანონმდებლობა უზრუნველყოფს შესაბამის საშუალებებს ქალებისათვის, რომლებიც არიან დისკრიმინაციის მსხვერპლი კონვენციის სანინაალმდეგოდ. ეს ვალდებულება წევრი ქვეყნებისაგან ითხოვს, რომ უზრუნველყონ კომპენსაცია ქალებისათვის, რომელთა უფლებები, კონვენციის თანახმად, დაირღვა. კომპენსაციის გარეშე შესაბამისი საშუალების უზრუნველყოფის ვალდებულება შესრულებული არ არის. ასეთი საშუალებები უნდა მოიცავდეს კომპენსაციის სხვადასხვა ფორმებს, როგორცაა, ფულადი ანაზღაურება, ზარალის ანაზღაურება, რეაბილიტაცია და აღდგენა, დაკმაყოფილების საშუალებები, როგორცაა საჯარო ბოდიშის მოხდა, საჯარო შენიშვნები და განუემორებლობის გარანტია; ცვლილებები შესაბამის კანონებსა და პრაქტიკაში და ქალების ადამიანის უფლებების დამრღვევი პირების მართლმსაჯულების წინაშე წარდგენა.
33. ქვეპუნქტი (გ) თანახმად, წევრმა ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ, რომ სასამართლოები ვალდებულნი იყვნენ, გამოიყენონ თანასწორობის პრინციპი, როგორც განსაზღვრულია კონვენციაში და მოახდინონ კანონის მაქსიმალურად ინტერპრეტაცია, წევრი ქვეყნების კონვენციის თანახმად ვალდებულებების შესაბამისად. თუმცა, სადაც ამის შესრულება არ არის შესაძლებელი, სასამართლომ, ნებისმიერი შეუსაბამობა ეროვნულ კანონსა, მათ შორის, ეროვნულ რელიგიურ და ჩვეულებით სამართალსა და კონვენციის მიხედვით წევრი ქვეყნის ვალდებულებებს შორის, უნდა ამცნოს შესაბამის ორგანოებს, რადგან შიდა კანონები არ შეიძლება გამოყენებულ იქნას სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო ვალდებულებების შეუსრულებლობის გასამართლებლად.
34. წევრმა ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ქალებს შეეძლოთ, დაეყრდნონ თანასწორობის პრინციპს კონვენციის წინააღმდეგ დისკრიმინაციის იმ აქტების გასაჩივრების მხარდასაჭერად, რომლებიც ჩადენილ იქნას საჯარო ოფიციალური პირების ან კერძო მოქმედი სუბიექტების მიერ. წევრმა ქვეყნებმა შემდეგ უნდა უზრუნველყონ, რომ ქალებს ჰქონდეთ ხელმისაწვდომი, იოლად მისაღები და დროული საშუალებების რესურსები, იურიდიული და სხვა სახის დახმარებით, საჭიროების მიხედვით,

რათა მონაწილეობა მიიღონ კომპეტენტური და დამოუკიდებელი სასამართლოს ან ტრიბუნალის სამართლიან მოსმენებში. იქ, სადაც ქალების მიმართ დისკრიმინაცია ასევე მოიცავს ადამიანის სხვა უფლებების დარღვევას, როგორცაა სიცოცხლის უფლება და ფიზიკური ინტეგრირების უფლება, მაგალითად ოჯახური ან სხვა ფორმის ძალადობა, წევრი ქვეყნები ვალდებული არიან, რომ აღძრან სისხლის სამართლის საქმე, დამრღვევ(ებ) ი წარადგინონ სასამართლოს წინაშე და დააკისრონ შესაბამისი სანქციები. წევრმა ქვეყნებმა ფინანსური მხარდაჭერა უნდა გაუწიონ დამოუკიდებელ ასოციაციებს და ცენტრებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სამართლებრივ რესურსებს ქალებისათვის მათ სამუშაოზე, რათა გაანათლონ ქალები თანასწორობაზე მათი უფლებების შესახებ და დაეხმარონ მათ დისკრიმინაციისგან დაცვის/მაკორექტირებელი საშუალებებით სარგებლობაში.

35. ქვეპარაგრაფი (დ) აცალიბებს წევრი ქვეყნების ვალდებულებას, რომ თავი შეიკავონ ქალების მიმართ პირდაპირი ან არაპირდაპირი დისკრიმინაციის აქტებში ან პრაქტიკაში ჩართვისაგან. წევრმა ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ, რომ სახელმწიფო ინსტიტუტები, სააგენტოები, კანონები და პოლიტიკა არ ახდენდეს ქალების პირდაპირ და ღია დისკრიმინაციას. მათ ასევე უნდა უზრუნველყონ, რომ ნებისმიერი კანონი, პოლიტიკა ან მოქმედება რომელსაც გააჩნია დისკრიმინაციის წარმოშობის ეფექტი ან შედეგი, უნდა იქნას გაუქმებული.
36. ქვეპარაგრაფი (ე) აცალიბებს წევრი ქვეყნების ვალდებულებას, რომ აღმოფხვრას დისკრიმინაცია ნებისმიერი საჯარო ან კერძო მოქმედი სუბიექტის მიერ. ამ საკითხთან დაკავშირებით მისაღები ზომების ტიპები, რომლებიც შესაძლებელია განხილულ იქნას, როგორც შესაბამისი, არ შემოიფარგლება კონსტიტუციური ან იურიდიული საშუალებებით. წევრმა ქვეყნებმა ასევე უნდა მიიღონ ზომები, რათა უზრუნველყონ ქალების მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და ქალებისა და კაცების თანასწორობის პრაქტიკული რეალიზაცია. ეს მოიცავს საშუალებებს, რომლებიც: უზრუნველყოფენ, რომ ქალებს შეუძლიათ გაასაჩივრონ კონვენციის თანახმად მათი უფლებების დარღვევა და ჰქონდეთ დაშვება ეფექტურ საშუალებებზე; საშუალებას აძლევს ქალებს, რომ აქტიურად იყონ ჩართული

ზომების ფორმულირებასა და დანერგვაში; უზრუნველყოფენ ხელისუფლების პასუხისმგებლობას შიდა დონეზე; ხელს უწყობენ განათლებას და მხარს უჭერენ მას კონვენციის მიზნების მისაღწევად საზოგადოებაში განათლების სისტემის მეშვეობით; წაახალისებენ ადამიანის უფლებებისა და ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობას; აცალიბებენ აუცილებელ ეროვნულ ადამიანის უფლებების ინსტიტუტებსა და სხვა მექანიზმებს; და უზრუნველყოფენ ადეკვატურ ადმინისტრაციულ და ფინანსურ მხარდაჭერას, რათა უზრუნველყონ, რომ მიღებული ზომები რეალურად შეცვლის ქალების ცხოვრებას პრაქტიკაში. დაკისრებული ვალდებულებები, რომლებიც წევრი ქვეყნებისაგან მოითხოვენ ქალების უფლებების სამართლებრივ დაცვას კაცებთან თანასწორ საფუძველზე, კომპეტენტური ეროვნული ტრიბუნალებისა და სხვა საჯარო ინსტიტუტების მეშვეობით უზრუნველყოფენ ქალების ეფექტურ დაცვას დისკრიმინაციის ნებისმიერი აქტისაგან და იღებენ ყველა შესაბამის ზომებს, რომ აღმოფხვრან ნებისმიერი პირის, ორგანიზაციის ან საწარმოს მხრიდან ქალების მიმართ დისკრიმინაცია, რაც ასევე ვრცელდება ეროვნულ კორპორაციებზე, რომლებიც ოპერირებს ტერიტორიის გარეთ.

IV. რეკომენდაციები წევრი ქვეყნებისათვის

ა. განხორციელება

37. იმისათვის, რომ დაკმაყოფილებულ იქნას „შესაბამისობის“ მოთხოვნა, წევრი ქვეყნების მიერ მიღებული ზომები უნდა ეხებოდეს კონვენციის თანახმად მათი ზოგადი ვალდებულებების ყველა ასპექტს, რომ პატივი სცენ, დაიცვან, ხელი შეუწყონ, წაახალისონ და შეასრულონ ქალების დისკრიმინაციისაგან დაცვის და კაცებთან თანასწორობით სარგებლობის უფლება. შესაბამისად, ტერმინი „შესაბამისი საშუალებები“ და „შესაბამისი ზომები“, რომლებიც გამოყენებულია მეორე მუხლში და კონვენციის სხვა მუხლებში, მოიცავს საშუალებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ, რომ წევრი ქვეყანა:
 - (ა) თავს შეიკავებს ნებისმიერი პრაქტიკის, პოლიტიკის ან ზომების შესრულების, დაფინანსების და ხელშეწყობისაგან, რომლებიც არღვევენ კონვენციას (პატივისცემა)
 - (ბ) გადადგამს ნაბიჯებს, რომ ხელი შეუშალოს, აკრძალოს და დასაჯოს კონვენციის დარღვევა

მესამე პირების მიერ, მათ შორის სახლში და საზოგადოებაში და უზრუნველყოს კომპენსაცია ასეთი დარღვევებით დაზარალებულებისათვის (დაცვა);

- (გ) ხელს უწყობს კონვენციის მიხედვით მისი ვალდებულებების შესახებ და მხარდასაჭერად ცოდნის გაფართოვებას (ხელისშეწყობა);
 - (დ) იღებს დროებით სპეციალურ ზომებს, რომლებიც მიაღწევენ სქესის მიხედვით დისკრიმინაციის აღმოფხვრის და გენდერულ თანასწორობას პრაქტიკაში (შესრულება)
38. ნევრმა ქვეყნებმა ასევე უნდა მიიღონ დანერგვის სხვა შესაბამისი საშუალებები, როგორცაა:
- (ა) ქალების თანასწორობის ხელშეწყობა ეროვნული სამოქმედო გეგმისა და სხვა შესაბამისი პოლიტიკისა და პროგრამების ფორმულირებისა და დანერგვის მეშვეობით პეკინის დეკლარაციისა და სამოქმედო პლატფორმის და ადეკვატური ადამიანური და ფინანსური რესურსების შეგროვების მეშვეობით;
 - (ბ) აყალიბებს ქვეყნის კოდექსს საჯარო პირებისათვის, რათა უზრუნველყოს თანასწორობისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრის პრინციპების პატივისცემა;
 - (გ) უზრუნველყოფს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებების ანგარიშები, რომლებიც იყენებს კონვენციის მუხლებს თანასწორობასა და დისკრიმინაციის აღმოფხვრასთან დაკავშირებით, ფართოდ იყოს გავრცელებული;
 - (დ) იღებს სპეციალური სასწავლო და საგანმანათლებლო პროგრამების ვალდებულებას კონვენციის პრინციპებისა და მუხლების შესახებ, რომლებიც მიმართულია ყველა სამთავრობო უწყების, საჯარო პირებისა და კონკრეტულად კი, იურიდიული პროფესიისა და სასამართლოს მიმართ;
 - (ე) მხარს უჭერს მედიას საჯარო საგანმანათლებლო პროგრამაში ქალებისა და ვაცების თანასწორობის შესახებ და კერძოდ, უზრუნველყოფს, რომ ქალებმა იციან დისკრიმინაციის გარეშე თანასწორობის მათი უფლება, ზომები, რომლებსაც სახელმწიფო იღებს კონვენციის დასანერგად და კომიტეტის დასკვნითი დაკვირვებები სახელმწიფო ქვეყნის ანგარიშის შესახებ;
 - (ვ) ქალების ადამიანის უფლებების რეალიზაციის პროგრესისა და სტატუსის მოქმედი ინდიკატორების შემუშავება და ჩამოყალიბება და სქესის შესაბამისად დაყოფილი და კონვენციის სპეციფიკურ მუხლებთან დაკავშირებული მონაცემთა ბაზების ჩამოყალიბება და შენარჩუნება.

ბ. ანგარიშვალდებულება

39. ნევრი ქვეყნების ანგარიშვალდებულება, რომ განახორციელონ მე-2 მუხლის თანახმად მათი ვალდებულებები, ხორციელდება ხელისუფლების ყველა შტოს მოქმედებებით ან მოქმედებისაგან თავის შეკავებით. ძალაუფლების დეცენტრალიზაცია, სახელმწიფო უფლებამოსილების გადაცემითა და დელეგირებით, უნიტარულ და ფედერაციულ ქვეყნებში, არ უარყოფს ან ამცირებს ნევრი ქვეყნის ეროვნული ან ფედერალური ხელისუფლების პირდაპირ პასუხისმგებლობას, რომ შეასრულოს მისი ვალდებულებები ყველა ქალის მიმართ მისი იურისდიქციის ფარგლებში. ყველა შემთხვევაში ნევრი ქვეყანა, რომელმაც მოახდინა კონვენციის რატიფიცირება ან მიერთება რჩება პასუხისმგებელი სრულ განხორციელებაზე მისი იურისდიქციის ქვეშ არსებულ ტერიტორიებზე. უფლებამოსილების გადაცემის ნებისმიერი პროცესის დროს ნევრმა ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ, რომ უფლებამოსილება გადაცემულ მოქმედ სუბიექტებს ქონდეთ საჭირო ფინანსური, ადამიანური და სხვა რესურსები, რომ ეფექტურად და სრულად შეასრულონ ნევრი ქვეყნების ვალდებულებები კონვენციის თანახმად. ნევრი ქვეყნების ხელისუფლებამ უნდა შეინარჩუნოს ძალაუფლება, რომ მოითხოვოს კონვენციის ასეთი სრული დაცვა და უნდა ჩამოაყალიბოს პერმანენტული კოორდინაციისა და მონიტორინგის მექანიზმები, რათა უზრუნველყოს, რომ კონვენციას სცემენ პატივს და იყენებენ ყველა ქალის მიმართ მისი იურისდიქციის ფარგლებში დისკრიმინაციის გარეშე. უფრო მეტიც, უნდა არსებობდეს დაცვის მექანიზმი, რომ დეცენტრალიზაციამ და ხელისუფლების გადაცემამ არ მიგვიყვანოს სხვადასხვა რეგიონებში ქალების მიერ უფლებებით სარგებლობის დისკრიმინაციამდე.
40. კონვენციის ეფექტური განხორციელება მოითხოვს, რომ ნევრი ქვეყნები იყვნენ ანგარიშვალდებულნი მისი მოქალაქეებისა და საზოგადოების სხვა წევრების მიმართ ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. იმისათვის, რომ ანგარიშვალდებულების ეს ფუნქცია ეფექტურად მუშაობდეს, შესაბამისი მექანიზმები და ინსტიტუტები უნდა იქნას გამოყენებული.

გ. დათქმები

41. კომიტეტი თვლის, რომ მე-2 მუხლი არის კონვენციის თანახმად ნევრი ქვეყნების ვალდებულების მთავარი არსი. შესაბამისად,

კომიტეტი თვლის, რომ მე-2 მუხლის ან მე-2 მუხლის ქვეპარაგრაფების დათქმები, პრინციპში, შეუთავსებელია კონვენციის ობიექტთან და მიზანთან და შესაბამისად, დაუშვებელია 28-ე მუხლის მეორე პარაგრაფის თანახმად. წევრმა ქვეყნებმა, რომლებიც მიუერთდნენ მე-2 მუხლის ან მეორე მუხლის ქვეპარაგრაფების დათქმებს, უნდა ახსნან კონვენციის განხორციელებაზე ამ დათქმების პრაქტიკული შედეგი და უნდა აღნიშნონ საფეხურები, რომლებიც გადაიდგმება ამ დათქმების უწყვეტად განსახილველად და მათგან მაქსიმალურად დროული გამოსვლის მიზნით.

42. ის ფაქტი, რომ წევრი ქვეყანა მიუერთდა მე-2 მუხლის ან მეორე მუხლის ქვეპუნქტების დათქმებს, არ აცილებს ამ წევრ სახელმწიფოს საჭიროებას, რომ შეასრულოს მისი სხვა ვალდებულებები საერთაშორისო სამართლის მიხედვით, მათ შორის, ვალდებულებები ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებების მიხედვით, რომელთა რატიფიცირება მოახდინა წევრმა სახელმწიფომ ან რომელსაც მიუერთდა და ჩვეულებითი საერთაშორისო ადამიანის უფლებების სამართლის მიხედვით, რომელიც უკავშირდება ქალების მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრას. სადაც არის განსხვავებები კონვენციის მუხლების დათქმებსა და საერთაშორისო ადამიანის უფლებათა იმ ხელშეკრულებების მსგავს ვალდებულებებს შორის, რომლის რატიფიცირება მოახდინა წევრმა ქვეყანამ ან მიუერთდა მათ, მან უნდა გადახედოს კონვენციის დათქმებს მათგან გამოსვლის თვალსაზრისით.

X. ზოგადი რეკომენდაცია № 29

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის

ყველა ფორმის აღმოფხვრის

შესახებ კონვენციის მე-16

მუხლთან მიმართებაში

მიღებულია: 2013 წელს, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის 54-ე სხდომაზე

ზოგადი მიმოხილვა

1. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის თანახმად, ოჯახი არის საზოგადოების ძირითადი ერთეული¹. ეს არის სოციალური და იურიდიული და, სხვადასხვა ქვეყნაში, რელიგიური კონსტრუქცია. ის ეკონომიკურ კონსტრუქციასაც წარმოადგენს. ოჯახის ბაზრის კვლევამ დაადგინა, რომ ოჯახის სტრუქტურა, შრომის გენდერული განაწილება ოჯახში და კანონი ოჯახის შესახებ შრომის ბაზრის სტრუქტურაზე და შრომის შესახებ კანონზე არანაკლებ გავლენას ახდენს ქალების ეკონომიკურ კეთილდღეობაზე. მართლაც, ქალები თანაბრად არ სარგებლობენ ოჯახის ეკონომიკური კეთილდღეობითა და შემოსავლით, მამაკაცებზე მეტად ზარალდებიან ოჯახის დანგრევის შემთხვევაში და შესაძლოა დარჩნენ შემოსავლის გარეშე დაქვრივების შემთხვევაში, განსაკუთრებით, თუ ჰყავთ შვილები და იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო მცირე ეკონომიკურ დახმარებას სთავაზობს ან ასეთი დახმარება არ არსებობს.
2. უთანასწორობა ოჯახში ქალთა დისკრიმინაციის ყველა სხვა ასპექტის საფუძველია და ხშირად მართლდება იდეოლოგიით, ტრადიციითა და კულტურით. სახელმწიფოს ანგარიშების განხილვა ცხადყოფს, რომ მრავალ სახელმწიფოში დაქორწინებული წყვილის უფლებები და პასუხისმგებლობები რეგული-

- რდება სამოქალაქო და ჩვეულებითი სამართლით, რელიგიური სამართლითა და ჩვეულებებით ან ამ სამართლისა და ჩვეულებების კომბინაციით, რომლებიც დისკრიმინაციას უწევს ქალებს და არ შეესაბამება კონვენციაში მოცემულ პრინციპებს.
3. ბევრი სახელმწიფო, რომელიც იწარჩუნებს ამ ტიპის სამართლებრივ მონყობას შეუერთდა მე-2 და მე-16 მუხლის ყველა ან რამდენიმე დათქმას. ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი გამუდმებით შეშფოთებით აღნიშნავს ამ დათქმების მასშტაბს, მიიჩნევს რა მას არავალიდურს, ვინაიდან არ შეესაბამება კონვენციის ამოცანას და მიზანს. კომიტეტი გამუდმებით მოუწოდებს ამ სახელმწიფოებს გააუქმონ ეს დათქმები და უზრუნველყონ, რომ მათი სამართლებრივი სისტემა, იქნება ეს სამოქალაქო, რელიგიური, ჩვეულებითი, ეთნიკური თუ ზემოაღნიშნულის რაიმე სახის კომბინაცია, შეესაბამება კონვენციას ზოგადად და განსაკუთრებით, მე-16 მუხლს.
4. ქალებისათვის ქორწინების, განქორწინების, გაყრის და გარდაცვალების ეკონომიკური შედეგები კომიტეტის მზარდი შეშფოთების საფუძველია. რიგ ქვეყნებში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ მაშინ, როცა მამაკაცები განიცდიან მცირე ან მინიმალურ დანაკარგს შემოსავლების მხრივ განქორწინების და/ან გაყრის შემდეგ, მრავალი ქალი განიცდის დიდ დანაკარგს ოჯახის შემოსავალში და იზრდება მათი დამოკიდებულება სოციალურ

1 რეზოლუცია 217 A (III), მუხლი 16 (3).

უზრუნველყოფაზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში. მსოფლიოს მასშტაბით ის ოჯახები, სადაც უფროსი ქალია, ხშირ შემთხვევაში ღარიბია. მათ სტატუსზე გარდაუვალ ზეგავლენას ახდენს გლობალური მოვლენები, როგორცაა საბაზრო ეკონომიკა და მისი კრიზისები, ქალთა რაოდენობის ზრდა ანაზღაურებად სამუშაო ადგილებზე და მათი კონცენტრაცია დაბალანაზღაურებად სამუშაოებზე, ქვეყნებსა და ქვეყნებს შორის მუდმივი უთანასწორობა შემოსავლების კუთხით, განქორწინებებისა და დე-ფაქტო კავშირების რაოდენობის ზრდა, სოციალური დაცვის სისტემის რეფორმა ან ახლის დანერგვა და, რაც ყველაზე მთავარია, ქალთა სიღარიბე. მიუხედავად ოჯახების ეკონომიკურ კეთილდღეობაში ქალების მიერ შეტანილი წვლილისა, მათი ეკონომიკური არასრულფასოვნება ოჯახის ურთიერთობების ყველა ეტაპზე აღწევს. ხშირად ამის მიზეზი მათ კმაყოფილებაზე მყოფთა მიმართ არსებული პასუხისმგებლობაა.

5. მიუხედავად ოჯახში ეკონომიკური მოწყობის ფართო სპექტრისა, ქალების ეკონომიკური მდგომარეობა ოჯახურ ურთიერთობაში და ამ ურთიერთობების შეწყვეტის შემდეგ, როგორც განვითარებად, ისე განვითარებულ ქვეყნებში, უარესია მამაკაცების ეკონომიკურ მდგომარეობაზე. სოციალური დაცვის სისტემა, რომელიც ეკონომიკური სტატუსის გასაუმჯობესებლად არის შექმნილი, შესაძლოა ასევე უწევდეს დისკრიმინაციას ქალებს.

ზოგადი რეკომენდაციის მიზანი და რეგულირების სფერო

6. კონვენციის მე-16 მუხლი ითვალისწინებს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრას ქორწინების დანერგვიდან, ქორწინების განშლვობაში და დასასრულს განქორწინებით ან სიკვდილით. 1994 წელს კომიტეტმა მიიღო #21 ზოგადი რეკომენდაცია, რომელმაც გადაამუშავა მე-16 მუხლის მრავალი ნაწილი და ასევე მისი მიმართება მე-9 და მე-15 მუხლებთან. #21 ზოგადი რეკომენდაციის მიხედვით მე-16 მუხლი (1) (თ) ეხება ქორწინებისა და განქორწინების ეკონომიკურ ჭრილს. მოცემული ზოგადი რეკომენდაცია დაფუძნებულია #21 ზოგად რეკომენდაციაში მოცემულ პრინციპებზე, სხვა, შესაბამის ზოგად რეკომენდაციებზე, როგორცაა #27 ზოგადი რეკომენდაცია და კომიტეტის იურისპრუდენცია. ის წარმოადგენს კონვენციის 1-ელ მუხლში

მოცემულ დისკრიმინაციის განმარტებას და მოუწოდებს სახელმწიფოებს, მიიღონ სამართლებრივი და პოლიტიკური ზომები კონვენციის მე-2 მუხლის და #28 ზოგადი რეკომენდაციის მოთხოვნის შესაბამისად. იგი ასევე მოიცავს იმ სოციალურ და სამართლებრივ მოვლენებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა #21 ზოგადი რეკომენდაციის მიღების შემდეგ, როგორცაა რიგ სახელმწიფოში რეგისტრირებული პარტნიორობის და/ან დე ფაქტო კავშირის შესახებ კანონის მიღება, ასევე ასეთ პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი წყვილების რაოდენობის ზრდა.

7. ქალთა თანასწორუფლებიანობა ოჯახში საყოველთაოდ აღიარებულია, რასაც ადასტურებს ადამიანის უფლებათა სახელმწიფოებო ორგანოების შესაბამისი ზოგადი კომენტარები: ადამიანის უფლებების კომიტეტის #28 ზოგადი კომენტარი ქალისა და მამაკაცის თანაბარი უფლებების შესახებ (აბზაცი 23-27) და #19 ზოგადი კომენტარი ოჯახის დაცვის, ქორწინების უფლებისა და მეუღლეების თანასწორობის შესახებ; ასევე ეკონომიკის, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის #16 ზოგადი კომენტარი ქალისა და მამაკაცის ყველა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებით სარგებლობის თანაბარი უფლებების შესახებ (აბზაცი 27) და #20 ზოგადი კომენტარი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დისკრიმინაციის წინააღმდეგ. მნიშვნელოვანი საერთაშორისო პოლიტიკური დოკუმენტი, როგორცაა პეკინის სამოქმედო პლატფორმა² და ათასწლეულის განვითარების მიზნები ასევე ეხება თანასწორობას ოჯახში, როგორც ფუნდამენტურ პრინციპს.³
8. კომიტეტი გამუდმებით ასკვნის, რომ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრა სახელმწიფოს მხრიდან მოითხოვს როგორც არსებითი, ისე ფორმალური თანასწორობის უზრუნველყოფას. ფორმალური თანასწორობა შეიძლება მიღწეული იყოს გენდერულად ნეიტრალური კანონების მიღებისა და პოლიტიკის გატარების საშუალებით, რომლებიც, თავის მხრივ, ერთნაირად ეპყრობა ქალებს და

2 ქალთა შესახებ მეოთხე მსოფლიო კონფერენციის ანგარიში, პეკინი, 4-15 სექტემბერი, 1995

(გაერთიანებული ერების გამოცემა No. E.96.IV.13), თავი. I, რეზოლუცია 1, დანართი II, აბზაცი. 61.)

3 იხ. რეზოლუცია 55/2; ასევე მილენიუმის პროექტი, მიზანი 3, ხელმისაწვდომია <http://www.unmillennium-project.org/goals/index.htm>

მამაკაცებს. არსებითი თანასწორობა შეიძლება მიღწეული იყოს მხოლოდ მაშინ, როდესაც სახელმწიფო გადახედავს კანონებისა და პოლიტიკის გამოყენებასა და ეფექტებს და დაადგენს, რომ ისინი უზრუნველყოფენ ფაქტობრივ თანასწორობას, ითვალისწინებს რა ქალების არახელსაყრელ მდგომარეობას ან გაუთვალისწინებლობას. ოჯახური ურთიერთობების ეკონომიკურ ჭრილთან მიმართებაში, არსებითი თანასწორობის მიდგომა უნდა იყოს მიმართული ისეთ საკითხებზე, როგორცაა დისკრიმინაცია განათლებასა და დასაქმებაში, სამუშაოს მოთხოვნებისა და ოჯახის საჭიროებების თავსებადობა და გენდერული სტერეოტიპებისა და გენდერული როლების გავლენა ქალის ეკონომიკურ შესაძლებლობებზე.

9. მოცემული ზოგადი რეკომენდაცია იქნება სახელმძღვანელო სახელმწიფო მხარისათვის დე იურე და დე ფაქტო ევალიტარული რეჟიმის მისაღწევად, რომელშიც ოჯახური ურთიერთობის ეკონომიკური სარგებელი და ხარჯი, ასევე გაყრის ეკონომიკური შედეგები თანაბრად არის განაწილებული მამაკაცებზე და ქალებზე. ეს შექმნის სახელმწიფოს მხრიდან კონვენციის განხორციელების შეფასების ნორმას, ოჯახში ეკონომიკური თანასწორობასთან დაკავშირებით.

საკონსტიტუციო და სამართლებრივი ჩარჩო

10. კონსტიტუციები ან სამართლებრივი ჩარჩო რიგ სახელმწიფოებში კანონები პირადი სტატუსის შესახებ (რომელიც ეხება ქორწინებას, განქორწინებას, ქორწინებაში შექმნილი ქონების განაწილებას, მემკვიდრეობას, მეურვეობას, შვილად აყვანას და სხვა მსგავს საკითხებს) კვლავ გამოტოვებულია საკონსტიტუციო დებულებებში, რომელიც კრძალავს დისკრიმინაციას ან პირადი სტატუსის შესახებ საკითხების გადანაცვლებას სახელმწიფოში არსებულ ეთნიკურ და რელიგიურ თემებს ანდობს. ასეთ შემთხვევაში თანაბარი დაცვის საკონსტიტუციო დებულებებს და ანტი-დისკრიმინაციული დებულებები არ იცავენ ქალებს ქორწინების დისკრიმინაციული გავლენისაგან ჩვეულებითი და რელიგიური კანონების პირობებში. რიგ სახელმწიფოში მიღებულია კონსტიტუციები, რომელიც მოიცავს თანაბარი დაცვისა და არადისკრიმინაციულ დებულებებს, თუმცა არ განახლებულა ან მიღებულია კანონმდებლობა ოჯახის კანონის რეჟიმების დისკრიმინაციული

ასპექტების აღმოსაფხვრელად, მიუხედავად იმისა, რეგულირდება ის სამოქალაქო კოდექსით, რელიგიური კანონით, ეთნიკური წესჩვეულებებით თუ კანონებისა და ჩვეულებების რომელიმე კომბინაციით. ყველა საკონსტიტუციო და სამართლებრივი ჩარჩო დისკრიმინაციულია არღვევს რა მოცემული კონვენციის მე-2 მუხლს მე-5, მე-15 და მე-16 მუხლებთან ერთად.

11. სახელმწიფო მხარემ უნდა უზრუნველყოფს გარანტირებული თანასწორობა ქალებსა და მამაკაცებს შორის კონსტიტუციაში და აღმოფხვრას ნებისმიერი საკონსტიტუციო გამონაკლისი, რომელიც დაიცავს ან შეინარჩუნებს დისკრიმინაციულ კანონებს და ჩვეულებებს ოჯახურ ურთიერთობებთან მიმართებაში.

მრავალჯახიანი კანონის სისტემები

12. რიგ სახელმწიფოებში არის მრავალი სამართლებრივი სისტემა, რომელშიც სხვადასხვა კანონი პირადი სტატუსის შესახებ, რომელიც ვრცელდება ინდივიდებზე იდენტობის ფაქტორების საფუძველზე, როგორცაა ეთნიკურობა ან რელიგია. რიგ ასეთ სახელმწიფოს აქვს სამოქალაქო სამართლებრივი კოდექსი, რომელიც გამოიყენება მხოლოდ განსაზღვრულ გარემოებებში ან მხარეების არჩევანის შესაბამისად. თუმცა არის სახელმწიფოებში, პირს შესაძლოა არ ჰქონდეს არჩევანი გარდა იდენტობაზე დაფუძნებული პირადი სტატუსის შესახებ კანონის გამოყენებისა.
13. პიროვნებების თავისუფლება აირჩიოს რელიგიური ან ჩვეულებითი კუთვნილება და იყოს მისი მიმდევარი, განსხვავებულია, ისევე როგორც განსხვავებულია მათი თავისუფლება, შეენიანააღმდგონ მათი სახელმწიფოს ან თემის კანონებსა და ჩვეულებაში მოქცეულ ქალთა მიმართ დისკრიმინაციას.
14. კომიტეტი გამუდმებით გამოხატავს შეშფოთებას, რომ იდენტობაზე დაფუძნებული პირადი სტატუსის შესახებ კანონები და ჩვეულებები ხელს უწყობენ ქალთა მიმართ დისკრიმინაციას და მრავალი სამართლებრივი სისტემის შენარჩუნება თავის მხრივ წარმოადგენს ქალთა დისკრიმინაციას. პირადი არჩევანის ნაკლებობა რიგი კანონებისა და ჩვეულებების გამოყენებასთან მიმართებაში კიდევ უფრო ამწვავებს ამ დისკრიმინაციას.
15. სახელმწიფომ უნდა მიიღოს წერილობითი საოჯახო კოდექსები ან კანონები პირადი სტა-

ტუსის შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს თანასწორობას მეუღლეებს ან პარტნიორებს შორის მიუხედავად მათი რელიგიური ან ეთნიკური იდენტობისა ან თემისა, კონვენციისა და კომიტეტის ზოგადი რეკომენდაციის შესაბამისად. ერთიანი საოჯახო კანონის არარსებობის შემთხვევაში, პირადი სტატუსის შესახებ კანონმა უნდა უზრუნველყოს ინდივიდუალური არჩევანი, იხელმძღვანელოს რელიგიური კანონით, ეთნიკური ჩვეულებებით თუ სამოქალაქო კანონით ურთიერთობის ნებისმიერ ეტაპზე. პირადი კანონები უნდა ასახიერებდნენ ქალსა და მამაკაცს შორის თანასწორობის ფუნდამენტურ პრინციპს და სრულ ჰარმონიაში უნდა იყოს კონვენციის დებულებებთან ქალთამიმართლისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად ქორწინებისა და ოჯახური ურთიერთობის ყველა ასპექტში.

ოჯახის სხვადასხვა ფორმა

16. #21 ზოგადი რეკომენდაციის მე-13 აბზაცში კომიტეტი აღნიშნავს, რომ ოჯახებს ბევრი ფორმა აქვს და ხაზს უსვამს ყველა სისტემაში, „როგორც სამართლებრივში, ისე კერძოში“, ოჯახში თანასწორობის ვალდებულებას.
17. გაერთიანებული ერების სისტემის სხვა ერთეულების განცხადებები ადასტურებს მოსაზრებას, რომ „ოჯახის“ კონცეფცია უნდა განიხილოს ფართო ჭრილში“. ⁴ადამიანის უფლებათა კომიტეტი #28 ზოგადი კომენტარის 27-ე აბზაცში აღიარებს „ოჯახის სხვადასხვა ფორმას“. ოჯახის საერთაშორისო წლის ანგარიშში, გენერალური მდივანი აცხადებს, რომ „ოჯახებს სხვადასხვა ფორმა და ფუნქცია აქვს როგორც ქვეყანაში, ისე ქვეყნებს შორის“.⁵
18. სახელმწიფო მხარეები ვალდებულები არიან იმუშაონ სქესობრივად და გენდერულად დისკრიმინაციულ ასპექტებზე ოჯახის სხვადასხვა ფორმაში და ოჯახურ ურთიერთობებში. სახელმწიფო მხარეებმა, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის კუთხით, უნდა მიმართონ პატრიარქალურ ტრადიციებსა და დამოკიდებულებებს და განიხილონ საოჯახო სამართალი და პოლიტიკა ისეთივე გულდასმით, როგორითაც

- განიხილება „საჯარო“ ასპექტები ინდივიდუალური და საზოგადოებრივი ცხოვრებისა.
19. ქორწინება შეიძლება ფორმირებული იყოს სხვადასხვა ჩვეულებების, ცერემონიებისა და რიტუალების საშუალებით, რომელიც სანქცირებულია სახელმწიფოს მიერ. სამოქალაქო ქორწინების სანქცირება მხოლოდ სახელმწიფოს მიერ ხდება და ის რეგისტრირებულია. რელიგიური ქორწინების ცერემონიალი იმართება რელიგიური კანონის მიერ განსაზღვრული სხვადასხვა რიტუალის შესრულებით. ჩვეულებითი ქორწინება ხორციელდება მხარეების თემის ჩვეულებებით განსაზღვრული რიტუალების შესრულებით.
 20. რიგ ქვეყნებში მხარეები არ ითხოვენ რელიგიური ან ჩვეულებითი ქორწინების რეგისტრაციას იმისათვის, რომ ისინი ვალიდური გახდეს. დაურეგისტრირებელი ქორწინება შესაძლოა დასაბუთდეს საქორწინო კონტრაქტის, რიტუალის მონმეების ანგარიშით ან სხვა საშუალებით, გარემოებების შესაბამისად.
 21. რიგ სახელმწიფოებში, რომლებიც აღიარებენ პოლიგამიურ ქორწინებას რელიგიური ან ჩვეულებითი სამართლის ფარგლებში, უზრუნველყოფილია სამოქალაქო ქორწინებაც, მონოგამიური. იქ, სადაც სამოქალაქო ქორწინება უზრუნველყოფილი არ არის, ქალებს თემში, რომელიც პოლიგამიას მისდევს, შესაძლოა არ ჰქონდეთ არჩევანი გარდა ქორწინებისა, რომელიც უკვე ან პოტენციურად პოლიგამიურია, მიუხედავად ქალის სურვილისა. კომიტეტმა დაასკვნა #21 ზოგად რეკომენდაციაში, რომ პოლიგამია ეწინააღმდეგება კონვენციას და საჭიროა „უარყოფა და აკრძალვა“.
 22. რიგ ქვეყნებში სახელმწიფო ასევე უზრუნველყოფს რეგისტრირებულ პარტნიორობას და პარტნიორებს შორის დამკვიდრებულ უფლებებსა და პასუხისმგებლობებს. სახელმწიფომ შესაძლოა გაზარდოს სოციალური და საგადასახადო სარგებელი სხვადასხვა დონეზე რეგისტრირებული პარტნიორებისათვის.
 23. დე ფაქტო კავშირები არ არის რეგისტრირებული და ხშირ შემთხვევაში, არ წარმოშობს უფლებებს. თუმცა, რიგი ქვეყანა ცნობს დე ფაქტო კავშირებს და ქმნის პარტნიორებისათვის თანასწორ უფლებებსა და პასუხისმგებლობებს, რომლებიც შესაძლოა განსხვავდებოდნენ მასშტაბითა და სიღრმით.

4 იხილეთ ეკონომიკის, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარი No. 4 შესაბამისი საცხოვრებლის (მუხლი 11(1) საერთაშორისო შეთანხმება ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებზე) ქონის უფლების შესახებ, მე-6 აბზაცი.

5 A/50/370, აბზაცი 14.

24. ურთიერთობის კონკრეტული ფორმები (მაგალითად, ერთი სქესის ურთიერთობები) სამართლებრივად, სოციალურად თუ კულტურულად მიღებული არ არის საგრძნობლად ბევრ სახელმწიფოში. თუმცა, იქ, სადაც ასეთი ურთიერთობა აღიარებულია, იქნება ეს დე ფაქტო კავშირი, რეგისტრირებული პარტნიორობა თუ ქორწინება, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ამ ურთიერთობაში ქალთა ეკონომიკური უფლებების დაცვა.

ჩვეულებითი/რელიგიური არარეგისტრირებული ქორწინებები

25. ქორწინების რეგისტრაცია იცავს მეუღლეების უფლებებს ქონების საკითხთან დაკავშირებით ქორწინების გაუქმების შემთხვევაში სიკვდილის ან განქორწინების გამო. კონვენცია ავალდებულებს სახელმწიფოებს შექმნან და სრულად აამოქმედოს ქორწინების რეგისტრაციის სისტემა. თუმცა, მრავალ სახელმწიფოში არ არსებობს ქორწინების რეგისტრაციის სამართლებრივი მოთხოვნები ან მოთხოვნა რეგისტრაციის არსებული სისტემის განხორციელებაზე. ასეთ შემთხვევებში, პირები, რომლებიც არ/ვერ არეგისტრირებენ, არ უნდა დაჯარიმდნენ, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც განათლების და ინფრასტრუქტურის ნაკლებობა ართულებს რეგისტრაციას.

26. სახელმწიფო მხარეებმა უნდა შექმნან ქორწინების რეგისტრაციის სამართლებრივი მოთხოვნა და განახორციელონ ცნობიერების ამაღლების ეფექტიანი აქტივობები. მხარეებმა ამის განხორციელება უნდა უზრუნველყონ მოთხოვნის შესახებ განათლების მიწოდების გზით და ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფის საშუალებით, რათა რეგისტრაცია ხელმისაწვდომი იყოს მათი იურისდიქციის ქვეშ მყოფი ყველა პირისათვის. სახელმწიფომ მხარემ უნდა უზრუნველყოს ქორწინების დამადასტურებელი საბუთის დანერგვა რეგისტრაციის გარდა სხვა საშუალებით, გარემოებების საჭიროებებიდან გამომდინარე. სახელმწიფომ უნდა დაიცვას ასეთ ქორწინებებში ქალთა უფლებები, მიუხედავად მათი რეგისტრაციის სტატუსისა.

პოლიგამიური ქორწინებები

27. კომიტეტი კიდევ ერთხელ ადასტურებს #21 ზოგადი რეკომენდაციის მე-14 აბზაცს რომელიც განმარტავს, რომ „პოლიგამიური ქო-

რწინება ეწინააღმდეგება ქალის უფლებების თანასწორობას მამაკაცებთან და შესაძლოა ახლდეს სერიოზული ემოციური და ფინანსური შედეგები ქალისთვის და ქალის კმაყოფაზე მყოფთათვის, ასეთი ქორწინება უნდა იყოს „უარყოფილი და აკრძალული“. ზოგადი რეკომენდაციის მიღების შემდეგ, კომიტეტი მუდმივად და შეშფოთებით აღნიშნავს პოლიგამიური ქორწინების არსებობას მრავალ ქვეყანაში. მის დასკვნით დაკვირვებაში, კომიტეტმა აღნიშნა პოლიგამიის მძიმე შედეგები ადამიანის უფლებებისათვის და ქალის და მისი შვილების ეკონომიკური კეთილდღეობისათვის და გამუდმებით მოუწოდებს სახელმწიფოებს მისი გაუქმებისაკენ.

28. სახელმწიფო მხარეებმა უნდა მიიღონ ყველა საკანონმდებლო და პოლიტიკური ზომა, რათა გაუქმდეს პოლიგამიური ქორწინება. მიუხედავად ამისა, კომიტეტის #27 ზოგად რეკომენდაციაში მოცემული განაცხადის თანახმად, „პოლიგამია კვლავ არსებობს მრავალ სახელმწიფოში და ბევრი ქალი არის პოლიგამიურ ურთიერთობაში“. შესაბამისად, პოლიგამიურ ქორწინებაში მყოფი ქალების საკითხის გათვალისწინებით, სახელმწიფომ უნდა მიიღოს საჭირო ზომები ქალთა ეკონომიკური უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად.

რეგისტრირებული პარტნიორობა

29. სახელმწიფო, რომელიც უზრუნველყოფს რეგისტრირებულ პარტნიორობას, უნდა უზრუნველყოს თანასწორი უფლებები, პასუხისმგებლობები და დამოკიდებულება პარტნიორებს შორის ეკონომიკურ საკითხებში, რომელსაც მიემართება კანონმდებლობა ამ ტიპის პარტნიორობასთან დაკავშირებით. ქვემოთ მოცემული რეკომენდაციები, სათანადო ცვლილებებით ეხება სახელმწიფო მხარეებს, რომლებიც სამართლებრივ წყობაში აღიარებენ რეგისტრირებულ პარტნიორობებს.

დე ფაქტო კავშირები

30. ქალები დე ფაქტო კავშირებში სხვადასხვა მიზეზით შედიან. რიგი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ სამართლებრივ ჩარჩოს დე-ფაქტო კავშირების გარკვეულ ეტაპზე აღიარებისათვის, როგორცაა პარტნიორის სიკვდილი ან ურთიერთობის შეწყვეტა. იქ, სადაც ასეთი სამართლებრივი ჩარჩო არ არსებობს, ქალები შესაძლოა აღმოჩნდნენ ეკონომიკური რისკის

წინაშე, როდესაც თანაცხოვრება სრულდება, მათ შორის, როდესაც მათ წვლილი შეიტანეს ოჯახის შენახვასა და სხვა აქტივების შექმნაში.

31. კომიტეტმა მის #21 ზოგად რეკომენდაციაში დაადგინა, რომ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრა დე-ფაქტო კავშირებში სახელმწიფოს ვალდებულების ნაწილია მე-16 მუხლის (1) ფარგლებში. სახელმწიფო მხარეები, სადაც ასეთი კავშირები არსებობს და ასეთ ურთიერთობებთან მიმართებაში, რომელშიც პარტნიორი დაქორწინებული არ არის სხვა პირზე ან რეგისტრირებულ პარტნიორებაშია სხვა პირთან, კომიტეტი რეკომენდაციას გასცემს, რომ სახელმწიფომ გაითვალისწინოს ასეთ კავშირში ქალის და ამ კავშირის შედეგად დაბადებული ბავშვების მდგომარეობა და მიიღოს შესაბამისი ზომები მათი ეკონომიკური უფლებების დასაცავად. იმ ქვეყნებში, სადაც დე ფაქტო კავშირები აღიარებულია კანონმდებლობით, ქვემოთ მოცემული რეკომენდაციები გავრცელდება სათანადო ცვლილებებით.

ოჯახის ფორმირების ეკონომიკური ასპექტები

32. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ქორწინებაში შემავალი ინდივიდები ინფორმაციის საქონლი ურთიერთობების ეკონომიკური შედეგებისა და სიკვდილით ან განქორწინებით მისი შესაძლო დასასრულის შესახებ. იმ სახელმწიფოებში სადაც რეგისტრირებული პარტნიორობა უზრუნველყოფილია, იგივე ინფორმაცია უნდა იყოს მიწოდებული.

ანაზღაურება ან დანინაურება როგორც ქორწინების მოთხოვნა

33. #21 ზოგადი რეკომენდაციის მე-16 აბზაცში კომიტეტი აღნიშნავს, რომ რიგ სახელმწიფოებში „ნებადართულია ქორწინება ანაზღაურების ან დანინაურების“ სანაცვლოდ, რომელიც წარმოადგენს ქალის მიერ მეუღლის არჩევის უფლების დარღვევას. „ანაზღაურება ან დანინაურება“ წარმოადგენს ტრანზაქციას, სადაც ნაღდი ფული, საქონელი ან პირუტყვი გადაეცემა პატარძალს ან მის ოჯახს სიძისგან ან მისი ოჯახისგან. ეს პრაქტიკა არ უნდა იყოს მოთხოვნილი ქორწინების ვალიდურობისათვის და ასეთი შეთანხმება არ უნდა იყოს აღიარებული სახელმწიფოს მხრიდან, როგორც აღსრულებადი.

კონტრაქტები: ქორწინებამდე და ქორწინების შემდგომი შეთანხმებები

34. რიგ სისტემებში, ქორწინება ან კავშირის სხვა აღიარებული ფორმები შესაძლოა შედგეს მხოლოდ წერილობითი კონტრაქტის საშუალებით. რიგ სისტემებში ნებადართულია საკონტრაქტო შეთანხმების არსებობა ქორწინებამდე ან ქორწინების პერიოდში ქორწინებასთან დაკავშირებით. სახელმწიფოებმა უნდა დაადგინონ, რომ ქალები არ რჩებიან ნაკლები დაცვით, ვიდრე ისინი იქნებოდნენ სტანდარტული ქორწინების პირობებში, ფლობენ რა არათანაბარ ძალას მოლაპარაკებებში.
35. როდესაც სახელმწიფო მხარე უზრუნველყოფს კერძო სახელშეკრულებო შეთანხმების შესაძლებლობას საქონლი და სხვა ქონების განაწილებასთან დაკავშირებით ქორწინების შეწყვეტის შემთხვევაში, სახელმწიფომ ასევე უნდა მიიღოს ზომები, რათა გარანტირებული იყოს დისკრიმინაციის არარსებობა, საზოგადოებრივი წესრიგი, მოლაპარაკების ძალის ბოროტად გამოყენების თავიდან აცილება და თითოეული მეუღლის დაცვა კონტრაქტის შედგენის დროს ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისგან. ეს დაცვითი ზომები შესაძლოა მოიცავდეს მოთხოვნას, რომ შეთანხმება გაფორმდეს წერილობითი ან ექვემდებარებოდეს სხვა, ფორმალურ მოთხოვნებს და, უზრუნველყოს ბათილად ცნობა ან ფინანსური ან სხვა დახმარება, თუ კონტრაქტი რომელიმე მხარისთვის საზიანოა.

ეკონომიკური ასპექტები ურთიერთობაში

36. რიგი სახელმწიფოები ინარჩუნებენ ქორწინებისას ქონების მართვის დისკრიმინაციულ სისტემებს. რიგი სახელმწიფოებისა ინარჩუნებს კანონებს, სადაც მამაკაცი ოჯახის უფროსია და ამრიგად, მას ენიჭება ერთადერთი ეკონომიკური აგენტის როლიც.
37. იმ ქვეყნებში, სადაც სათემო ქონებრივი რეჟიმი ნორმაა, ნომინალურად დამკვიდრებულია, რომ ოჯახური ქონების ნახევარი ეკუთვნის თემს, ქალს არ აქვს ქონების მართვის უფლება. მრავალ სამართლებრივ სისტემაში, ქალები ინარჩუნებენ უფლებას მართონ ქონება, რომელსაც პირადად ფლობენ და აქვთ უფლება დააგროვონ და მართონ დამატებითი,

ცალკეული ქონება ქორწინების განმავლობაში. თუმცადა, ქონება, რომელიც ქალის ეკონომიკური აქტივობის შედეგად არის დაგროვებული, შესაძლოა განიხილებოდეს, როგორც ოჯახის კუთვნილება და ქალებს შესაძლოა არ უღირდეთ მათი მართვის უფლება. ეს შესაძლოა იყოს აქტუალური იმ ქალების შემთხვევაშიც, ვისაც საკუთარი ხელფასი აქვს.

38. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ორივე მეუღლის მიერ ოჯახის ქონების მართვის თანასწორი ხელმისაწვდომობა და თანასწორი სამართლებრივი შესაძლებლობა. მათ უნდა უზრუნველყონ, რომ ქალთა უფლება, რომ ფლობდეს, შეიძინოს, მართოს, ადმინისტრირება გაუწიოს და მოიხმაროს ცალკეული ან არაოჯახური ქონება უთანაბრდება მამაკაცის მსგავს უფლებას.

ურთიერთობის დასრულების ეკონომიკური და ფინანსური შედეგები

განქორწინების საფუძვლები და ფინანსური შედეგები

39. რიგი სამართლებრივი სისტემებისა პირდაპირ აკავშირებს განქორწინების საფუძველსა და განქორწინების ფინანსურ შედეგებს. ბრალეულობაზე დაფუძნებული განქორწინების რეჟიმმა შესაძლოა განაპირობოს ფინანსური უფლებები ბრალეულობის ნაკლებობაზე. ისინი შესაძლოა ბოროტად იყოს გამოყენებული ქმრების მიერ ცოლებისადმი ფინანსური ვალდებულების შესამცირებლად. მრავალ სამართლებრივ სისტემაში ფინანსური დახმარება არ მიეცემა ცოლებს, ვისაც ბრალეულობაზე დაფუძნებული განქორწინება შესთავაზეს. ბრალეულობაზე დაფუძნებული განქორწინების რეჟიმი შესაძლოა მოიცავდეს ბრალეულობის სხვადასხვა სტანდარტებს ცოლებისა და ქმრებისათვის, ასე მაგალითად, ცოლთან შედარებით ქმრის მხრიდან მეტი ღალატის დამამტკიცებელი საბუთი განქორწინების საფუძველია. ბრალეულობაზე დაფუძნებული ეკონომიკური ჩარჩო ხშირად ცოლების საწინააღმდეგოდ მოქმედებს, რომლებიც ფინანსურად მეუღლეებზე არიან დამოკიდებულები.

40. საჭიროა, რომ სახელმწიფოებმა:

- გადასინჯონ დებულებები, რომლებიც აკავშირებენ განქორწინების საფუძველსა და ფინანსურ შედეგებს, რათა აღმოიფხვრას ქმრების

მხრიდან ამ დებულებების ბოროტად გამოყენება ცოლების მიმართ ფინანსური ვალდებულების თავიდან აცილების მიზნით.

- გადასინჯონ დებულებები ბრალეულობაზე დაფუძნებული განქორწინების შესახებ, რათა უზრუნველყოფილი იყოს კომპენსაცია ცოლებისათვის იმ წვლილისათვის, რაც მათ ოჯახის ეკონომიკურ კეთილდღეობაში შეიტანეს ქორწინების პერიოდში.

- აღმოიფხვრას განსხვავება ცოლებისა და ქმრების ბრალეულობის სტანდარტებში. ასე მაგალითად, ცოლთან შედარებით ქმრის მხრიდან მეტი ღალატის დამამტკიცებელი საბუთი განქორწინების საფუძველია.

41. რიგი სამართლებრივი რეჟიმები ცოლებისგან ან მისი ოჯახისგან მოითხოვენ ქმრისთვის ან მისი ოჯახისთვის იმ ეკონომიკური სარგებლის დაბრუნებას ანაზღაურების ან დანინაურების სახით, ან სხვა ანაზღაურების სახით, რომელიც ოჯახის შექმნის ელემენტი იყო და არ აკისრებს თანასწორ ეკონომიკურ მოთხოვნებს განქორწინებაში მყოფი ქმრის მიმართ. სახელმწიფოებმა უნდა აღმოიფხვრან პროცედურული მოთხოვნები გადახდაზე განქორწინების მისაღებად, როცა ის თანასწორად არ ეხება ქმრებს და ცოლებს.

42. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ საქორწინო ურთიერთობის გაუქმების პრინციპებისა და პროცედურების განცალკევება გაყრის ეკონომიკურ ასპექტებთან დაკავშირებული პროცედურისა და პრინციპებისაგან. უფასო იურიდიული დახმარება უნდა გაეწიოს ქალებს, რომლებსაც არ აქვთ საშუალება დაფარონ სასამართლოს და ადვოკატის ხარჯები, რათა უზრუნველყოფილი იყოს, რომ არცერთი ქალი იყოს იძულებული უარი თქვას საკუთარ ეკონომიკურ უფლებებზე განქორწინების მოსაპოვებლად.

ქორწინების დასრულება გაყრით და განქორწინებით

43. კანონების, ჩვეულებების და ტრადიციების უმრავლესობა, რომლებიც დაკავშირებულია ქორწინების დასრულების ფინანსურ შედეგებთან, შესაძლოა კლასიფიცირდეს ორ კატეგორიად: ქონების განაწილება და ექსპლოატაცია განქორწინების ან გაყრის შემდეგ. ქონების განაწილება და გაყრის შემდგომი ექსპლოატაციის რეჟიმები ხშირ შემთხვევაში, ქმრის სასარგებლოდაა, მიუხედავად იმისა, რომ კანონები ნეიტრალური ჩანს, ეფუძნება გენდ-

ერულ შეხედულებებს გაყოფას დაქვემდებარებული ოჯახის ქონების კლასიფიკაციასთან დაკავშირებით, არასაკმარისადაა აღიარებული არა-ფინანსური წვლილი, ქალთა სამართლებრივი შესაძლებლობების ნაკლებობა ქონების სამართავად და გენდერულად დაყოფილი როლები ოჯახში. ამას გარდა, კანონები, ჩვეულებები და ტრადიციები, რომლებიც დაკავშირებულია ოჯახის სახლისა და ქონების გაყრის შემდგომ გამოყენებასთან, ცხად გავლენას ახდენენ ქალების გაყრის შემდგომ ეკონომიკურ სტატუსზე.

44. ქალებს შესაძლოა შეუზღუდო ქონების მოთხოვნის უფლება აღიარებულია რა მისი შესაძლებლობების ნაკლებობა ქონების ფლობისა და მართვისათვის, ან ქონების რეჟიმი შესაძლოა არ აღიარებდეს ქორწინების პერიოდში დაგროვილ ქონებას, როგორც მხარეებს შორის გაყოფას დაქვემდებარებულ ერთეულს. შეწყვეტილი განათლების ან მუშაობის ისტორიები და ბავშვზე ზრუნვის პასუხისმგებლობები ხშირად ხელს უშლის ქალებს გაიკვალონ გზა ანაზღაურებად სამუშაომდე (ალტერნატიული ღირებულება), რომელიც საკმარისი იქნება გაყრის შემდგომ მათი ოჯახის შესანახად. ეს სოციალური და ეკონომიკური ფაქტორები ხელს უშლის ქალებს, რომლებიც ცხოვრობენ ქონების გაყოფის ასეთ რეჟიმში, გაზარდონ პირადი საკუთრება ქორწინების პერიოდში.
45. სახელმძღვანელო პრინციპია ის, რომ ეკონომიკური უპირატესობა და მიწის რომელიც დაკავშირებულია ურთიერთობასთან და მის დასრულებასთან, უნდა თანაბრად იწვინოს ორივე მხარემ. როლებისა და ფუნქციების განაწილება მეუღლეების ერთად ცხოვრების პერიოდში არ უნდა წარმოადგენდეს საზიანო ეკონომიკურ შედეგს რომელიმე მხარისათვის.
46. სახელმწიფოები ვალდებული არიან უზრუნველყონ მხარეებს შორის თანასწორობა განქორწინების და/ან გაყრის შემთხვევაში, ქორწინების დროს დაგროვილი ქონების გაყოფისას. სახელმწიფოებმა უნდა აღიარონ არაპირდაპირი, მათ შორის არა-ფინანსური წვლილის ღირებულება, ქორწინების დროს შექმნილ ქონებასთან დაკავშირებით.
47. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყოს თანაბარი ფორმალური და დე ფაქტო სამართლებრივი შესაძლებლობები ქონების ფლობისა და მართვისათვის. ფორმალური და არსებითი თანასწორობის მისაღწევად ქორწინების გაუქმების შემდეგ ქონებაზე უფლებასთან მიმართ-

ებაში, სახელმწიფოებმა, ხაზგასმით საჭიროა, რომ განახორციელონ:

- ქონების გამოყენების უფლების აღიარება, რომელიც დაკავშირებულია საარსებო წყაროსთან ან კომპენსაციას, იმისათვის რომ ჩანაცვლდეს ქონებასთან დაკავშირებული საარსებო წყარო.
 - ადექვატური საცხოვრებელი, ოჯახის სახლის ჩასანაცვლებლად
 - ქონების რეჟიმებს შორის წყვილს შორის თანასწორობა (სათემო ქონება, ცალკეული ქონება, ჰიბრიდი), უფლება, აარჩიოს ქონების რეჟიმი და თითოეული რეჟიმის შედეგების გააზრება.
 - გადავადებული კომპენსაციის, პენსიის ან სხვა პოსტ-ქორწინების გადახდის მოცემული ღირებულების გამოთვლის გათვალისწინება, რომელიც მიღებულია ქორწინების დროს განეული შეტანილი წვლილით, როგორცაა სიცოცხლის დაზღვევის პოლისი, როგორც ოჯახის ქონების ნაწილი, რომელიც ექვემდებარება გაყოფას.
 - ოჯახის ქონებაში არა-ფინანსური წვლილის შეფასება, რომელიც ექვემდებარება გაყოფას, მათ შორის შინამეურნეობა და ოჯახზე ზრუნვა, დაკარგული ეკონომიკური შესაძლებლობები და მატერიალური ან არამატერიალური წვლილი თითოეული მეუღლის კარიერის განვითარებაში და სხვა ეკონომიკურ აქტივობაში და მისი (ქალის/მამაკაცის) ადამიანური კაპიტალის განვითარებაში.
 - მეუღლის პოსტ-ქორწინების გადასახადის გათვალისწინება, როგორც მეთოდის თანასწორი ფინანსური შემოსავლის უზრუნველსაყოფად.
48. სახელმწიფოებმა უნდა გაახორციელონ კვლევები და პოლიტიკის ანალიზი ოჯახში და ოჯახური ურთიერთობის დასრულების შემდეგ ქალების ეკონომიკური სტატუსის შესახებ და გამოაქვეყნოს შედეგები მისაღებ ფორმაში.

ქონებრივი უფლება სიკვდილის შემდეგ

49. მრავალ სახელმწიფოში კანონით ან ჩვეულებებით მემკვიდრეობის საკითხში ქალი ქვრივები არ არიან ქვრივი მამაკაცების თანასწორნი, რჩებიან რა ეკონომიკურად მოწყვლადი მეუღლის სიკვდილის შემდეგ. რიგი სამართლებრივი სისტემა ფორმალურად უზრუნველყოფს ქვრივ ქალებს ეკონომიკური უსაფრთხოების სხვა საშუალებებით, როგორცაა მამაკაცი ნათესავებისგან ან გარდაცვლილის ქონებიდან გადასახადი. თუმცა, პრაქტიკაში, ამ ვალდებულებების აღსრულება შესაძლებელი არ არის.

50. მინათმფლობელობის ჩვეულებითი ფორმის პირობებში, რომელიც უზღუდავს პირს შეძენის ან გადაცემის საშუალებას და შესაძლოა ექვემდებარებოდეს მხოლოდ გამოყენების უფლებას, ქმრის გარდაცვალების შემდეგ ცოლს ან ცოლებს შესაძლოა უთხრან, დაქორწინდნენ გარდაცვლილის ძმაზე მინის ნაკვეთის შესანარჩუნებლად. შთამომავლის არსებობა ან მათი ნაკლებობა შესაძლოა ძირითადი ფაქტორი იყოს ასეთი ქორწინების მოთხოვნებში. რიგ ქვეყნებში ქვრივი ქალები ექვემდებარებიან „ქონების განაწილებას“ ან „ქონების დატაცებას“, როდესაც გარდაცვლილი ქმრის ნათესავები, ჩვეულებითი უფლებების ფარგლებში ართმევენ ქვრივს და მის შვილებს ქორწინების დროს დაგროვებულ ქონებას, მათ შორის ქონებას, რომელიც არ ინახება ჩვეულებების მიხედვით. მათ გამოჰყავთ ქვრივი ოჯახის სახლიდან და მოითხოვენ ყველა ქონებას, შემდეგ იგნორირებას უკეთებენ თანმხლებ ჩვეულებით პასუხისმგებლობას ქვრივისა და შვილების შენახვასთან დაკავშირებით. რიგ ქვეყნებში ქვრივი ქალები მარგინალიზებულნი არიან ან მოვკეთილი თემიდან.
51. გადარჩენის უფლება სოციალური დაცვის გადასახადებზე (პენსია და შშმ გადასახადები) და დამატებითი საპენსიო სისტემა მნიშვნელოვან როლს თამაშობს სახელმწიფოებში, სადაც წვრილი მნიშვნელოვან თანხას იხდის ამ სისტემებში ურთიერთობის პერიოდში. სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს თანასწორობა მამაკაცებსა და ქალებს შორის მეუღლისა და გადარჩენის მოგებასთან დაკავშირებით სოციალური დაცვიდან და საპენსიო სისტემიდან.
52. კანონები და ჩვეულებები რიგ სახელმწიფოში ზღუდავს ანდერძის გამოყენებას, რათა თავიდან იყოს აცილებული დისკრიმინაციული კანონები და ჩვეულებები და გაიზარდოს ქალის მემკვიდრეობის წილი. სახელმწიფო ვალდებულია მიიღოს კანონი ანდერძის შედგენასთან დაკავშირებით, რომელიც უზრუნველყოფს ქალისა და მამაკაცის, როგორც მოანდერძის, მემკვიდრისა და ბენეფიციარის თანასწორობა.
53. სახელმწიფო ვალდებულია მიიღოს კანონები მემკვიდრეობაზე, ანდერძის არარსებობის შემთხვევაში, რომელიც თანხვედრაშია კონვენციის პრინციპებთან. ასეთმა კანონებმა უნდა უზრუნველყონ:
- ქალებისა და მამაკაცების (გადარჩენილი) თანასწორი მოპყრობა

- ჩვეულებითი მემკვიდრეობა უფლების გამოყენების ან მინის დანიშნულების განსაზღვრისათვის არ უნდა დადგეს პირობების წინაშე იძულებითი ქორწინების შემთხვევაში გარდაცვლილის ძმაზე (ლევირატი) ან სხვა ადამიანზე ან ქორწინებიდან მცირეწლოვანი შვილების არსებობაზე ან არარსებობაზე.
- აკრძალულია გადარჩენილი ქვრივის დატოვება მემკვიდრეობის გარეშე.
- „ქონების განაწილება/დატაცება“ კრიმინალია და მონაწილეები მკაცრად იქნებიან დასჯილი.

დათქმები

54. 1998 წელს კონვენციის⁶ დათქმების შესახებ განაცხადში კომიტეტმა გამოთქვა შემოთქმება დათქმების რაოდენობისა და ბუნების შესახებ. მე-6 აბზაცში განსაკუთრებულადაა აღნიშნული, რომ: მე-2 და მე-16 მუხლები კომიტეტის მიერ მიიჩნევა კონვენციის ძირითად დებულებებად. მიუხედავად იმისა, რომ რიგმა ქვეყნებმა გამოითხოვეს დათქმები ამ მუხლებზე, კომიტეტი განსაკუთრებულადაა შემოთქმებული დათქმების რაოდენობითა და მასშტაბით, რომელიც შეუერთდა კონვენციას.
- მე-16 მუხლთან დაკავშირებით, კომიტეტმა მე-17 აბზაცში განსაკუთრებულად გაუსვა ხაზი, რომ: არც ტრადიციულ, რელიგიურ ან კულტურულ წეს-ჩვეულებებს, არც შეუსაბამო საოჯახო კანონებს და პოლიტიკას შეუძლია კონვენციის დარღვევის გამართლება. კომიტეტი დარწმუნებულია, რომ დათქმები მე-16 მუხლში, განპირობებულია ის ეროვნული, ტრადიციული, რელიგიური თუ სხვა მიზეზით, შეუსაბამოა კონვენციასთან და, შესაბამისად, დაუშვებელია, საჭიროა მისი განხილვა, მოდიფიცირება ან გაუქმება.
55. რელიგიურ კანონებთან და ჩვეულებებთან დაკავშირებულ დათქმებთან დაკავშირებით, კომიტეტი აღიარებს, რომ 1998 წლიდან სახელმწიფოთა ნაწილმა შეცვალა კანონები, რაღა უზრუნველყოფილი ყოფილიყო ოჯახის ურთიერთობის რიგ ასპექტებში მაინც თანასწორობა. ის აგრძელებს რეკომენდაციების მიწოდებას სახელმწიფოებისათვის, რომ „გაითვალისწინონ ქვეყნების გამოცდილება მსგავსი რელიგიური ფონით და სამართლებრივი სისტემებისათვის, რომელიც წარმატებულად მოერგო შიდა კანონმდებლობას ვალდებულებებზე, რომელიც გამომდინარეობს საერთაშორისო იურიდიულად სავალდებულო ინსტრუმენტებიდან, „დათქმების გაუქმებაზე“ ხედვით.

6 A/53/38/რევ.1, ნაწ. ორი.

XI. ზოგადი რეკომენდაცია № 30

ქალების შესახებ კონფლიქტის

პრევენციის, კონფლიქტურ და

პოსტ-კონფლიქტურ სიტუაციებში

მიღებულია: 2013 წელს, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის 56-ე სხდომაზე

ზოგადი მიმოხილვა

1. ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტმა ორმოცდამეშვიდე სხდომაზე, 2010 წელს, გადამწყვიტა ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის 21-ე მუხლის შესაბამისად, მიეღო ზოგადი რეკომენდაცია ქალების შესახებ კონფლიქტის პრევენციის, კონფლიქტურ და პოსტ-კონფლიქტურ სიტუაციებში. ზოგადი რეკომენდაციის ძირითადი მიზანი არის, რომ მისცეს ავტორიტეტული სახელმძღვანელო მითითება წევრ სახელმწიფოებს საკანონმდებლო, პოლიტიკურ და სხვა სათანადო ზომებთან დაკავშირებით კონვენციის თანახმად მათი ვალდებულებების სრული შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, რათა დაიცვან, პატივი სცენ და აღასრულონ ქალთა უფლებები. იგი ასევე ემყარება წარსულში მიღებულ ზოგად რეკომენდაციებში ფორმულირებულ პრინციპებს.
2. ქალთა უფლებების დაცვა ნებისმიერ დროს, არსებითი გენდერული თანასწორობის განვითარება კონფლიქტამდე, მის დროს და შემდეგ და იმის უზრუნველყოფა, რომ ქალთა მრავალფეროვანი გამოცდილება სრულად იქნას ინტეგრირებული სამშვიდობო, მშვიდობის დამყარების და რეკონსტრუქციის ყველა პროცესში, წარმოადგენს კონვენციის მნიშვნელოვან მიზნებს. კომიტეტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ წევრი სახელმწიფოების ვალდებულება განაგრძობს მოქმედებას კონფლიქტის ან საგანგებო მდგომარეობის დროს მოქალაქეებსა და არა-მოქალაქეებს შორის ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე თავიანთი ტერიტორიის და ეფექტური კონტროლის ფარგლებში, მაშინაც კი, თუ არ

მდებარეობს წევრი სახელმწიფოს ტერიტორიის შიგნით. კომიტეტმა არაერთხელ გამოთქვა შეშფოთება ქალთა გამორიცხვასთან დაკავშირებით კონფლიქტის გენდერულ ზემოქმედებასთან და კონფლიქტის პრევენციის ძალისხმევიდან, პოსტ-კონფლიქტური გარდამავალი და რეკონსტრუქციის პროცესებიდან, და ის ფაქტი, რომ წევრი სახელმწიფოების ანგარიშები არ იძლევა საკმარის ინფორმაციას კონვენციის გამოყენების შესახებ ასეთ სიტუაციაში.

3. ზოგადი რეკომენდაცია კონკრეტულად მითითებს წევრ სახელმწიფოებს თავიანთი ვალდებულებების გულმოდგინებით შესრულებასთან დაკავშირებით კერძო პირების და ობიექტების ქმედებებთან მიმართებაში, რომელიც ზიანს აყენებს კონვენციით მინიჭებულ უფლებებს, და სთავაზობს წინადადებებს, თუ როგორ შეუძლიათ არა-წევრ სახელმწიფოებს განიხილონ ქალთა უფლებები კონფლიქტით დაზარალებულ ტერიტორიებზე.

ზოგადი რეკომენდაციის ფარგლები

4. ზოგადი რეკომენდაცია მოიცავს კონვენციის გამოყენებას კონფლიქტის პრევენციის, საერთაშორისო და არა-საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების, უცხოური ოკუპაციის და სხვა სახის ოკუპაციის სიტუაციებში და პოსტ-კონფლიქტურ ეტაპზე. გარდა ამისა, რეკომენდაცია მოიცავს შემფოთების გამომწვევ სხვა სიტუაციებს, როგორცაა შიდა არეულობები, ხანგრძლივი და დაბალი ინტენსივობის სამოქალაქო დაპირისპირებები, პოლიტიკური დაპირისპირებები, ეთნიკური და კომუნალური

ძალადობები, საგანგებო მდგომარეობები და მასობრივი აჯანყებების ჩახშობა, ბრძოლა ტერორიზმის და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ, რაც შეიძლება სულაც არ იქნას კლასიფიცირებული, როგორც შეიარაღებული კონფლიქტი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიხედვით და რომელიც იწვევს ქალთა უფლებების სერიოზულ დარღვევებს და კომიტეტის განსაკუთრებულ შემოთქმას. წინამდებარე ზოგადი რეკომენდაციის მიზნებიდან გამომდინარე, ზოგჯერ კონფლიქტის და პოსტ-კონფლიქტის ფაზები იყოფა, იმის გათვალისწინებით, რომ მათ შეიძლება მოიცვან სხვადასხვა გამონწვევები და შესაძლებლობები ქალებისა და გოგოების უფლებათა დაცვასთან დაკავშირებით. კომიტეტი აღნიშნავს, რომ კონფლიქტიდან პოსტ-კონფლიქტზე გადასვლა ხშირად არ არის სწორხაზოვანი და შეიძლება მოიცავდეს კონფლიქტის შეწყვეტას და შემდეგ ისევ კონფლიქტის გაღვივებას, ციკლს, რომელიც შეიძლება გაგრძელდეს დიდი ხნის განმავლობაში.

5. ასეთი სიტუაციები მჭიდროდაა დაკავშირებული იძულებითი გადაადგილების, მოქალაქეობის არქონის კრიზისთან და ლტოლვილი მოსახლეობის სირთულეებთან რეპატრიაციის პროცესებში. ამ მხრივ, კომიტეტი კიდევ ერთხელ ადასტურებს თავის დაკვირვებას ზოგად რეკომენდაციაში N28, რომ წევრი სახელმწიფოები კვლავაც რჩებიან პასუხისმგებლები თავიანთ ყველა ქმედებაზე, რომელიც გავლენას ახდენს მოქალაქეების და არა-მოქალაქეების, იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა, თავშესაფრის მაძიებელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებებზე მათი ტერიტორიის და ეფექტური კონტროლის ფარგლებში, მაშინაც კი, თუ არ მდებარეობს მათ ტერიტორიაზე.
6. ქალები არ წარმოადგენენ ერთგვაროვან ჯგუფს და მათი გამოცდილება კონფლიქტის და სპეციალური საჭიროებების თვალსაზრისით, პოსტ-კონფლიქტურ კონტექსტში, მრავალფეროვანია. ქალები არ არიან პასიური დამკვირვებლები და მხოლოდ მსხვერპლი ან სამიზნეები. მათ ისტორიულად ჰქონდათ და კვლავაც აკისრიათ როლი, როგორც მეომრებს, როგორც ორგანიზებული სამოქალაქო საზოგადოების ნაწილს, როგორც ადამიანის უფლებათა დამცველებს, როგორც წინააღმდეგობის მოძრაობების წევრებს და აქტიურ აგენტებს ფორმალურ და არაფორმალურ სამშვიდობო და აღდგენის პროცესებში. წევრმა

სახელმწიფოებმა უნდა განიხილონ კონვენციის თანახმად მათი ვალდებულებების ყველა ასპექტი ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად.

7. ქალთა მიმართ დისკრიმინაციას ასევე ამდაგრებს დისკრიმინაციის გადამკვეთი ფორმები, როგორც აღნიშნულია ზოგად რეკომენდაციაში N28. იმის გათვალისწინებით, რომ კონვენცია ასახავს სიცოცხლის ციკლის მიდგომას, წევრი სახელმწიფოები ასევე ვალდებული არიან განიხილონ კონფლიქტის შედეგად დაზარალებული გოგოების უფლებები და განსხვავებული საჭიროებები, რომელიც წარმოიქმნება გენდერული დისკრიმინაციის შედეგად.

კონვენციის გამოყენება კონფლიქტის პრევენციის, კონფლიქტურ და პოსტ-კონფლიქტურ სიტუაციებში

ა. კონვენციის ტერიტორიული და ექსტრა-ტერიტორიული გამოყენება

8. კომიტეტი კიდევ ერთხელ ადასტურებს ზოგად რეკომენდაციას N 28, რომლის თანახმადაც წევრი სახელმწიფოების ვალდებულებები ასევე ვრცელდება ექსტრა-ტერიტორიულად იმ პირებზე, რომლებიც იმყოფებიან მათი ეფექტური კონტროლის ფარგლებში, მაშინაც კი, თუ ისინი არ იმყოფებიან მათ ტერიტორიაზე, და წევრი სახელმწიფოები პასუხისმგებელი არიან თავიანთ ყველა ქმედებაზე, რომელიც გავლენას ახდენს ადამიანის უფლებებზე მიუხედავად იმისა, თუ სად იმყოფებიან დაზარალებული პირები, მათ ტერიტორიაზე თუ მის ფარგლებს გარეთ.
9. კონფლიქტურ და პოსტ-კონფლიქტურ სიტუაციებში, წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან გამოიყენონ კონვენცია და ადამიანის უფლებათა სხვა საერთაშორისო სამართალი და ჰუმანიტარული სამართალი, როდესაც ისინი ახორციელებენ ტერიტორიულ და ექსტრა-ტერიტორიულ იურისდიქციას, ან ინდივიდუალურად, მაგალითად, ცალმხრივი სამხედრო ქმედებით, ან როგორც საერთაშორისო და სამთავრობათაშორისო ორგანიზაციების და კოალიციების წევრები, მაგალითად, როგორც საერთაშორისო სამშვიდობო ძალების ნაწილი. კონვენცია გამოიყენება სიტუაციების ფართო სპექტრთან მიმართებაში, მათ შორის იქ, სადაც

სახელმწიფო ახორციელებს იურისდიქციას, როგორცაა ოკუპაცია და უცხო ტერიტორიის ადმინისტრირების სხვა ფორმები, მაგალითად, გაეროს მიერ ტერიტორიის ადმინისტრირება; ეროვნულ კონტინგენტებთან მიმართებაში, რომელიც ქმნის საერთაშორისო სამშვიდობო და მშვიდობის იძულების ოპერაციის ნაწილს; სახელმწიფოს აგენტების მიერ დაკავებულ პირებთან მიმართებაში, როგორცაა სამხედრო ან დაქირავებული ბოევიკები, მისი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ; კანონიერ ან უკანონო სამხედრო ქმედებებთან მიმართებაში სხვა სახელმწიფოში; ორმხრივი ან მრავალმხრივი დონორების დახმარებასთან მიმართებაში კონფლიქტის პრევენციის და ჰუმანიტარული დახმარების, შესუსტების ან პოსტ-კონფლიქტური რეკონსტრუქციის მიზნით; სამშვიდობო და მოლაპარაკებების პროცესში ჩასართავად მესამე მხარის სახით; და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქვეყნებთან სავაჭრო შეთანხმებების ფორმირების მიზნით.

10. კონვენცია ასევე მოითხოვს წევრი სახელმწიფოებისაგან მათი ეფექტური კონტროლის ქვეშ მყოფი შიდა არასახელმწიფო აქტიორების საქმიანობის რეგულირებას, რომლებიც მოქმედებენ ექსტრა-ტერიტორიულად. კომიტეტმა კიდევ ერთხელ დაადასტურა თავის ზოგად რეკომენდაციაში N28 კონვენციის მე-2 (ე) მუხლში მოცემული მოთხოვნა ნებისმიერი საჯარო ან კერძო აქტიორების მხრიდან დისკრიმინაციის აღმოფხვრასთან დაკავშირებით, რომელიც ვრცელდება ექსტრა-ტერიტორიულად მოქმედი ეროვნული კორპორაციების ქმედებების მიმართ. ეს მოიცავს შემთხვევებს, რომელთა დროსაც ეროვნული კორპორაციების საქმიანობა კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ტერიტორიებზე იწვევს ქალთა უფლებების დარღვევას და შემთხვევებს, რომელიც მოითხოვს ანგარიშვალდებულების და ზედამხედველობის მექანიზმების დანერგვას პირადი უსაფრთხოების მიზნით და სხვა კონტრაქტიორებისთვის, რომლებიც მოქმედებენ კონფლიქტის ზონებში.

11. შეიძლება ადგილი ჰქონდეს ისეთ შემთხვევებს, რომელთა დროსაც წევრ სახელმწიფოებს ასევე აკისრიათ საერთაშორისო თანამშრომლობის ექსტრა-ტერიტორიული ვალდებულებები, როგორც ეს განსაზღვრულია საერთაშორისო სამართალში, როგორცაა სახელმწიფოებო სამართალი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალების შესახებ (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა

უფლებების შესახებ კონვენციის 32-ე მუხლი), შეიარაღებული კონფლიქტის დროს გოგოების შესახებ (ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენციის მე-4 (4) მუხლი და ამასთანავე პირველი ორი ფაკულტატიური ოქმი) და ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებებით არადისკრიმინაციული სარგებლობის შესახებ (ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-2 (1), მე-11 (1), 22-ე და 23-ე მუხლები). ასეთ შემთხვევებში კონვენციის ექსტრა-ტერიტორიული გამოყენება სახელმწიფოებისგან მოითხოვს კონვენციასთან შესაბამისობას თავიანთი ვალდებულებების განხორციელებისას.

12. კომიტეტი რეკომენდაციას აძლევს წევრ-სახელმწიფოებს:

(ა) გამოიყენონ კონვენცია და ადამიანის უფლებათა დაცვის სხვა საერთაშორისო ინსტრუმენტები და ჰუმანიტარული სამართალი სრულყოფილად ტერიტორიული თუ ექსტრა-ტერიტორიული იურისდიქციის განხორციელებისას ინდივიდუალურად მოქმედების დროს ან როგორც საერთაშორისო და სამთავრობათაშორისო ორგანიზაციების კოალიციის წევრების სახით;

(ბ) დაარეგულირონ თავიანთი ეფექტური კონტროლის ქვეშ მყოფი ყველა შიდა არასახელმწიფო აქტიორების საქმიანობა, რომლებიც მოქმედებენ ექსტრა-ტერიტორიულად და უზრუნველყონ მათ მიერ კონვენციის სრული პატივისცემა;

(გ) პატივი სცენ, დაიცვან და შეასრულონ კონვენციით უზრუნველყოფილი უფლებები, რომელიც გამოიყენება ექსტრა-ტერიტორიულად, როგორც საოკუპაციო ძალა უცხოური ოკუპაციის პირობებში.

ბ. კონვენციის გამოყენება სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტიორების მიმართ

13. კონფლიქტის პრევენციის, კონფლიქტურ და პოსტ-კონფლიქტურ პროცესებში ქალთა უფლებების შელახვა ხდება სხვადასხვა აქტიორების მიერ, მათ შორისაა სახელმწიფოები, რომლებიც მოქმედებენ ინდივიდუალურად (მაგალითად, როგორც სახელმწიფო, რომლის საზღვრებშიც ჩნდება კონფლიქტი, მეზობელი სახელმწიფოები, რომლებიც ჩართული არიან კონფლიქტის რეგიონალურ ასპექტებში ან სახელმწიფოები, რომლებიც ჩართული არიან

ცალმხრივ საზღვრისპირა სამხედრო მანევრებში), სახელმწიფოები, რომლებიც მოქმედებენ როგორც საერთაშორისო და სამთავრობათაშორისო ორგანიზაციების წევრები (მაგალითად, ხელს უწყობენ საერთაშორისო სამშვიდობო ძალებს, ან როგორც დონორები, ფულს აძლევენ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მეშვეობით სამშვიდობო პროცესების მხარდასაჭერად) და კოალიციები და არასახელმწიფო აქტიორები, როგორცაა შეიარაღებული ჯგუფები, ბოვიკები, კორპორაციები, კერძო სამხედრო კონტრაქტიორები, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფები და ნებაყოფლობითი სამოქალაქო დაჯგუფებები („დრუჟინა“). კონფლიქტურ და პოსტ-კონფლიქტურ კონტექსტში სახელმწიფო ინსტიტუტები ხშირად სუსტდება და გარკვეული სამთავრობო ფუნქციები შეიძლება შესრულდეს სხვა მთავრობებმა, სამთავრობათაშორისო ორგანიზაციებმა ან თუნდაც არასახელმწიფო ჯგუფებმა. კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ, ასეთ შემთხვევებში შეიძლება არსებობდეს ვალდებულებების ერთდროული და დამატებითი კომპლექტი კონვენციის თანახმად მთელი რიგი ჩართული აქტიორებისთვის.

14. სახელმწიფო პასუხისმგებლობა კონვენციის თანახმად ასევე წარმოიქმნება, თუ არასახელმწიფო აქტიორების ქმედებები ან უმოქმედობა შეიძლება მიეკუთვნოს სახელმწიფოს საერთაშორისო სამართლის ფარგლებში. როდესაც წევრი სახელმწიფო მოქმედებს, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი კონფლიქტის პრევენციის, კონფლიქტურ ან პოსტ-კონფლიქტურ პროცესებში, წევრი სახელმწიფო რჩება პასუხისმგებელი თავის ვალდებულებების შესრულებაზე კონვენციის შესაბამისად თავისი ტერიტორიის ფარგლებში და ექსტრა-ტერიტორიულად და ასევე აკისრია პასუხისმგებლობა მიიღოს ზომები, რათა უზრუნველყოს, რომ იმ ორგანიზაციების პოლიტიკა და გადაწყვეტილებები შესაბამისობაში იყოს ნაკისრ ვალდებულებებს კონვენციის შესაბამისად.

15. კომიტეტმა ასევე არაერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, რომ კონვენცია ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს გააკონტროლონ არასახელმწიფო აქტიორების მოვალეობა დაცვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს, რომ სახელმწიფოებმა უნდა გამოამუშავონ სათანადო გულმოდგინება, რათა თავიდან აიცილონ, გამოიძიონ, დასაჯონ და უზრუნველყონ კომპენსაცია კერძო პირების ან ორგანოების მოქმედებებისთვის, რომელიც არღვევს კონ-

ვენციით გათვალისწინებულ უფლებებს. თავის ზოგად რეკომენდაციაში N19 და 28, კომიტეტმა ხაზგასმით აღნიშნა სათანადო გულმოდგინებასთან დაკავშირებული ვალდებულებები ძალადობისა და დისკრიმინაციისაგან ქალების დაცვასთან მიმართებაში და აღნიშნა, რომ, საკონსტიტუციო და საკანონმდებლო ზომებთან ერთად, წევრმა სახელმწიფოებმა ასევე უნდა უზრუნველყონ ადეკვატური ადმინისტრაციული და ფინანსური მხარდაჭერა კონვენციის განსახორციელებლად.

16. გარდა იმისა, რომ წევრ სახელმწიფოებს მოეთხოვებათ გააკონტროლონ არასახელმწიფო აქტიორები, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი შეიცავს შესაბამის ვალდებულებებს, რომელიც ავალდებულებს არასახელმწიფო აქტიორებს, როგორც შეიარაღებული კონფლიქტის მხარეებს (მაგალითად, მეამბოხეები და მეამბოხე ჯგუფები), როგორცაა უენევის 1949 წლის კონვენციების საერთო მე-3 მუხლი და 1949 წლის 12 აგვისტოს უენევის კონვენციების დამატებითი ოქმი, რომელიც ეხება არა-საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვას. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ არასახელმწიფო აქტიორები ვერ გახდებიან კონვენციის მხარეები, კომიტეტი აღნიშნავს, რომ, გარკვეულ პირობებში, კერძოდ, როდესაც შეიარაღებული ჯგუფი იდენტიფიცირებადი პოლიტიკური სტრუქტურით ახორციელებს ტერიტორიის და მოსახლეობის მნიშვნელოვან კონტროლს, არასახელმწიფო აქტიორები ვალდებულნი არიან პატივი სცენ ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართალს. კომიტეტი ხაზს უსვამს, რომ ადამიანის უფლებების უხეში დარღვევები და ჰუმანიტარული სამართლის სერიოზული დარღვევები გამოიწვევდა ინდივიდუალურ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, მათ შორის არასახელმწიფო შეიარაღებული ჯგუფების წევრებისთვის და ლიდერებისთვის და კერძო სამხედრო კონტრაქტიორებისთვის.

17. კომიტეტი რეკომენდაციას აძლევს წევრ სახელმწიფოებს:

(ა) უზრუნველყონ კომპენსაცია კერძო პირების ან ორგანოების მოქმედებებისთვის, როგორც მათი სათანადო გულმოდგინებასთან დაკავშირებული ვალდებულებების ნაწილი;

(ბ) უარი თქვან ყველა ფორმის უკუსვლაზე ქალთა უფლებების დაცვის მიმართულებით არასახელმწიფო სუბიექტების, როგორცაა ტერო-

- რისტები, კერძო პირები ან შეიარაღებული ჯგუფები, გულის მოსაგებად;
- (გ) ითანამშრომლონ არასამთავრობო სექტორთან, რათა თავიდან იქნას აცილებული ადამიანის უფლებათა დარღვევები, რომლებიც დაკავშირებულია მათ საქმიანობასთან კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ტერიტორიებზე, კერძოდ, ყველა სახის გენდერული ძალადობა; ადეკვატურად დაეხმარონ ეროვნულ კორპორაციებს ქალთა უფლებების დარღვევების მომატებული რისკის შეფასებისას და განხილვისას; და შექმნან ეფექტური ანგარიშვადებულების მექანიზმი;
- (დ) გამოიყენონ გენდერულად სენსიტიური პრაქტიკა (მაგალითად, ქალი პოლიციის თანამშრომლების გამოყენება) დარღვევების მოძიებისას კონფლიქტის დროს და მის შემდეგ, რათა უზრუნველყონ სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტიორების მხრიდან დარღვევების გამოვლენა და განხილვა.
18. კომიტეტი ასევე მოუწოდებს არასახელმწიფო აქტიორებს, როგორცაა შეიარაღებული ჯგუფები:
- (ა) პატივი სცენ ქალთა უფლებებს კონფლიქტურ და პოსტ-კონფლიქტურ სიტუაციებში, კონვენციის შესაბამისად;
- (ბ) საკუთარ თავზე აიღონ ქვევის კოდექსების დაცვის ვალდებულება ადამიანის უფლებებისა და ყველა სახის გენდერული ძალადობის აკრძალვის შესახებ.

გ. კონვენციის როგორც დამატებითი/შემავსებელი დოკუმენტის ფორმა და საერთაშორისო ჰუმანიტარული, ლტოლვილთა და სისხლის სამართალი

19. ყველა კრიზისულ სიტუაციაში, იქნება ეს არა-საერთაშორისო და საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი, საჯარო საგანგებო სიტუაციები, უცხოური ოკუპაცია ან შემოტების გამომწვევი სხვა სიტუაციები, როგორცაა პოლიტიკური არეულობები, ქალთა უფლებები გარანტირებულია საერთაშორისო სამართლის რეჟიმით, რომელიც შედგება დამატებითი დაცვისგან კონვენციის და საერთაშორისო ჰუმანიტარული, ლტოლვილთა და სისხლის სამართლის თანახმად.

20. ისეთ შემთხვევებში, რომელიც აკმაყოფილებს არა-საერთაშორისო ან საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის სტანდარტულ განმარტებას, კონვენცია და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი გამოიყენება ერთდროულად და მათი განსხვავებული დაცვის მექანიზმები ურთიერთშემავსებელია და არა ურთიერთგამომრიცხავი. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის თანახმად, შეიარაღებული კონფლიქტების დროს დაზარალებულ ქალებს უფლება აქვთ მიმართონ ზოგადი დაცვის მექანიზმებს, რომელიც გამოიყენება როგორც ქალებთან, ასევე მამაკაცებთან მიმართებაში და ზოგიერთ შემთხვევაში კონკრეტულ დაცვის ზომებს, პირველ რიგში დაცვას გაუპატიურების, იძულებითი პროსტიტუციისა და ნებისმიერი სხვა ფორმის უხამსი თავდასხმის წინააღმდეგ; საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების დროს დაზარალების განაწილებისას პრიორიტეტი ენიჭება ფეხმძიმე ქალებს, მშობიარეებს და მეძუძურ დედებს; დაკავება მამაკაცებისგან განცალკევებულ ადგილას და ქალების უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ; და ფეხმძიმე ქალების ან დამოკიდებული და მცირეწლოვანი ბავშვების დედების სასიკვდილო განაჩენისგან დაცვა.
21. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი ასევე აკისრებს ვალდებულებებს საოკუპაციო ძალებს, რომელიც გამოიყენება კონვენციის და ადამიანის უფლებათა სხვა საერთაშორისო სამართლის პარალელურად. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი ასევე უკრძალავს სახელმწიფოს გადაიყვანოს საკუთარი სამოქალაქო მოსახლეობის ნაწილი იმ ტერიტორიაზე, რომელიც მას უკავია. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის თანახმად, ოკუპაციის ქვეშ მყოფ ქალებს უფლება აქვთ მიმართონ საერთო დაცვას და ქვემოთ ჩამოთვლილ კონკრეტულ დაცვის ზომებს: გაუპატიურების, იძულებითი პროსტიტუციის ან ნებისმიერი სხვა ფორმის უხამსი თავდასხმის წინააღმდეგ; ფეხმძიმეებისა და მშობიარეებისთვის განკუთვნილი არსებითად მნიშვნელოვანი ტანსაცმლის ტვირთების თავისუფალ გავლას; უსაფრთხოების ან ნეიტრალურ ზონებს, რომელიც შეიძლება შეიქმნას, სამოქალაქო მოსახლეობის დასაცავად, მათ შორის, კერძოდ ფეხმძიმეები და შვიდ წლამდე ასაკის ბავშვები; და დაკავებას მამაკაცებისგან განცალ-

ლკვევებულ ადგილას და ქალების უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ. მდებარეობითი სქესის ინტერნირებული სამოქალაქო პირები უზრუნველყოფილი უნდა იყონ სანიტარული პირობებით და ისინი უნდა გაჩხრიკონ ქალებმა.

22. კონვენციის დებულებები, რომელიც კრძალავს ქალთა დისკრიმინაციას, აძლიერებს და ავსებს საერთაშორისო სამართლებრივი დაცვის რეჟიმს ლტოლვილების და იძულებით გადაადგილებული პირების და მოქალაქეობის არმქონე ქალებისა და გოგოებისთვის ბევრ სიტუაციაში, განსაკუთრებით იმიტომ, რომ გამოკვეთილი გენდერული თანასწორობის დებულებები არ არსებობს შესაბამის საერთაშორისო შეთანხმებებში, განსაკუთრებით 1951 წლის კონვენციაში ლტოლვილთა სტატუსის შესახებ და მის 1967 წლის ოქმში.
23. კონვენციის თანახმად წევრი სახელმწიფოების ვალდებულებებს თავიდან აიცილონ, გამოიძიონ და დასაჯონ ტრეფიკინგი, სექსუალური და გენდერული ძალადობა, ამყარებს საერთაშორისო სისხლის სამართალი, მათ შორის საერთაშორისო და შერეული სისხლის სამართლის ტრიბუნალები და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის სტატუტი, რომლის თანახმად დამონება ქალებისა და გოგოების ტრეფიკინგის, გაუპატიურების, სექსუალური მონობის, იძულებითი პროსტიტუციის, იძულებითი ორსულობის, იძულებითი სტერილიზაციის ან მსგავსი სიმძიმის ნებისმიერი სხვა ფორმის სექსუალური ძალადობის დროს შეიძლება წარმოადგენდეს სამხედრო დანაშაულს, დანაშაულს კაცობრიობის წინააღმდეგ და წამების აქტს, ან წარმოადგენდეს გენოციდის აქტს. საერთაშორისო სისხლის სამართალი, მათ შორის, გენდერული ძალადობის განმარტებები, კერძოდ სექსუალური ძალადობა, ასევე თანმიმდევრულად ინტერპრეტირებული უნდა იქნას კონვენციასთან და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისოდ აღიარებულ სხვა დოკუმენტებთან შესაბამისად სქესობრივი ნიშნით არასასურველი განსხვავების გარეშე.
24. კომიტეტი რეკომენდაციას აძლევს წევრ სახელმწიფოებს, რომ თავიანთი ვალდებულებების განხორციელებისას კონვენციის თანახმად, სათანადო ყურადღება დაუთმონ ქალებისა და გოგოების დაცვის დამატებით მექანიზმებს, რომლებიც გამომდინარეობს საერთაშორისო ჰუმანიტარული, ლტოლვილთა და სისხლის სამართლიდან.

დ. კონვენცია და უშიშროების საბჭოს დღის წესრიგი ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ

25. კომიტეტი აღიარებს, რომ უშიშროების საბჭოს სხვადასხვა თემატური რეზოლუცია, კერძოდ, 1325 (2000), 1820 (2008), 1888 (2009), 1889 (2009), 1960 (2010), 2106 (2013) და 2122 (2013), გარდა რეზოლუციისა 1983 (2011), რომელიც იძლევა კონკრეტულ სახელმძღვანელო მითითებას იმის თაობაზე, თუ რა ზემოქმედებას ახდენს აივ-ინფექცია და შიდსი ქალებზე კონფლიქტურ და პოსტ-კონფლიქტურ სიტუაციებში, წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ საფუძველს ადვოკატირების განვითარებისთვის ქალებთან, მშვიდობასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით.
26. იმის გათვალისწინებით, რომ ყველა პრობლემური სფერო, რომელიც განხილულია ამ რეზოლუციებში, ჰპოვებს გამოხატვას კონვენციის არსობრივ დებულებებში, მათი განხორციელება უნდა ეფუძნებოდეს არსებითი თანასწორობის მოდელს და მოიცავდეს კონვენციით განსაზღვრულ ყველა უფლებას. კომიტეტი კიდევ ერთხელ ადასტურებს ერთობლივი და ინტეგრირებული მიდგომის საჭიროებას, რომელიც განათავსებს ქალებთან, მშვიდობასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით უშიშროების საბჭოს დღის წესრიგის განხორციელებას კონვენციის და მისი ფაქულტატური ოქმის განხორციელების უფრო ფართო ჩარჩოში.
27. კონვენცია შეიცავს ანგარიშის ჩაბარების პროცედურას, მე-18 მუხლის შესაბამისად, რომლითაც წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან ანგარიში ჩააბარონ იმ ზომების შესახებ, რომლებიც მიღებულ იქნა კონვენციის დებულებების განსახორციელებლად, მათ შორის კონფლიქტის პრევენციის, კონფლიქტურ და პოსტ-კონფლიქტურ სიტუაციებში. უშიშროების საბჭოს ვალდებულებების შესრულების შესახებ ინფორმაციის ანგარიშის ჩაბარების პროცედურის ჩართვა შესაძლებელს გახდის კონვენციის და საბჭოს დღის წესრიგის კონსოლიდაციას და, შესაბამისად, გენდერული თანასწორობის გაფართოებას, გაძლიერებას და პრაქტიკულ განხორციელებას.
28. კომიტეტი რეკომენდაციას აძლევს წევრ სახელმწიფოებს:

- (ა) უზრუნველყონ, რომ ეროვნული სამოქმედო გეგმები და სტრატეგიები უშიშროების საბჭოს რეზოლუციის 1325 (2000) და შემდგომი რეზოლუციების განსახორციელებლად შეესაბამებოდეს კონვენციას და, რომ გამოყოფილი იქნას სათანადო ბიუჯეტი მათ განსახორციელებლად;
- (ბ) უზრუნველყონ, რომ უშიშროების საბჭოს ვალდებულებების განხორციელება ასახავდეს არსებითი თანასწორობის მოდელს და გაითვალისწინონ კონფლიქტური და პოსტ-კონფლიქტური სიტუაციების გავლენა კონვენციით განსაზღვრულ ყველა უფლებებთან დაკავშირებით, იმ დარღვევების გარდა, რომელიც ეხება კონფლიქტთან დაკავშირებულ გენდერულ ძალადობას, მათ შორის სექსუალურ ძალადობას;
- (გ) ითანამშრომლონ გაეროს ყველა ქსელთან, დეპარტამენტთან, სააგენტოსთან, ფონდთან და პროგრამასთან კონფლიქტის პროცესების სრულ სპექტრთან დაკავშირებით, კონფლიქტის პრევენციის, კონფლიქტის მოგვარების და პოსტ-კონფლიქტური რეკონსტრუქციის ჩათვლით, რათა ამოქმედონ კონვენციის დებულებები;
- (დ) გააძლიერონ თანამშრომლობა სამოქალაქო საზოგადოებასა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებიც მუშაობენ უშიშროების საბჭოს დღის წესრიგის განხორციელებაზე ქალებთან, მშვიდობასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით.

კონვენცია და კონფლიქტის პრევენცია, კონფლიქტური და პოსტ-კონფლიქტური სიტუაციები

ა. ქალები და კონფლიქტის პრევენცია

29. კონვენციის წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან ფოკუსირება მოახდინონ კონფლიქტის და ყველა სახის ძალადობის პრევენციაზე. ასეთი კონფლიქტის პრევენცია მოიცავს ადრეული გაფრთხილების ეფექტურ სისტემებს ღია ინფორმაციის შესაგროვებლად და გასაანალიზებლად, პრევენციულ დიპლომატიას და შუამდგომლობას და პრევენციის ძალისხმევას, რომელიც ებრძვის კონფლიქტის ძირითად მიზეზებს. იგი ასევე მოიცავს იარაღით ვაჭრობის ძლიერ და ეფექტურ რეგულირებას, არსებული და ხშირად უკანონო ჩვეულებრივი შეიარაღების, მათ შორის მცირე შეიარაღების,

მიმოქცევის შესაბამისი კონტროლის გარდა, რათა თავიდან აიცილოს მათი გამოყენება გენდერული ძალადობის მიძიმე დანაშაულის ჩასადენად ან ხელშესაწყობად. არსებობს კორელაცია გენდერული ძალადობის და დისკრიმინაციის გავრცელების ზრდასა და კონფლიქტის გაჩაღებას შორის. მაგალითად, სექსუალური ძალადობის გავრცელების სწრაფმა ზრდამ შეიძლება იმოქმედოს, როგორც კონფლიქტების ადრეულმა გაფრთხილებამ. შესაბამისად, ძალისხმევა გენდერული დარღვევების აღმოსაფხვრელად, ასევე ხელს უწყობს გრძელვადიან პერსპექტივაში კონფლიქტის, მისი ესკალაციის და ძალადობის განმეორების თავიდან აცილებას კონფლიქტის შემდგომ ეტაპზე.

- 30. კონფლიქტის პრევენციის მნიშვნელობა ქალთა უფლებებისთვის კონფლიქტის პრევენციის ძალისხმევის მიუხედავად, ხშირად გამორიცხავს ქალთა გამოცდილებებს, როგორც კონფლიქტის პროგნოზირებისთვის შეუსაბამოს და შესაბამისად ქალთა მონაწილეობა კონფლიქტის პრევენციაში დაბალია. კომიტეტმა ადრე აღნიშნა ქალთა დაბალი მონაწილეობა დანესებულებებში, რომლებიც მუშაობენ პრევენციულ დიპლომატიასა და გლობალურ საკითხებზე, როგორიცაა სამხედრო ხარჯები და ბირთვული განიარაღება. გარდა იმისა, რომ არღვევს კონვენციას, ასეთი გენდერულად ბრმა კონფლიქტის პრევენციის ზომები სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს კონფლიქტის პროგნოზირებას და პრევენციას. ეს მიიღწევა მხოლოდ მდებდრობითი სქესის დაინტერესებული პირების ჩართვის და კონფლიქტის გენდერული ანალიზის გამოყენების საშუალებით, რათა წევრმა სახელმწიფოებმა შეძლონ სათანადო რეაგირების შემუშავება.
- 31. კონვენცია მოითხოვს, რომ პრევენციული პოლიტიკა იყოს არადისკრიმინაციული და, რომ კონფლიქტის თავიდან აცილების ან შერბილების ძალისხმევა არც ნებით ან უნებლიეთ ზიანი არ მიაყენოს ქალებს და არ შექმნას ან გააძლიეროს გენდერული უთანასწორობა. ცენტრალიზებული მთავრობების ან მესამე მხარე წევრი სახელმწიფოების მხრიდან ჩარევამ ადგილობრივ სამშვიდობო პროცესებში პატივი უნდა სცეს, ვიდრე ძირი გამოუთხაროს ქალთა ლიდერობას და სამშვიდობო როლს ადგილობრივ დონეზე.
- 32. კომიტეტმა ადრე აღნიშნა, რომ ჩვეულებრივი შეიარაღების გავრცელებამ, განსაკუ-

თრებით მცირე შეიარაღების, მათ შორის კანონიერი ვაჭრობიდან ამოღებული იარაღის, შეიძლება იქონიოს პირდაპირი ან არაპირდაპირი გავლენა ქალებზე, როგორც კონფლიქტთან დაკავშირებული გენდერული ძალადობის მსხვერპლზე, როგორც ოჯახური ძალადობის მსხვერპლზე და ასევე, როგორც აქციის მონაწილეებზე და აქტიორებზე წინააღმდეგობის მოძრაობებში.

33. კომიტეტი რეკომენდაციას აძლევს წევრ სახელმწიფოებს:
- (ა) გააძლიერონ დ მხარი დაუჭირონ კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით ქალთა ფორმალურ და არაფორმალურ ძალისხმევას;
 - (ბ) უზრუნველყონ ქალთა თანაბარი მონაწილეობა ეროვნულ, რეგიონალურ და საერთაშორისო ორგანიზაციებში, ასევე არაფორმალურ, ადგილობრივ და საზოგადოების საჭიროებებზე დაფუძნებულ პროცესებში, რომელთა მოვალეობაა პრევენციული დიპლომატია;
 - (გ) დააარსონ ადრეული გაფრთხილების სისტემები და მიიღონ გენდერული უსაფრთხოების ზომები, რათა თავიდან იქნას აცილებული გენდერული ძალადობის და ქალთა უფლებების სხვა სახის დარღვევების ესკალაცია;
 - (დ) ჩართონ გენდერული მაჩვენებლები და კრიტერიუმები ასეთი ადრეული გაფრთხილების სისტემების შედგენის მართვის სტრუქტურაში;
 - (ე) განიხილონ იარაღის საერთაშორისო მიწოდების გენდერული ზემოქმედება განსაკუთრებით მცირე და უკანონო შეიარაღების, მათ შორის იარაღით ვაჭრობის ხელშეკრულების რატიფიცირება და განხორციელება.

ბ. ქალები კონფლიქტურ და პოსტ-კონფლიქტურ სიტუაციებში

1. გენდერული ძალადობა (მუხლები 1-3 და 5 (ა))

34. ქალების და გოგოების მიმართ ძალადობა არის დისკრიმინაციის ფორმა, რომელიც აკრძალულია კონვენციით და წარმოადგენს ადამიანის უფლებების დარღვევას. კონფლიქტები აძლიერებს არსებულ გენდერულ უთანასწორობას, აყენებს ქალებს სხვადასხვა ფორმის გენდერული ძალადობის მომეტებული რისკის ქვეშ ისევე როგორც სახელმწიფო, ასევე არასახელმწიფო აქტიორების მხრიდან. კონფლიქტთან დაკავშირებული ძალადობა ხდება ყველგან, სახლებში, სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში და იძულებით

გადაადგილებულ ქალთა და ლტოლვილთა ბანაკებში; ეს ხდება ნებისმიერ დროს, მაგალითად, ყოველდღიური საქმიანობის შესრულებისას, როგორცაა წყლის და შეშის შეგროვება და სკოლაში ან სამსახურში წასვლა. არსებობს მრავალი დამნაშავე კონფლიქტთან დაკავშირებულ გენდერულ ძალადობაში. ესენი შეიძლება იყონ მთავრობის შეიარაღებული ძალების წევრები, გასამხედროებული ჯგუფები, არასახელმწიფო შეიარაღებული ჯგუფები, სამშვიდობო პერსონალი და სამოქალაქო პირები. შეიარაღებული კონფლიქტის ხასიათის, მისი ხანგრძლივობის და ჩართული აქტიორების მიუხედავად, ქალები და გოგოები უფრო მეტად გამიზნული არიან და ექვემდებარებიან სხვადასხვა ფორმის ძალადობას და შეურაცხყოფას, დაწყებული თვითნებური მკვლელობებით, ნაშებით და დასახიჩრებით, სექსუალური ძალადობით, იძულებითი ქორწინებით, იძულებითი პროსტიტუციით და ფეხმძიმობით, ასევე ორსულობის იძულებითი შეწყვეტით და სტერილიზაციით.

35. უდავოა, რომ იმ დროს, როცა ყველა მშვიდობიანი მოქალაქე ზარალდება შეიარაღებული კონფლიქტის გამო, ქალები და გოგოები, პირველ რიგში, და უფრო ხშირად ხდებიან სექსუალური ძალადობის გამოყენების სამიზნე, „მათ შორის ომის ტაქტიკის სახით, რათა დაამცირონ, იბატონონ, შიში დაწერონ, დაშალონ ან / და იძულებით გადაადგილონ საზოგადოების ან ეთნიკური ჯგუფის სამოქალაქო წევრები“, და რომ სექსუალური ძალადობის ეს ფორმა ნარჩუნდება საომარი მოქმედებების შეწყვეტის შემდეგაც (იხილეთ უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1820 (2008)). ქალების უმეტესობისთვის პოსტ-კონფლიქტურ გარემოში, ძალადობა არ წყდება ოფიციალურად ცეცხლის შეწყვეტასთან ერთად ან სამშვიდობო შეთანხმების ხელმოწერისთანავე, არამედ ხშირად იზრდება პოსტ-კონფლიქტურ სიტუაციაში. კომიტეტი აღიარებს ბევრ ანგარიშს, რომელიც ადასტურებს, რომ როცა იცვლება ძალადობის ფორმა და ადგილი, რაც იმას ნიშნავს, რომ აღარ უნდა არსებობდეს სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ძალადობა, გენდერული ძალადობის ყველა ფორმა, კერძოდ სექსუალური ძალადობა, მწვავედება პოსტკონფლიქტურ გარემოში. ყველა სახის გენდერული ძალადობის თავიდან აცილების, გამოძიების და დასჯის თვალსაზრისით წარუმატებლობამ, სხვა ფაქტორებთან ერთად, როგორცაა არაეფექტური განიარაღება, დემო-

- ბილიზაცია და რეინტეგრაციის პროცესები, შეიძლება გამოიწვიოს ქალთა მიმართ შემდგომი ძალადობა პოსტ-კონფლიქტურ პერიოდში.
36. კონფლიქტის დროს და შემდეგ კონკრეტული ქალების და გოგოების ჯგუფები იმყოფებიან ძალადობის, განსაკუთრებით სექსუალური ძალადობის, კონკრეტული რისკის ქვეშ, როგორცაა იძულებით გადაადგილებული და ლტოლვილი ქალები; ქალთა უფლებების დამცველები; ქალები, რომლებიც წარმოადგენენ სხვადასხვა კასტას, ეთნიკურ, ეროვნულ და რელიგიურ იდენტობას ან სხვა უმცირესობებს, რომლებსაც ხშირად თავს ესხმიან, როგორც თავიანთი საზოგადოების სიმბოლურ წარმომადგენლებს; ქვრივები; და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები. ქალი მებრძოლები და სამხედრო სამსახურში მყოფი ქალები ასევე დაუცველი არიან სახელმწიფო და არასახელმწიფო შეიარაღებული ჯგუფების და წინააღმდეგობის მოძრაობების მხრიდან სექსუალური ძალადობისა და შევიწროებისაგან.
37. გენდერული ძალადობა ასევე იწვევს ადამიანის უფლებების მრავალჯერად დამატებით დარღვევას, როგორცაა სახელმწიფო ან არასახელმწიფო თავდასხმები ქალთა უფლებების დამცველებზე, რომელიც ძირს უთხრის ქალთა თანასწორ და მნიშვნელოვან მონაწილეობას პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. კონფლიქტთან დაკავშირებული გენდერული ძალადობა იწვევს მთელ რიგ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ შედეგებს ქალებისთვის, როგორცაა ტრავმები და უნარშემზღუდულობა, აივ-ინფექციის გაზრდილი რისკი და არასასურველი ორსულობის რისკი, რომელიც გამომდინარეობს სექსუალური ძალადობის შედეგად. გენდერული ძალადობასა და აივ-ინფექციას შორის არსებობს ძლიერი კავშირი, მათ შორის, აივ-ინფექციის მიზანმიმართული გადაცემა, რომელიც გამოიყენება, როგორც ომის იარაღი გაუპატიურების მეშვეობით.
38. კომიტეტი რეკომენდაციას აძლევს წევრ სახელმწიფოებს:
- (ა) აკრძალონ ყველა სახის გენდერული ძალადობა სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტიორების მხრიდან, მათ შორის, კანონმდებლობის, პოლიტიკის და ოქმების მეშვეობით;
- (ბ) თავიდან აიცილონ, გამოიძიონ და დასაჯონ ყველა ფორმის გენდერული ძალადობა, კერძოდ სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტიორების მიერ ჩადენილი სექსუალური ძალადობა და განახორციელონ ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა;
- (გ) უზრუნველყონ მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ქალებისა და გოგოებისთვის; მიიღონ გენდერულად სენსიტიური საგამოძიებო პროცედურები გენდერულ ძალადობასთან საბრძოლველად, კერძოდ სექსუალურ ძალადობასთან; ჩაატარონ გენდერულად სენსიტიური სწავლება და მიიღონ ქცევის კოდექსები პოლიციისა და სამხედროებისთვის, მათ შორის სამშვიდობოებისთვის; და გააძლიერონ სასამართლო სისტემის პოტენციალი, მათ შორის გარდამავალი სამართლიანობის მექანიზმების კონტექსტში, რათა უზრუნველყონ მისი დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და მთლიანობა;
- (დ) შეაგროვონ მონაცემები და უზრუნველყონ მონაცემთა შეგროვების მეთოდების სტანდარტიზაცია გენდერული ძალადობის სიხშირისა და გავრცელების შესახებ, კერძოდ სექსუალური ძალადობის, სხვადასხვა პირობებში და სხვადასხვა კატეგორიის ქალებთან დაკავშირებით;
- (ე) გამოყონ სათანადო რესურსები და მიიღონ ეფექტური ზომები, რათა უზრუნველყონ გენდერული ძალადობის, კერძოდ სექსუალური ძალადობის მსხვერპლებისთვის სრული მკურნალობის, ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის და ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის ხელმისაწვდომობა;
- (ვ) შეიმუშაონ და გაავრცელონ სტანდარტული ოპერაციული პროცედურები და რეფერალური გზები, რათა დააკავშირონ უსაფრთხოების აქტიორები მომსახურების პროვაიდერებს გენდერულ ძალადობასთან დაკავშირებით, მათ შორის შესაბამის სამსახურს, რომელიც სთავაზობს სამედიცინო, იურიდიულ და ფსიქოლოგიურ მომსახურებას მათ, ვინც გადაურჩა სექსუალურ ძალადობას, მრავალმიზნობრივ საზოგადოებრივ ცენტრებს, რომელიც აკავშირებს დაუყოვნებლივ დახმარებას ეკონომიკური და სოციალური უფლებების გაძლიერებასა და რეინტეგრაციასთან და მობილურ კლინიკებთან;
- (ზ) განახორციელონ ინვესტიცია ტექნიკურ ექსპერტიზაში და გამოყონ რესურსები იმ ქალებისა და გოგოების განსხვავებული საჭიროებების გასათვალისწინებლად, რომლებიც წარმოადგენენ ძალადობის სამიზნეებს, მათ შორის იმყოფებიან რისკის ქვეშ, რომელიც გულისხმობს სექსუალური ძალადობის ზემოქმედებას მათ რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე;
- (თ) უზრუნველყონ, რომ ეროვნული პრევენცია და რეაგირების ღონისძიებები მოიცავდეს კონკ-

რეტულ ინტერვენციებს გენდერულ ძალადობასთან და აივ-ინფექციასთან დაკავშირებით.

2. ტრეფიკინგი (მე-6 მუხლი)

39. ქალებისა და გოგოების ტრეფიკინგი, რომელიც წარმოადგენს გენდერულ დისკრიმინაციას, მწვავედება კონფლიქტის დროს და მის შემდეგ პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სტრუქტურების ნგრევის, ძალადობის მაღალი დონის და გაზრდილი მილიტარიზმის გამო. კონფლიქტმა და პოსტ-კონფლიქტურმა სიტუაციებმა შესაძლოა შექმნას კონკრეტული ომთან დაკავშირებული მოთხოვნის სტრუქტურები ქალთა სექსუალური, ეკონომიკური და სამხედრო ექსპლუატაციისთვის. კონფლიქტის შედეგად დაზარალებული რეგიონები შეიძლება იყოს წარმოშობის, ტრანზიტის და დანიშნულების ადგილები ქალებისა და გოგოების ტრეფიკინგთან დაკავშირებით, ტრეფიკინგის ფორმებით, რომელიც იცვლება რეგიონების მიხედვით, კონკრეტული ეკონომიკური და პოლიტიკური კონტექსტით და მასში ჩართული სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორებით. ტრეფიკინგის რისკის ქვეშ იმყოფებიან განსაკუთრებულად ის ქალები და გოგოები, რომლებიც ცხოვრობენ ან ბრუნდებიან ბანაკებში, რომლებიც მონყოლია იძულებით გადაადგილებული პირებისა და ლტოლვილებისთვის, ასევე მათთვის, ვინც ეძებს საარსებო წყაროს.
40. ტრეფიკინგი ასევე შეიძლება წარმოიქმნას, როდესაც მესამე ქვეყანა ცდილობს შეზღუდოს მიგრანტი ნაკადები გარეთ კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ტერიტორიებზე ისეთი დონისძიებების გატარების მეშვეობით, როგორცაა აკრძალვა, გაძევება ან დაკავება. მიგრაციის შემაკავებელმა, გენდერულმა ან დისკრიმინაციულმა პოლიტიკამ, რომელიც ზღუდავს შესაძლებლობებს ქალებისა და გოგოებისთვის, რომლებიც გარბიან კონფლიქტის ზონებიდან, შეიძლება გააძლიეროს მათი დაუცველობა ექსპლუატაციის და ტრეფიკინგის წინაშე.
41. კომიტეტი რეკომენდაციას აძლევს წევრ სახელმწიფოებს:
- (ა) თავიდან აიცილონ, განახორციელონ სისხლის სამართლებრივი დევნა და დასაჯონ ტრეფიკინგი და მასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებების დარღვევები, რომელიც წარმოიქმნება მათი იურისდიქციის თანახმად, იმის მიუხედავად თუ ვინ ჩაიდინა ის, საჯარო ხელი-სუფლებამ თუ კერძო სუბიექტებმა და მიიღონ

დაცვის კონკრეტული ღონისძიებები ქალებისა და გოგოებისთვის, მათ შორის, იძულებით გადაადგილებული პირებისა ან ლტოლვილებისთვის;

- (ბ) მიიღონ ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა, რომელიც ეფუძნება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებს ტრეფიკინგისა და სექსუალური ექსპლუატაციის და ძალადობის შესახებ, რომელიც შეეხება ისეთ ჯგუფებს, როგორცაა ეროვნული ჯარი, სამშვიდობო ძალები, სასაზღვრო პოლიცია, სამედიცინო სამსახურის თანამშრომლები და ჰუმანიტარული ორგანიზაციები და უზრუნველყონ ამ ჯგუფებისთვის გენდერულად სენსიტიური სწავლება, თუ როგორ განსაზღვრონ და დაიცვან სოციალურად დაუცველი ქალები და გოგოები;
- (გ) შეიმუშაონ სრულყოფილი გენდერულად სენსიტიური და უფლებებზე დაფუძნებული მიგრაციის პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს, რომ კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ტერიტორიებიდან მომავალი ქალები და გოგოები არ აღმოჩნდნენ ტრეფიკინგის რისკის ქვეშ;
- (დ) შეიმუშაონ ორმხრივი თუ რეგიონალური ხელშეკრულებები და სხვა სახის თანამშრომლობა, რათა დაიცვან ტრეფიკინგის მსხვერპლი ქალებისა და გოგოების უფლებები და ხელი შეუწყონ დამნაშავეების სისხლისსამართლებრივ დევნას.

3. მონაწილეობა (მუხლები 7-8)

42. მიუხედავად იმისა, რომ ქალები ხშირად საკუთარ თავზე იღებენ ხელმძღვანელობის როლს კონფლიქტების დროს, როგორც ოჯახის უფროსები, მშვიდობისმყოფელები, პოლიტიკური ლიდერები და მებრძოლები, კომიტეტმა არაერთხელ გამოთქვა შეშფოთება, რომ ადგილი აქვს მათი ხმის გაჩუმებას და მარგინალიზაციას პოსტ კონფლიქტურ და გარდამავალ პერიოდებში და აღდგენის პროცესების დროს. კომიტეტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ქალთა კრიტიკული მასის ჩართვას საერთაშორისო მოლაპარაკებებში, სამშვიდობო საქმიანობასა და ყველა დონის პრევენციულ დიპლომატიამი, შუამავლობაში, ჰუმანიტარულ დახმარებაში, სოციალურ შერიგებასა და სამშვიდობო მოლაპარაკებებში ეროვნულ, რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე, ისევე როგორც სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში, შეუძლია შეცვალოს რაღაც. ეროვნულ დონეზე, ქალთა თანასწორი, შინაარსიანი და ეფექტური მო-

- ნანილეობა ხელისუფლების სხვადასხვა შტოში, მათი დანიშვნა ხელმძღვანელობით თანამდებობებზე სახელმწიფო სექტორში და მათი შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ, როგორც სამოქალაქო საზოგადოების აქტიურმა წევრებმა წარმოადგენს საზოგადოების შექმნის წინაპირობას ხანგრძლივი დემოკრატიით, მშვიდობით და გენდერული თანასწორობით.
43. კონფლიქტის უშუალოდ შემდგომმა პერიოდმა შესაძლოა მისცეს წევრ სახელმწიფოებს სტრატეგიული შესაძლებლობა იმისა, რომ მიიღონ საკანონმდებლო და პოლიტიკური ზომები ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში და უზრუნველყონ, რომ ქალებს ჰქონდეთ თანაბარი შესაძლებლობები, რათა მონაწილეობა მიიღონ მმართველობის ახალ, პოსტ-კონფლიქტურ სტრუქტურებში. ხშირ შემთხვევაში, თუმცა, გენდერული თანასწორობისა და ქალთა მონაწილეობის პროპაგანდა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში არ მიიჩნევა პრიორიტეტად საომარი მოქმედებების ოფიციალური შეწყვეტის დროს და შესაძლოა გადავიდეს უკანა პლანზე კი, როგორც სტაბილიზაციის მიზნებთან შეუთავსებელი. ქალების სრული მონაწილეობა და ჩართულობა ფორმალურ სამშვიდობო და პოსტ-კონფლიქტურ რეკონსტრუქციასა და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში ხშირად არ ხორციელდება ღრმად გამჭვრადი სტრეგეტიკების გამო, რაც აისახება ტრადიციულად სახელმწიფო და არასახელმწიფო ჯგუფების მამრობითი სქესის ხელმძღვანელობაში, რაც გამოორიცხავს ქალებს გადაწყვეტილების მიღების, ისევე როგორც გენდერული ძალადობის და ქალთა მიმართ სხვა სახის დისკრიმინაციის ყველა ასპექტიდან.
44. წევრი სახელმწიფოების მიერ ვალდებულებების შესრულება, რათა უზრუნველყოფილი იქნას ქალთა თანასწორი წარმომადგენლობა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში (მე-7 მუხლი) და საერთაშორისო დონეზე (მე-8 მუხლი) მოითხოვს ზომების მიღებას, მათ შორის დროებითი სპეციალური ზომების 4 (1) მუხლის თანახმად, რათა განხილული იქნას გენდერული დისკრიმინაციის და უთანასწორობის ეს ფართო კონტექსტი კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ რეგიონებში, კონკრეტული და მრავალი ბარიერების გარდა ქალთა თანასწორი მონაწილეობისთვის, რომლებიც კავშირშია მობილურობასთან, უსაფრთხოებასთან, თანხების მოძიებასთან, აგიტაციასთან და ტექნიკურ ცოდნასთან მიმართებაში დანესებულ კონფლიქტთან დაკავშირებულ დამატებით შეზღუდვებთან.
45. ამ ვალდებულებების შესრულება ეხება განსაკუთრებით წევრ სახელმწიფოებს, რომელთა ტერიტორიაზეც ადგილი ჰქონდა საომარ მოქმედებებს, სხვა წევრი სახელმწიფოების გარდა, რომლებიც ჩართული არიან სამშვიდობო პროცესებში, რომელიც საჭიროა იმისათვის, რომ ქალები წარმოდგენილები იყონ საკუთარ ინსტიტუტებში და ხელი შეუწყონ ადგილობრივი ქალების მონაწილეობას სამშვიდობო პროცესებში. მათი განხორციელება, უშიშროების საბჭოს რეგოლაციასთან 1325 (2000) ერთად ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ, უზრუნველყოფს ქალთა მნიშვნელოვან მონაწილეობას პროცესებში, რომელიც ეხება კონფლიქტების პრევენციას, მართვასა და მოგვარებას.
46. კომიტეტი რეკომენდაციას აძლევს წევრ სახელმწიფოებს:
- (ა) უზრუნველყონ, რომ საკანონმდებლო, აღმასრულებელი, ადმინისტრაციული და სხვა ნორმატიული დოკუმენტები არ ზღუდავდნენ ქალთა მონაწილეობას კონფლიქტების პრევენციის, მართვისა და რეგულირების პროცესებში;
 - (ბ) უზრუნველყონ ქალთა თანასწორი წარმომადგენლობა გადაწყვეტილების მიღების ყველა დონეზე ეროვნულ ინსტიტუტებსა და მექანიზმებში, მათ შორის შეიარაღებულ ძალებში, პოლიციაში, მართლმსაჯულების ინსტიტუტებში და გარდამავალი სამართლიანობის მექანიზმებში (სასამართლო და არა-სასამართლო), რომელიც დაკავშირებულია კონფლიქტის დროს ჩადენილ დანაშაულებთან;
 - (გ) უზრუნველყონ, რომ ქალები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ფოკუსირებული იყონ ქალთა საკითხებზე და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები თანაბრად იყონ ჩართულნი ყველა სამშვიდობო მოლაპარაკებებში და პოსტ-კონფლიქტური აღდგენისა და რეკონსტრუქციის ღონისძიებებში;
 - (დ) ჩაატარონ ლიდერობის ტრენინგი ქალებისთვის, რათა უზრუნველყონ მათი ეფექტური მონაწილეობა პოსტ-კონფლიქტურ პოლიტიკურ პროცესებში.
47. კომიტეტი რეკომენდაციას აძლევს მესამე მხარე წევრი სახელმწიფოებს, რომლებიც მონაწილეობენ კონფლიქტის მოგვარების პროცესში, ინდივიდუალურად ან როგორც საერთაშორისო

და სამთავრობათაშორისო ორგანიზაციებისა და კოალიციების წევრები:

- (ა) ჩართონ ქალები მოლაპარაკების და შუამავლობის საქმიანობაში როგორც დელეგატები, მათ შორის უმაღლეს დონეზე;
- (ბ) უზრუნველყონ ტექნიკური დახმარება კონფლიქტის მოგვარების პროცესებთან დაკავშირებით ქვეყნებისთვის, რომლებიც იწყებენ კონფლიქტიდან გამოსვლას ისე, რომ ხელი შეუწყონ ქალთა ეფექტურ მონაწილეობას.

4. განათლების, დასაქმების და ჯანმრთელობის დაცვის ხელმისაწვდომობა და სოფლად მაცხოვრებელი ქალები (მუხლები 10-12 და 14)

- 48. სახელმწიფო საჯარო და მომსახურების უზრუნველყოფის ინფრასტრუქტურის საერთო ნგრევა არის შეიარაღებული კონფლიქტის ერთ-ერთი უმთავრესი და პირდაპირი შედეგი, რომელიც იწვევს მოსახლეობისთვის არსებითი მომსახურებების მიწოდების ნაკლებობას. ასეთ სიტუაციებში, ქალები და გოგოები იმყოფებიან წინა ხაზზე და მათზე მოდის კონფლიქტის სოციალ-ეკონომიკური ასპექტების მთავარი დარტყმა. კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ტერიტორიებზე, სკოლები იხურება დაუცველობის გამო, ისინი ოკუპირებულია ან განადგურებულია სახელმწიფო და არასახელმწიფო შეიარაღებული ჯგუფების მიერ, რაც ხელს უშლის გოგოებისთვის სკოლის ხელმისაწვდომობას. სხვა ფაქტორები, რომელიც ხელს უშლის გოგოებისთვის განათლების ხელმისაწვდომობას, მოიცავს მიზანმიმართულ თავდასხმებს და მუქარას მათი და მათი პედაგოგების წინააღმდეგ არასახელმწიფო აქტიორების მხრიდან, დამატებითი ზრუნვისა და საოჯახო პასუხისმგებლობის გარდა, რომელთა შესრულებაც მათი ვალდებულებაა.
- 49. გარდა ამისა, ქალები იძულებული არიან ეძებონ ალტერნატიული საარსებო წყაროები, რადგან ოჯახის გადარჩენა დიდ წილად მათზეა დამოკიდებული. მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტების დროს ქალები საკუთარ თავზე იღებენ ისეთ როლს, რომელიც ადრე ეკავათ მამაკაცებს ფორმალური დასაქმების სექტორში, პოსტ-კონფლიქტურ სიტუაციებში არც თუ იშვიათად ქალები კარგავენ ფორმალურ სექტორში სამუშაო ადგილებს და უზრუნველნიან საყოფაცხოვრებო ან არაფორმალურ სექტ-

ორს. პოსტ-კონფლიქტურ სიტუაციებში სამუშაო ადგილების შექმნა არის უმთავრესი პრიორიტეტი მდგრადი პოსტ-კონფლიქტური ეკონომიკის შესაქმნელად; თუმცა, სამუშაო ადგილების შექმნის ინიციატივები ფორმალურ სექტორში, როგორც წესი, უგულებელყოფს ქალებს, რადგან ისინი ფოკუსირებას ახდენენ ეკონომიკურ შესაძლებლობებზე დემობილიზებული მამაკაცებისთვის. აუცილებელია, რომ პოსტ-კონფლიქტური რეკონსტრუქციის პროგრამებმა დააფასონ და მხარი დაუჭირონ ქალთა წვლილს ეკონომიკის არაფორმალურ და პროდუქტიულ სფეროებში, სადაც ხორციელდება ეკონომიკური საქმიანობის მნიშვნელოვანი ნაწილი.

- 50. კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ტერიტორიებზე, აუცილებელი მომსახურებების ხელმისაწვდომობა, როგორცაა ჯანდაცვა, მათ შორის სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანდაცვის მომსახურება, დანგრეულია არასათანადო ინფრასტრუქტურის და პროფესიული სამედიცინო დახმარების მუშაკების, ძირითადი მედიკამენტების და ჯანდაცვის წყაროების არარსებობის გამო. აქედან გამომდინარე, ქალები და გოგოები იმყოფებიან დაუგეგმავი ორსულობის, მძიმე სექსუალური და რეპროდუქციული დაზიანებების და სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების უფრო დიდი რისკის ქვეშ აივ-ინფექციის და შიდსის ჩათვლით, კონფლიქტთან დაკავშირებული სექსუალური ძალადობის შედეგად. ჯანდაცვის მომსახურების დარღვევა ან განადგურება ქალთა მობილურობასა და გადაადგილების თავისუფლებაზე დაწესებულ შეზღუდვებთან ერთად, უფრო მეტად ძირს უთხრის ქალებისთვის ჯანდაცვის მომსახურების თანაბარ ხელმისაწვდომობას, რაც გარანტირებულია მე-12 (1) მუხლის თანახმად. უფლებათა დისბალანსის და საზიანო გენდერული ნორმების გამო გოგოები და ქალები არაპროპორციულად უფრო დაუცველნი არიან აივ-ინფექციის წინაშე და ეს ფაქტორები კიდევ უფრო გამოხატულია კონფლიქტურ და პოსტ-კონფლიქტურ სიტუაციებში. აივ-ინფექციასთან დაკავშირებული სტიგმა და დისკრიმინაცია ასევე ფართოდ გავრცელებულია და მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს აივ-ინფექციის პრევენციის, მკურნალობის, ზრუნვისა და მხარდაჭერის თვალსაზრისით, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც კომბინირებულია გენდერულ ძალადობასთან ასოცირებულ სტიგმასთან.

51. სოფლად მცხოვრებ ქალებზე ხშირად უკუპროპორციულ ზემოქმედებას ახდენს სათანადო ჯანმრთელობისა და სოციალური მომსახურების არარსებობა და მიწისა და ბუნებრივი რესურსების არათანაბარი ხელმისაწვდომობა. ასევე, მათი ვითარება კონფლიქტურ სიტუაციებში წარმოადგენს განსაკუთრებულ სირთულეებს მათ დასაქმებასთან და რეინტეგრაციასთან დაკავშირებით იმის გამო, რომ ის ხშირად მწვავდება მომსახურებების ნგრევის გამო, რაც იწვევს საკვების დაუცველობას, არასაკმარის თავშესაფარს, ქონების ჩამორთმევას და წყლის ხელმიუწვდომლობას. ქვრივები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალები, ხანდაზმული ქალები, მარტოხელა ქალები ოჯახის მხარდაჭერის გარეშე და ოჯახები ქალების მეთაურობით, განსაკუთრებით დაუცველნი არიან გაზრდილი ეკონომიკური გაჭირვების წინაშე მათი დაუცველი სიტუაციის და ხშირად კი დასაქმების და ეკონომიკური გადარჩენის საშუალებების და შესაძლებლობების არარსებობის გამო.

52. კომიტეტი რეკომენდაციას აძლევს წევრ სახელმწიფოებს:

(ა) შეიმუშაონ პროგრამები კონფლიქტის შედეგად დაზარალებული გოგოებისთვის, რომლებიც ადრე ტოვებენ სკოლას, რათა მათ შეძლონ სკოლებში ან უნივერსიტეტებში რეინტეგრაცია, რაც შეიძლება მალე; ჩაერთონ სკოლის ინფრასტრუქტურის დაუყოვნებელ სარემონტო და სარეკონსტრუქციო პროცესებში; მიიღონ ზომები, რათა თავიდან აიცილონ გოგოების და მათი პედაგოგების მიმართ თავდასხმები და მუქარა; და უზრუნველყონ ძალადობის ასეთ ქმედებებში დამნაშავეების დაუყოვნებლივ გამოძიება, სისხლისსამართლებრივი დევნა და დასჯა;

(ბ) უზრუნველყონ, რომ ეკონომიკის აღდგენის სტრატეგიებმა ხელი შეუწყონ გენდერულ თანასწორობას, როგორც მდგრადი პოსტ-კონფლიქტური ეკონომიკის აუცილებელ წინაპირობას და მათ სამიზნეს წარმოადგენდნენ ისევე როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური დასაქმების სექტორში მომუშავე ქალები; შეიმუშაონ კონკრეტული ინტერვენციები ქალთა ეკონომიკური გაძლიერების შესაძლებლობების ეფექტურად გამოსაყენებლად, კერძოდ, სოფლად მცხოვრები ქალებისთვის და ქალების სხვა დაუცველი ჯგუფებისთვის; უზრუნველყონ, რომ ქალები ჩართული იყონ ამ სტრატეგიების და პროგრამების შემუშავების და მათი მონიტორინგის პროცესში; და ეფექტურად გადალ-

ახონ ყველა ბარიერი ამ პროგრამებში ქალთა სამართლიან მონაწილეობასთან დაკავშირებით; (გ) უზრუნველყონ, რომ სექსუალური და რეპროდუქციული ჯანდაცვა მოიცავდეს სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას; ფსიქო-სოციალურ დახმარებას; ოჯახის დაგეგმვის მომსახურებას, მათ შორის გადაუდებელ კონტრაცეფციას; დედათა ჯანმრთელობის მომსახურებას, მათ შორის ანტენატალურ მზრუნველობას, კვალიფიციურულ სამშობიარო მომსახურებას, ვერტიკალური გადაცემის პროფილაქტიკას და გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას; უსაფრთხო აბორტის მომსახურებას; აბორტის შემდგომ ზრუნვას; აივინფექციის და შიდსის და სქესობრივი გზით გადამდები სხვა ინფექციების პრევენციასა და მკურნალობას, მათ შორის ექსპოზიციის შემდგომ პროფილაქტიკას; და ტრავმების მკურნალობაზე ზრუნვას, როგორცაა ფისტულა, რომელიც წარმოიქმნება სექსუალური ძალადობის შედეგად, სამშობიარო გართულებები ან სხვა რეპროდუქციული ჯანმრთელობის გართულებები, სხვათა შორის;

(დ) უზრუნველყონ, რომ ქალებისთვის და გოგოებისთვის, მათ შორის მათთვის, ვინც შეიძლება იყოს განსაკუთრებით დაუცველი აივინფექციის წინაშე, ხელმისაწვდომი იყოს საბაზისო სამედიცინო მომსახურება და ინფორმაცია, მათ შორის აივინფექციის პრევენცია, მკურნალობა, მზრუნველობა და მხარდაჭერა;

(ე) კოორდინირება გაუწიონ ყველა საქმიანობას ჰუმანიტარული და განვითარების სფეროების წარმომადგენელ დაინტერესებულ მხარეებთან, რათა უზრუნველყონ ყოვლისმომცველი მიდგომა, რომელიც არ იმეორებს ძალისხმევას განათლების, დასაქმების და ჯანმრთელობის სფეროში და აღწევს დაუცველ მოსახლეობამდე, მათ შორის დაშორებულ ადგილებში და სოფლად.

5. გადაადგილება, ლტოლვილები და თავშესაფრის მაძიებლები (მუხლები 1-3 და 15)

53. კომიტეტმა ადრე აღნიშნა, რომ კონვენცია ვრცელდება გადაადგილების ციკლის ყოველ ეტაპზე და რომ იძულებით გადაადგილების და მოქალაქეობის არქონის სიტუაციები ხშირად განსხვავებულ ზემოქმედებას ახდენს ქალებზე, ვიდრე მამაკაცებზე და მოიცავს გენდერულ დისკრიმინაციას და ძალადობას. შიდა და გა-

რე გადაადგილებას აქვს სპეციფიკური გენდერული ასპექტები, რომლებიც წარმოიქმნება გადაადგილების ციკლის ყველა ეტაპზე; ფრენის, დასახლების და დაბრუნების დროს კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ტერიტორიებზე, ქალები და გოგოები განსაკუთრებით დაუცველნი არიან იძულებითი გადაადგილების წინაშე. გარდა ამისა, ისინი ხშირად იმყოფებიან ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევების რისკის ქვეშ ფრენის დროს და გადაადგილების ფაზაში, ისევე, როგორც ბანაკის შიგნით და გარეთ, ასევე სექსუალურ ძალადობასთან, ტრეფიკინგთან და შეიარაღებულ ძალებში და მემბოხე ჯგუფებში გოგოების დაქირავებასთან დაკავშირებული რისკების ქვეშ.

54. იძულებით გადაადგილებული ქალები ცხოვრობენ გაურკვეველ პირობებში კონფლიქტურ და პოსტ-კონფლიქტურ გარემოში მათთვის განათლების, შემოსავლის გენერირების და უნარჩვევების სასწავლო საქმიანობის არათანაბარი ხელმისაწვდომობის; ცუდი რეპროდუქციული ჯანდაცვის გამო; ასევე იმის გამო, რომ ისინი გამოირიცხეს გადაწყვეტილების მიღების პროცესიდან, რასაც უფრო მეტად ამწვავებს ის ფაქტი, რომ მმართველობით სტრუქტურებში დომინირებენ მამაკაცები; ცუდი განლაგების და ინფრასტრუქტურის გამო ისევე როგორც ბანაკში, ასევე მის გარეთ. მძიმე სიღარიბისა და უთანასწორობის ასეთმა მდგომარეობამ შეიძლება გამოიწვიოს მათი მხრიდან სექსუალური მომსახურებების გაცვლა ფულის, თავშესაფრის, საკვების და სხვა საქონელის სანაცვლოდ ისეთ გარემოებებში, რომელიც განაპირობებს მათ დაუცველობას ექსპლუატაციის, ძალადობის და აივ-ინფექციის და სხვა სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების წინაშე.

55. ლტოლვილ ქალებს აქვთ კაცებისაგან განსხვავებული და დამატებითი საჭიროებები თავიანთი, როგორც ლტოლვილების გამოცდილების შედეგად. დევნილი ქალები იძულებით გადაადგილებული ქალების მსგავსად ეჭახებიან დაცვასა და დახმარებასთან დაკავშირებულ პრობლემებს და შესაბამისად შესაძლოა ისარგებლონ მსგავსი გენდერული ინტერვენციებით მათი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. კომიტეტი აღიარებს ამ ჯგუფების მრავალფეროვნებას, განსაკუთრებულ სირთულეებს, რომელიც მათ შესაძლოა შეექმნათ და მათი შიდა და გარე გადაადგილების კონტექსტის სამართლებრივ, სოციალურ და სხვა შედეგებს, საერთაშორისო დახმა-

რებასთან დაკავშირებულ ხარვეზებს და მათ საჭიროებებზე ორიენტირებული რეაგირების საჭიროებას.

56. გრძელვადიანი გადაწყვეტილებების ძიება კონფლიქტთან დაკავშირებული გადაადგილების შემდეგ ხშირად გამოირიცხავს გადაადგილებულ ქალთა პერსპექტივას, ან იმიტომ, რომ ისინი ეყრდნობა ოჯახის წევრის ან საზოგადოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, სადაც ქალთა ხმა მარგინალიზებულია, ან იმიტომ, რომ გრძელვადიანი გადაწყვეტილებები განისაზღვრება, როგორც პოსტ-კონფლიქტური პროცესების ნაწილი, რომელიც გამოირიცხავს ქალებს. გარდა ამისა, კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ტერიტორიებიდან თავშესაფრის მაძიებელ ქალებს შესაძლოა შეექმნათ გენდერული ბარიერები თავშესაფართან დაკავშირებით, იმის გათვალისწინებით, რომ მათი აღწერილობითი ნაწილი შეიძლება არ შეესაბამებოდეს დევნის ტრადიციულ ტენდენციებს, რაც ძირითადად ფორმულირებული იქნა მამაკაცების თვალსაზრისით.

57. კომიტეტი რეკომენდაციას აძლევს წევრ სახელმწიფოებს:

(ა) მიიღონ პრევენციული ზომები, რომელიც აუცილებელია, რათა უზრუნველყოფილი იქნას იძულებით გადაადგილებულთა დაცვა გარდა იმისა, რომ დაცული იქნას გადაადგილებულ ქალთა და გოგოთა უფლებები, მათ შორის ძირითადი მომსახურებების ხელმისაწვდომობა ფრენის, გადაადგილების დროს და გრძელვადიანი გადაწყვეტილებების კონტექსტში;

(ბ) გაითვალისწინონ იძულებით გადაადგილებული სხვადასხვა ჯგუფების და ლტოლვილი ქალების კონკრეტული რისკები და საჭიროებები, რომლებიც ექვემდებარებიან დისკრიმინაციის მრავალრიცხოვან და გადამკვეთ ფორმებს, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალების, ხანდაზმული ქალების, გოგოების, ქვრივების, ოჯახის უფროსი ქალების, ორსული ქალების, აივ-ინფექციით/შიდსით დაავადებული ქალების, სოფლად მაცხოვრებელი ქალების, მკვიდრი ქალების, ქალების, რომლებიც ეკუთვნიან ეთნიკურ, ეროვნულ, სექსუალურ და რელიგიურ უმცირესობებს და ქალთა უფლებათა დამცველების;

(გ) ხელი შეუწყონ იძულებით გადაადგილებული და ლტოლვილი ქალების მნიშვნელოვან ჩართვას და მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების ყველა პროცესებში, მათ შორის ყველა ასპექტში, რომელიც ეხება დაგეგმვასა და დახმარების პროგრამების განხორციელებას და

ბანაკის მართვას, გადანყვეტილებებში, რომელიც დაკავშირებულია გრძელვადიანი გადანყვეტილებების და პროცესების არჩევანთან, რომლებიც ეხება პოსტ-კონფლიქტურ პროცესებს;

- (დ) უზრუნველყონ დაცვა და დახმარება იძულებით გადაადგილებული და ლტოლვილი ქალებისა და გოგოებისთვის, მათ შორის მათი დაცვა გენდერული ძალადობისგან, ასევე იძულებითი და ბავშვთა ქორწინებისგან; უზრუნველყონ მათთვის მომსახურების თანაბარი ხელმისაწვდომობა და ჯანდაცვა და სრული მონაწილეობა მარაგის განაწილებაში, ისევე, როგორც დახმარების პროგრამების განვითარებასა და განხორციელებაში, რომელიც ითვალისწინებს მათ კონკრეტულ მოთხოვნებს; უზრუნველყონ დაცვა მკვიდრი, სოფლად მცხოვრები და უმცირესობის წარმომადგენელი ქალების გადაადგილება, რომლებსაც განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვთ მიწის მიმართ; და უზრუნველყონ განათლების და შემოსავლის გენერირების და უნარ-ჩვევების სასწავლო საქმიანობის ხელმისაწვდომობა;
- (ე) მიიღონ პრაქტიკული ზომები გენდერული ძალადობისაგან დასაცავად და პრევენციისთვის, გარდა ანგარიშვალდებულების მექანიზმებისა, გადაადგილების ყველა სიტუაციაში, იქნება ეს ბანაკები, დასახლებები თუ ბანაკის გარეთ სიტუაციები;
- (ვ) გამოიძიონ და განახორციელონ გენდერული დისკრიმინაციის და ძალადობის ყველა შემთხვევის სისხლის სამართლებრივი დევნა, რომელიც წარმოიქმნება კონფლიქტთან დაკავშირებული გადაადგილების ციკლის ყველა ფაზაში.
- (ზ) უზრუნველყონ იძულებით გადაადგილებული და ლტოლვილი ქალებისა და გენდერული ძალადობის, მათ შორის სექსუალური ძალადობის მსხვერპლი გოგოებისთვის თავისუფალი და დაუყოვნებლივ სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა, იურიდიული დახმარება და უსაფრთხო გარემო; უზრუნველყონ მდებარეობითი სქესის ჯანდაცვის პროვაიდერების და მომსახურების ხელმისაწვდომობა, როგორცაა რეპროდუქციული ჯანდაცვა და შესაბამისი კონსულტაციები; და უზრუნველყონ, რომ სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლებამ, რომელიც წარმოდგენილია გადაადგილების კონტექსტში მიიღოს შესაბამისი სწავლება დაცვის პრობლემებთან, ადამიანის უფლებებთან და გადაადგილებულ ქალთა საჭიროებებთან დაკავშირებით;
- (თ) უზრუნველყონ, რომ გადაუდებელი ჰუმანიტარული

დახმარების საჭიროებები და დაცვის მოთხოვნები შევსებული იქნას გრძელვადიანი სტრატეგიებით იძულებით გადაადგილებული და ლტოლვილი ქალების სოციალურ-ეკონომიკური უფლებების და საარსებო შესაძლებლობების, გაუმჯობესებული ლიდერობის და მონაწილეობის მხარდასაჭერად, რათა მისცეს მათ შესაძლებლობა აირჩიონ გრძელვადიანი გადანყვეტილებები, რომელიც აკმაყოფილებს მათ საჭიროებებს;

- (ი) უზრუნველყონ, რომ ყველა სიტუაციაში ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა მასიური ნაკადები, მათ შორის ქალები და გოგოები, ადეკვატურად იქნას განხილული და რომ დაცვისა და დახმარების საჭიროებები არ იქნას შეფერხებული საერთაშორისო სააგენტოების მანდატებთან ან რესურსების შეზღუდულობასთან დაკავშირებით სიცხადის ნაკლებობის გამო.

6. ეროვნება და მოქალაქეობის არქონა (მუხლები 1-3 და 9)

- 58. მომატებული რისკების გარდა, რომელიც ემუქრებათ იძულებით გადაადგილებულ პირებს, ლტოლვილებს და თავშესაფრის მაძიებლებს, კონფლიქტი შეიძლება ასევე იყოს მოქალაქეობის არქონის მიზეზიც და შედეგი, რაც იწვევს ქალებისა და გოგოების განსაკუთრებით დაუცველობას სხვადასხვა ფორმის ძალადობის წინაშე ისევე როგორც საჯარო, ასევე კერძო დომენებში. მოქალაქეობის არქონა შეიძლება წარმოიშვას, როდესაც ქალის გამოცდილება კონფლიქტის თვალსაზრისით იკვეთება დისკრიმინაციასთან მოქალაქეობის უფლებებთან დაკავშირებით, როგორცაა კანონები, რომელიც მოითხოვს ქალებისგან მოქალაქეობის შეცვლას ქორწინებისას ან განქორწინებისას, ან უარყოფს მათ შესაძლებლობას თავიანთი ეროვნების გადაცემასთან დაკავშირებით.
- 59. ქალები შეიძლება დარჩნენ მოქალაქეობის გარეშე, როდესაც ისინი ვერ ამტკიცებენ ეროვნებას, რადგან საჭირო დოკუმენტაცია, როგორცაა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები და დაბადების მოწმობა ან არ გაცემულა ან დაკარგულია ან განადგურებულია კონფლიქტის დროს და ხელახლა არ გაიცემა მათ სახელზე. მოქალაქეობის არქონა შეიძლება ასევე გადაიზარდოს სიტუაციაში, როცა ქალებს არა აქვთ შესაძლებლობა გადასცენ ეროვნება თავიანთ შვილებს გენდერული დი-

სკრიმინაციული მოქალაქეობის კანონების თანახმად.

60. მოქალაქეობის არმქონე ქალები და გოგოები იმყოფებიან სასტიკი მოპყრობის მომატებული რისკის ქვეშ კონფლიქტის დროს, რადგან ისინი არ სარგებლობენ დაცვით, რომელიც გამომდინარეობს მოქალაქეობიდან, მათ შორის საკონსულო დახმარებით, და ასევე იმის გამო, რომ ბევრ მათგანს არ გააჩნია საბუთები ან / და ეკუთვნის ეთნიკურ, რელიგიურ თუ ენობრივ უმცირესობას. მოქალაქეობის არქონა ასევე იწვევს ფართოდ გავრცელებულ უარს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებთან და თავისუფლებებთან დაკავშირებით პოსტკონფლიქტურ პერიოდში. მაგალითად, ქალებს შეიძლება უარი ეთქვათ ჯანდაცვის, დასაქმების და სხვა სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ უფლებებზე, რადგან მთავრობები ზღუდავენ მოქალაქეების მომსახურებას გაზრდილი რესურსების შეზღუდულობის დროს. მოქალაქეობაჩამორთმეული ქალები ასევე ხშირად ირიცხებიან პოლიტიკური პროცესებიდან და ახალ ხელისუფლებაში და თავიანთი ქვეყნის მმართველობაში მონაწილეობიდან, რაც არღვევს კონვენციის მე-7 და მე-8 მუხლს.

61. კომიტეტი რეკომენდაციას აძლევს წევრ სახელმწიფოებს:

(ა) უზრუნველყონ, რომ მოქალაქეობის არქონის აღკვეთის ზომები გავრცელდეს ყველა ქალსა და გოგოზე და შეეხოს მოსახლეობას, რომელიც განსაკუთრებით მგრძობიარეა იმის მიმართ, რომ დარჩეს მოქალაქეობის გარეშე კონფლიქტის შედეგად, როგორცაა მდებარეობითი სქესის იძულებით გადაადგილებული პირები, ლტოლვილები, თავშესაფრის მაძიებლები და ტრეფიკინგის მსხვერპლნი;

(ბ) უზრუნველყონ, რომ მოქალაქეობის არმქონე ქალთა და გოგოთა დაცვის ზომები დარჩეს ძალაში კონფლიქტამდე, მის დროს და შემდეგ;

(გ) უზრუნველყონ თანაბარი უფლებები კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგოებისთვის, რათა მიიღონ საბუთები, რომელიც აუცილებელია მათი კანონიერი უფლებების განსახორციელებლად და უფლებით, რომ ასეთი დოკუმენტაცია გაიცეს მათ სახელზე და უზრუნველყონ დოკუმენტების დროული გაცემა ან შეცვლა დაუსაბუთებელი პირობების დაკისრების გარეშე, როგორცაა იმის მოთხოვნა, რომ გადაადგილებული ქალები და გოგოები დაბრუნდნენ თავიანთ საცხოვრებელ ადგილს, რათა მიიღონ დოკუმენტები;

(დ) უზრუნველყონ იძულებით გადაადგილებულ ქა-

ლთა, ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელ ქალთა და განცალკევებულ და უპატრონო გოგოების ინდივიდუალური დოკუმენტაცია, მათ შორის პოსტ-კონფლიქტური მიგრაციული ნაკადები და უზრუნველყონ ყველა დაბადების, ქორწინების და განქორწინების დროული და თანაბარი რეგისტრაცია.

7. ქორწინება და ოჯახური ურთიერთობები (მუხლები 15-16)

62. უთანასწორობა ქორწინებასა და ოჯახურ ურთიერთობებში გავლენას ახდენს ქალთა გამოცდილებებზე კონფლიქტურ და პოსტ-კონფლიქტურ სიტუაციებში. ასეთ სიტუაციაში, ქალები და გოგოები შეიძლება იძულებით დააქორწინონ, რათა დაამშვიდონ შეიარაღებული ჯგუფები ან იმიტომ, რომ მათი პოსტ-კონფლიქტური სიღარიბე აიძულებს მათ დაქორწინდნენ ფინანსური უსაფრთხოების გამო, რაც გავლენას ახდენს მათ უფლებებზე აირჩიონ მეუღლე და თავისუფლად დაქორწინდნენ, რაც გარანტირებულია მე-16 (1) (ა) და მე-16 (1) (ბ) მუხლის თანახმად. კონფლიქტების დროს, გოგოები განსაკუთრებით იმყოფებიან იძულებითი ქორწინების, მავნე პრაქტიკის რისკის ქვეშ, რომელიც სულ უფრო ხშირად გამოიყენება შეიარაღებული ჯგუფების მიერ. ოჯახი ასევე აიძულებს გოგოებს დაქორწინდნენ სიღარიბის და მცდარი წარმოდგენის გამო, რომ ეს მათ დაიცავს გაუპატიურებისაგან.

63. ქონების თანაბარი ხელმისაწვდომობა, როგორც გარანტირებულია 16 (1) (თ) მუხლის თანახმად, განსაკუთრებით კრიტიკულ პოსტ-კონფლიქტურ სიტუაციებში, იმის გათვალისწინებით, რომ უძრავი ქონება და მიწა გადამწყვეტია აღდგენის ხელშეწყობისთვის, განსაკუთრებით იმ ქალებისთვის, რომლებიც წარმოადგენენ ოჯახებს, სადაც ქალი უძღვება ოჯახს, რომელთა რაოდენობა სავარაუდოდ მოიმატებს კრიზისის დროს ოჯახის განცალკევების და დაქვრივების გამო. ქალებისთვის ქონების შეზღუდული და არათანაბარი ხელმისაწვდომობა განსაკუთრებით საზიანოა პოსტ-კონფლიქტურ სიტუაციებში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც იძულებით გადაადგილებული ქალები, რომლებმაც დაკარგეს ქმრები ან მამრობითი სქესის ახლო ნათესავები ბრუნდებიან საკუთარ სახლებში, რათა აღმოაჩინონ, რომ მათ არ აქვთ თავიანთი მიწის არავითარი საკუთრების უფლება და, შედეგად, საარსებო წყაროს გამომუშავების არავითარი საშუალება.

64. იძულებითი ორსულობა, აბორტი და ქალების სტერილიზაცია კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ტერიტორიებზე არღვევს უამრავ ქალთა უფლებებს, მათ შორის უფლებას მე-16 (1) (ე) მუხლის თანახმად, რათა თავისუფლად და პასუხისმგებლობით იქნას მიღებული გადაწყვეტილება მათი შვილების რაოდენობასთან და შვილებს შორის ინტერვალთან დაკავშირებით.
65. კომიტეტი იმეორებს თავის ზოგად რეკომენდაციას N 21 და 29 და შემდგომ რეკომენდაციას აძლევს წევრ სახელმწიფოებს:
- (ა) თავიდან აიცილონ, გამოიძიონ და დასაჯონ გენდერული დარღვევები, როგორცაა იძულებითი ქორწინება, ორსულობა, აბორტი და ქალთა და გოგოთა სტერილიზაცია კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ტერიტორიებზე;
 - (ბ) მიიღონ გენდერულად სენსიტიური კანონმდებლობა და პოლიტიკა, რომელიც აღიარებს კონკრეტულ ნაკლოვანებებს, რომელსაც ქალები აწყდებიან თავიანთი უფლების მოთხოვნისას შემკვიდრებასთან და თავიანთ მიწასთან დაკავშირებით პოსტ-კონფლიქტურ კონტექსტში, კონფლიქტის გამო მიწასთან დაკავშირებული საქმიანობების დაკარგვის ან განადგურების და სხვა დოკუმენტაციის ჩათვლით.

8. უსაფრთხოების სექტორის რეფორმა და განიარაღება, დემობილიზაცია და რეინტეგრაცია (მუხლები 1-3, 5 (ა) და 7)

66. განიარაღება, დემობილიზაცია და რეინტეგრაცია წარმოადგენს უსაფრთხოების სექტორის რეფორმის უფრო ფართო ნაწილს და უსაფრთხოების პირველ ინიციატივას, რომელიც წარმოიქმნა პოსტ-კონფლიქტურ და გარდამავალ პერიოდში. მიუხედავად ამისა, განიარაღების, დემობილიზაციის და რეინტეგრაციის პროგრამების შემუშავება და განხორციელება იშვიათად ხდება უსაფრთხოების სექტორის რეფორმირების ინიციატივებთან კოორდინირებულად. კოორდინაციის ნაკლებობა ხშირად ძირს უთხრის ქალთა უფლებებს, მაგალითად, როდესაც გაიცემა ამნისტია, რათა ხელი შეუწყოს უსაფრთხოების სექტორის პოზიციებზე ყოფილი მებრძოლების რეინტეგრაციას, რომლებმაც ჩაიღინეს გენდერული დარღვევები. ქალები ასევე ვერ ხვდებიან თანამდებობებზე უსაფრთხოების სექტორის ახლად ჩამოყალიბებულ ინსტიტუტებში უსაფრთხოების სექტორის რეფორმაში

და განიარაღების, დემობილიზაციის და რეინტეგრაციის ინიციატივებში დაგეგმვისა და კოორდინაციის ნაკლებობის გამო. არაადეკვატური დამონშების პროცესები კიდევ უფრო ხელს უშლის უსაფრთხოების სექტორის გენდერულად სენსიტიურ რეფორმას, რომელიც გადამწყვეტ როლს თამაშობს არადისკრიმინაციული, უსაფრთხოების სექტორის გენდერზე ორიენტირებული ინსტიტუტების განვითარებაში, რომლებიც ითვალისწინებენ ქალებისა და გოგოების, მათ შორის, დაუცველი ჯგუფების უსაფრთხოების საჭიროებებს.

67. კონფლიქტის ბოლოს, ქალები აწყდებიან განსაკუთრებულ სირთულეებს, როგორც ყოფილი მეომრები და ქალები და გოგოები, რომლებიც დაკავშირებული არიან შეიარაღებულ ჯგუფებთან, როგორც მაცნეები, მზარეულები, მედიკოსები, აღმზრდელები, იძულებითი მუშა-მოსამსახურეები და ცოლები. განიარაღების, დემობილიზაციის და რეინტეგრაციის პროგრამები, შეიარაღებული ჯგუფების ტრადიციულად მამრობითი სტრუქტურის გათვალისწინებით, ხშირად არ პასუხობს ქალებისა და გოგოების მკაფიო საჭიროებებს, ვერ უწევს კონსულტაციებს მათ და ასევე გამორიცხავს მათ. არც თუ იშვიათად ყოფილი მებრძოლები ქალები გამორიცხული არიან განიარაღების, დემობილიზაციის და რეინტეგრაციის სიებიდან. ასეთი პროგრამები ასევე ვერ აღიარებენ გოგოების სტატუსს, რომლებიც დაკავშირებული არიან შეიარაღებულ ჯგუფებთან და ახასიათებენ მათ, როგორც დაქვემდებარებულს და არა გატაცებულს, ან გამორიცხავენ მათ, ვისაც არ ჰქონდა თვალსაჩინო მებრძოლის როლი. ბევრი მებრძოლი ქალი დაზარადა გენდერული ძალადობის, კერძოდ სექსუალური ძალადობის გამო, რამაც გამოიწვია გაუპატიურების შედეგად ბავშვის დაბადება, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების მაღალი დონე, მათი უარყოფა ან სტიგმატიზაცია ოჯახების მხრიდან და სხვა სახის ტრავმა. განიარაღების, დემობილიზაციის და რეინტეგრაციის პროგრამები ხშირად ვერ ითვალისწინებენ მათ გამოცდილებას და ფსიქოლოგიურ ტრავმას, რაც მათ გამოიარეს. შესაბამისად, ისინი ვერ ახერხებენ ოჯახურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში წარმატებით რეინტეგრაციას.

68. მაშინაც კი, როდესაც ქალები და გოგოები ჩართული არიან განიარაღების, დემობილიზაციის და რეინტეგრაციის პროცესებში, მხარდაჭერა არ არის საკმარისი, გენდერი

სტერეოტიპულია და ზღუდავს მათ ეკონომიკურ გაძლიერებას უნარ-ჩვევების განვითარების უზრუნველყოფის მეშვეობით მხოლოდ ტრადიციულად ქალურ სფეროებში. განიარაღების, დემობილიზაციის და რეინტეგრაციის პროგრამები ასევე ვერ უმკლავდება ფსიქოლოგიურ ტრავმას, რასაც განიცდიან ქალები და გოგოები კონფლიქტურ და პოსტ-კონფლიქტურ სიტუაციებში. ამან, თავის მხრივ შეიძლება გამოიწვიოს უფლებების შემდგომი დარღვევა, იმის გათვალისწინებით, რომ ქალთა სოციალურმა სტიგმამ, იზოლაციამ და ეკონომიკური უფლებების აღკვეთამ შეიძლება აიძულოს ზოგიერთი ქალი დარჩეს ექსპლუატატორულ სიტუაციებში (როგორცაა მათ გამტაცებლებთან ყოფნა) ან აიძულოს მათ მოხვდნენ ახალ სიტუაციაში, თუ მათ უნდა მიმართონ უკანონო საქმიანობას, საკუთარი თავის და მათზე დამოკიდებული პირების უზრუნველსაყოფად.

69. კომიტეტი რეკომენდაციას აძლევს წევრ სახელმწიფოებს:
- (ა) შეიმუშაონ და განახორციელონ განიარაღების, დემობილიზაციის და რეინტეგრაციის პროგრამები კოორდინირებულად და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის ფარგლებში;
 - (ბ) განახორციელონ გენდერულად სენსიტიური და გენდერზე ორიენტირებული უსაფრთხოების სექტორის რეფორმა, რომელიც განაპირობებს უსაფრთხოების სექტორის წარმომადგენელი ინსტიტუტების შექმნას, რომელიც განიხილავს ქალთა სხვადასხვა გამოცდილებებს უსაფრთხოებასთან დაკავშირებით და პრიორიტეტებს; და ითანამშრომლებს ქალებთან და ქალთა ორგანიზაციებთან;
 - (გ) უზრუნველყონ, რომ უსაფრთხოების სექტორის რეფორმა ექვემდებარებოდეს ინკლუზიური ზედამხედველობის და ანგარიშვალდებულების მექანიზმებს სანქციებით, მათ შორის ყოფილი მებრძოლების წინადადებების შესწავლას; დაადგინონ სპეციალიზებული ოქმები და ერთეულები გენდერული დარღვევების გამოსაძიებლად; და გააძლიერონ გენდერული ექსპერტიზა და ქალის როლი უსაფრთხოების სექტორის ზედამხედველობაში;
 - (დ) უზრუნველყონ ქალთა თანასწორი მონაწილეობა განიარაღების, დემობილიზაციის და რეინტეგრაციის ყველა ეტაპზე, დაწყებული სამშვიდობო შეთანხმებებთან დაკავშირებული მოლაპარაკებებიდან და ეროვნული ინსტიტუტების ჩამოყალიბებიდან პროგრამების შემუშავებამდე და განხორციელებამდე.

- (ე) უზრუნველყონ, რომ განიარაღების, დემობილიზაციის და რეინტეგრაციის პროგრამების კონკრეტული სამიზნე იყონ მდებარეობითი სქესის მებრძოლები და ქალები და გოგოები, რომლებიც დაკავშირებული არიან შეიარაღებულ ჯგუფებთან, როგორც ბენეფიციარები და რომ მათი სამართლიანი მონაწილეობის გზაზე არსებული ბარიერები მოიხსნას; და უზრუნველყონ მათთვის ფსიქო-სოციალური და სხვა სახის მხარდაჭერის მომსახურების განწვევა;
- (ვ) უზრუნველყონ, რომ განიარაღების, დემობილიზაციის და რეინტეგრაციის პროცესებმა კონკრეტულად დააკმაყოფილონ ქალთა განსხვავებული საჭიროებები ასაკობრივი და გენდერული განიარაღების, დემობილიზაციის და რეინტეგრაციის მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად, მათ შორის ახალგაზრდა დედების და მათი შვილების კონკრეტული პრობლემების მოგვარება ისე, რომ მათზე არ მოხდეს ზედმეტი ფოკუსირება და ისინი არ აღმოჩნდნენ შემდგომი სტიგმის ზემოქმედების ქვეშ.

9. საკონსტიტუციო და საარჩევნო რეფორმები (მუხლები 1-5 (ა), 7 და 15)

70. პოსტ-კონფლიქტური საარჩევნო სისტემის რეფორმა და კონსტიტუციის მშენებლობის პროცესი წარმოადგენს მნიშვნელოვან შესაძლებლობას, გენდერული თანასწორობის საფუძვლის ჩასაყრელად გარდამავალ პერიოდში და მის ფარგლებს გარეთ. ისევე როგორც პროცესს, ასევე ამ რეფორმების არსს შეუძლია შექმნას ქალთა სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის პრევენტი პოსტკონფლიქტურ პერიოდში, სამართლებრივი ბაზის უზრუნველყოფის გარდა, რომლის მიხედვითაც ქალთა უფლებების დამცველებს შეუძლიათ მოითხოვონ გენდერზე ორიენტირებული სხვა სახის საპასუხო რეფორმა, რომელიც ვითარდება გარდამავალ პერიოდებში. გენდერული პრობლემეტიკის გათვალისწინების მნიშვნელობა პოსტკონფლიქტურ საარჩევნო და საკონსტიტუციო რეფორმაში ასევე ხაზგასმით არის აღნიშნული უშიშროების საბჭოს რეზოლუციაში 1325 (2000).
71. კონსტიტუციის მომზადების პროცესში, ქალების თანაბარი და მნიშვნელოვანი მონაწილეობა არის ფუნდამენტური ქალთა უფლებების კონსტიტუციური გარანტიების ჩასართავად. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ახალმა კონსტიტუციამ გაითვალისწინოს

ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობის პრინციპი და არა-დისკრიმინაციულობა კონვენციის შესაბამისად. იმისათვის, რომ ქალებმა ისარგებლონ საკუთარი უფლებებით და ფუნდამენტური თავისუფლებით მამაკაცებთან თანაბარ საფუძველზე, მნიშვნელოვანია, რომ მათ მიეცეთ თანაბარი დასაწყისი, დროებითი სპეციალური ზომების მიღების საშუალებით, რათა დააჩქარონ დე ფაქტო თანასწორობა.

72. საარჩევნო რეფორმა და კონსტიტუციის შემუშავების პროცესები პოსტ-კონფლიქტურ კონტექსტში წარმოადგენს უნიკალური გამოწვევების ნაკრებს ქალების მონაწილეობის უზრუნველსაყოფად და გენდერული თანასწორობის ხელშესაწყობად, იმის გათვალისწინებით, რომ საარჩევნო სისტემების ნიმუშები ყოველთვის არ არის გენდერული თვალსაზრისით ნეიტრალური. საარჩევნო წესები და პროცედურები, რომელიც განსაზღვრავს, თუ რომელი ინტერესთა ჯგუფებია წარმოდგენილი კონსტიტუციის მშენებლობის ორგანოებში და სხვა საარჩევნო ორგანოებში პოსტ კონფლიქტურ ეპოქაში, მნიშვნელოვანია ქალის როლის უზრუნველსაყოფად საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. გადანყვეტილებები საარჩევნო სისტემების არჩევანთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ გადალახული იქნას ტრადიციული გენდერული კომპენსაცია, რომელიც ძირს უთხრის ქალთა მონაწილეობას. არსებითი პროგრესი ქალთა, როგორც კანდიდატთა და ამომრჩეველთა თანაბარი მონაწილეობისთვის, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარების გარდა, არ იქნება შესაძლებელი, თუ შესაბამისი ზომები არ იქნა მიღებული გენდერზე ორიენტირებული საარჩევნო სისტემის შექმნის და დროებითი სპეციალური ზომების მიღების ჩათვლით, რათა გაიზარდოს ქალთა, როგორც კანდიდატთა მონაწილეობა და უზრუნველყოფილი იქნას სათანადო ამომრჩეველთა რეგისტრაციის სისტემა და რომ ამომრჩეველი ქალები და ქალი პოლიტიკური კანდიდატები არ აღმოჩნდნენ სახელმწიფო ან კერძო აქტიორის მხრიდან ძალადობის წინაშე.

73. კომიტეტი რეკომენდაციას აძლევს წევრ სახელმწიფოებს

(ა) უზრუნველყონ ქალთა თანაბარი მონაწილეობა კონსტიტუციის პროექტის მომზადების პროცესებში და მიიღონ გენდერულად სენსიტიური მექანიზმები საზოგადოების მონაწილეობისთვის და წვლილის შესატანად ასეთ პროცესებში;

(ბ) უზრუნველყონ, რომ საკონსტიტუციო რეფორმა და სხვა საკანონმდებლო რეფორმები მოიცავდეს ქალთა უფლებებს კონვენციის თანახმად და ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აკრძალვას, რომელიც მოიცავს როგორც პირდაპირ, ასევე არაპირდაპირ დისკრიმინაციას საჯარო და კერძო სფეროში, კონვენციის 1-ლი მუხლის შესაბამისად და ასევე მოიცავს დებულებებს, რომელიც კრძალავს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმას;

(გ) უზრუნველყონ, რომ ახალმა კონსტიტუციებმა შემოიღონ დროებითი სპეციალური ზომები, რომელიც გავრცელდება მოქალაქეებზე და მოქალაქეობის არმქონე პირებზე და ასევე უზრუნველყონ, რომ არ მოხდეს ქალთა უფლებების შელახვა საგანგებო მდგომარეობის პირობებში;

(დ) უზრუნველყონ, რომ საარჩევნო რეფორმები ითვალისწინებდეს გენდერული თანასწორობის პრინციპს და ქალთა თანაბარ წარმომადგენლობას დროებითი სპეციალური ზომების მიღების გზით, როგორცაა კვოტები, მათ შორის, ქალთა დაუცველი ჯგუფებისთვის; მიიღონ პროპორციული საარჩევნო სისტემა; დაარეგულირონ პოლიტიკური პარტიები; და ერთმანდატიანი საარჩევნო მართვის ორგანოები შესაბამისობის უზრუნველსაყოფად სანქციების მეშვეობით;

(ე) უზრუნველყონ ქალი ამომრჩევლების რეგისტრაცია და ხმის მიცემა, მგალითად საფოსტო კენჭისყრის საშუალებით, საჭიროების შემთხვევაში, და ყველა ბარიერის მოხსნა, მათ შორის, ადეკვატური და ხელმისაწვდომი საარჩევნო უბნების რაოდენობის უზრუნველყოფა;

(ვ) მიიღონ ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა ყველა ფორმის ძალადობის მიმართ, რომელიც ძირს უთხრის ქალთა მონაწილეობას, მათ შორის, სახელმწიფო და არასახელმწიფო ჯგუფების მხრიდან მიზანმიმართულ ძალადობასთან დაკავშირებით იმ ქალების მიმართ, რომლებიც აწარმოებენ კამპანიას საჯარო თანამდებობების დასაკავებლად ან იყენებენ ხმის მიცემის უფლებას.

10. მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა (მუხლები 1-3, 5 (ა) და 15)

74. როდესაც კონფლიქტი მიდის დასასრულისკენ, საზოგადოების წინაშე დგას წარსულთან ურთიერთობის რთული ამოცანა, რომელიც გულისხმობს იმის აუცილებლობას, რომ აღამ-

იანის უფლებების დამრღვევებმა პასუხი აგონ თავიანთ ქმედებებზე და ბოლო მოეღოს დაუსჯელობას, აღდგეს კანონის უზენაესობა და დაკმაყოფილებული იქნას გადარჩენილთა ყველა საჭიროებები მართლმსაჯულების უზრუნველყოფის მეშვეობით, რასაც თან ახლავს ზიანის ანაზღაურება. მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები განსაკუთრებით მწვავედ და აქტუალური ხდება კონფლიქტურ და პოსტ-კონფლიქტურ სიტუაციებში, რადგან ფორმალური მართლმსაჯულების ფორმალური მართლმსაჯულების სისტემები შესაძლოა აღარ არსებობდეს, ან აღარ ფუნქციონირებდეს ეფექტურობისა და ეფექტიანობის ნებისმიერ დონეზე. არსებული მართლმსაჯულების სისტემა ხშირად უფრო სავარაუდოა, რომ არღვევს ქალთა უფლებებს, ვიდრე იცავს, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს მსხვერპლს სამართალის ძიებაში. ყველა ბარიერი, რომელსაც აწყდებიან ქალები მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით ეროვნული სასამართლოების წინაშე კონფლიქტის დაწყებამდე, როგორცაა სამართლებრივი, საპროცესო, ინსტიტუციური, სოციალური და პრაქტიკული ბარიერები ფესვგადგმულ გენდერულ დისკრიმინაციასთან ერთად, მძაფრდება კონფლიქტის დროს, შენარჩუნებულია პოსტ-კონფლიქტურ პერიოდში და მოქმედებს პოლიციის და სასამართლო სტრუქტურების ნგრევასთან ერთად, რათა უარყონ ან ხელი შეუშალონ ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას.

75. კონფლიქტის შემდგომ, გარდამავალი პერიოდის სამართლიანობის მექანიზმები შეიქმნა იმ მიზნით, რომ განიხილონ ადამიანის უფლებათა დარღვევების მემკვიდრეობა და კონფლიქტის ძირეული მიზეზები, რაც ხელს შეუწყობს კონფლიქტიდან დემოკრატიულ მმართველობაზე გადასვლას, სახელმწიფო მანქანისინსტიტუციონალიზაციას, რომლის მიზანია დაიცვას და ხელი შეუწყოს ადამიანის ძირითადი უფლებების და თავისუფლებების დანინაურებას, უზრუნველყოს სამართლიანობა და ანგარიშვალდებულება ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარული სამართალის ნებისმიერი დარღვევის შემთხვევაში და გამორიცხოს მისი განმეორება. ამ სხვადასხვა ამოცანების მისაღწევად, დროებითი სასამართლო და / ან არა-სასამართლო მექანიზმები, მათ შორის სიმართლის კომისიები და ჰიბრიდული სასამართლოები, ხშირად შექმნილია დისფუნქციური ეროვნული სამართლებრივი სისტემების შესა-

ცვლელად ან შესავსებად.

76. ყველაზე აღმამფოთებელი და გავრცელებული დარღვევები, რომელიც ხდება კონფლიქტის დროს, ხშირად დაუსჯელი რჩება გარდამავალი მართლმსაჯულების მექანიზმების მიერ და მათი ნორმალიზება ხერხდება პოსტ-კონფლიქტურ გარემოში. მართლმსაჯულების შიდა სისტემების გასაძლიერებლად და/ან შესავსებად განეული ძალისხმევის მიუხედავად, გარდამავალი მართლმსაჯულების მექანიზმები წარუმატებელია და დარჩება წარუმატებლად ქალებისთვის არასათანადოდ უზრუნველყოფილი მართლმსაჯულების და ზიანის ანაზღაურების გამო ყველა განცდილი ზიანისთვის, რითაც განმტკიცდება დამნაშავეების დაუსჯელობა ქალთა უფლებების დარღვევებისთვის. გარდამავალი მართლმსაჯულების მექანიზმებმა სრულად ვერ შეძლო კონფლიქტით გამონვეული გენდერული გემოქმედების და კონფლიქტის დროს წარმოქმნილი ადამიანის უფლებათა დარღვევების ურთიერთდამოკიდებულების და ურთიერთკავშირის გათვალისწინება. ქალების უმეტესობისთვის, პოსტ-კონფლიქტური მართლმსაჯულების პრიორიტეტები არ უნდა შეიზღუდოს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების დარღვევების დასრულებით, არამედ უნდა მოიცავდეს ნებისმიერი უფლების დარღვევას, მათ შორის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების.

77. ნევრი სახელმწიფოების ვალდებულებები კონვენციის თანახმად მოითხოვს მათგან ქალთა უფლებების ყველა დარღვევის განხილვას დამატებით ძირითადი სტრუქტურული სქესის და გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის გარდა, რაც წარმოადგენს ასეთი დარღვევების საფუძველს. კონფლიქტის დროს დაზარალებული ქალებისთვის გენდერული დარღვევების გამო კომპენსაციის უზრუნველყოფის გარდა, გარდამავალი მართლმსაჯულების მექანიზმებს აქვს პოტენციური განახორციელონ ტრანსფორმაციული ცვლილება ქალთა ცხოვრებაში. მათი მნიშვნელოვანი როლის გათვალისწინებით ახალი საზოგადოების ჩამოყალიბებაში, ასეთი მექანიზმები წარმოადგენს უნიკალურ შესაძლებლობას ნევრი სახელმწიფოებისთვის, რათა საფუძველი ჩაუყარონ არსებითი გენდერული თანასწორობის მიღწევას სქესის და გენდერული ნიშნით მანამდე უკვე არსებული და სტრუქტურული დისკრიმინაციის აღმოფხვრის საშუალებით, რამაც შეაფერხა ქალების მიერ თავიანთი უფლებების განხორციელება კონვე-

ნციის თანახმად.

78. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ტრიბუნალებმა დიდი წვლილი შეიტანეს გენდერზე ორიენტირებული დანაშაულების აღიარებასა და სისხლისსამართლებრივ დევნაში, მთელი რიგი პრობლემები რჩება ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით და ბევრი პროცედურული, ინსტიტუციური და სოციალური ბარიერი კვლავინდებურად ხელს უშლის მათ მონაწილეობას საერთაშორისო მართლმსაჯულების პროცესებში. წარსულში განხორციელებული ძალადობის მიმართ უსიტყვო თანხმობა აძლიერებს დუმილის კულტურას და სტიგმატიზაციას. შერიგების პროცესები, როგორცაა სიმართლე და შერიგების კომისიები, ხშირად აწვდის გადარჩენილ ქალებს შესაძლებლობას განიხილონ თავიანთი წარსული უსაფრთხო გარემოში და წარმოადგინონ ოფიციალური ისტორიული ჩანაწერები. თუმცა, ისინი არასოდეს არ უნდა იქნას გამოყენებული, როგორც შემცველი გამოძიებისთვის და დამნაშავეთა სისხლისსამართლებრივი დევნისთვის ადამიანის უფლებათა დარღვევების გამო, რომელიც ჩადენილი იქნა ქალებისა და გოგოების მიმართ.
79. კომიტეტი შეახსენებს წევრ სახელმწიფოებს, რომ მათი მოვალეობაა ასევე უზრუნველყონ ქალთა უფლება სამართლებრივ დაცვასთან დაკავშირებით, რომელიც მოიცავს სათანადო და ეფექტურ რეპარაციას უფლებების დარღვევისათვის კონვენციის შესაბამისად. მიყენებული ზიანის გენდერული ასპექტის შეფასება აუცილებელია, რათა უზრუნველყოფილი იქნას ქალებისთვის ეფექტური და სწრაფი რეპარაცია კონფლიქტის დროს მათ მიმართ ჩადენილი დარღვევებისთვის, მიუხედავად იმისა, თუ ვისი დაკვეთით ხდება სამართლებრივი დაცვა, ეროვნული თუ საერთაშორისო სასამართლოების თუ ადმინისტრაციული რეპარაციის პროგრამების მიერ. იმის ნაცვლად, რომ აღსდგეს ადრე არსებული სიტუაცია ქალთა უფლებების დარღვევებთან დაკავშირებით, რეპარაციის ზომები უნდა შეეცადოს გარდაქმნას სტრუქტურული უთანასწორობა, რომელიც იწვევს ქალთა უფლებების დარღვევებს, მოახდინოს რეაგირება ქალთა კონკრეტულ საჭიროებებზე და არ დაუშვას მათი განმეორება.
80. ბევრ ქვეყანაში, სადაც ადგილი ჰქონდა კონფლიქტს, არსებული არაფორმალური მართლმსაჯულების მექანიზმები წარმოადგენს მართლმსაჯულების ერთადერთ ფორმას,

რომელიც ხელმისაწვდომია ქალებისთვის და შეიძლება იყოს ღირებული ინსტრუმენტი კონფლიქტის შემდგომ პერიოდში. იმის გათვალისწინებით, რომ ამ მექანიზმების პროცესებმა და გადაწყვეტილებებმა შეიძლება მოახდინოს ქალთა დისკრიმინაცია, მით უფრო მნიშვნელოვანია გულდასმით იქნას განხილული მათი როლი ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით, როგორცაა დარღვევების ტიპის განსაზღვრა, რომელსაც ისინი განიხილავენ და მათი გადაწყვეტილებების გასაჩივრების შესაძლებლობა ფორმალური მართლმსაჯულების სისტემაში.

81. კომიტეტი რეკომენდაციას აძლევს წევრ სახელმწიფოებს:
- (ა) უზრუნველყონ ყოვლისმომცველი მიდგომა გარდამავალი მართლმსაჯულების მექანიზმების მიმართ, რომელიც აერთიანებს როგორც სასამართლო, ისე არა-სასამართლო მექანიზმებს, მათ შორის სიმართლის კომისიებს და რეპარაციებს, რომელიც არის გენდერულად სენსიტიური და ხელს უწყობს ქალთა უფლებებს;
 - (ბ) დარწმუნდნენ, რომ გარდამავალი მართლმსაჯულების მექანიზმების არსებითი ასპექტები უზრუნველყოფს ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას და ავალდებულებს სხვადასხვა ორგანოებს განიხილონ ყველა გენდერული დარღვევა, უარს ამბობს ამნისტიკაზე გენდერულ დარღვევებთან დაკავშირებით და უზრუნველყოფს გარდამავალი მართლმსაჯულების მექანიზმების მიერ გაცემულ რეკომენდაციებთან ან/და გადაწყვეტილებებთან შესაბამისობას;
 - (გ) დარწმუნდნენ, რომ შერიგების პროცესის მხარდაჭერა არ იწვევს საყოველთაო ამნისტიას ადამიანის უფლებათა ნებისმიერი დარღვევისთვის, განსაკუთრებით ქალებისა და გოგოების მიმართ სექსუალური ძალადობის შემთხვევაში და რომ ასეთი პროცესები აძლიერებს ძალისხმევას ასეთი დანაშაულების ჩადენის გამო დაუსჯელობის წინააღმდეგ საბრძოლველად;
 - (დ) უზრუნველყონ, რომ აიკრძალოს ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაცია კანონის უზენაესობის აღდგენისას სამართლებრივი რეფორმის დროს, დაწესდეს სისხლისსამართლებრივი, სამოქალაქო და დისციპლინური საწყისები საჭიროების შემთხვევაში და მოიცვას კონკრეტული ღონისძიებები, რომელიც მიზნად ისახავს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ნებისმიერი აქტისაგან დაცვას;

- (ე) დარწმუნდით, რომ ქალები ჩართული არიან გარდამავალი მართლმსაჯულების მექანიზმების შემუშავებაში, ფუნქციონირებასა და მონიტორინგში ყველა დონეზე, რათა უზრუნველყონ კონფლიქტთან დაკავშირებით მათი გამოცდილების განხილვა, მათი კონკრეტული საჭიროებების და პრიორიტეტების დაკმაყოფილება და მათ მიმართ ჩადენილი ყველა დარღვევის განხილვა და რეპარაციის ყველა პროგრამის შემუშავებაში მათი მონაწილეობა;
- (ვ) მიიღონ შესაბამისი მექანიზმები, რათა ხელი შეუწყონ ქალთა სრულ თანამშრომლობას და ჩართულობას გარდამავალი მართლმსაჯულების მექანიზმებში, მათ შორის, უზრუნველყონ მათი იდენტობის დაცვა საჯარო განხილვების დროს და მათგან ჩვენების აღება ქალი პროფესიონალების მიერ;
- (გ) უზრუნველყონ ეფექტური და დროული საშუალებები, რომელიც რეაგირებას მოახდენს ქალების მიმართ განხორციელებულ სხვადასხვა სახის დარღვევებზე და უზრუნველყონ ადეკვატური და სრულყოფილი რეპარაცია და ყველა გენდერული დარღვევის განხილვა სექსუალური და რეპროდუქციული უფლებების დარღვევების, ოჯახური და სექსუალური დამონების, იძულებითი ქორწინების და იძულებითი გადაადგილების, სექსუალური ძალადობის და ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დარღვევების ჩათვლით;
- (თ) მიიღონ გენდერული პროცედურები, რათა თავიდან აიცილონ განმეორებითი ვიქტიმიზაცია და სტიგმატიზაცია, შექმნან დაცვის სპეციალური ერთეულები და გენდერული დაფები პოლიციის განყოფილებებში, საკუთარ თავზე აიღონ გამოძიებების კონფიდენციალურად და დელიკატურად ჩატარება და უზრუნველყონ, რომ გამოძიების და სასამართლოს დროს, ისეთი წონა ჰქონდეს ქალებისა და გოგოების ჩვენებას, როგორც მამაკაცების;
- (ი) შეებრძოლონ ქალთა უფლებების დარღვევების გამოდაუსჯელობას და უზრუნველყონ ადამიანის უფლებათა ნებისმიერი დარღვევის სათანადოდ გამოძიება, სისხლისსამართლებრივი დევნა და დასჯა დამნაშავეების პასუხისგებაში მიცემის საშუალებით;
- (კ) გააძლიერონ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა, მათ შორის, უზრუნველყონ სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და მთლიანობა, უსაფრთხოების, სამედიცინო და სასამართლო პერსონალის შესაძლებლობების გაძლიერების მეშვეობით, რათა შეაგროვონ და შეინარჩუნონ

ინვოლტკიცება სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებით კონფლიქტურ და პოსტ-კონფლიქტურ კონტექსტში, და გააძლიერონ მართლმსაჯულების სხვა სისტემებთან თანამშრომლობა, მათ შორის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან;

- (ლ) გაზარდონ ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა, მათ შორის სამართლებრივი დახმარების უზრუნველყოფის და სპეციალიზებული სასამართლოების შექმნის საშუალებით, როგორცაა სასამართლოები ოჯახური ძალადობის და ოჯახურ საკითხებთან დაკავშირებით, უზრუნველყონ მობილური სასამართლოები ბანაკებში და დასახლებებში და შორეულ ადგილებში, და ასევე სათანადო დაცვის ღონისძიებების მიღება მსხვერპლებისა და მოწმეებისთვის, მათ შორის ვინაობის არგამუდავება და თავშესაფრების უზრუნველყოფა.
- (მ) იქონიონ უშუალო ურთიერთობა არაფორმალური მართლმსაჯულების მექანიზმებთან და ხელი შეუწყონ შესაბამის რეფორმებს, საჭიროების შემთხვევაში, რათა ეს პროცესები შესაბამებოდეს ადამიანის უფლებების და გენდერული თანასწორობის სტანდარტებს, და უზრუნველყონ, რომ ქალთა მიმართ არ განხორციელდეს დისკრიმინაცია.

დასკვნა

82. ბევრ მოცემულის გარდა, კომიტეტი რეკომენდაციებს აძლევს წევრ სახელმწიფოებს, როგორც ეს ქვემოთ არის განსაზღვრული.

ა. მონიტორინგი და ანგარიშის ჩაბარება

83. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა ჩააბარონ ანგარიში საკანონმდებლო სტრუქტურის, პოლიტიკისა და პროგრამების შესახებ, რომელიც განხორციელდა ქალთა უფლებების უზრუნველსაყოფად კონფლიქტის პრევენციის, კონფლიქტურ და პოსტ-კონფლიქტურ სიტუაციებში. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შეაგროვონ, გააანალიზონ და ხელმისაწვდომი გახადონ სქესის მიხედვით დაყოფილი სტატისტიკა გარდა გრძელვადიანი ტენდენციებისა ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ. წევრი სახელმწიფოების ანგარიშებში განხილული უნდა იყოს ქმედებები, რომელიც განხორციელდა მათი ტერიტორიის შიგნით და გარეთ მათი იურისდიქციის ფარგლებში, გარდა ქმედებებისა, რომელიც მათ განხორციელეს ინდივიდუალურად და როგორც საერთაშო-

რისო და სამთავრობათაშორისო ორგანიზაციებისა და კოალიციების წევრებმა, იმდენად, რამდენადაც ისინი შეეხება ქალებს და კონფლიქტის პრევენციის, კონფლიქტურ და პოსტ-კონფლიქტურ სიტუაციებს.

84. წვერი სახელმწიფოები ვალდებული არიან მიანოდონ ინფორმაცია უშიშროების საბჭოს დღის წესრიგის შესრულებასთან დაკავშირებით ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ, კერძოდ რეზოლუციები 1325 (2000), 1820 (2008), 1888 (2009), 1889 (2009), 1960 (2010), 2106 (2013) და 2122 (2013), კონკრეტული ანგარიშის ჩაბარების ჩათვლით გაერთიანებული ერების ნებისმიერ შეთანხმებულ კრიტერიუმებთან და ინდიკატორებთან შესაბამისობის დაცვასთან დაკავშირებით, რომელიც შემუშავებული იქნა როგორც დღის წესრიგის ნაწილი.
85. კომიტეტი ასევე მიესალმება წარდგინებებს საგარეო ტერიტორიების ადმინისტრირებაში ჩართული გაეროს შესაბამისი მისიებისგან ქალთა უფლებებთან დაკავშირებით არსებული ვითარების შესახებ მათი ადმინისტრირების ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე იმდენად, რამდენადაც ისინი შეეხება კონფლიქტის პრევენციის, კონფლიქტურ და პოსტ-კონფლიქტურ სიტუაციებს.
86. კონვენციის 22-ე მუხლის თანახმად, კომიტეტი იწვევს სპეციალიზებულ სააგენტოებს წარმოადგინონ ანგარიშები კონვენციის განხორციელებასთან დაკავშირებით კონფლიქტის პრევენციის, კონფლიქტურ და პოსტ-კონფლიქტურ სიტუაციებში.

- აღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვასთან დაკავშირებით (1977);
- (დ) კონვენცია ლტოლვილთა სტატუსის შესახებ (1951) და მისი ოქმი (1967);
- (ე) კონვენცია მოქალაქეობის არმქონე პირთა სტატუსთან დაკავშირებით (1954) და კონვენცია მოქალაქეობის არმქონე პირთა შემცირების შესახებ (1961);
- (ვ) ოქმი ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთის და დასჯის შესახებ, განსაკუთრებით ქალებსა და ბავშვებში, რომელიც ავსებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციას ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ (2000);
- (ზ) სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის სტატუტი (1998);
- (თ) იარაღით ვაჭრობის ხელშეკრულება (2013).

ბ. ხელშეკრულების რატიფიკაცია ან მიერთება

87. წვერი სახელმწიფოებს ეძლევათ რეკომენდაცია მოახდინონ ყველა საერთაშორისო ინსტრუმენტის რატიფიცირება ქალთა უფლებების დაცვის შესაბამისად კონფლიქტის პრევენციის, კონფლიქტურ და პოსტ-კონფლიქტურ სიტუაციებში, მათ შორის:
- (ა) კონვენციის ფაკულტატური ოქმი ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ (1999);
- (ბ) კონვენციის ფაკულტატური ოქმი ბავშვთა უფლებების შესახებ შეიარაღებულ კონფლიქტში ბავშვების ჩართულობასთან დაკავშირებით (2000);
- (გ) ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციების დამატებითი ოქმი საერთაშორისო შეიარ-

XII. ერთობლივი დოკუმენტი: ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის ზოგადი რეკომენდაცია N31/ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N18 მავნე პრაქტიკის შესახებ

- I. შესავალი
- II. ერთობლივი ზოგადი რეკომენდაციის/ზოგადი კომენტარის მიზანი და მოქმედების სფერო
- III. ერთობლივი ზოგადი რეკომენდაციის/ზოგადი კომენტარის შემუშავების საჭიროების დასაბუთება
- IV. ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციისა და ბავშვის უფლებათა კონვენციის ნორმატიული შინაარსი
- V. კრიტერიუმები მავნე პრაქტიკის დასადგენად
- VI. მავნე პრაქტიკის მიზეზები, ფორმები და გამოვლინებები
 - ა. ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება
 - ბ. ბავშვის და/ან იძულებითი ქორწინება
 - გ. პოლიგამია
 - დ. ე.წ. ღირსების სახელით ჩადენილი დანაშაულები
- VII. ერთიანი სტრატეგიული ჩარჩო მავნე პრაქტიკის აღმოსაფხვრელად
 - ა. მონაცემთა შეგროვება და მონიტორინგი
 - ბ. კანონმდებლობა და მისი აღსრულება
 - გ. მავნე პრაქტიკის პრევენცია
 - დ. დამცავი ზომები და სენსიტიური სერვისები
- VIII. ერთობლივი ზოგადი რეკომენდაციის/ზოგადი კომენტარის გავრცელება, გამოყენება და ანგარიშგება
- IX. რატიფიცირება, მიერთება და დათქმები

I. შესავალი

1. ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია და ბავშვის უფლებათა კონვენცია ადგენენ სამართლებრივ ვალდებულებებს, რომლებიც ეხება ზოგადად და სპეციალურად მავნე პრაქტიკის აღმოფხვრას. თავიანთი მონიტორინგის მანდატების შესრულებისას ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი და ბავშვის უფლებათა კომიტეტი რეგულარულად ამახვილებენ ყურადღებას პრაქტიკაზე, რომელიც გავლენას ახდენს ქალებსა და ბავშვებზე, უმთავრესად გოგოებზე. სწორედ ამ თანმხვედრი მანდატების გამო, ასევე კომიტეტების საერთო ვალდებულების გამო - თავიდან აიცილონ, რეაგირება მოახდინონ და აღმოფხვრან მავნე პრაქტიკა, სადაც და რა ფორმითაც არ უნდა ხდებოდეს ის, გადანაცვით კომიტეტებმა, შეემუშავებინათ წინამდებარე ერთობლივი ზოგადი რეკომენდაცია/ზოგადი კომენტარი.

II. ერთობლივი ზოგადი რეკომენდაციის/ზოგადი კომენტარის მიზანი და მოქმედების სფერო

2. წინამდებარე ერთობლივი ზოგადი რეკომენდაციის/ზოგადი კომენტარის მიზანია, განმარტოს და დააზუსტოს კონვენციების მონაწილე სახელმწიფოთა ვალდებულება, უზრუნველყოს ავტორიტეტული ხელმძღვანელობა იმ საკანონმდებლო, პოლიტიკისა და სხვა ზომებთან დაკავშირებით, რომლებიც უნდა განხორციელდეს იმისათვის, რომ სახელმწიფოთა მიერ სრულფასოვნად შესრულდეს კონვენციებით დადგენილი მათი ვალდებულება - აღმოფხვრან მავნე პრაქტიკა.
3. კომიტეტები ათვითცნობიერებენ, რომ მავნე პრაქტიკა ზრდასრულ ქალებზე ახდენს უშუალო ზემოქმედებას და/ან ეს ზემოქმედება შედეგია იმ პრაქტიკის გრძელვადიანი ზეგავლენისა, რომელსაც ისინი ბავშვობაში დაექვემდებარნენ. ამიტომ წინამდებარე ერთობლივი ზოგადი რეკომენდაციაში/ზოგადი კომენტარში უფრო დაზუსტებით არის განმარტებული დებულებები ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა ვალდებულებების შესახებ იმ მავნე პრაქტიკის აღმოფხვრასთან დაკავშირებით, რომელიც ლახავს ქალთა უფლებებს.
4. გარდა ამისა, კომიტეტები აღიარებენ, რომ ძალადობის, მავნე პრაქტიკისა და მიკერ-

- ძობული ცრურწმენების მსხვერპლნი ბიჭებიც არიან და რომ მათი დაცვის, გენდერული ნიშნით ძალადობის და მათ მომავალ ცხოვრებაში მიკერძობული ცრურწმენების და გენდერული უთანასწორობის დამკვიდრების თავიდან აცილების მიზნით უნდა მოხდეს მათი უფლებების აღსრულების უზრუნველყოფა. შესაბამისად, ამ დოკუმენტში კომიტეტები მიუთითებენ ბავშვის უფლებათა კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა ვალდებულებებზე, რომლებიც ეხება დისკრიმინაციიდან გამომდინარე მავნე პრაქტიკას, რაც უარყოფით ზეგავლენას ახდენს ბიჭების მიერ საკუთარი უფლებებით სარგებლობაზე.
5. წინამდებარე ერთობლივი ზოგადი რეკომენდაცია/ზოგადი კომენტარი განხილული უნდა იქნეს კომიტეტების მიერ გამოცემულ შესაბამის ზოგად რეკომენდაციებთან და ზოგად კომენტარებთან, კერძოდ, „ქალებზე ძალადობის შესახებ“ ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის №19 ზოგად რეკომენდაციასთან, „ფიზიკური დასჯისგან და დასჯის სხვა სასტიკი თუ ღირსების შემლახველი ფორმებისგან ბავშვთა დაცვის შესახებ“ ბავშვის უფლებათა კომიტეტის №8 ზოგად კომენტართან და „ძალადობის ყველა ფორმისგან ბავშვის თავისუფლების უფლების შესახებ“ ბავშვის უფლებათა კომიტეტის №13 ზოგად კომენტართან, ერთობლიობაში. ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის №14 ზოგადი რეკომენდაცია „ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრების შესახებ“ განახლებულია წინამდებარე ერთობლივი ზოგადი რეკომენდაციით/ზოგადი კომენტარით.

III. ერთობლივი ზოგადი რეკომენდაციის/ზოგადი კომენტარის შექმნის საჭიროების დასაბუთება

6. ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი და ბავშვის უფლებათა კომიტეტი რეგულარულად აღნიშნავენ, რომ მავნე პრაქტიკა ღრმად არის ფესვგადგმული სოციალურ დამოკიდებულებაში, რომლის მიხედვით ქალებს და გოგოებს ეკიდებიან როგორც ნაკლები მნიშვნელობის ადამიანებს ვიდრე მამაკაცებსა და ბიჭებს, რასაც საფუძვლად სტერეოტიპული როლები უდევს. კომიტეტები ასევე აღნიშნავენ ძალადობის გენდერულ ასპექტს და მიუთითებენ, რომ სქესზე და გენდერზე დაფუძნებული დამოკიდებულებები და სტერეოტიპები, ძალაუფლე-

ბის დისბალანსი, უთანასწორობა და დისკრიმინაცია ხელს უწყობს იმ პრაქტიკის კიდევ უფრო მეტად დამკვიდრებას, რომელიც ხშირად მოიცავს ადამიანებზე ძალადობას ან მათ იძულებას. კომიტეტები ასევე შეშფოთებულები არიან, რომ აღნიშნული სხვადასხვა პრაქტიკა გამოიყენება გენდერული ნიშნით ძალადობის, როგორც ოჯახში თუ თემში, სკოლაში თუ სხვა საგანმანათლებლო ადგილებსა თუ დაწესებულებებში და ფართო საზოგადოებაში ქალებისა¹ და ბავშვების „დაცვის“ ან „გაკონტროლების“ ფორმის, გასამართლებლად. გარდა ამისა, კომიტეტები მონაწილე სახელმწიფოთა ყურადღებას ამახვილებენ იმ ფაქტზე, რომ სქესის ან გენდერის ნიშნით დისკრიმინაცია იკვეთება სხვა ფაქტორებთან, რომლებიც ზემოქმედებას ახდენს ქალებზე² და გოგოებზე, კერძოდ, მათზე, ვინც განეკუთვნება ან აღქმულია, რომ განეკუთვნება მძიმე მდგომარეობაში მყოფ ჯგუფებს და ამიტომ უფრო დიდი რისკის წინაშე დგას, რომ დაექვემდებაროს მავნე პრაქტიკას.

7. შესაბამისად, მავნე პრაქტიკას საფუძვლად უდევს სქესის, გენდერისა და ასაკის ნიშნით (სხვა საფუძვლებთან ერთად) დისკრიმინაცია და მას ხშირად ამართლებენ, გარდა ქალებისა და ბავშვების ზოგიერთ მძიმე მდგომარეობაში მყოფ ჯგუფთან დაკავშირებული მცდარი შეხედულებებისა, სოციალურ-კულტურული და რელიგიური ადათ-წესებითა და ფასეულობებით. ზოგადად მავნე პრაქტიკა ხშირად არის ხოლმე დაკავშირებული ქალებისა და ბავშვების მიმართ ძალადობის სერიოზულ ფორმებთან ან თავად წარმოადგენს ძალადობის ფორმას. თუმცა ამგვარი პრაქტიკის ხასიათი და გავრცელება განსხვავებულია სხვადასხვა რეგიონსა და სხვადასხვა კულტურის ფარგლებში, ყველაზე გავრცელებული და დოკუმენტურად დადასტურებული ფორმებია ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება, ბავშვის და/ან იძულებითი ქორწინება, პოლიგამია, ე.წ. ღირსების სახელით ჩადენილი დანაშაულები

1 ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის ზოგადი რეკომენდაცია №19, პუნქტი 11; ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №9 „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა უფლებების შესახებ“, პუნქტები 8, 10 და 79, და ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №15 „ბავშვის უფლების შესახებ, ისარგებლოს ჯანდაცვის უმაღლესი შესაძლებელი სტანდარტებით“, პუნქტები 8 და 9.

2 ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის ზოგადი რეკომენდაცია №28 კონვენციის მე-2 მუხლის საფუძველზე მონაწილე სახელმწიფოების ძირითადი ვალდებულებების შესახებ, პუნქტი 18.

და მზითვეთან დაკავშირებული ძალადობა. ვინაიდან მავნე პრაქტიკის აღნიშნული ფორმების საკითხი ხშირად დაუყენებიათ ორივე კომიტეტის წინაშე, ზოგ შემთხვევაში კი მათი გავრცელება თვალსაჩინოდ შემცირებულა საკანონმდებლო და პროგრამული მიდგომების წყალობით, ამ დოკუმენტში ისინი ძირითადი საილუსტრაციო მაგალითების სახით არის განხილული.

8. მავნე პრაქტიკას ქვეყნების უმეტესობაში ძალზე განსხვავებულ თემებში ენდემური ხასიათი აქვს. ამ პრაქტიკის ზოგიერთი ფორმა გვხვდება ხოლმე ისეთ რეგიონებსა თუ ქვეყნებში, სადაც ადრე არ ყოფილა დოკუმენტურად დადასტურებული, ძირითადად მიგრაციის მიზეზით, ხოლო სხვა ქვეყნებში, რომლებშიც ამგვარი მავნე პრაქტიკა აღმოიფხვრა, ის ახლა თავიდან იჩენს თავს ისეთი ფაქტორების გამო, როგორც კონფლიქტის სიტუაცია.

9. ბევრი სხვა პრაქტიკა, რომელიც მავნე პრაქტიკად განისაზღვრა, მჭიდროდ არის დაკავშირებული და თავად განამტკიცებს სოციალურად კონსტრუირებულ გენდერულ როლებსა და ძალაუფლების პატრიარქალურ სისტემებს და ზოგჯერ ასახავს ქალებისა და ბავშვების მძიმე მდგომარეობაში მყოფ გარკვეულ ჯგუფებთან, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების ან ალბინიზმის მქონე ადამიანებთან დაკავშირებულ ნეგატიურ აღქმას ან დისკრიმინაციულ შეხედულებებს. მავნე პრაქტიკა მოიცავს, თუმცა არა მხოლოდ, გოგოების უგულებელყოფას (დაკავშირებულია ბიჭებზე პრიორიტეტულ ზრუნვასთან და მოპყრობასთან), უკიდურეს კვებით შეზღუდვებს, მათ შორის ორსულობის დროს (ძალით კვება, ტაბუ საკვებზე), ქალწულობის შემონახვას და დაკავშირებულ პრაქტიკას, დაბმას, ჭრილობების მიყენებას, ტომის ნიშნების ამოტვიფრას/დასმას, ფიზიკურ დასჯას, ქვებით ჩაქოლვას, ინიციაციის ძალადობრივ რიტუალებს, ქვრივობის პრაქტიკას, კუდიანობაში ბრალდებას, ჩვილთა მკვლელობას და ინცესტს.³ მავნე პრაქტიკა ასევე მოიცავს სხეულის სახეცვლილებას გოგოების ან ქალების სილამაზის ან გათხოვების მიზნით (როგორც არის გასუქება, იზოლირება, ტუჩების დისკების გამოყენება და კისრის დაგრძელება

3 იხ. ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის ზოგადი რეკომენდაცია №19, პუნქტი 11, და ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №13, პუნქტი 29.

კისრის რგოლების მეშვეობით)⁴ ან ადრეული ორსულობისგან გოგოების დაცვის ან სექსუალური შევიწროებისა და ძალადობისაგან დაცვის მცდელობისას (როგორც არის მკერდის დაბრტყელება). გარდა ამისა, ბევრ ქალსა და ბავშვს სულ უფრო ხშირად უტარებენ სამედიცინო მკურნალობას და/ან პლასტიკურ ოპერაციას სხეულის სოციალურად აღქმულ ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით და არა სამედიცინო თუ ჯანმრთელობის მიზნებისათვის, ხოლო ბევრს ასევე აიძულებენ, იყოს მოდურად გამხდარი, რასაც გამოუწვევია კვებისა და ჯანმრთელობის მომლილობათა ეპიდემია.

IV. ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციისა და ბავშვის უფლებათა კონვენციის ნორმატიული შინაარსი

10. თუმცა კონვენციების შედგენისას მავნე პრაქტიკის საკითხი ნაკლებად იყო ცნობილი, ორივე კონვენციაში არის დებულებები მავნე პრაქტიკის, როგორც ადამიანის უფლებათა დარღვევის შესახებ და ისინი ავალდებულებს მონაწილე სახელმწიფოებს, გაატარონ ზომები ამგვარი პრაქტიკის თავიდან აცილების და აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად. გარდა ამისა, კომიტეტები სულ უფრო ხშირად ამახვილებენ ყურადღებას ამ საკითხზე მონაწილე სახელმწიფოთა ანგარიშების განხილვისას, მონაწილე სახელმწიფოებთან დიალოგის პროცესში და თავიანთ დასკვნით შენიშვნებში. კომიტეტებს ამ საკითხზე უმსჯელიათ თავიანთ ზოგად რეკომენდაციებსა და ზოგად კომენტარებში.⁵

4 იხ. A/61/299, პუნქტი 46.

5 ამ დროისთვის ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტს მავნე პრაქტიკის საკითხი თავის ცხრა ზოგად რეკომენდაციაში აქვს მოხსენიებული: №3 ზოგად რეკომენდაციაში კონვენციის მე-5 მუხლის განხორციელების შესახებ, №14, 19 და 21 ზოგად რეკომენდაციებში ქორწინებასა და საოჯახო ურთიერთობებში თანასწორობის შესახებ, №24 ზოგად რეკომენდაციაში ქალებისა და ჯანმრთელობის შესახებ, №25 ზოგად რეკომენდაციაში დროებითი სპეციალური ზომების შესახებ, №28 ზოგად რეკომენდაციაში კონვენციის მე-2 მუხლის საფუძველზე მონაწილე სახელმწიფოთა ძირითადი ვალდებულებების შესახებ, №29 ზოგად რეკომენდაციაში ქორწინების ეკონომიკური შედეგების, ოჯახური ურთიერთობებისა და მათი გაუმჯობესების შესახებ და №30 ზოგად რეკომენდაციაში კონფლიქტების პრევენციაში, კონფლიქტის ან კონფლიქტისშემდგომ სიტუაციაში ქალების შესახებ. ბავშვის უფლებათა კომიტეტს თავის №8 და 13 ზოგად კომენტარებში მოყვებული აქვს მავნე პრაქტიკის არასრული ჩამონათვალი.

11. კონვენციების მონაწილე სახელმწიფოები ვალდებული არიან, შეასრულონ ქალებისა და ბავშვების უფლებების პატივისცემის, დაცვისა და განხორციელების საკუთარი ვალდებულებები. მათ ასევე აკისრიათ ვალდებულება, იმოქმედონ სათანადო გულისხმიერებით,⁶ რათა თავიდან აიცილონ ისეთი ქმედებები, რომლებიც ხელს უშლის ქალებისა და ბავშვების უფლებების აღიარებას და მათ მიერ საკუთარი უფლებებით სარგებლობას ან მათ განხორციელებას, და უზრუნველყონ, რომ კერძო მხარეებმა არ მოახდინონ ქალებისა და გოგოების დისკრიმინაცია (ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის საფუძველზე), მათ შორის გენდერული ნიშნით ძალადობა, ან არ ჩაიდინონ ბავშვების მიმართ რაიმე ფორმის ძალადობა (ბავშვის უფლებათა კონვენციის საფუძველზე).

12. კონვენციები ადგენს მონაწილე სახელმწიფოთა ვალდებულებებს, შექმნან მკაფიოდ ჩამოყალიბებული საკანონმდებლო ჩარჩოები ადამიანის უფლებათა დაცვისა და ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად. ამის გასაკეთებლად მნიშვნელოვანი პირველი ნაბიჯია კონვენციების ჩართვა შიდასახელმწიფოებრივ სამართლებრივ ჩარჩოებში. ორივე კომიტეტი ხაზს უსვამს, რომ მავნე პრაქტიკის აღმოფხვრისაკენ მიმართული კანონმდებლობა უნდა მოიცავდეს ბიუჯეტის გამოყოფის, განხორციელების, მონიტორინგისა და აღსრულების ქმედით ზომებს.⁷

13. გარდა ამისა, დაცვის ვალდებულება მონაწილე სახელმწიფოებისგან მოითხოვს იურიდიული სტრუქტურების ჩამოყალიბებას, რათა დროულად, მიუკერძოებლად და დამოუკიდებელი სახით მოხდეს მავნე პრაქ-

6 სათანადო გულისხმიერება გაგებული უნდა იქნეს როგორც კონვენციების მონაწილე სახელმწიფოთა ვალდებულება, თავიდან აიცილონ ძალადობა ან ადამიანის უფლებათა დარღვევები, დაიცვან მსხვერპლები და მონაწილე ძალადობისაგან, გამოიძიონ და დასაჯონ დანაშაულის ჩამდენი პირები, მათ შორის კერძო მხარეები, და უზრუნველყონ ადამიანის უფლებათა დარღვევისთვის ზიანის ანაზღაურების მისაწვდომობა. იხ. ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის ზოგადი რეკომენდაცია № 19, პუნქტი 9; ზოგადი რეკომენდაცია № 28, პუნქტი 13; ზოგადი რეკომენდაცია № 30, პუნქტი 15; კომიტეტის მოსაზრებები და გადაწყვეტილებები ინდივიდუალურ შეტყობინებებსა და გამოძიებებთან დაკავშირებით; და ბავშვის უფლებათა კომიტეტის №13 ზოგადი კომენტარი, პუნქტი 5.

7 ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის ზოგადი რეკომენდაცია №28, პუნქტი 38(ა), კომიტეტის დასკვნითი შენიშვნები და ბავშვის უფლებათა კომიტეტის №13 ზოგადი კომენტარი, პუნქტი 40.

ტიკის შემთხვევათა გამოძიება, რათა არსებობდეს ქმედითი სამართალდამცავი სტრუქტურები და მათთვის, ვინც დაზარალდა ამ მავნე პრაქტიკით, უზრუნველყოფილი იყოს სამართლებრივი დაცვისა და კომპენსაციის ეფექტიანი საშუალებები. კომიტეტები მოუწოდებენ მონაწილე სახელმწიფოებს, რომ მათ კანონმდებლობით მკაფიოდ აკრძალონ მავნე პრაქტიკა და დაანესონ ადეკვატური სანქციები ან მოახდინონ მისი კრიმინალიზაცია, დანაშაულის სიმძიმისა და ამ პრაქტიკით მიყენებული ზიანის შესაბამისად, უზრუნველყონ მსხვერპლთათვის პრევენციის, დაცვის, რეაბილიტაციის, რეინტეგრაციისა და კომპენსაციის საშუალებები და ებრძოლონ მავნე პრაქტიკის ჩამდენთა დაუსჯელობას.

14. თუ გავითვალისწინებთ, რომ მავნე პრაქტიკის აღმოფხვრა განეკუთვნება სახელმწიფოთა ძირითად ვალდებულებებს ორი კონვენციის თანახმად, შესაბამისი მუხლების მიმართ გაკეთებული დათქმები,⁸ რომელთა შედეგია მონაწილე სახელმწიფოთა ვალდებულების - პატივი სცენ, დაიცვან და განახორციელონ ქალებისა და ბავშვების უფლება, იცხოვრონ ისე, რომ არ დაექვემდებარონ მავნე პრაქტიკას - მნიშვნელოვანი შეზღუდვა ან შესუსტება, არ შეესაბამება ორი კონვენციის ამოცანას და მიზანს და დაუშვებელია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის და ბავშვის უფლებათა კონვენციის 51-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.

V. კრიტერიუმები მავნე პრაქტიკის დასადგენად

15. მავნე პრაქტიკა არის სისტემატური პრაქტიკა და ქცევის ფორმები, რომლებსაც საფუძვლად უდევს დისკრიმინაცია, სხვა ნიშნებთან ერთად, სქესის, გენდერისა და ასაკის საფუძველზე, გარდა დისკრიმინაციის მრავალი და/ან ურთიერთგადამკვეთი ფორმებისა, და რომლებიც ხშირად მოიცავს ძალადობას და იწვევს ფიზიკურ და/ან ფსიქოლოგიურ ზიანს ან ტანჯვას. ზიანი, რომელსაც ამგვარი პრაქტიკა აყენებს მსხვერპლებს, აღემატება იმნუთიერ ფიზიკურ და ფსიქიკურ შედეგებს და ხშირად მისი მიზანი ან შედეგია ქალებისა და ბავშვების უფლებებისა და ფუნდამენტური

⁸ ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია, მე-2, მე-5 და მე-16 მუხლები, და ბავშვის უფლებათა კონვენცია, მე-19 მუხლი და 24-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

თავისუფლებების აღიარების, სარგებლობისა და განხორციელების ხელყოფა. ეს ასევე ნეგატიურ გავლენას ახდენს მათ ღირსებაზე, ფიზიკურ, ფსიქოსოციალურ და მორალურ ხელშეუხებლობაზე და განვითარებაზე, მონაწილეობაზე, ჯანმრთელობაზე, განათლებასა და ეკონომიკურ და სოციალურ სტატუსზე. შესაბამისად, ამგვარი პრაქტიკა ასახულია ორივე კომიტეტის საქმიანობაში.

16. წინამდებარე ერთობლივი ზოგადი რეკომენდაციის/ზოგადი კომენტარის მიზნებისათვის, იმისათვის, რომ მავნედ იქნეს მიჩნეული, პრაქტიკა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

(ა) უნდა ლახავდეს ადამიანის ღირსებას და/ან ხელშეუხებლობას და უნდა წარმოადგენდეს ორ კონვენციაში დადგენილი ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების დარღვევას;

(ბ) უნდა წარმოადგენდეს ქალების ან ბავშვების დისკრიმინაციას და იყოს ზიანის მომტანი, იმდენად, რამდენადაც შედეგად მოაქვს ნეგატიური ზემოქმედება მათთვის, როგორც ინდივიდებისთვის ან ჯგუფებისთვის, მათ შორის მოჰქონდეს ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური ზიანი და/ან ძალადობა და ზღუდავდეს მათ შესაძლებლობას, სრულყოფილი მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ან განვითარდნენ და სრულად განავითარონ საკუთარი პოტენციალი;

(გ) უნდა იყოს ტრადიციული, ხელახლა აღმოცენებული ან ახალი პრაქტიკა, რომლებიც დადგენილი და/ან დამკვიდრებულია იმგვარი სოციალური ნორმებით, რომლებიც აწესებს მამაკაცების დომინანტურ პოზიციას და ქალებისა და ბავშვების უთანასწორობას სქესის, გენდერის, ასაკისა და სხვა ურთიერთგადამკვეთი ფაქტორების საფუძველზე;

(დ) უნდა იყოს თავს მოხვეული ქალებისა და ბავშვებზე ოჯახის წევრების, თემის წევრების ან ფართო საზოგადოების მიერ, მიუხედავად იმისა, იძლევა თუ არა მსხვერპლი, ან აქვს თუ არა შესაძლებლობა მისცეს სრული, თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობა.

VI. მავნე პრაქტიკის მიზეზები, ფორმები და გამოვლინებები

17. მავნე პრაქტიკის მიზეზებს მრავალი ასპექტი აქვს. მათ განეკუთვნება სქესზე და გენდერზე დაფუძნებული სტერეოტიპული როლები,

რომელიმე სქესის ნავარაუდები უპირატესი ან არასრულფასოვანი მდგომარეობა, ქალებისა და გოგოების სხეულებსა და სექსუალობაზე კონტროლის განხორციელების მცდელობები, სოციალური უთანასწორობები და მამაკაცების მიერ დომინირებული ძალაუფლებრივი სტრუქტურების ბატონობა. ამგვარი პრაქტიკის ცვლილების მცდელობებმა უნდა აღმოფხვრას ამ ტრადიციული, ხელახლა აღმოცენებული ან ახალი პრაქტიკის საფუძველში მყოფი სისტემური და სტრუქტურული მიზეზები, გააძლიეროს გოგოები და ქალები და ბიჭები და მამაკაცები და მისცეს მათ შესაძლებლობა, თავიანთი წვლილი შეიტანონ იმ ტრადიციული კულტურული დამოკიდებულების ტრანსფორმაციაში, რომელიც ამართლებს მავნე პრაქტიკას, იმოქმედონ როგორც ამგვარი ცვლილების ინიციატორებმა და გააძლიერონ თემების შესაძლებლობა, ხელი შეუწყონ ამგვარ პროცესებს.

18. მიუხედავად მავნე პრაქტიკასთან ბრძოლის მცდელობებისა, იმ ქალებისა და გოგოების რაოდენობა, რომლებზეც ეს პრაქტიკა ახდენს გავლენას, უკიდურესად მაღალია და შესაძლოა იზრდებოდეს კიდევაც, მათ შორის, მაგალითად, კონფლიქტების სიტუაციებში და ტექნოლოგიის განვითარების შედეგად, როგორც არის, მაგალითად, სოციალური მედიის ფართო გამოყენება. მონაწილე სახელმწიფოთა ანგარიშების განხილვისას კომიტეტმა შენიშნა, რომ ხშირად მავნე პრაქტიკას სისტემატურად მისდევენ იმ თემების წევრები, რომლებიც ადრეც მისდევდნენ ამ პრაქტიკას და შემდეგ გადასახლდნენ ახალ ქვეყნებში მიგრაციის შედეგად ან თავშესაფრის მოსაპოვებლად. მავნე პრაქტიკის ხელშემწყობი სოციალური ნორმები და კულტურული შეხედულებები აგრძელებენ არსებობას და ზოგჯერ თემები მათზე განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებენ ახალ გარემოში საკუთარი კულტურული იდენტობის შესანარჩუნებლად, კერძოდ, იმ ახალ ქვეყნებში, სადაც გენდერული როლები ქალებისა და გოგოებს მეტ პირად თავისუფლებას ანიჭებს.

ა. ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება

19. ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება წარმოადგენს ქალის სასქესო ორგანოების გარეთა ნაწილის მთლიანად ან ნაწილობრივ მოჭრას ან ქალის სასქესო ორგანოების სხვა სახით დაზიანებას არასამედიცინო და არა

ჯანმრთელობის მიზნებისათვის. წინამდებარე ერთობლივი ზოგადი რეკომენდაციის/ზოგადი კომენტარის კონტექსტში ამ პრაქტიკას მოვიხსენიებთ როგორც ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრებას. ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება ხდება ყველა რეგიონში, ზოგიერთ კულტურაში წარმოადგენს მოთხოვნას ქორწინებისთვის და მიჩნეულია ქმედით მეთოდად ქალებისა და გოგოების სექსუალობის გასაკონტროლებლად. ამ პრაქტიკას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა იმწუთიერი და/ან გრძელვადიანი შედეგი ჯანმრთელობისათვის, მათ შორის მწვავე ტკივილი, შოკი, ინფექციები და გართულებები მშობიარობისას (რაც ზემოქმედებას ახდენს როგორც დედაზე, ისე ბავშვზე), ხანგრძლივი გინეკოლოგიური პრობლემები, როგორც არის ფისტულა, ფსიქოლოგიური შედეგები და სიკვდილიც კი. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა და გაეროს ბავშვთა ფონდის დაანგარიშებით, მსოფლიოში 100-დან 140 მილიონამდე გოგოს და ქალს განუცდია ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრების რაიმე ფორმა.

ბ. ბავშვის და/ან იძულებითი ქორწინება

20. ბავშვის ქორწინება, რომელსაც ადრეულ ასაკში ქორწინებასაც უწოდებენ, არის ქორწინება, როდესაც სულ მცირე ერთი მხარე 18 წლის ასაკზე უმცროსია. ბავშვის როგორც ოფიციალურ, ისე არაოფიციალურ ქორწინებათა დიდი უმრავლესობა ეხება გოგოებს, თუმცა ზოგჯერ მათი ქმრებიც 18 წელზე უმცროსი ასაკისა არიან. ბავშვის ქორწინება მიჩნეულია იძულებითი ქორწინების ფორმად, თუ ერთ და/ან ორივე მხარეს არ გამოუთქვამს სრული, თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობა. ბავშვის განვითარებადი უნარებისა და მის ცხოვრებაზე ზემოქმედების მქონე გადანყვეტილებების მიღებაში დამოუკიდებლობის პატივისცემაზე დაყრდნობით, გამონაკლის გარემოებებში შესაძლებელია დაშვებული იქნეს 18 წელზე უმცროსი ასაკის მომწიფებული, ქმედუნარიანი ბავშვის ქორწინება, იმ პირობით, რომ ბავშვი 16 წლის მაინც არის, და ასეთ გადანყვეტილებებს იღებს მოსამართლე კანონით განსაზღვრულ ლეგიტიმურ გამონაკლის საფუძველზე და მონიჭებულობის მტკიცებულების გათვალისწინებით, მიუხედავად კულტურის და ტრადიციისა.

21. ზოგიერთ კონტექსტში ბავშვები ძალზე ადრეულ ასაკში ინიშნებიან ან ქორწინდებიან, ბევრ შემთხვევაში კი ახალგაზრდა გოგოებს აიძულებენ, გაჰყვნენ ათეულობით წლებით უფროს მამაკაცებს. 2012 წელს გაეროს ბავშვთა ფონდმა წარმოადგინა ინფორმაცია, რომ მსოფლიოს მასშტაბით 20-49 წლის თითქმის 400 მილიონი ქალი დაქორწინდა ან დაამყარა ცოლქმრული კავშირი 18 წლის ასაკამდე.⁹ ამიტომ კომიტეტები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ იმ შემთხვევებს, როდესაც ახალგაზრდა გოგოები სრული, თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობის გარეშე ქორწინდებიან - როდესაც ისინი ძალზე ახალგაზრდები არიან საიმისოდ, რომ ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად მზად იყვნენ ზრდასრული ცხოვრებისათვის ან შეგნებული და ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებისთვის და, შესაბამისად, არ არიან მზად ქორწინებაზე თანხმობის მისაცემად. არის შემთხვევებიც, როდესაც მეურვეებს ჩვეულებრივი სამართლის ან ოფიციალური კანონმდებლობის ძალით აქვთ იურიდიული უფლებამოსილება, მისცენ თანხმობა გოგოების ქორწინებაზე. ასეთ შემთხვევებში გოგოები ქორწინდებიან მათი უფლების - თავისუფლად იქორწინონ - საწინააღმდეგოდ.

22. ბავშვის ქორწინებას ხშირად თან სდევს ადრეული და ხშირი ორსულობა და მშობიარობა, რაც იწვევს ავადობისა და სიკვდილიანობის საშუალოზე მაღალ მაჩვენებლებს. ორსულობასთან დაკავშირებული სიკვდილის შემთხვევები 15-19 წლის დაქორწინებული თუ დაუქორწინებელი გოგოების სიკვდილის ძირითადი მიზეზია მთელ მსოფლიოში. ძალიან ახალგაზრდა დედების შვილებს შორის ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობა უფრო მაღალია (ზოგჯერ ორჯერ უფრო მაღალიც), ვიდრე შედარებით უფროსი ასაკის დედების შვილებისა. ბავშვის და/ან იძულებითი ქორწინების შემთხვევებში, კერძოდ, როდესაც ქმარი გაცილებით უფროსია ცოლზე და გოგოებს ნაკლები განათლება აქვთ მიღებული, გოგოებს ზოგადად შეზღუდული აქვთ საკუთარ ცხოვრებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილება. ბავშვის ქორწინება, გადაადგილების თავისუფლების უფლებით სარგებლობის შეზღუდვასთან ერთად, ხელს უწყობს სკოლიდან გამოსვლის მაღალ

მაჩვენებლებსაც, განსაკუთრებით გოგოებს შორის, სკოლიდან გარიცხვას და ოჯახში ძალადობის რისკის ზრდას.

23. იძულებითი ქორწინება არის ქორწინება, როდესაც ერთ და/ან ორივე მხარეს პირადად არ გამოუთქვამთ სრული და თავისუფალი თანხმობა ცოლქმრულ კავშირზე. იძულებით ქორწინებას მრავალი ფორმა შეიძლება ჰქონდეს, მათ შორის ბავშვის ქორწინება, როგორც ზემოთ იქნა განხილული, გაცვლაზე დამყარებული ქორწინება (მაგ. baad და baadal), მონური ქორწინება და ლევირატი (ქვრივის იძულება, იქორწინოს გარდაცვლილი ქმრის ნათესავზე). ზოგიერთ კონტექსტში იძულებით ქორწინებას შეიძლება ჰქონდეს ადგილი, როდესაც მოძალადეს ეძლევა საშუალება, თავიდან აიცილოს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა და იქორწინოს გაუპატიურების მსხვერპლზე, ჩვეულებრივ, მისი ოჯახის თანხმობით. იძულებითი ქორწინება შეიძლება მოხდეს მიგრაციის პირობებში, რათა გოგო გათხოვდეს ოჯახის თემის ფარგლებში ან იმ მიზნით, რომ ნათესავებისთვის ან სხვა ადამიანებისთვის უზრუნველყოფილი იქნეს დოკუმენტები მიგრაციისთვის და/ან კონკრეტულ დანიშნულების ქვეყანაში ცხოვრებისთვის. იძულებითი ქორწინება სულ უფრო ხშირად გამოიყენება შეიარაღებული დაჯგუფებების მიერაც კონფლიქტების დროს ან შეიძლება იყოს გოგოსთვის კონფლიქტისშემდგომი სიღარიბისთვის თავის დაღწევის საშუალება.¹⁰ იძულებითი ქორწინება შეიძლება ასევე განიმარტოს როგორც ქორწინება, როდესაც ერთ-ერთ მხარეს არ ეძლევა მისი დასრულების ან წასვლის ნება. იძულებითი ქორწინების შედეგად გოგოებს ხშირად არა აქვთ პირადი და ეკონომიკური დამოუკიდებლობა და ისინი მიმართავენ გაქცევის ან საკუთარი თავის დანჯის თუ თვითმკვლელობის მცდელობებს ქორწინების თავიდან ასაცილებლად ან მისგან თავის დასაღწევად.

24. მზითვემა და ყალიბის გადახდამ, რასაც სხვადასხვა სახე აქვს იმ თემებს შორის, სადაც ამგვარი პრაქტიკაა დამკვიდრებული, შეიძლება გაზარდოს ქალებისა და გოგოების მონყვლადობა ძალადობის და სხვა მავნე პრაქტიკის მიმართ. ქმარს ან მისი ოჯახის წევრს შეუძლიათ განახორციელონ ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობა, მათ შორის მკვლელობა, დანვა და მუავის გა-

9 იხ. www.apromiserenewed.org.

10 ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის ზოგადი რეკომენდაცია №30, პუნქტი 62.

დასხმა, თუ არ ასრულდა მათი მოლოდინი მზითვეთან დაკავშირებით ან თუ მზითვეის ოდენობა საკმარისი არ იქნება. ზოგ შემთხვევაში ოჯახები დათანხმდებიან მათი ქალიშვილის „დროებით“ ქორწინებაზე ფინანსური სარგებლის სანაცვლოდ, რასაც ხელშეკრულებით ქორწინებას ეწოდება და რაც ადამიანებით ტრეფიკინგის ფორმაა. ბავშვის უფლებათა კონვენციის „ბავშვთა გაყიდვის, ბავშვის პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ“ ფაკულტატიური ოქმის მონაწილე სახელმწიფოებს აკისრიათ მკაფიო ვალდებულება ბავშვის და/ან იმგვარ იძულებით ქორწინებასთან დაკავშირებით, რომელიც მოიცავს მზითვეს ან ყალიბის გადახდას, რადგან ეს შეიძლება წარმოადგენდეს ბავშვის გაყიდვას, როგორც ეს ოქმის მე-2 მუხლის „ა“ პუნქტშია განსაზღვრული.¹¹ ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტს არაერთხელ საგანგებოდ აღუნიშნავს, რომ იმის დაშვება, რომ ქორწინება მოხდეს ამგვარი გადახდის სანაცვლოდ, არღვევს მეუღლის თავისუფლად არჩევის უფლებას. თავის №29 ზოგად რეკომენდაციაში კომიტეტმა საგანგებოდ აღნიშნა, რომ იმისათვის, რომ ქორწინება მოქმედად ჩაითვალოს, ამგვარი პრაქტიკა არ უნდა იყოს მოთხოვნილი და ამგვარი შეთანხმებები არ უნდა იქნეს აღიარებული მონაწილე სახელმწიფოთა მიერ როგორც აღსრულებადი.

გ. პოლიგამია

25. პოლიგამია ეწინააღმდეგება ქალებისა და გოგოების ღირსებას და ხელყოფს მათ უფლებებსა და თავისუფლებებს, მათ შორის თანასწორობას და დაცვას ოჯახში. პოლიგამიას განსხვავებული სახე აქვს სხვადასხვა სამართლებრივ და სოციალურ კონტექსტში და მისი ზემოქმედება მოიცავს ზიანს ცოლების ჯანმრთელობისათვის - მათი ფიზიკური, ფსიქიკური და სოციალური კეთილდღეობისთვის, მატერიალურ ზარალს და ზიანს, რომელიც ქალებმა უნდა აიტანონ, და ემოციურ და მატერიალურ ზიანს ბავშვებისათვის, ხშირად სერიოზული შედეგებით მათი ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისათვის.
26. ბევრმა მონაწილე სახელმწიფომ აკრძალა პოლიგამია, მაგრამ ზოგ ქვეყანაში ის კვლავ გვხვდება, კანონიერი თუ არალეგალური სახით. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ისტო-

რიაში ზოგიერთ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში მოქმედებდა პოლიგამიური საოჯახო სისტემები, როგორც ოჯახებისთვის მეტი მუშახელის უზრუნველყოფის საშუალება, კვლევებმა აჩვენა, რომ სინამდვილეში პოლიგამია ხშირად იწვევს სიღარიბის გაზრდას ოჯახებში, განსაკუთრებით სოფლად.

27. პოლიგამიურ კავშირებში შედიან როგორც ქალები, ისე გოგოები. მტკიცებულებები ცხადყოფს, რომ ბევრად უფრო სავარაუდოა გოგოების გათხოვება ან დანიშვნა გაცილებით უფროს მამაკაცებზე, რაც ზრდის მათზე ძალადობის და მათი უფლებების დარღვევის რისკს. ოფიციალური კანონმდებლობისა და რელიგიური, პიროვნული სტატუსისა და ტრადიციული ჩვეულებითი სამართლისა და პრაქტიკის თანაარსებობა ხშირად ხელს უწყობს ამ პრაქტიკის გავრცელებას. თუმცა ზოგიერთ მონაწილე სახელმწიფოში პოლიგამია სამოქალაქო სამართლით არის დაშვებული. ზოგჯერ კულტურისა და რელიგიის უფლების დამცველი საკონსტიტუციო თუ სხვა ნორმები გამოყენებული ყოფილა იმ კანონებისა და პრაქტიკის გასამართლებლად, რომლებიც უშვებს პოლიგამიურ კავშირებს.
28. ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს აკისრიათ მკაფიო ვალდებულება, აღმოფხვრან და აკრძალონ პოლიგამია, ვინაიდან ის ეწინააღმდეგება კონვენციას.¹² ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი ასევე აღნიშნავს, რომ პოლიგამიას მნიშვნელოვანი მძიმე შედეგები მოაქვს ქალებისა და მათი შვილების ეკონომიკური კეთილდღეობისათვის.¹³

დ. ე.წ. ღირსების სახელით ჩადენილი დანაშაულები

29. ე.წ. ღირსების სახელით ჩადენილი დანაშაულები წარმოადგენს ძალადობის აქტებს, რომლებიც არაპროპორციულად, თუმცა არა ექსკლუზიურად, ჩადენილია ქალებისა და გოგოების წინააღმდეგ, ვინაიდან ოჯახის წევრებს მიაჩნიათ, რომ რაღაც საეჭვო, აღქმული თუ რეალური საქციელი ოჯახს ან თემს შეარცხვენს. ამგვარი საქციელის ფორმებია სქესობრივი ურთიერთობის დამყარება ქორწინებამდე, უარი შეთანხმებულ

11 იხ. აგრეთვე მუხლი 3 (1)(ა)(i).

12 ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის ზოგადი რეკომენდაციები №№ 21, 28 და 29.

13 ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის ზოგადი რეკომენდაცია №29, პუნქტი 27.

ქორწინებაზე, დაქორწინება მშობლების თანხმობის გარეშე, ადიულტერი, განქორწინების მცდელობა, იმგვარად ჩაცმა, რაც მიჩნეულია თემისთვის მიუღებლად, სახლის გარეთ მუშაობა ან ზოგადად სტერეოტიპულ გენდერულ როლებთან შეუსაბამობა. ე.წ. ღირსების სახელით ჩადენილი დანაშაულები გოგობისა და ქალების მიმართ შეიძლება იმის გამოც იქნეს ჩადენილი, რომ ისინი სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი გახდნენ.

30. ამგვარი დანაშაულები მოიცავს მკვლელობასაც და ხშირად მას ჩადის მეუღლე, ქალი თუ მამაკაცი ნათესავი ან მსხვერპლის თემის წარმომადგენელი. ნაცვლად იმისა, რომ მიჩნეული იქნეს ქალების წინააღმდეგ ჩადენილ სისხლის სამართლის ქმედებად, ე.წ. ღირსების სახელით ჩადენილი დანაშაულები ხშირად სანქცირებულია თემის მიერ როგორც მისი კულტურული, ტრადიციული, ჩვეულებითი ან რელიგიური ნორმების შენარჩუნების და/ან აღდგენის საშუალება სავარაუდო დარღვევების შემდეგ. ზოგიერთ კონტექსტში ეროვნული კანონმდებლობა ან მისი პრაქტიკული გამოყენება, ან კანონების არარსებობა, იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ღირსების დაცვა წარმოდგენილი იქნეს როგორც გასამართლებელი ან შემამსუბუქებელი გარემოება ამგვარი დანაშაულის ჩამდენთათვის, რაც იწვევს სანქციების შემცირებას ან სულაც დაუსჯელობას. გარდა ამისა, საქმეების სისხლისსამართლებრივ დევნას შეიძლება ხელი შეუშალოს საქმის გარემოებათა მცოდნე პირების სურვილის უქონლობამ, წარმოადგინონ მამხილებელი მტკიცებულებები.

VII. ერთიანი სტრატეგიული ჩარჩო მავნე პრაქტიკის აღმოსაფხვრელად

31. ორივე კონვენციაში არის კონკრეტული მითითება მავნე პრაქტიკის აღმოფხვრის თაობაზე. ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები ვალდებული არიან, დაგეგმონ და მიიღონ შესაბამისი კანონმდებლობა, პოლიტიკა და ზომები და უზრუნველყონ, რომ მათი განხორციელება ეფექტიან რეაგირებას ახდენდეს დისკრიმინაციის აღმოფხვრის იმ კონკრეტულ დაბრკოლებებზე, ბარიერებსა და წინააღმდეგობაზე, რომლებიც საფუძვლად უდევს მავნე პრაქტიკას და ქალებზე ძალადობას (მე-2 და მე-3 მუხლები). თუმცა

მონაწილე სახელმწიფოებს უნდა შეეძლოთ აჩვენონ გატარებული ზომების პირდაპირი რელევანტურობა და შესაფერისობა და, უპირველეს ყოვლისა, მათ უნდა უზრუნველყონ, რომ არ დაირღვეს ქალთა უფლებები. მათ ასევე უნდა მოახდინონ იმის დემონსტრირება, მიაღწევს თუ არა ეს ზომები სასურველ ეფექტს და შედეგს. გარდა ამისა, მონაწილე სახელმწიფოების ვალდებულება, განუხრელად გაატარონ ამგვარი მიზნობრივი პოლიტიკა, გადაუდებელი ხასიათისაა და მონაწილე სახელმწიფოებს არ შეუძლიათ რაიმე დაყოვნების გამართლება არანაირი საფუძვლით, მათ შორის კულტურული და რელიგიური საფუძვლით. მონაწილე სახელმწიფოები ასევე ვალდებული არიან, მიიღონ ყველა საჭირო ზომა, მათ შორის დროებითი სპეციალური ზომები (მუხლი 4(1)),¹⁴ რათა შეცვალონ მამაკაცთა და ქალთა ქცევის სოციალური და კულტურული მოდელები იმ ცრურწმენების აღმოფხვრისა და იმ ადათ-წესების და სხვა პრაქტიკის გაუქმების მიზნით, რომლებსაც საფუძვლად უდევს ერთ-ერთი სქესის არასრულფასოვნების ან უპირატესობის, ან მამაკაცთა და ქალთა სტერეოტიპულობის იდეა (მუხლი 5(ა)), ასევე იმისათვის, რომ უზრუნველყონ, რომ ბავშვის ნიშნობას ან ქორწინებას იურიდიული ძალა არ ჰქონდეს (მუხლი 16(2)).

32. მეორე მხრივ, ბავშვის უფლებათა კონვენცია მონაწილე სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებას, მიმართონ ყველა ეფექტიან და საჭირო ზომას, რათა აღმოფხვრან ტრადიციული პრაქტიკა, რომელიც უარყოფითად მოქმედებს ბავშვების ჯანმრთელობაზე (მუხლი 24(3)). გარდა ამისა, კონვენცია ადგენს ბავშვის უფლებას, დაცული იყოს ყველა ფორმის ძალადობისაგან, მათ შორის ფიზიკური, სექსუალური თუ ფსიქოლოგიური ძალადობისაგან (მუხლი 19), და მოითხოვს მონაწილე სახელმწიფოებისგან, უზრუნველყონ, რომ არც ერთმა ბავშვმა არ განიცადოს წამება ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობა ან დასჯა (მუხლი 37(ა)). იგი მავნე პრაქტიკაზე ავრცელებს კონვენციის ოთხ ძირითად პრინციპს, კერძოდ, დაცვას დისკრიმინაციისგან (მუხლი 2), ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას (მუხლი 3(1)),¹⁵ სიცოცხლის, გადარჩენისა და

14 ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის ზოგადი რეკომენდაცია №25, პუნქტი 38.

15 ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი

ჯანმრთელი განვითარების უზრუნველყოფას (მუხლი 6) და ბავშვის უფლებას, მოუსმინონ მას (მუხლი 12).

33. ორივე შემთხვევაში მავნე პრაქტიკის ეფექტიანი პრევენცია და აღმოფხვრა მოითხოვს კარგად ჩამოყალიბებული, უფლებებზე დამყარებული და ადგილობრივი კონტექსტისთვის შესაფერისი ერთიანი სტრატეგიის შემუშავებას, რომელიც გაითვალისწინებს ხელშემწყობ საკანონმდებლო და პოლიტიკის ზომებს, მათ შორის სოციალურ ზომებს, რომლებიც კომბინირებული იქნება შესაბამის პოლიტიკურ ნებასთან და ანგარიშვალდებულებასთან ყველა დონეზე. კონვენციებში დადგენილი ვალდებულებები უზრუნველყოფს საფუძველს ერთიანი სტრატეგიის შემუშავებისათვის იმ სხვადასხვა მავნე პრაქტიკის აღმოსაფხვრელად, რომელთა ელემენტებიც წინამდებარე დოკუმენტშია განხილული.
34. უნდა მოხდეს ამგვარი ერთიანი სტრატეგიის მენისტრდინამიკი და კოორდინაცია როგორც ვერტიკალურად, ისე ჰორიზონტალურად და იგი უნდა გახდეს ნაწილი ქვეყნის ძალისხმევისა, თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას მავნე პრაქტიკის ყველა ფორმა. ჰორიზონტალური კოორდინაცია საჭიროებს ორგანიზებას ყველა სექტორში, მათ შორის განათლების, ჯანდაცვის, მართლმსაჯულების, სოციალური დაცვის, კანონის აღსრულების, იმიგრაციისა და თავშესაფრის მინიჭების, ასევე კომუნიკაციებისა და მედიის სექტორებში. ანალოგიურად, ვერტიკალური კოორდინაცია საჭიროებს ორგანიზებას ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ დონეებზე მოქმედ მხარეებს შორის და კოორდინირებას ტრადიციულ და რელიგიურ ხელისუფლებას შორის. ამ პროცესის ხელშეწყობის მიზნით გათვალისწინებული უნდა იქნეს საქმიანობაზე პასუხისმგებლობის დელეგირება არსებული თუ სპეციალურად ჩამოყალიბებული მაღალი დონის უწყებისათვის, ყველა შესაბამის დაინტერესებულ მხარესთან თანამშრომლობით.
35. ნებისმიერი ერთიანი სტრატეგიის განხორციელება აუცილებლად მოითხოვს ადეკვატური საორგანიზაციო, ადამიანური, ტექნიკური და ფინანსური რესურსების უზრუნველყოფას, რასაც დაემატება შესატყვისი ზომები და ინსტრუმენტები, როგორებიც არის რეგულაციები, პოლიტიკა, გეგმები და ბიუჯეტები. გარდა ამისა, მონაწილე სახელმწიფოები ვალ-

დებულნი არიან, უზრუნველყონ მონიტორინგის დამოუკიდებელი მექანიზმის არსებობა მავნე პრაქტიკისაგან ქალებისა და ბავშვების დაცვის და მათი უფლებების რეალიზების მხრივ მიღწეული პროგრესის გასაკონტროლებლად.

36. მავნე პრაქტიკის აღმოფხვრის მიზნით შემუშავებული სტრატეგიები ასევე ფართოდ უნდა მოიცავდეს სხვა დაინტერესებულ მხარეებსაც, მათ შორის ადამიანის უფლებათა დამცველ ეროვნულ დამოუკიდებელ ინსტიტუტებს, ჯანდაცვის და განათლების პროფესიონალებს და სამართალდამცველი ორგანოების თანამშრომლებს, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს და იმ ადამიანებს, ვინც ჩართულია ამ პრაქტიკაში.

ა. მონაცემთა შეგროვება და მონიტორინგი

37. რაოდენობრივი და ხარისხობრივი მონაცემების რეგულარულ და ყოველმხრივ შეგროვებას, ანალიზს, გავრცელებას და გამოყენებას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ქმედითი პოლიტიკისა და შესაფერისი სტრატეგიების შემუშავებისა და ქმედებების ფორმულირებისთვის, ასევე ზემოქმედების შეფასებისთვის, მავნე პრაქტიკის აღმოფხვრის მხრივ მიღწეული წინსვლის მონიტორინგისთვის და ხელახლა წარმოჩენილი და ახალი მავნე პრაქტიკის იდენტიფიცირებისთვის. მონაცემთა არსებობა იძლევა საშუალებას, შესწავლილი იქნეს ტენდენციები, დამყარდეს შესაბამისი ვაჰშირები პოლიტიკასა და სახელმწიფო და არასახელმწიფო მოქმედი მხარეების მიერ პროგრამების ეფექტიან განხორციელებას შორის და გაკონტროლდეს დამოკიდებულებების, ქცევის ფორმების, პრაქტიკისა და გავრცელების მაჩვენებლების ცვლილება. სქესის, ასაკის, გეოგრაფიული მდებარეობის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, განათლების დონისა და სხვა ძირითადი ფაქტორების მიხედვით კლასიფიცირებულ მონაცემებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ქალებისა და ბავშვების მაღალი რისკისა და მძიმე მდგომარეობაში მყოფი ჯგუფების იდენტიფიცირებისათვის, რაც მიმართულებას მისცემს პოლიტიკის ფორმულირებას და მავნე პრაქტიკის აღმოფხვრისკენ მიმართულ ქმედებებს.
38. მიუხედავად მავნე პრაქტიკის აღიარებისა, მასთან დაკავშირებული კლასიფიცირებული მონაცემები შეზღუდულია და იშვიათად არის შესაძლებელი მათი შედარება ქვეყნების და

№14 ბავშვის უფლების შესახებ, უპირველეს ყოვლისა გათვალისწინებული იქნეს მისი საუკეთესო ინტერესები.

დროის მიხედვით, რაც შედეგად გვაძლევს პრობლემის მასშტაბის შეზღუდულ სურათს და ასევე ზღუდავს ადეკვატურად მორგებული და მიზანმიმართული ზომების დასახვის შესაძლებლობას.

39. კომიტეტები რეკომენდაციას უწევენ კონვენციების მონაწილე სახელმწიფოებს, რომ მათ:
- (ა) **პრიორიტეტი მიანიჭონ მავნე პრაქტიკასთან დაკავშირებული, სქესის, ასაკის, გეოგრაფიული მდებარეობის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, განათლების დონისა და სხვა ძირითადი ფაქტორების მიხედვით კლასიფიცირებული რაოდენობრივი და ხარისხობრივი მონაცემების რეგულარულ შეგროვებას, ანალიზს, გავრცელებას და გამოყენებას და უზრუნველყონ ამ საქმიანობისთვის ადეკვატური რესურსების გამოყოფა. ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების, განათლების, მართლმსაჯულებისა და კანონის აღსრულების სექტორებში უნდა შეიქმნას და/ან წარმოებული იქნეს დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე მონაცემთა რეგულარული შეგროვების სისტემები;**
 - (ბ) **მონაცემები შეაგროვონ ქვეყნის მასშტაბით დემოგრაფიული და ინდიკატორების კვლევებისა და მოსახლეობის აღწერის მეშვეობით, რასაც შეიძლება დაემატოს მონაცემები ეროვნული მასშტაბით წარმომადგენლობითი შინამეურნეობების კვლევებიდან. ხარისხობრივი კვლევა უნდა ჩატარდეს ფოკუსჯგუფებში დისკუსიების, ინფორმაციის ძირითად მომწოდებლებთან და რაც შეიძლება მეტ დაინტერესებულ მხარესთან საგულდაგულო ინტერვიუების, სტრუქტურირებული დაკვირვებების, სოციალური მეფინგისა და სხვა შესაფერისი მეთოდოლოგიების გამოყენებით.**

ბ. კანონმდებლობა და მისი აღსრულება

40. ნებისმიერი ერთიანი სტრატეგიის არსებითი ელემენტია შესაბამისი კანონმდებლობის შემუშავება, გატარება, განხორციელება და განხორციელების მონიტორინგი. თითოეულ მონაწილე სახელმწიფოს აკისრია ვალდებულება,¹⁶ გაავრცელოს მკაფიო გზავნილი მავნე პრაქტიკის დაგმობის შესახებ, უზრუნველყოს მსხვერპლთა სამართლებრივი დაცვა, სახელმწიფო და არასახელმწიფო მხარეებს

მისცეს შესაძლებლობა, დაიცვან რისკის ქვეშ მყოფი ქალები და ბავშვები, უზრუნველყოს შესატყვისი რეაგირება, ზრუნვა და ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობა და ბოლო მოუღოს დაუსჯელობას.

41. თუმცა მხოლოდ კანონმდებლობის გატარება არ არის საკმარისი მავნე პრაქტიკასთან ეფექტიანად საბრძოლველად. სათანადო გულისხმიერების მოთხოვნის შესაბამისად, კანონმდებლობის მიღების პარალელურად უნდა დაინერგოს ყოველმხრივი ზომები კანონმდებლობის განხორციელების, აღსრულების, განხორციელების შემოწმებისა და მონიტორინგის და მიღწეული შედეგების შეფასების ხელშესაწყობად.
42. ორივე კონვენციით დაკისრებული ვალდებულებების მიუხედავად, ბევრ მონაწილე სახელმწიფოში დღესაც არსებობს ისეთი საკანონმდებლო ნორმები, რომლებიც ამართლებს, უშვებს ან იწვევს მავნე პრაქტიკას, როგორც არის კანონმდებლობა, რომელიც უშვებს ბავშვის ქორწინებას, იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ე.წ. ღირსების დაცვა წარმოდგენილი იქნეს როგორც გასამართლებელი ან შემამსუბუქებელი გარემოება ქალებისა და გოგონების წინააღმდეგ ამგვარი დანაშაულის ჩამდენთათვის ან აძლევს საშუალებას მოძალადეებს და/ან სხვა სექსუალური დანაშაულის ჩამდენ პირებს, თავი აარიდონ სანქციებს მსხვერპლზე ქორწინების შედეგად.
43. იმ მონაწილე სახელმწიფოებში, სადაც მართლმსაჯულების პლურალური სისტემები არსებობს, მაშინაც კი, როდესაც კანონმდებლობა მკაფიოდ კრძალავს მავნე პრაქტიკას, ეს აკრძალვა შეიძლება რეალურად არ შესრულდეს, რადგან ჩვეულებრივი, ტრადიციული ან რელიგიური კანონების არსებობა შეიძლება ხელს უწყობდეს ასეთ პრაქტიკას.
44. ჩვეულებრივ ან რელიგიურ სასამართლოებში ან მორიგების ტრადიციულ მექანიზმებში მოსამართლეების ტენდენციურმა შეხედულებებმა, მათმა უუნარობამ, ხელი შეუწყო ქალებისა და ბავშვების უფლებების განხორციელებას და რწმენამ, რომ ამგვარი ჩვეულებრივი სისტემების ფარგლებში მოხვედრილი საკითხები არ უნდა ექვემდებარებოდეს სახელმწიფოს ან სხვა სასამართლო ორგანოების მხრიდან გადასინჯვას ან შემოწმებას, არ უნდა წაართვას ან შეუზღუდოს მავნე პრაქტიკის მსხვერპლებს შესაძლებლობა, მიმართონ მართლმსაჯულებას.
45. მავნე პრაქტიკის საწინააღმდეგო კანონმდებლობის შემუშავებაში შესაბამისი და-

16 იხ. ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია, 2(ა)-(გ), 2(ვ) და მე-5 მუხლები, და ბავშვის უფლებათა კომიტეტის №13 ზოგადი კომენტარი.

ინტერესებული მხარეების სრულ მონაწილეობას შეუძლია უზრუნველყოს ამ პრაქტიკასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხების ზედმიწევნით იდენტიფიცირება და გათვალისწინება. ამ პროცესისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თანამშრომლობას და ურთიერთობას იმ თემებთან, რომლებშიც ადგილი აქვს მავნე პრაქტიკას, ასევე სხვა შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან. თუმცა საჭიროა სიფრთხილე, რათა არსებულმა დამოკიდებულებებმა და იმ სოციალურმა ნორმებმა, რომლებიც ხელს უწყობს მავნე პრაქტიკას, არ შეასუსტოს კანონმდებლობის შემუშავების და გატარების მცდელობები.

46. ბევრმა მონაწილე სახელმწიფომ მიიღო ზომები დელეგირების მეშვეობით ხელისუფლების დეცენტრალიზაციის მიმართულებით, მაგრამ ამან არ უნდა შეასუსტოს და უარი არ უნდა ათქმევინოს მათ საკუთარ ვალდებულებაზე - გაატარონ კანონმდებლობა, რომელიც კრძალავს მავნე პრაქტიკას და მოქმედებს მათი იურისდიქციის ფარგლებში. უნდა დაინერგოს სპეციალური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს, რომ დეცენტრალიზაციამ არ გამოიწვიოს დისკრიმინაცია სხვადასხვა რეგიონსა და კულტურულ ზონაში მავნე პრაქტიკისგან ქალებისა და ბავშვების დაცვასთან მიმართებაში. ხელისუფლების დეცენტრალიზებული ორგანოები უზრუნველყოფილი უნდა იქნენ ადამიანური, ფინანსური, ტექნიკური და სხვა რესურსებით, რომლებიც აუცილებელია მავნე პრაქტიკის აღმოფხვრისაკენ მიმართული კანონმდებლობის ეფექტიანად აღსასრულებლად.
47. იმ კულტურულმა ჯგუფებმა, რომლებიც ჩართულები არიან მავნე პრაქტიკაში, შეიძლება ხელი შეუწყონ ამ პრაქტიკის ქვეყნის საზღვრებს გარეთ გავრცელებას. ასეთ შემთხვევებში მიღებული უნდა იქნეს შესაბამისი ზომები გავრცელების შესაჩერებლად.
48. ადამიანის უფლებათა დამცველმა სახელმწიფო ინსტიტუტებმა ძირითადი როლი უნდა შეასრულონ ადამიანის უფლებების დაცვისა და მათი განხორციელების ხელშეწყობის საქმეში, მათ შორის ადამიანის უფლებისა, არ დაეჭვმდებაროს მავნე პრაქტიკას. მათ ასევე ხელი უნდა შეუწყონ საზოგადოების ინფორმირებას ამ უფლებების შესახებ.
49. ადამიანები, ვინც მომსახურებას უწევს ქა-

ლებსა და ბავშვებს, განსაკუთრებით სამედიცინო პერსონალი და მასწავლებლები, განსაკუთრებით ხელსაყრელ პოზიციაში არიან საიმისოდ, რომ დაადგინონ მავნე პრაქტიკის რეალური თუ პოტენციური მსხვერპლები. თუმცა ისინი ხშირად შეზღუდულები არიან კონფიდენციალურობის დაცვის წესებით, რომლებიც შეიძლება წინააღმდეგობაში შევიდეს მათ ვალდებულებასთან, სათანადო ორგანოებს შეატყობინონ მავნე პრაქტიკის შემთხვევის ან მისი პოტენციური შესაძლებლობის შესახებ. საჭიროა ამ პრობლემის მოგვარება სპეციალური რეგულაციებით, რომლებიც დაავალდებულებს ასეთ ადამიანებს ამგვარი შემთხვევების შეტყობინებას.

50. როდესაც მავნე პრაქტიკაში ჩართულები არიან ან თანამონაწილეობენ სამედიცინო სფეროს პროფესიონალები, მთავრობის წარმომადგენლები ან სახელმწიფო მოხელეები, მათი სტატუსი და პასუხისმგებლობა, მათ შორის შემთხვევათა შეტყობინების პასუხისმგებლობა, უნდა ჩაითვალოს დამამძიმებელ გარემოებად მათთვის სისხლის სამართლის სანქციების ან ადმინისტრაციული სანქციების დადგენისას, როგორც არის პროფესიული ლიცენზიის ჩამორთმევა ან კონტრაქტის შეწყვეტა, რასაც წინ უნდა უძღოდეს გაფრთხილება. ამ თვალსაზრისით ქმედით პრევენციულ ზომად ითვლება შესაბამისი პროფესიონალების სისტემატური ტრენინგი.
51. მართალია, მავნე პრაქტიკის პრევენციისა და აღმოფხვრის ხელშესაწყობად თანმიმდევრულად უნდა ხდებოდეს სისხლის სამართლის სანქციების აღსრულება, მონაწილე სახელმწიფოებმა ასევე უნდა გაითვალისწინონ მსხვერპლთათვის არსებული პოტენციური საფრთხეები და ნეგატიური ზემოქმედება, მათ შორის შურისძიების ქმედებები.
52. მავნე პრაქტიკის ფართოდ გავრცელების ადგილებში შესაძლოა არ იყოს შესაძლებელი ფულადი კომპენსაციების გაცემა. თუმცა ყველა შემთხვევაში მავნე პრაქტიკით დაზარალებული ქალებისა და ბავშვებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს სამართლებრივი დაცვის საშუალებები, მსხვერპლთა დახმარებისა და რეაბილიტაციის მომსახურებები, ასევე სოციალური და ეკონომიკური შესაძლებლობები.
53. ყოველთვის მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ბავშვთა ჭეშმარიტი ინტერესები და გოგოებისა და ქალების უფლებათა დაცვა და უნდა შეიქმნას აუცილებელი პირობები იმისათვის, რომ მათ შეეძლოთ საკუთარი თვალსაზრისის გამოთქმა, ასევე

უზრუნველყოფილი უნდა იქნეს, რომ მათ თვალსაზრისს სათანადოდ გაითვალისწინებენ. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ბავშვის და/ან იძულებითი ქორწინების დანგრევის და მზითვისა და ყალიბის დაბრუნების პოტენციური მოკლევადიანი და გრძელვადიანი ზემოქმედება ბავშვებსა და ქალებზე.

54. მონაწილე სახელმწიფოებმა, კონკრეტულად კი იმიგრაციისა და თავშესაფრის სისტემის თანამშრომლებმა, უნდა იცოდნენ, რომ ქალები და გოგონები შეიძლება ტოვებდნენ საკუთარი წარმომავლობის ქვეყანას იმის გამო, რომ არ დაექვემდებარონ მავნე პრაქტიკას. ამ თანამშრომლებმა უნდა გაიარონ შესაბამისი კულტურული, სამართლებრივი და გენდერულ საკითგებზე ორიენტირებული ტრენინგი იმასთან დაკავშირებით, თუ რა ზომები უნდა იქნეს მიღებული ამ ქალებისა და გოგონების დასაცავად.

55. კომიტეტები რეკომენდაციას უწევენ კონვენციების მონაწილე სახელმწიფოებს, რომ მათ მიიღონ ან ცვლილებები შეიტანონ კანონმდებლობაში იმ მიზნით, რომ ეფექტიანი რეაგირება მოახდინონ და აღმოფხვრან მავნე პრაქტიკა. ამ დროს მათ უნდა უზრუნველყონ, რომ:

(ა) კანონმდებლობის შემუშავების პროცესი იყოს ინკლუზიური და მონაწილეობაზე დამყარებული. ამ მიზნით მათ უნდა აწარმოონ მიზნობრივი ადვოკატირებისა და ცნობიერების ამაღლების კამპანიები და გამოიყენონ სოციალური მობილიზაციის ზომები, რათა საზოგადოებაში გაავრცელონ ცოდნა და მოიპოვონ მისი მხარდაჭერა კანონმდებლობის შემუშავების, მიღების, გავრცელებისა და განხორციელების პროცესში;

(ბ) კანონმდებლობა სრულად შეესაბამებოდეს ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციასა და ბავშვის უფლებათა კონვენციაში დადგენილ შესაბამის ვალდებულებებს და ადამიანის უფლებათა სხვა საერთაშორისო სტანდარტებს, რომლებიც კრძალავს მავნე პრაქტიკას; ასევე უნდა უზრუნველყონ, რომ ამ კანონმდებლობას ჰქონდეს უპირატესი ძალა ჩვეულებრივ, ტრადიციულ თუ რელიგიურ კანონებთან შედარებით, რომლებიც უშვებს ან აწესებს მავნე პრაქტიკას ან ათავისუფლებს პასუხისმგებლობისგან მის ჩამდენთ, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც მართლმსაჯულების პლურალური

სისტემები არსებობს;

(გ) დაუყოვნებლივ გააუქმონ ყველა ის კანონი, რომლებიც უშვებს ან აწესებს მავნე პრაქტიკას ან ათავისუფლებს პასუხისმგებლობისგან მის ჩამდენთ, მათ შორის ჩვეულებრივი, ტრადიციული თუ რელიგიური კანონები და ნებისმიერი იმგვარი კანონმდებლობა, რომელიც დასაშვებად მიიჩნევა ე.წ. ღირსების დაცვის სახელით ჩადენილი დანაშაულის შემთხვევაში ღირსების დაცვის გამამართლებელ თუ შემარბილებელ ფაქტორად გამოყენებას;

(დ) კანონმდებლობა იყოს თანმიმდევრული და ყოვლისმომცველი და იძლეოდეს დეტალურ ხელმძღვანელობას პრევენციასთან, დაცვასთან, დახმარებასა და შემდგომ ქმედებებთან, ასევე მსხვერპლთა დახმარებასთან დაკავშირებით, მათ შორის მათ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციასთან და სოციალურ რეინტეგრაციასთან დაკავშირებით; აღნიშნული კანონმდებლობა უნდა შეივსოს შესაბამისი სამოქალაქო და/ან ადმინისტრაციული საკანონმდებლო ნორმებით;

(ე) კანონმდებლობა სათანადოდ აგვარებდეს, მათ შორის დროებითი სპეციალური ზომების შემოღებისთვის საფუძვლის შექმნის მეშვეობით, მავნე პრაქტიკის ძირითად მიზეზებს, მათ შორის დისკრიმინაციას სქესის, გენდერის, ასაკისა და სხვა ურთიერთგადამკვეთი ფაქტორების საფუძველზე, აქცენტს აკეთებდეს ადამიანის უფლებებზე და მსხვერპლთა საჭიროებებზე და სრულად ითვალისწინებდეს ბავშვებისა და ქალების ჭეშმარიტ ინტერესებს;

(ვ) დაქორწინების მინიმალურ კანონით დასაშვებ ასაკად გოგონებისა და ბიჭებისთვის, მიუხედავად მშობლების თანხმობისა, დაწესდეს 18 წელი. როდესაც გამონაკლის გარემოებებში დაიშვება ქორწინება უფრო დაბალ ასაკში, აბსოლუტურად მინიმალური ასაკი არ უნდა იყოს 16 წელზე ნაკლები, ნებართვის მოპოვების საფუძველი უნდა იყოს ლეგიტიმური და მკაცრად განსაზღვრული კანონით და ქორწინების ნებართვა უნდა გასცეს მხოლოდ ოფიციალურმა სასამართლომ ბავშვის ან ორივე ბავშვის სრული, თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობის შემთხვევაში; ეს ბავშვები პირადად უნდა წარდგინდეს სასამართლოს წინაშე;

(ზ) დაწესდეს სამართლებრივი მოთხო-

ვნა ქორწინების რეგისტრაციაზე და უზრუნველყოფილი იქნეს მისი ეფექტიანი განხორციელება ცნობიერების ამაღლების, განათლებისა და ადევნატური ინფრასტრუქტურის არსებობის მეშვეობით, რომელიც რეგისტრაციას ხელმისაწვდომს გახდის ყველა პირისთვის მათ იურისდიქციაში;

(თ) დაინერგოს დაბადების სავალდებულო, მისაწვდომი და უფასო რეგისტრაციის ეროვნული სისტემა მავნე პრაქტიკის, მათ შორის ბავშვის ქორწინების, თავიდან ასაცილებლად;

(ი) ადამიანის უფლებათა დამცველ სახელმწიფო ინსტიტუტებს მიენიჭოთ მანდატი, განიხილონ ინდივიდუალური საჩივრები და პეტიციები, მათ შორის უშუალოდ ქალების და ბავშვების მიერ თუ მათი სახელით წარმოდგენილი საჩივრები, და ჩაატარონ გამოძიებები კონფიდენციალურობის დაცვით, გენდერულ საკითხებზე ორიენტირებით და ბავშვისადმი კეთილგანწყობილი სახით;

(კ) კანონი ავალდებულებდეს იმ პროფესიონალებს და დაწესებულებებს, რომლებიც მუშაობენ და მომსახურებას უწევენ ქალებს და ბავშვებს, სათანადო ორგანოებს შეატყობინონ მავნე პრაქტიკის შემთხვევის ან მისი რისკის შესახებ, თუ აქვთ დასაბუთებული ეჭვი, რომ ადგილი ჰქონდა ან შეიძლება ჰქონდეს მავნე პრაქტიკის შემთხვევას. სავალდებულო შეტყობინების პასუხისმგებლობამ უნდა უზრუნველყოს იმ პირთა კონფიდენციალურობის დაცვა, ვინც შეტყობინებას წარადგენს;

(ლ) სისხლის სამართლის კანონმდებლობის შემუშავებისა და ცვლილებისკენ მიმართულ ყველა ინიციატივასთან ერთად დაინერგოს დაცვის ზომები და სერვისები მსხვერპლთათვის და იმ პირთათვის, ვისაც ემუქრება მავნე პრაქტიკისთვის დაქვემდებარების რისკი;

(მ) კანონმდებლობამ დაანესოს იურისდიქცია მავნე პრაქტიკის დანაშაულისთვის, რომელიც გავრცელდება მონაწილე სახელმწიფოს მოქალაქეებსა და მუდმივად მცხოვრებ პირებზე იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც ეს დანაშაულები ჩადენილია სახელმწიფოში, სადაც ისინი არ არის კრიმინალიზებული;

(ნ) იმიგრაციასა და თავშესაფართან დაკავშირებულმა კანონმდებლობამ და პოლიტიკამ მავნე პრაქტიკისთვის დაქვემდებარების ან ამგვარი პრაქტიკის შედეგად დევნის რისკი აღიარონ თავშესაფრის მინიჭების

საფუძვლად. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ასევე, თითოეულ ცალკეულ შემთხვევაში, დაცვის უზრუნველყოფა ნათესავისთვის, რომელიც შეიძლება თან ახლდეს გოგოს ან ქალს;

(ო) კანონმდებლობაში შევიდეს დებულებები რეგულარული შეფასებისა და მონიტორინგის, მათ შორის განხორციელებასთან, აღსრულებასა და შემდგომ ქმედებებთან დაკავშირებული შეფასებისა და მონიტორინგის, შესახებ;

(პ) იმ ქალებსა და ბავშვებს, რომლებიც დაექვემდებარნენ მავნე პრაქტიკას, სხვების თანასწორად მიუწვდებოდეთ ხელი მართლმსაჯულებაზე, მათ შორის სამართალწარმოების დაწყებისთვის არსებული ისეთი სამართლებრივი და პრაქტიკული ბარიერების აღმოფხვრით, როგორებიც არის საჩივრის ხანდაზმულობის ვადა, და რომ დანაშაულის ჩამდენთ და იმ პირებს, ვინც ხელს უწყობს ან თვალს ხუჭავს ამ დანაშაულზე, დაეკისროთ პასუხისმგებლობა;

(ჟ) კანონმდებლობა ითვალისწინებდეს სავალდებულო შემაკავებელ ან დამცავ ორდერებს იმ პირების დასაცავად, ვისაც ემუქრება მავნე პრაქტიკისთვის დაქვემდებარების რისკი და ასევე უზრუნველყოფდეს მათ უსაფრთხოებას და ზომებს შურისძიებისგან მსხვერპლთა დასაცავად;

(რ) ძალადობის მსხვერპლებს სხვებთან თანასწორად და რეალურად მიუწვდებოდეთ ხელი სამართლებრივი დაცვის საშუალებებზე და ზიანის სათანადო ანაზღაურებაზე.

გ. მავნე პრაქტიკის პრევენცია

56. მავნე პრაქტიკასთან ბრძოლაში ერთ-ერთი პირველი ნაბიჯია პრევენცია. ორივე კომიტეტს გაუმახვილებია ყურადღება იმ ფაქტზე, რომ პრევენციის ყველაზე კარგი საშუალებაა სოციალური და კულტურული ნორმების ცვლილებისადმი უფლებებზე დამყარებული მიდგომის დამკვიდრება, ქალებისა და გოგოების გაძლიერება, მსხვერპლებთან, პოტენციურ მსხვერპლებთან და მავნე პრაქტიკის ჩამდენ პირებთან ყველა დონეზე რეგულარული კონტაქტის მქონე ყველა პროფესიონალის შესაძლებლობათა განვითარება და მავნე პრაქტიკის მიზეზებისა და შედეგების შესახებ ცნობიერების ამაღლება, მათ შორის შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან დიალოგის მეშვეობით.

1. უფლებებზე დაფუძნებული სოციალური და კულტურული ნორმების დამყარება

57. სოციალური ნორმა ის ფაქტორია, რომელიც ხელს უწყობს თემში არსებულ გარკვეულ პრაქტიკას და წარმოადგენს მის სოციალურად განმსაზღვრელ ფაქტორს, რომელიც შეიძლება იყოს პოზიტიური და განამტკიცოს თემის იდენტობა და ერთობა, ან კიდევ შეიძლება იყოს ნეგატიური და პოტენციურად ზიანს განაპირობებდეს. ეს ასევე არის ქცევის სოციალური წესი და თემის წევრებისგან ელიან ამ წესის დაცვას. ეს ქმნის და განამტკიცებს სოციალური ვალდებულების კოლექტიურ გრძნობას, ასევე მოლოდინს, რომელიც განაპირობებს თემის ცალკეული წევრების ქცევას, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი პირადად არ ეთანხმებიან ამა თუ იმ პრაქტიკას. მაგალითად, იმ თემებში, სადაც ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება სოციალურ ნორმას წარმოადგენს, მშობლები მოტივირებულები არიან, დათანხმდნენ მათი ქალიშვილებისთვის ამ ქმედების განხორციელებაზე, ვინაიდან ხედავენ, რომ ამას სხვა მშობლებიც აკეთებენ და მიჩნიათ, რომ მათგანაც იმავეს ელიან. ნორმას ან პრაქტიკას ხშირად აგრძელებენ თემის წარმომადგენელი სხვა ქალები, ვისაც ეს პროცედურა უკვე ჩატარებული აქვს, რომლებიც ახალგაზრდა ქალებზე ახორციელებენ ზეწოლას, რომ შეასრულონ ეს პროცედურა, წინააღმდეგ შემთხვევაში ოსტრაკიზმით, გარიყვით და სტიგმატიზაციით ემუქრებიან. ასეთ დროს მარგინალიზაცია შეიძლება მოიცავდეს მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სოციალური მხარდაჭერისა და სოციალური მობილურობის დაკარგვას. და პირიქით, თუ ადამიანები იცავენ სოციალურ ნორმას, ისინი ელიან საკუთარი დამსახურების აღიარებას, მაგალითად, საზოგადოებაში ჩართვას და შექებას. იმ სოციალური ნორმების შეცვლისთვის, რომლებიც საფუძვლად უდევს მავნე პრაქტიკას, საჭიროა აღნიშნულ მოლოდინებთან დაპირისპირება და მათი შეცვლა.
58. სოციალური ნორმები ურთიერთდაკავშირებულია, რაც ნიშნავს, რომ ცალკე აღებული მავნე პრაქტიკა ვერ აღმოიფხვრება: ეს უნდა მოხდეს უფრო ფართო კონტექსტში და ყოველმხრივ უნდა იქნეს გააზრებული, თუ როგორ არის ეს პრაქტიკა დაკავშირებული სხვა კულტურულ და სოციალურ ნორმებთან და სხვა პრაქტიკასთან. ეს გვაჩვენებს იმის საჭიროებას, რომ დამკვიდრდეს უფლებებზე

- დამყარებული მიდგომა, რომელსაც საფუძვლად უდევს უფლებების განუყოფელი და ურთიერთდამოკიდებული ხასიათის აღიარება.
59. ამ პროცესში შეიძლება თავი იჩინოს გამოწვევა - ანუ იმ ფაქტმა, რომ მავნე პრაქტიკა შეიძლება აღიქმებოდეს როგორც სასარგებლო შედეგების მომტანი მსხვერპლებისა და მათი ოჯახების წევრებისათვის და თემისათვის. შესაბამისად, ნებისმიერ მიდგომას, რომლის მიზანია მხოლოდ ინდივიდუალური ქცევის შეცვლა, წინ მნიშვნელოვანი შეზღუდვები ედობება. ნაცვლად ამისა, საჭიროა ფართო და ერთიანი კოლექტიური ან თემზე დაფუძნებული მიდგომა. კულტურული თვალსაზრისით სენსიტიურ ინტერვენციებს, რომლებიც განამტკიცებს ადამიანის უფლებებს და მავნე პრაქტიკით დაკავებულ თემებს აძლევს შესაძლებლობას, კოლექტიურად შეისწავლონ და შეთანხმდნენ საკუთარი ფასეულობებისა და ღირსების დაცვის თუ ტრადიციების პატივისცემის ალტერნატიულ გზებზე, ისე, რომ არ მიაყენონ ზიანი ქალებსა და ბავშვებს და არ დაარღვიონ მათი უფლებები, შესწევთ მავნე პრაქტიკის მდგრადი და ფართომასშტაბიანი აღმოფხვრის და ახალი სოციალური წესების კოლექტიურად მიღების ხელშეწყობის უნარი. ალტერნატიული პრაქტიკის კოლექტიური მიღების საჯარო მანიფესტაცია დახმარებას გაუწევს ამ პრაქტიკის გრძელვადიანი მდგრადობის განმტკიცებას. ამ თვალსაზრისით გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება პროცესში თემის ლიდერთა აქტიურ ჩართულობას.
60. **კომიტეტები რეკომენდაციას უწევენ კონვენციების მონაწილე სახელმწიფოებს, რომ მათ უზრუნველყონ, რომ მავნე პრაქტიკასთან ბრძოლის და მისი გამომწვევი სოციალური ნორმების შეცვლისკენ მიმართულ ნებისმიერ მცდელობებს პქონდეს ერთიანი, თემის მონაწილეობაზე დაფუძნებული ხასიათი და საფუძვლად ედოს უფლებებზე დამყარებული მიდგომა, რომელიც მოიცავს ყველა შესაბამისი დაინტერესებული მხარის, განსაკუთრებით ქალებისა და გოგონების, აქტიურ მონაწილეობას.**

2. ქალებისა და გოგონების გაძლიერება

61. მონაწილე სახელმწიფოებს აკისრიათ ვალდებულება, დაუპირისპირდნენ და შეცვალონ პატრიარქალური იდეოლოგიები და სტრუქტურები, რომლებიც ხელს უშლის ქალებსა და გოგონებს მათი უფლებებით და თავისუფლებებით სრულფასოვნად სარგებლობაში. იმისათვის,

რომ ქალებმა და გოგოებმა გადალახონ სოციალური გარიყვა და სიღარიბე, რომელშიც ბევრი მათგანი ცხოვრობს და რომელიც ზრდის მათ მონყვლადობას ექსპლუატაციის, მავნე პრაქტიკისა და გენდერული ნიშნით ძალადობის სხვა ფორმების მიმართ, საჭიროა მათთვის ისეთი უნარებისა და კომპეტენციების სწავლება, რომლებიც აუცილებელია მათ მიერ საკუთარი უფლებების მოსათხოვნად და საკუთარი ცხოვრების შესახებ დამოუკიდებელი და ინფორმირებული გადაწყვეტილებების მი-საღებად და არჩევანის გასაკეთებლად. ამ თვალსაზრისით განათლება მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ქალებისა და გოგოების გა-საძლიერებლად, რათა მათ მოითხოვონ სა-კუთარი უფლებების განხორციელება.

62. არსებობს მკაფიო ურთიერთკავშირი განათლებაში გოგოებისა და ქალების და-ბალ მოსწრებას და მავნე პრაქტიკის გავრ-ცელებას შორის. კონვენციათა მონაწილე სახელმწიფოებს აკისრიათ ვალდებულებები, უზრუნველყონ მაღალი ხარისხის განათლება-ზე საყოველთაო უფლების განხორციელება და შექმნან ხელშემწყობი გარემო, რომე-ლიც გოგოებსა და ქალებს მისცემს შესაძ-ლებლობას, გახდნენ ცვლილებათა ინიცია-ტორები (ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლები 28-29; ქალთა დისკრიმინაციის ყვე-ლა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია, მუხლი 10). ეს მოიცავს საყოველთაო, უფასო და სავალდებულო დაწყებითი განათლების და რეგულარული დასწრების უზრუნველყოფას, სკოლის მიტოვების თავიდან აცილებას, არსებული გენდერული უთანასწორობების აღმოფხვრას და ყველაზე მარგინალიზებული გოგოებისთვის, მათ შორის ცენტრიდან მო-შორებით და სოფლად მცხოვრები გოგოე-ბისთვის განათლების მისაწვდომობის ხელშეწყობას. ამ ვალდებულებების შესრულებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ სკოლები და მათი შემოგარენი იყოს უსაფრთხო, გო-გოებისადმი კეთილგანწყობილი და ხელს უწყობდეს მათ ოპტიმალურ მოსწრებას.

63. დაწყებითი და საშუალო განათლების დას-რულებას გოგოებისთვის მოაქვს როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი სარგებ-ლობა: ხელს უწყობს ბავშვების ქორწინებისა და მოზარდების ორსულობის თავიდან აცილებას და ჩვილ ბავშვთა და დედათა ავადობისა და სიკვდილიანობის მაჩვენებლების შემცირებას, ამზადებს ქალებსა და გოგოებს იმისათვის, რომ შეძლონ უკეთესად მოითხოვონ საკუთარი

უფლება - არ დაექვემდებარონ ძალადობას და ზრდის მათთვის ცხოვრების ყველა სფეროში ქმედითი მონაწილეობის შესაძლებლობებს. კომიტეტები მუდმივად მოუწოდებენ მონაწილე სახელმწიფოებს, მიიღონ ზომები, რათა მოს-წავლეებმა რეგულარულად იარონ საშუალო სკოლებში და ბოლომდე მიიღონ საშუალო განათლება, ასევე მოუწოდებენ, უზრუნველყონ, რომ მოსწავლეებმა დაამთავრონ დაწყებითი სკოლა, გააუქმონ სკოლაში სწავლის გადა-სახადები როგორც დაწყებით, ისე საშუალო დონეებზე, ხელი შეუწყონ საშუალო განათ-ლების, მათ შორის ტექნიკურ-პროფესიული სასწავლო შესაძლებლობების თანაბარ მისა-წვდომობას და გაითვალისწინონ საშუალო განათლების სავალდებულოდ ქცევა. მოზარდი გოგოების უფლება, გააგრძელონ სწავლა ორსულობის დროს და მშობიარობის შემდეგ შეიძლება გარანტირებული იქნეს სკოლაში დაბრუნების არადისკრიმინაციული პოლიტიკის მეშვეობით.

64. იმ გოგოებისთვის, რომლებიც არ დადიან სკოლაში, სწავლის ერთადერთ გზად რჩება არაოფიციალური განათლება და მან უნდა უზრუნველყოს საბაზისო განათლება და ცხოვ-რებისეული უნარ-ჩვევების სწავლება. ეს წარმოადგენს ოფიციალური სწავლის ალტერ-ნატივას მათთვის, ვინც ვერ დაამთავრა დაწყებითი ან საშუალო სკოლა. შესაძლებე-ლია ამ სახის განათლების მიწოდება რადი-ოპროგრამების და სხვა მედიის, მათ შორის ციფრული მედიის, მეშვეობით.

65. ქალებს და გოგოებს საკუთარი ეკონომიკური აქტივების შექმნის შესაძლებლობას აძლევს ტრენინგი საარსებო საშუალებათა მოპოვებასა და სამენარმეო უნარ-ჩვევებში. ისინი ასევე დიდ სარგებლობას იღებენ პროგრამებიდან, რომლებიც სთავაზობს მათ ეკონომიკურ მოტივაციას იმისათვის, რომ არ იქორწინონ 18 წლის ასაკამდე. ეს შეიძლება იყოს სტი-პენდიები, მიკროსაკრედიტო პროგრამები ან დანაზოგების პროგრამები (ქალთა დისკრი-მინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენ-ცია, მუხლები 11 და 13; ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი 28). ცნობიერების ამაღლე-ბის დამატებით პროგრამებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რომ ქალებს მიე-წოდოთ ინფორმაცია მათი უფლების - იმუშაონ ოჯახის გარეთ - შესახებ, ასევე იმისათვის, რომ აღმოიფხვრას ქალების მუშაობასთან და-კავშირებული ტაბუები.

66. ქალებისა და გოგოების გაძლიერების კიდევ

ერთი საშუალებაა მათი სოციალური აქტივების შექმნა. ეს შეიძლება გაკეთდეს უსაფრთხო ადგილების შექმნით, სადაც გოგოებსა და ქალებს შეეძლება თანატოლებთან, მრჩევლებთან, მასწავლებლებთან და თემის ლიდერებთან ურთიერთობა და საკუთარი თავის გამოხატვა, ლაპარაკი საკუთარ მისწრაფებებსა და პრობლემებზე და მათ ცხოვრებაზე ზემოქმედების მქონე გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობა. ეს დაეხმარება მათ საკუთარი თავის პატივისცემის და საკუთარი ძალების რწმენის განვითარებაში, კომუნიკაციის, მოლაპარაკების წარმოებისა და პრობლემების მოგვარების უნარების, ასევე საკუთარი უფლებების შესახებ ცოდნის შექმნაში. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს მიგრანტი გოგოებისთვის. იმის გათვალისწინებით, რომ მამაკაცებს ტრადიციულად მეტი ძალაუფლება და ზეგავლენა აქვთ ყველა დონეზე, არსებითი მნიშვნელობა აქვს მათ ჩართვას ამ პროცესში, რათა ბავშვებს და ქალებს ჰქონდეთ საკუთარი ოჯახების, თემების, სამოქალაქო საზოგადოებისა და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაში პირების მხრიდან მხარდაჭერა და მონაწილეობა.

67. ბავშვობა და ყველაზე გვიან მოზარდობის ადრეული პერიოდი - ეს ის დროა, როდესაც შესაძლებელია როგორც გოგოებისთვის, ისე ბიჭებისთვის დახმარების განწევა გენდერული დამოკიდებულებების შეცვლაში და სახლში, სკოლაში და ფართო საზოგადოებაში ქცევის უფრო პოზიტიური როლებისა და ფორმების მიღებაში. ეს ნიშნავს მათთან სოციალური ნორმების, დამოკიდებულებებისა და იმ მოლოდინების შესახებ დისკუსიების ხელშეწყობას, რომლებიც უკავშირდება ტრადიციულ ქალურ და მამაკაცურ და სქესთან და გენდერთან დაკავშირებულ სტერეოტიპულ როლებს, და მუშაობას მათთან პარტნიორობით პერსონალური და სოციალური ცვლილების მისაღწევად, ცვლილებისა, რომელიც მიზნად ისახავს გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრას და განათლების, განსაკუთრებით გოგოების განათლების, დაფასებას, იმ მავნე პრაქტიკის აღმოსაფხვრელად, რომელიც განსაკუთრებულ ზემოქმედებას ახდენს ბავშვ და მოზარდ გოგოებზე.

68. ქალები და მოზარდი გოგოები, რომლებიც დაექვემდებარნენ მავნე პრაქტიკას ან ემუქრებათ ამის საფრთხე, დგანან მათი სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთე-

ლობისთვის მნიშვნელოვანი რისკების წინაშე, კერძოდ, ისეთ კონტექსტებში, როდესაც მათ უკვე ეღობებათ ბარიერები ამგვარ საკითხებზე გადაწყვეტილებათა მიღებისას, რაც ადეკვატური ინფორმაციისა და სერვისების, მათ შორის მოზარდებისადმი კეთილგანწყობილი სერვისების, ნაკლებობის შედეგია. ამიტომ საჭიროა განსაკუთრებული ყურადღების მიპყრობა იმისათვის, რომ ქალებსა და მოზარდებს ხელი მიუწვდებოდეთ სწორ ინფორმაციაზე სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების და მავნე პრაქტიკის ზემოქმედების შესახებ, ასევე ხელი მიუწვდებოდეთ ადეკვატურ და კონფიდენციალურ სერვისებზე. ასაკისთვის შესაფერისი განათლება, რომელიც მოიცავს სამეცნიერო ინფორმაციას სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ, ხელს უწყობს გოგოებისა და ქალების გაძლიერებას, რათა მათ მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილებები და მოითხოვონ საკუთარი უფლებების განხორციელება. ამ მხრივ სათანადო ცოდნის, საკითხის გათვითცნობიერებისა და შესაბამისი უნარების მქონე ჯანდაცვის მუშაკები და მასწავლებლები გადაამწყვეტ როლს თამაშობენ ინფორმაციის გადაცემაში, მავნე პრაქტიკის პრევენციაში და იმ ქალებისა და გოგოების იდენტიფიცირებასა და დახმარებაში, ვინც არის მავნე პრაქტიკის მსხვერპლი ან ვისაც ემუქრება ამის საშიშროება.

69. **კომიტეტები რეკომენდაციას უწევენ კონვენციების მონაწილე სახელმწიფოებს, რომ მათ:**

(ა) შემოიღონ საყოველთაო, უფასო და სავალდებულო, გოგოების მიმართ კეთილგანწყობილი დანყებითი განათლება, მათ შორის ცენტრიდან მოშორებით მდებარე და სასოფლო რაიონებშიც, იფიქრონ საშუალო განათლების სავალდებულოდ ქცევაზე და, ამავე დროს, უზრუნველყონ ეკონომიკური სტიმულები ორსული გოგოებისა და მოზარდი დედებისათვის, რათა მათ დაამთავრონ საშუალო სკოლა, და დანერგონ სკოლაში დაბრუნების არადისკრიმინაციული პოლიტიკა;

(ბ) გოგოებისა და ქალებისთვის უზრუნველყონ სწავლისა და ეკონომიკური შესაძლებლობები უსაფრთხო და ხელშეწყობ გარემოში, სადაც მათ განუვითარდებათ საკუთარი თავის პატივისცემა, მიიღებენ ინფორმაციას საკუთარი უფლებების შესახებ და აითვისებენ კომუნიკაციის, მოლაპარაკების წარმოებისა და პრობლემების

მოგვარების უნარებს;

(გ) სასწავლო პროგრამებში შეიტანონ ინფორმაცია ადამიანის უფლებების შესახებ, მათ შორის ქალებისა და ბავშვების უფლებების, გენდერული თანასწორობისა და თვითშეგნების შესახებ, და ხელი შეუწყონ გენდერული სტერეოტიპების აღმოფხვრას და დისკრიმინაციისგან თავისუფალი გარემოს შექმნას;

(დ) უზრუნველყონ, რომ სკოლები მოსწავლეებს აწვდიდნენ ასაკისთვის შესაფერის ინფორმაციას სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ, მათ შორის გენდერულ ურთიერთობებთან და პასუხისმგებლობით აღსავსე სექსუალურ ქცევასთან, აივ ინფექციის პრევენციასთან, კვებასთან და ძალადობისა და მავნე პრაქტიკისგან დაცვასთან დაკავშირებულ ინფორმაციას;

(ე) უზრუნველყონ არაოფიციალური საგანმანათლებლო პროგრამების მისწავლამოა იმ გოგოებისთვის, ვინც მიატოვა სკოლაში სწავლა ან ვისაც არასოდეს უსწავლია სკოლაში და წერა-კითხვის უცოდინარია, და აკონტროლონ ამ პროგრამების ხარისხი;

(ვ) ჩართონ მამაკაცები და ბიჭები ქალებისა და გოგოების გაძლიერების ხელშეწყობი გარემოს შექმნაში.

3. შესაძლებლობათა განვითარება ყველა დონეზე

70. მავნე პრაქტიკის აღმოფხვრის პროცესში ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა შესაბამის პროფესიონალებს (უშუალოდ მსხვერპლებთან თუ პოტენციურ მსხვერპლებთან ურთიერთობის მქონე პროფესიონალების ჩათვლით) შორის ცოდნისა თუ უნარების ნაკლებობა ადეკვატურად გაათვითცნობიერონ, დაადგინონ და რეაგირება მოახდინონ მავნე პრაქტიკის შემთხვევებზე ან რისკზე. შესაძლებლობათა განვითარებისადმი კომპლექსური, ერთიანი და ქმედითი მიდგომა მიზნად უნდა ისახავდეს გავლენიანი ლიდერების, როგორებიც არიან ტრადიციული და რელიგიური ლიდერები, და რაც შეიძლება მეტი შესაბამისი პროფესიონალის, მათ შორის ჯანდაცვის, განათლებისა და სოციალური მუშაკების, თავმჯდომარეებისა და იმიგრაციის ორგანოთა თანამშრომლების, პოლიციის, პროკურორების, მოსამართლეებისა და ყველა დონის პოლიტიკოსების, ჯგუფების ჩართვას ამ

პროცესში. მათ უნდა მიენდობოთ ადეკვატური ინფორმაცია ამ პრაქტიკის და ადამიანის უფლებების შესაბამისი ნორმებისა და სტანდარტების შესახებ, რათა ხელი შეეწყოს ცვლილებას მათი ჯგუფისა და უფრო ფართო საზოგადოების დამოკიდებულებებში და ქცევის ფორმებში.

71. დავების მოგვარების ალტერნატიული მექანიზმების ან მართლმსაჯულების ტრადიციული სისტემების არსებობისას ამ სისტემების მართვაზე პასუხისმგებელ პირებს უნდა ჩაუტარდეთ ტრენინგები ადამიანის უფლებებისა და მავნე პრაქტიკის შესახებ. პოლიციის თანამშრომლებს, პროკურორებს, მოსამართლეებსა და კანონის აღსრულების სფეროს სხვა თანამშრომლებს ასევე ესაჭიროებათ ტრენინგი იმ ახალი თუ არსებული კანონმდებლის შესახებ, რომელიც ახდენს მავნე პრაქტიკის კრიმინალიზებას, რათა მათ იცოდნენ ქალებისა და ბავშვების უფლებები და მგრძობიარედ ეკიდებოდნენ მსხვერპლთა მოწყვლად მდგომარეობას.

72. იმ მონაწილე სახელმწიფოებში, სადაც მავნე პრაქტიკა ძირითადად იმიგრანტ თემებშია გავრცელებული, ჯანდაცვის მიმწოდებლებს, მასწავლებლებსა და ბავშვებზე ზრუნვის სპეციალისტებს, სოციალურ მუშაკებს, პოლიციის თანამშრომლებს, მიგრაციის ორგანოთა და მართლმსაჯულების სექტორის თანამშრომლებს უნდა ჩაუტარდეთ ტრენინგები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა მოხდეს იმ გოგოებისა და ქალების იდენტიფიცირება, ვინც დაქვემდებარება მავნე პრაქტიკას ან ელის ამის საშიშროება, და რა ზომები შეიძლება და უნდა იქნეს მიღებული მათ დასაცავად.

73. კომიტეტები რეკომენდაციას უწევენ კონვენციების მონაწილე სახელმწიფოებს, რომ მათ:

(ა) უშუალოდ მსხვერპლებთან ურთიერთობის მქონე პროფესიონალებს მიაწოდონ ინფორმაცია მავნე პრაქტიკის და შესაბამისი ადამიანის უფლებების ნორმებისა და სტანდარტების შესახებ და უზრუნველყონ მათი სათანადო ტრენინგი მავნე პრაქტიკის შემთხვევათა პრევენციის, იდენტიფიცირების და მათზე რეაგირების მიზნით, მათ შორის მსხვერპლთათვის ნეგატიური შედეგების შერბილების და მათთვის სამართლებრივი დაცვის საშუალებებისა და ზიანის ანაზღაურების, ასევე შესაბამისი სერვისების მიღებაში დახმარების მიზნით;

(ბ) ჩაუტარონ ტრენინგები იმ პირებს, ვინც ჩართულია დავების მოგვარების ალტერნატიულ პროცესებში და მართლმსაჯულების ტრადიციულ სისტემებში, რათა მათ სათანადოდ გაითვალისწინონ ადამიანის უფლებათა ძირითადი პრინციპები, განსაკუთრებით ბავშვის საუკეთესო ინტერესები და ბავშვთა მონაწილეობა ადმინისტრაციულ და სასამართლო საქმისწარმოებაში;

(გ) ჩაუტარონ ტრენინგები კანონის აღსრულების სფეროს ყველა პროფესიონალს, მათ შორის სასამართლო სისტემის წარმომადგენლებს, ახალი და არსებული კანონმდებლობის შესახებ, რომელიც კრძალავს მავნე პრაქტიკას, და უზრუნველყონ, რომ მათ გათვითცნობიერებული ჰქონდეთ ქალებისა და ბავშვების უფლებები და საკუთარი როლი მავნე პრაქტიკის ჩამდენთა სამართლებრივი დევნის და ამ პრაქტიკის მსხვერპლთა დაცვის პროცესში;

(დ) ჩაატარონ ცნობიერების ამაღლებისა და ტრენინგის სპეციალური პროგრამები ჯანდაცვის მუშაკებისთვის, რომლებიც მუშაობენ იმიგრანტთა თემებთან, რათა მათ შეძლონ ადეკვატურად რეაგირება იმ ბავშვებისა და ქალების განსაკუთრებულ საჭიროებებზე, ვინც განიცადა ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება ან სხვა მავნე პრაქტიკა; ასევე ჩაუტარონ სპეციალური ტრენინგები ბავშვთა კეთილდღეობის სამსახურების და ქალთა უფლებების დამცველი სამსახურების, განათლების, პოლიციისა და მართლმსაჯულების სექტორების პროფესიონალებს, პოლიტიკოსებსა და მედიასამუალებათა თანამშრომლებს, ვისაც უნევს მუშაობა მიგრანტ ქალებთან და გოგოებთან.

4. ცნობიერების ამაღლება, საზოგადოებრივი დიალოგი და ვალდებულების საჯაროდ განცხადება

74. იმ სოციალურ-კულტურული ნორმებისა და დამოკიდებულებების შესაცვლელად, რომლებიც საფუძვლად უდევს მავნე პრაქტიკას, მათ შორის მამაკაცების მიერ დომინირებული ძალაუფლებრივი სტრუქტურების, სქესსა და გენდერზე დაფუძნებული დისკრიმინაციისა და ასაკზე დამყარებული იერარქიის აღმოსაფხვრელად ორივე კომიტეტი რეკომენდაციას უწევს მონაწილე სახელმწიფოებს, რომ მათ ჩაატარონ საზოგადოების ინფორმირებისა და ცნობიერების ამაღლების ფართო კამპანიები მავნე პრაქტიკის აღმოფხვრის გრძელვადიანი სტრატეგიის ფარგლებში.

75. ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული ზომები უნდა მოიცავდეს ზუსტ ინფორმაციას სარწმუნო წყაროებიდან მავნე პრაქტიკით მოტანილი ზიანის შესახებ და დამაჯერებელ მიზეზებს, თუ რატომ უნდა აღმოიფხვრას ეს პრაქტიკა. ამ მხრივ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს მნიშვნელოვანი ფუნქციის შესრულება შეუძლიათ ახლებური ამროვნების ჩამოყალიბებაში, კერძოდ, მათ შეუძლიათ ქალებისა და ბავშვებისთვის უზრუნველყონ ნდობა მათი სოციალური და მორალური კეთილდღეობისა და ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის პროპაგანდირებისკენ მიმართულ ინფორმაციასა და მასალებზე, ორივე კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების - დაიცვან ისინი მავნე პრაქტიკისაგან - შესაბამისად.

76. ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული კამპანიები შექმნის შესაძლებლობას, წამოწყებული იქნეს საზოგადოებრივი დისკუსიები მავნე პრაქტიკის შესახებ, რათა კოლექტიურად იქნეს განხილული ისეთი ალტერნატივები, რომლებიც არ იწვევს ზიანს და არ არღვევს ქალებისა და ბავშვების უფლებებს და მიღწეული იქნეს კონსენსუსი იმასთან დაკავშირებით, რომ შესაძლებელი და აუცილებელია იმ სოციალური ნორმების შეცვლა, რომლებიც საფუძვლად უდევს და ხელს უწყობს მავნე პრაქტიკის არსებობას. თემის კოლექტიური სიამაყე იმით, რომ მისი წევრები ერთობლივად დაადგინენ და მიიღებენ მისი ძირითადი ფასეულობების განხორციელების ახალ გზებს, უზრუნველყოფს ვალდებულების წარმოქმნას და ისეთი ახალი სოციალური ნორმების მდგრადობას, რომლებიც არ იწვევს ზიანის მიყენებას ან ადამიანის უფლებების დარღვევას.

77. ყველაზე ქმედითია ისეთი ძალისხმევა, რომელშიც ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე ყველა დონეზე, განსაკუთრებით ქალები და გოგოები დაზარალებული თემებიდან და მამაკაცები და ბიჭები. გარდა ამისა, ეს ძალისხმევა საჭიროებს ადგილობრივი ლიდერების მონაწილეობას და მათი მხრიდან მხარდაჭერას, მათ შორის ადეკვატური რესურსების გამოყოფის გზით. შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან, ინსტიტუტებთან, ორგანიზაციებთან და სოციალურ ქსელებთან (რელიგიურ და ტრადიციულ ლიდერებთან, პრაქტიკოსებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან) პარტნიორობების დამყარება ან ახალი პარტნიორობების შექმნა ხელს შეუ-

წყობს მოსახლეობის ჯგუფებს შორის კავშირების გაღრმავებას.

78. კარგი იქნებოდა ინფორმაციის გავრცელება იმ პოზიტიური მოვლენების შესახებ, რომლებიც მოჰყვა მავნე პრაქტიკის აღმოფხვრას ადგილობრივ თემში, დიასპორაში ან ისეთივე სხვა თემებში იმავე გეოგრაფიულ რეგიონში, სადაც მისდევდნენ ამ პრაქტიკას, ასევე კარგი პრაქტიკის მაგალითების გაზიარება, მათ შორის სხვა რეგიონებიდან. ეს შეიძლება გაკეთდეს ადგილობრივი, ეროვნული თუ რეგიონული მასშტაბის კონფერენციების ან ღონისძიებების, თემის ლიდერთა ვიზიტების ან აუდიოვიზუალური ინსტრუმენტების გამოყენების გზით. გარდა ამისა, ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული საქმიანობა საგულდაგულოდ უნდა დაიგეგმოს, რათა ზუსტად ასახოს ადგილობრივი კონტექსტი, არ გამოიწვიოს უკუჩქვანა და მსხვერპლების და/ან ამ პრაქტიკის მიმდევარი თემების სტიგმატიზაცია და/ან დისკრიმინაცია.
79. სათემო და ქვეყნის მასშტაბის მედია მნიშვნელოვანი პარტნიორები იქნებიან მავნე პრაქტიკის შესახებ ცნობიერების ამაღლებასა და საზოგადოების ინფორმირებაში. მათ შეუძლიათ მთავრობებთან ერთად მოაწიონ ერთობლივი ინიციატივები და უმასპინძლონ დებატებს ან ტოქშოებს, მოამზადონ და გაუშვან დოკუმენტური ფილმები და შეიმუშაონ საგანმანათლებლო პროგრამები რადიოსა და ტელევიზიისათვის. ინფორმაციის გავრცელებისა და დებატებისთვის შესაძლებლობების შექმნაში მნიშვნელოვან ინსტრუმენტებად გამოდგება ინტერნეტი და სოციალური მედია; სულ უფრო აქტიურად ხდება მობილური ტელეფონების გამოყენება გზავნილების გადასაცემად და ყველა ასაკის ადამიანებთან ურთიერთობის დასამყარებლად. სათემო მედიას მნიშვნელოვანი ფორუმის როლის შესრულება შეუძლია ინფორმაციის გადასაცემად და დიალოგის გასამართად. ეს შეიძლება იყოს რადიო, ქუჩის თეატრი, მუსიკა, ხელოვნება, პოეზია და თოჯინების თეატრი.
80. იმ მონაწილე სახელმწიფოებში, სადაც არსებობს მავნე პრაქტიკის წინააღმდეგ მიმართული ქმედითი და აღსრულებადი კანონმდებლობა, არსებობს საშიშროება, რომ ამ პრაქტიკის მიმდევარი თემები შეეცდებიან, დაფარონ თავიანთი ქმედებები ან წავიდნენ საზღვარგარეთ, რათა გააგრძელონ მავნე პრაქტიკის განხორციელება. იმ ნევრმა სახელმწიფოებმა, რომლებშიც ამგვარი თემები

გადავლენ, უნდა ანარმონ მავნე პრაქტიკის მსხვერპლებზე ან სავარაუდო მსხვერპლებზე ამ პრაქტიკის საზიანო ზეგავლენის, ასევე დარღვევების იურიდიული შედეგების შესახებ ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიები და, ამავე დროს, თავიდან უნდა აიცილონ ამ თემების დისკრიმინაცია და სტიგმატიზაცია. ამ თვალსაზრისით მიღებული უნდა იქნეს ზომები ასეთი თემების სოციალური ინტეგრაციის ხელშესაწყობად.

81. კომიტეტები რეკომენდაციას უწევენ კონვენციების მონაწილე სახელმწიფოებს, რომ მათ:

(ა) ჩამოაყალიბონ და დანერგონ ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული ყოვლისმომცველი პროგრამები იმ კულტურული და სოციალური დამოკიდებულებების, ტრადიციებისა და ადათ-წესების აღმოსაფხვრელად და შესაცვლელად, რომლებიც საფუძვლად უდევს მავნე პრაქტიკის განმარტობებელ ქცევის ფორმებს;

(ბ) უზრუნველყონ, რომ ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული პროგრამები იძლეოდეს ზუსტ ინფორმაციას სარწმუნო წყაროებიდან ქალებზე, ბავშვებზე, განსაკუთრებით გოგოებზე, მათ ოჯახებსა და ზოგადად საზოგადოებაზე მავნე პრაქტიკის ნეგატიური შედეგების შესახებ. ასეთი პროგრამები უნდა იყენებდეს სოციალურ მედიას, ინტერნეტს და სათემო კომუნიკაციისა და ინფორმაციის გავრცელების ინსტრუმენტებს;

(გ) მიიღონ ყველა საჭირო ზომა, რათა უზრუნველყონ, რომ მსხვერპლების და/ან მავნე პრაქტიკის მიმდევარი იმიგრანტი თუ უმცირესობათა თემების მიმართ არ ჰქონდეს ადგილი სტიგმატიზაციას და დისკრიმინაციას;

(დ) უზრუნველყონ, რომ სახელმწიფო სტრუქტურების თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართულ პროგრამები მოიცავდეს გადანყვეტილებათა მიმღებ პირებს და ყველა შესაბამისი პროგრამის თანამშრომლებსა და ძირითად პროფესიონალებს, რომლებიც მუშაობენ ხელისუფლების ადგილობრივი და სახელმწიფო დონის ორგანოებში და სამთავრობო უწყებებში;

(ე) უზრუნველყონ, რომ ადამიანის უფლებათა დამცველი სახელმწიფო ინსტიტუტების თანამშრომლები სრულყოფილად ათვისონ ცნობიერებდნენ მავნე პრაქტიკის ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ შედეგებს მონა-

ნილე სახელმწიფოში და რომ მათ მიიღონ დახმარება ამ პრაქტიკის აღმოფხვრის პროპაგანდირების მცდელობებში;

(ვ) ნაშრომის საზოგადოებრივი დისკუსიები მავნე პრაქტიკის პრევენციის და აღმოფხვრის ხელშესაწყობად; ამ მიზნით განსახორციელებელი ზომების მომზადებასა და განხორციელებაში ჩართონ ყველა შესაბამისი დაინტერესებული მხარე, მათ შორის ადგილობრივი ლიდერები, პრაქტიკის მიმდევრები, სახალხო ორგანიზაციები და რელიგიური თემები. ამ საქმიანობამ ხაზი უნდა გაუსვას თემის პოზიტიურ კულტურულ პრინციპებს, რომლებიც შეესაბამება ადამიანის უფლებებს და მოიცავს ინფორმაციას მავნე პრაქტიკის მიმდევარი, ანალოგიური ისტორიის მქონე თემების მიერ ამ პრაქტიკის წარმატებით აღმოფხვრის მაგალითების შესახებ;

(ზ) დაამყარონ ან განამტკიცონ პარტნიორობები მეინსტრიმულ მედიასთან, რათა ხელი შეუწყონ ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული პროგრამების განხორციელებას და საზოგადოებრივი დისკუსიების გამართვას, ასევე თვითრეგულირების იმგვარი მექანიზმების შექმნას და დაცვას, რომლებიც პატივს სცემს ადამიანების პირადი ცხოვრების კონფიდენციალურობის უფლებას.

დ. დამცავი ზომები და სენსიტიური სერვისები

82. მავნე პრაქტიკის მსხვერპლ ქალებს და ბავშვებს სჭირდებათ გადაუდებელი დახმარების სერვისები, მათ შორის სამედიცინო, ფსიქოლოგიური და იურიდიული სერვისები. ყველაზე სასწრაფოდ და აშკარად საჭირო მომსახურება იქნება გადაუდებელი სამედიცინო მომსახურება. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ დოკუმენტში განხილული მავნე პრაქტიკის ზოგიერთი სახე გულისხმობს უკიდურეს ფიზიკურ ძალადობას, ამიტომ შეიძლება საჭირო იყოს სამედიცინო ჩარევა უკიდურესი ზიანის სამკურნალოდ ან სიკვდილის თავიდან ასაცილებლად. ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრების ან სხვა მავნე პრაქტიკის მსხვერპლებს შეიძლება ასევე დასჭირდეთ მკურნალობა ან ქირურგიული ჩარევა მოკლევადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში გამოვლენილი ფიზიკური შედეგებისთვის. ბებიასეულების, ექიმების და სხვა პროფესიონალი სამედიცინო პერსონალის

სამუშაოს დანერგვამდე და სამსახურის პროცესში პროფესიული მომზადების პროგრამაში შეტანილი უნდა იქნეს იმ ქალებისა და გოგოების ორსულობისა და მშობიარობის მართვის საკითხები, ვინც განიცადა ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება.

83. დაცვის ეროვნულ სისტემებს ან, მათი არარსებობის შემთხვევაში, ტრადიციულ სტრუქტურებს უნდა დაევალოთ, იყვნენ ბავშვებისადმი კეთილგანწყობილები და გენდერულად სენსიტიურები და მათ უნდა გამოეყოთ ადევკატური რესურსები, რათა უზრუნველყონ ყველანაირი აუცილებელი დაცვის მომსახურებები იმ ქალებისა და გოგოებისათვის, ვისაც ემუქრება ძალადობის მაღალი რისკი, მათ შორის იმ გოგოებისათვის, ვინც გარბის ქვეყნიდან, რათა თავიდან აიცილოს ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება, იძულებითი ქორწინება ან დანაშაულები ე.წ. ღირსების დაცვის მიზნით. კარგი იქნებოდა ადვილად დასამახსოვრებელი, უფასო, ოცდაოთხსაათიანი ცხელი ხაზის ჩამოყალიბება, რომელიც მთელი ქვეყნის მასშტაბით იქნებოდა ხელმისაწვდომი და ცნობილი. ხელმისაწვდომი უნდა იყოს უსაფრთხოებისა და დაცვის შესაფერისი ზომები მსხვერპლთათვის, მათ შორის სპეციალურად მათთვის განკუთვნილი დროებითი თავშესაფრები ან სპეციალიზებული სერვისები ძალადობის მსხვერპლთათვის არსებულ თავშესაფრებში. რადგან მავნე პრაქტიკის დანაშაულის ჩამდენი ხშირად მსხვერპლთა მეუღლეები, ოჯახის წევრები ან მათი თემების წევრები არიან, დაცვის მომსახურების განწვევას გათვალისწინებული უნდა იქნეს მსხვერპლის გადაყვანა მისი თემიდან, თუკი არსებობს საფუძველი იმის ვარაუდისთვის, რომ მსხვერპლს იქ რაიმე საფრთხე დაემუქრება. არ უნდა იქნეს დამცველი მსხვერპლის მონახულება მეთვალყურეობის გარეშე, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც საქმე ე.წ. ღირსების დაცვას ეხება. მსხვერპლთათვის ასევე უნდა არსებობდეს ფსიქოსოციალური დახმარება, იმნუთიერი და მომავალში გამოვლენილი ფსიქოლოგიური ტრავმის დაძლევისთვის, მათ შორის პოსტტრავმული სტრესის სინდრომის, ნევროზისა და დეპრესიის დაძლევისთვის.

84. როდესაც ქალი ან გოგო, რომელიც დაექვემდებარა მავნე პრაქტიკას ან უარი თქვა მასზე, ტოვებს ოჯახს ან თემს და თავშესაფარს ეძებს, დაბრუნების მის გადამწყვეტილებას მხარი უნდა დაუჭირონ დაცვის ადევკატურმა

ეროვნულმა მექანიზმებმა. იმისათვის, რომ დაეხმარონ ქალს ან გოგოს ამ მხრივ თავისუფალი და ინფორმირებული გადანიშნულებების მიღებაში, მექანიზმებმა უნდა უზრუნველყონ მისი უსაფრთხო დაბრუნება და რეინტეგრაცია მისი საუკეთესო ინტერესის პრინციპზე დაყრდნობით, მათ შორის რევიქტიმიზაციის საშიშროების თავიდან აცილების გზით. ამგვარი სიტუაციები საჭიროებს ყურადღებით გაკონტროლებას და მონიტორინგს, რათა უზრუნველყოფილი იქნეს მსხვერპლთა დაცვა და მათ მიერ როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან პერსპექტივაში საკუთარი უფლებებით სარგებლობა.

85. მსხვერპლები, რომლებიც მართლმსაჯულების სისტემას მიმართავენ მავნე პრაქტიკის შედეგად მათი უფლებების დარღვევის გამო, ხშირად განიცდიან სტიგმატიზაციას, რევიქტიმიზაციის რისკს, შევიწროებას და შესაძლო შურისძიებას. ამიტომ მიღებული უნდა იქნეს ზომები, რათა ქალები და გოგოები დაცულები იყვნენ სამართლებრივი პროცესის განმავლობაში ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის მე-2 მუხლის „გ“ პუნქტის, მე-15 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, და რომ ბავშვებს მიეცეთ შესაძლებლობა, რეალურად მიიღონ მონაწილეობა სასამართლო განხილვებში ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-12 მუხლით გათვალისწინებული მათი უფლების - მოუსმინონ მათ შეხედულებას - ფარგლებში.

86. ბევრი მიგრანტის ეკონომიკური და სამართლებრივი სტატუსი გაურკვეველია, რაც ზრდის მათ მონყვლადობას ძალადობის ყველაზე ნაირი ფორმის, მათ შორის მავნე პრაქტიკის, მიმართ. მიგრანტ ქალებსა და ბავშვებს ხშირად მოქალაქეების თანასწორად ხელი არ მიუწვდებათ ადეკვატურ სერვისებზე.

87. **კომიტეტები რეკომენდაციას უწევენ კონვენციების მონაწილე სახელმწიფოებს:**

(ა) უზრუნველყონ, რომ დაცვის სამსახურებს დაევალოთ, გაუწიონ ყველანაირი აუცილებელი პრევენციისა და დაცვის მომსახურებები იმ ბავშვებსა და ქალებს, ვინც განიცადა ან ვისაც ემუქრება მავნე პრაქტიკის განცდის მალალი რისკი და გამოეყოს ადეკვატური რესურსები;

(ბ) შექმნან უფასო ოცდაოთხსაათიანი ცხელი ხაზი, სადაც იმუშავებენ სპეციალუ-

რად მომზადებული მრჩევლები, რათა მსხვერპლებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, გააკეთონ შეტყობინება მავნე პრაქტიკის პოტენციური თუ მომხდარი შემთხვევების შესახებ, და უზრუნველყონ მსხვერპლთათვის საჭირო სამსახურებში მიმართვის შესაძლებლობა და სწორი ინფორმაცია მავნე პრაქტიკის შესახებ;

(გ) შეიმუშაონ და განახორციელონ შესაძლებლობათა განვითარების პროგრამები სასამართლო სისტემის თანამშრომლებისთვის, მათ შორის მოსამართლეებისთვის, ადვოკატებისთვის, პროკურორებისა და ყველა შესაბამისი დაინტერესებული მხარისათვის მავნე პრაქტიკის მსხვერპლთა დაცვაში მათი როლის შესახებ, ასევე დისკრიმინაციის ამკრძალავი კანონმდებლობის და იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გამოიყენონ კანონები გენდერული და ასაკობრივი თვალსაზრისით სენსიტიური სახით, კონვენციების შესაბამისად;

(დ) უზრუნველყონ, რომ სასამართლო პროცესებში მონაწილე ბავშვებს ხელი მიუწვდებოდეთ ბავშვებისადმი სენსიტიურ მომსახურებებზე, რათა მათი უფლებები და უსაფრთხოება დაცული იქნეს და შეიძლოს მათზე სასამართლო პროცესის შესაძლო ნეგატიური ზემოქმედება. დაცვა შეიძლება მოიცავდეს იმ დროის შემდუღვას, რომლის განმავლობაშიც მსხვერპლს მოეთხოვება ჩვენების მიცემა, ასევე გაუქმებას მოთხოვნისა, რომ მსხვერპლი პირისპირ შეხვდეს მავნე პრაქტიკის ჩამდენს. შესაძლებელია სასამართლოში მეურვე-წარმომადგენლის დანიშვნაც (განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც მავნე პრაქტიკის ჩამდენი მშობელი ან კანონიერი მეურვეა) და იმის უზრუნველყოფაც, რომ მსხვერპლ ბავშვებს ხელი მიუწვდებოდეთ ადეკვატურ, ბავშვებისადმი სენსიტიურ ინფორმაციაზე პროცესის შესახებ და სრულყოფილად ესმოდეთ, თუ რას უნდა მოელოდნენ;

(ე) უზრუნველყონ, რომ მიგრანტ ქალებსა და ბავშვებს სხვებთან თანასწორად მიუწვდებოდეთ ხელი სერვისებზე, მიუხედავად მათი სამართლებრივი სტატუსისა.

VIII. ერთობლივი ზოგადი რეკომენდაციის/ზოგადი კომენტარის გავრცელება და გამოყენება და ანგარიშგება

88. მონაწილე სახელმწიფოებმა ფართოდ უნდა გაავრცელონ წინამდებარე ერთობლივი ზოგადი რეკომენდაცია/ზოგადი კომენტარი პარლამენტებში, მთავრობებსა და სასამართლო სისტემებში, ეროვნული და ადგილობრივი მასშტაბით. მათ ასევე უნდა უზრუნველყონ, რომ ამ დოკუმენტის შინაარსს გაეცნონ ბავშვები და ქალები და ყველა შესაბამისი პროფესიონალი და დაინტერესებული მხარე, მათ შორის ისინიც, ვინც ბავშვებისთვის და ბავშვებთან მუშაობს (მოსამართლეები, ადვოკატები, პოლიციის თანამშრომლები და კანონის აღსრულების სფეროს სხვა თანამშრომლები, მასწავლებლები, მეურვეები, სოციალური მუშაკები, სოციალური დაცვის კერძო თუ სახელმწიფო დაწესებულებებისა და თავშესაფრების თანამშრომლები და ჯანდაცვის მუშაკები), და ზოგადად სამოქალაქო საზოგადოება. ერთობლივი ზოგადი რეკომენდაცია/ზოგადი კომენტარი უნდა ითარგმნოს შესაბამის ენებზე და გამოიცეს ბავშვებისათვის გასაგები/შესაფერისივერსიების სახით და ისეთი ფორმატით, რომელთან გაცნობას შეძლებენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები. უნდა გაიმართოს კონფერენციები, სემინარები, სამუშაო შეხვედრები და სხვა ღონისძიებები, რათა მოხდეს კარგი პრაქტიკის გაზიარება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა მოხდეს დოკუმენტის საუკეთესო სახით განხორციელება. ერთობლივი ზოგადი რეკომენდაცია/ზოგადი კომენტარი ასევე შეტანილი უნდა იქნეს ყველა შესაბამისი პროფესიონალის და ტექნიკური პერსონალის სამუშაოს დაწყებამდე და სამსახურის პროცესში პროფესიული მომზადების პროგრამებში და უნდა მიენიჭოს ადამიანის უფლებათა დამცველ ყველა ეროვნულ ინსტიტუტს, ქალთა ორგანიზაციებს და ადამიანის უფლებათა დამცველ სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებს.
89. მონაწილე სახელმწიფოებმა კონვენციების საფუძველზე წარსადგენ თავიანთ ანგარიშებში უნდა ჩართონ ინფორმაცია იმ დამოკიდებულებების, ადატ-წესებისა და სოციალური ნორმების ხასიათისა და მასშტაბის შესახებ, რომლებიც საფუძვლად უდევს და ხელს უწყობს მავნე პრაქტიკის არსებობას, ასევე წინამდებარე ერთობლივი ზოგადი რეკომენდაციის/ზოგადი

კომენტარის შესაბამისად მიღებული ზომების შესახებ, რომლებიც მათ განახორციელებს, და ამ ზომების შედეგების შესახებ.

IX. რატიფიცირება, მიერთება და დათქმები

90. კომიტეტები მონაწილე სახელმწიფოებს მოუწოდებენ, მოახდინონ შემდეგი სამართლებრივი ინსტრუმენტების რატიფიცირება:
- (ა) ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის ფაკულტატური ოქმი;
 - (ბ) ბავშვის უფლებათა კონვენციის ფაკულტატური ოქმი ბავშვთა გაყიდვის, ბავშვის პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ;
 - (გ) ბავშვის უფლებათა კონვენციის ფაკულტატური ოქმი შეიარაღებულ კონფლიქტებში ბავშვთა მონაწილეობის შესახებ;
 - (დ) ბავშვის უფლებათა კონვენციის ფაკულტატური ოქმი შეტყობინების პროცედურის შესახებ.
91. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა გადასინჯონ და შეცვალონ ან გააუქმონ ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის მე-2, მე-5 და მე-16 მუხლების ან მათი ქვეპუნქტების და ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-19 მუხლის და 24-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიმართ გაკეთებული ნებისმიერი დათქმები. ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტს მიაჩნია, რომ აღნიშნული მუხლების მიმართ გაკეთებული დათქმები პრინციპულად შეუსაბამოა კონვენციების ამოცანასა და მიზანთან და ამიტომ დაუშვებელია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის 28-ე მუხლის მე-2 ქვეპუნქტის საფუძველზე.

XIII. ზოგადი რეკომენდაცია N32
ქალთა ლტოლვილის სტატუსის,
თავშესაფრის, მოქალაქეობისა
და მოქალაქეობის არქონის
გენდერული ასპექტების შესახებ

I. შესავალი

1. წინამდებარე ზოგადი რეკომენდაციით ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი მიზნად ისახავს, ავტორიტეტული ხელმძღვანელობა გაუწიოს მონაწილე სახელმწიფოებს იმ საკანონმდებლო, პოლიტიკისა და სხვა ღონისძიებების თაობაზე, რომელთა განხორციელება საჭიროა იმისათვის, რომ მათ შეასრულონ ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციისა და მისი ფაკულტატური ოქმის საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებები, რომლებიც ეხება ქალთა ლტოლვილის სტატუსთან, თავშესაფრის მინიჭებასთან, მოქალაქეობასა და მოქალაქეობის უქონლობასთან დაკავშირებით დისკრიმინაციის არარსებობისა და გენდერული თანასწორობის საკითხებს.
2. კონვენცია დინამიკური ინსტრუმენტია, რომელსაც წვლილი შეაქვს საერთაშორისო სამართლის განვითარებაში და თავადაც მიესადაგება ამ განვითარებას. წინამდებარე ზოგადი რეკომენდაცია ეყრდნობა კომიტეტის ადრინდელ ზოგად რეკომენდაციებს, მათ შორის №19 ზოგად რეკომენდაციას ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ, №26 ზოგად რეკომენდაციას მიგრანტი მშრომელი ქალების შესახებ, №28 ზოგად რეკომენდაციას კონვენციის მე-2 მუხლის საფუძველზე მონაწილე სახელმწიფოების ძირითადი ვალდებულებების შესახებ და №30 ზოგად რეკომენდაციას კონფლიქტების პრევენციაში, კონფლიქტის ან კონფლიქტის შემდგომ სიტუაციებში ქალების შესახებ, ასევე მონაწილე სახელმწიფოების მიერ კონვენციის საფუძველზე წარმოდგენილ ანგარიშებს და კომიტეტის დასკვნით შენიშვნებს ამ ანგარიშებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ზოგადი რეკომენდაცია ეყრდნობა კომიტეტის მიერ ინდივიდუალური საჩივრების განხილვას და მის მიერ ფაკულტატური ოქმის საფუძველზე ჩატარებულ მოკვლევებს.
3. III ნაწილში კომიტეტის მიზანია, უზრუნველყოს, რომ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებმა დაიცვან გენდერული თანასწორობის და დისკრიმინაციის არარსებობის ვალდებულებები თავშესაფრის მაძიებელ და ლტოლვილ ქალებთან მიმართებით დევნილობის მთელი ციკლის განმავლობაში, და ყურადღება თავშესაფრის მინიჭების პროცესებზე გამახვილებული. IV ნაწილში კომიტეტის მიზანია, უზრუნველყოს, რომ კონვენციის მონაწილე

სახელმწიფოებმა დაიცვან გენდერული თანასწორობის და დისკრიმინაციის არარსებობის პრინციპები მოქალაქეობაზე ქალთა უფლებასთან მიმართებით, მათ შორის უფლებასთან, შეიძინონ, შეიცვალონ ან შეინარჩუნონ მოქალაქეობა და გადასცენ საკუთარი მოქალაქეობა თავიანთ შვილებსა და მეუღლეებს.

II. ზოგადი რეკომენდაციის მოქმედების სფერო

4. წინამდებარე ზოგადი რეკომენდაციის მოქმედების სფერო და მიზანი კონვენციის მოქმედების სფეროსა და მიზნის შესაბამისია - ეს არის ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, სამოქალაქო თუ ნებისმიერ სხვა სფეროში ყველა ადამიანის უფლებისა და ფუნდამენტური თავისუფლების აღიარებისას, სარგებლობისას ან განხორციელებისას, მიუხედავად ქალების ოჯახური მდგომარეობისა. ამ ზოგადი მიზნის ფარგლებში წინამდებარე ზოგადი რეკომენდაციის ამოცანაა მონაწილე სახელმწიფოებისთვის ხელმძღვანელობის განწევა, თუ როგორ იმოქმედონ კონვენციით დაკისრებული ვალდებულებების ყველა ასპექტთან დაკავშირებით და შეასრულონ ლტოლვილი, თავშესაფრის მაძიებელი და მოქალაქეობის არმქონე ქალების უფლებების პატივისცემის, დაცვისა და განხორციელების ვალდებულებები დისკრიმინაციის დაუშვებლობისა და არსებითი თანასწორობის პირობებში მშვიდობიან დროს, საერთაშორისო და ადგილობრივი შეიარაღებული კონფლიქტებისა და ოკუპაციის სიტუაციებში.
5. კონვენცია, როგორც ადამიანის უფლებათა გენდერული თვალსაზრისით სპეციფიკური ინსტრუმენტი, ვრცელდება ყველა სხვა უფლებაზეც, რომლებიც არ არის მასში საგანგებოდ მითითებული, მაგრამ ზემოქმედებას ახდენს ქალებისა და მამაკაცების თანასწორობის მიღწევაზე.¹ როგორც ასეთი, კონვენცია გვაძლევს ადამიანის უფლებათა სამართლის გენდერულად სენსიტიურ განმარტებას და იცავს ქალებს სქესის და გენდერის ნიშნით დისკრიმინაციისგან ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში და ადამიანის უფლებათა სხვა ინსტრუმენტებში შესული ადა-

¹ ზოგადი რეკომენდაცია №28 კონვენციის მე-2 მუხლის საფუძველზე მონაწილე სახელმწიფოთა ძირითადი ვალდებულებების შესახებ, პუნქტი 7.

მიანის ყველა უფლებით სარგებლობისას.² კომიტეტმა კონვენციის ამგვარი მოქმედება დაადგინა ქალების მიმართ ძალადობის აკრძალვასთან, როგორც დისკრიმინაციის ფორმასთან, მიმართებით თავის №19 ზოგად რეკომენდაციაში, რომელშიც მან ჩამოთვალა ზოგიერთი ამ დაცული უფლებებიდან, მათ შორის სიცოცხლის უფლება და ადამიანის უფლება, არ დაექვემდებაროს წამებას ან სასტიკ, არაადამიანურ თუ ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას. წინამდებარე ზოგადი რეკომენდაცია კონკრეტულად ეხება კონვენციის გამოყენებას ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-14 მუხლში გათვალისწინებული თავშესაფარზე უფლების მიმართ, ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელთა გაუქმებლობის პრინციპის მიმართ, ლტოლვილებისა და ადამიანის უფლებების შესახებ საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტების საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად, და კონვენციის მე-9 მუხლით გათვალისწინებული მოქალაქეობაზე უფლებისა და მოქალაქეობის არქონისგან დაცვის მიმართ.

6. ადრინდელ ზოგად რეკომენდაციებში კომიტეტმა განმარტა, რომ ერთად წაკითხული კონვენციის პირველი, 2(ვ) და 5(ა) მუხლები გვეუბნება, რომ კონვენცია ვრცელდება ქალების მიმართ სქესისა და გენდერის ნიშნით დისკრიმინაციაზე. კომიტეტმა ასევე განმარტა, რომ კონვენციის გავრცელება გენდერული ნიშნით დისკრიმინაციაზე ხდება პირველ მუხლში მოცემული დისკრიმინაციის განმარტების ფარგლებში: პირველი მუხლის მიხედვით, ნებისმიერი განსხვავება, განმარტების ან შეზღუდვა სქესის ნიშნით, რომელიც ლახავს ან არარად აქცევს ქალთა მიერ ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების აღიარებას, სარგებლობასა და განხორციელებას, წარმოადგენს დისკრიმინაციას. ქალების დისკრიმინაცია სქესის და/ან გენდერის ნიშნით ხშირად განუყოფლად არის დაკავშირებული და დამძიმებული სხვა ისეთი ფაქტორებით, რომლებიც ზემოქმედებას ახდენს ქალებზე, როგორც არის, მაგალითად, რასა, ეთნიკური წარმომავლობა, რელიგია

ან რწმენა, ჯანმრთელობა, ასაკი, კლასი, კასტა, ლესბოსელის, ბისექსუალის ან ტრანსგენდერის და სხვა სტატუსი.³ სქესის ან გენდერის ნიშნით დისკრიმინაციამ შეიძლება განსხვავებული ხარისხის უარყოფითი გავლენა ან მამაკაცებზე გავლენისგან განსხვავებული ზემოქმედება მოახდინოს აღნიშნული ჯგუფების წარმომადგენელ ქალებზე. მონაწილე სახელმწიფოებმა კანონმდებლობაში უნდა აღიარონ დისკრიმინაციის ამგვარი ურთიერთგადაძვეტი ფორმები და მათი უფრო მძიმე შედეგი ქალებისთვის და აკრძალონ დისკრიმინაციის ეს ფორმები.

7. კომიტეტი აღნიშნავს, რომ გადაადგილების პროცესში, დაწყებული თავშესაფრის ძიებით და დამთავრებული ინტეგრაციით, დაბრუნებით ან მესამე ქვეყანაში გადასახლებით, ქალების მიერ მიღებული სხვადასხვა გამოცდილება, მოქალაქეობის არქონე ქალების გამოცდილებასთან ერთად, განისაზღვრება სხვადასხვა მხარის მოქმედებით ან უმოქმედობით. მონაწილე სახელმწიფოებს აკისრიათ უპირველესი პასუხისმგებლობა უზრუნველყონ, რომ თავშესაფრის მაძიებელი ქალები, ლტოლვილი ქალები, მოქალაქეობაზე განმცხადებელი ქალები და მოქალაქეობის არქონის ქალები მათ ტერიტორიაზე ან მათ რეალურ კონტროლქვეშ თუ იურისდიქციაში, თუნდაც არ იმყოფებოდნენ მათ ტერიტორიაზე, არ დაექვემდებარონ კონვენციით დადგენილი უფლებების დარღვევას, მათ შორის იმ შემთხვევებშიც, როდესაც დარღვევას კერძო პირები ან არასახელმწიფო მხარეები ჩადიან.⁴
8. თავშესაფრის, ლტოლვილის სტატუსის, მოქალაქეობისა და მოქალაქეობის არქონის კონტექსტში პატივისცემის ვალდებულება მონაწილე სახელმწიფოებისაგან მოითხოვს, რომ მათ არ ჩაიდინონ ქალთა დისკრიმინაციის არანაირი ქმედება, რომელიც პირდაპირი თუ არაპირდაპირი სახით გამოიწვევს მათთვის მამაკაცების თანასწორად საკუთარი უფლებებით სარგებლობაზე უარს, და უზრუნველყონ, რომ სახელმწიფოს ხელისუფლების ორგანოებმა, თანამდებობის პირებმა, აგენტებმა, ინსტიტუტებმა და სახელმწიფო სახელით მოქმედმა სხვა მხარეებმა იმოქმედონ

2 ზოგადი რეკომენდაცია №28, პუნქტი 3, და ზოგადი რეკომენდაცია №25 კონვენციის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის - სპეციალური დროებით ზომების - შესახებ, პუნქტი 13.

3 ზოგადი რეკომენდაცია №28, პუნქტები 5 და 18.
4 ზოგადი რეკომენდაცია №28 და ზოგადი რეკომენდაცია №30 კონფლიქტების თავიდან აცილებაში, კონფლიქტების დროს და კონფლიქტისშემდგომ სიტუაციებში ქალების შესახებ.

აღნიშნული ვალდებულების შესაბამისად.⁵ მონაწილე სახელმწიფოებს ასევე აკისრიათ სათანადო გულისხმიერების ვალდებულება, რათა მიიღონ საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც აუცილებელია არასახელმწიფო მხარეების მიერ ჩადენილი ქალთა დისკრიმინაციის შემთხვევების თავიდან აცილებისთვის და გამოძიებისთვის, ამ ქმედებათა ჩამდენი პირების სამართლებრივი დევნისთვის და ადეკვატურად დასჯისთვის, ასევე დისკრიმინაციის მსხვერპლი ქალებისთვის ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფისთვის. დაცვის ვალდებულება მონაწილე სახელმწიფოებისგან მოითხოვს, რომ მათ, სხვა საკითხებთან ერთად, მიიღონ ყველა საჭირო ზომა, რათა უზრუნველყონ, რომ სახელმწიფო და კერძო მხარეებმა უკანონოდ არ ხელყონ ქალთა უფლებები, ხოლო განხორციელების ვალდებულება გულისხმობს მონაწილე სახელმწიფოთა ვალდებულებას, ხელი შეუწყონ ქალებს უფლებების მისაწვდომობაში და მათ სრულფასოვნად განხორციელებაში. იგი ასევე მოითხოვს მონაწილე სახელმწიფოებისგან, რომ მათ ხელი შეუწყონ ქალებისთვის მამაკაცების დეფაქტო ანუ არსებითი თანასწორობის მიღწევას ყველანაირი შესაფერისი საშუალებით, მათ შორის კონკრეტული და ქმედითი პოლიტიკითა და პროგრამებით, რომლებიც მიმართული იქნება ქალების მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ და ამგვარი თანასწორობის მიღწევისკენ, მათ შორის, შესაბამის შემთხვევებში, დროებითი სპეციალური ზომების შემოღებით კონვენციის 4(1) მუხლის და №25 ზოგადი რეკომენდაციის შესაბამისად.

III. ურთიერთკავშირი კონვენციას, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალსა და ლტოლვილთა საერთაშორისო სამართალს შორის

9. კონვენცია ნაწილია ადამიანის უფლებათა ყოველმხრივი საერთაშორისო სამართლისა, რომელიც მოქმედებს ლტოლვილთა საერთაშორისო სამართალთან და მოქალაქეობის არმქონე პირების სტატუსთან და მოქალაქეობის არქონის შემცირებასთან დაკავშირებულ კანონებთან ერთდროულად. არ-

სებობს მნიშვნელოვანი თანხვედრა და ურთიერთკავშირი ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალს, მათ შორის კონვენციას, ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციას და მის 1967 წლის ოქმს, და მოქალაქეობის არმქონე პირთა სტატუსის შესახებ 1954 წლის კონვენციას და მოქალაქეობის არმქონე პირთა შემცირების შესახებ 1961 წლის კონვენციას შორის. დაცვის ორი რეჟიმის ერთმა და იმავე მიზანმა უნდა უზრუნველყოს ლტოლვილთა, თავშესაფრის მაძიებელ და მოქალაქეობის არმქონე პირთა ურთიერთდამხმარე და ერთობლივი დაცვა.

10. კონვენციის დებულებები აძლიერებს და ავრცობს საერთაშორისო სამართლებრივი დაცვის რეჟიმს ლტოლვილი და მოქალაქეობის არმქონე ქალებისა და გოგოებისათვის, განსაკუთრებით იმით, რომ შესაბამის საერთაშორისო ხელშეკრულებებში, კერძოდ, ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციასა და მის 1967 წლის ოქმში, მოქალაქეობის არმქონე პირთა სტატუსის შესახებ 1954 წლის კონვენციაში და მოქალაქეობის არმქონე პირთა შემცირების შესახებ 1961 წლის კონვენციაში, არ არის გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული პირდაპირ ფორმულირებული დებულებები.⁶
11. იმის გათვალისწინებით, რომ კონვენცია მოქმედებს გადაადგილების ციკლის ყველა ეტაპის განმავლობაში, იგი ემსახურება სექსის და გენდერის ნიშნით დისკრიმინაციის აკრძალვას ყველა ეტაპზე - ლტოლვილის სტატუსის დადგენის პროცედურის, დაბრუნების ან გადასახლების პროცესის და იმ ქალების ინტეგრაციის პროცესის განმავლობაში, ვისაც მიენიჭა ლტოლვილის სტატუსი. კონვენციის მოქმედება ასევე ვრცელდება მოქალაქეობის არქონის დადგენის პროცესებზე და პროცესებზე, რომლებიც დაკავშირებულია ქალების მიერ მოქალაქეობის შექენასთან, შენარჩუნებასთან ან შეცვლასთან ან საკუთარი მოქალაქეობის შვილებისა და მეუღლეებისთვის გადაცემასთან.

⁶ იხ. გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის „სახელმძღვანელო პრინციპები მოქალაქეობის არქონასთან დაკავშირებით, პრინციპი №4: უზრუნველყოფა ყველა ბავშვის უფლებისა, მიიღოს მოქალაქეობა მოქალაქეობის არმქონე პირთა შემცირების შესახებ 1961 წლის კონვენციის 1-4 მუხლებზე დაყრდნობით“ (HCR/GS/12/04), პუნქტები 13-15, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: www.refworld.org/docid/50d460c72.html.

⁵ ზოგადი რეკომენდაცია №28, პუნქტი 9.

IV. დისკრიმინაციის დაუშვებლობისა და გენდერული თანასწორობის პრინციპის გავრცელება ლტოლვილთა საერთაშორისო სამართალზე

ა. ზოგადი შენიშვნები

12. ითვალისწინებს რა იმ ფაქტს, რომ 1951 წლის კონვენცია ლტოლვილთა სტატუსის შესახებ განმარტავს ლტოლვილის ცნებას და იძლევა ლტოლვილის სტატუსის განსაზღვრის კრიტერიუმებს კონვენციით გათვალისწინებულ პირებთან მიმართებაში, კომიტეტი აღნიშნავს, რომ წინამდებარე ზოგადი რეკომენდაცია მოიცავს ყველა ქალს, რომელიც საჭიროებს საერთაშორისო დაცვას კონვენციის საფუძველზე და ესწრაფვის, რომ უზრუნველყოს ყველა ქალი კონვენციის საფუძველზე დაცვით ლტოლვილის სტატუსისა და თავშესაფრის კონტექსტში. აღსანიშნავია, რომ იმ ქალთა იდენტიფიცირებისთვის, რომლებსაც საერთაშორისო დაცვა ესაჭიროებათ, მნიშვნელოვანია 1951 წლის კონვენციაში მოცემული სიტყვა „ლტოლვილის“ განსაზღვრის კრიტერიუმები. ამავდროულად, კომიტეტი აღნიშნავს, რომ ლტოლვილებთან მიმართებაში შემუშავებული რეგიონული ინსტრუმენტები და მიღებული ეროვნული კანონები გასცდა 1951 წლის კონვენციით განსაზღვრული განმარტების ფარგლებს, რათა მოიცავს საერთაშორისო დაცვის საჭიროების მქონე პირები. ამის მიზეზია სხვადასხვა საერთაშორისო ან შიდა შეიარაღებული კონფლიქტები და ოკუპაცია, საზოგადოებრივი წესრიგის თუ ადამიანის უფლებების სერიოზული დარღვევები ან ზოგადად ძალადობა.⁷

7 იხ. აფრიკის ერთიანობის ორგანიზაციის 1969 წლის კონვენციის მუხლი I (2) აფრიკის ლტოლვილთა პრობლემების სპეციფიკურ ასპექტებთან დაკავშირებით, რომელშიც ნათქვამია: „ტერმინი „ლტოლვილი“ ასევე ვრცელდება ყველა იმ პირზე, ვინც გარე აგრესიის, ოკუპაციის, საგარეო ბატონობის ან მოვლენების გამო, რომლებიც სერიოზულად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს მისი წარმომავლობის ან მოქალაქეობის ქვეყნის რომელიმე ნაწილში, იძულებით დატოვებს თავის ჩვეულ საცხოვრებელ ადგილს, რათა სხვა ქვეყანაში, თავისი წარმომავლობის ან მოქალაქეობის ქვეყნის ფარგლებს გარეთ ეძებოს თავშესაფარი“. კარტახენას დეკლარაციაში ლტოლვილთა შესახებ (ნაწილი III (3)), რომელიც მიღებულია კოლუმბიაში, კარტახენა დე ინდიში 1984 წლის 19-22 ნოემბერს ჩატარებულ კოლოკვიუმზე ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვის შესახებ ცენტრალურ ამერიკაში, მექსიკასა და პანამაში, აღნიშნულია: „რეგიონში გამოყენებისათვის რეკომენდებულია ლტოლვილის კონცე-

13. კომიტეტი აღნიშნავს, რომ თავშესაფრის მძიებლები იმ საფუძველზე ეძებენ საერთაშორისო დაცვას, რომ არ შეუძლიათ თავიანთი წარმომავლობის ქვეყანაში დაბრუნება, რადგან დევნის საფუძველიანი შიში აქვთ და არასათანადო მოპყრობის ან სხვა სერიოზული ზიანის მიღების საფრთხე ემუქრებათ. კომიტეტი ასევე აღნიშნავს, რომ ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის 1A(2) მუხლის თანახმად, დევნის მიზეზი უნდა უკავშირდებოდეს ჩამოთვლილი ხუთი ნიშნიდან ერთ-ერთს: რასას, რელიგიას, ეროვნებას, კონკრეტული სოციალური ჯგუფის წევრობას ან პოლიტიკურ შეხედულებას. ტექსტში არ არის გათვალისწინებული გენდერული ნიშნით დევნა. წინამდებარე ზოგადი რეკომენდაცია მიზნად ისახავს იმის უზრუნველყოფას, რომ მონაწილე სახელმწიფოებმა 1951 წლის კონვენციის ფარგლებში ლტოლვილის სტატუსის მინიჭების დროს, როდესაც გემო-აღნიშნულ ხუთ მიზეზს განიხილავენ, გაითვალისწინონ გენდერული პერსპექტივა, გამოიყენონ გენდერი როგორც კონკრეტულ სოციალურ ჯგუფში განწევრიანების აღიარების ფაქტორი 1951 წლის კონვენციის ფარგლებში ლტოლვილის სტატუსის მისანიჭებლად და ეროვნულ კანონმდებლობაში და პოლიტიკაში შეიტანონ დევნის სხვა საფუძველი, კერძოდ, სქესი და/ან გენდერი. უნდა აღინიშნოს, რომ სხვა საერთაშორისო, ეროვნულ და რეგიონულ კონტექსტში თავშესაფარს იმ პირებსაც აძლევენ, რომლებსაც არ შეუძლიათ თავიანთი წარმომავლობის ქვეყნებში დაბრუნება, რადგან მათ სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება და ისინი წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის საშიშროების წინაშე დგანან. ამ დოკუმენტში დამატებითი დაცვის ეს ფორმებიც არის განხილული.

ფციის განმარტება, რომელიც მოიცავს 1951 წლის კონვენციისა და 1967 წლის ოქმის ელემენტებს, და ლტოლვილებში აერთიანებს, აგრეთვე, იმ პირებს, რომლებიც თავიანთი ქვეყნიდან გაიქცნენ, რადგან მათ სიცოცხლეს, უსაფრთხოებას ან თავისუფლებას საფრთხე შეექმნა ზოგადი ძალადობით, უცხოური აგრესიით, შიდა კონფლიქტებით, ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევით ან სხვა გარემოებებით, რომლებიც სერიოზულად არღვევდნენ საზოგადოებრივ წესრიგს“. გარდა ამისა, 2011 წლის 13 დეკემბრის ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს დირექტივა 2011/95/EU ეხება მესამე ქვეყნის მოქალაქეების ან მოქალაქეობის არმქონე პირების საერთაშორისო დაცვის ბენეფიციარებად კვალიფიცირების სტანდარტებს, ლტოლვილების ან დამატებითი დახმარების საჭიროების მქონე პირებისათვის ერთიანი სტატუსის მინიჭებას და მინიჭებული დაცვის არსს.

14. უამრავი მიზეზი არსებობს, რის გამოც ქალები იძულებულნი ხდებიან, თავიანთი სახლები დატოვონ და სხვა ქვეყნებში ეძებონ თავშესაფარი. ქალთა დისკრიმინაციის გამწვავებული და კუმულაციური ფორმების გარდა, რაც დევნის ტოლფასია, ქალები თავიანთი უფლებების დარღვევას განიცდიან გადაადგილების მთელი ციკლის განმავლობაში. კომიტეტი აღიარებს, რომ შეიარაღებული კონფლიქტის, გენდერული ნიშნით დევნის და ქალებზე ზემოქმედების მქონე ადამიანის უფლებების სხვა სერიოზული დარღვევების შედეგად გადაადგილება ამძიმებს ქალთა დისკრიმინაციას აღმოფხვრის საქმეში არსებულ გამოწვევებს. კომიტეტი აღიარებს, აგრეთვე, სხვა სახის ექსპლუატაციის არსებობას, რომელიც თან სდევს გადაადგილებას, როგორცაა ტრეფიკინგი სექსუალური ან შრომითი ექსპლუატაციის, მონობისა და დაკაბალების მიზნით. შესაბამისად, კომიტეტი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მონაწილე სახელმწიფოთა ვალდებულებას - ღირსეულად და პატივისცემით მოეპყრონ ქალებს, დაიცვან და განახორციელონ კონვენციით უზრუნველყოფილი მათი უფლებები გადაადგილების თითოეულ ეტაპზე⁸, ასევე გრძელვადიანი გადანაცვლებების მიღებისას, მათ შორის მიმღებ ქვეყნებში ინტეგრაციის ან/და განსახლების ან/და წარმომავლობის სახელმწიფოში ნებაყოფლობითი რეპატრიაციას დროს.
15. გენდერული ნიშნით დევნა ისეთი ფორმის დევნაა, რომელიც ქალის წინააღმდეგ არის მიმართული იმ მოტივით, რომ ის ქალია, ან რომელიც არაპროპორციულად⁹ მოქმედებს ქალზე. კომიტეტი აღნიშნავს, რომ იმის გაცნობიერება, თუ რა გზით ხდება ქალთა უფლებების დარღვევა, ძალზე მნიშვნელოვანია დევნის აღნიშნული ფორმების იდენტიფიცირებისთვის. კომიტეტი ასევე აღნიშნავს, რომ ქალთა მიმართ ძალადობა, რომელიც დისკრიმინაციის აკრძალული ფორმაა, ქალების დევნის ერთ-ერთი მთავარი ფორმაა

8 სიტყვა „გადაადგილება“ წინამდებარე ზოგად რეკომენდაციაში ეხება იმ პირებს, ვინც გაიქცა და გადაკვეთა თავისი სახელმწიფოს საზღვარი.

9 იხ. გენდერული ნიშნით ძალადობის განმარტება ქალების მიმართ ძალადობის შესახებ №19 ზოგად რეკომენდაციაში, პუნქტი 6. იხ. აგრეთვე გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის „საერთაშორისო დაცვის სახელმძღვანელო პრინციპები: გენდერული ნიშნით დევნა ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის 1A (2) მუხლის ან/და მისი 1967 წლის ოქმის კონტექსტში“, სახელმძღვანელო პრინციპი 1 (HCR/GIP/02/01), პუნქტები 3, 9, 16 და 17.

- დევნილის სტატუსისა და თავშესაფრის მაძიებლის კონტექსტში. ასეთი ძალადობა, ისევე, როგორც გენდერული ნიშნით დევნის სხვა სახეები, არღვევს კონვენციის კონკრეტულ დებულებებს. ასეთი ფორმები აღიარებულია როგორც საერთაშორისო დაცვის ლეგიტიმური საფუძველი როგორც კანონით, ასევე პრაქტიკულად.¹⁰ ამაში შეიძლება შედიოდეს ქალის სასქესოორგანოების დასახიჩრება, იძულებითი/ადრეული ქორწინება, ძალადობის მუქარა ან/და ე.წ. „ღირსების სახელით ჩადენილი დანაშაული“, ქალებით ტრეფიკინგი,¹¹ მუავის შესხმა, გაუპატიურება და სექსუალური ძალადობის სხვა ფორმები, ოჯახში ძალადობის სერიოზული სახეები, სიკვდილით დასჯა და სხვა ფიზიკური სასჯელები დისკრიმინაციული მართლმსაჯულების სისტემებში, იძულებითი სტერილიზაცია,¹² პოლიტიკური თუ რელიგიური დევნა ფემინისტური ან სხვა შეხედულებების გამო, აგრეთვე დადგენილი გენდერული სოციალური ნორმებისა და წეს-ჩვეულებების შეუსრულებლობის ან კონვენციის შესაბამისად უფლებების დაცვის მოთხოვნის გამო დევნა.
16. გენდერული მიზეზების გამო თავშესაფრის მოთხოვნა შეიძლება გადაიკვეთოს დისკრიმინაციის სხვა აკრძალულ საფუძველებთან, როგორც არის ასაკი, რასა, ეთნიკური წარმომავლობა/ეროვნება, რელიგია, ჯანმრთელობა, კლასი, აგრეთვე კასტა, ლესბოსელობა, ბისექსუალობა, ტრანსგენდერობა და სხვა სტატუსი.¹³ კომიტეტი შეშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ თავშესაფრის ბევრი სისტემა კვლავაც განაგრძობს ქალთა საჩივრების განხილვას მამაკაცების გამოცდილების პრიზმაში, რასაც შეიძლება ლტოლვილის სტატუსის
- 10 კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, მუხლი 2, და ზოგადი რეკომენდაცია №28, პუნქტი 9.
- 11 ტრეფიკინგის, როგორც ლტოლვილის სტატუსის საფუძველის, შესახებ იხილეთ გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის „საერთაშორისო დაცვის სახელმძღვანელო პრინციპები: ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის 1A (2) მუხლის ან/და მისი 1967 წლის ოქმის გამოყენება ტრეფიკინგის მსხვერპლების და ტრეფიკინგის საფრთხის ქვეშ მყოფი პირების მიმართ“, სახელმძღვანელო პრინციპი №7 (HCR/GIP/06/07).
- 12 ზოგადი რეკომენდაცია №19, პუნქტი 22; ზოგადი რეკომენდაცია №21 საქორწინო და ოჯახურ ურთიერთობებში თანასწორობის შესახებ, პუნქტი 22; და შეტყობინება №4/2004, „ა.ს. უნგრეთის წინააღმდეგ“, კომიტეტის მიერ მიღებული დასკვნები, დათარიღებული 2006 წლის 14 აგვისტოთი.
- 13 იხ. ზემოთ, სქოლიო 3; შეტყობინება №19/2008, „სესილია კელი კანადის წინააღმდეგ“. კომიტეტის მიერ მიღებული დასკვნები, დათარიღებული 2012 წლის 28 თებერვლით, პუნქტი 10.2.

მოსაპოვებელი განაცხადის არასათანადო შეფასება ან უარყოფა მოჰყვეს. მიუხედავად იმისა, რომ გენდერი არ არის საგანგებოდ მითითებული ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციაში მოცემული ლტოლვილის განმარტებაში, მას შეუძლია გავლენა მოახდინოს ან განსაზღვროს ქალების მიერ განცდილი დევნა ან მათთვის მიყენებული ზიანის სხვადასხვა სახეობა და ასეთი მოპყრობის მიზეზები. 1951 წლის კონვენციის განსაზღვრება, სწორად განმარტებული სახით, მოიცავს გენდერულ საკითხებს ლტოლვილის სტატუსის მოთხოვნასთან მიმართებაში¹⁴. საზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ თავშესაფრის მინიჭების ისეთმა პროცედურებმა, რომლებიც არ ითვალისწინებს ქალთა განსაკუთრებულ მდგომარეობას ან საჭიროებებს, შეიძლება დააბრკოლოს მათ განაცხადებთან დაკავშირებით სრულფასოვანი გადაწყვეტილებების მიღება. მაგალითად, თავშესაფრის მიმნიჭებელმა ორგანოებმა შეიძლება მხოლოდ მამრობითი სქესის „ოჯახის უფროსს“ ჩაუტარონ ინტერვიუ, არ უზრუნველყონ იმავე სქესის ინტერვიუერები და მთარგმნელები, რომ ქალებმა თავიანთი მოთხოვნები უსაფრთხო და გენდერული თვალსაზრისით სენსიტიურ გარემოში წარმოადგინონ, ან თავშესაფრის მაძიებელ ქალებს ინტერვიუ ჩაუტარონ მათი ქმრების ან ოჯახის წევრი მამაკაცების თანდასწრებით, რომლებიც, ფაქტობრივად, მათი პრეტენზიების წყაროს ან წყაროებს წარმოადგენენ.

ბ. გაუძევებლობის პრინციპი

17. ლტოლვილების გაუძევებლობის პრინციპი მათი დაცვის ქვაკუთხედს და ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის ნორმას წარმოადგენს. ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციაში მისი ოფიციალური კოდიფიკაციის შემდეგ ეს პრინციპი ვითარდებოდა და ხდებოდა მისი ინტეგრირება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ინსტრუმენტებში, კერძოდ, წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ კონვენციაში (მუხლი 3) და სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი (მუხლი 7). გარდა ამისა, გაძევების, როგორც სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა თუ

დასჯის რისკის შემცველი ქმედების, აკრძალვა კოდიფიცირებულია ადამიანის უფლებათა რიგ შეთანხმებებსა და საერთაშორისო არასავალდებულო დოკუმენტებში.¹⁵

- 18. იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფოთა დიდი უმრავლესობა გახდა იმ საერთაშორისო ინსტრუმენტების მხარე, რომლებიც კრძალავს თავშესაფრის მაძიებელთა და ლტოლვილთა გაძევებას, ასევე სახელმწიფოთა პრაქტიკის გათვალისწინებით, მათ შორის იმ პრაქტიკისა, როდესაც ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის არახელმომწერი სახელმწიფოები დიდი რაოდენობით ლტოლვილებს იფარებენ, ხშირად მათი მასობრივი შემოდინების სიტუაციებში, ლტოლვილთა გაძევების აკრძალვა, რომელიც განმტკიცებულია კონვენციის 33-ე მუხლით და შევსებულია გაუძევებლობის ვალდებულებებით ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის¹⁶ შესაბამისად, წარმოადგენს ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის წესს.¹⁷
- 19. წამების საწინააღმდეგო კონვენციის მე-3 მუხლი კრძალავს პირის გასახლებას ისეთ ქვეყანაში, სადაც, საფუძვლიანი ეჭვის თანახმად, მას შესაძლოა წამების საფრთხე დაემუქროს. წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა თავის №2 ზოგად კომენტარში გენდერულ ძალადობას და შეურაცხყოფას მკაფიოდ მიუჩინა ად-

15 იხ., მაგალითად, ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტია 2000, მუხლი 19(2); 1966 წლის ლტოლვილთა მიმართ მოპყრობის პრინციპები, მიღებული აზია-აფრიკის იურიდიული საკონსულტაციო კომიტეტის მიერ (მუხლი III (3)); დეკლარაცია ტერიტორიული თავშესაფრის შესახებ, მიღებული გენერალური ასამბლეის №2132 (XXII) რეზოლუციით (მუხლი 3); აფრიკის ერთიანობის ორგანიზაციის 1969 წლის რეზოლუცია, რომელიც არეგულირებს ლტოლვილთა პრობლემების კონკრეტულ ასპექტებს აფრიკაში (მუხლი II (3)); 1969 წლის ამერიკული კონვენცია ადამიანის უფლებების შესახებ (მუხლი 22 (8)); კარტახენას 1984 წლის დეკლარაცია ლტოლვილთა შესახებ (პუნქტი 5). გარდა ამისა, ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის 33(1) მუხლში ჩამოყალიბებული გაუძევებლობის დებულებები შეტანილი იქნა აგრეთვე ექსტრადიციის შესახებ შეთანხმებებში და მთელ რიგ ანტიტერორისტულ კონვენციებში მსოფლიოს მასშტაბით და რეგიონულ დონეზე.

16 გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი, ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის ან/და მისი 1967 წლის ოქმის მონაწილე სახელმწიფოთა დეკლარაცია, მიღებული 2001 წლის 13 დეკემბერს (HCR/MMSP/2001/09).

17 გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი, „საკონსულტაციო დასკვნა გაუძევებლობის ვალდებულებების ექსტრატერიტორიული განხორციელების შესახებ ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის და მისი 1967 წლის ოქმის თანახმად“ (2007), პუნქტი 15.

14 გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი, „საერთაშორისო დაცვის სახელმძღვანელო პრინციპები: გენდერული ნიშნით დევნა“, პუნქტი 6 (იხ. სქოლიო 9).

გილი წამების საწინააღმდეგო კონვენციის მოქმედების ფარგლებში.¹⁸ სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-6 და მე-7 მუხლები ასევე აკისრებს ვალდებულებას სახელმწიფოებს, რომ არ მოახდინონ ექსტრადირება, დეპორტირება, არ განდევნონ თავიანთი ტერიტორიებიდან პირი, თუკი სერიოზული საფუძველია იმის დასადასტურებლად, რომ არსებობს რეალური რისკი, რომ პირს გამოუსწორებელი ზიანი მიადგება იმ ქვეყანაში, სადაც იგი შემდგომში დაბრუნდება ან დააბრუნებენ. გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა კომიტეტმა აღნიშნა, რომ წამების აბსოლუტური აკრძალვა, რომელიც ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის ნაწილს წარმოადგენს, მნიშვნელოვანი შემადგენელი კომპონენტის სახით მოიცავს გაძევების აკრძალვას წამების საფრთხის არსებობის შემთხვევაში, რაც ადამიანის იქ დაბრუნების აკრძალვას ითვალისწინებს, სადაც მას წამების, არასათანადო მოპყრობის ან სიცოცხლის თვითნებური წართმევის საფრთხე ემუქრება.

20. ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ აღნიშნული დებულებების თანახმად, თავშესაფრის მაძიებელი ან ლტოლვილი არ უნდა განდევნონ ან დააბრუნონ (გააძევონ) ნებისმიერი ფორმით იმ ტერიტორიების საზღვრებთან, სადაც საფრთხე შეექმნება მის სიცოცხლეს, მის თავისუფლებას და მის უფლებას, თავისუფალი იყოს წამებისაგან თუ სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისგან და დასჯისგან.
21. კომიტეტი აღნიშნავს, რომ კონვენცია, როგორც ქალთა მიმართ დისკრიმინაციის თავიდან აცილების ინსტრუმენტი, არ შეიცავს მკაფიოდ ჩამოყალიბებულ დებულებას გაუძვევებლობის შესახებ. ფაქტობრივად ოქმის საფუძველზე შემოტანილ ინდივიდუალურ შეტყობინებებზე მუშაობის ფარგლებში კომიტეტს რეაგირება უნდა მოეხდინა მონაწილე სახელმწიფოთა პრეტენზიებზე იმის გათვალისწინებით, რომ კომიტეტს არ გააჩნია თავშესაფრის იმ მაძიებელთა სახელით წარდგენილი საქმეების განხილვის კომპეტენცია, რომელთა განაცხადებიც უარყოფილი იქნა სახელმწიფოს დონეზე, მაგრამ რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ სექსუალური და/ან გენდერული ძალადობისა

და დევნის რისკს დაეჭვმდებარებოდნენ, თუ მათ იძულებით დააბრუნებდნენ მათი წარმომავლობის ქვეყანაში. პასუხად კომიტეტმა აღნიშნა,¹⁹ რომ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის თანახმად, გაუძვევებლობის პრინციპი ავალდებულებს სახელმწიფოებს, თავი შეიკავონ ნებისმიერი პირის დაბრუნებისგან ისეთ იურისდიქციაში, რომლის ფარგლებშიც მას ემუქრება ადამიანის უფლებათა სერიოზული დარღვევა, კერძოდ, სიცოცხლის თვითნებური ხელყოფა ან წამება თუ სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობა ან სასჯელი. გარდა ამისა, კომიტეტი აღნიშნავს, რომ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები და თავისუფლებები, მათ შორის სიცოცხლის უფლება და წამების ან არასათანადო მოპყრობისგან თავისუფლება, მკაფიოდ არის განსაზღვრული კონვენციით და, შესაბამისად, მონაწილე სახელმწიფოები ვალდებული არიან, არ მოახდინონ ნებისმიერი პირის ექსტრადირება, დეპორტაცია, ქვეყნის ტერიტორიიდან გაძევება ან სხვაგვარად გადაადგილება მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე, სადაც, საფუძვლიანი ეჭვის თანახმად, არსებობს გამოუსწორებელი ზიანის მიყენების რეალური საფრთხე.

22. კომიტეტი აღნიშნავს, რომ კონვენციის 2(დ) მუხლის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას, თავი შეიკავონ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ნებისმიერი ქმედებისა და პრაქტიკისგან და უზრუნველყონ საჯარო ხელისუფლებისა და ინსტიტუტების მიერ ამ ვალდებულების შესრულება. ეს მოვალეობა მოიცავს სახელმწიფოთა ვალდებულებას, დაიცვან ქალები, რომლებსაც დისკრიმინაციის, მათ შორის გენდერული ძალადობის, სერიოზული ფორმების რეალური, პირადი და პროგნოზირებადი რისკი ექმნებათ, თუნდაც ასეთი შედეგები გამგზავნი სახელმწიფოს ტერიტორიულ საზღვრებს გარეთ დადგეს: თუ მონაწილე სახელმწიფო იღებს გადაწყვეტილებას თავისი იურისდიქციის ქვეშ მყოფი პირის მიმართ და აუცილებელი და პროგნოზირებადი შედეგი ის არის, რომ პირის კონვენციით განსაზღვრულ ძირითად უფლებებს სერიოზული საფრთხე დაემუქრება სხვა იურისდიქციის ფარგლებში, მონაწილე სახელმწიფო თავად შეიძლება აღმოჩნდეს

18 იხ. აგრეთვე შეტყობინება № 35/2011, „მ.ე.ნ.-ი დანიის წინააღმდეგ“, გადაწყვეტილება დაუშვებლობის შესახებ, მიღებული კომიტეტის მიერ 2013 წლის 26 ივლისს, პუნქტი 8.8.

19 იხ., მაგალითად, შეტყობინება № 33/2011, „მ.ე.ნ.-ი დანიის წინააღმდეგ“, გადაწყვეტილება დაუშვებლობის შესახებ, მიღებული კომიტეტის მიერ 2013 წლის 15 ივლისს, პუნქტები 8.5 და შემდეგ.

კონვენციის დამრღვევი. შედეგების განჭვრეტის შესაძლებლობა იმას ნიშნავს, რომ მონაწილე სახელმწიფოს მხრიდან ადგილი ჰქონდა დღევანდელ დარღვევას, თუმცა შედეგი მოგვიანებით დადგება.

23. შესაბამისად, კომიტეტს მიაჩნია, რომ მონაწილე სახელმწიფოები ვალდებული არიან, უზრუნველყონ, რომ არცერთი ქალის გაძევება ან დაბრუნება არ მოხდეს სხვა სახელმწიფოში, სადაც მის სიცოცხლეს, ფიზიკურ ხელშეუხებლობას, თავისუფლებას და უსაფრთხოებას საფრთხე შეექმნება ან სადაც მან შეიძლება სერიოზული დისკრიმინაცია განიცადოს, მათ შორის გენდერული ნიშნით დევნა ან ძალადობა. თუ რას მოიცავს ქალთა დისკრიმინაციის სერიოზული ფორმები, მათ შორის გენდერული ძალადობა, ეს დამოკიდებული იქნება ყოველი კონკრეტული საქმის გარემოებებზე.²⁰

გ. პენიშნები კონვენციის კონკრეტულ მუხლებთან დაკავშირებით

24. მუხლები 1-3, 5(ა) და 15 მონაწილე სახელმწიფოებს უნდა ვალდებულებას ადკვეთონ ქალთა დისკრიმინაცია თავშესაფრის ძიების მთელი პროცესის განმავლობაში, საზღვრებთან მათი მისვლის მომენტიდან დაწყებული. თავშესაფრის მაძიებელი ქალებისთვის დაცული უნდა იყოს კონვენციით მინიჭებული უფლებები; მათ მიმართ მოპყრობაში გამოირიცხული უნდა იყოს დისკრიმინაცია და თავშესაფართან დაკავშირებული მთელი პროცედურის განმავლობაში და მის შემდეგაც მათ პატივისცემით და ღირსეულად უნდა მოეპყრან, მათ შორის გრძელვადიანი გადაწყვეტილებების ძიების პროცესში, როდესაც მიმღებმა სახელმწიფომ უკვე ცნო ლტოლვილის სტატუსი. მიმღებ სახელმწიფოს გარკვეული პასუხისმგებლობა ეკისრება იმ ქალების მიმართ, რომელთაც მიენიჭათ თავშესაფრის სტატუსი, როცა საქმე მათ დახმარებას ეხება. ამაში იგულისხმება მათთვის შესაფერისი საცხოვრებლის პოვნა, ტრენინგის და/ან სამუშაო შესაძლებლობების უზრუნველყოფა, ტრავმირებული პირებისთვის იურიდიული, სამედიცინო, ფსიქოლოგიური დახმარების გაწევა, ენის კურსები და სხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს მათ ინტეგრაციას. გარდა ამისა, თავშესაფრის მაძიებელი ქალებისთვის, რომლებსაც უარი ეთქვათ თავშესაფარზე, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს

დაბრუნების პროცესების ღირსეულად და არადისკრიმინაციული გზით განხორციელება.

25. კონვენციის მე-2 მუხლის (გ) ქვეპუნქტი მონაწილე სახელმწიფოებისგან მოითხოვს, რომ თავშესაფრის სახელმწიფო პროცედურები უზრუნველყოფდეს ქალთა საჩივრების მიღებას და შეფასებას თანასწორობის საფუძველზე, სამართლიანად, მიუკერძოებლად და ღირსეულად. თავშესაფართან დაკავშირებული პროცესის ყველა ეტაპზე გამოყენებული უნდა იქნეს გენდერული თვალსაზრისით სენსიტიური მიდგომა. ეს იმას ნიშნავს, რომ თავშესაფრის მიღებაზე მაძიებელ ქალთა განაცხადებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები თავშესაფრის მინიჭების ისეთი სისტემის ფარგლებში უნდა იქნეს მიღებული, რომელიც კარგად ინფორმირებულია თავისი პოლიტიკისა და ოპერაციების ყველა ასპექტის შესახებ და ღრმად აქვს გააზრებული დისკრიმინაციის ან დევნის და ადამიანის უფლებების დარღვევის კონკრეტული ფორმები, რომლებსაც ქალები განიცდიან გენდერული ან სქესობრივი ნიშნით. სირცხვილის, სტიგმის ან ტრავმის გამო ზოგ ქალს არ სურს, გაამჟღავნოს ან მოახდინოს დევნის ნამდვილი მასშტაბის იდენტიფიცირება, რომელიც მან განიცადა ან რომლის შიშიც აქვს. ანგარიშგასაწევია ის ფაქტი, რომ მათ შეიძლება კვლავ ეშინოდეთ გარკვეული თანამდებობის პირების ან მათი ოჯახის წევრების ან/და საზოგადოების მხრიდან გარიყვის ან/და რეპრესიების. ნებისმიერ შემთხვევაში, მათ უნდა ჰქონდეთ უფლება, გაასაჩივრონ თავშესაფრის მინიჭების თაობაზე პირველ ინსტანციაში მიღებული გადაწყვეტილება.
26. გარდა ამისა, მე-2, მე-15 (1) და მე-16 მუხლების მიხედვით მონაწილე სახელმწიფოებს ევალებათ, აღიარონ, რომ ქალებს შეუძლიათ დამოუკიდებლად წარმოადგინონ მოთხოვნები თავშესაფრის მინიჭებაზე. ამ კონტექსტში მათი მოთხოვნები შეიძლება ასევე ეფუძნებოდეს მათ შიშს შვილებთან დაკავშირებით. მაგალითად, ლტოლვილის სტატუსის მოთხოვნა შეიძლება წარმოიშვას იმის შიშით, რომ მათ ქალიშვილებს ემუქრებათ სასქესო ორგანოების დასახიჩრების თუ იძულებითი ქორწინების საფრთხე ან საზოგადოების მხრიდან შევიწროება და განდევნა მხოლოდ იმიტომ, რომ გოგონები არიან.²¹ არსებითი განხილვის საგანი უნდა

20 იხ. იქვე, პუნქტი 8.9.

21 გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი, „სახელმძღვანელო მითითება ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრების გამო ლტოლვილთა საჩივრებთან დაკავშირებით“ (ჟენევა, 2009), პუნქტი 12.

გახდეს ბავშვთა დაცვის მოთხოვნაც, მათ მიმართ სენსიტიური გზით, ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.²² მას შემდეგ, რაც ძირითადი მოსარჩელე აღიარებული იქნება ლტოლვილად, ოჯახის სხვა წევრებიც, ჩვეულებრივ, უნდა აღიარონ ლტოლვილებად („მეორადი სტატუსი“).

27. ქალებისა და გოგოებისთვის მიყენებული ზიანი ხშირად არასახელმწიფო პირების ნამოქმედარია, მათ შორის ოჯახის წევრების, მეზობლებისა თუ ზოგადად საზოგადოების. ასეთ შემთხვევებში კონვენციის მე-2 (ე) პუნქტი მოითხოვს, რომ მონაწილე სახელმწიფოებმა იკისრონ სათანადო კეთილსინდისიერების ვალდებულება და უზრუნველყონ, რომ ქალები რეალურად იყვნენ დაცულები იმ ზიანისგან, რომელიც არასახელმწიფო პირებისგან შეიძლება გამომდინარეობდეს²³. საკმარისი არ არის საჯარო ორგანოებთან ურთიერთობაში ცალკეული ქალებისთვის ვერტიკალური გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა, სახელმწიფოებმა ჰორიზონტალურ დონეზე, ოჯახშიც კი, უნდა აღმოფხვრან დისკრიმინაცია. არასახელმწიფო პირების მიერ ჩადენილ ზიანს განეკუთვნება დევნა, როდესაც სახელმწიფო ვერ ან არ ახდენს ამგვარი ზიანის პრევენციას ან მომჩივანის დაცვას დისკრიმინაციული სამთავრობო პოლიტიკის ან პრაქტიკის გამო²⁴.
28. კომიტეტისთვის ცნობილია, რომ იმ შემთხვევებში, როდესაც დევნილობა არასახელმწიფო პირების ქმედებებით არის გამოწვეული, მიმღები ქვეყნები აყენებენ ალტერნატიულ - შიდა გადაადგილების - ვარიანტს, რომლის თანახმად პირს აღარ ემუქრება არასახელმწიფო პირების მხრიდან დევნის რისკი, თუ იგი უსაფრთხო ადგილზე გადაადგილდება თავისსავე წარმომავლობის ქვეყანაში. კო-

მიტეტი აღნიშნავს, რომ კონვენციის 2 (დ) და (ე) მუხლების მოთხოვნით მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ქალების დაცულობა არასახელმწიფო პირების მიერ დისკრიმინაციისგან, ხოლო ლტოლვილი ქალების კონტექსტში მიიჩნევს, რომ ლტოლვილის სტატუსის არსი ითვალისწინებს ლტოლვილ ქალთა რეალური დაცვის უზრუნველყოფას. იგი ასევე აღნიშნავს, რომ თუ მიმღები ქვეყნები განიხილავენ შიდასახელმწიფოებრივი გადაადგილების ვარიანტს, ამ ალტერნატივამ მკაცრი მოთხოვნები უნდა გაითვალისწინოს, როგორცაა აღნიშნულ ტერიტორიაზე გამგზავრების შესაძლებლობა და იქ შესვლის და დასახლების უფლების მოპოვება.²⁵ შეფასებისას სახელმწიფოებმა მხედველობაში უნდა მიიღონ, აგრეთვე, გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული ასპექტები და რისკები, თუ რამდენად დასაშვებია შიდა გადასახლება²⁶. თავიანთი წარმომავლობის ქვეყნის ფარგლებში გადაადგილებისას ქალების წინაშე შეიძლება წამოიჭრას ისეთი სირთულეები, როგორებიც არის ქალებისთვის მართო მგზავრობის ან მართო ცხოვრების სამართლებრივი, კულტურული ან/და სოციალური შეზღუდვები ან აკრძალვები, პრაქტიკული გარემოებები, მაგალითად, საცხოვრებლის, ბავშვებზე ზრუნვის და ეკონომიკური უზრუნველყოფის სირთულე ოჯახის ან საზოგადოების დახმარების გარეშე, აგრეთვე ძალადობისა და ექსპლუატაციის, მათ შორის სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობის, რისკი.

29. კომიტეტი ადასტურებს, რომ, საერთაშორისო სამართლის თანახმად, უპირველესი პასუხისმგებლობა მოქალაქეთა დაცვის უზრუნველყოფაზე, მათ შორის იმაზე, რომ

22 ბავშვისთვის თავშესაფრის მოთხოვნის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის „სახელმძღვანელო პრინციპები საერთაშორისო დაცვასთან დაკავშირებით: ბავშვისთვის თავშესაფრის მოთხოვნები ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის 1(A)2 და 1(F) მუხლების ან/და 1967 წლის ოქმის თანახმად, სახელმძღვანელო მითითება №8 (2009) (HCR/GIP/09/08); ბავშვის უფლებათა კომიტეტი, მე-6 ზოგადი კომენტარი თავიანთი წარმომავლობის ქვეყნის გარეთ დაუცველი და ოჯახს მონყვეტილი ბავშვების მიმართ მოპყრობის შესახებ; და მე-14 ზოგადი კომენტარი ბავშვის უფლების შესახებ, უპირველეს ყოვლისა გათვალისწინებული იქნეს მისი საუკეთესო ინტერესები (მუხლი 3, პუნქტი 1).

23 ზოგადი რეკომენდაცია № 19, მუხლები 9 და 10.

24 გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი, „საერთაშორისო დაცვის სახელმძღვანელო პრინციპები: გენდერული ნიშნით დევნა“, პუნქტი 19 (იხ. ზემოთ, სქოლიო 9).

25 „სალახ შიხი ნიდერლანდის წინააღმდეგ“, განაცხადი № 1948/04, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 11 იანვრის გადაწყვეტილება, რომელიც ციტირებულია საქმეში „სუფი და ელმი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, განაცხადები №№ 8319/07 და 11449/07, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება, პუნქტი 266.

26 გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი, „საერთაშორისო დაცვის სახელმძღვანელო პრინციპები: „შიდა გადაადგილების ალტერნატივა“ ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის 1A(2) მუხლის და/ან 1967 წლის ოქმის კონტექსტში,“ სახელმძღვანელო პრინციპი №4, (HCR/GIP/03/04); გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი, „საერთაშორისო დაცვის სახელმძღვანელო მითითება ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრების შესახებ ლტოლვილთა საჩივრებთან დაკავშირებით“, პუნქტები 28-32 (იხ. სქოლიო 21 ზემოთ).

ქალები სარგებლობდნენ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებით, წარმომავლობის ქვეყნების ხელისუფლებას აკისრია და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი დაცვა ხელმისაწვდომი არ არის, ხდება საერთაშორისო დაცვისათვის მიმართვა იმ ძირითადი უფლებების დაცვის მიზნით, რომლებსაც სერიოზული რისკი ემუქრება. თუმცა კომიტეტი აღნიშნავს, რომ იმ ფაქტმა, რომ თავშესაფრის მაძიებელმა ქალმა თავისი წარმომავლობის ქვეყნის დატოვებამდე არ შეიტანა საჩივარი სახელმწიფო ორგანოებში, ხელი არ უნდა შეუშალოს მის მიერ თავშესაფრის მოთხოვნას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც აღნიშნულ ქვეყანაში ქალებზე ძალადობის მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულება ან არსებობს მათი საჩივრების უგულვებელყოფის ფაქტები. არარეალისტური იქნებოდა ქალისთვის იმის მოთხოვნა, რომ მას ქვეყნიდან გაქცევამდე წინასწარ მოეთხოვა დაცვა. შესაძლოა, ის არ ენდობა მართლმსაჯულების სისტემას, არ სჯერა მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის ან საჩივრის წარდგენის გამო შეურაცხყოფისა და შურისძიების ემინია.²⁷

30. კონვენციის შესაბამისად, მონაწილე სახელმწიფოები ვალდებული არიან, პროაქტიული ზომები მიიღონ, რათა უზრუნველყონ დევნის კანონით აღიარებული საფუძვლების, მათ შორის ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციით განსაზღვრული საფუძვლების (რასა, რელიგია, ეროვნება, კონკრეტული სოციალური ჯგუფის წევრობა და პოლიტიკური შეხედულებები) გენდერულად მგრძობიარე განმარტება. ამასთანავე, 1951 წლის კონვენციის საფუძველზე ლტოლვილის სტატუსის მინიჭების მიზნით გენდერი შეიძლება გამოყენებული იქნეს როგორც კონკრეტული სოციალური ჯგუფის წევრობის აღიარების ფაქტორი ან როგორც ასეთი ჯგუფის საიდენტიფიკაციო მახასიათებელი. კომიტეტი მონაწილე სახელმწიფოებს ასევე მოუწოდებს, სქესი და/ან გენდერი ლტოლვილის სტატუსის მინიჭების დამატებით საფუძვლად ჩართონ თავიანთ ეროვნულ კანონმდებლობაში.
31. კომიტეტი აღნიშნავს, რომ ლტოლვილის განმარტებაში თავშესაფრის მაძიებელ ქალ-

თა განაცხადები რეგულარულად კლასიფიცირდება „სოციალური ჯგუფის“ კატეგორიაში, რამაც შეიძლება გააძლიეროს სტერეოტიპული შეხედულება ქალებზე როგორც დამოკიდებულ მსხვერპლებზე. კონვენციის მე-5 მუხლი მონაწილე სახელმწიფოებისგან მოითხოვს, შეაფასონ ქალთა განაცხადები თავშესაფრის შესახებ წინასწარი მიკერძოებული შეხედულებისა და სტერეოტიპული ცნებების გარეშე, რომლებიც რომელიმე სქესის არასრულფასოვნებას ან უპირატესობას ეფუძნება. გენდერული სტერეოტიპები გავლენას ახდენს ქალების უფლებაზე თავშესაფრის მიღების პროცესის სამართლიანად და სწორად წარმართვასთან მიმართებაში და თავშესაფრის მინიჭებაზე პასუხისმგებელმა ორგანოებმა სათანადო ზომები უნდა მიიღონ, რათა არ შეიქმნას გენდერული ძალადობის და დევნის წინასწარ შექმნილ მიკერძოებულ ცნებებზე დაფუძნებული სტანდარტები.²⁸ გარდა ამისა, ქალები აქტიური ადამიანები არიან და პოლიტიკური ლიდერების, მთავრობის ან ოპოზიციური ჯგუფების წევრების, ჟურნალისტების, ადამიანის უფლებათა დამცველების და აქტივისტების, იურისტებისა და მოსამართლეების მნიშვნელოვან როლებს ასრულებენ. ისინი ორიენტირებულები არიან თავიანთი პოლიტიკური მოსაზრებების გამოხატვასა და/ან საქმიანობის განხორციელებაზე, მათ შორის ქალთა უფლებების გამოხატვაზე. შესაბამისად, კონვენციის მე-7 მუხლი მონაწილე სახელმწიფოებისგან მოითხოვს, მიიღონ ზომები პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა თანასწორუფლებიანობის რეალიზებისთვის. ამიტომ მართებული იქნება, თუ ქალები გენდერული ნიშნით დევნის საფუძველზე ან პოლიტიკურ, რელიგიურ, რასობრივ და ეთნიკურ ნიადაგზე დევნის საფუძველზე წარადგენენ თავშესაფრის მიღების შესახებ განაცხადებს, მათ შორის ისეთ სიტუაციებშიც, როდესაც ისინი იძულებულნი გახდნენ, დაეტოვებინათ თავიანთი ქვეყანა გარე აგრესიის, ოკუპაციის, საგარეო ბატონობის ან სერიოზული სამოქალაქო დაპირისპირების გამო.²⁹

32. კონვენციის 2 (გ) და 15 (1) მუხლების თანახმად,

27 შეტყობინება №5/2005, „მაჰიდე გოქჩე (გარდაცვლილი) ავსტრიის წინააღმდეგ“, კომიტეტის მიერ 2007 წლის 6 აგვისტოს მიღებული მოსაზრებები; შეტყობინება №6/2005, „ფატმა ილდირიმი (გარდაცვლილი) ავსტრიის წინააღმდეგ“, კომიტეტის მიერ 2007 წლის 6 აგვისტოს მიღებული მოსაზრებები.

28 შეტყობინება №18/2008, „კარენ ტაიაგ ვერტიდო ფილიპინების წინააღმდეგ“, კომიტეტის მიერ 2010 წლის 16 ივლისს მიღებული მოსაზრებები, პუნქტები 8.4 და 8.9(iv); შეტყობინება №20/2008, „ვ.კ. ბულგარეთის წინააღმდეგ“, კომიტეტის მიერ 2011 წლის 25 ივლისს მიღებული მოსაზრებები.

29 ზოგადი რეკომენდაცია №28, პუნქტები 10 და 11.

მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა გადადგან ნაბიჯები ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის მიზნით საზოგადოებრივ და კერძო სფეროებში და კანონით უნდა განამტკიცონ ქალთა თანასწორობა მამაკაცებთან. ამ მიზნით სახელმწიფოებმა პოზიტიური ზომები უნდა მიიღონ, რათა უზრუნველყონ, რომ ქალები არ იყვნენ დისკრიმინირებულნი და რომ უზრუნველყოფილი იყვნენ ეფექტიანი სამართლებრივი დაცვით თავშესაფრის მოპოვების პროცესის განმავლობაში, მათ შორის, საჭიროებისამებრ, იურიდიული კონსულტაციებით, იურიდიული წარმომადგენლობით და დახმარებით.³⁰

33. კონვენციის მე-3 და 10-13 მუხლები თავშესაფრის მაძიებელი და ლტოლვილი ქალებისთვის ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე უზრუნველყოფს საცხოვრებლის, განათლების, ჯანდაცვისა და სხვა სახის დახმარების უფლებას, რაც მოიცავს საკვებს, ტანსაცმელს და საჭირო სოციალურ მომსახურებას, ქალთა კონკრეტული საჭიროებებიდან გამომდინარე. გარდა ამისა, ლტოლვილ ქალებს უნდა მიეცეთ საარსებო წყაროს და დასაქმების შესაძლებლობები.³¹ ვალდებულებები მოიცავს მათი უფლებების შესახებ ინფორმაციის, ასევე პრაქტიკული ინფორმაციის მიწოდებას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მიიღონ ეს მომსახურება, იმ ენაზე, რომელიც მათ ესმით. ზოგიერთ საზოგადოებაში ქალებში წერა-კითხვის უცოდინრობის მაღალი მაჩვენებლის გათვალისწინებით, შეიძლება საჭირო გახდეს სპეციალური დახმარება.
34. ლტოლვილთა მიღების საორგანიზაციო ღონისძიებები უნდა იყოს გენდერულ საკითხებზე ორიენტირებული და ითვალისწინებდეს სექსუალური ძალადობის და ექსპლუატაციის, ტრავმისა და ნაშვების ან არასათანადო მოპყრობის მსხვერპლთა, აგრეთვე ქალებისა და გოგონების სხვა განსაკუთრებით დაუცველი ჯგუფების კონკრეტულ საჭიროებებს.³² მიღების საორგანიზაციო ღონისძიებები მხედველობაში უნდა იღებდეს, ასევე, ოჯახის ერთიანობას, კერძოდ, მიმღები ცენტრების

კონტექსტში.³³ როგორც ზოგადი წესი, ორსული ქალები და მეძუძური დედები, რომლებსაც განსაკუთრებული საჭიროებები აქვთ, არ უნდა იქნენ დაკავებულები.³⁴ თუ თავშესაფრის მაძიებელი ქალების დაკავება გარდაუვალია, საჭიროა ცალკე სათავსოები და მასალები ქალთა სპეციფიკური ჰიგიენური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. წახალისებული უნდა იქნეს ქალი მცველების და ციხის ზედამხედველების გამოყენება. პერსონალს, რომელიც დაკავებულ ქალებთან მუშაობს, ტრენინგი უნდა ჩაუტარდეს ქალთა სპეციფიკური გენდერული საჭიროებებისა და ადამიანის უფლებების კუთხით.³⁵ კონვენციის 1, 2, 5 (ა) და მე-12 მუხლების თანახმად, საიმვიგრაციო დაკავებაში მყოფი ქალების კონკრეტული საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა და მათ მიმართ უპატივცემულო მოპყრობა შეიძლება კონვენციის ფარგლებში განხილული იქნეს როგორც დისკრიმინაცია.³⁶ სულ მცირე ქალთა მიმართ ძალადობის თავიდან აცილების მიზნით, საჭიროა მამაკაცი და ქალი დაკავებულებისთვის ცალ-ცალკე დაწესებულებების უზრუნველყოფა, თუ ეს ერთი ოჯახი არ არის, და მათთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს პატიმრობის ალტერნატივა.³⁷

30 იქვე, პუნქტი 34; იხ. აგრეთვე ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენცია, მუხლები 16 და 25.
31 ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხლი 25; იხ., აგრეთვე, 1951 წლის კონვენცია ლტოლვილთა სტატუსის შესახებ, მუხლები 13 და 17-23.
32 გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის პროგრამის აღმასრულებელი კომიტეტი, დასკვნა № 93 (LIII) თავშესაფრის მაძიებელთა მიღების შესახებ თავშესაფრების ინდივიდუალური სისტემების კონტექსტში, პუნქტი (b) (iii).

33 იქვე, პუნქტი (b) (iv); ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია, მუხლი 16.
34 გაერო-ს წესები პატიმარი ქალების მიმართ მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ (ბანგკოკის წესები) (გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 65/229, დანართი), წესი 42; გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი, „სახელმძღვანელო პრინციპები თავშესაფრის მაძიებელთა დაკავების კრიტერიუმებთან და სტანდარტებთან დაკავშირებით და ალტერნატიული მეთოდები“ (ვენევა, 2012).
35 ბანგკოკის წესები, 5, 19 და 33(1); გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი, „სახელმძღვანელო პრინციპები თავშესაფრის მაძიებელთა დაკავების კრიტერიუმებთან და სტანდარტებთან დაკავშირებით და ალტერნატიული მეთოდები“, პუნქტი 9.3.
36 შეტყობინება №23/2009, „ინგა აბრამოვა ბელარუსის წინააღმდეგ“, კომიტეტის მოსაზრებები, მიღებული 2011 წლის 25 ივლისს, პუნქტები 7.5 და 7.7; იხ. აგრეთვე ბანგკოკის წესები და ზოგადი რეკომენდაცია №24 ქალებისა და ჯანმრთელობის შესახებ, პუნქტი 6; სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი, მუხლი 9. ადამიანის უფლებათა კომიტეტმა დაადასტურა ვალდებულება, განიხილოს იმავე მიზნის მისაღწევად ნაკლებად ინვაზიური საშუალება (იხ. შეტყობინება № 900/1999, „ს. ავსტრალიის წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ 2002 წლის 28 ოქტომბერს მიღებული მოსაზრებები, იხ., აგრეთვე, გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის „სახელმძღვანელო პრინციპები თავშესაფრის მაძიებელთა დაკავების კრიტერიუმებთან და სტანდარტებთან დაკავშირებით და ალტერნატიული მეთოდები“, პუნქტი 9.3.

დ. კომიტეტის კონკრეტული რეკომენდაციები³⁸

35. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა გადასინჯონ და გააუქმონ კონვენციის მიმართ გაკეთებული ნებისმიერი დათქმები; განიხილონ კონვენციის ფაკულტატური ოქმის რატიფიცირების საკითხი; და განიხილონ ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციასა და 1967 წლის ოქმთან, ისევე, როგორც სხვა შესაბამის საერთაშორისო და რეგიონულ სამართლებრივ ინსტრუმენტებთან მიერთების საკითხი. მათ უნდა გააუქმონ ამ ინსტრუმენტების მიმართ გაკეთებული ნებისმიერი დათქმები, მიიღონ კანონი თავშესაფრის მინიჭების შესახებ ამ ინსტრუმენტების შესაბამისად და გამოიყენონ აღნიშნული ინსტრუმენტები დამხმარე სახით.
36. სახელმწიფოებმა, რომლებიც ლტოლვილთა თუ თავშესაფრის მინიჭების შესახებ რეგიონული ინსტრუმენტების მხარეები არიან, უნდა უზრუნველყონ საერთაშორისო დაცვის საჭიროების მქონე ქალთა უფლებების პატივისცემა და აღნიშნული ინსტრუმენტების გამოყენება გენდერულად მგრძობიარე სახით. მათ უნდა უზრუნველყონ, აგრეთვე, ქალების მიერ ამ ინსტრუმენტებით გათვალისწინებული სიკეთეების მიღება დისკრიმინაციის გარეშე და თანასწორობის საფუძველზე.³⁹

38 კომიტეტი აცნობიერებს, რომ ლტოლვილების დიდ უმრავლესობას მასპინძლობენ განვითარებადი ქვეყნები, რომლებიც ისედაც გადატვირთული არიან და ვერ უმკლავდებიან ლტოლვილთა მნიშვნელოვან შემოდინებასთან დაკავშირებულ გამოწვევებს. კომიტეტი აღნიშნავს, აგრეთვე, რომ ლტოლვილების დაცვა კოლექტიური პასუხისმგებლობაა. ამრიგად, მონაწილე სახელმწიფოთა ვალდებულებებისთვის ზიანის მიუყენებლად შეუღალახავად, კომიტეტი მოუწოდებს საერთაშორისო საზოგადოებას, კერძოდ, არა მიმღებ სახელმწიფოებს, გამოიჩინონ სოლიდარობა, გაიზიარონ სირთულეები და დაეხმარონ მიმღებ ქვეყნებს მათი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებაში. კერძოდ, მათ, სხვა ზომებს შორის, პროაქტიული ზომები უნდა მიიღონ, როგორცაა ადეკვატური ტექნიკური და ფინანსური დახმარების უზრუნველყოფა, რათა მიმღები ქვეყნები გაუმკლავდნენ ლტოლვილთა მასობრივ შემოდინებას, და ფინანსური დახმარება გაუწიონ გაერო-სა და სხვა საერთაშორისო და რეგიონულ სააგენტოებს, რომლებსაც ლტოლვილების დაცვა და მომსახურება ევალებათ.

39 აფრიკის ერთიანობის ორგანიზაციის 1969 წლის კონვენცია, რომელიც არეგულირებს აფრიკის ლტოლვილთა პრობლემების კონკრეტულ ასპექტებს; კარტახენას დეკლარაცია ლტოლვილთა შესახებ, 1984; ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 2011 წლის 13 დეკემბრის 2011/95 / EU დირექტივა მესამე ქვეყნის მოქალაქეების ან მოქალაქეობის არმქონე პირთა საერთაშორისო დაცვის ბენეფიციარებად კვალიფიცირების, ლტოლვილებისთვის ან დამატებითი დაცვის მიღებაზე უფლებამოსილი პირებისთვის ერთიანი სტატუსის, და უზრუნველყოფილი დაცვის არსის სტანდარტების შესახებ.

37. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ კანონმდებლობა და გაატარონ სხვა ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს გაუქმებლობის პრინციპის გათვალისწინებას საერთაშორისო სამართლის მიხედვით არსებული ვალდებულებების შესაბამისად და მიიღონ ყველა საჭირო ზომა, რათა უზრუნველყონ, რომ დისკრიმინაციის სერიოზული ფორმების, მათ შორის გენდერული ნიშნით დევნის, მსხვერპლები, მათი სტატუსისა და საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად, არანაირ ვითარებაში არ იქნენ დაბრუნებულები რომელიმე ქვეყანაში, სადაც მათი სიცოცხლე საფრთხის წინაშე აღმოჩნდება ან სადაც მათ დისკრიმინაციის სერიოზული ფორმები შეიძლება დაემუქროს, მათ შორის გენდერული ძალადობა, ან წამება და არაადამიანური თუ ღირსების შემლახველი მოპყრობა ან სასჯელი.⁴⁰

38. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მოახდინონ ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციაში მოცემული ლტოლვილის განსაზღვრების ინტერპრეტირება დისკრიმინაციის არარსებობისა და თანასწორობის ვალდებულებების შესაბამისად;⁴¹ სამართლებრივი თვალსაზრისით აღიარებული ყველა საფუძვლის ინტერპრეტირებისას ფართოდ დანერგონ გენდერულ საკითხებზე ორიენტირებული მიდგომა; საჭიროების შემთხვევაში გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული საჩივრების კლასიფიცირება მოახდინონ კონკრეტული სოციალური ჯგუფის წევრობის საფუძველზე; და განიხილონ მათი ქვეყნების თავშესაფრის

40 იხ. ვეროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, მუხლი 61, და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენცია, მუხლი 33.

41 იხ. გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის სახელმძღვანელო პრინციპები საერთაშორისო დაცვის შესახებ, მათ შორის „საერთაშორისო დაცვის სახელმძღვანელო პრინციპები: გენდერული ნიშნით დევნა ლტოლვილის სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის 1A (2) მუხლის ან/და მისი 1967 წლის ოქმის“ კონტექსტში, სახელმძღვანელო პრინციპი №1 (HCR / GIP / 02/01); „საერთაშორისო დაცვის სახელმძღვანელო პრინციპები: „კონკრეტული სოციალური ჯგუფის წევრობასთან“ დაკავშირებული საერთაშორისო დაცვა, სახელმძღვანელო პრინციპი ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის 1A (2) მუხლის ან/და 1967 წლის ოქმის“ კონტექსტში; სახელმძღვანელო პრინციპი №2 (HRC/GIP/02/02); და საერთაშორისო დაცვის სახელმძღვანელო პრინციპები, პრინციპი №9: „ლტოლვილის სტატუსის მიღებაზე განაცხადები სექსუალური ორიენტაციისა და/ან გენდერული იდენტობის საფუძველზე ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის 1A (2) მუხლის ან/და მისი 1967 წლის ოქმის“ საფუძველზე (HRI/GIP/12/09).

მინიჭების კანონმდებლობაში ლტოლვილის სტატუსის მინიჭების საფუძვლების ნუსხაში სქესის და/ან გენდერის, ასევე ლესბოსელობის, ბისექსუალობის, ტრანსგენდერობის და სხვა სტატუსების დამატება.

39. მონაწილე სახელმწიფოებმა ანგარიში უნდა ჩააბარონ კომიტეტს თავშესაფრის მაძიებლებსა და ლტოლვილებთან დაკავშირებული თავიანთი ეროვნული პოლიტიკისა და კანონმდებლობის შესახებ და შეაგროვონ, გააანალიზონ და ხელმისაწვდომი გახადონ სქესის მიხედვით კლასიფიცირებული სტატისტიკური მონაცემები და დროთა განმავლობაში გამოვლენილი ტენდენციები თავშესაფრის მაძიებელთა განაცხადებთან, წარმომავლობის ქვეყნებთან, თავშესაფრის მოთხოვნის მიზეზებთან დაკავშირებით, ასევე ამ განაცხადების აღიარების მაჩვენებლები.
40. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ადეკვატური ადამიანური და ფინანსური რესურსების მისაწვდომობა თავშესაფრის მაძიებელთა და ლტოლვილთა მიმართ კონვენციის, მათ შორის გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული ასპექტების, განხორციელებისათვის, და საჭიროებისამებრ მოიძიონ ტექნიკური კონსულტაცია და დახმარება.
41. მონაწილე სახელმწიფოებმა თავშესაფრის სისტემებთან და პროცედურებთან დაკავშირებით უნდა ითანამშრომლონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა სააგენტოსთან, კერძოდ, გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ოფისთან, რათა კონვენციისა და ლტოლვილების სხვა ინსტრუმენტების დებულებები აამოქმედონ თავშესაფრის მაძიებელი და ლტოლვილი ქალების უფლებების ხელშეწყობის მიზნით.⁴² მათ ასევე უნდა ითანამშრომლონ სამოქალაქო საზოგადოებასთან და თავშესაფრის მაძიებელი და ლტოლვილი ქალების პრობლემებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან.
42. მონაწილე სახელმწიფოთა თავშესაფრის მინიჭების პროცედურებმა უნდა უზრუნველყოს, რომ ქალებმა შეძლონ თავშესაფრის მიღების შესახებ განაცხადების დამოუკიდებლად შეტანა და მათ ცალკე მოუხმინონ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი თავშესაფრის მაძიებელი ოჯახის

42 ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენცია, მუხლი 35; ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის 1967 წლის ოქმი, მუხლი II; გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ოფისის დებულება (გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 428 (V), დანართი), პუნქტი 8.

წევრები არიან. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა გააცნობიერონ, რომ, როდესაც ძირითადი მოსარჩელე აღიარებულია ლტოლვილად, ჩვეულებრივ, ოჯახის სხვა წევრებიც უნდა აღიარონ ლტოლვილებად („მეორადი სტატუსი“). როგორც ბავშვი იღებს ლტოლვილის სტატუსს, როდესაც მშობელს ლტოლვილად აღიარებენ, მშობელსაც უნდა მიეცეს ლტოლვილის სტატუსი ბავშვის ლტოლვილის სტატუსის საფუძველზე.⁴³ მნიშვნელოვანია, რომ ქალებს, რომლებიც ლტოლვილებად არიან აღიარებული პირადად ან მეორედი სტატუსით, მიეცეთ მათი სტატუსის დამადასტურებელი ინდივიდუალური დოკუმენტაცია, რათა ისინი დაცულები იყვნენ გაძევებისგან და დაცული იყოს მათი შესაბამისი უფლებები.

43. მონაწილე სახელმწიფოებმა არ უნდა ჩათვალონ, რომ თავშესაფრის მაძიებელი ქალი სანდო არ არის მხოლოდ იმიტომ, რომ აკლია სათანადო დოკუმენტაცია თავშესაფრის შესახებ განაცხადის განსამტკიცებლად. ნაცვლად ამისა, მათ უნდა გაითვალისწინონ, რომ ბევრ წარმომავლობის ქვეყანაში ქალებს არ გააჩნიათ დოკუმენტაცია და სხვა საშუალებებით ცდილობენ სანდოობის დამტკიცებას.
44. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მათი სასაზღვრო პოლიცია და საიმიგრაციო მოხელეები ადეკვატურად იყვნენ მომზადებული თავშესაფრის მაძიებელ და ლტოლვილ ქალებთან ურთიერთობისთვის და მათ საქმეებზე მუშაობისთვის და ხდებოდეს მათ მიერ საქმის გენდერულ საკითხებზე ორიენტირებითა და დისკრიმინაციის გარეშე წარმოების სათანადო ზედამხედველობა და მონიტორინგი. მონაწილე სახელმწიფოებმა ასევე უნდა უზრუნველყონ, რომ შემოიღონ და დანერგონ თავშესაფრის მაძიებელი და ლტოლვილი ქალების ჯეროვანი საიდენტიფიკაციო სისტემა, რომელიც არ იქნება დაფუძნებული ქალების, მათ შორის ტრეფიკინგის და/ან სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლი ქალების, შესახებ წინასწარ შექმნილ მცდარ შეხედულებებზე და სტერეოტიპულ ცნებებზე.⁴⁴

43 გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის პროგრამის აღმასრულებელი კომიტეტი, დასკვნა № 88 (L) ლტოლვილის ოჯახის დაცვის შესახებ, პუნქტი (ბ) (iii); გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიტი, „საერთაშორისო დაცვის სახელმძღვანელო პრინციპები: ბავშვების განაცხადები თავშესაფრის შესახებ“, პუნქტი 9 (იხ. სქოლიო 22).

44 შეტყობინება №15/2007, „ჟენ ჟენ ჟენგი ნიდერლანდის წინააღმდეგ“, კომიტეტის მოსაზრებები, მიღებული 2008 წლის 27 ოქტომბერს, პუნქტი 9.1 (ა); იხ.,

45. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა აღიარონ, რომ ტრეფიკინგი წარმოადგენს გენდერული დისკრიმინაციის განუყოფელ ნაწილს, რის შედეგადაც ქალები და გოგოები, რომლებიც არიან ან ეშინიათ, რომ გახდებიან ტრეფიკინგის მსხვერპლნი, ინფორმირებულები უნდა იყვნენ და ეფექტიანად სარგებლობდნენ თავშესაფრის მინიჭების პროცედურებზე ხელმისაწვდომობის უფლებით ყოველგვარი დისკრიმინაციის ან რაიმე წინაპირობების გარეშე. კომიტეტი მოუწოდებს მონაწილე სახელმწიფოებს, ლტოლვილის განსაზღვრებაში ტრეფიკინგის მსხვერპლთა კლასიფიცირება მოახდინონ „სოციალურ ჯგუფის“ საფუძვლით, გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის დოკუმენტის „საერთაშორისო დაცვის სახელმძღვანელო პრინციპები: ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის 1A (2) მუხლის და/ან 1967 წლის ოქმის მოქმედება ტრეფიკინგის მსხვერპლების და ტრეფიკინგის საფრთხის ქვეშ მყოფი პირების მიმართ“ შესაბამისად, და რეკომენდაციას უწევს მათ, მიიღონ ზომები, რათა ქალები და გოგოები არ დააბრუნონ იმ ადგილებში, სადაც მათ ხელახლა დაემუქრებათ ტრეფიკინგის საფრთხე.
46. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა დანერგონ შემონების სათანადო მექანიზმები თავშესაფრის მაძიებელ იმ ქალთა ადრეული იდენტიფიცირებისათვის, რომლებსაც სპეციფიკური დაცვა და დახმარება ესაჭიროებათ, მათ შორის შემლუდული შესაძლებლობების ქალებისთვის, გოგოებისთვის თანმხლები პირების გარეშე,⁴⁵ ტრავმირებულებისთვის, ტრეფიკინგის და/ან იძულებითი პროსტიტუციის, სექსუალური ძალადობის და წამების და/ან არასათანადო მოპყრობის მსხვერპლებისთვის.⁴⁶
47. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ყველა დონის ინტერვიუერებს და გადანაცვლებების მიმღებებს გავლილი ჰქონდეთ საჭირო ტრენინგი, ხელთ ჰქონდეთ სათანადო ინსტრუმენტები და სახელ-

აგრეთვე, კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, მუხლი 5; და ზოგადი რეკომენდაცია № 25, პუნქტი 7.

- 45 ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი №6 თანმხლები პირების გარეშე მყოფი და ოჯახს დაცვილებული ბავშვების მიმართ მოპყრობის შესახებ მათი წარმომავლობის ქვეყნების ფარგლებს გარეთ, პუნქტი 31 (i).
- 46 გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის პროგრამის აღმასრულებელი კომიტეტი, დასკვნა № 93 (LIII) თავშესაფრის მაძიებელთა მიღების შესახებ ინდივიდუალური თავშესაფრის სისტემის კონტექსტში, პუნქტი (b) (iii).

- მძღვანელო მითითებები თავშესაფრის მოპოვების შესახებ გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული განაცხადების განხილვის დროს. კონვენციის შესაბამისი დებულებების თანახმად, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშაონ პოლიტიკები წინამდებარე ზოგადი რეკომენდაციისა და გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის დოკუმენტის „საერთაშორისო დაცვის სახელმძღვანელო პრინციპები: გენდერული ნიშნით დევნა ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის 1A (2) მუხლის და/ან მისი 1967 წლის ოქმის კონტექსტში“ შესაბამისად.
48. მონაწილე სახელმწიფოებმა თავშესაფრის მინიჭების პროცედურისა და ინტეგრაციის პროცესში უნდა უზრუნველყონ სათანადო ცხოვრების დონე ქალებისთვის, რომელთაც მიენიჭებათ ლტოლვილის სტატუსი, მათ შორის უსაფრთხო საცხოვრებელი ადგილი, სანიტარული და ჯანდაცვის ობიექტები, საკვები, ტანსაცმელი და საჭირო სოციალური მომსახურება, საარსებო წყაროს და დასაქმების შესაძლებლობებთან ერთად, და უზრუნველყონ თავშესაფრის მაძიებელი და ლტოლვილი ქალებისთვის ჯეროვანი მონიტორინგი და საჩივრების წარდგენის მექანიზმები მიმღებ დაწესებულებებში.⁴⁷
49. მონაწილე სახელმწიფოებმა თავიანთ კანონმდებლობებში უნდა აღიარონ, რომ თავშესაფრის ძიება არ არის უკანონო ქმედება და თავშესაფრის მაძიებელი ქალები არ უნდა დაისაჯონ (მათ შორის დაკავების გზით) ქვეყანაში მათი არალეგალური შესვლის ან ყოფნის შემთხვევაში, თუ ისინი დაუყოვნებლივ მიმართავენ შესაბამის ორგანოებს და უკანონო შესვლის ან ყოფნის დამაჯერებელ მიზეზებს დაასახელებენ.⁴⁸ ზოგადი წესის სახით, თავიდან უნდა იქნეს აცილებული ორსული ქალებისა და მეძუძური დედების დაკავება, რომელთაც განსაკუთრებული საჭიროებები აქვთ, ხოლო ბავშვები არ უნდა დააკავონ თავიანთ დედებთან ერთად, თუ ეს ოჯახის ერთიანობის შენარჩუნების ერთადერთი საშუალება არ არის და ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან არ გამომდინარეობს. პატიმრობის ალტერნატივები, მათ შორის პირობით ან უპირობოდ გათავისუფლება, თითოეულ შემთხვევაში ინდივიდუალურად

47 ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია, მუხლები 2 (გ) და (ვ) და 3.

48 1951 წლის კონვენცია ლტოლვილთა სტატუსის შესახებ, მუხლი 31.

უნდა იქნეს განხილული, და განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც ქალებისა და/ან ოჯახებისთვის არ არსებობს ცალკე სათავსოები.

50. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა დაამკვიდრონ გენდერულად მგრძობიარე დამცავი ზომები თავშესაფრის პროცედურებში, რათა თავშესაფრის მაძიებელმა ქალებმა თავიანთი საქმეები თანასწორობის საფუძველზე, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, წარმოადგინონ. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ:

(ა) თავშესაფრის მაძიებელ ქალებს ჰქონდეთ თავშესაფრის დამოუკიდებლად მოთხოვნის უფლება და ოჯახის წევრი მამაკაცების დასწრების გარეშე ცალკე ჩაუტარდეთ გასაუბრება, ისე, რომ საშუალება ჰქონდეთ წარმოადგინონ თავიანთი საქმე;

(ბ) თავშესაფრის მაძიებელი ქალები ინფორმირებულები იყვნენ პროცესის მიმდინარეობაზე და იცოდნენ, თუ როგორ მოიპოვონ აღნიშნული ინფორმაცია, იურიდიულ კონსულტაციასთან ერთად, მათთვის გასაგებ ენაზე. მათ უნდა აცნობონ, რომ უფლება აქვთ, მოითხოვონ ქალი ინტერვიუერი და თარჯიმანი;

(გ) თავშესაფრის მაძიებელ ქალებს თავშესაფრის მოსაპოვებლად პირველადი ინტერვიუს წინ უფლება ჰქონდეთ კომპეტენტურ იურიდიულ წარმომადგენლობაზე. საჭიროების შემთხვევაში, მათ უფასო იურიდიული დახმარება უნდა გაუწიონ. მართხელა და ოჯახს დაცვილებულ გოგონებს ყველა შემთხვევაში უნდა დაუნიშნონ კვალიფიციური იურიდიული წარმომადგენელი და მეურვე, რომლებიც დაეხმარებიან მათ თავშესაფრის მოპოვების პროცედურის განმავლობაში და უზრუნველყოფენ მათი ინტერესების დაცვას;⁴⁹

(დ) ინტერვიუებმა გამოიყენონ ისეთი ტექნიკა და პროცედურები, რომლებიც ითვალისწინებს გენდერულ, ასაკის, ასევე დისკრიმინაციისა და არახელსაყრელ პირობებთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს, რომლებიც ამძიმებს ადამიანის უფლებათა დარღვევას, რომელსაც თავშესაფრის მაძიებელი და ლტოლვილი ქალები განიცდიან;

49 იხ. ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი №6 თანხლები პირების გარეშე მყოფი და ოჯახს დაცვილებული ბავშვების მიმართ მოპყრობის შესახებ მათი წარმომავლობის ქვეყნების ფარგლებს გარეთ, პუნქტები 21, 33, 36 და 39; გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის პროგრამის აღმასრულებელი კომიტეტი, დასკვნა №107 (LVIII) საფრთხის ქვეშ მყოფი ბავშვების შესახებ, პუნქტი (g) (viii).

(ე) ინტერვიუს ჩასატარებლად შეიქმნას კომფორტული გარემო, რაც განმცხადებელს მისცემს საშუალებას, წარმოადგინოს თავისი ანგარიში, მათ შორის გაამჟღავნოს მგრძობიარე და პირადი ინფორმაცია, განსაკუთრებით მათ, ვინც ტრავმას, წამებას და/ან არასათანადო მოპყრობას და სექსუალურ ძალადობას გადაურჩა, და რომ ინტერვიუსთვის საკმარისი დრო იყოს გამოყოფილი;

(ვ) ინტერვიუს დროს უზრუნველყოფილი იქნეს ბავშვების მოვლა, რათა განმცხადებელმა თავისი სარჩელი, მათ შორის სენსიტიური ინფორმაცია, ბავშვების თანდასწრებით არ წარმოადგინოს;

(ზ) მაშინ, როცა თავშესაფრის საქმის ფარგლებში თავისი პოზიციის მტკიცების ტვირთი თავშესაფრის მაძიებელ ქალს აწევს, ყველა შესაბამისი ფაქტის დადგენისა და შეფასების ვალდებულება უნდა გაინაწილონ განმცხადებელმა და იმ პირმა, ვინც მის საქმეს სწავლობს. თავშესაფრის შესახებ განაცხადების მიღების ზღვარი უნდა განისაზღვროს არა ძალადობის თუ დევნის ალბათობის საფუძველზე, არამედ გონივრული ვარაუდის საფუძველზე, რომ განმცხადებელს დასაბუთებულად ეშინია, რომ დაბრუნების შემთხვევაში მას დევნა ემუქრება;

(თ) ზოგიერთ შემთხვევაში სწორედ თავშესაფრის შესახებ განაცხადის შემსწავლელმა პირმა უნდა მიმართოს მისთვის ხელმისაწვდომ ყველა საშუალებას, რათა მოიპოვოს საჭირო მტკიცებულებები განაცხადის განსამტკიცებლად, მათ შორის მოიძიოს და შეაგროვოს გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია წარმომავლობის ქვეყნის ადამიანის უფლებების დამცველი სანდო სახელმწიფო და არასამთავრობო წყაროებიდან;

(ი) თავშესაფრის მოპოვების პროცედურის მსვლელობაში განმცხადებლის მიერ სექსუალური ძალადობის ან ტრავმული შემთხვევების დაგვიანებით აღიარება ავტომატურად არ ინვევდეს საჩივრის სარწმუნოების უარყოფითად შეფასებას. გადატანილი დევნის ჭეშმარიტი შინაარსის ან მისი შიშის გამჟღავნების სურვილის უქონლობა შეიძლება უკავშირდებოდეს სირცხვილის გრძობას, სტიგმას ან ტრავმას. სტანდარტული პრაქტიკა უნდა იყოს ინტერვიუების კონფიდენციალური ხასიათის შესახებ გაკეთებული განცხადებები, მათ შორის იმის თაობაზე, რომ ქალის მიერ მოწოდებული ინფორმაცია არ გახდება მისი თანხმობის გარეშე ცნობილი მისი ოჯახის წევრებისთვის;

(ვ) ფსიქოსოციალური კონსულტაციები და სხვა ტიპის დახმარება საჭიროებისამებრ ხელმისაწვდომი იყოს თავშესაფართან დაკავშირებული ინტერვიუს წინ და მის შემდეგ;

(ლ) თუ განაცხადი უარყოფილი იქნება, შესაბამისი გადანაცვლებები დასაბუთებული იყოს და განმცხადებელს საშუალება ჰქონდეს, კომპეტენტურ ორგანოში გაასაჩივროს აღნიშნული გადანაცვლებები;

(მ) გრძელვადიანი გადანაცვლებების კონტექსტში დევნილობიდან ლტოლვილების ნებაყოფლობითი დაბრუნება სამშობლოში და მათი მდგრადი და უსაფრთხო რეინტეგრაცია განხორციელდეს ღირსეულად და უზრუნველყოფილი იყოს ლტოლვილთა სოციალური და ეკონომიკური უსაფრთხოება.⁵⁰ სახელმწიფოებმა, რომლებმაც განმცხადებელ ქალთა ლტოლვილის სტატუსს აღიარებენ, უნდა უზრუნველყონ მათი ინტეგრაციის თანასწორობისა და დისკრიმინაციის არარსებობის საფუძველზე წარმართვა და ქალების მიმართ ღირსეული მოპყრობა.

V. დისკრიმინაციის დაუშვებლობისა და გენდერული თანასწორობის გამოყენება მოქალაქეობის განსაზღვრის პროცესებში და მოქალაქეობის არქონასთან მიმართებაში

ა. ზოგადი შენიშვნები

51. კონვენცია მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია საერთაშორისო ძალისხმევისთვის, რომელიც მიმართულია მოქალაქეობის არქონის თავიდან აცილებასა და შემცირებაზე, რადგან ეს განსაკუთრებულ გავლენას ახდენს ქალებისა და გოგოების მოქალაქეობის უფლებებზე.⁵¹

50 გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის პროგრამის აღმასრულებელი კომიტეტი, დასკვნა № 109 (LXI) ლტოლვილთა გაჯიანურებული სიტუაციების შესახებ.

51 ჩვეულებრივ საერთაშორისო სამართალსა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სტატუსის შესახებ 1954 წლის კონვენციის 1(1) მუხლში მოქალაქეობის არმქონე პირი განსაზღვრულია როგორც პირი, რომელიც „არ მიიჩნევა მოქალაქედ არცერთ ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად.“ საერთაშორისო სამართლის კომისიამ 1954 წლის კონვენციის 1(1) მუხლში მოცემული განსაზღვრება ჩვეულებრივი საერთაშორისო სამართლის ნაწილად მიიჩნია (A/61/10, თავი IV, პუნქტი 49). იხ. აგრეთვე გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის „სახელმძღვანელო მოქალაქეობის არმქონე პირთა დაცვის შესახებ: მოქალაქეობის არმქონე პირების სტატუსის შესახებ 1954 წლის კონვენციის საფუძველზე

კონვენცია მოქალაქეობის საკითხებში ქალთა სრული თანასწორუფლებიანობის დაცვას მოითხოვს. მოქალაქეობა არის კერძო პირსა და სახელმწიფოს შორის სამართლებრივი კავშირი და მას არსებითი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულფასოვანი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად. მოქალაქეობა ასევე უადრესად მნიშვნელოვანია სხვა უფლებების რეალიზებისა და ამ უფლებებით სარგებლობის გარანტირებისათვის, რომელთა შორის არის სახელმწიფოს ტერიტორიაზე შესვლისა და მუდმივად ცხოვრების უფლება და უცხოეთიდან იქ დაბრუნების უფლება. ამდენად, კონვენციის მე-9 მუხლი არსებითი მნიშვნელობისაა ქალების მიერ ადამიანის უფლებებით სრულფასოვანი სარგებლობისათვის. და თუმცა ადამიანის უფლებებით ყველა ადამიანი უნდა სარგებლობდეს, მათი მოქალაქეობრივი სტატუსის მიუხედავად, პრაქტიკაში ადამიანის ძირითადი უფლებებით სარგებლობისთვის ხშირად მოქალაქეობა წარმოადგენს წინაპირობას. მოქალაქეობის არმქონე გოგოები და ქალები დისკრიმინაციის დამძიმებულ ფორმას განიცდიან როგორც ქალები და როგორც მოქალაქეობის არმქონე ანუ უსამშობლო პირები.

52. კონვენციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს, რომ ქალებს უნდა ჰქონდეთ მამაკაცებთან თანაბარი უფლება, მიიღონ, შეინარჩუნონ ან შეიცვალონ თავიანთი მოქალაქეობა, მიუხედავად ქორწინებისა და განქორწინებისა და მიუხედავად იმისა, თუ მათი ქმრები როგორ განკარგავენ საკუთარ მოქალაქეობას. კონვენციის თანახმად, ქალებს ასევე აქვთ უფლება, თავიანთი მოქალაქეობა გადასცენ თავიანთ შვილებს, იმავე პირობებით, როგორც მათ ქმრებს, მიუხედავად იმისა, საკუთარ ქვეყანაში არიან ისინი თუ საზღვარგარეთ.

53. მოქალაქეობის არმქონე ქალები და გოგოები ხშირად მარგინალიზებულნი არიან მოქალაქეობის სტატუსის გარეშე,⁵² არ გააჩნიათ ხმის მიცემის ან საჯარო თანამდებობის დაკავების უფლება და შეიძლება უარი ეთქვათ საზოგადოებრივ სიკეთეებზე, საცხოვრებელი ადგილის არჩევაზე და თავისუფალ გადაადგილებაზე, ასევე ყველა იმ სარგებელზე, რაც მოქალაქეობის სტატუსიდან გამომდინარეობს, როგორც არის განათლების,

(ყენევა, 2014).

52 ტერმინები „ეროვნება“ და „მოქალაქეობა“ ერთი და იმავე მნიშვნელობით გამოიყენება.

- ჯანდაცვის, ქონებისა თუ დასაქმების უფლება.
54. მოქალაქეობასთან დაკავშირებულმა კანონმდებლობამ შეიძლება ქალების პირდაპირი ან ირიბი დისკრიმინაცია მოახდინოს. საკანონმდებლო დებულებებმა, რომლებიც გენდერული თვალსაზრისით ნეიტრალური ჩანს, პრაქტიკაში შეიძლება არაპროპორციული და უარყოფითი გავლენა იქონიოს ქალების მიერ მოქალაქეობის უფლებით სარგებლობაზე. მამაკაცებთან შედარებით ქალები უფრო ხშირად ცდილობენ მოქალაქეობის შეცვლას უცხოელ მამაკაცებზე დაქორწინების გზით და, შესაბამისად, მოქალაქეობის დაკარგვის მეტი რისკის ქვეშ არიან, თუ მათი ქვეყნის მოქალაქეობასთან დაკავშირებულ კანონმდებლობაში ხარვეზია და ის ითვალისწინებს ან მოითხოვს, რომ მათ უარი განაცხადონ თავიანთი ქვეყნის მოქალაქეობაზე ყოველგვარი გარანტიის გარეშე, რომ მეუღლის ქვეყნის მოქალაქეობას მიიღებენ. მრავალ ეროვნულ კანონმდებლობაში აკრძალული ორმაგი მოქალაქეობა ბრძის მოქალაქეობის არქონის ალბათობას. ხშირ შემთხვევაში ქალებს უფლება არ აქვთ, თავიანთი ქვეყნის მოქალაქეობა მიაღებინონ უცხოელ ქმრებს. სქესისა და გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია ეროვნულ კანონმდებლობაში კვლავაც მნიშვნელოვან და საზიანო გავლენას ახდენს და აისახება ქალებისა და მათი შვილების მიერ ადამიანის უფლებებით სარგებლობაზე. გენდერული უთანასწორობა კვლავ არსებობს საკმაოდ ბევრი ქვეყნის ეროვნულ კანონმდებლობასა და პრაქტიკაში და შეიძლება გამოიწვიოს ქალების მიერ მოქალაქეობის დაკარგვა. გენდერულ უთანასწორობას ასევე შეუძლია გამოიწვიოს მოქალაქეობის დაკარგვა ბავშვების მიერ, როდესაც მათ დედებს უკრძალავენ, მამებთან თანაბარ პირობებში, გადასცენ მოქალაქეობა თავიანთ შვილებს. ამრიგად, ქალთა დისკრიმინაციამ შეიძლება გამოიწვიოს მოქალაქეობის უქონლობის ციკლი, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა.⁵³
55. ნატურალიზაციის მოთხოვნებსაც შეუძლია ირიბად მოახდინოს ქალთა დისკრიმინაცია, თუკი ისეთი პირობების ან კრიტერიუმების დაკმაყოფილებას ითხოვს, რომ-

53 გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი, „სახელმძღვანელო პრინციპები მოქალაქეობის არქონის შესახებ, №4: მოქალაქეობის მიღებაზე ბავშვის უფლების უზრუნველყოფა,“ პუნქტები 13-15 (იხ. ზემოთ, სქოლიო 6).

- ლებიც ქალებისთვის უფრო რთულად შესასრულებელია, ვიდრე მამაკაცებისთვის, როგორცაა მასპინძელი სახელმწიფოს ენის ცოდნა, რაც ქალებისათვის, მათ შორის მოქალაქეობის არმქონე ქალებისთვის, უფრო რთული შეიძლება იყოს, რადგან ისინი წარსულშიც და ამჟამადაც არ სარგებლობენ ოფიციალური განათლების ხელმისაწვდომობის უფლებით. გარდა ამისა, ქალებისათვის შეიძლება უფრო რთული აღმოჩნდეს სხვა მოთხოვნების დაკმაყოფილება, როგორცაა ეკონომიკური თვითუზრუნველყოფა ან საკუთრების უფლება. უცხოელზე ქორწინების შემდეგ და ნატურალიზაციის მოთხოვნების საფუძველზე მოქალაქეობის დაკარგვამ, როგორც ეს ზემოთ, 54-ე პუნქტში აღინიშნა, შეიძლება გამოიწვიოს ქალების მამაკაცებზე ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და ლინგვისტური დამოკიდებულება და, თავის მხრივ, შეუქმნას ქალებს ექსპლუატაციის რისკი.
56. ქალებისა და მათი შვილების მოქალაქეობის უფლებას მჭიდროდ უკავშირდება დაბადების რეგისტრაციაც. დაბადების რეგისტრაცია პირის ვინაობის და მის მიერ მოქალაქეობის მიღების დამადასტურებელი საბუთია ან წარმოშობის (jus sanguinis), ან დაბადების ადგილის (jus soli) საფუძველზე. პრაქტიკაში ირიბი დისკრიმინაცია, კულტურული პრაქტიკა და სიღარიბე ხშირად შეუძლებელს ხდის, რომ დედებმა, განსაკუთრებით მარტოხელა დედებმა, მამებისგან განსხვავებით, დაარეგისტრირონ თავიანთი შვილები. ბავშვის დაბადების რეგისტრაციის არარსებობამ შეიძლება გააუარესოს ან შეუძლებელი გახადოს ბავშვის უფლებათა მთელი სპექტრით სარგებლობა, მათ შორის მოქალაქეობის უფლებით, სახელისა და იდენტობის უფლებით, კანონის წინაშე თანასწორობისა და სამართლებრივი შესაძლებლობის აღიარების უფლებით.
57. დისკრიმინაციულმა კანონებმა ან პრაქტიკამ შეიძლება ქალებსა და მათ შვილებს აღუკვეთოს თავიანთი პირადობის და მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ხელმისაწვდომობა. პირადობის და მოქალაქეობის დამადასტურებელი საბუთის გარეშე ქალებს და მათ შვილებს შეიძლება შეზღუდული ჰქონდეთ გადაადგილების თავისუფლება, ხელი არ მიუწვდებოდეთ დიპლომატიურ დაცვაზე, გრძელვადიან დაკავებაში აღმოჩნდნენ მათი პირადობის და მოქალაქეობის მამტიკიცებელი საბუთის დადგენამდე და საბოლოო ჯამში ისეთ

სიტუაციაში აღმოჩნდნენ, როდესაც არც ერთი სახელმწიფო არ მიიჩნევს მოქალაქეებად და მოქალაქეობის არმქონე პირები გახდნენ.

58. საზოგადოებაში ქალთა სრულფასოვანი მონაწილეობისთვის მოქალაქეობის კრიტიკული მნიშვნელობის გათვალისწინებით,⁵⁴ ზოგიერთი მონაწილე სახელმწიფოს მიერ კონვენციის მე-9 მუხლთან მიმართებაში გაკეთებული დათქმების მნიშვნელოვანი რაოდენობა და ხასიათი ეწინააღმდეგება კონვენციის მიზანს და დანიშნულებას. ადამიანის უფლებათა დაცვის ბევრ სხვა საერთაშორისო ინსტრუმენტში⁵⁵ არსებული მოქალაქეობის და დისკრიმინაციის დაუშვებლობის უფლებები, რომლებიც განამტკიცებს ქალთა თანაბარ უფლებებს მოქალაქეობაზე, ასევე წამოჭრის საკითხს აღნიშნული დათქმების ნამდვილობასა და სამართლებრივ შედეგთან დაკავშირებით. კომიტეტი ინტერესით აღნიშნავს დათქმების გაუქმების ან, სულ მცირე, მე-9 მუხლთან დაკავშირებული დათქმების შემცირების ტენდენციას, ასევე მონაწილე სახელმწიფოების შესაბამის ტენდენციას, დანერგონ ეროვნულ კანონმდებლობაში მამაკაცებისა და ქალების ოფიციალური თანასწორობა, რაც ხელს შეუწყობს ქალთა დისკრიმინაციის რისკის, განსაკუთრებით კი ქალებისა და მათი შვილების მიერ მოქალაქეობის არქონის, შემცირებას.

ბ. შენიშვნები კონვენციის კონკრეტულ მუხლებთან დაკავშირებით

59. კონვენციის მე-9 მუხლი ადგენს, რომ ქალებმა უნდა ისარგებლონ მოქალაქეობის მიღების, შეცვლის ან შენარჩუნების და თავიანთი მოქალაქეობის შვილებისთვის გადაცემის უფლებით მამაკაცებთან თანაბარი პირობებით. კომიტეტმა განმარტა, რომ ეს უფლება მეუღლეებზეც ვრცელდება.⁵⁶
60. მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები ვალდებული არიან, უზრუნველყონ, რომ არც უცხოელზე დაქორწინება, არც ქმრის მიერ ქორწინების

განმავლობაში მოქალაქეობის შეცვლა ავტომატურად არ ცვლიდეს ცოლის მოქალაქეობას, არ აქცევდეს მას მოქალაქეობის არმქონე პირად ან აიძულებდეს, მიიღოს ქმრის მოქალაქეობა. ქალები დისკრიმინაციული კანონებისა და პრაქტიკის შედეგად შეიძლება გახდნენ მოქალაქეობის არმქონეები, როდესაც ქალის მოქალაქეობა ავტომატურად უქმდება უცხოელზე დაქორწინებით და მას არ შეუძლია ქორწინების საფუძველზე თავისი ქმრის მოქალაქეობა მიიღოს; მისი ქმარი იცვლის მოქალაქეობას, მოქალაქეობის არმქონე ხდება ან კვდება; ან მისი ქორწინება განქორწინებით სრულდება.

61. კონვენციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი მონაწილე სახელმწიფოებისგან მოითხოვს, უზრუნველყონ, რომ ქალებსა და მამაკაცებს თავიანთი მოქალაქეობის შვილებისთვის მინიჭების თანაბარი უფლებები ჰქონდეთ. მონაწილე სახელმწიფოების მიერ 9(2) მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა ბავშვებს მოქალაქეობის არქონის საფრთხეს უქმნის. მოქალაქეობის შესახებ კანონები, რომლებიც მოქალაქეობას მხოლოდ მამის ხაზით ანიჭებს, არღვევს კონვენციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტს და ბავშვებს მოქალაქეობის არმქონედ ხდის, თუ:
- (ა) მამას არ გააჩნია მოქალაქეობა;
 - (ბ) მამის სამშობლოს კანონები კრძალავს შვილისთვის მოქალაქეობის მინიჭებას გარკვეულ ვითარებაში, მაგალითად, თუ ბავშვი საზღვარგარეთ დაიბადა;
 - (გ) მამა უცნობია ან არ არის დაქორწინებული დედაზე ბავშვის დაბადების მომენტში;
 - (დ) მამამ ვერ გაიარა სათანადო ადმინისტრაციული პროცედურები თავისი მოქალაქეობის შვილებისთვის მინიჭების მიზნით ან მოქალაქეობის დამადასტურებელი საბუთის მისაღებად, რადგან, მაგალითად, გარდაიცვალა, იძულებით დაამორეს ოჯახს ან არ შეუძლია შეასრულოს დოკუმენტაციასთან დაკავშირებული ან სხვა მკაცრი მოთხოვნები;
 - (ე) მამას არ სურს შეასრულოს სათანადო ადმინისტრაციული პროცედურები თავისი მოქალაქეობის შვილებისთვის მინიჭების მიზნით ან მოქალაქეობის დამადასტურებელი საბუთის მისაღებად, რადგან, მაგალითად, მიატოვა საკუთარი ოჯახი.

62. კონვენციის 1-3 მუხლები ასევე განამტკიცებს ქალთა უფლებებს, მამაკაცებთან თანაბარ საფუძველზე, ისაგებლონ ნატურალიზაციით მეუღლეებთან ერთად. ამ თვალსაზრისით ქალთა მიმართ დისკრიმინაცია ხელს უშლის მოქალაქეობის არქონის შემცირებას. იგივე შეიძლება ითქვას, როდესაც ქალებს არ შეუძლიათ უზრუნველყონ მოქალაქეობის მი-

54 იხ. ზოგადი რეკომენდაცია № 21, პუნქტი 6.
55 ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხლი 15; სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი, მუხლები 2, 3, 24 და 26; ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი 7; საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოსაფხვრელად, მუხლი 5; შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენცია, მუხლი 18; და საერთაშორისო კონვენცია შრომითი მიგრანტების და მათი ოჯახის წევრების დაცვის შესახებ, მუხლი 29.
56 CEDAW/C/KWT/CO/3-4, პუნქტი 37.

ნიჭება მოქალაქეობის არმქონე თავიანთი მეუღლეებისთვის. მოქალაქეობის უქონლობის რისკი ასეთი კავშირის შედეგად დაბადებულ ბავშვებსაც ექმნებათ.

8. კონკრეტული რეკომენდაციები

63. გემოლანიშნულის გათვალისწინებით კომიტეტი რეკომენდაციას იძლევა, რომ მონაწილე სახელმწიფოებმა, რომლებსაც ეს ჯერ არ გაუკეთებიათ:

(ა) გადასინჯონ და გააუქმონ თავიანთი დათქმები კონვენციის მე-9 მუხლთან დაკავშირებით, რადგან ისინი არ შეესაბამება კონვენციის მიზანს და დანიშნულებას და, შესაბამისად, მიუღებელია 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად;⁵⁷

(ბ) გადასინჯონ და შეცვალონ მოქალაქეობასთან დაკავშირებული თავიანთი კანონები, რათა უზრუნველყონ ქალებისა და მამაკაცების თანასწორობა მოქალაქეობის მიღების, შეცვლის და შენარჩუნების თვალსაზრისით და საშუალება მისცენ ქალებს, გადასცენ თავიანთი მოქალაქეობა საკუთარ შვილებს და თავიანთ უცხოელ მეუღლეებს, ასევე უზრუნველყონ აღნიშნული კანონების განხორციელების გზაზე არსებული ნებისმიერი ბარიერის გაუქმება კონვენციის პირველ, მე-3 და მე-9 მუხლებთან სრულ შესაბამისობაში;

(გ) გააუქმონ ისეთი კანონები, რომლებიც ითვალისწინებს ქალის მიერ მოქალაქეობის ავტომატურად მიღებას ქორწინების შედეგად ან მოქალაქეობის ავტომატურად დაკარგვას მისი ქმრის ოჯახური მდგომარეობის ან მოქალაქეობის შეცვლის შედეგად;

(დ) განიხილონ ორმაგი მოქალაქეობის დაშვება ისეთ შემთხვევებში, როდესაც ქალები უცხოელ მამაკაცებზე ქორწინდებიან და ასეთი კავშირის შედეგად ბავშვები იბადებიან, განსაკუთრებით სიტუაციებში, როდესაც სამართლებრივ რეჟიმს, რომელიც ორმაგ მოქალაქეობას ითვალისწინებს, შეუძლია მოქალაქეობის არქონა გამოიწვიოს;

(ე) თავიდან აიცილონ მოქალაქეობის არქონა იმგვარი საკანონმდებლო ნორმების საფუძველზე, რომლებიც პირის მიერ მოქალაქეობის დაკარგვას დამოკიდებულს ხდის სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღებაზე, და დაუშვან მოქალაქეობის აღდგენა იმ ქალებისთვის, ვინც დაკარგა მოქალაქეობა მსგავსი დამცავი მექანიზმების არარსებობის გამო;

(ვ) ხელი შეუწყონ ინფორმირებულობის ამაღლებას ბოლო წლებში შემუშავებული სამართლებრივი და პოლიტიკური ნორმების შესახებ, რომლებიც ქალებს უზრუნველყოფს

მამაკაცების თანაბარი უფლებებით - მოიპოვონ, შეიცვალონ ან შეინარჩუნონ მოქალაქეობა ან მინიჭონ თავიანთი მოქალაქეობა შვილებს და უცხოელ მეუღლეებს;

(ზ) აღკვეთონ ირიბი დისკრიმინაცია მოქალაქეობასთან დაკავშირებულ კანონმდებლობაში, რომელიც წარმოიშობა, მაგალითად, ნატურალიზაციის მოთხოვნების მეშვეობით, რომლებიც ხშირად ქალებისთვის უფრო მკაცრია, ვიდრე მამაკაცებისთვის;

(თ) მოახდინონ რატიფიცირება ან შეუერთდნენ 1954 წლის კონვენციას მოქალაქეობის არმქონე პირთა სტატუსის შესახებ და 1961 წლის კონვენციას მოქალაქეობის არმქონე პირთა შემცირების შესახებ;

(ი) თავი შეიკავონ ისეთი ზომების მიღებისა და განხორციელებისგან, რომლებიც ქალებს მოქალაქეობას ართმევს და მოქალაქეობის არმქონედ აქცევს;

(კ) ითანამშრომლონ გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატთან, რომელიც მუშაობს მოქალაქეობის არმქონე პირთა დადგენაზე, შემცირებასა და პრევენციაზე, ასევე მოქალაქეობის არმქონე პირების, კერძოდ, მოქალაქეობის არმქონე ქალების დაცვაზე;

(ლ) შეაგროვონ, გააანალიზონ და გაასაჯაროონ სქესის მიხედვით კლასიფიცირებული სტატისტიკური მონაცემები მოქალაქეობის არმქონე პირთა შესახებ თავიანთ ტერიტორიებზე;

(მ) ეფექტიანი ზომები მიიღონ იმის უზრუნველსაყოფად, რომ ქალებს და გოგოებს თანაბრად მიუწვდებოდეთ ხელი პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტაციაზე, მათი მოქალაქეობის დამადასტურებელი საბუთების ჩათვლით;

(ნ) მიიღონ ზომები ყველა დაბადების დროული რეგისტრაციისთვის და ამ თვალსაზრისით სათანადო დონის ძიებები ჩაატარონ ინფორმირებულობის დონის ასამაღლებლად, განსაკუთრებით სოფლად და მათ ტერიტორიებზე ცენტრისგან მოშორებით განლაგებულ ადგილებში, ბავშვის დაბადების რეგისტრირების მნიშვნელობის შესახებ, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ყველა ბავშვის რეგისტრაცია და გოგოებისა და ბიჭების უფლებების თანასწორობა.

57 ზოგადი რეკომენდაციები №4, 20 და 28.

XIII. ზოგადი რეკომენდაცია N33

მართლმსაჯულებაზე ქალების

ხელმისაწვდომობის შესახებ

- I. შესავალი და მოქმედების სფერო
- II. ზოგადი საკითხები და რეკომენდაციები მართლმსაჯულებაზე ქალების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით
 - ა. დავების სასამართლო წესით განხილვის შესაძლებლობა, მართლმსაჯულების მისაწვდომობა, ხელმისაწვდომობა, მაღალი ხარისხი, მსხვერპლთათვის ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა და მართლმსაჯულების სისტემების ანგარიშვალდებულება
 - ბ. დისკრიმინაციული კანონები, პროცედურები და პრაქტიკა
 - გ. სტერეოტიპული აღქმები და გენდერული მიკერძოებულობა მართლმსაჯულების სისტემაში და შესაძლებლობათა განვითარების მნიშვნელობა
 - დ. განათლება და სტერეოტიპების შემოქმედების შესახებ ცნობიერების ამაღლება
 - ე. იურიდიული დახმარება და საზოგადოებრივი დამცველი
 - ვ. რესურსები
- III. რეკომენდაციები კანონმდებლობის კონკრეტულ სფეროებთან დაკავშირებით
 - ა. საკონსტიტუციო სამართალი
 - ბ. სამოქალაქო სამართალი
 - გ. საოჯახო სამართალი
 - დ. სისხლის სამართალი
 - ე. ადმინისტრაციული, სოციალური და შრომის სამართალი
- IV. რეკომენდაციები კონკრეტულ მექანიზმებთან დაკავშირებით
 - ა. სპეციალიზებული სასამართლო/კვაზისასამართლო სისტემები და მართლმსაჯულების საერთაშორისო/რეგიონული სისტემები
 - ბ. დავების გადაწყვეტის ალტერნატიული პროცესები
 - გ. ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული მექანიზმები და ომბუდსმენთა სამსახურები
 - დ. მართლმსაჯულების პლურალური სისტემები
- V. კონვენციასთან დაკავშირებული დათქმების გაუქმება
- VI. კონვენციის ფაკულტატური ოქმის რატიფიცირება

1. შესავალი და მოქმედების სფერო

1. ქალებისათვის მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უფლებას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციით გათვალისწინებული ყველა უფლების რეალიზაციისათვის. ეს კანონის უზენაესობისა და კარგი მმართველობის ფუნდამენტური ელემენტია სასამართლოს დამოუკიდებლობასთან, მიუკერძოებლობასთან, პატიოსნებასთან და საიმედოობასთან, დაუსჯელობისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლასთან და სასამართლო სისტემისა და კანონის აღსრულების სხვა მექანიზმებში ქალების მამაკაცებთან თანასწორ მონაწილეობასთან ერთად. მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უფლებას ბევრი ასპექტი აქვს. ის მოიცავს დავების სასამართლო წესით განხილვის შესაძლებლობას, მართლმსაჯულების მისაწვდომობას, მაღალ ხარისხს, მსხვერპლთათვის ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფას და მართლმსაჯულების სისტემების ანგარიშვალდებულებას. წინამდებარე ზოგადი რეკომენდაციის მიზნებისათვის „ქალების“ ყველა მოხსენიება გულისხმობს ქალებსა და გოგონებს, თუ საგანგებოდ სხვა რამ არ იქნება მითითებული.
2. წინამდებარე ზოგადრეკომენდაციაში კომიტეტი განიხილავს მონაწილე სახელმწიფოთა ვალდებულებას - უზრუნველყონ, რომ ქალებს ჰქონდეთ მართლმსაჯულებაზე წვდომა. ეს ვალდებულება მოიცავს ქალთა უფლებების დაცვას ყველა ფორმის დისკრიმინაციისაგან, მათი, როგორც ადამიანების და უფლებების მქონე ინდივიდების, გაძლიერების მიზნით. მართლმსაჯულებაზე რეალური წვდომა ოპტიმალურს ხდის კანონის განმათავისუფლებელ და ტრანსფორმაციულ პოტენციალს.
3. პრაქტიკაში კომიტეტს შეუძრნევიან რიგი დაბრკოლებების და შეზღუდვებისა, რომლებიც ხელს უშლის ქალებს მართლმსაჯულებაზე წვდომის მათი უფლებით სარგებლობაში მამაკაცებთან თანასწორ საფუძველზე. ამ დაბრკოლებებს შორის არის ისიც, რომ მონაწილე სახელმწიფოები ვერ ახერხებენ ქალებისთვის რეალური სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფას მართლმსაჯულებაზე წვდომის ყველა ასპექტთან დაკავშირებით. ეს დაბრკოლებები გვხვდება დისკრიმინაციისა და უთანასწორობის სტრუქტურულ კონტექსტში, რისი მიზეზებია ისეთი ფაქტორები, როგორებიც

- არის გენდერული სტერეოტიპების არსებობა, დისკრიმინაციული კანონები, დისკრიმინაცია ურთიერთგადამკვეთ სფეროებში ან დამძიმებული დისკრიმინაცია, პროცედურული და მტკიცებულებებთან დაკავშირებული მოთხოვნები და პრაქტიკა, ასევე უუნარობა, სისტემატურად მოხდეს იმის უზრუნველყოფა, რომ სამართლებრივი მექანიზმები ფიზიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული თვალსაზრისით იყოს ხელმისაწვდომი ყველა ქალისათვის. ყველა ეს დაბრკოლება წარმოადგენს ქალთა უფლებების რეგულარულ დარღვევას.
4. წინამდებარე ზოგადი რეკომენდაცია ვრცელდება ქალებისათვის მართლმსაჯულების პროცედურებსა და ხარისხზეც მართლმსაჯულების სისტემების ყველა დონეზე, მათ შორის სპეციალიზებულ და კვაზისასამართლო მექანიზმებზე. კვაზისასამართლო მექანიზმები მოიცავს სახელმწიფო ადმინისტრაციული უწყებების ან ორგანოების ყველა ქმედებას, რომლებიც ანალოგიურია სასამართლო სისტემაში განხორციელებული ქმედებებისა, რომლებსაც აქვთ სამართლებრივი შედეგები და შესწევთ უნარი, უარყოფითი ზემოქმედება მოახდინონ სამართლებრივ უფლებებზე, მოვალეობებსა და პრივილეგიებზე.
 5. მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უფლება ვრცელდება მართლმსაჯულების პლურალურ სისტემებზეც. ტერმინი „მართლმსაჯულების პლურალური სისტემები“ გულისხმობს მონაწილე სახელმწიფოში, ერთი მხრივ, კანონების, რეგულაციების, პროცედურებისა და გადაწყვეტილებების და, მეორე მხრივ, რელიგიური, ტრადიციული, მკვიდრი მოსახლეობის ან თემის კანონებისა და პრაქტიკის თანაარსებობას. შესაბამისად, მართლმსაჯულების პლურალური სისტემები მოიცავს კანონის სხვადასხვა, ოფიციალურ თუ არაოფიციალურ, სახელმწიფო, არასახელმწიფო თუ შერეულ, წყაროს, რომლებსაც ქალები შეიძლება შეეჯახონ, როდესაც ცდილობენ მართლმსაჯულებაზე წვდომის თავიანთი უფლების განხორციელებას. რელიგიური, ტრადიციული, მკვიდრი მოსახლეობის ან თემის მართლმსაჯულების სისტემები - რომლებსაც წინამდებარე ზოგად რეკომენდაციაში ტრადიციულ მართლმსაჯულების სისტემებად მოვისხენიებთ - შესაძლებელია ოფიციალურად იყოს აღიარებული სახელმწიფოს მიერ, მუშაობდეს სახელმწიფოს მდუმარე

თანხმობის პირობებში, რაიმე მკაფიო სტატუსით ან უსტატუსოდ, ანდა სახელმწიფოს მარეგულირებელი ჩარჩოს ფარგლებს გარეთ მოქმედებდეს.

6. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და რეგიონულ შეთანხმებებსა და დეკლარაციებში და ეროვნულ კონსტიტუციათა უმრავლესობაში არსებობს გარანტიები, რომლებიც ეხება კანონის წინაშე სქესთა და/ან გენდერულ თანასწორობას, და იმის უზრუნველყოფის ვალდებულებები, რომ ყველა ადამიანმა ისარგებლოს კანონის მიერ თანასწორი დაცვის უფლებით.¹ კონვენციის მე-15 მუხლი ადგენს, რომ ქალებს და მამაკაცებს უნდა ჰქონდეთ თანასწორობა კანონის წინაშე და მათ უნდა ისარგებლონ კანონის მხრიდან თანასწორი დაცვით. მე-2 მუხლის მიხედვით, მონაწილე სახელმწიფოები მიიღებენ ყველა საჭირო ზომას, რათა უზრუნველყონ მამაკაცებისა და ქალების არსებითი თანასწორობა ცხოვრების ყველა სფეროში, მათ შორის კომპეტენტური ეროვნული სასამართლოების და სხვა სახელმწიფო დანესებულებების ჩამოყალიბების მეშვეობით უზრუნველყოფენ ქალთა ეფექტიან დაცვას დისკრიმინაციის ნებისმიერი აქტისაგან. ამ დებულების შინაარსი და მასშტაბი დაკონკრეტებულია კომიტეტის №28 ზოგად რეკომენდაციაში, რომელიც ეხება მონაწილე სახელმწიფოთა ძირითად ვალდებულებებს კონვენციის მე-2 მუხლის საფუძველზე. მე-3 მუხლი ადგენს, რომ სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ საჭირო ზომები, რათა უზრუნველყონ, რომ ქალებს შეეძლოთ მამაკაცებთან თანასწორად განახორციელონ და გამოიყენონ საკუთარი უფლებები და ძირითადი თავისუფლებები.
7. დისკრიმინაცია შეიძლება მიმართული იყოს ქალების მიმართ მათი სქესისა და გენდერის საფუძველზე. გენდერი გულისხმობს ქალებისა და მამაკაცების სოციალურად კონსტრუირებულ იდენტობებს, ატრიბუტებს და როლებს და საზოგადოების მიერ ბიოლოგიური განსხვავებებისთვის მინიჭებულ კულტურულ მნიშვნე-

1 იხ., მაგალითად, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-7 და მე-8 მუხლები, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-2 და მე-14 მუხლები და ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტის 2(2) და მე-3 მუხლები. რეგიონულ დონეზე შესაბამისი დებულებები შედის ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის შესახებ კონვენციაში (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია), ადამიანის უფლებათა ამერიკულ კონვენციაში და ადამიანის და ხალხების უფლებათა აფრიკულ ქარტიამი.

ლობებს, რომლებიც თანმიმდევრულად აისახება მართლმსაჯულების სისტემაში და მის ინსტიტუტებში. კონვენციის მე-5 მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოებს აკისრიათ ვალდებულება, გამოააშკარონ და შეცვალონ ის სოციალური და კულტურული ბარიერები, მათ შორის გენდერული სტერეოტიპები, რომლებიც ხელს უშლის ქალებს მათი უფლებების განხორციელებაში და მოთხოვნაში, ასევე აბრკოლებს მათთვის სამართლებრივი დაცვის ეფექტიან საშუალებაზე წვდომას.

8. ქალთა დისკრიმინაცია, რომელიც ეფუძნება გენდერულ სტერეოტიპებს, სტიგმას, მავნე და პატრიარქალურ კულტურულ ნორმებსა და გენდერული ნიშნით ძალადობას, რომელიც განსაკუთრებულად ქალებზე ვრცელდება, უარყოფით ზემოქმედებას ახდენს ქალების შესაძლებლობაზე, მამაკაცებთან თანასწორად მიუწვდებოდეთ ხელი მართლმსაჯულებაზე. გარდა ამისა, ქალთა დისკრიმინაციას ამძიმებს ურთიერთგადამკვეთი ფაქტორები, რომლებიც ზოგიერთ ქალზე განსხვავებული მასშტაბის ან სხვა სახის ზემოქმედებას ახდენს, ვიდრე ის ფაქტორები, რომლებიც მამაკაცებზე ან სხვა ქალებზე მოქმედებს. ურთიერთგადამკვეთი ან დამძიმებული დისკრიმინაციის საფუძველი შეიძლება იყოს ეთნიკური წარმომავლობა/რასა, მკვიდრი მოსახლეობის ან უმცირესობის სტატუსი, კანის ფერი, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და/ან ვასტა, ენა, რელიგია ან რწმენა, პოლიტიკური მრწამსი, ეროვნული წარმომავლობა, ოჯახური მდგომარეობა და/ან დედის სტატუსი, ასაკი, ქალაქში/სოფლად ცხოვრება, ჯანმრთელობის მდგომარეობა, შებლუდული შესაძლებლობა, ქონების ფლობა და ლესბოსელის, ბისექსუალის ან ტრანსგენდერი ქალის ან ინტერსექსის იდენტობა. ეს ურთიერთგადამკვეთი ფაქტორები აღნიშნული ჯგუფების წარმომადგენელი ქალებისთვის ართულებს მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობას.²
9. სხვა ფაქტორებს შორის, რომლებიც ართულებს ქალებისთვის მართლმსაჯულებაზე წვდომას, შეიძლება აღინიშნოს წერა-კითხვის უცოდინრობა, ტრეფიკინგი, შეიარაღებული კონფლიქტი, თავშესაფრის მაძიებლის სტატუსი, ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილება, მოქალაქეობის უქონლობა, მიგრაცია, ქალის როგორც ოჯახის უფროსის როლი, ქვრივობა, აივ სტატუსი, თავისუფლების

2 იხ. №28 ზოგადი რეკომენდაციის მე-18 პუნქტი.

აღკვეთა, პროსტიტუციის კრიმინალიზაცია, გეოგრაფიული სიშორე და საკუთარი უფლებებისთვის მებრძოლი ქალების სტიგმატიზაცია. ადამიანის ამ უფლებების დამცველი პირები და ორგანიზაციები თავადაც ხშირად ხდებიან სამიზნეები და საჭიროა მათ საქმიანობაზე ყურადღების გამახვილება და მართლმსაჯულებაზე წვდომის მათი უფლების დაცვა.

10. კომიტეტს დოკუმენტური სახით აქვს აღრიცხული ქალთა კონკრეტული ჯგუფებისთვის მართლმსაჯულებაზე წვდომაზე დისკრიმინაციის ურთიერთგადამკვეთი ფორმების ნეგატიური ზემოქმედების ბევრი მაგალითი, მათ შორის არაეფექტიანი სამართლებრივი დაცვის საშუალებები. ქალები, რომლებიც აღნიშნულ ჯგუფებს მიეკუთვნებიან, ხშირად არ ატყობინებენ საკუთარი უფლებების დარღვევის შესახებ ხელისუფლების ორგანოებს შეურაცხყოფის, სტიგმატიზაციის, დაპატიმრების, დეპორტირების, წამების ან მათზე სხვა ფორმის ძალადობის შიშის გამო, მათ შორის სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მხრიდანაც. კომიტეტს ასევე აღუნიშნავს, რომ როდესაც აღნიშნული ჯგუფების წარმომადგენელ ქალებს საჩივრები შეაქვთ, ხელისუფლების ორგანოები ხშირად არ მოქმედებენ სათანადო გულისხმიერებით, რათა გამოიძიონ, ანარმონ დევნა, დასაჯონ დამნაშავეები და უზრუნველყონ ზიანის ანაზღაურება.³
11. გარდა კონვენციის 2(გ), მე-3, 5(ა) და მე-15 მუხლებისა, მონაწილე სახელმწიფოებს აქვთ საერთაშორისო ხელშეკრულებებით დადგენილი სხვა ვალდებულებები - უზრუნველყონ, რომ ყველა ქალს ხელი მიუწვდებოდეს განათლებასა და ინფორმაციაზე საკუთარი უფლებებისა და მათთვის ხელმისაწვდომი სამართლებრივი დაცვის საშუალებების შესახებ, იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოახერხონ ამ საშუალებებით სარგებლობა, ასევე ხელი მიუწვდებოდეთ დავების გადწყვეტის კომპეტენტურ, გენდერულ საკითხებზე ორიენტირებულ სისტემებსა და სამართლებრივი დაცვის ქმედით და დროულ საშუალებებზე.⁴

3 იხ., მაგალითად, დასკვნითი შენიშვნები ბაჰამის კუნძულებთან (CEDAW/C/BHS/CO/1-5, პუნქტი 25 (დ)), კოსტა-რიკასთან (CEDAW/C/CRI/CO/5-6, პუნქტები 40-41), ფიჯისთან (CEDAW/C/FJI/CO/4, პუნქტები 24-25), ყირგიზეთთან (A/54/38/ვერსია 1, ნაწილი პირველი, პუნქტები 127-128), კორეის რესპუბლიკასთან (CEDAW/C/KOR/CO/6, პუნქტები 19-20, და CEDAW/C/KOR/CO/7, პუნქტი 23 (d)) და უგანდასთან (CEDAW/C/UGA/CO/7, პუნქტები 43-44) დაკავშირებით.

4 კერძოდ, იხ. ზოგადი რეკომენდაციები №19, 21, 23,

12. კომიტეტის მოსაზრებებსა და რეკომენდაციებს იმ ნაბიჯებთან დაკავშირებით, რომლებიც უნდა გადაიდგას იმისათვის, რომ აღმოიფხვრას დაბრკოლებები, რომლებსაც ქალები აწყდებიან მართლმსაჯულებაზე წვდომის თვალსაზრისით, საფუძვლად უდევს კომიტეტის გამოცდილება, რომელიც მან მიიღო მონაწილე სახელმწიფოთა ანგარიშების განხილვისას, ინდივიდუალური შეტყობინებების ანალიზისას და მის მიერ კონვენციის ფაქულტატიური ოქმის საფუძველზე მოკვლევათა წარმოებისას. გარდა ამისა, კომიტეტს გათვალისწინებული აქვს მართლმსაჯულებაზე წვდომის სფეროში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა დაცვის სხვა მექანიზმების, ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ინსტიტუტების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, მათ შორის ქალთა სათემო ასოციაციების, და სამეცნიერო მკვლევარების მიერ ჩატარებული სამუშაო.

II. ზოგადი საკითხები და რეკომენდაციები მართლმსაჯულებაზე ქალების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით

- ა. დავების სასამართლო წესით განხილვის შესაძლებლობა, მართლმსაჯულების მისაწვდომობა, ხელმისაწვდომობა, მაღალი ხარისხი, მსხვერპლთათვის ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა და მართლმსაჯულების სისტემების ანგარიშვალდებულება
13. კომიტეტმა აღნიშნა, რომ სასამართლოებისა და კვაზისასამართლო ორგანოების კონცენტრაცია დიდ ქალაქებში, მათი არარსებობა სოფლად და ცენტრისგან მოშორებით მდებარე რეგიონებში, ამ ორგანოებამდე მისასვლელად საჭირო დრო და ფული, სამართალწარმოების სირთულე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალებისათვის არსებული ფიზიკური ბარიერები, მაღალი ხარისხის, გენდერული თვალსაზრისით კომპეტენტური იურიდიული კონსულტაციის, მათ შორის იურიდიული დახმარების არარსებობა, ასევე მართლმსაჯულების სისტემების ხარისხში ხშირად აღნიშნული ნაკლოვანებები (მაგალითად, განაჩენები ან გადანყვეტილებები, რომლებიც არ ითვალისწინებს გენდერულ

24, 26, 27, 29 და 30.

საკითხებს, რაც შედეგია ტრენინგების ნაკლებობის, სამართალწარმოებაში შეფერხებების და მისი გაჭიანურების, ასევე კორუფციისა) - ეს ყველაფერი ხელს უშლის ქალებს მართლმსაჯულებაზე წვდომაში.

14. ამიტომ მართლმსაჯულებაზე წვდომის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ექვსი ურთიერთდაკავშირებული და არსებითი კომპონენტის არსებობა - ეს არის დავების სასამართლო წესით განხილვის შესაძლებლობა, მართლმსაჯულების მისაწვდომობა, ხელმისაწვდომობა, მაღალი ხარისხი, მსხვერპლთათვის ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა და მართლმსაჯულების სისტემების ანგარიშვალდებულება. მიუხედავად იმისა, რომ სამართლებრივ, სოციალურ, კულტურულ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ პირობებში არსებული განსხვავებები თითოეულ მონაწილე სახელმწიფოში განაპირობებს ამ კომპონენტების განსხვავებულ გამოყენებას, მიდგომის ძირითადი ელემენტები საყოველთაოდ რელევანტურია და გადაუდებლად არის გამოსაყენებელი. შესაბამისად:

(ა) დავების სასამართლო წესით განხილვის შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ქალებისთვის მართლმსაჯულებაზე დაუბრკოლებელი წვდომა, მათი უნარი და მათთვის შესაძლებლობის მიცემა, მოითხოვონ საკუთარი უფლებები, რომლებიც მათ კონვენციის ძალით ეკუთვნით;

(ბ) მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია სასამართლოების, კვაზისასამართლო ორგანოების ან სხვა ორგანოების შექმნა მთელ მონაწილე სახელმწიფოში - ქალაქებში, სოფლად და ცენტრისგან მოშორებით მდებარე ადგილებში, ასევე მათი მოვლა-შენახვა და დაფინანსება;

(გ) ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია, რომ მართლმსაჯულების ყველა - როგორც ოფიციალური, ისე კვაზისასამართლო - სისტემა იყოს უსაფრთხო, ფინანსურად და ფიზიკურად ხელმისაწვდომი ქალებისათვის და მისადაგებული და შესაფერისი ქალთა საჭიროებებისათვის, მათ შორის ისეთი ქალებისათვის, ვინც განიცდის დისკრიმინაციის ურთიერთგადამკვეთ ან დამძიმებულ ფორმებს;

(დ) მართლმსაჯულების სისტემების მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად აუცილებელია, რომ სისტემის ყველა კომპონენტი შეესაბამებოდეს კომპეტენტურობის, ეფექტიანობის, დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის

საერთაშორისო სტანდარტებს⁵ და დროულად უზრუნველყოფდეს სამართლებრივი დაცვის შესაფერის და ეფექტიან საშუალებებს, რომლებიც რეალურად გახორციელდება და შედეგად მოიტანს ყველა ქალისათვის დავების მდგრად, გენდერულ საკითხებზე ორიენტირებულ გადანაცვლას. ამისათვის ასევე საჭიროა, რომ მართლმსაჯულების სისტემები იყოს კონტექსტზე მორგებული, დინამიკური, მონაწილეობაზე დამყარებული, ადვილად იღებდეს ინოვაციურ პრაქტიკულ ზომებს, იყოს გენდერულ საკითხებზე ორიენტირებული და მხედველობაში იღებდეს ქალების მხარდ მოთხოვნას მართლმსაჯულებაზე;

(ე) ზიანის ანაზღაურებისთვის აუცილებელია, რომ მართლმსაჯულების სისტემები უზრუნველყოფდეს ქალების რეალურ დაცვას და ნებისმიერი იმ ზიანის მიზანმიმართულ ანაზღაურებას, რომელიც მათ შეიძლება განიცადონ (იხ. მე-2 მუხლი); და

(ვ) მართლმსაჯულების სისტემების ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა ხდება მონიტორინგის მეშვეობით, რაც მიზნად ისახავს იმის გარანტირებას, რომ ეს სისტემები მოქმედებდეს დავების სასამართლო წესით განხილვის შესაძლებლობის, მართლმსაჯულების მისაწვდომობის, ხელმისაწვდომობის, მაღალი ხარისხისა და მსხვერპლთათვის ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფის პრინციპების შესაბამისად. მართლმსაჯულების სისტემების ანგარიშვალდებულება ასევე გულისხმობს მართლმსაჯულების სისტემების პროფესიონალთა ქმედებების მონიტორინგს და მათთვის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას, როდესაც ისინი კანონს არღვევენ.

15. **დავების სასამართლო წესით განხილვის შესაძლებლობასთან დაკავშირებით კომიტეტი რეკომენდაციას უწევს მონაწილე სახელმწიფოებს, რათა მათ:**

(ა) უზრუნველყონ, რომ აღიარებული და კანონმდებლობაში ჩართული იქნეს უფლებები და შესაბამისი სამართლებრივი დაცვა, რათა გაუმჯობესდეს მართლმსაჯულების სისტემის გენდერულ სტანდარტებთან შესაბამისობა;

(ბ) გააუმჯობესონ ქალებისთვის მართლმსაჯულების სისტემებზე დაუბრკოლებელი წვდომა და ამით მისცენ მათ შესაძლებ-

5 იხ. გენერალური ასამბლეის მიერ №40/32 რეზოლუციით დამტკიცებული „სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპები“.

ლობა, მიაღწიონ de jure და de facto თანასწორობას;

(გ) უზრუნველყონ, რომ მართლმსაჯულების სისტემის პროფესიონალები საქმეებს გენდერულ საკითხებზე ორიენტირებით უდგებოდნენ;

(დ) უზრუნველყონ სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა, პატიოსნება და სანდოობა და დამნაშავეთა დაუსჯელობის წინააღმდეგ ბრძოლა;

(ე) ბრძოლა გამოუცხადონ კორუფციას მართლმსაჯულების სისტემებში - ეს ქალთა მიერ მართლმსაჯულებაზე წვდომისას ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის მნიშვნელოვანი ელემენტია;

(ვ) დაუპირისპირდნენ და აღმოფხვრან დაბრკოლებები სასამართლო და კვაზი-სასამართლო სისტემების ყველა ორგანოში და დონეზე და მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული სერვისების მიმწოდებელ ყველა უწყებაში პროფესიონალი ქალების მონაწილეობისთვის და მიიღონ ზომები, მათ შორის დროებითი სპეციალური ზომები, რათა უზრუნველყონ, რომ ქალები თანასწორად იყვნენ წარმოდგენილები სასამართლო და კანონის აღსრულების სხვა მექანიზმებში - იყვნენ მაგისტრატები, მოსამართლეები, პროკურორები, საზოგადოებრივი დამცველები, ადვოკატები, ადმინისტრატორები, მედიატორები, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები, სასამართლო და სისხლის სამართლის სისტემის თანამდებობის პირები და ექსპერტი პრაქტიკოსები, ასევე სხვა პროფესიების წარმომადგენლები;

(ზ) გადასინჯონ მტკიცების ტვირთთან დაკავშირებული წესები, რათა უზრუნველყოფილი იქნეს მხარეებს შორის თანასწორობა ყველა იმ სფეროში, სადაც ძალაუფლებრივი ურთიერთობები ართმევს ქალებს შესაძლებლობას, სასამართლო ორგანოებმა მათი საქმეები სამართლიანად განიხილონ;

(თ) ითანამშრომლონ სამოქალაქო საზოგადოებასთან და სათემო ორგანიზაციებთან მდგრადი მექანიზმების შესაქმნელად, რათა ხელი შეუწყონ ქალებისთვის მართლმსაჯულებაზე წვდომას და მოუწოდონ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, მონაწილეობა მიიღონ ქალთა უფლებებთან დაკავშირებულ სამართალ-

წარმოებაში;

(ი) უზრუნველყონ, რომ ქალთა უფლებების დამცველებს ჰქონდეთ მართლმსაჯულებაზე წვდომა და მიიღონ დაცვა შევიწროებისგან, მუქარისგან, შურისძიებისა და ძალადობისაგან.

16. მართლმსაჯულების სისტემების მისანვდომობასთან დაკავშირებით კომიტეტი რეკომენდაციას უწევს მონაწილე სახელმწიფოებს, რომ მათ:

(ა) უზრუნველყონ სასამართლოების, ტრიბუნალებისა და, საჭიროებისამებრ, სხვა ორგანოების შექმნა, რათა გარანტირებული იყოს ქალთა მართლმსაჯულებაზე წვდომის უფლების განხორციელება დისკრიმინაციის გარეშე მონაწილე სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის ცენტრიდან მოშორებულ, სასოფლო და იზოლირებულ ტერიტორიებზე, და გაითვალისწინონ მობილური სასამართლოების შექმნის შესაძლებლობა, განსაკუთრებით ცენტრიდან მოშორებულ, სასოფლო და იზოლირებულ ტერიტორიებზე მცხოვრების ქალებისთვის მომსახურების განევის მიზნით, ასევე, როდესაც ეს შესაძლებელია, თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გადანაცვლების კრეატიული გამოყენება.

(ბ) ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებში უზრუნველყონ ფინანსურ დახმარებაზე, კრიზისულ ცენტრებზე, თავშესაფრებზე, ცხელ ხაზებსა და სამედიცინო, ფსიქოსოციალურ და საკონსულტაციო მომსახურებებზე წვდომა;

(გ) უზრუნველყონ, რომ სარჩელის შეტანის წესები საშუალებას აძლევდეს კონკრეტული შემთხვევით დაინტერესებულ ჯგუფებს და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, შეიტანონ პეტიციები და მონაწილეობა მიიღონ სამართალწარმოებაში;

(დ) ჩამოაყალიბონ დამოუკიდებელი ინსპექტორების მიერ გეგმადამხედველობის მექანიზმი, რათა უზრუნველყონ მართლმსაჯულების სისტემის სათანადო ფუნქციონირება და აღმოფხვრან მართლმსაჯულების სისტემის პროფესიონალების მხრიდან ქალთა დისკრიმინაცია.

17. მართლმსაჯულების სისტემების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით კომიტეტი რეკომენდაციას უწევს მონაწილე სახელმწიფოებს, რომ მათ:

(ა) აღმოფხვრან მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის ეკონომიკური ბარიერები;

შემოიღონ იურიდიული დახმარება და უზრუნველყონ, რომ დოკუმენტების გაცემასა და შევსებასთან დაკავშირებული გადასახადები, ასევე სასამართლოს ხარჯები შემცირდეს დაბალშემოსავლიანი ქალებისთვის და გაუქმდეს ღარიბი ქალებისთვის, რომლებსაც არ აქვთ გადახდის საშუალება;

(ბ) აღმოფხვრან ენობრივი ბარიერები საჭიროების შემთხვევაში დამოუკიდებელი და პროფესიონალური მთარგმნელობითი და სათარჯიმნო მომსახურებების მიწოდების მეშვეობით და უზრუნველყონ ინდივიდუალური დახმარება ნერა-კითხვის უცოდინარი ქალებისათვის, რათა გარანტირებული იყოს, რომ მათ სრულყოფილად ესმოდეთ სასამართლო და კვაზი-სასამართლო პროცესები;

(გ) შემოიღონ საზოგადოებასთან ურთიერთობის მიზნობრივი საქმიანობა და მართლმსაჯულების მექანიზმების, პროცედურებისა და ხელმისაწვდომი სამართლებრივი დაცვის საშუალებების შესახებ საინფორმაციო მასალები დაარიგონ, მაგალითად, სპეციალური სამსახურების ან ქალებისათვის განკუთვნილი სპეციალური მაგიდების მეშვეობით, სხვადასხვა ფორმატში და თემებისთვის გასაგებ ენებზე. ამგვარი საქმიანობა და საინფორმაციო მასალები შესაფერისი უნდა იყოს მოსახლეობის ყველა ეთნიკური და უმცირესობის ჯგუფისათვის და უნდა შემუშავდეს აღნიშნული ჯგუფების წარმომადგენელ ქალებთან, განსაკუთრებით კი ქალთა და სხვა შესაბამისი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან მჭიდრო თანამშრომლობით;

(დ) უზრუნველყონ ინტერნეტის და სხვა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მისაწვდომობა, რათა გაუმჯობესდეს ქალებისთვის მართლმსაჯულების სისტემებზე წვდომა ყველა დონეზე, და გაითვალისწინონ ინტერნეტის ინფრასტრუქტურის შექმნის, მათ შორის ვიდეოკონფერენციების ჩატარების, შესაძლებლობა, რათა ხელი შეუწყონ სასამართლო განხილვების ჩატარებას და მონაცემებისა და ინფორმაციის შეგროვებას და გაზიარებას დაინტერესებულ მხარეებს შორის;

(ე) უზრუნველყონ, რომ სასამართლო და კვაზისასამართლო ორგანოებისა და

სხვა სამსახურების ფიზიკური გარემო და მდებარეობა იყოს კეთილგანწყობილი, უსაფრთხო და ხელმისაწვდომი ყველა ქალისათვის, და გაითვალისწინონ მართლმსაჯულების დანესებულებების ფარგლებში გენდერული დანაყოფების შექმნის შესაძლებლობა, ასევე განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრონ სასამართლო და კვაზისასამართლო ორგანოებში და სხვა სამსახურებში მისასვლელად ტრანსპორტის ხარჯების დაფარვას ქალებისათვის, რომლებსაც არ აქვთ გადახდის საშუალება;

(ვ) ჩამოაყალიბონ მართლმსაჯულებაზე წვდომის ცენტრები, როგორც არის მრავალფეროვანი მომსახურებების გამწვევი ცენტრები, სადაც ქალებს გაეწევათ სხვადასხვა იურიდიული და სოციალური მომსახურება, რათა შემცირდეს იმ ეტაპების რაოდენობა, რომელთა გავლა ქალებს სჭირდებათ მართლმსაჯულებაზე წვდომის მოსაპოვებლად. ამგვარმა ცენტრებმა შეიძლება ქალებს გაუწიონ იურიდიული დახმარება, წამოიწყონ სამართალწარმოება და კოორდინაცია გაუწიონ ქალებისთვის განკუთვნილ მომსახურებებს ისეთ სფეროებში, როგორებიც არის ქალებზე ძალადობა, საოჯახო საკითხები, ჯანმრთელობა, სოციალური დაცვა, დასაქმება, ქონება და იმიგრაცია. ეს ცენტრები მისაწვდომი უნდა იყოს ყველა ქალისათვის, განსაკუთრებით ღარიბი და/ან სოფლად თუ ცენტრიდან მოშორებულ ადგილებში მცხოვრები ქალებისთვის;

(ზ) განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრონ შემლუდული შესაძლებლობების მქონე ქალებისთვის მართლმსაჯულების მისაწვდომობას.

18. მართლმსაჯულების სისტემების მაღალ ხარისხთან დაკავშირებით კომიტეტი რეკომენდაციას უწევს მონაწილე სახელმწიფოებს, რომ მათ:

(ა) უზრუნველყონ, რომ მართლმსაჯულების სისტემები იყოს მაღალი ხარისხის და შესაბამებოდეს კომპეტენტურობის, ეფექტიანობის, დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის საერთაშორისო სტანდარტებს და საერთაშორისო სამართლებრივ პრაქტიკას;

(ბ) შემოიღონ ინდიკატორები ქალებისათვის მართლმსაჯულებაზე წვდომის გასაზომად;⁶

6 იხ., მაგალითად, ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული გაერო-ს ინდიკატორები (იხ. E/CN.3/2009/13) და წინსვლის ინდიკატორები ქალთა

(გ) უზრუნველყონ ინოვაციური და ტრანსფორმაციული მართლმსაჯულების მიდგომა და ჩარჩო, მათ შორის, საჭიროების შემთხვევებში, ინვესტირება მოახდინონ უფრო ფართო ინსტიტუციურ რეფორმებში;

(დ) დროულად უზრუნველყონ სამართლებრივი დაცვის შესაფერისი და ეფექტიანი საშუალებები, რომლებიც რეალურად განხორციელდება და შედეგად მოიტანს ყველა ქალისათვის დავების მდგრად, გენდერულ საკითხებზე ორიენტირებულ გადანაცვლებას;

(ე) დანერგონ მექანიზმები, რათა უზრუნველყონ, რომ მტკიცებულებებთან დაკავშირებული წესები, გამოძიებები და სხვა სამართლებრივი და კვაზისამართლო პროცედურები იყოს მიუკერძოებელი და მათზე გავლენას არ ახდენდეს გენდერული სტერეოტიპები ან ცრუ შეხედულებები;

(ვ) როდესაც საჭიროა ქალთა კონფიდენციალურობის, უსაფრთხოებისა და ადამიანის სხვა უფლებების დაცვა, უზრუნველყონ, რომ, სათანადო პროცესისა და საქმის სამართლიანი განხილვის მოთხოვნების შესაბამისად, შესაძლებელი იყოს სამართალწარმოების წარმართვა მთლიანად ან ნაწილობრივ კონფიდენციალურად ან რომ ჩვენების მიცემა შეიძლებოდეს დისტანციურად ან საკომუნიკაციო აპარატურის გამოყენებით, იმგვარად, რომ ჩვენების შინაარსზე ხელი მხოლოდ მხარეებს მიუწვდებოდეთ. ნებადართული უნდა იყოს სამართალწარმოების ყველა ეტაპზე ფსევდონიმების ან ქალთა ვინაობის დასაფარი სხვა საშუალებების გამოყენება. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები მსხვერპლთა ვინაობისა და გამოსახულების დასაცავად: უნდა აკრძალონ ფოტოების გადაღება და საინფორმაციო საშუალებებით გავრცელება იმ შემთხვევებში, როდესაც ამან შეიძლება უარყოფითი ზემოქმედება მოახდინოს გოგოებისა და ქალების ღირსებაზე, ემოციურ მდგომარეობასა და უსაფრთხოებაზე;

(ბ) დაიცვან მომჩივანი, მონმე, მოპასუხე და

პატიმარი ქალები სამართალწარმოებამდე, მის დროს და მის შემდეგ მუქარისაგან, შევიწროებისა და სხვა სახის ზიანის მიყენებისაგან და უზრუნველყონ ბიუჯეტები, რესურსები, სახელმძღვანელო მითითებები, მონიტორინგი და საკანონმდებლო ჩარჩო, რომლებიც აუცილებელია დამცავი ზომების ეფექტიანად მოქმედებისათვის.⁷

19. ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით კომიტეტი რეკომენდაციას უწევს მონაწილე სახელმწიფოებს, რომ მათ:

(ა) დანერგონ და აღასრულონ ზიანის ანაზღაურების და სამართლებრივი დაცვის შესაფერისი და დროული საშუალებები ქალთა დისკრიმინაციის წინააღმდეგ და ასევე უზრუნველყონ, რომ ქალებს ხელი მიუწვდებოდეთ ყველანაირ არსებულ სასამართლო და არასამართლო დაცვის საშუალებებსა და ზიანის ანაზღაურებაზე;

(ბ) უზრუნველყონ, რომ ზიანის ანაზღაურება იყოს ადეკვატური, ეფექტიანი, დროულად და ერთიანად უზრუნველყოფილი და განცდილი ზიანის პროპორციული. ზიანის ანაზღაურებამ უნდა მოიცვას, საჭიროების მიხედვით, რესტიტუცია (უფლებების აღდგენა), კომპენსაცია (ფულის, საქონლის ან მომსახურების ფორმით) და რეაბილიტაცია (სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარება და სხვა სოციალური მომსახურებები).⁸ ზიანის ანაზღაურება სამოქალაქო ზიანისთვის და სისხლის სამართლის სანქციები არ უნდა იყოს ერთმანეთის გამომრიცხავი;

(გ) ყველა სამოქალაქო, სისხლის სამართლის, ადმინისტრაციულ თუ სხვა სამართალწარმოებაში შესაფერისი კომპენსაციის დადგენის მიზნით ზიანის შეფასებისას სრულად გაითვალისწინონ ქალების აუნაზღაურებელი საოჯახო შრომა და ზრუნვა;

7 მსხვერპლებისა და მათი ოჯახების დაშინებისგან, მურისძიებისგან და ხელახალი ვიქტიმიზაციისგან დაცვისას საჭიროა საერთაშორისო სახელმძღვანელო პრინციპებით და საუკეთესო პრაქტიკით ხელმძღვანელობა. იხ., მაგალითად, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის 56-ე მუხლი.

8 იხ. №28 ზოგადი რეკომენდაციის 32-ე პუნქტი, რომელიც ამბობს: „ზიანის ამგვარმა ანაზღაურებამ უნდა მოიცვას ანაზღაურების სხვადასხვა ფორმა, როგორც არის ფულადი კომპენსაცია, რესტიტუცია, რეაბილიტაცია და უფლებების აღდგენა; სატისფაქციის ზომების, როგორც არის საჯაროდ ბოდიშის მოხდა, მემორიალები და გაუმეორებლობის გარანტიები; შესაბამისი კანონებისა და პრაქტიკის ცვლილება; და ქალთა უფლებების დამრღვევების პასუხისგებაში მიცემა“.

მიმართ ძალადობის პრევენციის, დასჯისა და აღმოფხვრის შესახებ ინტერამერიკული კონვენციის (Convention of Belém do Pará), განხორციელების გასაზომად, რომლებიც მიღებული იქნა 2013 წლის 21 მაისს.

(დ) შექმნან ქალებისთვის განკუთვნილი ფონდები, რათა უზრუნველყონ, რომ ქალები ღებულობდნენ ზიანის ადეკვატურ ანაზღაურებას სიტუაციებში, როდესაც ქალთა უფლებების დამრღვევ პირებს თუ ორგანიზაციებს არ შეუძლიათ ან არ სურთ ზიანის ანაზღაურება;

(ე) კონფლიქტის ან კონფლიქტის შემდგომ სიტუაციებში სექსუალური ძალადობის შემთხვევებში განახორციელონ ინსტიტუციური რეფორმები, გააუქმონ დისკრიმინაციული კანონმდებლობა და მიიღონ ისეთი კანონები, რომლებიც ადგენს ადეკვატურ სანქციებს, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, და დაადგინონ ზიანის ანაზღაურების ზომები ქალთა ორგანიზაციებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან მჭიდრო თანამშრომლობით, რათა ხელი შეუწყონ კონფლიქტამდე არსებული დისკრიმინაციის დაძლევას;⁹

(ვ) უზრუნველყონ, რომ ზიანის ანაზღაურების არასასამართლო საშუალებები, როგორც არის საჯაროდ ბოდიშის მოხდა, მემორიალები და სიმართლის დამდგენი, მართლმსაჯულებისა და შერიგების კომისიების მიერ მიცემული გაუმეორებლობის გარანტიები არ იქნეს გამოყენებული გამოძიებების და დამნაშავეთა სამართლებრივი დევნის ნაცვლად, როდესაც ადამიანის უფლებათა დარღვევები ხდება კონფლიქტის ან კონფლიქტის შემდგომ სიტუაციებში; უარი თქვან ამნისტიებზე ადამიანის უფლებათა გენდერულ საფუძველზე დარღვევებისათვის, როგორც არის ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობა, და ასევე უარი თქვან საკანონმდებლო შეზღუდვებზე ამგვარი დარღვევებისთვის სისხლის-სამართლებრივი დევნისას (იხ. ზოგადი რეკომენდაცია №30 „კონფლიქტების პრევენციაში, კონფლიქტის ან კონფლიქტის შემდგომ სიტუაციებში ქალების შესახებ“);

(ზ) უზრუნველყონ სამართლებრივი დაცვის ქმედითი და დროული საშუალებები და ის, რომ ეს საშუალებები ქალების მიერ განცდილი სხვადასხვა სახის დარღვევის შესაფერისი იყოს, ასევე უზრუნველყონ

ზიანის ადეკვატური ანაზღაურება და ქალთა მონაწილეობა ზიანის ანაზღაურების ყველა პროგრამის დაგეგმვაში, როგორც ეს №30 ზოგად რეკომენდაციაშია მითითებული.¹⁰

20. მართლმსაჯულების სისტემების ანგარიშვალდებულებასთან დაკავშირებით კომიტეტი რეკომენდაციას უწევს მონაწილე სახელმწიფოებს, რომ მათ:

(ა) დანერგონ ეფექტიანი და დამოუკიდებელი მექანიზმები მართლმსაჯულებაზე ქალების ხელმისაწვდომობაზე დაკვირვების და მონიტორინგის მიზნით, რათა უზრუნველყოფილი იქნეს მართლმსაჯულების სისტემების მოქმედება დავების სასამართლო წესით განხილვის შესაძლებლობის, მართლმსაჯულების მისაწვდომობის, ხელმისაწვდომობის, მაღალი ხარისხის და მსხვერპლთათვის ზიანის ანაზღაურების ეფექტიანობის პრინციპების შესაბამისად, მათ შორის დანერგონ ქალთა უფლებებზე გავლენის მქონე გადწყვეტილებების მიმღები სასამართლო, კვაზისასამართლო და ადმინისტრაციული ორგანოების ავტონომიის, ეფექტიანობისა და გამჭვირვალობის პერიოდული აუდიტი/შემოწმება;

(ბ) უზრუნველყონ, რომ მართლმსაჯულების სისტემის თანამშრომელთა მხრიდან დისკრიმინაციული პრაქტიკისა და ქმედებების იდენტიფიცირებულ შემთხვევებზე მოხდეს ქმედითი რეაგირება დისციპლინური და სხვა ზომების მეშვეობით;

(გ) შექმნან სპეციალური დანაყოფი მართლმსაჯულების სისტემის მუშაობის მხარდაჭერა ყველა თანამშრომელთან, მათ შორის სოციალურ მუშაკებთან, სოციალური უზრუნველყოფისა და ჯანდაცვის სფეროს პროფესიონალებთან და ტექნიკურ ექსპერტებთან დაკავშირებით საჩივრების, პეტიციებისა და წინადადებების მისაღებად;

(დ) მონაცემები უნდა მოიცავდეს (თუმცა არა მხოლოდ):

(i) სასამართლო და კვაზისასამართლო ორგანოების რაოდენობას და გეოგრაფიულ მდებარეობას;

(ii) ყველა დონის სამართალდამცავ ორგანოებში და სასამართლო და კვაზისასამართლო დანესებულებებში მომუშავე მამაკაცებისა და ქალების რაოდენობას;

(iii) მამაკაცი და ქალი იურისტების, მათ

9 იხ. ნაირობის დეკლარაცია „სამართლებრივი დაცვის საშუალებასა და ზიანის ანაზღაურებაზე ქალებისა და გოგონების უფლების შესახებ“.

10 იხ. აგრეთვე A/HRC/14/22.

შორის იურიდიული დახმარების გამწვევი ადვოკატების, რაოდენობას და გეოგრაფიულ მდებარეობას;

(iv) სასამართლო, კვაზისასამართლო და ადმინისტრაციულ ორგანოებში შეტანილი საქმეებისა და საჩივრების ხასიათს და რაოდენობას; ეს მონაცემები კლასიფიცირებული უნდა იყოს მომჩივანის სქესის მიხედვით;

(v) იმ საქმეების ხასიათს და რაოდენობას, რომლებსაც განიხილავენ მართლმსაჯულების ოფიციალური და არაოფიციალური სისტემები; ეს მონაცემები კლასიფიცირებული უნდა იყოს მომჩივანის სქესის მიხედვით;

(vi) იმ საქმეების ხასიათს და რაოდენობას, რომლებშიც მოთხოვნილი, მიღებული და განუვლი იყო იურიდიული დახმარება და/ან საზოგადოებრივი დამცველის მიერ დაცვა; ეს მონაცემები კლასიფიცირებული უნდა იყოს მომჩივანის სქესის მიხედვით;

(vii) პროცედურების ხანგრძლივობას და მათ შედეგებს; ეს მონაცემები კლასიფიცირებული უნდა იყოს მომჩივანის სქესის მიხედვით;

(g) ჩაატარონ და ხელი შეუწყონ მართლმსაჯულების ყველა სისტემის ხარისხობრივი კვლევების და კრიტიკული გენდერული ანალიზის ჩატარებას სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან და სამეცნიერო დაწესებულებებთან თანამშრომლობით, რათა წარმოაჩინონ ის პრაქტიკა, პროცედურები და სამართლებრივი პრაქტიკა, რომლებიც ხელს უწყობს ან ზღუდავს ქალების სრულ წვდომას მართლმსაჯულებაზე;

(g) სისტემატურად გამოიყენონ აღნიშნული ანალიზის დასკვნები, რათა ჩამოაყალიბონ პრიორიტეტები, პოლიტიკა, კანონმდებლობა და პროცედურები იმის უზრუნველსაყოფად, რომ მართლმსაჯულების სისტემის ყველა კომპონენტი იყოს გენდერულ საკითხებზე ორიენტირებული, მომხმარებლის მიმართ კეთილგანწყობილი და ეფუძნებოდეს ანგარიშვალდებულების პრინციპს.

ბ. დისკრიმინაციული კანონები, პროცედურები და პრაქტიკა

21. მონაწილე სახელმწიფოებს ხშირად აქვთ ხოლმე ისეთი საკონსტიტუციო დებულებები, კანონები, რეგულაციები, პროცედურები,

ადათ-წესები და პრაქტიკა, რომლებსაც საფუძვლად უდევს ტრადიციული გენდერული სტერეოტიპები და ნორმები, და, შესაბამისად, ისინი დისკრიმინაციულია და ქალებს ართმევს საშუალებას, სრულყოფილად ისარგებლონ მათთვის კონვენციით მინიჭებული უფლებებით. ამიტომ კომიტეტი თავის დასკვნით შენიშვნებში მუდამ მოუწოდებს მონაწილე სახელმწიფოებს, გადასინჯონ საკუთარი საკანონმდებლო ჩარჩოები და ცვლილებები შეიტანონ და/ან გააუქმონ ქალების მიმართ დისკრიმინაციული დებულებები. ეს მიდგომა შეესაბამება კონვენციის მე-2 მუხლს, რომელიც ადგენს მონაწილე სახელმწიფოთა ვალდებულებას, მიიღონ საჭირო საკანონმდებლო და სხვა ზომები სახელმწიფო ორგანოების თუ არასახელმწიფო მხარეების - ცალკეული პირების, ორგანიზაციების თუ საწარმოების - მხრიდან ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოსაფხვრელად.

22. მიუხედავად ამისა, ქალები აწყდებიან სირთულეებს მართლმსაჯულებაზე წვდომის თვალსაზრისით პირდაპირი თუ ირიბი დისკრიმინაციის შედეგად, როგორც ეს განსაზღვრულია №28 ზოგადი რეკომენდაციის მე-16 პუნქტში. ეს უთანასწორობა აშკარად ჩანს არა მხოლოდ კანონების, რეგულაციების, პროცედურების, ადათ-წესებისა და პრაქტიკის დისკრიმინაციულ დებულებებში, არამედ სასამართლო და კვაზისასამართლო დაწესებულებების უუნარობასა და არცოდნაშიც, თუ როგორ მოახდინონ ადეკვატური რეაგირება ქალთა უფლებების დარღვევებზე. ამიტომ თავის №28 ზოგად რეკომენდაციაში კომიტეტი აღნიშნავს, რომ სასამართლო სისტემის ინსტიტუტებმა უნდა გამოიყენონ რეალური ანუ დე ფაქტო თანასწორობის პრინციპი, როგორც ეს კონვენციაშია გათვალისწინებული, და მოახდინონ კანონების, მათ შორის ეროვნული, რელიგიური და ჩვეულებრივი კანონების, განმარტება აღნიშნული ვალდებულების შესაბამისად. მე-15 მუხლი ადგენს მონაწილე სახელმწიფოთა ვალდებულებას, უზრუნველყონ, რომ მამაკაცებსა და ქალებს ჰქონდეთ თანაბარი უფლებები კანონმდებლობის ყველა სფეროში.

23. თუმცა კომიტეტის მიერ ფაქულტატური ოქმის საფუძველზე მომზადებული ბევრი დასკვნითი შენიშვნა და მოსაზრება ცხადყოფს, რომ დისკრიმინაციული პროცედურული და მტკიცებულებებთან დაკავშირებულ წესებს და ქალთა უფლებების დარღვევების

შემთხვევათა სათანადო პრევენციის, გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის, დასჯის და სამართლებრივი დაცვის საშუალებათა უზრუნველყოფის არარსებობას შედეგად მოაქვს ქალებისთვის მართლმსაჯულებაზე მამაკაცების თანასწორი წვდომის უზრუნველყოფის ვალდებულების უგულებელყოფა.

24. საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეთ გოგოებს (მათ შორის, გარემოებათა მიხედვით, ბავშვ და მოზარდ გოგოებს), ვინაიდან მათ სპეციფიკური ბარიერები ეღობებათ მართლმსაჯულებაზე წვდომის თვალსაზრისით. მათ ხშირად არა აქვთ სოციალური თუ იურიდიული უფლებაუნარიანობა, რომ მიიღონ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები საკუთარ ცხოვრებასთან დაკავშირებით განათლების, ჯანდაცვისა და სექსუალური და რეპროდუქციული უფლებების სფეროებში. ისინი შეიძლება აიძულონ, დაქორწინდნენ ან მათ მიმართ შეიძლება გამოყენებული იქნეს სხვა მავნე პრაქტიკა და ძალადობის სხვადასხვა ფორმა.

25. კომიტეტი რეკომენდაციას უწევს მონაწილე სახელმწიფოებს, რომ მათ:

(ა) უზრუნველყონ კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპის ამოქმედება: განახორციელონ ზომები, რათა გააუქმონ ნებისმიერი ისეთი კანონები, პროცედურები, რეგულაციები, სამართლებრივი პრაქტიკა, ადათ-წესები და პრაქტიკა, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად ახდენს ქალების დისკრიმინაციას, განსაკუთრებით მართლმსაჯულებაზე წვდომის თვალსაზრისით, და ასევე გააუქმონ მართლმსაჯულებაზე წვდომისთვის არსებული დისკრიმინაციული ბარიერები, მათ შორის:

(i) ქალების ვალდებულება ან მოთხოვნა მათ მიმართ, რომ ოჯახისგან ან თემის წევრებისგან აიღონ ნებართვა სასამართლოსთვის მიმართვამდე;

(ii) მართლმსაჯულების სისტემის თანამშრომელთა მხრიდან საკუთარი უფლებებისთვის მებრძოლი ქალების სტიგმატიზაცია;

(iii) დამატებითი მტკიცებულებების წარდგენასთან დაკავშირებული წესები, რომლებიც ახდენს ქალების, როგორც მონმეების, მომჩივანებისა და მოპასუხეების, დისკრიმინაციას, მოითხოვს რა მათგან მტკიცების უფრო მაღალი ტვირთის წარმოდგენას, ვიდრე მამაკაცებისგან დანაშაულის დასადგენად ან ზიანის ანაზღა-

ურების მოსაპოვებლად;

(iv) პროცედურები, რომლებიც არ აღიარებს ან უფრო დაბალ სტატუსს ანიჭებს ქალების მიერ მიცემულ ჩვენებებს;

(v) სასამართლო საქმეების მომზადების, ჩატარების განმავლობაში და მათ შემდგომ პერიოდში ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორი პირობების უზრუნველსაყოფი ზომების არარსებობა;

(vi) საქმეების არასათანადო მართვა და მტკიცებულებათა არასათანადო შეგროვება ქალების მიერ წამოწყებულ საქმეებში, რაც განაპირობებს სისტემატურ წარუმატებლობას საქმეების გამოძიებაში;

(vii) დაბრკოლებები იმ მტკიცებულებათა შეგროვებისას, რომლებიც ეხება ადამიანის უფლებათა დარღვევას ინტერნეტში და საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და ახალი სოციალური მედიის გამოყენების მეშვეობით;

(ბ) უზრუნველყონ, რომ გოგოებისთვის არსებობდეს დამოუკიდებელი, უსაფრთხო, ეფექტიანი, მისანვლომი და ბავშვისადმი კეთილგანწყობილი საჩივრების შეტანისა და შეტყობინებების წარდგენის მექანიზმები. ეს მექანიზმები უნდა ჩამოყალიბდეს საერთაშორისო ნორმების, განსაკუთრებით ბავშვისუფლებათა კონვენციის, შესაბამისად და ისინი უნდა დაკომპლექტდეს სათანადოდ მომზადებული თანამშრომლებით, რომლებიც იმუშავებენ ეფექტიანად და გენდერულ საკითხებზე ორიენტირებით, ბავშვის უფლებათა კომიტეტის №14 ზოგადი კომენტარის შესაბამისად, რათა უპირველესად გათვალისწინებული იქნეს შესაბამისი გოგოების ინტერესები;

(გ) გაატარონ ზომები გოგოების მარგინალიზაციის თავიდან ასაცილებლად, რისი მიზმიც არის კონფლიქტები და ძალაუფლების უქონლობა ოჯახებში და ამის შედეგად გოგოების უფლებების განხორციელების ხელშეწყობის არარსებობა, და გააუქმონ იმგვარი წესები და პრაქტიკა, რომლებიც მოითხოვს მშობლების ან მეუღლის ნებართვას ისეთი მომსახურებების მისაღებად, როგორებიც არის განათლება და ჯანდაცვა, მათ შორის სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვა, ასევე იურიდიული მომსახურება და მართლმსაჯულების სისტემებზე წვდომა;

(დ) დაიცვან ქალები და გოგოები რელიგიური ტექსტებისა და ტრადიციული

ნორმების იმგვარი ინტერპრეტაციისაგან, რომელიც დაბრკოლებას უქმნის მართლმსაჯულებაზე მათ წვდომას და იწვევს მათ დისკრიმინაციას.

გ. სტერეოტიპული აღქმები და გენდერული მიკერძოებულობა მართლმსაჯულების სისტემაში და შესაძლებლობათა განვითარების მნიშვნელობა

26. სტერეოტიპულ აღქმებს და გენდერულ მიკერძოებულობას მართლმსაჯულების სისტემაში შორსმიმავალი შედეგები აქვს იმისათვის, რომ ქალებმა სრულყოფილად ისარგებლონ საკუთარი უფლებებით. ეს აბრკოლებს ქალების წვდომას მართლმსაჯულებაზე კანონის ყველა სფეროში და შეიძლება განსაკუთრებით უარყოფითი ზემოქმედება მოახდინოს მსხვერპლ ქალებზე და გადარჩენილებზე. სტერეოტიპები ამახინჯებს აღქმებს და შედეგად მოაქვს გადაწყვეტილებები, რომლებსაც საფუძვლად უდევს წინასწარ შექმნილი შეხედულებები და მითები და არა შესაბამისი ფაქტები. ხშირად მოსამართლეებს აქვთ ხისტი სტანდარტები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორია ქალებისთვის შესაფერისი ქცევა, და ისინი სჯიან იმ ქალებს, ვინც არ შეესაბამება ამ სტერეოტიპებს. სტერეოტიპული აღქმები ასევე უარყოფით ზემოქმედებას ახდენს ქალების შეხედულებებზე, არგუმენტებსა და ჩვენებებზე, როდესაც ისინი წარმოადგენენ მხარეს ან მოწმეს საქმეებში. სტერეოტიპულ აღქმას შეუძლია გამოიწვიოს მოსამართლის მიერ კანონის არასწორი განმარტება ან გამოყენება. ამას შორსმიმავალი შედეგები აქვს, მაგალითად, სისხლის სამართალში, როდესაც ეს იწვევს იმას, რომ დამნაშავეებს არ ცნობენ იურიდიულად პასუხისმგებლებად ქალთა უფლებების დარღვევისათვის და ამით ხელს უწყობენ დაუსჯელობის კულტურის განმტკიცებას. კანონის ყველა სფეროში სტერეოტიპული აღქმები ზიანს აყენებს მართლმსაჯულების სისტემის მიუკერძოებლობას და პატიოსნებას, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება შედეგად მოიტანოს სასამართლო შეცდომები, მათ შორის მომჩივანთა რევიქტიმიზაცია.

27. მხოლოდ მოსამართლეები და არბიტრები არ არიან მართლმსაჯულების სისტემის ის წარმომადგენლები, რომლებიც იყენებენ, განამტკიცებენ და მუდმივ ხასიათს სძენენ სტერეოტიპებს. პროკურორები, სამართალდამცველი ორგანოების თანამშრომლები და სხვა მხარეებიც ხშირად აძლევენ

სტერეოტიპებს საშუალებას, ზემოქმედება მოახდინონ გამოძიებასა და საქმის განხილვაზე, განსაკუთრებით გენდერული ნიშნით ძალადობის შემთხვევებში. ამ დროს სტერეოტიპები აკნინებს მსხვერპლის საჩივარს და, ამავე დროს, ეხმარება სავარაუდო დამნაშავის მიერ წარმოებულ დაცვას. შესაბამისად, სტერეოტიპულმა აღქმებმა შეიძლება შეაღწიოს გამოძიებისა და საქმის წარმოების ფაზებშიც და განაპირობოს საბოლოო გადაწყვეტილება.

28. ქალებს უნდა შეეძლოთ დაეყრდნონ მართლმსაჯულების სისტემას ისე, რომ მათ მიმართ არ მოქმედებდეს მითები და სტერეოტიპული აღქმები, ასევე უნდა შეეძლოთ დაეყრდნონ მოსამართლეებს, რომელთა მიუკერძოებლობაზე არ უმოქმედია ნეგატიურად ტენდენციურ და მიკერძოებულ აღქმებს. მართლმსაჯულების სისტემაში სტერეოტიპული აღქმების აღმოფხვრა არსებითი მნიშვნელობის მქონე ნაბიჯია მსხვერპლებისათვის თანასწორობისა და მართლმსაჯულების უზრუნველსაყოფად.

29. კომიტეტი რეკომენდაციას უწევს მონაწილე სახელმწიფოებს, რომ მათ:

(ა) გააატარონ ზომები, მათ შორის ცნობიერების ამაღლებისა და შესაძლებლობათა განვითარების პროგრამები, მართლმსაჯულების სისტემის ყველა თანამშრომლისათვის და იურიდიული ფაკულტეტების სტუდენტებისათვის, რათა აღმოიფხვრას გენდერული სტერეოტიპები და მართლმსაჯულების სისტემის ყველა ასპექტში ჩართული იქნეს გენდერული კონცეფცია;

(ბ) ცნობიერების ამაღლებისა და შესაძლებლობათა განვითარების პროგრამებში ჩართონ სხვა პროფესიონალებიც, კერძოდ, ჯანდაცვის და სოციალური მუშაკები, ვინც პოტენციურად მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქალებზე ძალადობის საქმეებში და ოჯახურ საკითხებში;

(გ) უზრუნველყონ, რომ შესაძლებლობათა განვითარების პროგრამები ყურადღებას ამახვილებდეს შემდეგ საკითხებზე:

(i) ქალების შეხედულებების, არგუმენტებისა და ჩვენებებისთვის სანდოობისა და მნიშვნელობის მინიჭება, როდესაც ისინი წარმოადგენენ მხარეს ან მოწმეს საქმეებში;

(ii) მოსამართლეებისა და პროკურორების ხშირად ხისტი სტანდარტები იმასთან დაკავშირებით, თუ რა მიაჩნიათ მათ ქალებისათვის შესაფერის ქცევად;

(დ) წარმართონ დიალოგი მართლმსაჯუ-

ლების სისტემაში სტერეოტიპული აღქმებისა და გენდერული მიკერძოების უარყოფითი ზემოქმედების შესახებ, ასევე ძალადობის მსხვერპლი ქალებისათვის მართლმსაჯულების თვალსაზრისით შედეგების გაუმჯობესების საჭიროების შესახებ;

(ე) გაზარდონ საზოგადოების ცნობიერება სტერეოტიპული აღქმებისა და გენდერული მიკერძოების უარყოფითი ზემოქმედების შესახებ და ხელი შეუწყონ ადვოკატირებას მართლმსაჯულების სისტემაში სტერეოტიპული აღქმებისა და გენდერული მიკერძოების აღმოსაფხვრელად, განსაკუთრებით გენდერული ნიშნით ძალადობის შემთხვევებში;

(ვ) ჩაატარონ შესაძლებლობათა განვითარების პროგრამები მოსამართლეებისთვის, პროკურორებისთვის, ადვოკატებისა და სამართალდამცველი ორგანოების თანამშრომლებისათვის ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტების, მათ შორის კონვენციისა და კომიტეტის სამართლებრივი პრაქტიკის, გამოყენების შესახებ, ასევე ქალთა დისკრიმინაციის ამკრძალავი კანონმდებლობის გამოყენების შესახებ.

დ. განათლება და სტერეოტიპების ზემოქმედების შესახებ ცნობიერების ამაღლება

30. გენდერულ საკითხებზე ორიენტირებულ განათლებას და საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის დახმარებით და საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით არსებითი მნიშვნელობა აქვს დისკრიმინაციის მრავალი ფორმისა და იმ სტერეოტიპული აღქმების აღმოსაფხვრელად, რომლებიც ზემოქმედებას ახდენს მართლმსაჯულების მისაწვდომობაზე, და ყველა ქალისთვის მართლმსაჯულების ქმედითობისა და ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად.

31. კონვენციის მე-5 მუხლის „ა“ პუნქტი ადგენს, რომ მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა გაატარონ ყველანაირი საჭირო ზომები იმისათვის, რომ შეცვალონ მამაკაცთა და ქალთა ქცევის სოციალური და კულტურული მოდელები იმ ცრურწმენების აღმოფხვრისა და იმ ადათ-წესების და სხვა პრაქტიკის გაუქმების მიზნით, რომლებსაც საფუძვლად უძევს ერთ-ერთი სქესის არასრულფასოვნების ან უპირატესობის იდეა. თავის №28 ზოგად რეკომენდაციაში

კომიტეტმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ კონვენციის ყველა დებულება ნაკითხული უნდა იქნეს ერთობლიობაში, რათა უზრუნველყოფილი იქნეს გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის ყველა ფორმის დაგმობა და აღმოფხვრა.¹¹

1. განათლება გენდერულ კონცეფციაზე და-ყრდნობით

32. ქალებს, რომლებმაც არ იციან საკუთარი უფლებების შესახებ, არ შეუძლიათ ამ უფლებების განხორციელების მოთხოვნა. კომიტეტს შემჩნეული აქვს, განსაკუთრებით მონაწილე სახელმწიფოების მიერ წარმოდგენილი პერიოდული ანგარიშების განხილვისას, რომ სახელმწიფოები ხშირად ვერ ახერხებენ იმის უზრუნველყოფას, რომ ქალებს მამაკაცების თანასწორად მიუზღებოდეთ ხელი განათლებაზე, ინფორმაციაზე და იურიდიული წიგნიერების პროგრამებზე. გარდა ამისა, იმისათვის, რომ გარანტირებული იყოს დისკრიმინაციის არარსებობა და თანასწორობა, კერძოდ კი მართლმსაჯულებაზე ქალების წვდომა, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ მამაკაცებს ესმოდეთ ქალთა უფლებების საკითხი.

33. კომიტეტი რეკომენდაციას უწევს მონაწილე სახელმწიფოებს, რომ მათ:

(ა) გააფართოონ გენდერული საკითხების ცოდნა და გამოცდილება, მათ შორის გაზარდონ გენდერულ საკითხებში მრჩეველთა რაოდენობა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, სამეცნიერო დაწესებულებებისა და მედიის მონაწილეობით;

(ბ) მრავალ ფორმატში გაავრცელონ მასალები, რათა ქალებს მიანოდონ ინფორმაცია მათი უფლებების, მართლმსაჯულებაზე წვდომისთვის საჭირო მექანიზმების არსებობის შესახებ, ასევე იმის შესახებ, რომ მათ ეკუთვნით მართლმსაჯულების სისტემასთან დაკავშირებული მხარდაჭერა, იურიდიული დახმარება და სოციალური მომსახურებები;

(გ) განათლების ყველა საფეხურზე სასწავლო კურსებში ჩართონ საგანმანათლებლო პროგრამები ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის შესახებ, მათ შო-

11 მე-7 პუნქტში ნათქვამია, რომ კონვენციის მე-2 მუხლი ნაკითხული უნდა იქნეს მე-3, მე-4, მე-5 და 24-ე მუხლებთან ერთობლიობაში და პირველ მუხლში მოცემული დისკრიმინაციის განმარტების გათვალისწინებით.

რის იურიდიული წიგნიერების პროგრამები, რომლებიც ყურადღებას ამახვილებს ქალებისთვის მართლმსაჯულების მისაწვდომობის არსებით მნიშვნელობაზე და მამაკაცებისა და ბიჭების, როგორც ამ უფლების განხორციელების დამცველებისა და დაინტერესებული მხარეების, როლზე.

2. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება სამოქალაქო საზოგადოების, მედიისა და საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მეშვეობით

34. სამოქალაქო საზოგადოება, მედია და საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ გენდერული სტერეოტიპების როგორც განმტკიცებასა და რეგულარულად წარმოჩენაში, ისე მათ დაძლევაში.

35. კომიტეტი რეკომენდაციას უწევს მონაწილე სახელმწიფოებს, რომ მათ:

(ა) საგანგებოდ გაამახვილონ ყურადღება იმ როლზე, რომელსაც მედია და საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები ასრულებენ ქალების შესახებ კულტურული სტერეოტიპების დანგრევაში მართლმსაჯულებაზე წვდომის მათ უფლებასთან დაკავშირებით და ამ დროს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ გენდერული ნიშნით დისკრიმინაციასთან და ძალადობასთან, მათ შორის ოჯახში ძალადობასთან, გაუპატიურებასთან და სექსუალური ძალადობის სხვა ფორმებთან დაკავშირებული კულტურული სტერეოტიპების დანგრევას;

(ბ) თემებთან და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით ჩამოაყალიბონ და განახორციელონ ზომები მედიასა და მოსახლეობაში ქალების უფლების - ხელი მიუწვდებოდეთ მართლმსაჯულებაზე - შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად. ეს უნდა იყოს კომპლექსური ზომები, რომლებიც მიმართული იქნება გოგოებსა და ქალებზეც და ბიჭებსა და მამაკაცებზეც. ამ დროს გათვალისწინებული უნდა იყოს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების რელევანტურობა და პოტენციური კულტურული და სოციალური სტერეოტიპების ტრანსფორმაციისთვის;

(გ) ხელი უნდა შეუწყონ და ჩართონ მედიასაშუალებები და საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე მომუშავე

ადამიანები რეგულარულ საზოგადოებრივ დიალოგში ზოგადად ქალთა უფლებების და კონკრეტულად მართლმსაჯულებაზე წვდომის უფლების შესახებ;

(დ) მიიღონ ზომები იმგვარი კულტურული და სოციალური გარემოს შექმნისთვის, რომელშიც ქალების მიერ მართლმსაჯულების ძიება აღქმული იქნება ლეგიტიმურ და მისაღებ ქმედებად და არა დამატებითი დისკრიმინაციის და/ან სტიგმატიზაციის საბაბად.

9. იურიდიული დახმარება და საზოგადოებრივი დამცველის მიერ დაცვა

36. არსებითი ელემენტი იმის გარანტირებისთვის, რომ მართლმსაჯულების სისტემები ქალებისთვის ეკონომიკური თავლსაზრისით ხელმისაწვდომი იყოს, უფასო ან დაბალფასიანი იურიდიული დახმარების, კონსულტაციებისა და სასამართლო და კვაზისასამართლო პროცესებში წარმომადგენლობის უზრუნველყოფაა კანონის ყველა სფეროში.

37. კომიტეტი რეკომენდაციას უწევს მონაწილე სახელმწიფოებს, რომ მათ:

(ა) მოახდინონ იურიდიული დახმარებისა და საზოგადოებრივი დაცვის იმგვარი სისტემების ინსტიტუციონალიზაცია, რომლებიც იქნება მისაწვდომი, მდგრადი და ქალების ყველა საჭიროების შესაბამისი, უზრუნველყონ, რომ ეს მომსახურებები ქალებს ენეოდეთ დროულად, რეგულარულად და ეფექტიანად სასამართლო თუ კვაზისასამართლო საქმისწარმოების ყველა ეტაპზე, მათ შორის დავების გადანყვეტის ალტერნატიული მექანიზმებისა და აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესებში, და ასევე უზრუნველყონ, რომ იურიდიული დახმარებისა და საზოგადოებრივი დაცვის გამწვევ პირებს დაუბრკოლებლად მიუწვდებოდეთ ხელი ყველანაირ შესაბამის დოკუმენტაციასა და სხვა ინფორმაციაზე, მათ შორის მონმეთა ჩვენებებზე;

(ბ) უზრუნველყონ, რომ იურიდიული დახმარებისა და საზოგადოებრივი დაცვის გამწვევი პირები იყვნენ კომპეტენტურები და გენდერულ საკითხებზე ორიენტირებულები, იცავდნენ კონფიდენციალურობას და მიეცეთ ადეკვატური დრო საკუთარი კლიენტების დასაცავად;

(გ) განახორციელონ საინფორმაციო და ცნობიერების ამაღლების პროგრამები ქალებისათვის იურიდიული დახმარებისა და

საზოგადოებრივი დაცვის მომსახურებების არსებობის შესახებ და შექმნან პირობები ამ მომსახურებათა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მეშვეობით გამოყენებისათვის აღნიშნული პროგრამების ხელშეწყობის მიზნით;

(დ) ჩამოაყალიბონ პარტნიორობები იურიდიული დახმარების გამწევ არასამთავრობო პირებთან და/ან ჩაუტარონ ტრენინგები საშუალო დონის იურიდიულ პერსონალს, რომ მათ შეძლონ ქალებისთვის ინფორმაციის მიწოდება და მათი დახმარება სასამართლო და კვაზისასამართლო პროცესების განმავლობაში და მართლმსაჯულების ტრადიციულ სისტემებში;

(ე) ოჯახური კონფლიქტების შემთხვევებში ან როდესაც ქალს მამაკაცის თანასწორად ხელი არ მიუწვდება ოჯახის შემოსავალზე, მატერიალური მდგომარეობის შემონეების გამოყენება იურიდიული დახმარებისა და საზოგადოებრივი დაცვის მომსახურებების მიღების უფლების დასადგენად უნდა ემყარებოდეს ქალის რეალურ შემოსავალს ან მის განკარგულებაში მყოფ აქტივებს.¹²

ვ. რესურსები

38. დავების სასამართლო წესით განხილვის შესაძლებლობის, მართლმსაჯულების მისაწვდომობის, ხელმისაწვდომობის, მაღალი ხარისხის, მსხვერპლთათვის ზიანის ანაზღაურების და მართლმსაჯულების სისტემების ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად არსებითი მნიშვნელობა აქვს მაღალკვალიფიციური ადამიანური რესურსების და ადეკვატური ტექნიკური და ფინანსური რესურსების არსებობას.

39. კომიტეტი რეკომენდაციას უწევს მონაწილე სახელმწიფოებს, რომ მათ:

(ა) უზრუნველყონ ადეკვატური საბიუჯეტო და ტექნიკური დახმარება და გამოყონ მაღალკვალიფიციური ადამიანური რე-

სურსები მართლმსაჯულების სისტემების ყველა დონისათვის, მათ შორის სპეციალიზებული სასამართლო, კვაზისასამართლო და ადმინისტრაციული ორგანოებისათვის, დავების გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმებისთვის, ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტებისა და სახალხო დამცველების სამსახურებისთვის;

(ბ) მოიძიონ დახმარება გარეშე წყაროებიდან, როგორც არის გაეროს სისტემის სპეციალიზებული სააგენტოები, სართაშორისო თანამეგობრობა და სამოქალაქო საზოგადოება, როდესაც ქვეყნის რესურსები შეზღუდულია, და, ამავე დროს, უზრუნველყონ, რომ საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში ადეკვატური სახელმწიფო რესურსები გამოიყოს მართლმსაჯულების სისტემებისთვის მათი მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

III. რეკომენდაციები კანონმდებლობის კონკრეტულ სფეროებთან დაკავშირებით

40. მსოფლიოს მასშტაბით ინსტიტუციებისა და სასამართლო სისტემების მონეობის მრავალფეროვნების გათვალისწინებით, ერთ ქვეყანაში კანონმდებლობის ერთ სფეროში მოქცეული ზოგიერთი ელემენტი სხვა ქვეყანაში სხვა სფეროში შეიძლება მოექცეს. მაგალითად, დისკრიმინაციის განმარტება შესაძლოა შესული იყოს კონსტიტუციაში, ან შეიძლება კონსტიტუციაარითვალისწინებდეს მას; დამცავი ორდერები შეიძლება ფიგურირებდეს საოჯახო სამართალში და/ან სისხლის სამართალში, ხოლო თავშესაფრისა და ლტოლვილთა საკითხებს შეიძლება განიხილავდნენ ადმინისტრაციული სასამართლოები ან კვაზისასამართლო ორგანოები. მონაწილე სახელმწიფოებს ვთხოვთ, ქვემოთ მოცემული დებულებები აღნიშნულზე დაყრდნობით მიიღონ მხედველობაში.

ა. საკონსტიტუციო სამართალი

41. კომიტეტს შემწინეული აქვს, რომ იმ მონაწილე სახელმწიფოებს, რომელთაც მიღებული აქვთ მამაკაცებსა და ქალებს შორის არსებით თანასწორობასთან დაკავშირებული საკონსტიტუციო გარანტიები და საკუთარ შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში ჩართეს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო

12 გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპები და სახელმძღვანელო მითითებები სისხლის სამართლის სისტემებში იურიდიული დახმარების მისაწვდომობასთან დაკავშირებით, სახელმძღვანელო მითითება 1 (ვ): „თუ მატერიალური მდგომარეობის შემონეება ხდება მთელი ოჯახის შემოსავალზე დაყრდნობით, მაგრამ ოჯახის ცალკეული წევრები კონფლიქტში არიან ერთმანეთთან ან ერთმანეთის თანასწორად არ მიუწვდებათ ხელი ოჯახის შემოსავალზე, მაშინ მატერიალური მდგომარეობის შემონეებისას უნდა დავეყრდნოთ მხოლოდ იურიდიული დახმარების მიღებაზე განმცხადებელი პირის შემოსავალს“.

სამართალი, მათ შორის კონვენცია, უკეთესად შეუძლიათ მართლმსაჯულების მისაწვდომობაში გენდერული თანასწორობის დაცვა. კონვენციის მე-2 მუხლის „ა“ პუნქტისა და მე-15 მუხლის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები ვალდებული არიან, მამაკაცთა და ქალთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი შეიტანონ თავიანთ ეროვნულ კონსტიტუციებში ან სხვა შესაბამის კანონმდებლობაში, მათ შორის კომპეტენტური ეროვნული ტრიბუნალებისა და სხვა სახელმწიფო ინსტიტუტების შექმნის გზით, და გაატარონ ზომები ამ პრინციპის საზოგადოებრივი და კერძო ცხოვრების ყველა სფეროში, ასევე სამართლის ყველა სფეროში რეალიზაციისათვის.

42. კომიტეტი რეკომენდაციას უწევს მონაწილე სახელმწიფოებს, რომ მათ:

(ა) უზრუნველყონ ფორმალური და არსებითი თანასწორობის მკაფიო საკონსტიტუციო დაცვა და დისკრიმინაციის აკრძალვა საზოგადოებრივ და კერძო ცხოვრებაში, მათ შორის პირად სტატუსთან, ოჯახთან, ქორწინებისა და მემკვიდრეობის კანონმდებლობასთან დაკავშირებულ ყველა საკითხში და სამართლის ყველა სფეროში;

(ბ) როდესაც საერთაშორისო სამართლის დებულებები პირდაპირ არ მოქმედებს, სრულად ჩართონ საკუთარ ეროვნულ საკონსტიტუციო და საკანონმდებლო ჩარჩოებში ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი, რათა გარანტირებული იქნეს ქალებისათვის მართლმსაჯულებაზე რეალური წვდომა;

(გ) შექმნან სტრუქტურები, რომლებიც აუცილებელია სასამართლოზე ზედამხედველობის არსებობისა და ხელმისაწვდომობისათვის, ასევე მონიტორინგის მექანიზმები ყველა ფუნდამენტური უფლების, მათ შორის არსებითი გენდერული თანასწორობის უფლების, განხორციელების ზედამხედველობის მიზნით.

ბ. სამოქალაქო სამართალი

43. ზოგიერთ თემში ქალებს არ შეუძლიათ მართლმსაჯულების სისტემისთვის მიმართვა ნათესავი მამაკაცის დახმარების გარეშე და სოციალური ნორმები არ აძლევს მათ საშუალებას, დამოუკიდებლად იმოქმედონ ოჯახის გარეთ. კონვენციის მე-15 მუხლი ადგენს, რომ ქალები და მამაკაცები თანასწორნი

არიან კანონის წინაშე და რომ მონაწილე სახელმწიფოებმა ქალებს უნდა მიანიჭონ მამაკაცებთან თანაბარი სამოქალაქო უფლებიანობა სამოქალაქო საქმეებში და მისი განხორციელების თანაბარი შესაძლებლობები. სამოქალაქო სამართლის პროცედურები და სამართლებრივი დაცვის საშუალებები, რომლებიც ქალებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს, მოიცავს ხელშეკრულებების დადებას, კერძო დასაქმებას, ადამიანისთვის მიყენებულ ზიანს, მომხმარებლის დაცვას, მემკვიდრეობას, მინასა და ქონებაზე უფლებებს.

44. კომიტეტი რეკომენდაციას უწევს მონაწილე სახელმწიფოებს, რომ მათ:

(ა) აღმოფხვრან ყველა გენდერული ბარიერი სამოქალაქო სამართლის პროცედურების მისაწვდომობისათვის, როგორც არის ქალებისთვის მოთხოვნა, რომ მათ სასამართლოსთვის მიმართვამდე მოიპოვონ ნებართვა სასამართლო ან ადმინისტრაციული ორგანოებისგან ან ოჯახის წევრებისგან ან წარმოადგინონ დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებს მათ პირადობას ან ქონებაზე უფლებას;

(ბ) აღასრულონ კონვენციის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტში მოცემული დებულება, რომელიც ადგენს, რომ ძალადაკარგულად უნდა ჩაითვალოს ყველა ხელშეკრულება და ყველა სხვა კერძო საბუთი, რომლებიც თავიანთი სამართლებრივი შედეგით ზღუდავს ქალთა უფლებიანობას;

(გ) გაატარონ პოზიტიური ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ განხორციელდეს ქალების თავისუფლება - გააფორმონ კონტრაქტები და კერძო სამართლის სხვა ხელშეკრულებები.

გ. საოჯახო სამართალი

45. უთანასწორობა ოჯახში საფუძვლად უდევს ქალების მიმართ დისკრიმინაციის ყველა სხვა ასპექტს და ხშირად მას ამართლებენ იდეოლოგიის, ტრადიციისა და კულტურის სახელით. კომიტეტს არაერთხელ საგანგებოდ აღუნიშნავს, რომ საოჯახო სამართალი და მისი გამოყენების მექანიზმები უნდა შეესაბამებოდეს კონვენციის მე-2, მე-15 და მე-16 მუხლებში დადგენილ თანასწორობის პრინციპს.¹³

¹³ იხ., კერძოდ, №29 ზოგადი რეკომენდაცია კონვენციის მე-16 მუხლთან დაკავშირებით (ქორწინების, ოჯახური ურთიერთობებისა და ოჯახის დანგრევის ეკონომიკური შედეგები).

46. კომიტეტი რეკომენდაციას უწევს მონაწილე სახელმწიფოებს, რომ მათ:

(ა) შემოიღონ წერილობითი სახის საოჯახო კოდექსები ან პერსონალური სამართალი, რომლებიც დააწესებს მეუღლეთა ან პარტნიორთა თანასწორ წვდომას მართლმსაჯულებაზე, მიუხედავად მათი რელიგიური თუ ეთნიკური იდენტობისა თუ თემისა, კონვენციის და კომიტეტის ზოგადი რეკომენდაციების შესაბამისად;¹³

(ბ) განიხილონ იმავე ინსტიტუციურ ჩარჩოში გენდერულ საკითხებზე ორიენტირებული საოჯახო სასამართლო ან კვამისასამართლო მექანიზმების შექმნა ისეთი საკითხების მოსაგვარებლად, როგორებიც არის ქონებრივი საკითხების გადაწყვეტა განქორწინებისას, მინაზე უფლებები, მემკვიდრეობა, განქორწინება და ბავშვზე მეურვეობა; და

(გ) ისეთ ადგილებში, სადაც არ არსებობს ერთიანი საოჯახო კოდექსი და სადაც მრავალი საოჯახო სამართლის სისტემაა, როგორებიც არის სამოქალაქო, მკვიდრი მოსახლეობის, რელიგიური და ჩვეულებრივი სამართლის სისტემები, უზრუნველყონ, რომ პერსონალური სამართალი იძლეოდეს ინდივიდუალური არჩევანის საშუალებას გამოსაყენებელ საოჯახო კანონთან დაკავშირებით ურთიერთობის ნებისმიერ ეტაპზე. სახელმწიფო სასამართლოებმა უნდა განიხილონ ამ მხრივ ყველა სხვა ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.

დ. სისხლის სამართალი

47. სისხლის სამართლის კანონები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის უზრუნველსაყოფად, რომ ქალებს შეეძლოთ საკუთარი უფლებების, მათ შორის მართლმსაჯულებაზე წვდომის უფლების, განხორციელება თანასწორობის საფუძველზე. კონვენციის მე-2 და მე-15 მუხლების მიხედვით მონაწილე სახელმწიფოები ვალდებული არიან, უზრუნველყონ, რომ ქალებს ხელი მიუწვდებოდეთ სისხლის სამართლის კანონმდებლობით დადგენილ დაცვასა და სამართლებრივი დაცვის საშუალებებზე და რომ არ ხდებოდეს მათი, როგორც სისხლის სამართლის დანაშაულის მსხვერპლების ან დამნაშავეების, დისკრიმინაცია ამ მექანიზმების ფარგლებში. ზოგიერთი სისხლის სამართლის კოდექსი ან კანონი და/ან სისხლის სამართლის საპროცედურო კოდექსი ახდენს ქალთა დისკრიმინაციას:

(ა) ქცევის იმ ფორმების კრიმინალიზაციით, რომელთა კრიმინალიზაცია ან დასჯა არ ხდება ისე მკაცრად, თუ მათ მამაკაცები ჩადიან;

(ბ) ქცევის იმ ფორმების კრიმინალიზაციით, რომლებიც შეიძლება მხოლოდ ქალებმა ჩაიდინონ, როგორიც არის აბორტი;

(გ) თუ არ ახდენენ ისეთი დანაშაულების კრიმინალიზაციას და არ მოქმედებენ სათანადოდ ისეთი დანაშაულების თავიდან ასაცილებლად და მათ შედეგად მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად, რომლებიც არაპროპორციულად ქალებზე ან მხოლოდ ქალებზე ახდენს ზეგავლენას;

(დ) ციხეში ათავსებენ ქალებს მცირე დანაშაულებისთვის და/ან იმისთვის, რომ ისინი ვერ იხდიან გირაოს ასეთ შემთხვევებში.

48. კომიტეტს ასევე გაუმახვილებია ყურადღება იმ ფაქტზე, რომ ქალები განიცდიან დისკრიმინაციას სისხლის სამართლის საქმეებში გენდერული თვალსაზრისით სენსიტიური, თავისუფლების აღკვეთის არასაპატიმრო ალტერნატივების არარსებობის, პატიმრობაში მყოფი ქალების საგანგებო საჭიროებების დაკმაყოფილების უზნარობის და გენდერული თვალსაზრისით სენსიტიური მონიტორინგისა და დამოუკიდებელი შემოწმების მექანიზმების არარსებობის გამო.¹⁴ ქალთა მეორადი ვიქტიმიზაცია სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის მიერ ზემოქმედებას ახდენს მართლმსაჯულებაზე მათ წვდომაზე ფსიქიკური და ფიზიკური შეურაცხყოფისა და დაკავების, დაკითხვისა და პატიმრობის დროს მუქარების მიმართ მათი გაზრდილი დაუცველობის შედეგად.

49. ქალების არაპროპორციული კრიმინალიზაცია ხდება ასევე მათი სიტუაციის ან სტატუსის გამო, როგორიც არის მონაწილეობა პროსტიტუციაში, მიგრანტობა, ადიულტერში ბრალდება, ლესბოსელის, ბისექსუალის ან ტრანსგენდერი ქალის ან ინტერსექსი ადამიანის იდენტობა, აბორტის გაკეთება ან სხვა ისეთი ჯგუფების წევრობა, რომლებიც განიცდიან დისკრიმინაციას.

50. კომიტეტი აღნიშნავს, რომ ბევრ ქვეყანაშია სათანადოდ მომზადებული პოლიციისა და იურიდიული თუ სასამართლო ექსპერტების

¹⁴ შეტყობინება № 23/2009, „აბრამოვა ბელარუსის წინააღმდეგ“, მოსაზრებები მიღებულია 2011 წლის 25 ივლისს; იხ., აგრეთვე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პატიმარი ქალების მიმართ მოპყრობის წესები და არასაპატიმრო სანქციები დამნაშავე ქალების მიმართ (ბანგკოკის წესები), მიღებული გენერალური ასამბლეის მიერ თავის 65/229 რეზოლუციაში.

ისეთი პერსონალის კრიტიკული ნაკლებობა, რომელსაც შესწევს უნარი, ჯეროვნად შეასრულოს სისხლის სამართლის გამოძიების მოთხოვნები.

51. კომიტეტი რეკომენდაციას უწევს მონაწილე სახელმწიფოებს, რომ მათ:

(ა) გამოიჩინონ სათანადო გულისხმიერება, რათა თავიდან აიცილონ, გამოიძიონ, დასაჯონ და აანაზღაურონ მიყენებული ზიანი ქალების მიმართ ჩადენილი ყველა დანაშაულის შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, ეს დანაშაული სახელმწიფო თუ არასახელმწიფო პირების მიერ არის ჩადენილი;

(ბ) უზრუნველყონ, რომ საკანონმდებლო შემადგენელი შეესატყვისებოდეს მსხვერპლთა ინტერესებს;

(გ) გაატარონ ქმედითი ზომები ქალების დასაცავად მეორადი ვიქტიმიზაციისაგან სამართალდამცველ და სასამართლო ორგანოებთან მათი ურთიერთქმედებისას და ჩამოაყალიბონ სპეციალური გენდერული დანაყოფები სამართალდამცველ, სასჯელალსრულებისა და პროკურატურის სისტემებში;

(დ) გაატარონ შესაბამისი ზომები იმგვარი ხელშეწყობი გარემოს შესაქმნელად, რომელიც წაახალისებს ქალებს, რომ სათანადო ორგანოებს შეატყობინონ მათ მიმართ განხორციელებული დანაშაულების შესახებ და აქტიური მონაწილეობა მიიღონ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პროცესებში; ასევე გაატარონ ზომები იმ ქალების მიმართ შურისძიების თავიდან ასაცილებლად, ვინც მართლმსაჯულების სისტემას მიმართავს. საჭიროა კონსულტაციების ჩატარება ქალთა ჯგუფებთან და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან ამ სფეროებში კანონმდებლობის, პოლიტიკისა და პროგრამების შესამუშავებლად;

(ე) გაატარონ ზომები, მათ შორის მიიღონ კანონმდებლობა ქალების დასაცავად ინტერნეტით ჩადენილი დანაშაულებისა და დარღვევებისაგან;

(ვ) არ დაუქვემდებარონ ქალებისათვის მხარდაჭერა და დახმარება, მათ შორის საცხოვრებელი ნებართვების გაცემა, სასამართლო ორგანოებთან თანამშრომლობის პირობას ადამიანებით ტრეფიკინგისა და ორგანიზებული დანაშაულის შემთხვევებში;¹⁵

(ზ) გამოიყენონ კონფიდენციალობაზე დამყარებული და გენდერული თვალსაზრისით სენსიტიური მიდგომა სტიგმატიზაციის, მათ შორის ძალადობის შემთხვევებში, მეორადი ვიქტიმიზაციის თავიდან ასაცილებლად ყველანაირი სამართალწარმოებისას, მათ შორის დაკითხვის, მტკიცებულებათა შეგროვებისა და გამოძიებასთან დაკავშირებული სხვა პროცედურების დროს;

(თ) გადასინჯონ მტკიცებულებებთან დაკავშირებული წესები და მათი განხორციელება, განსაკუთრებით ქალების მიმართ ძალადობის საქმეებში, და დანერგონ ზომები, სისხლის სამართალწარმოებაში მსხვერპლებისა და მოპასუხეების სამართლიან სასამართლოზე უფლების სათანადოდ გათვალისწინებით, რათა უზრუნველყონ, რომ მტკიცებულებებთან დაკავშირებული მოთხოვნები არ იყოს ზედმეტად შემზღვევლი, მოუქნელი და არ ექცეოდეს გენდერული სტერეოტიპების გავლენის ქვეშ;

(ი) გააუმჯობესონ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის რეაგირება ოჯახში ძალადობაზე; უნდა დაფიქსირდეს გადაუდებელი გამოძახებები, შეგროვდეს განადგურებული ქონებისა და ძალადობის ნიშნების ფოტოგრაფიული მტკიცებულებები და გათვალისწინებული იქნეს ექიმების ან სოციალური მუშაკების ანგარიშები, რომლებიც ცხადყოფს, თუ როგორი შედეგები მოაქვს თუნდაც მონმის გარეშე ჩადენილ ძალადობას მსხვერპლთა ფიზიკურ, ფსიქიკურ და სოციალურ კეთილდღეობაზე;

(კ) მიიღონ ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ ქალების მიმართ არ იქნეს გამოყენებული შეუსაბამო დაყოვნებები დამცავი ორდერების მოთხოვნისას და რომ გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის ყველა საქმე, რომლებიც ხვდება სისხლის სამართლის მართლმსაჯულების იურისდიქციაში, მათ შორის ძალადობასთან დაკავშირებული საქმეები, დროულად და მიუკერძოებლად იქნეს განხილული;

(ლ) შეიმუშაონ პროტოკოლები პოლიციისა და ჯანდაცვის მუშაკებისათვის ქალებზე ძალადობის შემთხვევებში მტკიცებულებების შეგროვებასა და დაცვასთან დაკავშირებით და ჩაუტარონ ტრენინგები საკმარისი რა-

15 იხ. რეკომენდებული პრინციპები ადამიანის უფლებებთან და ადამიანებით ტრეფიკინგთან დაკავშირებით

(გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პუბლიკაცია, № E.10.XIV.1).

ოდენობის პოლიციელებს და იურიდიულ და სასამართლო ექსპერტიზის თანამშრომლებს, რათა მათ კომპეტენტური სახით ჩაატარონ სისხლის სამართლის გამოძიებები;

(მ) გააუქმონ დისკრიმინაციული კრიმინალიზაცია და გადასინჯონ და მონიტორინგი გაუწიონ სისხლის სამართლის ყველა პროცედურას იმის უზრუნველსაყოფად, რომ ეს პროცედურები პირდაპირი თუ არაპირდაპირ სახით არ ახდენდეს ქალების დისკრიმინაციას; მოახდინონ ქცევის ისეთი ფორმების დეკრიმინალიზაცია, რომელთა მამაკაცების მიერ ჩადენის შემთხვევაში არ ხდება კრიმინალიზაცია და ისევე მკაცრად დასჯა, როგორც ქალების მიერ ჩადენის შემთხვევაში; მოახდინონ ქცევის ისეთი ფორმების დეკრიმინალიზაცია, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ქალების მიერ, როგორც არის აბორტი; და იმოქმედონ სათანადო გულისხმიერებით, რათა თავიდან აიცილონ და აანაზღაურონ მიყენებული ზიანი იმ დანაშაულების შემთხვევაში, რომლებიც არაპროპორციულ ზემოქმედებას ახდენს ქალებზე ან მხოლოდ ქალებზე ახდენს ზემოქმედებას, მიუხედავად იმისა, ეს დანაშაული სახელმწიფო თუ არასახელმწიფო პირების მიერ არის ჩადენილი;

(ნ) ყურადღებით ადევნონ თვალყური განაჩენის გამოტანის პროცედურებს და აღმოფხვრან ნებისმიერი დისკრიმინაცია ქალების მიმართ კონკრეტული დანაშაულების და სამართალდარღვევებისთვის გამოტანილ სასჯელებში და პატიმრობიდან პირობით ან წინასწარ განთავისუფლების უფლების დადგენისას;

(ო) უზრუნველყონ სპეციალური მექანიზმების არსებობა თავისუფლების აღკვეთის ადგილების მონიტორინგისათვის, საგანგებო ყურადღება მიაპყრონ პატიმარი ქალების სიტუაციას და მისდინონ საერთაშორისო სახელმძღვანელო პრინციპებსა და სტანდარტებს პატიმრობაში მყოფი ქალების მიმართ მოპყრობის თვალსაზრისით;¹⁶

(პ) აწარმოონ დანვრილებითი სტატისტიკური მონაცემები თავისუფლების აღკვეთის თითოეულ ადგილას ქალების რაოდენობის, მათი პატიმრობის მიზეზებისა და ხანგრძლივობის შესახებ, იმის შესახებ, ხომ არ არიან ისინი ორსულად ან თან ხომ არ ჰყავთ ჩვილი ბავშვი ან ბავშვი, მათთვის იურიდიული, ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურებების მისაწვდომობის შესახებ და იმის შესახებ, თუ რამდენად აქვთ მათ უფლება, რომ მათი საქმე გადასინჯული იქნეს, ასევე გადასინჯული საქმეების, არასაპატიმრო ალტერნატიული სანქციებისა და ტრენინგის შესაძლებლობების შესახებ;

(ჟ) წინასწარი პატიმრობა გამოიყენონ მხოლოდ უკანასკნელი საშუალების სახით და რაც შეიძლება მოკლე დროით და თავიდან აიცილონ წინასწარი პატიმრობის ან პატიმრობის გამოყენება წვრილი დანაშაულებისთვის და ასეთ შემთხვევებში გირაოს გადახდის უუნარობისთვის.

ე. ადმინისტრაციული, სოციალური და შრომის სამართალი

52. კონვენციის მე-2 და მე-15 მუხლების შესაბამისად, ადმინისტრაციული, სოციალური და შრომის სამართალი ქალებისათვის მამაკაცების თანასწორად უნდა იქნეს უზრუნველყოფილი სასამართლო და კვაზისამართლო მექანიზმებისა და სამართლებრივი დაცვის საშუალებების მისაწვდომობა და ხელმისაწვდომობა. ის საკითხები, რომლებიც ხვდება ადმინისტრაციული, სოციალური და შრომის სამართლის კომპეტენციის ფარგლებში, განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ქალებისათვის - ეს არის ჯანდაცვის მომსახურება, სოციალური დაცვა, შრომითი ურთიერთობები, მათ შორის მამაკაცების თანაბარი ანაზღაურება ერთნაირი სამუშაოს შესრულებისათვის, სამსახურში აყვანის და დანაშაულების თანასწორი შესაძლებლობები, თანაბარი ანაზღაურება საჯარო მოხელეებისათვის, საცხოვრებელი და მინის ზონირება, გრანტები, სუბსიდიები და სტიპენდიები, საკომპენსაციო ფონდები, ინტერნეტის რესურსებისა და პოლიტიკის მართვა და მიგრაციისა და თავშესაფრის საკითხები.¹⁷

53. კომიტეტი რეკომენდაციას უწევს მონაწილე სახელმწიფოებს, რომ მათ:

(ა) უზრუნველყონ, რომ ხდებოდეს ადმინისტრაციულ ორგანოთა მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილების დამოუკიდებელი

16 იხ. ბანგკოკის წესები და ასევე სახელმძღვანელო პრინციპები მსხვერპლ და დანაშაულის მონმე ბავშვებთან დაკავშირებული მართლმსაჯულების შესახებ, მიღებული ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მიერ თავისი №2005/20 რეზოლუციით.

17 იხ. ზოგადი რეკომენდაცია №32 ქალთა ლტოლვილის სტატუსის, თავშესაფრის, მოქალაქეობისა და მოქალაქეობის უქონლობის გენდერული ასპექტების შესახებ.

გადასინჯვა, რომელიც ჩატარდება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;

(ბ) უზრუნველყონ, რომ გადანყვეტილება, რომელიც უარყოფს განაცხადს, იყოს დასაბუთებული და რომ მომჩივანს შეეძლოს გადანყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრება კომპეტენტურ ორგანოში და რომ ნებისმიერი ადრე მიღებული ადმინისტრაციული გადანყვეტილების განხორციელება შეჩერდეს გასაჩივრებული გადანყვეტილების სასამართლო წესით განხილვამდე. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თავშესაფრისა და მიგრაციის კანონის სფეროში, რადგან განმცხადებლები შეიძლება დეპორტირებული იქნენ მანამდე, სანამ მიეცემათ შანსი, რომ მათი საქმე განხილული იქნეს;

(გ) ადმინისტრაციული პატიმრობა გამოიყენონ მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, უკანასკნელი საშუალების სახით და შეზღუდული დროით, როდესაც ეს აუცილებელი და მიზანშეწონილია ინდივიდუალურ საქმეში, პროპორციულია ლეგიტიმური მიზნის და შეესაბამება ეროვნულ კანონმდებლობას და საერთაშორისო სტანდარტებს; უზრუნველყონ, რომ არსებობდეს ყველა შესაფერისი ზომა, მათ შორის ქმედითი იურიდიული დახმარება და პროცედურები, რომლებიც ქალებს მისცემს შესაძლებლობას, გაასაჩივრონ მათი პატიმრობის კანონიერება; უზრუნველყონ ამგვარი პატიმრობის რეგულარული გადასინჯვა პატიმრის თანდასწრებით; და ასევე უზრუნველყონ, რომ ადმინისტრაციული პატიმრობის პირობები შეესაბამებოდეს თავისუფლებადკვეთილ ქალთა უფლებების დაცვის საერთაშორისო სტანდარტებს.

IV. რეკომენდაციები კონკრეტულ მექანიზმებთან დაკავშირებით

ა. სპეციალიზებული სასამართლო/კვაზისასამართლო სისტემები და მართლმსაჯულების საერთაშორისო/რეგიონული სისტემები

54. სხვა სპეციალიზებულ სასამართლო და კვაზისასამართლო მექანიზმებსაც,¹⁸ მათ შორის შრომის,¹⁹ მიწაზე პრეტენზიების, საარჩევნო და

18 სხვადასხვა ქვეყანაში ეს სფეროები შედის მართლმსაჯულების ზოგად ან სპეციალიზებულ სისტემებში.

19 ქალებისთვის მართლმსაჯულებაზე წვდომასთან დაკავშირებით შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის

სამხედრო სასამართლოებს, ინსპექტორატებს და ადმინისტრაციულ ორგანოებს,²⁰ აკისრიათ ვალდებულება, იცავდნენ დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და ეფექტიანობის საერთაშორისო სტანდარტებს და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ნორმებს, მათ შორის კონვენციის მე-2, 5 (ა) და მე-15 მუხლებს.

55. გარდამავალმა და კონფლიქტისშემდგომმა სიტუაციებმა შეიძლება განაპირობოს გამოწვევების მატება იმ ქალებისთვის, ვინც ცდილობს მართლმსაჯულებაზე წვდომის საკუთარი უფლების მოპოვებას. თავის №30 ზოგად რეკომენდაციაში კომიტეტმა ყურადღება გაამახვილა მონაწილე სახელმწიფოთა კონკრეტულ ვალდებულებებზე ამგვარ სიტუაციებში მყოფი ქალებისთვის მართლმსაჯულების მისწავლამათან დაკავშირებით.

56. კომიტეტი რეკომენდაციას უწევს მონაწილე სახელმწიფოებს, რომ მათ:

(ა) მიიღონ ყველა საჭირო ზომა, რათა უზრუნველყონ, რომ არსებობდეს და ქალებისთვის ხელმისაწვდომი იყოს ყველა სპეციალიზებული სასამართლო და კვაზისასამართლო მექანიზმი, რომლებიც საკუთარ მანდატს განახორციელებენ იმავე მოთხოვნებზე დაყრდნობით, როგორც ჩვეულებრივი სასამართლოები;

(ბ) უზრუნველყონ სპეციალიზებული სასამართლო და კვაზისასამართლო მექანიზმების გადანყვეტილებათა დამოუკიდებელი მონიტორინგი და შემოწმება;

(გ) დანერგონ პროგრამები, პოლიტიკა და სტრატეგიები, რომლებიც ხელს შეუწყობს და უზრუნველყოფს ქალების თანასწორ მონაწილეობას გემოაღნიშნული სპეციალიზებული სასამართლო და კვაზისასამართლო მექანიზმების ყველა დონეზე;

(დ) განახორციელონ რეკომენდაციები გარდამავალ და კონფლიქტისშემდგომ სიტუაციებში ქალებისთვის მართლმსაჯულებაზე წვდომასთან დაკავშირებით, რომლებიც ჩამოყალიბებულია №30 ზოგადი რეკომენდაციის 81-ე მუხლში, და

შესაბამისი კონვენციებია შრომის ინსპექტორების შესახებ კონვენცია, 1947 (№81), დასაქმების მიზნით მიგრაციის შესახებ კონვენცია (შეტანილი ცვლილებებით), 1949 (№97), შრომის ინსპექტორების შესახებ კონვენცია (სოფლის მეურნეობა), 1969 (№129), კონვენცია მკვიდრი ხალხებისა და ტომების შესახებ, 1989 (№169) და კონვენცია ოჯახში ძმრომელთა შესახებ, 2011 (№189).
 20 იხ. პრინციპების პროექტი სამხედრო ტრიბუნალების მეშვეობით მართლმსაჯულების ადმინისტრირების შესახებ (იხ. E/CN.4/2006/58).

გამოიყენონ კომპლექსური, ინკლუზიური და მონაწილეობაზე დამყარებული მიდგომა გარდამავალი პერიოდის მართლმსაჯულების მექანიზმების მიმართ;

(ე) უზრუნველყონ ქვეყნის დონეზე ქალთა უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო ინსტრუმენტებისა და მართლმსაჯულების საერთაშორისო და რეგიონული სისტემების გადანაცვლებების განხორციელება და ჩამოაყალიბონ მონიტორინგის მექანიზმები საერთაშორისო სამართლის განხორციელებისათვის.

ბ. დავების გადანაცვების ალტერნატიული პროცესები

57. ბევრ იურისდიქციაშია მიღებული დავების მედიაციის, შერიგების, არბიტრაჟის საშუალებით და კოლექტიურად გადანაცვების სავალდებულო ან ნებაყოფლობითი სისტემები, ასევე ხელშეწყობისა და ინტერესზე დაფუძნებული მოლაპარაკებების სისტემები. ეს კონკრეტულად ეხება საოჯახო სამართლის, ოჯახში ძალადობის, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისა და შრომის სამართლის სფეროებს. დავების გადანაცვების ალტერნატიულ პროცესებს ზოგჯერ არაოფიციალურ მართლმსაჯულებას უწოდებენ და ისინი დაკავშირებული არიან დავების ოფიციალური სასამართლო განხილვის პროცესებთან, თუმცა მათ ფარგლებს გარეთ მოქმედებენ. დავების გადანაცვების ალტერნატიული, არაოფიციალური პროცესები მოიცავს მკვიდრი ხალხების არაოფიციალურ სასამართლოებს და ბელადებისა და წინამძღოლების ჩართვას პროცესებში, როდესაც ბელადები და თემების სხვა ლიდერები წყვეტენ პირად დავებს, მათ შორის განქორწინებას, ბავშვზე მეურვეობას და მინასთან დაკავშირებულ დავებს. მართალია, ამგვარი პროცესები შეიძლება უფრო მოქნილი იყოს და ამცირებდეს ხარჯებსა და დაყოვნებას იმ ქალებისთვის, რომლებიც მართლმსაჯულებას ეძებენ, მაგრამ მათ შეიძლება გამოიწვიონ ქალთა უფლებების შემდგომი დარღვევები და დამნაშავეთა დაუსჯელობა, რადგან ხშირად ეს მექანიზმები მოქმედებს პატრიარქალურ ფასეულობებზე დაყრდნობით და ამის გამო უარყოფით გეგავლენას ახდენს ქალთა შესაძლებლობაზე, მათი საქმე განხილული იქნეს სასამართლოს მიერ და მიიღონ სამართლებრივი დაცვის საშუალებები.

58. კომიტეტი რეკომენდაციას უწევს მონაწილე სახელმწიფოებს, რომ მათ:

(ა) მიანოდონ ქალებს ინფორმაცია მათი უფლების შესახებ - გამოიყენონ დავების მედიაციის, შერიგების, არბიტრაჟის მეშვეობით და კოლექტიურად გადანაცვების შესაძლებლობები;

(ბ) უზრუნველყონ, რომ დავების გადანაცვების ალტერნატიული პროცედურები არ ზღუდავდეს ქალთათვის სასამართლოს ან სამართლებრივი დაცვის საშუალებების მისაწვდომობას სამართლის ნებისმიერ სფეროში და არ იწვევდეს მათი უფლებების შემდგომ დარღვევებს;

(გ) უზრუნველყონ, რომ ქალებზე ძალადობის, მათ შორის ოჯახში ძალადობის, შემთხვევები არავითარ შემთხვევაში არ გადაეცეს განსახილველად დავების გადანაცვების ალტერნატიულ მექანიზმებს.

გ. ადამიანის უფლებათა დამცველი ეროვნული მექანიზმები და ომბუდსმენთა სამსახურები

59. ადამიანის უფლებათა დამცველი ეროვნული მექანიზმებისა და ომბუდსმენთა სამსახურების განვითარებამ შეიძლება წარმოქმნას ახალი შესაძლებლობები ქალებისათვის მართლმსაჯულებაზე წვდომის თვალსაზრისით.

60. კომიტეტი რეკომენდაციას უწევს მონაწილე სახელმწიფოებს, რომ მათ:

(ა) გაატარონ ზომები:

(i) რათა უზრუნველყონ ადეკვატური რესურსები ადამიანის უფლებათა დამცველი დამოუკიდებელი ეროვნული ინსტიტუტების შექმნისა და მდგრადი ფუნქციონირებისათვის, ადამიანის უფლებათა ხელშეწყობი და დამცველი ეროვნული ინსტიტუტების სტატუსთან დაკავშირებული პრინციპების („პარიზის პრინციპები“) შესაბამისად;

(ii) რათა უზრუნველყონ, რომ ამ ინსტიტუტების შემადგენლობა და საქმიანობა გენდერული თვალსაზრისით სენსიტიური იყოს;

(ბ) ადამიანის უფლებათა დამცველ ეროვნულ ინსტიტუტებს მიანიჭონ ფართო მანდატი და უფლებამოსილება, რომ მათ განიხილონ საჩივრები ქალთა უფლებების დარღვევის თაობაზე;

(გ) ხელი შეუწყონ ქალთათვის ომბუდსმენთა სამსახურებში და ადამიანის უფლებათა დამცველ ეროვნულ ინსტიტუტებში ინდივიდუალური პეტიციების შეტანის პროცე-

სის მისანვდომობას თანასწორობის საფუძველზე და უზრუნველყონ ქალებისათვის შესაძლებლობა, შეიტანონ საჩივრები დისკრიმინაციის მრავალი და ურთიერთგადამკვეთი ფორმების შესახებ; და

(დ) გამოყონ ადამიანის უფლებათა დამცველი ეროვნული ინსტიტუტებისა და ომბუდსმენთა სამსახურებისთვის ადეკვატური რესურსები და გაუწიონ მხარდაჭერა კვლევების ჩასატარებლად.

დ. მართლმსაჯულების პლურალური სისტემები

61. კომიტეტი აღნიშნავს, რომ სახელმწიფო კანონების, რეგულაციების, პროცედურებისა და გადაწყვეტილებების პარალელურად ზოგჯერ რომელიმე მონაწილე სახელმწიფოში შეიძლება არსებობდეს რელიგიური, ჩვეულებებზე დაფუძნებული, მკვიდრი მოსახლეობის ან თემის კანონები და პრაქტიკა. ამის შედეგად გვხვდება მართლმსაჯულების პლურალური სისტემები. შესაბამისად, არსებობს კანონის სხვადასხვა წყარო, რომლებიც შესაძლებელია ოფიციალურად იყოს აღიარებული სახელმწიფოს სამართლებრივი წყობის ნაწილად, ან მოქმედებდეს რაიმე მკაფიო სამართლებრივი საფუძვლის გარეშე. მონაწილე სახელმწიფოებს კონვენციის მე-2, 5(ა) და მე-15 მუხლების თანახმად, ასევე ადამიანის უფლებათა სხვა საერთაშორისო ინსტრუმენტების შესაბამისად, აკისრიათ ვალდებულება, უზრუნველყონ ქალთა უფლებების პატივისცემა მამაკაცების უფლებების თანასწორად და ქალთა დაცვა მათი უფლებების დარღვევებისაგან მართლმსაჯულების პლურალური სისტემების ყველა კომპონენტის მიერ.²¹

62. მართლმსაჯულების პლურალური სისტემების არსებობამ თავისთავად შეიძლება შეზღუდოს ქალებისთვის მართლმსაჯულების მისანვდომობა დისკრიმინაციული სოციალური ნორმების დამკვიდრებისა და განმტკიცების მეშვეობით. ბევრ ქვეყანაში, მართლმსაჯულების პლურალურ სისტემებში მართლმსაჯულებაზე წვდომის სხვადასხვა გზის არსებობის მიუხედავად, ქალებს არა აქვთ შესაძლებლობა, რეალურად აირჩიონ დავის განხილვის ადგილი. კომიტეტს შემჩნეული აქვს, რომ ზოგიერთ მონაწილე სახელმწიფოში, რომლებშიც ადათ-წესებზე, რელიგიურ თუ სათემო ნორმებზე დაფუძნებული ოჯახის და/ან პერსონალური სამართლის სისტემები არ-

სებობს სამოქალაქო სამართლის სისტემების პარალელურად, ცალკეულ ქალებს შეიძლება არ ჰქონდეთ ინფორმაცია ორივე სისტემის შესახებ ან არ ჰქონდეთ შესაძლებლობა, მიიღონ გადაწყვეტილება, თუ რომელი რეჟიმი შეუძლიათ გამოიყენონ.

63. კომიტეტს აღნიშნული აქვს რიგი მოდელებისა, რომელთა მეშვეობით მართლმსაჯულების პლურალური სისტემების ფარგლებში არსებული პრაქტიკა შეიძლება ჰარმონიზებული იქნეს კონვენციასთან, რათა მინიმუმადე იქნეს დაყვანილი სამართლებრივ ნორმებს შორის კონფლიქტი და გარანტირებული იქნეს ქალებისთვის მართლმსაჯულების მისანვდომობა. ამ მოდელებს განეკუთვნება ისეთი კანონმდებლობის მიღება, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს ურთიერთობას მართლმსაჯულების არსებულ პლურალურ სისტემებს შორის, სახელმწიფოს მხრიდან კონტროლის მექანიზმების შემოღება და რელიგიური, ჩვეულებებზე დაფუძნებული, მკვიდრი ხალხების, სათემო და სხვა სისტემების ოფიციალური აღიარება და კოდიფიცირება. აუცილებელია მონაწილე სახელმწიფოებისა და არასახელმწიფო მხარეების ერთობლივი ქმედება, რათა შესწავლილი იქნეს ის გზები, რომლებითაც მართლმსაჯულების პლურალური სისტემები შეძლებენ ერთად ფუნქციონირებას ქალთა უფლებების დაცვის განმტკიცების მიზნით.²²

64. კომიტეტი რეკომენდაციას უწევს მონაწილე სახელმწიფოებს, რომ მათ, არასახელმწიფო მხარეებთან თანამშრომლობით:

(ა) გაატარონ დაუყოვნებელი ზომები, მათ შორის შესაძლებლობათა განვითარებისა და ტრენინგის პროგრამები კონვენციისა და ქალთა უფლებების შესახებ მართლმსაჯულების სისტემის თანამშრომელთათვის, რათა უზრუნველყონ, რომ მართლმსაჯულების რელიგიურმა, ჩვეულებებზე დაფუძნებულმა, მკვიდრი ხალხების და სათემო სისტემებმა მოახდინონ თავიანთი ნორმების, პროცედურებისა და პრაქტიკის ჰარმონიზება კონვენციით და ადამიანის უფლებათა სხვა საერთაშორისო ინსტრუმენტებით დადგენილ ადამიანის უფლებათა სტანდარტებთან;

(ბ) მიიღონ კანონმდებლობა მართლმსა-

21 იხ., კერძოდ, ზოგადი რეკომენდაცია № 29.

22 საერთაშორისო განვითარების სამართლის ორგანიზაცია, მართლმსაჯულებაზე წვდომა: ქალთა გაძლიერების მოდელები, სტრატეგიები და საუკეთესო პრაქტიკა (რომი, 2013).

ჯულების პლურალური სისტემების ფარგლებში არსებულ მექანიზმებს შორის ურთიერთობის დასარეგულირებლად კონფლიქტის წარმოქმნის პოტენციალის შემცირების მიზნით;

(გ) უზრუნველყონ ქალთა უფლებების დარღვევის სანინააღმდეგო დაცვის საშუალებები: სახელმწიფო სასამართლოებს ან ადმინისტრაციულ ორგანოებს მისცენ შესაძლებლობა, აკონტროლონ მართლმსაჯულების პლურალური სისტემების ყველა კომპონენტის საქმიანობა; ამ დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სოფლების სასამართლოებს და ტრადიციულ სასამართლოებს;

(დ) უზრუნველყონ, რომ ქალებს ჰქონდეთ რეალური, ინფორმაციაზე დამყარებული არჩევანის შესაძლებლობა გამოსაყენებელ კანონთან და იმ ადგილთან დაკავშირებით, სადაც მათი საჩივრები შეიძლება იქნეს განხილული;

(ე) უზრუნველყონ, რომ ქალებისთვის ხელმისაწვდომი იყოს იურიდიული დახმარების მომსახურება, რაც მისცემს მათ შესაძლებლობას, მოითხოვონ საკუთარი უფლებების განხორციელება მართლმსაჯულების პლურალური სისტემების ფარგლებში, და ამ იურიდიული დახმარების განვებაში ჩართონ ადგილობრივი კვალიფიციური ადამიანები;

(ვ) უზრუნველყონ ქალების მამაკაცებთან თანასწორი მონაწილეობა ყველა დონეზე იმ ორგანოებში, რომლებიც ჩამოყალიბდება მართლმსაჯულების პლურალური სისტემების საქმიანობის მონიტორინგის, შეფასებისა და ანგარიშგების მიზნით;

(ზ) ხელი შეუწყონ კონსტრუქციულ დიალოგს და ჩამოაყალიბონ კავშირები მართლმსაჯულების პლურალურ სისტემებს შორის; ამის ერთ-ერთი საშუალებაა ამ სისტემებს შორის ინფორმაციის გაზიარების პროცედურების შემოღება.

V. კონვენციასთან დაკავშირებული დათქმების გაუქმება

65. ბევრ ქვეყანას აქვს გაკეთებული დათქმა:

(ა) მე-2 მუხლის „გ“ პუნქტთან დაკავშირებით, რომლის მიხედვით მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა აიღონ ვალდებულება, დაანესონ ქალთა უფლებების იურიდიული დაცვა მამაკაცების თანასწორად და უზრუნველყონ, კომპეტენტური

ეროვნული სასამართლოებისა და სხვა საჯარო ინსტიტუტების მეშვეობით, ქალთა ეფექტიანი დაცვა დისკრიმინაციის ნებისმიერი აქტისაგან; (ბ) მე-5 მუხლის „ა“ პუნქტთან დაკავშირებით, რომლის მიხედვით მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა საჭირო ზომა, რათა შეცვალონ მამაკაცთა და ქალთა ქცევის სოციალური და კულტურული მოდელები იმ ცრურწმენების აღმოფხვრისა და იმ ადანეცხების და სხვა პრაქტიკის გაუქმების მიზნით, რომლებსაც საფუძვლად უძევს ერთ-ერთი სქესის არასრულფასოვნების ან უპირატესობის, ან მამაკაცთა და ქალთა სტერეოტიპულობის იდეა;

(გ) მე-15 მუხლთან დაკავშირებით, რომლის მიხედვით მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიანიჭონ ქალებს მამაკაცებთან თანაბარი სამოქალაქო უფლებებუნიანობა და მისი განხორციელების თანაბარი შესაძლებლობები; მათ, კერძოდ, უნდა უზრუნველყონ ქალებისათვის თანაბარი უფლებები ხელშეკრულებების დადებისას და ქონების მართვის საკითხში, აგრეთვე თანაბარი დამოკიდებულება მათდამი სასამართლოებსა და ტრიბუნალებში გარჩევის ყველა ეტაპზე;

(დ) მე-16 მუხლთან დაკავშირებით, რომლის მიხედვით მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა საჭირო ზომა ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის ყველა საკითხში, რომლებიც ეხება ქორწინებასა და ოჯახურ ურთიერთობას.

66. ქალებისთვის მართლმსაჯულებაზე წვდომის ფუნდამენტური მნიშვნელობის გათვალისწინებით კომიტეტი რეკომენდაციას უწევს მონაწილე სახელმწიფოებს, რომ მათ გააუქმონ კონვენციის, კერძოდ, მე-2 მუხლის „გ“ პუნქტის, მე-5 მუხლის „ა“ პუნქტის, მე-15 და მე-16 მუხლების მიმართ გაკეთებული დათქმები.

VI. კონვენციის ფაკულტატური ოქმის რატიფიცირება

67. კონვენციის ფაკულტატური ოქმი ემნის დამატებით საერთაშორისო სამართლებრივ მექანიზმს, რომელიც ქალებს მისცემს შესაძლებლობას, შეიტანონ საჩივრები კონვენციით დადგენილი უფლებების სავარაუდო დარღვევების შესახებ, ხოლო კომიტეტს მისცემს საშუალებას, ჩაატაროს კონვენციით გათვალისწინებული უფლებების სავარაუდო სერიოზული თუ სისტემატური დარღვევების

გამოძიებები, და ამით განამტკიცებს ქალთა უფლებას მართლმსაჯულების მისაწვდომობაზე. ფაკულტატური ოქმის საფუძველზე შემოტანილ ინდივიდუალურ შეტყობინებებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების მეშვეობით კომიტეტმა შექმნა მნიშვნელოვანი პრეცედენტული სამართალი ქალებისთვის მართლმსაჯულების მისაწვდომობასთან, მათ შორის ქალებზე ძალადობასთან,²³ თავისუფლებადკვეთილ ქალებთან,²⁴ ჯანმრთელობასთან²⁵ და დასაქმებასთან²⁶ დაკავშირებით.

68. კომიტეტი რეკომენდაციას უწევს მონაწილე სახელმწიფოებს, რომ მათ:

(ა) მოახდინონ ფაკულტატური ოქმის რატიფიცირება;

(ბ) განახორციელონ და ხელი შეუწყონ საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საგანმანათლებლო პროგრამების, რესურსებისა და აქტივობების შემუშავებას და განხორციელებას, სხვადასხვა ენაზე და სხვადასხვა ფორმატში, რათა ქალებს, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს მიაწოდონ ინფორმაცია ფაკულტატური ოქმის მეშვეობით ქალებისთვის მართლმსაჯულების მისაწვდომობის ხელშეწყობი პროცედურების არსებობის შესახებ.

23 იხ. შეტყობინება №19/2008, „ველი კანადის წინააღმდეგ“, მოსაზრებები მიღებულია 2012 წლის 28 თებერვალს; შეტყობინება №20/2008, „ვ.კ. ბულგარეთის წინააღმდეგ“, მოსაზრებები მიღებულია 2011 წლის 25 ივლისს; შეტყობინება №18/2008, „ვერტიდო ფილიპინების წინააღმდეგ“, მოსაზრებები მიღებულია 2010 წლის 16 ივლისს; შეტყობინება №6/2005, „იილდირიმი ავსტრიის წინააღმდეგ“, მოსაზრებები მიღებულია 2007 წლის 6 აგვისტოს; შეტყობინება №5/2005, „გოეკსე ავსტრიის წინააღმდეგ“, მოსაზრებები მიღებულია 2007 წლის 6 აგვისტოს; და შეტყობინება №2/2003, „ა.ტ. უნგრეთის წინააღმდეგ“, მოსაზრებები მიღებულია 2005 წლის 26 იანვარს.

24 შეტყობინება №23/2009, „აბრამოვა ბელარუსის წინააღმდეგ“, მოსაზრებები მიღებულია 2011 წლის 25 ივლისს.

25 შეტყობინება №17/2008, „ტეიქსეირა ბრაზილიის წინააღმდეგ“, მოსაზრებები მიღებულია 2011 წლის 25 ივლისს.

26 შეტყობინება №28/2010, „რ.კ.ბ. თურქეთის წინააღმდეგ“, მოსაზრებები მიღებულია 2012 წლის 24 თებერვალს.

XV. ზოგადი რეკომენდაცია N34

სოფლად მცხოვრებ ქალთა

უფლებების შესახებ

- I. შესავალი
- II. ზოგადი ინფორმაცია
- III. მონაწილე სახელმწიფოთა უმნიშვნელოვანესი ვალდებულება - პატივი სცენ, დაიცვან და ხელი შეუწყონ სოფლად მცხოვრებ ქალთა უფლებების განხორციელებას
 - ა. პირველი და მეორე მუხლების მოქმედება
 - ბ. მე-14 მუხლის პირველი პუნქტი
 - გ. მე-14 მუხლის პირველი პუნქტი, ნაკითხული მე-3 მუხლთან, მე-4 მუხლის პირველ პუნქტთან, მე-5 მუხლის „ა“ პუნქტთან, მე-6, მე-9, მე-15 და მე-16 მუხლებთან ერთობლიობაში
- IV. მონაწილე სახელმწიფოთა ვალდებულებები სოფლად მცხოვრები ქალების უფლებათა კონკრეტულ ასპექტებთან დაკავშირებით
 - ა. სოფლის განვითარებაში მონაწილეობის და სოფლის განვითარებით სარგებლობის უფლება (მე-14 მუხლის პუნქტი 2 (ა))
 - ბ. ჯანდაცვის მომსახურებები (მე-14 მუხლის პუნქტი 2 (ბ), ნაკითხული მე-12 მუხლთან ერთობლიობაში)
 - გ. ეკონომიკური და სოციალური ცხოვრება (მე-14 მუხლის 2(გ) პუნქტი, ნაკითხული მე-11 მუხლის 1 (ე) და 2 (ბ) პუნქტებთან და მე-13 მუხლის „ა“ პუნქტთან ერთობლიობაში)
 - დ. განათლება (მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი, ნაკითხული მე-10 მუხლის „ა“ პუნქტთან ერთობლიობაში)
 - ე. დასაქმება (მე-14 მუხლის 2 (ე) პუნქტი, ნაკითხული მე-11 მუხლთან ერთობლიობაში)
 - ვ. პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრება (მე-14 მუხლის პუნქტები 2 (ა) და 2 (ვ), ნაკითხული მე-7 მუხლთან ერთობლიობაში)
 - ზ. მინა და ბუნებრივი რესურსები (მე-14 მუხლის პუნქტი 2 (ზ), ნაკითხული მე-13 მუხლთან ერთობლიობაში)
 - თ. სათანადო საცხოვრებელი პირობები (მე-14 მუხლის პუნქტი 2 (თ))
 - ი. სოფლად მცხოვრები ქალები განვითარებულ ქვეყნებში
- V. მონაცემები სოფლად მცხოვრებ ქალთა მდგომარეობის შესახებ
- VI. დათქმები და დეკლარაციები
- VII. გავრცელება და ანგარიშგება

I. შესავალი

1. ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი აღიარებს სოფლად მცხოვრებ ქალთა უმნიშვნელოვანეს როლს და მათი უფლებების აღიარებისა და დაცვის გაუმჯობესების გადაუდებელ საჭიროებას. თავის დასკვნით შენიშვნებსა და ზოგად რეკომენდაციებში კომიტეტს იდენტიფიცირებული აქვს სხვადასხვა გზა, რომლებითაც სოფლად მცხოვრები ქალები დისკრიმინაციას განიცდიან. წინამდებარე ზოგად რეკომენდაციაში კომიტეტი დეტალურად განმარტავს მონაწილე სახელმწიფოთა ვალდებულებას, უზრუნველყონ სოფლად მცხოვრებ ქალთა უფლებების განხორციელება და ამ თვალსაზრისით ყურადღებას ამახვილებს ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის მე-14 მუხლზე, რომელიც აღიარებს სოფლად მცხოვრებ ქალთა განსაკუთრებულ მდგომარეობას და ხაზს უსვამს მონაწილე სახელმწიფოთა კონკრეტულ ვალდებულებას - აღიარონ, ხელი შეუწყონ და დაიცვან სოფლად მცხოვრებ ქალთა უფლებები.
2. მე-14 მუხლი ერთადერთი დებულებაა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებაში, რომელიც კონკრეტულად სოფლად მცხოვრებ ქალებს ეხება. თუმცა კონვენციით დადგენილი ყველა უფლება ვრცელდება სოფლად მცხოვრებ ქალებზე და მე-14 მუხლი განმარტებული უნდა იქნეს მთლიანად კონვენციის კონტექსტში. ანგარიშების წარდგენისას მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა განიხილონ ყველა მუხლი, რომლებსაც გავლენა აქვთ სოფლად მცხოვრები ქალებისა და გოგოების მიერ უფლებებით სარგებლობაზე. შესაბამისად, წინამდებარე ზოგადი რეკომენდაცია იკვლევს კავშირებს მე-14 მუხლსა და კონვენციის დანარჩენ ნაწილებს შორის. ვინაიდან მდგრადი განვითარების ბევრი მიზანი ითვალისწინებს სოფლად მცხოვრებ ქალთა მდგომარეობას და იძლევა მნიშვნელოვან შესაძლებლობას, გაუმჯობესდეს როგორც პროცესის, ისე შედეგის ინდიკატორები, წინამდებარე ზოგადი რეკომენდაციის კონკრეტული განზრახვაა მონაწილე სახელმწიფოებისთვის ხელმძღვანელობის განევა სოფლად მცხოვრებ ქალებთან დაკავშირებული მათი ვალდებულებების განხორციელებაში. №34 ზოგადი რეკომენდაცია ყურადღებას ამახვილებს განვითარებად ქვეყნებში სოფლად მცხოვრებ ქალებზე, თუმცა

ზოგიერთი მისი კომპონენტი განვითარებულ ქვეყნებში სოფლად მცხოვრები ქალების სიტუაციასაც ეხება. აღიარებულია, რომ სოფლად მცხოვრები ქალები, განვითარებულ ქვეყნებშიც კი, განიცდიან დისკრიმინაციას და გამოწვევებს სხვადასხვა სფეროში, მათ შორის ეკონომიკური გაძლიერების, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის, მომსახურებებზე წვდომის და სოფლად მცხოვრები მიგრანტი მშრომელი ქალების შრომის ექსპლუატაციის თვალსაზრისით.

II. ზოგადი ინფორმაცია

3. ამჟამად სოფლად მცხოვრები ქალები მსოფლიოს მოსახლეობის მეოთხედს შეადგენენ. ისინი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობენ სოფლად საარსებო საშუალებათა მოპოვების გაუმჯობესებაში და სოფლის თემების გაძლიერებაში. ბოლო წლებში კომიტეტმა შექმნა მნიშვნელოვანი პრეცედენტული სამართალი სოფლად მცხოვრებ ქალთა უფლებებთან და იმ გამოწვევებთან დაკავშირებით, რომლებიც ამ ქალებს ხვდებათ, კერძოდ, თავისი დასკვნითი შენიშვნების მეშვეობით. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რამდენიმე კონფერენციაზე იქნა აღიარებული სოფლად მცხოვრებ ქალთა როლი სოფლის მეურნეობაში, სოფლის განვითარებაში, საკვების მოპოვებაში და სიღარიბის შემცირებაში.¹ შესაბამისად, აუცილებელია სოფლად მცხოვრები ქალების მიმართ განსაკუთრებული ყურადღების გამოჩენა, როგორც ეს აღიარებულია მდგრადი განვითარების მიზნებში.
4. კომიტეტი აღიარებს, რომ სოფლად მცხოვრებ ქალებს დღესაც ხვდებათ სისტემატური და მუდმივი ბარიერები მათი უფლებების სრულად განხორციელებაში და რომ ბევრ შემთხვევაში მათი პირობები გაუარესებულია. ბევრ სახელმწიფოში სოფლად მცხოვრებ ქალთა უფლებები და საჭიროებები არ არის საკმარისად დაკმაყოფილებული ან სულაც უგულებელყოფილია კანონებში, ეროვნულ და ადგილობრივი პოლიტიკის დოკუმენტებში, ყველა დონის ბიუჯეტებსა და საინვესტიციო სტრატეგიებში. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც არსებობს კანონები და პოლიტიკები, რომლებიც

1 15 ოქტომბერი სოფლად მცხოვრებ ქალთა საერთაშორისო დღეა. ქალთა მდგომარეობის კომიტეტის 56-ე სხდომის პრიორიტეტული თემა ასევე იყო სოფლად მცხოვრებ ქალთა გაძლიერება და მათი როლის განმტკიცება სიღარიბისა და შიმშილის აღმოფხვრაში, განვითარებასა და მათ წინაშე წამოჭრილ გამოწვევებთან გამკლავებაში.

ითვალისწინებს სოფლად მცხოვრებ ქალთა სიტუაციას და ადგენს სპეციალურ ზომებს ამ სიტუაციაზე რეაგირებისთვის, ისინი ხშირად არ სრულდება.

5. მსოფლიოს მასშტაბით (და მცირედი გამონაკლისით) ყოველი გენდერული და გენდერების ინდიკატორის მიხედვით, რომელთან დაკავშირებითაც მონაცემები არსებობს, სოფლად მცხოვრები ქალების მდგომარეობა უარესია, ვიდრე სოფლად მცხოვრები მამაკაცების და ქალაქში მცხოვრები ქალებისა და მამაკაცების მდგომარეობა² და სოფლად მცხოვრები ქალები არაპროპორციულად დიდ სიღარიბეს და გარიყვას განიცდიან. ისინი ასევე განიცდიან სისტემურ დისკრიმინაციას მინასა და ბუნებრივ რესურსებზე წვდომაში. და მათ აწევთ აუნაზღაურებელი შრომის უმეტესი ტვირთი სტერეოტიპული გენდერული როლების, ოჯახებში უთანასწორობისა და ინფრასტრუქტურისა და სერვისების ნაკლებობის გამო, მათ შორის საკვები პროდუქტების წარმოების და ოჯახის წევრებზე ზრუნვის თვალსაზრისით. მაშინაც კი, როდესაც ისინი ოფიციალურად დასაქმებულები არიან, მათი სამუშაო ხშირად დაუცველი, სახიფათო, ცუდად ანაზღაურებადია და არ არის სოციალური დაცვით დაფარული. ნაკლებად სავარაუდოა, რომ მათ განათლება მიიღონ და მათ ემუქრებათ ტრეფიკინგის და იძულებითი შრომის, ასევე ბავშვის და/ან იძულებითი ქორწინების და სხვა მავნე პრაქტიკის უფრო მაღალი საფრთხე (იხ. CEDAW/C/GC/31-CRC/C/GC/18). უფრო მეტად სავარაუდოა, რომ ისინი ხდებოდნენ ავად, განიცდიდნენ არასაკმარის კვებას ან კვდებოდნენ ისეთი მიზეზების გამო, რომელთა თავიდან აცილებაც შესაძლებელია, და ისინი განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში არიან ჯანდაცვის მისაწვდომობის მხრივაც.
6. სოფლად მცხოვრები ქალები ასევე უფრო იშვიათად გვხვდებიან ხოლმე ყველა დონეზე ხელმძღვანელ და გადანყვეტილებების მიღებ თანამდებობებზე. მათ მიმართ არაპროპორციულად ხორციელდება გენდერული ნიშნით ძალადობა და ისინი განიცდიან მართლმსაჯულებაზე წვდომისა და სამართლებრივი დაცვისა და ზიანის ანაზღაურების ქმედითი საშუალებების ნაკლებობას. ამკარაა, რომ უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს

სოფლად მცხოვრები ქალების გაძლიერების, თვითგამორკვევისა და გადანყვეტილებათა მიღებასა და მმართველობაში მათი პოზიციის მნიშვნელობა. როდესაც ეს ყველაფერი ყურადღების მიღმა რჩება, სახელმწიფოები საფრთხეს უქმნიან საკუთარ პროგრესს.

III. მონაწილე სახელმწიფოთა უმნიშვნელოვანესი ვალდებულება - პატივი სცენ, დაიცვან და ხელი შეუწყონ სოფლად მცხოვრებ ქალთა უფლებების განხორციელებას

ა. პირველი და მეორე მუხლების მოქმედება

7. კონვენციის პირველ მუხლში მოცემული დისკრიმინაციის განმარტება ეხება ყველა ქალს და დისკრიმინაციის ყველა ფორმას, რაც სოფლად მცხოვრები ქალების მიმართ ამ დებულების მოქმედებას თავისთავად ცხადს ხდის. მე-2 მუხლი ადგენს, რომ მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა დაგმონ ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმა და ეს მუხლი განუყოფლად არის დაკავშირებული კონვენციის ყველა სხვა არსებით დებულებასთან, მათ შორის მე-14 მუხლთან. იმისათვის, რომ შეასრულონ მე-2 მუხლი სოფლად მცხოვრებ ქალებთან დაკავშირებით, მონაწილე სახელმწიფოებმა თავი უნდა შეიკავონ იმგვარი ქმედებისა თუ უმოქმედობისგან, რომლებიც ახდენს სოფლად მცხოვრები ქალების დისკრიმინაციას.
8. დისკრიმინაციულმა ან სხვაგვარად არაადეკვატურმა სამართლებრივმა ბაზებმა, რთულმა სამართლებრივმა სისტემებმა, კონფლიქტის და კონფლიქტისშემდგომმა სიტუაციებმა, ინფორმაციის არარსებობამ და სოციალურ-კულტურულმა დაბრკოლებებმა შეიძლება ერთად ან ცალ-ცალკე მიუწვდომელი გახადოს მართლმსაჯულება სოფლად მცხოვრები ქალებისათვის. იმ ფაქტორებს, რომლებიც ხელს უწყობს დისკრიმინაციული სტერეოტიპებისა და პრაქტიკის არსებობას, განსაკუთრებით სოფლად, განეკუთვნება ნაწილობრივ თანმხვედრი და წინააღმდეგობრივი ოფიციალური, ჩვეულებრივი და რელიგიური კანონებისა და ორგანოების პარალელური არსებობა. სოფლად მცხოვრები ბევრი ქალი და გოგო ცხოვრობს თემებში, სადაც

2 იხ. „მსოფლიოს ქალები 2010: ტენდენციები და სტატისტიკა“ (გაერო-ს გამოცემა, № E.10.XVII.11). შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: unstats.un.org/unsd.

დავების გადასაწყვეტად მართლმსაჯულების არაოფიციალური მექანიზმები გამოიყენება. და თუმცა მართლმსაჯულების არაოფიციალური სისტემა შეიძლება უფრო მისაწვდომი იყოს მათთვის, აუცილებელია კონვენციასთან შეუსაბამო წესებისა და მექანიზმების ჰარმონიზება კონვენციასთან და ქალებისათვის მართლმსაჯულებაზე წვდომის შესახებ №33 ზოგად რეკომენდაციის შესაბამისად, მათ შორის შემდეგი საშუალებებით:

9. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მათი საკანონმდებლო ჩარჩო იყოს არადისკრიმინაციული და უზრუნველყოფდეს ქალებისთვის მართლმსაჯულებაზე წვდომას №33 ზოგადი რეკომენდაციის შესაბამისად, მათ შორის შემდეგი საშუალებებით:

(ა) არსებული კანონების გენდერული ბემოქმედების ანალიზის ჩატარებით, რათა შეფასდეს სოფლად მცხოვრებ ქალებზე მათი ბემოქმედება;

(ბ) კანონმდებლობის მიღებით მართლმსაჯულების პლურალური სისტემების ფარგლებში სხვადასხვა მექანიზმს შორის ურთიერთობის დასარეგულირებლად, რათა შემცირდეს სამართლებრივი ნორმების კოლიზია და უზრუნველყოფილი იქნეს, რომ სოფლად მცხოვრებ ქალებს შეეძლოთ საკუთარი უფლებების მოთხოვნა;

(გ) სოფლად მცხოვრებ ქალთა ცნობიერების და სამართლებრივი წიგნიერების გაზრდით: მათთვის მათი იურიდიული უფლებების და მართლმსაჯულების პლურალური სისტემების (შესაბამის შემთხვევებში) შესახებ ინფორმაციის მიწოდებით;

(დ) იურიდიული მომსახურებისა და იურიდიული დახმარების უფასოდ ან ხელმისაწვდომ ფასად უზრუნველყოფით;

(ე) სოფლად მცხოვრებ ქალთა სამართლებრივი თვალსაზრისით გაძლიერების ხელშეწყობით, მათ შორის გენდერულ საკითხებზე ორიენტირებული კვაზისასამართლო და სასამართლო პროცედურების მეშვეობით;

(ვ) სოფლად მცხოვრებ ქალთათვის მართლმსაჯულებაზე წვდომის მხრივ არსებული ბარიერების დანგრევით: იმის უზრუნველყოფით, რომ მათთვის მისაწვდომი იყოს მართლმსაჯულების ოფიციალური და არაოფიციალური მექანიზმები და დავების გადაწყვეტის ალტერნატიული ვარიანტები;

(ზ) სასამართლოებისა და მართლმსაჯულების სხვა მექანიზმების ფიზიკური

წვდომის უზრუნველყოფით, მაგალითად, სოფლად მცხოვრები ქალებისთვის ხელმისაწვდომი მობილური სასამართლოების შექმნის მეშვეობით;

(თ) სასამართლო სისტემის თანამშრომლებისთვის, ადვოკატებისთვის, სამართალდამცველი ორგანოების თანამშრომლებისთვის, საშუალო იურიდიული პერსონალისათვის, ტრადიციული ლიდერებისა და სხვა შესაბამისი ორგანოებისა და თანამდებობის პირებისთვის სოფლად ტრენინგების ჩატარებით სოფლად მცხოვრებ ქალთა უფლებების და მათი დისკრიმინაციის უარყოფითი ზეგავლენის შესახებ.

10. სოფლად მცხოვრები ქალების მიმართ დისკრიმინაცია სრულად ვერ იქნება გაგებული გენდერული უთანასწორობის მაკროეკონომიკური ფესვების გათვალისწინების გარეშე. სახელმწიფოები ხშირად ვერ ათვისებენ იერებენ სოფლად მცხოვრები ქალებისა და გოგოების როლს აუნაზღაურებელ საქმიანობაში, მათ მიერ მთლიან შიდა პროდუქტში და, შესაბამისად, მდგრად განვითარებაში შეტანილ წვლილს. ვაჭრობის, გადასახადებისა და ეკონომიკური თუ ფისკალური პოლიტიკის სხვა საკითხებზე გაფორმებულ ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენის მოხდენა შეუძლიათ სოფლად მცხოვრები ქალების ცხოვრებაზე. მათი კეთილდღეობისთვის ნეგატიური შედეგები მოაქვს ასევე გარემოს საკითხებს, მათ შორის კლიმატის ცვლილებას და ბუნებრივ კატასტროფებს, რაც ხშირად გამოწვეულია ხოლმე ბუნებრივი რესურსების არამდგრადი გამოყენებით, ასევე ნარჩენების განკარგვის ცუდი პრაქტიკით. გენდერული თვალსაზრისით ნეიტრალურმა პოლიტიკამ, რეფორმებმა და კანონებმა შეიძლება ხელი შეუწყოს და განამტკიცოს კიდევ ყველაფერ ზემოხსენებულთან დაკავშირებული უთანასწორობები.

11. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მაკროეკონომიკური პოლიტიკა, მათ შორის სავაჭრო, ფისკალური და საინვესტიციო პოლიტიკა, ასევე ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებები, ითვალისწინებდეს სოფლად მცხოვრები ქალების საჭიროებებს და აძლიერებდეს მცირემასშტაბიანი ქალი მწარმოებლების სანარმოო და საინვესტიციო შესაძლებლობებს. სახელმწი-

ფოებმა უნდა მიიღონ ზომები სოფლად მცხოვრები ქალების ცხოვრებაზე ეკონომიკური პოლიტიკის, მათ შორის სოფლის მეურნეობისა და ვაჭრობის ლიბერალიზაციის, პრივატიზაციისა და მიწის, წყლისა და ბუნებრივი რესურსების მერკანტილიზაციის ნეგატიური და განსხვავებული ზემოქმედების მოსაგვარებლად და მათი უფლებების განსახორციელებლად. ანალოგიურად, განვითარების სფეროში მოქმედმა პარტნიორებმაც უნდა უზრუნველყონ, რომ განვითარების სფეროში მათი დახმარების პოლიტიკა საგანგებოდ ითვალისწინებდეს სოფლად მცხოვრებ ქალთა საჭიროებებს.

12. მონაწილე სახელმწიფოებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ იმ სპეციფიკურ საფრთხეებზე, რომლებიც სოფლად მცხოვრები ქალებისთვის მოაქვთ კლიმატის ცვლილებას, ბუნებრივ კატასტროფებს, მიწისა და ნიადაგის დეგრადაციას, წყლის დაბინძურებას, გვალვას, წყალდიდობას, გაუდაბნობას, პესტიციდებსა და აგროქიმიკატებს, მომპოვებელი მრეწველობის დარგებს, მონოკულტურებს, ბიომეკობრეობას და ბიომრავალფეროვნების, კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო ბიომრავალფეროვნების გაქრობას. სახელმწიფოებმა უნდა შეამსუბუქონ და შეარბილონ აღნიშნული საფრთხეები და უზრუნველყონ, რომ სოფლად მცხოვრები ქალები ცხოვრობდნენ უსაფრთხო, სუფთა და ჯანსაღ გარემოში. მათ რეალურად უნდა გაითვალისწინონ სოფლად მცხოვრებ ქალებზე აღნიშნული რისკების ზემოქმედება გარემოსთან, კლიმატის ცვლილებასთან, კატასტროფების რისკის შემცირებასთან, კატასტროფებისთვის მზადყოფნასა და მათ მართვასთან დაკავშირებული ყველანაირი პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში და უზრუნველყონ სოფლად მცხოვრებ ქალთა სრულყოფილი მონაწილეობა ამ პოლიტიკების შემუშავებაში, დაგეგმვასა და განხორციელებაში. მონაწილე სახელმწიფოებმა ასევე უნდა უზრუნველყონ სოფლად მცხოვრები ქალებისა და გოგოების დაცვა და უსაფრთხოება კატასტროფებისა და სხვა კრიზისების ყველა ეტაპზე, დაწყებული ადრეული გაფრთხილებით და დამთავრებული შემდგომი დახმარებით, აღდგენით, რეაბილი-

ტაციითა და რეკონსტრუქციით.

13. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა დაარეგულირონ მათ იურისდიქციაში მყოფი არასახელმწიფო აქტორების საქმიანობა, მათ შორის იმ შემთხვევებშიც, როდესაც ისინი სხვა ქვეყნის ტერიტორიებზე მოქმედებენ. კომიტეტის №28 (2010) ზოგადი რეკომენდაცია, რომელიც ეხება მონაწილე სახელმწიფოთა ძირითად ვალდებულებებს კონვენციის მე-2 მუხლის საფუძველზე, ადასტურებს მე-2 მუხლის „ე“ პუნქტის მოთხოვნას ნებისმიერი პირის, ორგანიზაციის ან საწარმოს მხრიდან ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ, რაც ვრცელდება ქვეყნის საზღვრებს გარეთ მოქმედი ეროვნული კორპორაციების ქმედებებზეც. მონაწილე სახელმწიფოებმა ექსტრატერიტორიული ვალდებულებები სოფლად მცხოვრები ქალების მიმართ უნდა შეასრულონ, *inter alia*, შემდეგი გზებით: არ უნდა ჩაერიონ, პირდაპირი თუ არაპირდაპირი სახით, მათი უფლებების განხორციელებაში; უნდა გაატარონ მარეგულირებელი ზომები, რათა თავიდან აიცილონ მათ იურისდიქციაში მყოფი მხარეების, მათ შორის კერძო პირების, კომპანიებისა და საჯარო უწყებების, მხრიდან მათი ქვეყნის საზღვრებს გარეთ სოფლად მცხოვრები ქალების უფლებების ხელყოფა და დარღვევა; და უნდა უზრუნველყონ, რომ მათი ქვეყნის საზღვრებს გარეთ ორმხრივი თუ მრავალმხრივი საერთაშორისო თანამშრომლობისა და განვითარების სფეროში დახმარების ფარგლებში ხდებოდეს სოფლად მცხოვრებ ქალთა უფლებების განხორციელების ხელშეწყობა. სოფლად მცხოვრები დაზარალებული ქალებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს შესაფერისი და ქმედითი ზიანის ანაზღაურების საშუალებები, როდესაც მონაწილე სახელმწიფო დაარღვევს თავის ექსტრატერიტორიულ ვალდებულებებს.

14. №28 ზოგადი რეკომენდაციის შესაბამისად, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა აღიარონ, რომ სოფლად მცხოვრები ქალები არ წარმოადგენენ ჰომოგენურ ჯგუფს და ისინი ხშირად აწყდებიან დისკრიმინაციის ურთიერთგადაძვეთ ფორმებს. ბევრი მკვიდრი და აფრიკული წარმომავლობის ქალი ცხოვრობს სოფლად და განიცდის დისკრიმინაციას ეთნიკური წარმომავლობის, ენისა და ცხოვრების ტრადიციული წესის გამო.

სოფლად მცხოვრები ის ქალები, რომლებიც განეკუთვნებიან სხვა ეთნიკურ უმცირესობებს თუ რელიგიურ უმცირესობებს, ასევე ოჯახების ქალი უფროსები, შეიძლება ასევე განიცდიდნენ განსაკუთრებულ სიღარიბეს და სოციალური გარიყვის სხვა ფორმებს. სოფლად მომუშავე ქალები, მათ შორის გლეხი, ფერმერი, მიგრანტი, მეთევზე და მიწის უქონელი ქალები, ასევე არაპროპორციულად განიცდიან დისკრიმინაციის ურთიერთგადაძვეთ ფორმებს. როგორც ეს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალების შესახებ №18 (1991) ზოგად რეკომენდაციაშია აღიარებული, ასეთი ქალები განსაკუთრებულ გამოწვევებს აწყდებიან ცხოვრების ყველა სფეროში და ეს ყველაზე მეტად ეხება სოფლად მცხოვრებ ქალებს. დისკრიმინაცია სოფლად შეიძლება დამძიმებული იყოს, inter alia, წყლის, კანალიზაციის, ელექტროენერჯის, ჯანდაცვის, ბავშვებსა და მოხუცებულებზე ზრუნვის სათანადო მისაწვდომობის და ინკლუზიური და კულტურული თვალსაზრისით შესაფერისი განათლების არარსებობით. როგორც ეს ხანდაზმული ქალებისა და მათი უფლებების დაცვის შესახებ №27 (2010) ზოგად რეკომენდაციაშია აღიარებული, ხანდაზმული ქალები და ქვრივები სოფლად შეიძლება ასევე განიცდიდნენ სტიგმატიზაციას და იზოლირებას, რაც ზრდის მათ მიმართ ცუდად მოპყრობის რისკს. გარდა ამისა, სოფლად მცხოვრებ იმ ქალებს, მათ შორის ოჯახების უფროსებს, რომლებიც კონფლიქტით დაზარალებულ ტერიტორიებზე ცხოვრობენ, აქვთ პრობლემები უსაფრთხოების თვალსაზრისით და დაბრკოლებები მათი უფლებებით სარგებლობაში.

15. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა აღმოფხვრან სოფლად მცხოვრებ ქალთა მძიმე მდგომარეობაში მყოფი და მარგინალიზებული ჯგუფების ყველაწიერი ფორმის დისკრიმინაცია. მაგალითად, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ სოფლად მცხოვრებ ქალთა მძიმე მდგომარეობაში მყოფი და მარგინალიზებული ჯგუფები, მათ შორის მკვიდრი და აფრიკული წარმომავლობის, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელი ქალები, ოჯახების ქალი უფროსები, გლეხი, ფერმერი, მიგრანტი, მეთევზე და მიწის უქონელი ქალები, მიგრანტები და კონფლიქტით დაზარალებულ ტერიტორიებზე სოფლად მცხოვრები ქა-

ლები დაცულები იყვნენ დისკრიმინაციის ურთიერთგადაძვეთი ფორმებისგან და რომ მათ, სხვებთან ერთად, ხელი მიუწვდებოდეთ განათლებას, დასაქმებაზე, წყალზე, კანალიზაციასა და ჯანდაცვაზე. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშაონ ისეთი პოლიტიკა და პროგრამები, რომლებიც უზრუნველყოფს სოფლად მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალების მიერ მათი უფლებებით სხვების თანასწორად სარგებლობას, მათ შორის ინფრასტრუქტურისა და სერვისების მისაწვდომობის უზრუნველყოფის მეშვეობით. ანალოგიურად, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ სოფლად მცხოვრებ ხანდაზმულ ქალებს ჰქონდეთ წვდომა სოციალურ სამსახურებზე და ადეკვატურ სოციალურ დაცვაზე, ასევე ეკონომიკურ რესურსებზე, და ჰქონდეთ შესაძლებლობა, იცხოვრონ ღირსეულად, მათ შორის ხელი მიუწვდებოდეთ ფინანსურ მომსახურებასა და სოციალურ დაცვაზე.

ბ. მე-14 მუხლის პირველი პუნქტი

16. მე-14 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოებს მოეთხოვებათ, გაითვალისწინონ განსაკუთრებული პრობლემები, რომლებსაც აწყდებიან სოფლად მცხოვრები ქალები, და ის მნიშვნელოვანი როლი, რომელსაც ისინი ასრულებენ თავიანთი ოჯახების ეკონომიკური კეთილდღეობის უზრუნველყოფაში, მათ შორის მათი საქმიანობა მეურნეობის უსაქონლო დარგებში. ინკლუზიური და მდგრადი განვითარების პროცესში დაცული უნდა იქნეს სოფლად მცხოვრებ ქალთა უფლებები, მხედველობაში იქნეს მიღებული ის როლი, რომელსაც ისინი ასრულებენ როგორც უმნიშვნელოვანესი აქტორები, და სრულად იქნეს აღიარებული მათი ანაზღაურებადი და აუნაზღაურებელი სამუშაოს ეკონომიკური ღირებულება.

17. მონაწილე სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ ინკლუზიურ და მდგრად ეკონომიკურ განვითარებას, რომელიც სოფლად მცხოვრებ ქალებს მისცემს მათი უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობას, და:
(ა) აღიარონ მათ მიერ ადგილობრივ და ეროვნულ ეკონომიკებსა და საკვების წარმოებაში, ასევე მათი ოჯახებისა და თემების კეთილდღეობაში შეტანილი უმნიშვნელოვანესი წვლილი, მათ შორის ზრუნვის აუნაზღაურებელი საქმიანობის

და საოჯახო ფერმებში მუშაობის მეშვეობით შეტანილი ნვლილი, ქალების აუნაზღაურებელი საოჯახო საქმიანობის გაზომვის და დათვლის და მთლიან შიდა პროდუქტში აღიარების შესახებ №17 (1991) ზოგადი რეკომენდაციის შესაბამისად;

(ბ) ხელი შეუწყონ მათ გაძლიერებას და უზრუნველყონ მათი ეკონომიკური და სოციალური დამოუკიდებლობა, კერძოდ, ხელშემწყობი გარემოს შექმნის მეშვეობით დროებითი სპეციალური ზომების შესახებ №25 (2004) ზოგადი რეკომენდაციის შესაბამისად, მათ შორის ისეთი პროგრამებისა და პოლიტიკების მეშვეობით, რომლებიც მიმართული იქნება სოფლად მცხოვრები ქალების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ;

(გ) უზრუნველყონ, რომ მათ შეეძლოთ რეალური და პირდაპირი სარგებლის მიღება ეკონომიკური და სოციალური პროგრამების შედეგად: ჩართონ ისინი ჯანდაცვასთან, განათლებასთან, დასაქმებასა და სოციალურ დაცვასთან დაკავშირებული ყველა გეგმისა და სტრატეგიის შემუშავებასა და დაგეგმვაში

გ. მე-14 მუხლის პირველი პუნქტი, ნაკითხული მე-3 მუხლთან, მე-4 მუხლის პირველ პუნქტთან, მე-5 მუხლის „ა“ პუნქტთან, მე-6, მე-9, მე-15 და მე-16 მუხლებთან ერთობლიობაში

18. მე-3 მუხლი ადგენს, რომ მონაწილე სახელმწიფოებმა ყველა სფეროში უნდა მიიღონ ყველა საჭირო ზომა, მათ შორის საკანონმდებლო ზომები, რათა უზრუნველყონ ქალთა ყოველმხრივი განვითარება და პროგრესი.

19. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ქმედითი კანონები, პოლიტიკის დოკუმენტები, რეგულაციები, პროგრამები, ადმინისტრაციული პროცედურები და ინსტიტუციური სტრუქტურები, რათა უზრუნველყონ სოფლად მცხოვრებ ქალთა ყოველმხრივი განვითარება და პროგრესი, მათთვის მამაკაცებთან თანასწორ საფუძველზე ადამიანის უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობისა და განხორციელების გარანტიების მიზნით.

20. მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ადგენს მონაწილე სახელმწიფოების მიერ დროებითი სპეციალური ზომების მიღებას, რომელთა მიზანია მამაკაცთა და ქალთა არსებითი

თანასწორობის დამყარების დაჩქარება. ამგვარ ზომებს შეიძლება განეკუთვნებოდეს გადამწყვეტილებათა მიმდები როლებისა და რესურსების ხელახლა განაწილება. ზოგადი რეკომენდაცია №25 ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ საჭიროების შემთხვევაში ასეთი ზომები მიმართული უნდა იყოს იმ ქალებზე, რომელთა მიმართ დისკრიმინაციის მრავალ ფორმას აქვს ადგილი, მათ შორის სოფლად მცხოვრებ ქალებზე.

21. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშაონ და განახორციელონ დროებითი სპეციალური ზომები მამაკაცთა და სოფლად მცხოვრებ ქალთა ფაქტობრივი თანასწორობის დამყარების დაჩქარების მიზნით ყველა სფეროში, რომლებშიც ისინი ნაკლებად წარმოდგენილები ან არახელსაყრელ მდგომარეობაში არიან, მათ შორის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, განათლების, ჯანდაცვისა და დასაქმების სფეროებში.

22. მე-5 მუხლის „ა“ პუნქტი ეხება იმ დისკრიმინაციული სტერეოტიპებისა და პრაქტიკის აღმოფხვრას, რომლებიც ხშირად უფრო მეტად არის გავრცელებული სოფლად. სოფლად მცხოვრები ქალები და გოგონები ხშირად განიცდიან ისეთი მავნე პრაქტიკის გემოქმედებას (იხ. CEDAW/C/GC/31-CRC/C/GC/18, პუნქტი 9), როგორც არის ბავშვის და/ან იძულებითი ქორწინება, პოლიგამია და ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება, რაც საფრთხეს უქმნის მათ ჯანმრთელობას და კეთილდღეობას და შეიძლება უბიძგოს მათ მიგრაციისაკენ ამგვარი პრაქტიკისთვის თავის დაღწევის მიზნით, რაც, თავის მხრივ, დაუცველებს ხდის მათ სხვა რისკების წინაშე. მათ ხშირად მძიმე მდგომარეობაში აგდებს ისეთი პრაქტიკა, როგორც არის მემკვიდრეობით მიღებული ვალი, რაც აგრძელებს სიღარიბის ციკლს, და დისკრიმინაციული სტერეოტიპები და შესაბამისი პრაქტიკა, რომლებიც ხელს უშლის მათ მინაზე, წყალსა და ბუნებრივ რესურსებზე მათი უფლებებით სარგებლობაში, როგორც არის მამაკაცის პირველმემკვიდრეობა და ქვრივებისთვის ქონების წართმევა.

23. მავნე პრაქტიკის შესახებ №31 ზოგადი რეკომენდაციის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა აღმოფხვრან მავნე პრაქტიკა, მათ შორის ბავშვის და/ან იძულებითი ქორწინება, ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება და ოჯახის ვალის

მემკვიდრეობით მიღება, რაც უარყოფით ზეგავლენას ახდენს სოფლად მცხოვრები ქალებისა და გოგოების ჯანმრთელობაზე, კეთილდღეობაზე და ღირსებაზე. მონაწილე სახელმწიფოებმა ასევე უნდა აღმოფხვრან ის დისკრიმინაციული სტერეოტიპები, რომლებიც ხელყოფს სოფლად მცხოვრები ქალების თანასწორ უფლებას მიწაზე, წყალსა და სხვა ბუნებრივ რესურსებზე. ამ მიზნის მისაღწევად მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ რიგი საჭირო ზომებისა, მათ შორის განახორციელონ საზოგადოებასთან ურთიერთობისა და დახმარების პროგრამები, ცნობიერების ამაღლებისა და მედიაკამპანიები, ტრადიციულ ლიდერებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობით, რათა აღმოფხვრან მავნე პრაქტიკა და სტერეოტიპები.

24. ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ №19 (1992) ზოგად რეკომენდაციაში ნათქვამია, რომ სოფლად მცხოვრებ ქალებს ემუქრებათ ძალადობის რისკი ქალების დაქვემდებარებული როლის შესახებ ბევრ სასოფლო თემში გავრცელებული ტრადიციული შეხედულებების გამო. სასოფლო თემებში მცხოვრებ გოგოებს ძალადობის, სექსუალური ექსპლუატაციისა და შევიწროების განსაკუთრებული საფრთხე ემუქრებათ, როდესაც ისინი ტოვებენ სასოფლო თემს და სამუშაოს საძებნელად ქალაქებში მიდიან. ძალადობის რისკის წინაშე ხშირად აღმოჩნდებიან ხოლმე სოფლად მცხოვრებ ქალთა უფლებადამცველებიც, როდესაც მათი მუშაობა მიმართულია, მაგალითად, მსხვერპლთა დასაცავად, ადგილობრივი ადამიანების შესაცვლელად ან ბუნებრივ რესურსებზე უფლებების უზრუნველსაყოფად.

25. მონაწილე სახელმწიფოებმა თავიდან უნდა აიცილონ და აღმოფხვრან სოფლად მცხოვრები ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობის ყველა ფორმა და, №19 და №33 ზოგადი რეკომენდაციების შესაბამისად:

(ა) აამაღლონ სოფლად მცხოვრები ქალებისა და მამაკაცების, გოგოებისა და ბიჭების, ასევე ადგილობრივი, რელიგიური და თემის ლიდერების ცნობიერება სოფლად მცხოვრები ქალებისა და გოგოების უფლებების შესახებ დისკრიმინაციული სოციალური დამოკიდებულებებისა და პრაქტიკის, კერძოდ, იმგვარი პრაქტიკის აღმოფხვრის მიზნით, რომელიც უშვებს

გენდერული ნიშნით ძალადობას;
(ბ) მიიღონ ქმედითი ზომები სოფლად მცხოვრები ქალებისა და გოგოების, მათ შორის სოფლად მცხოვრები მიგრანტი ქალებისა და გოგოების მიმართ ჩადენილი ძალადობის ნებისმიერი ქმედების თავიდან აცილების, გამოძიების, პასუხისგებაში მიცემის და დასჯის მიზნით, მიუხედავად იმისა, თუ ვინ ჩაიდინა ეს დანაშაული - სახელმწიფო თუ არასახელმწიფო აქტორებმა თუ კერძო პირებმა;

(გ) უზრუნველყონ, რომ სოფლად მცხოვრებ მსხვერპლებს ჰქონდეთ მართლმსაჯულებაზე, მათ შორის იურიდიულ დახმარებაზე, კომპენსაციაზე და ზიანის ანაზღაურების სხვა ფორმებზე რეალური წვდომა, და რომ ხელისუფლების ყველა დონის ყველა ორგანოს სოფლად, მათ შორის სასამართლოებს, სასამართლო აღმასრულებლებს და საჯარო მოხელეებს, ჰქონდეთ რესურსები და პოლიტიკური ნება სოფლად მცხოვრები ქალებისა და გოგოების მიმართ ჩადენილ ძალადობაზე რეაგირებისათვის და შურისძიებისგან მათი დაცვისათვის იმ შემთხვევებში, როდესაც ისინი ძალადობის შესახებ სათანადო ორგანოებს ატყობინებენ;

(დ) უზრუნველყონ, რომ სოფლად მცხოვრები ქალებისა და გოგოებისთვის მისაწვდომი იყოს მსხვერპლთათვის განკუთვნილი ინტეგრირებული სერვისები, მათ შორის თავშესაფრები გადაუდებელი შემთხვევებისთვის და ჯანდაცვის ყოველმხრივი მომსახურება. ამგვარი მომსახურების განვითარებას თავიდან უნდა იქნეს აცილებული სტიგმატიზაცია და დაცული უნდა იყოს მსხვერპლთა კონფიდენციალურობა და ღირსება;

(ე) განახორციელონ ზომები, რათა თავიდან აიცილონ და რეაგირება მოახდინონ სოფლად მცხოვრებ ქალთა უფლებადამცველების მიმართ მუქარებსა და იერიშებზე და ამ დროს განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრონ იმ ადამიანებს, ვინც მუშაობს მიწასთან და ბუნებრივ რესურსებთან, ქალების ჯანმრთელობასთან, მათ შორის სექსუალურ და რეპროდუქციულ უფლებებთან, დისკრიმინაციული ადამიანებისა და პრაქტიკის აღმოფხვრასთან და გენდერული ნიშნით ძალადობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

26. მე-6 მუხლი ქალებით ვაჭრობისა და ქალთა

პროსტიტუციის ექსპლუატაციის ყოველგვარ სახეობათა აღკვეთის შესახებ განსაკუთრებით აქტუალურია სოფლად მცხოვრები ქალებისა და გოგოების, მათ შორის მკვიდრი ქალებისა და გოგოების, შემთხვევაში, რომლებიც სპეციფიკური რისკების წინაშე აღმოჩნდებიან ხოლმე იმის გამო, რომ ცენტრიდან მოშორებულ ადგილებში ცხოვრობენ. სოფლად ცხოვრების ეკონომიკური სირთულე, ტრეფიკინგთან და ადამიანებით მოვაჭრეების მოქმედების მექანიზმებთან დაკავშირებული ინფორმაციის ნაკლებობასთან ერთად, განსაკუთრებით დაუცველებს ხდის მათ, განსაკუთრებით კი კონფლიქტით დაზარალებულ რაიონებში.

27. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა აღმოფხვრან ქალებით ტრეფიკინგის ძირითადი მიზეზები: ეკონომიკურად უნდა გააძლიერონ სოფლად მცხოვრები ქალები და გაზარდონ სოფლად ცნობიერება ადამიანებით მოვაჭრეების მიერ შეტყუების რისკების და იმ მეთოდების შესახებ, რომლებითაც მოქმედებენ ადამიანებით მოვაჭრეები. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ტრეფიკინგის საწინააღმდეგო კანონმდებლობა ითვალისწინებდეს იმ სოციალურ და ეკონომიკურ გამონვევებს, რომლებიც სოფლად მცხოვრები ქალებისა და გოგოების წინაშე წამოიჭრება ხოლმე და უზრუნველყონ გენდერულ საკითხებზე ორიენტირებული ტრენინგები პრევენციის ზომებთან, მსხვერპლთა დაცვასა და დახმარებასთან დაკავშირებით სასამართლო სისტემისა და პოლიციის თანამშრომელთათვის, მესაზღვრეებისთვის, კანონის აღსრულების სფეროს სხვა თანამშრომლებისთვის და სოციალური მუშაკებისთვის, განსაკუთრებით სოფლად და მკვიდრი მოსახლეობის თემებში.

28. მე-9 მუხლი ადგენს, რომ მონაწილე სახელმწიფოებმა ქალებს უნდა მიანიჭონ მამაკაცებთან თანაბარი უფლება - მიიღონ, შეიცვალონ ან შეინარჩუნონ თავიანთი მოქალაქეობა. სოფლად მცხოვრებ ქალებსა და მათ შვილებს შეიძლება ჩამოერთვათ მათი ეს უფლება, თუ ისინი არ იქნებიან მოქალაქეებად ცნობილი თავიანთ ქვეყნებში. მოქალაქეობის უქონლობა ხშირად შედეგია დისკრიმინაციული კანონმდებლობისა, რომლის მიხედვით ქალებს არა აქვთ უფლება, თავიანთი მოქალაქეობა გადასცენ შვილებს და უცხოელ მეუღლეს ან შეიძლება დადგინდეს მოქალაქეობის დაკარგვის

საფრთხის წინაშე უცხოელთან ქორწინების ან განქორწინების შედეგად. გარდა ამისა, სოფლად შეიძლება უფრო რთული იყოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების მოპოვება დაბადების რეგისტრაციის ან ქორწინების, განქორწინებისა თუ გარდაცვალების მოწმობების არარსებობის გამო.

29. ქალთა ლტოლვილის სტატუსის, თავშესაფრის, მოქალაქეობისა და მოქალაქეობის არქონის გენდერული ასპექტების შესახებ №32 (2014) ზოგადი რეკომენდაციის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ სოფლად მცხოვრებ ქალებს შეეძლოთ მოქალაქეობის მიღება, შეცვლა, შენარჩუნება ან მასზე უარის თქმა, ან თავიანთი შვილებისთვის და უცხოელი მეუღლისთვის გადაცემა იმავე პირობებით, რაც მამაკაცებისთვის არის დანესებული, და რომ მათ იცოდნენ ამასთან დაკავშირებული საკუთარი უფლებების შესახებ. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ სოფლად მცხოვრები ქალებისთვის წვდომა პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებზე (როგორც არის პირადობის მოწმობა, პასპორტი და სოციალური უზრუნველყოფის ნომერი) და ასევე უნდა უზრუნველყონ, რომ სოფლად არსებობდეს სამოქალაქო რეგისტრაციის, მათ შორის ქორწინების, განქორწინებისა თუ გარდაცვალების რეგისტრაციის პროცედურები.

30. მე-15 მუხლი ადგენს კანონის წინაშე ქალების თანასწორობას მამაკაცებთან და თანაბარ სამოქალაქო უფლებაუნარიანობას, ასე რომ, მაგალითად, სოფლად მცხოვრებ ქალებს აქვთ ისეთივე უფლება, დადონ ხელშეკრულება და მართონ ქონება, როგორც მამაკაცებს, საკუთარი ქმრისგან თუ ნებისმიერი მამაკაცი მეურვისგან დამოუკიდებლად.

31. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ სოფლად მცხოვრები ქალები იყვნენ მამაკაცების თანასწორნი კანონის წინაშე და ჰქონდეთ მამაკაცებთან თანაბარი სამოქალაქო უფლებაუნარიანობა, მათ შორის მამაკაცებთან თანაბარი უფლება, დადონ ხელშეკრულება და მართონ ქონება, საკუთარი ქმრისგან თუ ნებისმიერი მამაკაცი მეურვისგან დამოუკიდებლად.

32. მე-15 მუხლი ითვალისწინებს მამაკაცთა და ქალთა თანასწორობას ყველა საკითხში, რომლებიც ეხება ქორწინებასა და ოჯახურ ურთიერთობას. სოფლად მცხოვრები ქალები ხშირად ვერ სარგებლობენ ამ უფლებით დის-

კრიმინაციული სოციალური ნორმების, პრაქტიკისა და კანონების, მართლმსაჯულების პლურალური სისტემების არსებობის ან შესაბამისი კანონების განუხორციელებლობის გამო. სოფლის თემებში მცხოვრები გოგოები დგანან ბავშვის და/ან იძულებით ქორწინების და ადრეულ ასაკში ორსულობის განსაკუთრებული რისკის წინაშე. სოფლად მცხოვრებ ქალებზე ასევე არაპროპორციულად მოქმედებს პოლიგამია, რომელიც მნიშვნელოვნად უთხრის ძირს თანასწორობას ქორწინებასა და ოჯახურ ურთიერთობაში.

- 33. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მოახდინონ პერსონალური და საოჯახო სამართლის პარამონიზება მე-16 მუხლთან, ქორწინებასა და საოჯახო ურთიერთობებში თანასწორობის შესახებ №21 (1994) ზოგადი რეკომენდაციისა და ქორწინების, ოჯახური ურთიერთობებისა და ოჯახის დანგრევის ეკონომიკური შედეგების შესახებ №29 (2013) ზოგადი რეკომენდაციის შესაბამისად, ასევე უნდა უზრუნველყონ, რომ სოფლად მცხოვრებ ქალებს ჰქონდეთ მამაკაცების თანასწორი უფლებები ქორწინებაში, მათ შორის უფლება ქორწინებაში შეძენილ ქონებაზე განქორწინების ან მეუღლის გარდაცვალებისას და უფლება დახმარებასა და ალიმენტებზე, და უნდა აამაღლონ სოფლებში ქალთა ცნობიერება ქორწინებაში ქალების უფლებების შესახებ.**
- 34. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები, რათა თავიდან იქნეს აცილებული და აკრძალული ბავშვის და/ან იძულებითი ქორწინება სოფლად მცხოვრებ ქალებსა და გოგოებს შორის. ეს შეიძლება გაკეთდეს რეფორმისა და სოფლად ამგვარი პრაქტიკის ამკრძალავი კანონების გატარებით, მედიკამპანიების, განსაკუთრებით ისეთი კამპანიების მეშვეობით, რომლებიც მიზნად ისახავს მამაკაცების ცნობიერების ამაღლებას, სკოლებში პრევენციის პროგრამების განხორციელებით, მათ შორის სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სფეროში ყოველმხრივი განათლების დამკვიდრებით, ასევე სოციალური და ჯანდაცვის მომსახურების უზრუნველყოფით სოფლად მცხოვრები დაქორწინებული გოგოებისთვის და იმ გოგოებისთვის, ვისაც ბავშვის და/ან იძულებითი ქორწინების რისკი ემუქრება. გარდა ამისა, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა აკრძალონ პოლიგამია, რაც შეიძლება უფრო ხშირი იყოს სოფლად.**

IV. მონაწილე სახელმწიფოთა ვალდებულებები სოფლად მცხოვრები ქალების უფლებათა კონკრეტულ ასპექტებთან დაკავშირებით

ა. სოფლის განვითარებაში მონაწილეობის და სოფლის განვითარებით სარგებლობის უფლება (მე-14 მუხლის პუნქტი 2 (ა))

35. სოფლად მცხოვრები ქალები განხილული უნდა იქნენ როგორც მდგრადი განვითარების მამოძრავებელი ძალა. მიუხედავად სოფლად მცხოვრები ქალების უმნიშვნელოვანესი როლისა სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარებაში, პოლიტიკა და ინიციატივები ხშირად არ არის ორიენტირებული გენდერულ საკითხებზე და სოფლად მცხოვრები ქალებისთვის ხშირად არ არსებობს ხელშემწყობი ნორმატიული ბაზები. სოფლად მცხოვრები ქალების უფლებები ასევე არ მიიღება მხედველობაში კონფლიქტის დროს და კონფლიქტის შემდგომ პერიოდებში განიარაღების, დემობილიზაციისა და რეინტეგრაციის საქმიანობისას.

36. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა ჩამოაყალიბონ ხელსაყრელი ინსტიტუციური, სამართლებრივი და პოლიტიკური ბაზები იმისათვის, რომ სოფლის განვითარებასთან, სოფლის მეურნეობასა და წყალთან დაკავშირებული პოლიტიკა, მათ შორის სატყეო, მესაქონლეობის, მეთევზეობის და აკვაკულტურის საკითხები, გახდეს გენდერულ საკითხებზე ორიენტირებული და მათთვის გამოიყოს სათანადო ბიუჯეტი. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ:

(ა) გენდერული კონცეფციის ინტეგრირება და გააქტიურება სასოფლო-სამეურნეო და სოფლის განვითარებასთან დაკავშირებულ პოლიტიკაში, სტრატეგიებში, გეგმებში (მოქმედი გეგმების ჩათვლით) და პროგრამებში, რაც სოფლად მცხოვრებ ქალებს მისცემს იმის საშუალებას, რომ იმოქმედონ და გამოჩინდნენ როგორც დაინტერესებული პირები, გადაწყვეტილების მიმღებები და ბენეფიციარები, როგორც განსაზღვრულია ნებაყოფლობით სახელმძღვანელო პრინციპებში მინათმფლობელობის, თევზის სარეწებისა და ტყეების პასუხისმგებლობით აღსავსე მართვის შესახებ სურსათის ეროვნული უსაფრთხოების კონტექსტში, ნე-

ბაყოფლობით სახელმძღვანელო პრინციპებში მცირე მასშტაბის მდგრადი თევზის სარეწების დასაცავად სურსათის ეროვნული უსაფრთხოებისა და სიღარიბის აღმოფხვრის კონტექსტში, პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ №23 (1997) ზოგად რეკომენდაციაში და მდგრადი განვითარების მიზნებში. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ აღნიშნულ პოლიტიკებს, სტრატეგიებს, გეგმებსა და პროგრამებს ჰქონდეთ მტკიცებულებებზე დაფუძნებული მონიტორინგის და შეფასების მკაფიო ჩარჩოები;

(ბ) გენდერული დანაყოფების ჩამოყალიბება სოფლის განვითარებასთან დაკავშირებული სამინისტროების მაღალი რანგის უწყებებში, რომლებსაც ექნებათ სათანადო ბიუჯეტი, ინსტიტუციური პროცედურები, ანგარიშგების ჩარჩოები და კოორდინაციის ეფექტიანი მექანიზმი;

(გ) სოფლად მცხოვრები ქალების უფლებების დაცვა სოფლის განვითარების ისეთი პროგრამების დაგეგმვისას, რომლებიც დაკავშირებულია კონფლიქტების დროს და კონფლიქტის შემდგომ პერიოდებში განიარაღების, დემობილიზაციისა და რეინტეგრაციის საქმიანობასთან, კონფლიქტების თავიდან აცილებაში, კონფლიქტების დროს და კონფლიქტის შემდგომ სიტუაციებში ქალების როლის შესახებ № 30 (2013) ზოგადი რეკომენდაციის შესაბამისად.

ბ. ჯანდაცვის მომსახურებები (მე-14 მუხლის პუნქტი 2 (ბ), ნაკითხული მე-12 მუხლთან ერთობლიობაში)

37. ჯანმრთელობის, მათ შორის სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის, დაცვის ხელმისაწვდომობა ხშირად უკიდურესად შეზღუდულია სოფლად მცხოვრები ქალებისთვის, უფროსი ასაკის და უნარშეზღუდული ქალების ჩათვლით, რაც გამომდინარეობს გაბატონებული სოციალური ნორმებიდან და პატრიარქალური მიდგომებიდან, სოფლებში ჯანმრთელობის დაცვისთვის გამოყოფილი არასაკმარისი ბიუჯეტებიდან, ინფრასტრუქტურის და მომზადებული მუშაკების ნაკლებობიდან, კონტრაცეფციის თანამედროვე მეთოდების შესახებ ინფორმაციის უქონლობიდან, სიშორისა და ტრანსპორტის

უკმარისობიდან. ადეკვატური კვების და კვების პროდუქტების, უსაფრთხო სასმელი წყლის, კანალიზაციისა და ნარჩენების მართვის საშუალებების ნაკლებობა შედეგად იძლევა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რისკის ზრდას. ზოგიერთი შემთხვევა, როგორცაა სამეანო ფისტულა, ასევე უფრო მეტად გვხვდება სოფლად მცხოვრებ ქალებს შორის და წარმოადგენს ისეთი გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების უქონლობის პირდაპირ შედეგს, რომელიც შეძლებდა საკეისრო კვეთის ჩატარებას, და ნაადრევი ორსულობის და ცუდი კვების ირიბ შედეგს.

38. დედების სიკვდილიანობა და ავადობა არაპროპორციულად მაღალია სოფლის ტიპის ბევრ დასახლებაში. ადრეულ ქორწინებას სოფლად მცხოვრები გოგოებისთვის შედეგად მოაქვს ნაადრევი ორსულობა და იგი დიდ როლს ასრულებს დედების სიკვდილიანობაში, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში. ზოგადად გამოცდილი და კარგად მომზადებული მეანების და სამედიცინო პერსონალის რაოდენობა უფრო დაბალია სოფლებში, ვიდრე ქალაქებში, რისი შედეგიც არის არასათანადო პრენატალური, პერინატალური და პოსტნატალური მომსახურება. სოფლებში უფრო მეტადაა დაუკმაყოფილებელი ოჯახის დაგეგმვის სამსახურების და კონტრაცეფციის საჭიროება გამომდინარე სიღარიბიდან, არასაკმარისი ინფორმაცია და შეზღუდული სხვადასხვა მომსახურების ხელმისაწვდომობა. სოფლად მცხოვრები ქალები უფრო მეტად დგანან სახიფათო აბორტების საშიშროების წინაშე, ვიდრე ქალაქელი ქალები. ეს არის სიტუაცია, რომელიც რისკის წინაშე აყენებს ქალების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. იმ ქვეყნებშიც კი, სადაც აბორტი ლეგალურია, შეზღუდვები, გაუმართლებელი მოცდის პერიოდების ჩათვლით, ხშირად ხელს უშლის ამ მომსახურების მიღებაში სოფლად მცხოვრებ ქალებს. როცა აბორტი არალეგალურია, ზემოქმედება ჯანმრთელობაზე კიდევ უფრო დიდია.

39. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა დაიცვან სოფლად მცხოვრები ქალების და გოგოების ადეკვატური ჯანდაცვის უფლება და უზრუნველყონ:

(ა) ჯანდაცვის მაღალი ხარისხის მომსახურებისა და საშუალებების ფიზიკურად და ეკონომიკურად ხელმისაწვდომობა სოფლად მცხოვრები ქალებისთვის, მათ შო-

რის ასაკოვანი ქალების, შინამეურნეობების უფროსებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალებისთვის (აუცილებლობის შემთხვევაში უფასოდ), მომსახურების მისაღებად კულტურის თვალსაზრისით და ამგვარი ობიექტების დაკომპლექტება სათანადოდ მომზადებული კადრებით. მომსახურება უნდა უზრუნველყოფდეს: პირველად ჯანდაცვას, ოჯახის დაგეგმვის ჩათვლით; კონტრაცეფციის ხელმისაწვდომობას, მათ შორის გადაუდებელ კონტრაცეფციას, უსაფრთხო აბორტს და მაღალი ხარისხის აბორტის შემდგომ ზრუნვას, მიუხედავად იმისა, ლეგალურია თუ არა აბორტი; პრენატალურ, პერინატალურ, პოსტნატალურ და სამედიცინო მომსახურებებს; აივ-ის პრევენციისა და მკურნალობის მომსახურებას, მათ შორის სასწრაფო ჩარევას გაუპატიურების შემდეგ; ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვას; კონსულტაციებს საკვებთან და ჩვილებისა და მცირეწლოვანი ბავშვების კვებასთან დაკავშირებით; მამოგრაფიულ და სხვა გინეკოლოგიურ შემოწმებებს; ისეთი არაგადამდები დაავადებების პრევენციას და მკურნალობას, როგორცაა კიბო; აუცილებელი მედიკამენტების, მათ შორის ტკივილგამაყუჩებლების, ხელმისაწვდომობას; და პალიატიურ ზრუნვას;

(ბ) ჯანდაცვის სისტემების ადეკვატური დაფინანსება სოფლად, განსაკუთრებით სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების თვალსაზრისით;

(გ) ისეთი კანონებისა და რეგულაციების გაუქმება, რომლებიც სოფლად მცხოვრებ ქალებს უქმნის დაბრკოლებებს ჯანმრთელობის დაცვის, სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანდაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობაში, კერძოდ, ისეთი კანონებისა, რომლებიც ახდენს აბორტის კრიმინალიზაციას, ადგენს ამისათვის მოცდის პერიოდს ან მოითხოვს მესამე პირის თანხმობას;

(დ) ორსული ქალებისა და ახალგაზრდა დედების, განსაკუთრებით მოზარდ ასაკში მყოფი დედების და მათი ჩვილების ჯანმრთელობის და კვების სისტემატური და რეგულარული მონიტორინგი. არასაკმარისი კვების ან სუფთა წყლის ნაკლები ხელმისაწვდომობის შემთხვევაში, მათ

სისტემატურად უნდა მიენოდეოდეთ დამატებითი საკვები და სასმელი წყალი ორსულობის და ლაქტაციის პერიოდების განმავლობაში;

(ე) სოფლად არსებულ ჯანდაცვის ობიექტებს უნდა ჰქონდეთ სათანადო რაოდენობის და ხარისხის წყალი და სანიტარიულ-ჰიგიენური მომსახურება;

(ვ) ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული ინფორმაციის ფართოდ გავრცელება ადგილობრივ ენებსა და დიალექტებზე სხვადასხვა მედიით, მათ შორის წერილობითი სახით, ილუსტრაციების მეშვეობით და გეპირად. ამასთანავე, ინფორმაცია უნდა შეიცავდეს შემდეგს: ჰიგიენა; გადამდები და არაგადამდები და სქესობრივი გზით გავრცელებული დაავადებების პრევენცია; ცხოვრების ჯანსაღი წესი და კვება; ოჯახის დაგეგმვა და გადავადებული ორსულობის სიკეთე; ჯანმრთელობა ორსულობისას; ძუძუთი კვება და მისი გემოქმედება ბავშვისა და დედის ჯანმრთელობაზე; და ქალების მიმართ ძალადობის, მათ შორის სქესობრივი და ოჯახური ძალადობის და მავნე პრაქტიკის, აღმოფხვრა.

(ზ) დედის რძის შემცვლელების მარკეტინგის ეფექტიანი რეგულირება და დედის რძის შემცვლელების მარკეტინგის საერთაშორისო კოდექსის დანერგვა და მონიტორინგი;

(თ) თემის ჯანდაცვის მუშაკების და ტრადიციული ბებიაქალების გენდერული და კულტურული თვალსაზრისით ორიენტირებული ტრენინგი, ისეთი მობილური კლინიკების უზრუნველყოფა, რომლებიც შორს მდებარე სოფლებს სთავაზობენ ჯანდაცვის ფასის თვალსაზრისით ხელმისაწვდომ მომსახურებებს, ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული ფართო განათლების მიწოდება სასოფლო თემებისთვის, მათ შორის სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის და ქალისა და მამაკაცის უფლებების შესახებ განათლებისა;

(ი) ინვესტირება ჯანმრთელობის დამღვევის სათემო და მიკროსქემებში სოფლად მცხოვრები ქალების, მათ შორის ოჯახის წევრებზე მზრუნველი ქალების ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საჭიროებების დაკმაყოფილების ხელშეწყობის მიზნით.

გ. ეკონომიკური და სოციალური ცხოვრება (მე-14 მუხლის 2(გ) პუნქტი, ნაკითხული მე-11 მუხლის 1 (ე) და 2 (ბ) პუნქტებთან და მე-13 მუხლის „ა“ პუნქტთან ერთობლიობაში)

40. მე-14 მუხლის 2 (გ) პუნქტი ადგენს, რომ მონაწილე სახელმწიფოებმა სოფლად მცხოვრები ქალებისთვის უნდა უზრუნველყონ უშუალოდ სოციალური დაცვის პროგრამებით სარგებლობის საშუალება. თუმცა სოფლად მცხოვრები ქალების უმრავლესობას შეზღუდული აქვს შრომის ოფიციალურ ბაზარზე მონაწილეობის მიღების საშუალება და ისინი უფრო დაკავებულნი არიან ისეთი საქმიანობებით, რომლებსაც არ აწესრიგებს ოფიციალური დასაქმების სფეროსთან დაკავშირებული შრომის კოდექსები და სოციალური დაცვის კანონმდებლობა. აქედან გამომდინარე, სოფლად მცხოვრებ ქალებს უფრო მეტი რისკი ემუქრებათ და მათ სჭირდებათ სოციალური დაცვის ისეთი ზომები, რომლებიც მეტ ყურადღებას დაუთმობს მათ მდგომარეობას.

41. სოფლად მცხოვრები ქალების მიმართ ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა:

(ა) უზრუნველყონ, რომ ანაზღაურების გარეშე შრომაში ან არაოფიციალურ სექტორში ჩართული სოფლად მცხოვრები ქალებისთვის ხელმისაწვდომი იყოს უფასო სოციალური დაცვა სოფლის და ქალაქის საოჯახო საწარმოებში ანაზღაურების გარეშე მომუშავე ქალების შესახებ №16 (1991) ზოგადი რეკომენდაციის შესაბამისად, და რომ ოფიციალურ სექტორში დასაქმებული ქალებისთვის ხელმისაწვდომი იყოს ფასიანი სოციალური დაცვა დამოუკიდებლად, მიუხედავად მათი ოჯახური მდგომარეობისა;

(ბ) შემოიღონ გენდერულ საკითხებზე ორიენტირებული სოციალური დაცვის მინიმალური სტანდარტები იმისათვის, რომ უზრუნველყონ, რომ სოფლად მცხოვრებ ყველა ქალს ხელი მიუწვდებოდეს აუცილებელ ჯანდაცვაზე, ბავშვებზე ზრუნვის დანერგულებებზე და შემოსავლის უსაფრთხოებაზე, მე-14 მუხლის 2 (ბ) და (თ) პუნქტების და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სოციალური დაცვის მინიმალური სტანდარტების შესახებ 2012 წლის № 202 რეკომენდაციის შესაბამისად.

დ. განათლება (მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი, ნაკითხული მე-10 მუხლის „ა“ პუნქტთან ერთობლიობაში)

42. მთელ მსოფლიოში სოფლად მცხოვრები ქალების და გოგოების განათლების დონე უფრო დაბალია და ისინი ექცევიან არახელსაყრელ პირობებში, როცა საქმე ეხება განათლების მიღებას ან ტრენინგს. სოფლად მცხოვრები გოგოები შეიძლება გახდნენ ადრეული და/ან იძულებითი ქორწინების და სქესობრივი დისკრიმინაციისა თუ ძალადობის მსხვერპლნი, იქნება ეს განათლების სისტემის გარეთ თუ ამ სისტემაში ყოფნისას, რამაც შეიძლება აიძულოს მათ სკოლის მიტოვება. მათ სკოლაში სიარულს ხშირად ხელს უშლის რუტინული სამუშაოები, როგორცაა საოჯახო შრომა და ოჯახის წევრებზე ზრუნვა, მათ შორის საჭმლის მომზადება, ბავშვის მოვლა, მეურნეობაში მუშაობა, წყლის და შეშის ზიდვა. ხშირად ეს გამოწვეულია სკოლაში შორი მანძილიდან სიარულით და სკოლებში წყლის, ტუალეტის და სანიტარიულ-ჰიგიენური საშუალებების ნაკლებობით, რაც ვერ აკმაყოფილებს მენსტრუაციის მქონე გოგოების საჭიროებებს. ზოგიერთ რეგიონში გოგოების სკოლათა მოსწავლეები და მასწავლებლები გოგოების განათლების მონაწილეობაში პირების მხრიდან სხვადასხვა მუქარისა თუ თავდასხმის მსხვერპლნი ხდებიან.

43. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა დაიცვან სოფლად მცხოვრები გოგოებისა და ქალების განათლების უფლება და უზრუნველყონ, რომ:

(ა) სოფლად მცხოვრები ყველა ქალისა თუ გოგოსთვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალებისა და გოგოებისათვის, მისაწვდომი და ხელმისაწვდომი იყოს მაღალი ხარისხის განათლება, რისთვისაც უნდა გაუმჯობესდეს საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა სოფლებში, გაიზარდოს კვალიფიციური მასწავლებლების რაოდენობა (მასწავლებელი ქალების ჩათვლით), სავალდებულო და უფასო უნდა გახდეს დანყებითი განათლება, რომელიც მოსწავლეებს უნდა მიეწოდებოდეთ ადგილობრივ ენებზე და ადგილობრივი კულტურის თვალსაზრისით შესაფერისი სახით;

(ბ) განათლების სისტემის ყველა დონეზე

მასწავლებლებისთვის სისტემატურად ტარდებოდეს ტრენინგები სოფლად მცხოვრები გოგოებისა და ქალების უფლებების და სქესის და გენდერის ნიშნით დისკრიმინაციის, ეთნიკური თუ სხვა იმ სტერეოტიპების წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობის შესახებ, რომლებიც ზღუდავს განათლების მიღების შესაძლებლობას სოფლად მცხოვრები ქალებისა თუ გოგოებისთვის. უნდა გადაიხედოს სასწავლო პროგრამები იმ სტერეოტიპების აღმოფხვრის მიზნით, რომლებიც ეხება ქალებისა და მამაკაცების როლებსა და პასუხისმგებლობებს ოჯახსა და საზოგადოებაში;

(გ) ამალდეს ცნობიერება გოგოების განათლებასთან დაკავშირებით სოფლებში არსებული უარყოფითი დამოკიდებულების შეცვლის და სტიმულების უზრუნველყოფის მიზნით, რათა სოფლად მცხოვრებ გოგოებს და მათ მშობლებს ხელი შეეწყოს განათლების და ტრასპორტირების პირდაპირი თუ არაპირდაპირი ხარჯების დაფარვაში სტიპენდიების და ფინანსური დახმარების, კრედიტების და ფულადი გადარიცხვების საშუალებით;

(დ) როგორც სასკოლო სისტემაში, ასევე მის გარეთ არსებობდეს პროგრამები სოფლად მცხოვრები გოგოების ანაზღაურების გარეშე მომვლელის შრომაში ჩართულობის შესამცირებლად, რაც ქმნის ბარიერს გაკვეთილებზე დასწრებისთვის, და სოფლად მცხოვრები გოგოების დასაცავად შრომითი ექსპლუატაციისგან, ადრეული და/ან იძულებითი ქორწინებისგან და გენდერული ნინით ძალადობისგან, მათ შორის სექსუალური ძალადობისა და შეურაცხყოფისაგან;

(ე) უსაფრთხოების ძალებისთვის პრიორიტეტული ხასიათი მიენიჭოს საგანმანათლებლო დაწესებულებების დაცვას იმ ადგილებში, სადაც მოსწავლეები და მასწავლებლები ხდებიან სხვადასხვა მუქარისა თუ თავდასხმის მსხვერპლნი გოგოების განათლების მონიშნულ ადგილებში პირების მხრიდან;

(ვ) სოფლად მცხოვრებ გოგოებსა და ქალებს აქვთ უფლება, ჩაებან განათლების და კარიერის არატრადიციულ სფეროებში, როგორცაა მათემატიკა, ინფორმატიკა, საბუნებისმეტყველო და სოფლის მეურნეობის მეცნიერებები და ტექნოლოგიები, მათ შორის პროფესიული ორიენტაციის და

აკადემიური კონსულტაციების პროგრამების დახმარებით. აღნიშნული პროგრამები ასევე შეიძლება გავრცელდეს საოჯახო ან სათემო მიკროსაზარმოო საქმიანობებზეც; (ზ) ორსული გოგოები არ უნდა გაირიცხონ სკოლებიდან ორსულობის განმავლობაში, მათ უნდა ჰქონდეთ მშობიარობის შემდეგ სკოლაში დაბრუნების უფლება და მათთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ბავშვის მოვლის საშუალებები და ძუძუთი კვების ოთახები, ასევე კონსულტაციები ბავშვის მოვლასთან და ძუძუთი კვებასთან დაკავშირებით;

(თ) მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ სოფლის სკოლების სათანადო წყალმომარაგება და იზოლირებული, უსაფრთხო, დახურული ტუალეტები გოგოებისთვის; განათლება ჰიგიენის შესახებ და მენსტრუაციის დროს ჰიგიენის დაცვის საშუალებები; გარდა ამისა, უნდა მოეწყოს ტუალეტები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე გოგოებისთვის;

(ი) სოფლებში ქალებისთვის არსებობდეს ზრდასრულთათვის წერა-კითხვის შემსწავლელი პროგრამები;

(კ) ტრენინგები სამუშაო ადგილიდან მოუწყვეტლად მორგებული იყოს სოფლად მცხოვრები ქალების პროფესიულ საჭიროებებზე და სოფლად მცხოვრებ ქალებს მამაკაცების თანაბრად მიუწვდებოდეთ ხელი ტექნიკურ თუ პროფესიულ განათლებაზე და უნარ-ჩვევებში ტრენინგებზე, როგორც არის, მაგალითად, ტრენინგები მდგრად ფერმერულ საქმიანობაში, პირუტყვის ჯანმრთელობის დაცვასა და მეურნეობის გაუმჯობესებაში.

44. გარდა ტრენინგის და განათლებისა, მე-14 მუხლის 2(დ) პუნქტი ასევე ადგენს, რომ სოფლად მცხოვრებ ქალებს უნდა შეეძლოთ სარგებლობა სათემო მომსახურების ყველა საშუალებით და სოფლის მეურნეობის საკითხებზე საკონსულტაციო სამსახურით, რაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ფერმერთა განათლებაში, მეურნეობის პროდუქტიულობის და ქალების ეკონომიკური გაძლიერების საქმეში. ასეთი სამსახურები ხშირად არ არიან ორიენტირებული სოფლად მცხოვრები ქალების პრიორიტეტებზე, შესაძლებლობებსა და საჭიროებებზე და არასაკმარისად უწყობს მათ ხელს ტექნიკური ცოდნის მიღებაში.

45. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა ჩამოაყალიბონ და დანერგონ სოფლის მეურნეობის სფეროში ცოდნის გაზიარებისა

და მაღალი ხარისხის საკონსულტაციო სამსახურები და ქალები აღიარონ როგორც ფერმერები და კლიენტები. უზრუნველყოფილი უნდა იყოს, რომ ცოდნის გაზიარებისა და საკონსულტაციო სამსახურების მამაკაც და ქალ თანამშრომლებს ჰქონდეთ გამოცდილება გენდერულ საკითხებზე ორიენტირებული პროგრამის შექმნასა და განხორციელებაში და რომ ტარდებოდეს მათი რეგულარული ტრენინგი ქალთა უფლებების, გენდერული თანასწორობის, გენდერული ანალიზის და გენდერულ საკითხებზე ორიენტირებული პროგრამების შექმნის საკითხებში. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ, დანერგონ, გაუწიონ რეგულარული მონიტორინგი და შეაფასონ გენდერულ საკითხებზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობის სფეროში ცოდნის გაზიარებისა და საკონსულტაციო პოლიტიკა და პროგრამები.

46. მონაწილე სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ სოფლად მცხოვრები ქალების წარმომადგენლობის გაზრდას სოფლის მეურნეობის სფეროში ცოდნის გაზიარების სამსახურებში, რისთვისაც უნდა დაიქირაონ მეტი რაოდენობის ქალები ცოდნის გაზიარების და საკონსულტაციო სამსახურებში და უზრუნველყონ, რომ ორგანიზაციის პოლიტიკა ხელს უწყობდეს ქალთა უფლების განხორციელებას და მათი საჭიროებებისა და მისწრაფებების დაკმაყოფილებას. მონაწილე სახელმწიფოებმა ასევე უნდა გაზარდონ ცოდნის გაზიარების სამსახურების მიერ სოფლად მცხოვრები ქალებისთვის საჭირო სასწავლო მასალების მიწოდება, რის მიღწევაც შეიძლება მეცნიერი ქალების ჩართვით სასოფლო-სამეურნეო საკითხების კვლევაში.

47. მონაწილე სახელმწიფოებმა განსაკუთრებული დახმარება უნდა აღმოუჩინონ ქალებს ტექნიკური ცოდნის მიღებაში, კვების პროდუქტების მოყვანისა და წარმოების ტექნიკის, მათი შენახვის, დამუშავების, შეფუთვის, მარკეტინგისა და მართვის საკითხებში.

ე. დასაქმება (მე-14 მუხლის 2 (ე) პუნქტი, საკითხული მე-11 მუხლთან ერთობლიობაში)

48. სოფლად მცხოვრები ქალებისთვის შეზღუდულია ანაზღაურებადი დასაქმების შესა-

ძლებლობები და ამიტომ მათ უხდებოდათ მრავალი საათის განმავლობაში შრომა დაბალი კვალიფიკაციის საჭიროების მქონე, მცირეგანაკვეთიან, სეზონურ, დაბალი ანაზღაურების ან სრულიად უფასო სამუშაოებზე ოჯახებში და მცირეშემოსავლიან მეურნეობებში. ისინი არაპროპორციულად არიან წარმოდგენილი არაოფიციალურ სექტორში, მათ არ ფარავს სოციალური უზრუნველყოფა. შემოსავლის მიღების უთანასწორო შესაძლებლობას ხშირად შედეგად მოაქვს ის, რომ სოფლად მცხოვრები ქალები უფრო მეტ სიღარიბეს განიცდიან, ვიდრე კაცები.

49. ბევრ რეგიონში სოფლად მცხოვრები ქალების ძალიან დიდი ნაწილი მუშაობს სოფლის მეურნეობაში. აქედან გამომდინარე, ისინი უფრო დაუცველი არიან ჯანმრთელობის ისეთი რისკების წინაშე, რომლებიც უკავშირდება სასუქების და პესტიციდების არასწორ და ინტენსიურ გამოყენებას ამ სფეროში მოქმედი სხვადასხვა საწარმო მიერ, რასაც შედეგად მოაქვს ავადმყოფობა, ნაადრევი გარდაცვალება, გართულებები ორსულობისას, ნაყოფის დარღვევები და ფიზიკური თუ განვითარებასთან დაკავშირებული დარღვევები ახალშობილებსა და ბავშვებში. აღნიშნულ რისკებს ემატება ქალების ნაკლებობა სასოფლო კოოპერატივებში, ფერმერთა და მწარმოებელთა ორგანიზაციებში, მინის მართვის და სოფლის მეშავეების ორგანიზაციებში, და მათთვის ცოდნის გაზიარების სამსახურების შეზღუდული წვდომა.

50. მონაწილე სახელმწიფოებმა თავიანთ სამართლებრივ და პოლიტიკურ ნორმებში უნდა ჩართონ სათანადო სამუშაო პირობების უფლება და ერთნაირი სამუშაოს შესრულებისას თანაბარი ანაზღაურების პრინციპი და განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ სოფლად მცხოვრები ქალების მდგომარეობას და წარმომადგენლობას მშრომელთა რიგებში ერთნაირი სამუშაოს შესრულებისას თანაბარი ანაზღაურების შესახებ №13 (1998) ზოგადი რეკომენდაციისა და №23 ზოგადი რეკომენდაციის შესაბამისად.

51. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა გააძლიერონ ადგილობრივი ეკონომიკები სოციალური და სოლიდარული ეკონომიკების ხელშეწყობის გზით და შექმნან დასაქმების შესაძლებლობები და ცხოვრების პირობები სოფლად მცხოვრები ქალებისთვის მდგრა-

დი განვითარების კონტექსტში. მათ უნდა გადასინჯონ შესაბამისი კანონები, რეგულაციები და წესები, რომლებიც სოფლად მცხოვრები ქალებისთვის ზღუდავენ სათანადო დასაქმებაზე წვდომას, და აღმოფხვრან დისკრიმინაცია ქალების მიმართ სოფლის შრომის ბაზრებზე, მაგალითად, უარი გარკვეული სამუშაოების შესასრულებლად დაქირავებაზე.

52. მონაწილე სახელმწიფოებმა დამატებით უნდა უზრუნველყონ სოფლად მცხოვრები ქალების უფლება დასაქმებაზე შემდეგი საშუალებებით:

(ა) ხელი შეუწყონ სოფლად მცხოვრებ ქალებს არაოფიციალური ეკონომიკიდან ოფიციალურში გადასვლაში, მათ შორის სოფლის მეურნეობის სექტორშიც, არაოფიციალური ეკონომიკიდან ოფიციალურში გადასვლის შესახებ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 2015 წლის (№ 204) რეკომენდაციის განხორციელების მეშვეობით, შემოსავლის უსაფრთხოების და საარსებო წყაროების გაუმჯობესების შესაძლებლობათა უზრუნველყოფის გზით;

(ბ) გააფართოონ სოფლად მცხოვრები ქალებისთვის საქმიანობის და სხვა საწარმოების შექმნის შესაძლებლობა, მათ შორის მიკროკრედიტების გამოყოფის საშუალებით;

(გ) გააუმჯობესონ სოფლად არსებული სამუშაო პირობების, მათ შორის ანაზღაურებადი სადევრეტო შვებულების დანესების გზით; საარსებო მინიმუმი დაადგინონ განსაკუთრებული ყურადღებით არაოფიციალური სექტორის მიმართ და მიიღონ ზომები სექსუალური შეურაცხყოფის, ექსპლუატაციის და სამუშაო ადგილზე სხვა სახის შევიწროების აღმოსაფხვრელად;

(დ) დაიცვან სოფლად მცხოვრები მომუშავე ქალების კოლექტიური გარიგების უფლება სათანადო სამუშაო პირობების უზრუნველყოფის მიზნით;

(ე) დაიცვან სოფლად მცხოვრები ქალების საწარმოო ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამართლებრივი და სხვა ზომებით ისე, რომ ისინი დაცული იქნენ მავნე ქიმიკატების ზემოქმედებისგან. ისინი უნდა იღებდნენ ინფორმაციას ქიმიკატების გამოყენებით და მათი ზემოქმედებით გამოწვეულ საფრთხეზე ჯანმრთელობისა და გარემოსთვის. ეს განსაკუთრებით ეხება მავნე ქიმიკატებს, პესტიციდებს და სხვა

პროდუქტებს, რომლებიც გამოიყენება სოფლის მეურნეობაში, მოპოვებით და სხვა სახის მრეწველობაში. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა ჩამოაყალიბონ და დანერგონ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების პროგრამები აღნიშნულ ზემოქმედებასთან და მის ალტერნატივებთან დაკავშირებით და უზრუნველყონ, რომ სოფლად მცხოვრები ქალების და მათი თემების ცალსახა თანხმობის გარეშე არ მოხდეს სახიფათო მასალებისა თუ ნივთიერებების გამოყენება, შენახვა თუ განკარგვა;

(ვ) უზრუნველყონ სოციალური დაცვა სოფლად მცხოვრები ქალებისთვის, მათ შორის ავადმყოფობისა და შრომისუუნარობის შემთხვევებში;

(ზ) ხელი შეუწყონ სოფლად მცხოვრები ქალების აქტიურ და ქმედით ჩართულობას ადგილობრივ თუ გლობალურ დამატებითი ღირებულების ჯაჭვებში მწარმოებლებად, მწარმეებად, მიმწოდებლებად, მუშაკებად ან მომხმარებლებად და ამისთვის დახმარება გაუწიონ მათი შესაძლებლობების განვითარებას ხარისხის უზრუნველყოფის, სტანდარტებისა და სახელმწიფო შესყიდვების სფეროებში;

(თ) უზრუნველყონ სოფლებში ბავშვების მოვლის და ზრუნვის სხვა სამსახურების, მათ შორის სოლიდარული და სათემო ზრუნვის სამსახურების, არსებობა, იმისათვის, რომ სოფლად მცხოვრებ ქალებს შეუძლებუქდეთ მოვლასთან დაკავშირებული აუნაზღაურებელი შრომის სიმძიმე, მიიღონ ანაზღაურებად მუშაობაში ჩართვისთვის საჭირო დახმარება და შეძლონ ჩვილების ძუძუთი კვება სამუშაო საათების განმავლობაში;

(ი) შეიმუშაონ და დანერგონ მიზნობრივი ზომები სოფლად მცხოვრები ქალების მათ საცხოვრებელ ადგილებთან ახლოს დასაქმების მიზნით, კერძოდ, შემოსავლის მომტანი საქმიანობების დანერგვით.

3. პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრება (მე-14 მუხლის პუნქტები 2 (ა) და 2 (ვ), წაკითხული მე-7 მუხლთან ერთობლიობაში)

53. სოფლად მცხოვრებ ქალებს აქვთ ყველა დონეზე გადაწყვეტილებების მიღებაში და მაღალი დონის ხელისუფლების ორგანოებთან სათემო დონის განხილვებში მონაწილეობის უფლება, თუმცა ისინი არ არიან

სათანადოდ წარმოდგენილები როგორც არჩეული ოფიციალური პირები, საჯარო მოხელეები, სოფლის მეურნეობის სფეროში ცოდნის გაზიარების სამსახურებისა და წყალმომარაგების, სატყეო საქმის ან მე-თევზეობის სამსახურების, კოოპერატივებისა და სათემო თუ მცხოვანთა საბჭოების წევრები. მათი ამგვარი შეზღუდული წარმომადგენლობა შეიძლება გამომდინარეობდეს არასაკმარისი განათლებიდან, ენის და წერა-კითხვის შეზღუდული ცოდნიდან, შეზღუდული მობილურობისა და ტრანსპორტირების შესაძლებლობიდან, კონფლიქტებთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემებიდან, დისკრიმინაციული გენდერული ნორმებიდან და სტერეოტიპებიდან, ბავშვებზე ზრუნვის შედეგად დროის ნაკლებობიდან, წყლის მოზიდვის ვალდებულებიდან და სხვა პასუხისმგებლობებიდან. შესაბამისი სამართლებრივი, პოლიტიკური და ინსტიტუციური პროცედურების შეზღუდული ცოდნა შეიძლება ასევე უშლიდეს ხელს მათ ეფექტიან მონაწილეობას გადანაცვლებათა მიღების პროცესებში.

54. სოფლად მცხოვრები ქალების პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ყველა დონეზე გადანაცვლებათა მიღების პროცესებში აქტიური, თავისუფალი, ეფექტიანი, მიზანმიმართული და ინფორმირებული მონაწილეობის უზრუნველსაყოფად მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა შეასრულონ №23 და №25 ზოგადი რეკომენდაციები, კერძოდ კი:

(ა) დაადგინონ კვოტები და სამიზნეები სოფლად მცხოვრები ქალების წარმოსადგენად გადანაცვლებათა მიმღებ პოზიციებზე, კერძოდ, პარლამენტსა და ყველა დონის მმართველ ორგანოებში, მინის, მეტყვეობის, მეთევზეობისა, წყლისა და ბუნებრივი რესურსების მართვის ორგანოების ჩათვლით. ამასთან დაკავშირებით უნდა ჩამოყალიბდეს მკაფიო მიზნები და ვადები ქალებისა და მამაკაცების არსებითი თანასწორობის მისაღწევად;

(ბ) უზრუნველყონ, რომ სოფლად მცხოვრებ ქალებს და მათ ორგანიზაციებს შეეძლოთ ზემოქმედების მოხდენა პოლიტიკის შემუშავებაზე, განხორციელებასა და მონიტორინგზე ყველა დონეზე და ყველა იმ სფეროში, რომლებიც ზეგავლენას ახდენს მათ ცხოვრებაზე, მათ შორის პოლიტიკურ

პარტიებში და ისეთ ადგილობრივ თუ თვითმმართველ ორგანოებში მონაწილეობის მეშვეობით, როგორცაა სათემო და სასოფლო საბჭოები. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა შექმნან და დანერგონ ინსტრუმენტები სოფლად მცხოვრები ქალების ყველა პოლიტიკურ ერთეულში მონაწილეობის მონიტორინგისთვის, დისკრიმინაციის აღმოფხვრის მიზნით;

(გ) აღმოფხვრან ქალებსა და მამაკაცებს შორის უთანასწორობა, მათ შორის გადანაცვლებათა მიღებასა და პოლიტიკურ პროცესებში თემის დონეზე, და ასევე აღმოფხვრან თემის ცხოვრებაში სოფლად მცხოვრები ქალების მონაწილეობის წინაშე არსებული დაბრკოლებები, რისთვისაც უნდა შეიქმნას ეფექტიანი და გენდერულ საკითხებზე ორიენტირებული გადანაცვლებების მიმღები სტრუქტურები სოფლის დონეზე. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა ჩამოაყალიბონ სამოქმედო გეგმები, რომლებიც მიმართული იქნება იმ პრაქტიკული ბარიერების აღმოსაფხვრელად, რომლებიც ხელს უშლის სოფლად მცხოვრებ ქალებს თემის ცხოვრებაში მონაწილეობაში, და განახორციელონ კამპანიები, რომლებიც გაზრდის ინფორმირებულობას მათი თემის დონეზე გადანაცვლებათა მიღებაში მონაწილეობის მნიშვნელობასთან დაკავშირებით;

(დ) უზრუნველყონ სოფლად მცხოვრები ქალების მონაწილეობა ყველა სასოფლო-სამეურნეო და სოფლის განვითარების სტრატეგიის ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში; ასევე უზრუნველყონ მათი ეფექტიანი მონაწილეობა იმ გეგმების შედგენასა და იმ გადანაცვლებების მიღებაში, რომლებიც დაკავშირებულია სოფლად არსებულ ინფრასტრუქტურასა და მომსახურებებთან, მათ შორის წყალმომარაგებასთან, კანალიზაციასთან, ტრანსპორტსა და ელექტრომომარაგებასთან; ასევე უზრუნველყონ მათი მონაწილეობა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში, ფერმერული წარმოების ორგანიზაციებში, სოფლის მშრომელთა ორგანიზაციებში, თვითდახმარების ჯგუფებსა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელ საწარმოებში. სოფლად მცხოვრებ ქალებს და მათ წარმომადგენლებს უშუალოდ უნდა შეეძლოთ მონაწილეობა ყველანაირი სა-

სოფლო-სამეურნეო და სოფლის განვითარების სტრატეგიების შეფასებაში, ანალიზში, დაგეგმვაში, ჩამოყალიბებაში, ბიუჯეტის დადგენაში, დაფინანსებაში, განხორციელებაში და მონიტორინგსა და შეფასებაში;

(ე) უზრუნველყონ სოფლის განვითარების პროექტების განხორციელება მხოლოდ გენდერული და გარემოზე ზემოქმედების კოლექტიური შეფასებების სოფლად მცხოვრები ქალების სრული მონაწილეობით ჩატარების და მათი თავისუფალი, წინასწარი და ინფორმირებული თანხმობის მიღების შემდეგ. კოლექტიური შეფასებების შედეგები განხილული უნდა იქნეს როგორც ფუნდამენტური კრიტერიუმები ამგვარი პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებით ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას. მიღებული უნდა იქნეს ეფექტიანი ზომები შესაძლო გარემოსდაცვითი და უარყოფითი გენდერული ზემოქმედების შესარბილებლად;

(ვ) კონფლიქტის ან კონფლიქტის შემდგომ სიტუაციებში მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ სოფლად მცხოვრები ქალების მონაწილეობა სამშვიდობო საქმიანობასა და პროცესებში გადაწყვეტილებების მიმღებთა როლში №30 ზოგადი რეკომენდაციის შესაბამისად.

8. მიწა და ბუნებრივი რესურსები (მე-14 მუხლის პუნქტი 2 (8), ნაკითხული მე-13 მუხლთან ერთობლიობაში)

55. სოფლად მცხოვრებ ქალებს ხშირად შეზღუდული უფლებები აქვთ მიწასა და ბუნებრივ რესურსებზე. მრავალ რეგიონში ისინი განიცდიან დისკრიმინაციას მიწაზე უფლებებთან დაკავშირებით, მათ შორის სათემო მიწებზე უფლებებთან დაკავშირებით, რომლებსაც ძირითადად მამაკაცები აკონტროლებენ.

1. მიწა და ბუნებრივი რესურსები

56. კომიტეტს მიაჩნია, რომ სოფლად მცხოვრები ქალების უფლებები მიწაზე და ბუნებრივ რესურსებზე, მათ შორის წყალზე, სათესლე მასალებსა და ტყეებსა და თევზსარეწებზე, წარმოადგენს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს. აღნიშნული უფლებებით სარგებლობას ხელს უშლის ისეთი ბარიერები, როგორებიც არის დის-

კრიმინაციული კანონები, კანონების ჰარმონიზაციის არარსებობა და მათი არაეფექტიანი განხორციელება სახელმწიფო თუ ადგილობრივ დონეებზე, ასევე კულტურული თვალსაზრისით დისკრიმინაციული მიდგომები და პრაქტიკა.

57. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა ზომა, სპეციალური დროებითი ზომების ჩათვლით, რომლებიც საჭიროა სოფლად მცხოვრები ქალებისთვის მამაკაცებთან არსებითი თანასწორობის მისაღწევად მიწასთან და ბუნებრივ რესურსებთან დაკავშირებით; უნდა ჩამოყალიბდეს და განხორციელდეს ყოვლისმომცველი სტრატეგია იმ სტერეოტიპების, დამოკიდებულებისა და პრაქტიკის აღმოსაფხვრელად, რომლებიც ხელს უშლის სოფლად მცხოვრებ ქალებს მიწაზე და ბუნებრივ რესურსებზე მათი უფლებებით სარგებლობაში.

58. მონაწილე სახელმწიფოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ იმ ტრადიციულ სისტემებს, რომლებიც ხშირად აკონტროლებენ მიწის მართვას, ადმინისტრირებასა და გადაცემას, განსაკუთრებით სოფლად, და უზრუნველყონ არადისკრიმინაციული მოპყრობა სოფლად მცხოვრები ქალების მიმართ. მათ უნდა აამაღლონ ტრადიციული, რელიგიური და საზოგადოებრივი ლიდერების, კანონმდებლების, მოსამართლეების, ადვოკატების, სამართალდამცველი ორგანოების თანამშრომლების, მიწის ადმინისტრატორების, მედიისა და აღნიშნულ პროცესში მონაწილე სხვა აქტორების ცნობიერება მიწაზე, წყალსა და სხვა ბუნებრივ რესურსებზე სოფლად მცხოვრები ქალების უფლებებთან დაკავშირებით.

59. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ კანონმდებლობა სოფლად მცხოვრებ ქალებს მამაკაცების თანასწორად აძლევდეს უფლებებს მიწაზე, წყალსა და სხვა ბუნებრივ რესურსებზე, მიუხედავად მათი სამოქალაქო და ოჯახური მდგომარეობისა ან მათი მამაკაცი მეურვის თუ თავდებისა, და ასევე უნდა უზრუნველყონ მათი სრული ქმედუნარიანობა. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ სოფლად მცხოვრებ მკვიდრი მოსახლეობის ქალებს მკვიდრი მოსახლეობის მამაკაცების მსგავსად მიუწვდებოდეთ ხელი მიწის, წყლის, ტყეების, თევზსარეწების,

აკვაკულტურის და სხვა ისეთი რესურსების ფლობასა და კონტროლზე, რომლებსაც ისინი ტრადიციულად ფლობდნენ, აკონტროლებდნენ თუ სხვაგვარად იყენებდნენ თუ იძენდნენ, და ამისათვის უნდა დაიცვან ქალები დისკრიმინაციისგან და საკუთრების უქონლობისგან. გარდა ამისა, მონაწილე სახელმწიფოებმა:

(ა) ხელი უნდა შეუწყონ სოფლად მცხოვრებ ქალებს ისეთ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში მონაწილეობაში, რომლებშიც ქალები შეიძლება მოგვევლინონ ნევრებად ან ერთპიროვნულ ნევრებად;

(ბ) უნდა გააფართოონ სოფლად მცხოვრები ქალების როლი თევზჭერასა და აკვაკულტურაში, ასევე მათი ცოდნა თევზჭერის რესურსების მდგრად გამოყენებაში, ხელი შეუწყონ მათ ტყეებზე და სატყეო რესურსებზე, მათ შორის სანვავად გამოყენებულ ხეებსა და სხვა სატყეო რესურსებზე წვდომაში;

(გ) გააძლიერონ ტრადიციული და ოფიციალური ინსტიტუტები და მექანიზმები, რათა მათ დაიცვან დაიცავინ ქალების უფლებები მიწაზე, წყალსა და სხვა რესურსებზე, მათ შორის საშუალო რგოლის სათემო იურიდიული სამსახურები.

2. სოფლის მეურნეობასა და მიწასთან დაკავშირებული პოლიტიკა და ორგანული მიწათმოქმედება

60. აგროსამრეწველო კომპლექსების საქმიანობის შედეგები ხშირად საზიანო ყოფილა სოფლად მცხოვრები ფერმერი ქალებისთვის, რაც გამოიხატებოდა ნიადაგის დეგრადაციაში და ეროზიაში, წყლის რესურსების ამონურვაში და სასაქონლო კულტურების გამოყენებაში ადგილობრივი საკვები კულტურების საზიანოდ. გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების გამოყენება და გენეტიკურად შეცვლილი კულტურების დაპატენტება ასევე დაკავშირებულია სასოფლო-სამეურნეო ინდუსტრიალიზაციის გაფართოებასთან. თუმცა სოფლად მცხოვრები ქალები უფრო ხშირად მისდევენ ორგანულ და მდგრად ფერმერულ საქმიანობას.

61. საკვების, ენერჯის, ფინანსურმა და გარემოსთან დაკავშირებულმა გლობალურმა კრიზისებმა შედეგად მოიტანა სახელმწიფოს ან სხვა აქტორების კუთვნილი მიწების მეტი რაოდენობით მიყიდვა და მიქირავება ადგილობრივი, ქვეყნის მოქალაქე თუ უცხოელი

ინვესტორებისთვის. ამგვარმა შეთანხმებებმა, რომლებსაც ხშირად ახლდა ექსპროპრიაცია, სოფლად მცხოვრები ქალები დააყენა ქონების იძულებითი ჩამორთმევის და სიღარიბის დონის გაზრდის რისკის წინაშე, რამაც უფრო მეტად შეამცირა მათთვის მიწაზე, ტერიტორიებსა თუ ისეთ ბუნებრივ რესურსებზე ხელმისაწვდომობისა და კონტროლის შესაძლებლობა, როგორცაა წყალი, სანვავი შეშა და სამკურნალო მცენარეები. ადგილის შეცვლა სოფლად მცხოვრებ ქალებზე სხვადასხვა გზით ახდენს ნეგატიურ ზემოქმედებას და ხშირად ისინი ასეთ კონტექსტში გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლნი ხდებიან.

62. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა განახორციელონ ისეთი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს სოფლად მცხოვრებ ფერმერ ქალებს, აღიარებს და დაიცავს სათემო მიწებს, ორგანულ მიწათმოქმედებას და დაიცავს სოფლად მცხოვრებ ქალებს მავნე პესტიციდებისა და სასუქებისგან. მათ უნდა უზრუნველყონ, რომ სოფლად მცხოვრებ ქალებს ხელი მიუწვდებოდეთ სასოფლო-სამეურნეო რესურსებზე, მათ შორის მაღალი ხარისხის სათესლე მასალაზე, იარაღებზე, ცოდნასა და ინფორმაციაზე, ტექნიკასა და ორგანული მიწათმოქმედებისთვის განკუთვნილ რესურსებზე. გარდა ამისა, მონაწილე სახელმწიფოებმა:

(ა) პატივი უნდა სცენ და დაიცვან სოფლად მცხოვრები ქალების ტრადიციული და ეკოლოგიური ცოდნა სოფლის მეურნეობის სფეროში, კერძოდ, ქალების უფლება, შეინარჩუნონ, გამოიყენონ და გაცვალონ ტრადიციული და ადგილობრივი სათესლე მასალები;

(ბ) უნდა დაიცვან და შეინარჩუნონ ადგილობრივი და ენდემური ნარგავების სახეობები და ტიპები, რომლებიც წარმოადგენენ საკვებისა და სამკურნალო საშუალებების წყაროს, და დაიცვან ისინი დაპატენტებისგან ეროვნული თუ უცხო ქვეყნების კომპანიების მიერ, თუ ეს საფრთხეს უქმნის სოფლად მცხოვრები ქალების უფლებებს. ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა აკრძალონ სახელშეკრულებო მოთხოვნები იმ თესლების სავალდებულო შესყიდვაზე, რომლებიდანაც აღმოცენდება სტერილური თესლის მქონე მცენარე („ტერმინატორი თესლები“), რაც სოფლად მცხოვრებ ქალებს უზღუდავს ნაყოფიერი თესლის შენახვის საშუალებას;

(გ) უნდა უზრუნველყონ, რომ მიწის შეძენის ხელშეკრულებები, ქირავნობის ხელშეკრულებების ჩათვლით, არ არღვევდეს სოფლად მცხოვრები ქალების უფლებებს ან არ განაპირობებდეს ქონების იძულებით ჩამორთმევა; მათ ასევე უნდა დაიცვან სოფლად მცხოვრები ქალები მიწის ადგილობრივი თუ უცხოური კომპანიების მიერ შესყიდვით, განვითარების პროექტებით, მოპოვებითი სამუშაოებით და მეგაპროექტებით გამონწვეული უარყოფითი ზემოქმედებისგან;

(დ) უნდა მიიღონ სოფლად მცხოვრები ქალების თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობა სოფლის მიწების ან ტერიტორიებისა და რესურსების შესყიდვასთან დაკავშირებით ან ისეთი პროექტის დამტკიცებამდე, რომელიც გავლენას იქონიებს სოფლის მიწებზე ან ტერიტორიებზე და რესურსებზე. ეს ეხება ისეთ პროექტებსაც, რომლებიც დაკავშირებულია მიწის იჯარასა თუ გაყიდვასთან, ექსპროპრიაციასთან და გადასახლებასთან, როდესაც მიწის ამგვარი შექმნა მიანიც ხდება, ეს პროცესი უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს, ხოლო სოფლად მცხოვრებმა ქალებმა უნდა მიიღონ სათანადო კომპენსაცია;

(ე) უნდა მიიღონ და ეფექტიანად განახორციელონ ისეთი კანონები და პოლიტიკა, რომლებიც შეზღუდავს იმ სასოფლო მიწების რაოდენობასა და ხარისხს, რომლებიც გასაყიდად ან საიჯაროდ იქნება შეთავაზებული მესამე ქვეყნებისა თუ კომპანიებისთვის.

3. საკვები და კვება

63. სოფლად მცხოვრები ქალები არსებით როლს ასრულებენ საკვების უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, სიღარიბის, არასაკმარისი კვებისა და შიმშილის შემცირებაში და სოფლის განვითარების ხელშეწყობაში, თუმცა ხშირად არ ხდება მათი საქმიანობის ანაზღაურება, აღიარება და მათი დახმარება. სოფლად მცხოვრები ქალები იმ ადამიანებს განეკუთვნებიან, რომლებზეც ყველაზე მეტად მოქმედებს საკვები პროდუქტების თვალსაზრისით დაუცველობა, საკვები პროდუქტების ფასების უკონტროლო ცვალებადობა, ცუდი კვება და შიმშილი და ძალიან ბარალდებიან საკვებზე ფასების

ზრდით (იხ. A/HRC/22/50).

64. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ საკვებისა და კვებაზე სოფლად მცხოვრები ქალების უფლების განხორციელება საკვები პროდუქტების სუვერენიტეტის ჩარჩოს ფარგლებში და ასევე უნდა უზრუნველყონ, რომ მათ ჰქონდეთ უფლებამოსილება, მართონ და აკონტროლონ საკუთარი ბუნებრივი რესურსები.

65. მონაწილე სახელმწიფოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ სოფლად მცხოვრები ქალების, განსაკუთრებით ორსული ქალების და მეძუძური დედების, კვების საჭიროებებს, ჩამოაყალიბონ ეფექტიანი პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს სოფლად მცხოვრები ქალებისთვის სათანადო საკვების და კვების ხელმისაწვდომობას, რისთვისაც უნდა გაითვალისწინონ ნებაყოფლობითი სახელმძღვანელო მითითებები საკმარისი კვების უფლების თანდათანობით განხორციელების მხარდასაჭერად საკვები პროდუქტების ეროვნული უსაფრთხოების კონტექსტში.

66. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ კანონები, წესები და ზომები, რომლებიც დახმარებას გაუწევს და დაიცავს მრავალფეროვან ადგილობრივ მეთოდებს და სოფლად მცხოვრები ქალების პროდუქტებს და უზრუნველყოფს მათთვის ბაზრების ხელმისაწვდომობას. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ასევე კულტურებისა და სამკურნალო თვისებების მქონე რესურსების მრავალფეროვნება სოფლად მცხოვრები ქალების საკვების უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის, ასევე შინაური საქონლის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით.

4. ფინანსური მომსახურება, მათ შორის აგროკრედიტები, სესხები და დაზღვევა

67. სამართლიან პირობებზე დამყარებულ ფინანსურ მომსახურებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სოფლად მცხოვრები ქალების სანარმოების ჩამოყალიბებისთვის და მათთვის, როგორც მწარმოებლებისა და მწარმეებისთვის, შემოსავლის მომტანი და საარსებო წყაროების მოპოვების სტრატეგიების შექმნისთვის. ფინანსური მომსახურებაზე ქალების შეზღუდული წვდომის მიზეზებს განეკუთვნება: საკანონმდებლო და პოლიტიკური ბარიერები, რომლებიც შეიძლება არ აძლევდეს ქალებს კრედიტის

მოთხოვნის უფლებას; დისკრიმინაციული მიდგომები, რომლებიც ხელს უშლის ქალებს საბანკო ანგარიშების ქონაში ან ხელშეკრულებების გაფორმებაში ნათესავი მამაკაცის თანხმობის გარეშე და უზრუნველყოფის წარმოდგენის მოთხოვნა, რაც შეიძლება სოფლად მცხოვრებ ქალს არ ჰქონდეს.

68. მონაწილე სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ გადასვლას ოფიციალურ სახელმწიფო მომსახურებებზე და უზრუნველყონ სოფლად მცხოვრები ქალებისთვის კრედიტების, სესხების, ქორწინების განმავლობაში დაგროვილი დანაზოგების, დაზღვევის და ადგილობრივი გადახდების სამსახურების ხელმისაწვდომობა სოფლად მცხოვრები მამაკაცების თანასწორობად, ასევე ხელი შეუწყონ მათ ეკონომიკურ, ფინანსურ და ბიზნესთან დაკავშირებული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ სოფლად მცხოვრები ქალებისთვის შემდეგი მომსახურებებისა და პროგრამების თანასწორუფლებიანი ხელმისაწვდომობა:

(ა) თემის მიერ მართული და მობილური ფინანსური მომსახურება, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს სოფლად მცხოვრები ქალების საჭიროებებს, როგორც არის, მაგალითად, სესხის გაცემა ქალებისთვის, რომლებსაც არა აქვთ უზრუნველყოფა, გამარტივებული, დაბალფასიანი საბანკო პრაქტიკა და ოფიციალური ფინანსური მომსახურების მომწოდებლების მომსახურებაზე სოფლად მცხოვრები ქალების წვდომის ხელშეწყობა;

(ბ) ინფორმაცია ფინანსური მომსახურების და საშუალებების შესახებ;

(გ) ფინანსური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისკენ მიმართული პროგრამები, რომლებიც გამოიყენებს ინოვაციურ მეთოდებს წიგნიერების მხრივ არსებული პრობლემების გათვალისწინებით.

69. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ფინანსური მომსახურება, მათ შორის კრედიტებისა და სესხების გაცემა, ითვალისწინებდეს გენდერულ საკითხებზე ორიენტირებულ მექანიზმებს და არ იყოს შეზღუდული სოფლად მცხოვრები ქალებისთვის იმიტომ, რომ მათ არა ჰყავთ გარანტიის უზრუნველყოფი მამაკაცი. რეგისტრაციის პროცედურები მისადაგებული უნდა იქნეს სოფლად მცხოვრები ბევრი ქალის წინაშე მდგომ

დროის და გადაადგილების პრობლემებთან. სასოფლო-სამეურნეო კრედიტი და სესხები უნდა გაიცეს მინის საკუთრების უქონელი, მცირე საკარმიდამო ნაკვეთების მქონე ბევრი ფერმერი ქალისთვის, რათა სოფლად მცხოვრებ ქალებს, რომლებსაც არა აქვთ მინის საკუთრების ოფიციალური უფლება, მაინც ჰქონდეთ მიწაზე წვდომა.

5. ბაზრები და მარკეტინგის საშუალებები

70. იმისათვის, რომ სოფლად მცხოვრებმა ფერმერმა და მწარმოებელმა ქალებმა წარმატებით გაყიდონ თავიანთი პროდუქცია და საქონელი, მათთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ბაზრები და მარკეტინგის საშუალებები. მათ ასევე უნდა ჰქონდეთ მარკეტინგის ეფექტიანი უნარ-ჩვევები. მაგრამ სახელმწიფოს და კერძო პირებისათვის თუ ორგანიზაციების მხრიდან დისკრიმინაციისა და ქალების მობილურობისა და დროის შეზღუდვების გამო სოფლად მცხოვრებმა ქალებმა შეიძლება ვერ ისარგებლონ მარკეტინგის საშუალებებით და მონოდების ჯაჭვებით. სოფლად მცხოვრები ქალები ასევე ნაკლებად არიან წარმოდგენილნი საბაზრო კომიტეტებში და ხშირად მათი წვლილი ნაკლებია ადგილობრივი მარკეტინგული საშუალებების შექმნაში, ჩამოყალიბებაში, გამოყენებასა და განახლებაში.

71. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ სოფლად მცხოვრებ ქალებს ჰქონდეთ წვდომა ბაზრებზე და მარკეტინგის საშუალებებზე და მათთან, როგორც ფერმერებსა და მწარმოებლებთან, ხდებოდეს კონსულტირება მათ პრობლემებზე, რომლებიც დაკავშირებულია ბაზრის და მარკეტინგის საშუალებების ხელმისაწვდომობასთან და ბაზრების ეფექტიან გამოყენებასთან, რათა მარკეტინგის საშუალებებმა უკეთ დააკმაყოფილოს მათი საჭიროებები. მონაწილე სახელმწიფოები ასევე უნდა ცდილობდნენ, გააუმჯობესონ სოფლად მცხოვრები ქალების მარკეტინგის უნარები, ასევე უნარი, ღირებულება შეჰმატონ საკუთარ პროდუქციას, და ამისთვის, სხვა საშუალებებთან ერთად, უნდა მიმართონ საზოგადოებასთან ურთიერთობის მიზნობრივ ზომებს.

72. მონაწილე სახელმწიფოებმა ასევე უნდა დანერგონ მხარდაჭერისა და სოფ-

ლის მეურნეობის სფეროში ცოდნის გაზიარების კონკრეტული პროგრამები და საკონსულტაციო სამსახურები, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ სოფლად მცხოვრებ ქალებს ეკონომიკური და სამენარმეო უნარების ჩამოყალიბებაში და გააუმჯობესებდნენ მათ შესაძლებლობას, მოიპოვონ წვდომა ბაზრებზე და ღირებულების დამატების ჯაჭვებზე.

6. ტექნოლოგია

73. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლად მცხოვრები ქალების შრომის დროის და ძალისხმევის შემცირებას ინფრასტრუქტურის და ტექნოლოგიური ინოვაციების დახმარებით. ამ თვალსაზრისით მათ სჭირდებათ სასოფლო-სამეურნეო, სარწყავი და წყალმომარაგების ტექნოლოგიები და შრომის დამზოგავი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. უფრო მეტიც, სოფლად მცხოვრები ქალების წვდომა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე და მობილურ ქსელებზე ისევე მნიშვნელოვანია, როგორც მათი მარკეტინგული და სხვა უნარების გაუმჯობესება.
74. მონაწილე სახელმწიფოებმა სოფლად მცხოვრები ქალებისთვის უნდა უზრუნველყონ შრომის დამზოგავი და ეკოლოგიურად მისაღები ტექნოლოგიების, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო, საირიგაციო და წყალმომარაგების ტექნოლოგიების, ხელმისაწვდომობა, ასევე ისეთი ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა, რომლებიც შეამცირებდა აუნაზღაურებელი საოჯახო შრომის ტვირთს, პროდუქტიულს გახდიდა მათ შრომას; მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა ჩამოაყალიბონ ხელშემწყობი გარემო, რომელიც გააუმჯობესებს სოფლად მცხოვრები ქალებისთვის ტექნოლოგიებზე, მათ შორის საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე, წვდომას. აუცილებელია სოფლად მცხოვრებ ქალებთან კონსულტირება ამგვარი ტექნოლოგიების შემუშავებისას და მათთვის ინოვაციურ ტექნოლოგიურ შესაძლებლობებზე წვდომის ხელშეწყობა.

7. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები

75. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (მათ შორის რადიო, ტელევიზია, მობილური ტელეფონები, კომპიუტერები და ინტერნეტი) დიდ როლს თამაშობს სოფლად მცხოვრები ქალებისა და გოგოების გაძლიერებაში, აძლევს რა მათ მსოფლიოსთან დაკავშირების და ინფორმაციის და განათლების მიღების შესაძლებლობას. ტექნოლოგიების სხვადასხვა ფორმამ შეიძლება უამრავი საჭიროება დააკმაყოფილოს, დანყებული „ონლაინ“ ჯგუფებთან დაკავშირებით და დასრულებული დისტანციური სწავლით. მაგრამ სოფლად მცხოვრებ ქალებსა და გოგოებზე მამაკაცებთან შედარებით არაპროპორციულად მოქმედებს გენდერული ნიშნით სხვაობები საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე წვდომის მხრივ, რაც ნარმოადგენს საინფორმაციო უთანასწორობის მნიშვნელოვან მხარეს. სოფლად მცხოვრები ქალებისა და გოგოებისთვის სიღარიბე, გეოგრაფიული იზოლირება, ენობრივი ბარიერები, კომპიუტერის უცოდინრობა და დისკრიმინაციული გენდერული სტერეოტიპები შეიძლება გახდეს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე წვდომის ხელისშემშლელი ფაქტორი.
76. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორში გენდერული თანასწორობის ხელშესაწყობად და გააუმჯობესონ სოფლად მცხოვრები ქალებისა და გოგოებისთვის საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე წვდომა, ასევე ჩამოაყალიბონ ან გაათავსონ ინიციატივები სოფლად მცხოვრები ქალებისა და გოგოების მიერ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებული უნარების შესაძენად და გასაღრმავებლად, მაგალითად, სასოფლო ან სათემო სასწავლო ცენტრების შექმნის გზით. მონაწილე სახელმწიფოებმა ასევე უნდა გამოიკვლიონ საზოგადოების ინფორმირებულობის და მომზადების დონე მობილური ტელეფონების ტექნოლოგიის დახმარებით, რომელსაც აქვს სოფლად მცხოვრებ ქალებთან და გოგოებთან დაკავშირების შესაძლებლობა.

8. მინის და აგრარული რეფორმა, მინის შექმნა და გადასახლება

77. მინის და აგრარული რეფორმის განხორციელებისას ხშირად მხედველობაში არ მიიღებიან სოფლად მცხოვრები ქალები და ეს რეფორმა არ ხორციელდება გენდერული საკითხების გათვალისწინებით. მინის რეფორმის პოლიტიკა ზოგჯერ მიკერძოებულია მამაკაცების სასარგებლოდ, მაგალითად, როდესაც მინის რეგისტრაცია ხდება მხოლოდ მამაკაცის სახელზე, კომპენსაციის გადახდა - უმთავრესად მამაკაცების სახელზე ან მინის გამოყენების შეზღუდვებთან (რასაც შედეგად მოაქვს მინის, მინის გამოყენების საშუალების და მინის ღირებულების დაკარგვა) დაკავშირებული კომპენსაცია ითვალისწინებს მხოლოდ მამაკაცების საქმიანობას.

78. მონაწილე სახელმწიფოებმა მინის და აგრარული რეფორმის განხორციელებისას პრიორიტეტულად უნდა უზრუნველყონ სოფლად მცხოვრები ქალებისთვის თანასწორი უფლებები მინაზე და გაითვალისწინონ ეს როგორც მინის რეფორმის სპეციფიკური და მთავარი ამოცანა. მონაწილე სახელმწიფოებმა:

(ა) უნდა უზრუნველყონ, რომ მინის და აგრარული რეფორმის პროგრამები მოიცავდნენ გენდერულ საკითხებზე ორიენტირებულ მიზნებს და ზომებს და ხელს უწყობდნენ ოფიციალურ და არსებით თანასწორობას, მაგალითად, ერთობლივი უფლების მინიჭების გზით, და მოითხოვდნენ ცოლის თანხმობას ერთობლივ მფლობელობაში მყოფი მინის გაყიდვის ან იპოთეკით დატვირთვის ან მიწასთან დაკავშირებულ ფინანსურ ოპერაციაში მონაწილეობის დროს;

(ბ) უნდა აღიარონ და ჩართონ მინაზე სოფლად მცხოვრები ქალების თანასწორი უფლებები მინის ნებისმიერი განაწილების, რეგისტრირების და მინაზე უფლების მინიჭების თუ მისი სერტიფიცირების პროგრამებში;

(გ) ოფიციალურად უნდა აღიარონ და გადასინჯონ მკვიდრი მოსახლეობის ქალებთან დაკავშირებული კანონები, ტრადიციები, ადათ-წესები და მინის მფლობელობის სისტემები დისკრიმინაციული დებულებების აღმოფხვრის მიზნით;

(დ) უნდა ჩამოაყალიბონ და განახორციელონ ზომები, მათ შორის სპეციალური დროებითი

ზომები, რათა სოფლად მცხოვრებ ქალებს მიეცეთ შესაძლებლობა, ისარგებლონ მინის სახელმწიფო განაწილებით იჯარით თუ გამოყენებით, წყალსატევებით, თევზსარეწებთა და ტყეებით, აგრარული რეფორმის პოლიტიკით, სასოფლო ინვესტიციებით და სოფლად არსებული ბუნებრივი რესურსების მართვით. სახელმწიფო მინების, თევზსარეწებისა და ტყეების განაწილებისას პრიორიტეტი სოფლად მცხოვრებ მინის უქონელ ქალებს უნდა მიენიჭოს.

თ. სათანადო საცხოვრებელი პირობები (მე-14 მუხლის პუნქტი 2 (თ))

1. საცხოვრებელი

79. უფლებას ადევკვატურ საცხოვრებელზე სოფლად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ძირითადი ინფრასტრუქტურა და მომსახურებები ხშირად ხელმიუწვდომელია ან დაბალი ხარისხისაა. მრავალი ზომა, რომელიც იცავს სოფლად მცხოვრებ ქალთა უფლებებს მინაზე (მაგალითად, ქალის სამართლებრივი ქმედუნარიანობის აღიარება, საცხოვრებლის სამართლებრივი უზრუნველყოფის აღიარება და დისკრიმინაციის აღმოფხვრა ქალების მიმართ მინის რეგისტრირებისას), შეიძლება გამოყენებული იქნეს ადევკვატურ საცხოვრებელზე მათი უფლების დასაცავად (იხ. A/HRC/19/53). თუმცა სოფლად საცხოვრებლის გასაუმჯობესებლად შეიძლება მიღებული იქნეს დამატებითი ზომებიც გენდერული საკითხების გათვალისწინებით.

80. მონაწილე სახელმწიფოებმა საცხოვრებლის საკითხი უნდა მოაგვარონ სოფლის საერთო განვითარების ფარგლებში და უზრუნველყონ, რომ ამ მიზნით მისაღები ზომები შემუშავდეს სოფლად მცხოვრებ ქალებთან კონსულტაციების საფუძველზე. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა გააუმჯობესონ სოფლად საცხოვრებლის ხარისხი ისეთი მიზნობრივი პოლიტიკისა და პროგრამების განხორციელებით, რომლებიც ითვალისწინებს სოფლად მცხოვრები ქალების განსაკუთრებულ საჭიროებებს, და ამ დროს უნდა დაეყრდნონ საცხოვრებელზე უფლებების საერთაშორისო სტანდარტებს, მათ შორის განვითარებაზე დაფუძნებული ჩამორთმევის და გადასახლების ძირითად პრინციპებსა და სახელმძღვანელო მითითებებს (A/HRC/4/18, დანართი I). ეს უნ-

და იყოს ენერგიული ზომები, რომლებიც მიმართული იქნება სოფლად მცხოვრები ქალების სათანადოდ დასაცავად სახელმწიფო ან არასახელმწიფო აქტორების მხრიდან საცხოვრებლის იძულებითი ჩამორთმევისგან.

2. წყალი, კანალიზაცია და ელექტროენერჯია

81. სოფლად მცხოვრები ქალების და გოგოების უფლებები წყალსა და წყალარინებაზე არა მხოლოდ თავისთავად არსებითი უფლებებია, არამედ უდიდესი მნიშვნელობა აქვს სხვა უამრავი უფლების, მათ შორის ჯანმრთელობის, საკვების, განათლების და მონაწილეობის უფლებების რეალიზაციისთვის.

82. სოფლად მცხოვრებ ქალებსა და გოგოებზე განსაკუთრებულ ზემოქმედებას ახდენს წყლის სიმწირე. ეს არის სიტუაცია, რომელიც კიდევ უფრო ღრმავდება ბუნებრივი რესურსების უთანასწორო ხელმისაწვდომობით და ინფრასტრუქტურისა და მომსახურებების ნაკლებობით. სოფლად მცხოვრებ ქალებს და გოგოებს ხშირად უხდებათ შორ მანძილზე სიარული წყლის მოსატანად, რაც ზოგჯერ მათ დაუცვლელს ხდის სექსუალური ძალადობის და თავდასხმების გაზრდილი რისკისგან. ბევრ რეგიონში არსებული ცუდი სასოფლო ინფრასტრუქტურიდან და მომსახურებებიდან გამომდინარე, სოფლად მცხოვრები ქალები ხშირად დღეში 4-5 საათს (ან მეტს) ატარებენ წყლის შეგროვებაში ზოგჯერ დაბალი ხარისხის წყაროებიდან, მძიმე ჭურჭლის ზიდვაში, რის გამოც განიცდიან მწვავე ფიზიკურ პრობლემებს, და ავადდებიან არასათანადო ხარისხის წყლის მოხმარების გამო. არსებობს სხვადასხვა ფორმის იაფი და ეფექტიანი ტექნოლოგიები, რომლებიც შეამსუბუქებდნენ ამ შრომას, მათ შორის ჭების ბურღვის ტექნოლოგია, წყლის ამოდების სისტემები, ჩამდინარე წყლების ხელახალი გამოყენების ტექნოლოგია, ირიგაციისას შრომის დამზოგავი ტექნოლოგია, წვიმის წყლის შეგროვება და საოჯახო მეურნეობაში გამოყენებული წყლის განმენდის სისტემები.

83. საპირფარეშოების უქონლობის გამო სოფლად მცხოვრებ ქალებსა და გოგოებს განმარტობის მიზნით შორ მანძილზე სიარული უხდებათ. ადეკვატური კანალიზაციის უკმარისობა ასევე ზრდის რისკს მათი ჯანმრთელობისთვის. ამ სიტუაციის გამოსწორების მიზნით სოფლად მცხოვრები ქალებისა და გოგოებისთვის

ფიზიკურად და ეკონომიკურად ხელმისაწვდომი უნდა გახდეს კანალიზაცია, რომელიც იქნება უსაფრთხო, ჰიგიენური და მისაღები სოციალური თუ კულტურული თვალსაზრისით.

84. სოფლად მცხოვრები ქალებისთვის ელექტროენერჯის და ენერჯის სხვა ფორმების ხელმისაწვდომობა ხშირად შეზღუდულია. უპირველეს ყოვლისა, სწორედ ქალებსა და გოგოებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ბიომასების შეგროვებაზე და ელექტროენერჯის სანარმოებლად გამოყენებაზე და ამასთან დაკავშირებული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკებიც მათ ემუქრებათ. ისინი ტრადიციულად პასუხისმგებელი არიან, დააკმაყოფილონ ოჯახის მოთხოვნილება ელექტროენერჯიზე და, როგორც ელექტროენერჯის ძირითად მომხმარებლებზე საოჯახო მეურნეობის დონეზე, მათზე უფრო დიდ ზემოქმედებას ახდენს ამ რესურსის ფასის ზრდა და მისი სიმწირე. მართალია, მე-14 მუხლის 2 (თ) პუნქტში ელექტროენერჯია საგანგებოდ არის მოხსენიებული, მნიშვნელოვანია იმის აღიარება, რომ სოფლად მცხოვრებ ქალებს შეიძლება სხვა ენერჯიაც სჭირდებოდეთ, მაგალითად, საჭმლის მომზადებისთვის, გათბობისთვის, გაგრილებისა და ტრანსპორტირებისთვის.

85. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ სოფლად მცხოვრებ ქალებს ჰქონდეთ აუცილებელი მომსახურება და საზოგადოებრივი საქონელი, მათ შორის:

(ა) საკმარისი, უსაფრთხო, ხელმისაწვდომი და ფიზიკურად და ფასის თვალსაზრისით ხელმისაწვდომი წყალი პირადი და საშინაო მოხმარებისთვის და ირიგაციისთვის;

(ბ) სათანადო კანალიზაცია და ჰიგიენური პირობები, რომლებიც ქალებსა და გოგოებს მისცემს მათი მენსტრუაციული ჰიგიენის დაცვის საშუალებას და უზრუნველყოფს წვდომას ჰიგიენურ საფენებზე;

(გ) ენერჯიის მდგრადი და განახლებადი წყაროები, გაფართოებული ქსელური მომსახურება სოფლებში და მზის ენერჯიის და ენერჯიის სხვა მდგრადი წყაროების განვითარება იაფი ტექნოლოგიების საშუალებით.

3. ტრანსპორტი

86. ტრანსპორტი და გზები დიდ პრობლემებს უქმნის სოფლად მცხოვრებ ქალებს და ზეგავლენას ახდენს მათ მიერ სხვადასხვა

უფლებით, მათ შორის განათლების, ცხოვრების შესაძლებლობის და ჯანმრთელობის დაცვის უფლებებით სარგებლობაზე. გეოგრაფიულ მანძილებს, არახელსაყრელ ლანდშაფტებს, ინფრასტრუქტურის და საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხელმისაწვდომობის ნაკლებობას შეუძლია ყოველდღიური მობილურობის შეზღუდვა. მაშინაც კი, როცა სოფლებში არსებობს ტრანსპორტირების შესაძლებლობები, ამასთან დაკავშირებული ფასი და სექსუალური შეურაცხყოფისა თუ ძალადობის რისკი სოფლად მცხოვრები ქალებისთვის შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი ფაქტორის იმისათვის, რომ აღარ გამოიყენონ ეს ალტერნატივები. შედეგად ისინი ხშირად მრავალი საათის განმავლობაში გადაადგილდებიან ფეხით, რაც მათთვის წარმოქმნის დროსთან დაკავშირებულ პრობლემებს და ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკებს.

87. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა გააანალიზონ სქესის მიხედვით დიფერენცირებული მოთხოვნილება სოფლებში სატრანსპორტო მომსახურებაზე, უზრუნველყონ, რომ სატრანსპორტო სექტორის პოლიტიკა და პროგრამები ასახავდნენ სოფლად მცხოვრები ქალების მობილურობის საჭიროებებს და უზრუნველყოფდნენ მათთვის ტრანსპორტირების უსაფრთხო და ხელმისაწვდომ საშუალებებს.

ი. სოფლად მცხოვრები ქალები განვითარებულ ქვეყნებში

88. სოფლად მცხოვრები ქალები განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში ხშირად აწყდებიან მსგავს პრობლემებს სიღარიბის და გარიყვის თვალსაზრისით და შეიძლება ჰქონდეთ მსგავსი საჭიროებები ხელმისაწვდომი მომსახურებების, სოციალური დაცვის და ეკონომიკური გაძლიერების თვალსაზრისით. როგორც მრავალ განვითარებად ქვეყანაში, სასოფლო ეკონომიკა განვითარებულ ქვეყნებშიც მიმართულია უფრო მამაკაცების საკეთილდღეოდ და სოფლის განვითარების პოლიტიკაც განვითარებულ ქვეყნებში შეიძლება ზოგჯერ ნაკლებ ყურადღებას უთმობდეს ქალებთა საჭიროებებსა და უფლებებს. სოფლად მცხოვრები ქალებისთვის განვითარებულ ქვეყნებში (და განვითარებად ქვეყნებშიც) კვლავაც აუ-

ცილებელია მიზნობრივი პოლიტიკა და პროგრამები, რომლებიც ხელს შეუწყობს და უზრუნველყოფს ქალების მიერ უფლებებით სარგებლობას. წინა თავებში წარმოდგენილი ბევრი რეკომენდაცია რელევანტური იქნება განვითარებულ ქვეყნების სოფლებში მცხოვრები ქალების სიტუაციისთვისაც. თუმცა არსებობს განსაკუთრებული საკითხები, რომლებიც საგანგებო ყურადღებას საჭიროებს.

89. მაგალითად, მრავალი მომუშავე მიგრანტი ქალი განვითარებულ ქვეყანაში დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში და ხშირად აწყდება საკუთარი უფლებების დარღვევას, მათ შორის ძალადობას, ექსპლუატაციას, უარს მომსახურებების, მათ შორის ჯანდაცვის მომსახურების, განევაზე. გარდა ამისა, გადასვლამ სამრეწველო საფუძველზე დამყარებულ სოფლის მეურნეობაზე ბევრ განვითარებულ ქვეყანაში მარგინალიზაციამდე მიიყვანა წვრილი ფერმერები და დიდი ზეგავლენა იქონია სოფლად მცხოვრებ ქალებზე. აქედან გამომდინარე, არსებობს ალტერნატიული და გენდერულ საკითხებზე ორიენტირებული იმგვარი სასოფლო-სამეურნეო პროგრამების ხელშეწყობის საჭიროება, რომლებიც მისცემს მცირე წარმოების მქონე ქალებს სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარებაში მონაწილეობის და შესაბამისი სარგებლის მიღების საშუალებას. გარდა ამისა, თუმცა სასოფლო თემები განვითარებულ ქვეყნებში ხშირად სათანადოდ არიან დაკავშირებულები სოციალურ სამსახურებთან და ხელი მიუწვდებათ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე, წყალზე, კანალიზაციაზე, ტექნოლოგიებზე, განათლებისა და ჯანდაცვის სისტემებზე, მდგომარეობა სულაც არ არის ერთნაირი ყველა თემში. ბევრ ადგილას წვდომა ყველაფერ ზემოხსენებულზე საგრძნობლად შეზღუდულია და ამგვარ თემებში მცხოვრები ქალები განიცდიან არა მხოლოდ თავიანთი უფლებების შეზღუდვას, არამედ აქედან გამომდინარე ზრუნვის საქმიანობის გაზრდილ ტვირთს. ეს განსაკუთრებით ეხება პერიფერიაზე ან ცენტრიდან მოშორებულ ადგილებში მცხოვრებ თემებს, მათ შორის მკვიდრ მოსახლეობას, რომლებიც იზოლირებულნი არიან და უფრო მეტ სიღარიბეს განიცდიან.

90. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ მომუშავე მიგრანტი ქალების შესახებ №26 ზოგადი რეკომენდაციის

(2008) განხორციელება განსაკუთრებული ყურადღებით სოფლად მცხოვრები იმ ქალების მიმართ, რომლებიც მუშაობენ როგორც ფერმების სეზონური მუშაკები. ამ თვალსაზრისით მათ უნდა უზრუნველყონ სოფლად მომუშავე მიგრანტი ქალების უფლებების დაცვა და მათთვის სამართლებრივი დაცვის საშუალებებზე წვდომა, ასევე როგორც სათანადო დოკუმენტების მქონე, ისე ამ დოკუმენტების უქონელი მომუშავე მიგრანტი ქალების დაცვა დისკრიმინაციისგან ან სქესის ნიშნით ექსპლუატაციისა და შეურაცხყოფისგან.

- 91. მონაწილე სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ და დახმარება გაუწიონ სოფლის მეურნეობის განვითარების ალტერნატიულ და გენდერულ საკითხებზე ორიენტირებულ პროგრამებს, რომლებიც მცირე მენარმე ქალებს მისცემს სოფლის მეურნეობასა და სოფლის განვითარებაში მონაწილეობის და ამისგან სარგებლის მიღების საშუალებას. ამგვარმა პროგრამებმა ხელი უნდა შეუწყონ იმ ფერმებს, რომლებსაც სათავეში ქალები უდგანან, და ფერმერ ქალებს, ასევე ქალების ტრადიციულ ფერმერულ პრაქტიკას.
- 92. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა გააუმჯობესონ სოფლად მცხოვრები ქალების, განსაკუთრებით მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენელი ქალების საცხოვრებელი პირობები. ეს განსაკუთრებით ეხება ქალებს, რომლებიც ცხოვრობენ პერიფერიულ რეგიონებში, რომელთა შორის სიღარიბის დონე უფრო მაღალია, რომლებიც უფრო იზოლირებულები არიან და ნაკლებად სარგებლობენ სოციალური დაცვით. მონაწილე სახელმწიფოებმა პრიორიტეტი უნდა მიანიჭონ ასეთი სასოფლო თემების განვითარებას და ადგილობრივი ქალები ჩართონ სოფლის განვითარების გეგმების შემუშავებასა და განხორციელებაში.

V. მონაცემები სოფლად მცხოვრებ ქალთა მდგომარეობის შესახებ

93. მნიშვნელოვან გამოწვევას მე-14 მუხლის განხორციელებისთვის ზოგადად წარმოადგენს სოფლად მცხოვრები ქალების მდგომარეობის შესახებ კლასიფიცირებული მონაცემების ნაკლებობა, რაც ხელს უშლის კონვენციით მათთვის მინიჭებული უფლებების სათანადო მონიტორინგს და აღსრულებას.

94. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა შეაგროვონ, გააანალიზონ, გამოიყენონ და გაავრცელონ მონაცემები სოფლად მცხოვრები ქალების მდგომარეობის შესახებ, რომლებიც კლასიფიცირებული იქნება სქესის, ასაკის, გეოგრაფიული მდებარეობის, შემლუდული შესაძლებლობებისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, უმცირესობისა თუ სხვა სტატუსების მიხედვით. ამგვარი მონაცემები, მათ შორის მდგრადი განვითარების მიზნების ინდიკატორები, გამოყენებული უნდა იქნეს ისეთი ზომების, მათ შორის დროებითი სპეციალური ზომების, ჩამოყალიბების მიზნით, რომლებიც მიმართული იქნება სოფლად მცხოვრები ქალებისთვის ცხოვრების ყველა სფეროში არსებითი თანასწორობის მისაღწევად. აღნიშნული მონაცემები ასევე უნდა მოიცავდეს ინფორმაციას სოფლად მცხოვრები იმ ქალების, მათ შორის სოფლად მცხოვრები ქალების სპეციფიკური ჯგუფების, მდგომარეობის შესახებ, რომლებიც განიცდიან დისკრიმინაციის ურთიერთგადაძვეთ ფორმებს და ხვდებიან კონკრეტული ბარიერები მათი უფლებებით სარგებლობაში.

VI. დათქმები და დეკლარაციები

- 95. კონვენციის ნებისმიერი მუხლის, განსაკუთრებით კი მე-2 მუხლის „ვ“ პუნქტის, მე-5 მუხლის „ა“ პუნქტის, მე-7, მე-9, მე-14, მე-15 და მე-16 მუხლების მიმართ გაკეთებულ დათქმებს შეიძლება არაპროპორციული ზეგავლენა მოჰყვეს სოფლად მცხოვრები ქალებისათვის. ამის მაგალითებია დათქმები, რომლებიც ზღუდავს ან სხვაგვარად უარყოფით გემოქმედებას ახდენს სოფლად მცხოვრები ქალების შესაძლებლობაზე, ისარგებლონ საცხოვრებელზე, მიწასა და ქონებაზე უფლებებით, როგორც არის მემკვიდრეობის მიღების უფლებები; ზემოხსენებულ დათქმებს განეკუთვნება ასევე ისეთი დათქმებაც, რომლებიც ზღუდავს სოფლად მცხოვრები ქალების უფლებას, მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკურ ცხოვრებაში.
- 96. მონაწილე სახელმწიფოებმა, რომლებსაც გაკეთებული აქვთ დათქმები, კომიტეტს თავიანთ პერიოდულ ანგარიშებში უნდა წარუდგინონ ინფორმაცია ამ დათქმების კონკრეტულ შედეგებზე სოფლად მცხოვრები ქალების მიერ მათი უფლებებით სარგებლობაზე კონვენციის შესაბამისად,

და მიუთითონ იმ ზომების შესახებ, რომლებიც მიიღეს აღნიშნული დათქმების გადასინჯვისთვის, მათი რაც შეიძლება მალე გაუქმების მიზნით.

VII. გავრცელება და ანგარიშგება

97. კომიტეტი მოუწოდებს მონაწილე სახელმწიფოებს, თარგმნონ წინამდებარე ზოგადი რეკომენდაცია სახელმწიფო და ადგილობრივ ენებზე, მათ შორის მკვიდრი ხალხებისა და უმცირესობების ენებზე, და ფართოდ გაავრცელონ ის ხელისუფლების შტოებში, სამოქალაქო საზოგადოებაში, მედიაში, სამეცნიერო დაწესებულებებსა და ქალთა ორგანიზაციებში, მათ შორის სოფლად მცხოვრებ ქალთა ორგანიზაციებში. კომიტეტი რეკომენდაციას უწევს მონაწილე სახელმწიფოებს, რომ პერიოდული ანგარიშების მომზადებისას, განსაკუთრებით მე-14 მუხლთან მიმართებით, კონსულტაცია გაიარონ სოფლად მცხოვრებ ქალთა ჯგუფებთან, მათ შორის ფერმერ ქალთა ორგანიზაციებთან, მწარმოებელთა კოლექტიურ მეურნეობებთან და სასოფლო კოოპერატივებთან.

XVI. ზოგადი რეკომენდაცია N35
ქალთა მიმართ გენდერული
ძალადობის შესახებ, რომელიც
აახლებს N19 ზოგად რეკომენდაციას

I. შესავალი

მადლობის გადახდა

კომიტეტი აღიარებს 100-ზე მეტი სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციისა და ქალთა ორგანიზაციის, კონვენციის მონაწილე სახელმწიფოების, სამეცნიერო წრეების წარმომადგენლების, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უწყებებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მნიშვნელოვან წვლილს: მათ საკუთარი მოსაზრებები და შენიშვნები წარმოადგინეს წინამდებარე ზოგადი რეკომენდაციის მომზადებისას. კომიტეტი ასევე მადლიერებით აღნიშნავს ქალთა მიმართ ძალადობის, მისი მიზეზებისა და შედეგების საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის საქმიანობას საკუთარი მანდატის განსახორციელებლად და მის წვლილს წინამდებარე ზოგადი რეკომენდაციის მომზადებაში.

1. მეთერთმეტე სხდომაზე მიღებულ თავის №19 ზოგად რეკომენდაციაში (1992) ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ¹ კომიტეტმა განმარტა, რომ კონვენციის პირველ მუხლში მოცემული ქალთა დისკრიმინაციის განმარტება მოიცავს გენდერულ ძალადობას, რომელიც „მიმართულია ქალის წინააღმდეგ იმის გამო, რომ ის ქალია, ან რომელიც არაპროპორციულად არასასურველ მდგომარეობაში აყენებს ქალებს,“ და რომ ეს წარმოადგენს ქალთა უფლებების დარღვევას.
2. 25 წელიწადზე მეტია, მონაწილე სახელმწიფოებმა საკუთარ პრაქტიკაში დაამკვიდრეს კომიტეტის განმარტება. *Opinio juris* და მონაწილე სახელმწიფოთა პრაქტიკა მიგვანიშნებს, რომ ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის აკრძალვა ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის პრინციპად განვითარდა. ამ პროცესის ძირითადი კატალიზატორი №19 ზოგადი რეკომენდაცია იყო.²

1 მართალია, კომიტეტმა ეს საკითხი პირველად ქალთა წინააღმდეგ მიმართული ძალადობის შესახებ თავის №12 ზოგად რეკომენდაციაში (1989) განიხილა, ქალებზე ძალადობის დეტალური და ყოვლისმომცველი მიმოხილვა და ამ საკითხზე თავისი სამომავლო მუშაობის საფუძველი მან №19 ზოგად რეკომენდაციაში უზრუნველყო.

2 იმ ათწლეულების განმავლობაში, რომლებიც გავიდა №19 ზოგადი რეკომენდაციის მიღებიდან, მონაწილე სახელმწიფოთა უმეტესობამ გააუმჯობესა საკუთარი საკანონმდებლო და პოლიტიკის ზომები, რომლებიც მიმართულია ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის მრავალფეროვანი ფორმების აღმოსაფხვრელად. იხ. გენერალური მდივნის მოხსენება პეკინის დეკლარაციისა

და სამოქმედო პლატფორმის განხორციელების განხილვისა და შეფასების და გენერალური ასამბლეის ოცდამესამე სპეციალური სხდომის შედეგების შესახებ (E/CN.6/2015/3), პუნქტები 120-139. გარდა ამისა, ამ სფეროში კონვენციის არამონაწილე სახელმწიფოებში - ირანის ისლამურ რესპუბლიკაში, პალაუში, სომალიში, სუდანში, ტონგასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში - არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით შემდეგი ფაქტები შეიძლება აღინიშნოს: ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული სახელმწიფო კანონმდებლობის მიღება (აშშ - 1994 წელს, სომალი - 2012 წელს); ქალთა მიმართ ძალადობის, მისი მიზეზებისა და შედეგების საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის მიწვევა და ვიზიტები (ვიზიტები აშშ-ში 1998 წელს და 2011 წელს, სომალიში - 2011 წელს და სუდანში - 2015 წელს); ადამიანის უფლებათა საბჭოს საყოველთაო პერიოდული განხილვის მექანიზმის ფარგლებში გავითვალისწინოთ, ძალადობისგან ქალთა დაცვის გაძლიერებასთან დაკავშირებული სხვადასხვა რეკომენდაციის მიღება; და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ ადამიანის უფლებათა საბჭოს ძირითადი რეზოლუციების, მათ შორის 2016 წლის 1 ივლისის №32/19 რეზოლუციის მიღება. სახელმწიფოთა ძალისხმევა ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის აღმოფხვრის საქმეში ასახულია მრავალმხრივ ფორუმებზე მიღებულ საერთაშორისო პოლიტიკურ დოკუმენტებსა და რეგიონულ ხელშეკრულებებში, როგორებიც არის ვენის დეკლარაცია და სამოქმედო პროგრამა, 1993; ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ დეკლარაცია, 1993; პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა, 1995, და მისი შესრულების ხუთწლიანი პერიოდებში განხილვა; და რეგიონული კონვენციები და სამოქმედო გეგმები, როგორებიც არის ინტერამერიკული კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის, აღმოფხვრისა და დასჯის შესახებ, 1994, აფრიკის ადამიანისა და ხალხთა უფლებების ქართის ოქმი აფრიკაში ქალთა უფლებების შესახებ, 2003; და კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ, 2011. სხვა რელევანტური საერთაშორისო ინსტრუმენტებია დეკლარაცია ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ და ბავშვების მიმართ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ქვეყნების ასოციაციაში; არაბული სტრატეგია ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის შესახებ 2011-2030 წლებისათვის; და ქალთა მდგომარეობის კომისიის ორმოცდამეჩვიდმეტე სხდომაზე მიღებული შეთანხმებული დასკვნები ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრისა და პრევენციის შესახებ (E/2013/27, თავი I, ნაწილი A). სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდება, ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებზე გაერო-ს უშიშროების საბჭოს №1325 (2000) რეზოლუცია და შემდგომი რეზოლუციები, მათ შორის 2016 წლის 1 ივლისის №32/19 რეზოლუცია, შეიცავენ კონკრეტულ დებულებებს ქალების მიმართ გენდერული ძალადობის შესახებ. ამ ვითარებას ცხადყოფს საერთაშორისო სასამართლოების გადაწყვეტილებებიც, რომლებიც ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის დადგენის დამხმარე საშუალებაა (იხ. A/71/10, თავი V, ნაწილი „გ“, დასკვნა 13). ამ გადაწყვეტილებების მაგალითები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე „ოპუზი თურქეთის წინააღმდეგ“ (განაცხადი №33401/02), რომელშიც სასამართლოზე ზეგავლენა მოახდინა იმან, რასაც მან უწოდა „საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და პრინციპების განვითარება“ (პუნქტი 164) ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ მრავალფეროვან

3. კომიტეტმა, რომელიც აღიარებს აღნიშნულ მოვლენებს და ქალთა მიმართ ძალადობის, მისი მიზეზებისა და შედეგების საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის საქმიანობას, ასევე ადამიანის უფლებათა სახელმძღვანელო ორგანიზაციისა³ და ადამიანის უფლებათა საბჭოს სპეციალური პროცედურების მანდატების მფლობელთა⁴ საქმიანობას, გადანყვიტა, რომ №19 ზოგადი რეკომენდაციის მიღების ოცდამეხუთე წლისთავი აღნიშნოს იმით, რომ მონაწილე სახელმწიფოებისთვის უზრუნველყოს დამატებითი ხელმძღვანელობა, რომლის მიზანია ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის აღმოფხვრის დაჩქარება.
4. კომიტეტი აღიარებს, რომ სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებმა, განსაკუთრებით ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციებმა, თავიანთ საქმიანობაში პრიორიტეტულ მიმართულებად დასახეს ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის აღმოფხვრა; ამ ჯგუფების საქმიანობამ უზარმაზარი სოციალური და პოლიტიკური ზემოქმედება მოახდინა: ამან დიდი როლი ითამაშა ქალების მიმართ გენდერული ძალადობის ადამიანის უფლებების დარღვევად აღიარებაში და ამ ფენომენთან საბრძოლველად კანონებისა და სხვადასხვა პოლიტიკის მიღებაში.
5. კონვენციის საფუძველზე მონაწილე სახელმწიფოთა მიერ წარმოდგენილ პერიოდულ ანგარიშებთან დაკავშირებულ თავის დასკვნით შენიშვნებში⁵ და შესაბამის შემდგომ

საერთაშორისო და შედარებით მასალებში; და ადამიანის უფლებათა ინტერამერიკული სასამართლოს 2009 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „გონზალესი და სხვები („კოტონ ფილდი“) მექსიკის წინააღმდეგ“.

- 3 იხ., მაგალითად, ადამიანის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №28 (2000) მამაკაცებისა და ქალების თანასწორი უფლებების შესახებ; წამების საწინააღმდეგო კომიტეტის ზოგადი კომენტარი №2 (2007) წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის საწინააღმდეგო კონვენციის მე-2 მუხლის განხორციელებასთან დაკავშირებით; ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №22 (2016) სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე უფლების შესახებ; და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარი №3 (2016) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალებისა და გოგონების შესახებ.
- 4 კერძოდ, კანონმდებლობასა და პრაქტიკაში ქალთა დისკრიმინაციის საკითხებზე სამუშაო ჯგუფი და წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის საკითხებზე სპეციალური მომხსენებელი.
- 5 №19 ზოგადი რეკომენდაციის მიღების შემდეგ კომიტეტს გამოცემული აქვს 600-ზე მეტი დასკვნითი შენიშვნა,

- პროცედურებში, ზოგად რეკომენდაციებში, განცხადებებში, ასევე კონვენციის ფაქულტატური ოქმის საფუძველზე წარმოდგენილი შეტყობინებებისა⁶ და მოკვლევების⁷ საპასუხოდ მომზადებულ დასკვნებსა და რეკომენდაციებში კომიტეტი გმობს ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის ყველა ფორმას, სადაც არ უნდა ჰქონდეს მას ადგილი. აღნიშნული მექანიზმების მეშვეობით კომიტეტმა ასევე განმარტა და დააზუსტა სტანდარტები ამ სახის ძალადობის აღსაკვეთად და მონაწილე სახელმწიფოთა ვალდებულებები ამ თვალსაზრისით.
6. მიუხედავად აღნიშნული პროგრესისა, ქალთა მიმართ გენდერული ძალადობა, ჩადენილი სახელმწიფოების, მთავრობათაშორისი ორგანიზაციების თუ არასახელმწიფო მხარეების, მათ შორის კერძო პირებისა და შეიარა-

რომელთა უმრავლესობა შეიცავს მკაფიო მითითებას ქალთა მიმართ გენდერულ ძალადობაზე.

- 6 კერძოდ, შეტყობინებები № 2/2003, „ა.თ. უნგრეთის წინააღმდეგ“, მოსაზრებები მიღებულია 2005 წლის 26 იანვარს; № 4/2004, „ა.ს. უნგრეთის წინააღმდეგ“, მოსაზრებები მიღებულია 2006 წლის 14 აგვისტოს; № 6/2005, „ილდირიმი (გარდაცვლილი) ავსტრიის წინააღმდეგ“, მოსაზრებები მიღებულია 2007 წლის 6 აგვისტოს; № 5/2005, „გოუკსე (გარდაცვლილი) ავსტრიის წინააღმდეგ“, მოსაზრებები მიღებულია 2007 წლის 6 აგვისტოს; № 18/2008, „ვერტილო ფილიპინების წინააღმდეგ“, მოსაზრებები მიღებულია 2010 წლის 16 ივლისს; № 20/2008, „ვ.კ. ბულგარეთის წინააღმდეგ“, მოსაზრებები მიღებულია 2011 წლის 25 ივლისს; № 23/2009, „აბრამოვა ბელარუსის წინააღმდეგ“, მოსაზრებები მიღებულია 2011 წლის 25 ივლისს; № 19/2008, „ველი კანადის წინააღმდეგ“, მოსაზრებები მიღებულია 2012 წლის 28 თებერვალს; № 32/2011, „ილოუ ბულგარეთის წინააღმდეგ“, მოსაზრებები მიღებულია 2012 წლის 23 ივლისს; № 31/2011, „ს.ვ.პ. ბულგარეთის წინააღმდეგ“, მოსაზრებები მიღებულია 2012 წლის 12 ოქტომბერს; № 34/2011, „რ.პ.ბ. ფილიპინების წინააღმდეგ“, მოსაზრებები მიღებულია 2014 წლის 21 თებერვალს; № 47/2012, „გონზალეს კარენიო ესპანეთის წინააღმდეგ“, მოსაზრებები მიღებულია 2014 წლის 16 ივლისს; № 24/2009, „X. და Y. საქართველოს წინააღმდეგ“, მოსაზრებები მიღებულია 2015 წლის 13 ივლისს; № 45/2012, „ბელოუსოვა ყაზახეთის წინააღმდეგ“, მოსაზრებები მიღებულია 2015 წლის 13 ივლისს; № 46/2012, „მ.ვ. დანიის წინააღმდეგ“, მოსაზრებები მიღებულია 2016 წლის 22 თებერვალს; და № 58/2013, „ლ.რ. მოლდოვის რესპუბლიკის წინააღმდეგ“, მოსაზრებები მიღებულია 2017 წლის 28 თებერვალს.
- 7 იხ. კომიტეტის მიერ კონვენციის ფაქულტატური ოქმის მე-8 მუხლის საფუძველზე მექსიკასთან დაკავშირებით გამოცემული ანგარიში და მექსიკის მთავრობის პასუხი. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: http://tbinternet.ohchr.org/_layouts/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CEDAW%2fC%2f2005%2fOP.8%2fMEXICO&Lang=en; ანგარიში კანადასთან დაკავშირებული მოკვლევის შესახებ (CEDAW/C/OP.8/CAN/1); და დასკვნა ფილიპინებთან დაკავშირებული მოკვლევის შესახებ (CEDAW/C/OP.8/PHL/1).

ღებულის დაჯგუფებების მიერ,⁸ კვლავ ყველა ქვეყანაშია გავრცელებული და მასთან დაკავშირებით დაუსჯელობის მაღალი დონე აღინიშნება. ეს ფენომენი ვლინდება მრავალ, ურთიერთდაკავშირებულ და ხშირ ფორმებში, მრავალ სხვადასხვა, კერძო თუ საზოგადოებრივ, კონტექსტში, მათ შორის ტექნოლოგიების მეშვეობით,⁹ და თანამედროვე გლობალიზებულ მსოფლიოში იგი სცილდება ცალკეული ქვეყნების საზღვრებს.

7. ბევრ სახელმწიფოში არ არსებობს ქალთა მიმართ გენდერულ ძალადობასთან დაკავშირებული კანონმდებლობა, ეს კანონმდებლობა არაადეკვატურია ან ცუდად ხორციელდება. სახელმწიფოების მხრიდან რეაგირებას კიდევ უფრო ასუსტებს გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის ან ძალადობის აღმოფხვრისკენ მიმართული საკანონმდებლო და პოლიტიკის ჩარჩოების ხელყოფა, რასაც ხშირად ამართლებენ ტრადიციის, კულტურის, რელიგიის ან ფუნდამენტალისტური იდეოლოგიის სახელით, და სახელმწიფო დანახარჯების მნიშვნელოვანი შემცირება, რაც ხშირად ნაწილია „მკაცრი ეკონომიის ზომებისა“, რომლებიც ტარდება ეკონომიკური და ფინანსური კრიზისების შემდეგ. დემოკრატიული სივრცეების შემცირების და ამის შედეგად კანონის უზენაესობის დასუსტების კონტექსტში ყველა აღნიშნული ფაქტორი თამაშობს თავის როლს ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის გავრცელებაში და განაპირობებს დაუსჯელობის კულტურის არსებობას.

II. მოქმედების სფერო

8. წინამდებარე ზოგადი რეკომენდაცია ავსებს

8 მოიცავს ყველა სახის შეიარაღებულ დაჯგუფებებს, როგორც არიან აჯანყებულთა ჯგუფები, ბანდები და გასამხედროებული ჯგუფები.

9 იხ. გენერალური ასამბლეის რეზოლუცია №68/181 სახელწოდებით „ცალკეული პირების, საზოგადოების ჯგუფებისა და ორგანიზაციების უფლების და პასუხისმგებლობის - ხელი შეუწყონ და დაიცვან საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებები და ფუნდამენტური თავისუფლებები - შესახებ დეკლარაციის პროპაგანდირება: ქალთა უფლებადამცველების დაცვა“; მდგრადი განვითარებისათვის ფართოხაზოვანი ქსელის კომისიის ფართოხაზოვანი ქსელისა და გენდერის საკითხებზე სამუშაო ჯგუფის ანგარიში სახელწოდებით კიბერძალადობა ქალებისა და გოგონების მიმართ: მონოღება მსოფლიოსთვის, გამოფხიზლდეს“; სამუშაო ჯგუფის თანათავმჯდომარეები - გაერო-ს განვითარების პროგრამა და გაერო-ს ორგანიზაცია გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერებისათვის (გაერო-ს ქალთა ორგანიზაცია). 2015 წლის ოქტომბერი; და ქალთა მდგრადი უფლებების კომისიის ორმოცდამეჩვიდმეტე სხდომაზე მიღებული შეთანხმებული დასკვნები (E/2013/27, თავი I, ნაწილი A).

და აახლებს მონაწილე სახელმწიფოებისთვის №19 ზოგად რეკომენდაციაში ჩამოყალიბებულ სახელმძღვანელო პრინციპებს და წაკითხული უნდა იქნეს აღნიშნულ რეკომენდაციასთან ერთად.

9. №19 ზოგად რეკომენდაციაში და სხვა საერთაშორისო ინსტრუმენტებსა და დოკუმენტებში განსაზღვრული „ქალთა მიმართ ძალადობის“ ცნება აქცენტს აკეთებს იმ ფაქტზე, რომ ამგვარ ძალადობას გენდერული ხასიათი აქვს. შესაბამისად, წინამდებარე ზოგად რეკომენდაციაში გამოიყენება ტერმინი „ქალთა მიმართ გენდერული ძალადობა“, როგორც უფრო ზუსტი ტერმინი, რომელიც უფრო აშკარას ხდის ძალადობის გენდერული საფუძვლით განსაზღვრულ მიზეზებსა და ზემოქმედებას. ეს ტერმინი კიდევ უფრო აღრმავებს ძალადობის როგორც სოციალური და არა ინდივიდუალური პრობლემის გაგებას, რომელიც საჭიროებს ყოველმხრივ რეაგირებას და არა მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევებზე, ცალკეულ დამნაშავეებსა და მსხვერპლებზე მიმართულ რეაგირებას.

10. კომიტეტს მიაჩნია, რომ ქალთა მიმართ გენდერული ძალადობა ერთ-ერთია იმ ძირითადი სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური საშუალებებიდან, რომელთა დახმარებითაც ხდება მამაკაცების მიმართ ქალთა დაქვემდებარებული მდგომარეობისა და მათი სტერეოტიპული როლების განმტკიცება. მთელი თავისი საქმიანობის განმავლობაში კომიტეტი გვაჩვენებს, რომ ამგვარი ძალადობა არსებითი დაბრკოლებაა ქალებისა და მამაკაცებს შორის ფაქტობრივი თანასწორობის მიღწევისთვის და ქალების მიერ მათი უფლებებითა და ძირითადი თავისუფლებებით სარგებლობისთვის, როგორც ეს კონვენციაშია დადგენილი.

11. კონვენციის მე-2 მუხლის საფუძველზე მონაწილე სახელმწიფოთა ძირითადი ვალდებულებების შესახებ №28 (2010) ზოგად რეკომენდაციაში აღნიშნულია, რომ სახელმწიფოთა ვალდებულებაა, პატივი სცენ, დაიცვან და განახორციელონ ქალთა უფლება, არ დაექვემდებარონ დისკრიმინაციას და მათ მიმართ არსებობდეს de jure და de facto თანასწორობა.¹⁰ აღნიშნული ვალ-

10 ზოგადი რეკომენდაცია № 28, პუნქტი 9. იმავე ტიპოლოგიას იყენებენ ადამიანის უფლებათა სხვა სახელმძღვანელო ორგანიზაციები, მათ შორის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული საქმეთა კომიტეტი თავის №12 (1999) ზოგად კომენტარში ადეკვატურ საკვებზე უფლების შესახებ.

დებულებების მასშტაბი ქალთა მიმართ კონკრეტულ კონტექსტებსა და სიტუაციებში გენდერულ ძალადობასთან მიმართებაში განხილულია №28 ზოგად რეკომენდაციასა და სხვა ზოგად რეკომენდაციებში, მათ შორის №26 ზოგად რეკომენდაციაში მიგრანტი მშრომელი ქალების შესახებ (2008), №27 ზოგად რეკომენდაციაში ხანდაზმული ქალებისა და მათი უფლებების დაცვის შესახებ (2010), №30 ზოგად რეკომენდაციაში კონფლიქტების პრევენციაში, კონფლიქტის ან კონფლიქტის შემდგომ სიტუაციებში ქალების შესახებ (2013), ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტისა და ბავშვის უფლებათა კომიტეტის ერთობლივ ზოგად რეკომენდაცია №31-ში/ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგად კომენტარ №18-ში მავნე პრაქტიკის შესახებ (2014), №32 ზოგად რეკომენდაციაში ქალთა ლტოლვილის სტატუსის, თავშესაფრის, მოქალაქეობისა და მოქალაქეობის უქონლობის გენდერული ასპექტების შესახებ (2014), №33 ზოგად რეკომენდაციაში ქალებისათვის მართლმსაჯულებაზე წვდომის შესახებ (2015) და №34 ზოგად რეკომენდაციაში სოფლად მცხოვრებ ქალთა უფლებების შესახებ (2016). დამატებითი დეტალები ამ დოკუმენტში მითითებული ზოგადი რეკომენდაციების შესაბამის ელემენტებთან დაკავშირებით თავად რეკომენდაციებში შეგიძლიათ მოიძიოთ.

12. №28 ზოგად რეკომენდაციასა და №33 ზოგად რეკომენდაციაში კომიტეტმა დაადასტურა, რომ ქალთა დისკრიმინაცია განუყოფლად არის დაკავშირებული სხვა ფაქტორებთან, რომლებიც ზემოქმედებას ახდენს მათ ცხოვრებაზე. თავის პრეცედენტულ სამართალში კომიტეტს ყურადღება გაუმახვილებია იმ ფაქტზე, რომ ეს ფაქტორები მოიცავს ქალების ეთნიკურ წარმომავლობას/რასას, მკვიდრი მოსახლეობის ან უმცირესობის სტატუსს, კანის ფერს, სოციალურ-ეკონომიკურ სტატუსს და/ან კასტას, ენას, რელიგიას ან რწმენას, პოლიტიკურ შეხედულებას, ეროვნულ წარმომავლობას, ოჯახურ მდგომარეობას, დედობას, მშობლის სტატუსს, ასაკს, ქალაქში ან სოფლად ცხოვრებას, ჯანმრთელობის მდგომარეობას, მებღუდულ შესაძლებლობას, ქონების ფლობას, ლესბოსელის, ბისექსუალის, ტრანსგენდერის ან ინტერსექსის სტატუსს, წერა-კითხვის უცოდინრობას, თავშესაფრის მაძიებლობას, ლტოლვილობას, დევნილობას

ან მოქალაქეობის უქონლობას, ქვრივობას, მიგრაციის სტატუსს, ოჯახის უფროსობას, აივ/შიდს-ით ინფიცირებას, თავისუფლების აღკვეთას, პროსტიტუციის საქმიანობას, ასევე ქალებით ტრეფიკინგს, შეიარაღებული კონფლიქტების სიტუაციებს, გეოგრაფიულ სიშორეს და იმ ქალების სტიგმატიზაციას, ვინც საკუთარი უფლებებისთვის იბრძვის, მათ შორის ქალთა უფლებადამცველების სტიგმატიზაციას.¹¹ შესაბამისად, ვინაიდან ქალები განიცდიან დისკრიმინაციის სხვადასხვა და ურთიერთგადამკვეთ ფორმებს, რომელთაც დამამძიმებელი ნეგატიური გავლენა აქვთ, კომიტეტი აცნობიერებს, რომ გენდერულმა ძალადობამ ზოგიერთ ქალზე განსხვავებული ზემოქმედება ან განსხვავებული მასშტაბის ზემოქმედება შეიძლება მოახდინოს, რაც ნიშნავს, რომ აუცილებელია ამ ფენომენზე შესაფერისი საკანონმდებლო და პოლიტიკური რეაგირება.¹²

13. კომიტეტი მიუთითებს კონვენციის 23-ე მუხლზე, სადაც აღნიშნულია, რომ ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის მიღწევის უფრო ხელშემწყობ ნებისმიერ დებულებებს მონაწილესახელმწიფოთა კანონმდებლობაში ან საერთაშორისო ხელშეკრულებებსა თუ შეთანხმებებში (არა კონვენციაში) ექნება უპირატესი ძალა კონვენციაში დადგენილ

11 ზოგადი რეკომენდაცია № 33, პუნქტები 8 და 9. სხვა ზოგადი რეკომენდაციები, რომლებიც ეხება დისკრიმინაციის ურთიერთგადამკვეთ ფორმებს: ზოგადი რეკომენდაცია №15 (1990) შიდს-ის პრევენციისა და კონტროლის ეროვნულ სტრატეგიებში ქალთა დისკრიმინაციის თავიდან აცილების შესახებ, ზოგადი რეკომენდაცია №18 (1991) მებღუდული შესაძლებლობების მქონე ქალების შესახებ, ზოგადი რეკომენდაცია №21 (1994) ქორწინებასა და ოჯახურ ურთიერთობებში თანასწორობის შესახებ, ზოგადი რეკომენდაცია №24 (1999) ქალებისა და ჯანმრთელობის შესახებ, ზოგადი რეკომენდაცია №26 (2008) მიგრანტი ქალი მშრომელების შესახებ, ზოგადი რეკომენდაცია №27 (2010) ხანდაზმული ქალებისა და მათი უფლებების დაცვის შესახებ, ზოგადი რეკომენდაცია №30, ერთობლივი ზოგადი რეკომენდაცია №31/ზოგადი კომენტარი №18, ზოგადი რეკომენდაცია №32 და ზოგადი რეკომენდაცია №34. დისკრიმინაციის ურთიერთგადამკვეთი ფორმების საკითხი კომიტეტმა ასევე განიხილა თავის მოსაზრებებში საქმეებზე (სხვა საქმეებს შორის) „იალოუ ბულგარეთის წინააღმდეგ“, „ს.ვ.პ. ბულგარეთის წინააღმდეგ“, „კელი კანადის წინააღმდეგ“, „ა.ს. უნგრეთის წინააღმდეგ“, „რ.პ.ბ. ფილიპინების წინააღმდეგ“ და „მ.ვ. დანიის წინააღმდეგ“ და მოკვლევებში, კერძოდ, მექსიკასთან (2005) და კანადასთან (2015) დაკავშირებულ მოკვლევებში (იხ. სქოლიო 7 ზემოთ).

12 ზოგადი რეკომენდაცია № 28, პუნქტი 18; და ანგარიში კანადასთან დაკავშირებული მოკვლევის შესახებ (CEDAW/C/OP.8/CAN/1), პუნქტი 197.

ვალდებულებებთან და, შესაბამისად, წინამდებარე ზოგად რეკომენდაციაში წარმოდგენილ რეკომენდაციებთან შედარებით. კომიტეტი აღნიშნავს, რომ მონაწილე სახელმწიფოთა ქმედებაზე, რომელიც მიმართულია ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის აღმოფხვრისკენ, ნეგატიურ გემოქმედებას ახდენს ის დათქმები, რომლებიც სახელმწიფოებს გაკეთებული აქვთ კონვენციასთან მიმართებაში. კომიტეტი ასევე აღნიშნავს, რომ კომიტეტს, როგორც ადამიანის უფლებათა სახელმძღვანელო ორგანოს, აქვს უფლება, შეაფასოს მონაწილე სახელმწიფოთა მიერ გაკეთებული დათქმების დასაშვებობა¹³ და იმეორებს თავის მოსაზრებას, რომ დათქმები, განსაკუთრებით კონვენციის მე-2 ან მე-16 მუხლებთან - რომელთა შესრულება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის აღმოსაფხვრელად - დაკავშირებით გაკეთებული დათქმები¹⁴ შეუთავსებელია კონვენციის ამოცანასა და მიზანთან და, შესაბამისად, დაუშვებელია 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე.¹⁵

14. ქალთა მიმართ გენდერული ძალადობა გემოქმედებას ახდენს ქალებზე მთელი მათი სიცოცხლის განმავლობაში¹⁶ და, შესაბამისად, წინამდებარე დოკუმენტში ქალების მოხსენიებისას გოგოებიც იგულისხმებიან. ამგვარ ძალადობას მრავალი ფორმა აქვს: ეს შეიძლება იყოს ქმედებები ან უმოქმედობა, რომლებიც გამიზნულია ან სავარაუდოდ გამოიწვევს ან შედეგად მოიტანს სიკვდილს¹⁷

13 საერთაშორისო სამართლის კომისია, სახელმძღვანელო ხელმძღვანელების მიმართ დათქმების პრაქტიკასთან დაკავშირებით (A/65/10/Add.1, თავი IV, ნაწილი „ვ“, პუნქტი 3.2).

14 კომიტეტის განცხადება დათქმებთან დაკავშირებით (A/53/38/Rev.1, კარი II, თავი I, ნაწილი „ა“, პუნქტი 12); იხ. ასევე ზოგადი რეკომენდაცია №29 (2013) ქორწინების, ოჯახური ურთიერთობებისა და ოჯახის დანგრევის ეკონომიკური შედეგების შესახებ, პუნქტები 54-55. მონაწილე სახელმწიფოთა მიერ კონვენციის საფუძველზე წარმოდგენილ ანგარიშებთან დაკავშირებულ თავის დასკვნით შენიშვნებში კომიტეტს მითითებული აქვს, რომ მე-2, მე-7, მე-9 და მე-16 მუხლებთან დაკავშირებით გაკეთებული დათქმები, ასევე ზოგადი ხასიათის დათქმები, შეუთავსებელია კონვენციის ამოცანასა და მიზანთან.

15 ზოგადი რეკომენდაცია № 28, პუნქტები 41-42.

16 იხ. ზოგადი რეკომენდაცია № 27 და ერთობლივი ზოგადი რეკომენდაცია №31/ზოგადი კომენტარი №18.

17 ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის შედეგად სიკვდილის შემთხვევები მოიცავს მკვლელობას, ე.წ. „ღირსების“ დაცვის სახელით მკვლელობას და იძულებით თვითმკვლელობებს. იხ. ანგარიში მექსიკასთან დაკავშირებული მოკვლევის შესახებ და ანგარიში კანადასთან დაკავშირებული მოკვლევის

თუ ფიზიკურ, სექსუალურ, ფსიქოლოგიურ ან ეკონომიკურ ზიანს თუ ტანჯვას ქალებისათვის, ამგვარი ქმედებების მუქარა, შევიწროება, იძულება და თავისუფლების თვითნებურად შეზღუდვა.¹⁸ ქალთა მიმართ გენდერულ ძალადობაზე მოქმედებს და ხშირად ამძიმებს მას კულტურული, ეკონომიკური, იდეოლოგიური, ტექნოლოგიური, პოლიტიკური, რელიგიური, სოციალური და გარემოს ფაქტორები, რაც დადასტურებულია იძულებით გადაადგილების, მიგრაციის, ეკონომიკური საქმიანობის გაზრდილი გლობალიზაციის, მათ შორის გლობალური ღირებულების შექმნის ჯაჭვების, სამთომომპოვებელი და კომპანიების საქმიანობის უცხოეთში გადატანის ინდუსტრიის, მილიტარიზაციის, უცხო ქვეყნის მიერ ოკუპაციის, შეიარაღებული კონფლიქტის, ძალადობრივი ექსტრემიზმისა და ტერორიზმის კონტექსტებში (სხვა სფეროებთან ერთად). ქალთა მიმართ გენდერულ ძალადობაზე ასევე მოქმედებს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური კრიზისები, სამოქალაქო არეულობა, ჰუმანიტარული საგანგებო სიტუაციები, ბუნებრივი კატასტროფები და ბუნებრივი რესურსების განადგურება ან დეგრადაცია. მაგნე პრაქტიკა¹⁹ და ქალთა უფლებადამცველების, პოლიტიკოსების,²⁰ აქტივისტების ან ჟურნალისტების მიმართ ჩადენილი დანაშაულები ასევე წარმოადგენს ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის ფორმებს, რომლებზეც იმოქმედა აღნიშნულმა კულტურულმა, იდეოლოგიურმა და პოლიტიკურმა ფაქტორებმა.

15. ქალების უფლება, არ დაექვემდებარონ გენდერულ ძალადობას განუყოფელია ადამიანის

შესახებ (CEDAW/C/OP.8/CAN/1); ასევე კომიტეტის დასკვნითი შენიშვნები შემდეგი მონაწილე სახელმწიფოების პერიოდულ ანგარიშებთან დაკავშირებით: ჩილე (CEDAW/C/CHL/CO/5-6 და Corr.1); ფინეთი (CEDAW/C/FIN/CO/7); გვატემალა (CEDAW/C/GU/CO/7); ჰონდურასი (CEDAW/C/HND/CO/7-8); ერაყი (CEDAW/C/IRQ/CO/4-6); მექსიკა (CEDAW/C/MEX/CO/7-8); ნამიბია (CEDAW/C/NAM/CO/4-5); პაკისტანი (CEDAW/C/PAK/CO/4); სამხრეთი აფრიკა (CEDAW/C/ZAF/CO/4); თურქეთი (CEDAW/C/TUR/CO/7); და ტანზანიის გაერთიანებული რესპუბლიკა (CEDAW/C/TZA/CO/7-8).

18 ზოგადი რეკომენდაცია № 19, პუნქტი 6, და ზოგადი რეკომენდაცია № 28, პუნქტი 19.

19 ერთობლივი ზოგადი რეკომენდაცია №31/ზოგადი კომენტარი №18.

20 იხ. საპარლამენტო საკვლევის დოკუმენტი სახელწოდებით „სექსიზმი, შევიწროება და ძალადობა ქალი პარლამენტარების წინააღმდეგ“ (2016 წლის ოქტომბერი).

სხვა უფლებებისგან და დაკავშირებულია მათთან, მათ შორის სიცოცხლის უფლებასთან, ჯანმრთელობის უფლებასთან, ადამიანის თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლებასთან, თანასწორობისა და ოჯახში თანასწორი დაცვის უფლებასთან, ადამიანის უფლებასთან, არ დაექვემდებაროს წამებას ან სასტიკ, არაადამიანურ თუ ღირსების შემლახველ მოპყრობას და გამოხატვის, გადაადგილების, მონაწილეობის, შეკრებისა და გაერთიანებათა შექმნის თავისუფლებასთან.

16. გარკვეულ გარემოებებში ქალთა მიმართ გენდერული ძალადობა შეიძლება გაუტოლდეს წამებას ან სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას, მათ შორის გაუპატიურების, ოჯახში ძალადობის ან მავნე პრაქტიკის შემთხვევებში.²¹ ზოგ შემთხვევაში ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის ზოგიერთი ფორმა შეიძლება საერთაშორისო დანაშაულსაც წარმოადგენდეს.²²
17. კომიტეტი ეთანხმება ადამიანის უფლებათა სხვა სახელშეკრულებო ორგანოებისა და სპეციალური პროცედურების მანდატების მფლობელთა შეხედულებას, რომ, როდესაც ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის ქმედებები უტოლდება წამებას ან სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას,²³ საჭიროა გენდე-

რული თვალსაზრისით სენსიტიური მიდგომის გამოყენება ქალების მიერ განცდილი ტკივილისა და ტანჯვის გასაგებად²⁴ და რომ ამგვარი ქმედებების წამებად კვალიფიცირებისთვის საჭირო მიზნისა და განზრახვის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, როდესაც ქმედებები ან უმოქმედობა გენდერული ნიშნით არის განპირობებული ან ჩადენილია ადამიანის მიმართ სქესის საფუძველზე.²⁵

18. სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე ქალთა უფლებების დარღვევა, როგორც არის იძულებითი სტერილიზაცია, იძულებითი აბორტი, იძულებითი ორსულობა, აბორტის კრიმინალიზაცია, უსაფრთხო აბორტზე და/ან აბორტის შემდგომ ზრუნვაზე უარის თქმა ან დაყოვნება, ორსულობის იძულებითი სახით გაგრძელება და იმ ქალებისა და გოგოების შეურაცხყოფა, რომლებიც ცდილობენ სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაციის, საქონლისა და მომსახურებების მოპოვებას, წარმოადგენს ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის ფორმებს, რომლებიც, გარემოებების მიხედვით, შეიძლება გაუტოლდეს წამებას ან სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას.²⁶

21 იხ. სხვებთან ერთად წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის ანგარიში (A/HRC/31/57); სპეციალური მომხსენებლის ანგარიში (A/HRC/7/3), პუნქტი 36; წამების საწინააღმდეგო კომიტეტის დასკვნითი შენიშვნები წამების საწინააღმდეგო კონვენციის საფუძველზე შემდეგი მონაწილე სახელმწიფოების პერიოდულ ანგარიშებთან დაკავშირებით: ბურუნდი (CAT/C/BDI/CO/1); გაიანა (CAT/C/GUY/CO/1); მექსიკა (CAT/C/MEX/CO/4); პერუ (CAT/C/PER/CO/5-6); სენეგალი (CAT/C/SEN/CO/3); ტაჯიკეთი (CAT/C/TJK/CO/2); და ტოგო (CAT/C/TGO/CO/1); ადამიანის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი №28 (2000) მამაკაცებსა და ქალებს შორის თანასწორობის შესახებ; ადამიანის უფლებათა კომიტეტის დასკვნითი შენიშვნები სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის საფუძველზე შემდეგი მონაწილე სახელმწიფოების პერიოდულ ანგარიშებთან დაკავშირებით: სლოვაკეთი (CCPR/CO/78/SVK); იაპონია (CCPR/C/79/Add.102); და პერუ (CCPR/CO/70/PER).

22 მათ შორის კაცობრიობის წინაშე ჩადენილი და ომის ისეთი დანაშაულები, როგორებიც არის გაუპატიურება, სექსუალური მონობა, იძულებითი პროსტიტუცია, იძულებითი ორსულობა, იძულებითი სტერილიზაცია ან სექსუალური ძალადობის ანალოგიური სიმძიმის ნებისმიერი სხვა ფორმა, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდების 7 (1) (ბ), 8 (2) (ბ) (xiii) და 8 (2) (გ) (vi) მუხლების შესაბამისად.

23 წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის ანგარიში (A/HRC/31/57), პუნქტი 11.

24 მაგალითად, იმის გასათვითცნობიერებლად, რომ „გაუპატიურებას განუყოფლად თან სდევს მსხვერპლის მწვავე ტანჯვა, მაშინაც კი, როდესაც არ არსებობს ფიზიკური დაზიანების ან დაავადების მტკიცებულებები... გაუპატიურების მსხვერპლი ქალები ფსიქოლოგიური და სოციალური ხასიათის რთულ შედეგებსაც განიცდიან“. ადამიანის უფლებათა ინტერამერიკული სასამართლო, საქმე „ფერნანდეს ორტეგა მექსიკის წინააღმდეგ“, 2010 წლის 30 აგვისტოს გადაწყვეტილება, პუნქტი 124. იხ., აგრეთვე, წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის ანგარიშები (A/HRC/31/57), პუნქტი 8, და (A/HRC/7/3), პუნქტი 36.

25 წამების საწინააღმდეგო კომიტეტი, შეტყობინება №262/2005, „ვ.ლ. შვეიცარიის წინააღმდეგ“, მოსაზრებები მიღებულია 2006 წლის 20 ნოემბერს; წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის ანგარიშები (A/HRC/31/57), პუნქტი 8, და (A/HRC/7/3).

26 წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის ანგარიში (A/HRC/31/57); ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი, შეტყობინება № 22/2009, „ლ.ს. პერუს წინააღმდეგ“, მოსაზრებები მიღებულია 2011 წლის 17 ოქტომბერს, პუნქტი 8.18; და ადამიანის უფლებათა კომიტეტი, შეტყობინებები №2324/2013, „მელეტი ირლანდიის წინააღმდეგ“, მოსაზრებები მიღებულია 2016 წლის 31 მარტს, პუნქტი 7.4, და № 2425/2014, „ველანი ირლანდიის წინააღმდეგ“, მოსაზრებები მიღებულია 2017 წლის 17 მარტს.

19. კომიტეტს მიაჩნია, რომ ქალთა მიმართ გენდერულ ძალადობას საფუძვლად უდევს გენდერით განპირობებული ფაქტორები, როგორც არის ქალებთან შედარებით მამაკაცების უპირატესობისა და პრივილეგიების იდეოლოგია, მამაკაცურობასთან დაკავშირებული სოციალური ნორმები, მამაკაცების მიერ კონტროლის ან ძალაუფლების განმტკიცების, გენდერული როლების დამკვიდრების და ქალების იმგვარი ქცევის პრევენციის, აკრძალვის ან დასჯის საჭიროება, რომელიც მიუღებლად არის მიჩნეული. ეს ფაქტორები ასევე ხელს უწყობს ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის - რომელიც ჯერ კიდევ ხშირად არის მიჩნეული პირად საკითხად - აშკარა თუ ნაგულისხმევ სოციალურ მიღებას და ფართოდ გავრცელებულ დაუსჯელობას.
20. ქალთა მიმართ გენდერულ ძალადობას ადგილი აქვს ადამიანების ურთიერთობის ყველა სფეროში და ადგილას, საზოგადოებრივი იქნება ის თუ პირადი, მათ შორის ოჯახში, თემში, საჯარო ადგილებში, სამუშაო ადგილას, დასვენების, პოლიტიკის, სპორტის, ჯანდაცვის მომსახურების განწესების ადგილებში და საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ასევე, საზოგადოებრივი და კერძო სფეროების ახალი განსაზღვრების საფუძველზე, ტექნოლოგიების გამოყენებით განპირობებულ კონტექსტებში,²⁷ როგორც არის ძალადობის თანამედროვე ფორმები, რომლებიც ხდება ინტერნეტში და სხვა ციფრულ კონტექსტებში. ყველა ამ ადგილას და სფეროში ქალთა მიმართ გენდერული ძალადობა შეიძლება წარმოიშვას სახელმწიფო თუ არასახელმწიფო აქტორების ქმედებისა თუ უმოქმედობის შედეგად, რომლებიც მოქმედებენ საკუთარ ტერიტორიებზე თუ ექსტრატერიტორიულ იურისდიქციაში. აქ იგულისხმება სახელმწიფოების (ინდივიდუალურად თუ საერთაშორისო თუ სამთავრობათაშორისო ორგანიზაციების ან კოალიციების²⁸ ნაწილის სახით) ექსტრატერიტორიული სამხედრო ქმედებები, ან კერძო კორპორაციების საქმიანობა ექსტრატერიტორიულ იურისდიქციაში.²⁹

27 იხ. გენერალური მდივნის ანგარიში სახელწოდებით „ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის სიღრმისეული შესწავლა“ (A/61/122/Add.1 და Corr.1).

28 მაგალითად, საერთაშორისო სამშვიდობო ძალების ფარგლებში. იხ. ზოგადი რეკომენდაცია №30, პუნქტი 9.

29 კომიტეტის დასკვნითი შენიშვნები კონვენციის საფუძ-

III. მონაწილე სახელმწიფოთა ვალდებულებები ქალთა მიმართ გენდერულ ძალადობასთან დაკავშირებით

21. ქალთა მიმართ გენდერული ძალადობა წარმოადგენს ქალთა დისკრიმინაციას პირველი მუხლის საფუძველზე და, შესაბამისად, წარმოშობს კონვენციით გათვალისწინებულ ყველა ვალდებულებას. მე-2 მუხლი ადგენს, რომ მონაწილე სახელმწიფოთა ვალდებულებაა, ყველა საჭირო საშუალებით დაუყოვნებლივ განახორციელონ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის, მათ შორის ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის აღმოფხვრის პოლიტიკა. ეს დაუყოვნებელი ხასიათის ვალდებულებაა, დაყოვნება ვერ იქნება გამართლებული ვერანაირი მიზეზით, მათ შორის ეკონომიკური, კულტურული თუ რელიგიური მიზეზებით. №19 ზოგად რეკომენდაციაში აღნიშნულია, რომ ქალთა მიმართ გენდერულ ძალადობასთან დაკავშირებით ეს ვალდებულება მოიცავს ამ სახის ძალადობაზე სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ორ ასპექტს: პირველი, რომელიც გამომდინარეობს სახელმწიფოს ან მისი სახელით მოქმედი აქტორების მოქმედებიდან ან უმოქმედობიდან, და მეორე - რომელიც გამომდინარეობს არასახელმწიფო აქტორების მოქმედებიდან თუ უმოქმედობიდან.

ა. პასუხისმგებლობა სახელმწიფო აქტორების მოქმედებასა თუ უმოქმედობაზე

22. კონვენციისა და ზოგადად საერთაშორისო სამართლის თანახმად, მონაწილე სახელმწიფო პასუხისმგებელია მისი ორგანოებისა და წარმომადგენლების ქმედებებსა თუ უმოქმედობაზე, რომლებიც წარმოადგენს ქალთა მიმართ გენდერულ ძალადობას,³⁰ რაც მოიცავს მისი აღმასრულებელი, საკა-

ველზე შვიცარიის მიერ წარმოდგენილ პერიოდულ ანგარიშთან (CEDAW/C/CHE/CO/4-5) და გერმანიის მიერ წარმოდგენილ პერიოდულ ანგარიშთან (CEDAW/C/DEU/CO/7-8) დაკავშირებით.

30 იხ. სამართლის საერთაშორისო კომისია, რეგლამენტი საერთაშორისო მასშტაბით არასათანადო ქმედებებზე სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის შესახებ, მე-4 მუხლი, სახელმწიფოს ორგანოების ქმედებები. იხ., აგრეთვე, ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციების დამატებითი ოქმი, რომელიც ეხება საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვას, 91-ე მუხლი.

ნონმდებლო და სასამართლო შტოების მოხელეთა ქმედებებსა და უმოქმედობას. კონვენციის მე-2 მუხლის „დ“ პუნქტი ადგენს, რომ მონაწილე სახელმწიფოები თავს შეიკავებენ ქალთა მიმართ რაიმე იმგვარი აქტის ან მოქმედების ჩადენისაგან, რომელიც პირდაპირი თუ არაპირდაპირი სახით ახდენს ქალთა დისკრიმინაციას, და უზრუნველყოფენ, რომ სახელმწიფო ორგანოები და დაწესებულებები მოქმედებდნენ ამ ვალდებულების შესაბამისად. გარდა იმისა, რომ მე-2 მუხლის „გ“ და „ზ“ პუნქტების თანახმად მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ კანონმდებლობა, სხვადასხვა პოლიტიკა, პროგრამები და პროცედურები არ ახდენდეს ქალთა დისკრიმინაციას, მათ უნდა ჰქონდეთ ქმედითი და მისაწვდომი სამართლებრივი და იურიდიული დახმარების მომსახურება, რათა რეაგირება მოახდინონ სახელმწიფო აქტორების მიერ საკუთარ ტერიტორიებზე თუ ექსტრატერიტორიულ იურისდიქციაში ქალთა მიმართ ჩადენილ გენდერული ძალადობის ყველა ფორმაზე.

23. მონაწილე სახელმწიფოები პასუხისმგებელი არიან მათი ორგანოებისა და წარმომადგენლების ამგვარი ქმედებებისა თუ უმოქმედობის პრევენციაზე, მათ შორის ტრენინგებისა და სამართლებრივი ნორმების, ადმინისტრაციული რეგულაციებისა და ქცევის კოდექსების მიღების, განხორციელებისა და მონიტორინგის გზით, ასევე პასუხისმგებელი არიან გამოძიებაზე, სამართლებრივ დევნაზე და სათანადო სამართლებრივი თუ ადმინისტრაციული სანქციების გამოყენებაზე და ზიანის ანაზღაურებაზე ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის ყველა შემთხვევაში (მათ შორის იმ შემთხვევებში, რომლებიც წარმოადგენს საერთაშორისო დანაშაულს), ასევე სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მხრიდან ამ ვალდებულების განუხორციელებლობის, მისი უგულებელყოფისა თუ უმოქმედობის შემთხვევებში.³¹ ასეთ დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს სხვადასხვაგვარი ქალების არსებობა და დისკრიმინაციის ურთიერთგადამკვეთი ფორმების რისკები.

31 იხ. სქოლიო 6 ზემოთ და ზოგადი რეკომენდაცია №33.

ბ. პასუხისმგებლობა არასახელმწიფო აქტორების მოქმედებასა თუ უმოქმედობაზე

24. საერთაშორისო სამართლის და საერთაშორისო შეთანხმებების თანახმად, კერძო აქტორების ქმედებებმა თუ უმოქმედობამ ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება წარმოქმნას სახელმწიფოს საერთაშორისო პასუხისმგებლობა. ასეთი შემთხვევებია:

1. არასახელმწიფო აქტორების მოქმედება თუ უმოქმედობა, რომელიც მიენერება სახელმწიფოს

(ა) მიიჩნევა, რომ იმ კერძო აქტორების ქმედებები თუ უმოქმედობა, რომელთაც სახელმწიფო კანონმდებლობა ანიჭებს უფლებამოსილებას, განახორციელონ სამთავრობო ძალაუფლების ელემენტები, მათ შორის იმ კერძო ორგანოებისა, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოებრივ სერვისებს, როგორც არის ჯანდაცვა და განათლება, ან ამუშავებენ პატიმრობის დაწესებულებებს, მიენერება თავად სახელმწიფოს,³² ისევე, როგორც იმ კერძო აგენტების ქმედებები თუ უმოქმედობა, რომლებიც მოქმედებენ სახელმწიფოს დავალებით ან მისი ხელმძღვანელობით თუ კონტროლის ქვეშ,³³ მათ შორის, როდესაც ისინი მოქმედებენ საზღვარგარეთ.

2. არასახელმწიფო აქტორების მოქმედებასთან თუ უმოქმედობასთან დაკავშირებული სათანადო პასუხისმგებლობის ვალდებულებები

(ბ) კონვენციის მე-2 მუხლის „ე“ პუნქტი ცალსახად ადგენს, რომ მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა საჭირო ზომა რომელიმე პირის, ორგანიზაციის ან სანარმოს მხრიდან ქალთა დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად.³⁴ აღნიშნული ვალდებულება, რომელსაც ხშირად სათანადო გულისხმიერების ვალდებულებას უწოდებენ, გასდევს მთელ კონვენციას³⁵ და შესაბამისად, მონაწილე სახელმწიფოებს დაეკისრებათ პასუხისმგებლობა, თუკი ისინი ვერ გაატარებენ ყველა საჭირო ზომას, რათა გამოიძიონ,

32 იხ. სამართლის საერთაშორისო კომისია, რეგლამენტი საერთაშორისო მასშტაბით არასათანადო ქმედებებზე სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის შესახებ, მე-5 მუხლი, იმ პირთა ან უწყებთა ქცევა, რომლებიც ახორციელებენ სამთავრობო ძალაუფლების ელემენტებს.

33 Ibid., მუხლი 8, სახელმწიფოს მიერ წარმართულ ან გაკონტროლებული ქცევა.

34 ზოგადი რეკომენდაცია №28, პუნქტი 36.

35 Ibid., პუნქტი 13.

ანარმოონ სამართლებრივი დევნა, დასაჯონ და უზრუნველყონ ზიანის ანაზღაურება არასახელმწიფო აქტორების იმ მოქმედებისა თუ უმოქმედობისათვის, რომელიც იწვევს ქალთა მიმართ გენდერულ ძალადობას,³⁶ მათ შორის საზღვარგარეთ მოქმედი კორპორაციების მიერ განხორციელებული ქმედებებისათვის. კერძოდ, მონაწილე სახელმწიფოებს მოეთხოვებათ, მიიღონ ზომები იმისათვის, რომ თავიდან აიცილონ ადამიანის უფლებათა დარღვევები საზღვარგარეთ მოქმედი იმ კორპორაციების მხრიდან, რომლებმაც მათ შეუძლიათ ზეგავლენის მოხდენა³⁷ ან რეგულირების მექანიზმებით და ან სტიმულების, მათ შორის ეკონომიკური სტიმულების გამოყენებით.³⁸ სათანადო პასუხისმგებლობის ვალდებულების შესასრულებლად მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა დანერგონ და განახორციელონ სხვადასხვა ზომები არასახელმწიფო აქტორების მხრიდან ქალთა მიმართ გენდერულ ძალადობასთან საბრძოლველად, მათ შორის უნდა ჰქონდეთ კანონები, ინსტიტუტები და სისტემა ამ სახის ძალადობაზე რეაგირებისთვის და იმის უზრუნველყოფისთვის, რომ ეს კანონები, ინსტიტუტები და სისტემა პრაქტიკაში ეფექტიანად ფუნქციონირებდნენ და მათ მოქმედებას ხელს უწყობდეს სახელმწიფოს ყველა წარმომადგენელი და უწყება, რომლებიც განუხრელად აღასრულებენ კანონებს.³⁹ მონაწილე სახელმწიფოს უუნარობა, მიიღოს ყველა საჭირო ზომა ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის ქმედებათა პრევენციისათვის იმ შემთხვევებში, როდესაც ხელისუფლების ორგანოებმა იციან ან უნდა იცოდნენ ამ სახის ძალადობის რისკის არსებობის შესახებ, ან უუნარობა, გამოიძიონ, ანარმოონ სამართლებრივი დევნა და დასაჯონ დამნაშავეები და უზრუნველყონ ზიანის ანაზღაურება ამგვარი ქმედებების

მსხვერპლთათვის, იძლევა ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის ჩადენის ნაგულისხმევ ნებართვას ან ხელს უწყობს მას.⁴⁰ ამგვარი უუნარობა ან უმოქმედობა წარმოადგენს ადამიანის უფლებათა დარღვევას.

25. გარდა ამისა, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალიც და ადამიანის უფლებათა სამართალიც აღიარებენ არასახელმწიფო აქტორების პირდაპირ ვალდებულებებს კონკრეტულ გარემოებებში, მათ შორის როდესაც ისინი შეიარაღებული კონფლიქტების მხარეები არიან. აღნიშნული ვალდებულებები მოიცავს წამების აკრძალვას, რაც ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის ნაწილია და იმპერატიული ნორმაც გახდა (jus cogens).⁴¹
26. ზემოთ აღწერილი ზოგადი ვალდებულებები მოიცავს სახელმწიფოს ქმედების ყველა სფეროს, მათ შორის საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო შტოებში და ფედერალურ, ეროვნულ, ქვეეროვნულ, ადგილობრივ და დეცენტრალიზებულ დონეებზე, ასევე პრივატიზებული სამთავრობო სამსახურების ქმედებას ხელისუფლების განკარგულებით. ამისათვის საჭიროა სამართლებრივი ნორმების ჩამოყალიბება, მათ შორის კონსტიტუციის დონეზე, ასევე იმგვარი სახელმწიფო პოლიტიკის, პროგრამების, ინსტიტუციური ჩარჩოებისა და მონიტორინგის მექანიზმების ჩამოყალიბება, რომლებიც მიმართული იქნება ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის - მიუხედავად იმისა, ეს ძალადობა სახელმწიფო აქტორების მხრიდან არის ჩადენილი თუ არასახელმწიფო აქტორების - ყველა ფორმის აღმოფხვრისკენ. ამისათვის ასევე საჭიროა, კონვენციის მე-2 მუხლის „ვ“ პუნქტისა და მე-5 მუხლის „ა“ პუნქტის შესაბამისად, ზომების შემოღება და განხორციელება იმ ცრურწმენების, სტერეოტიპებისა და პრაქტიკის აღმოსაფხვრელად, რომლებიც საფუძვლად უდევს ქალთა მიმართ გენდერულ ძალადობას. ზოგადი სახით, და შემდეგ ქვეთავში მოცემული კონკრეტული რეკომენდაციების შეუღლებავად, აღნიშნული ვალდებულებები მოიცავს:

საკანონმდებლო დონე

(ა) მე-2 მუხლის „ბ“, „გ“, „ე“, „ვ“ და „ზ“ პუნქტებისა და მე-5 მუხლის „ა“ პუნქტის

36 ზოგადი რეკომენდაცია №19, პუნქტი 9.
 37 იხ. ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი № 16 (2013) ბავშვთა უფლებებზე ბიზნესის სექტორის შემოქმედებასთან დაკავშირებული სახელმწიფოთა ვალდებულებების შესახებ, პუნქტები 43-44, და მასტრიხტის პრინციპები სახელმწიფოთა ექსტრატერიტორიული ვალდებულებების შესახებ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების სფეროში.
 38 იხ., მაგალითად, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი №14 (2000) უმაღლესი შესაძლებელი სტანდარტის ჯანმრთელობაზე უფლების შესახებ, პუნქტი 39.
 39 „გოეკსე (გარდაცვლილი) ავსტრიის წინააღმდეგ“, პუნქტი 12.1.2, და „ვ.ვ. ბულგარეთის წინააღმდეგ“, პუნქტი 9.4.

40 ზოგადი რეკომენდაცია №19, პუნქტი 9.
 41 ზოგადი რეკომენდაცია №30.

შესაბამისად, სახელმწიფოებს მოეთხოვებათ, მიიღონ ქალებისა და გოგოების მიმართ გენდერული ძალადობის ყველა ფორმის ამკრძალავი კანონმდებლობა და მოახდინონ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის ჰარმონიზება კონვენციასთან. კანონმდებლობაში ამ სახის ძალადობის მსხვერპლი ქალები მიჩნეულები უნდა იქნენ უფლებათა მფლობელებად. კანონმდებლობაში უნდა იყოს ასაკის მიმართ სენსიტიური და გენდერული თვალსაზრისით სენსიტიური დებულებები და უზრუნველყოფილი უნდა იყოს ქმედითი სამართლებრივი დაცვა, მათ შორის სანქციები დამნაშავეთათვის და ზიანის ანაზღაურება მსხვერპლთათვის. კონვენცია ადგენს, რომ უნდა მოხდეს რელიგიური, ჩვეულებითი, მკვიდრი ხალხებისა და სათემო მართლმსაჯულების სისტემების ნებისმიერი არსებული ნორმების ჰარმონიზება კონვენციის სტანდარტებთან და რომ უნდა გაუქმდეს ყველა კანონი, რომელიც უშვებს ქალთა დისკრიმინაციას, მათ შორის კანონები, რომლებიც განაპირობებს, ხელს უწყობს ან ამართლებს ქალთა მიმართ გენდერულ ძალადობას ან ამკვიდრებს ამგვარი ქმედებების დაუსჯელობას. ამგვარ ნორმებს შეიძლება შეიცავდეს ოფიციალური, ჩვეულებითი, რელიგიური, მკვიდრი ხალხების ან საერთო სამართალი, საკონსტიტუციო, სამოქალაქო, საოჯახო, სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული სამართალი თუ მტკიცებულებითი ან საპროცესო სამართალი, როგორც არის დებულებები, რომლებსაც საფუძვლად უდევს დისკრიმინაციული ან სტერეოტიპული დამოკიდებულება ან პრაქტიკა, რომლებიც უშვებს ქალთა მიმართ გენდერულ ძალადობას ან ამ კონტექსტში შედარებით მსუბუქ სასჯელებს აწესებს;

ადმასრულებელი დონე

(ბ) მე-2 მუხლის „გ“, „დ“ და „ვ“ პუნქტებისა და მე-5 მუხლის „ა“ პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებმა უნდა დააწესონ და ადეკვატურად გამოყონ საბიუჯეტო რესურსები სხვადასხვა ინსტიტუციური ზომების განსახორციელებლად შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან კოორდინირებით. ამგვარ ზომებს განეკუთვნება ფოკუსირებული სახელმწიფო პოლიტიკების შემუშავება, მონიტორინგის მექანიზმების შექმნა და დანერგვა და კომპეტენტური ეროვნული სასამართლოების

დაარსება და/ან დაფინანსება. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ მისანვლოში, ფინანსურად ხელმისაწვდომი და ადეკვატური მომსახურებები ქალების დასაცავად გენდერული ძალადობისაგან, თავიდან აიცილონ ამ სახის ძალადობის განმეორებითი შემთხვევები და გამოყონ ან უზრუნველყონ ყველა მსხვერპლისთვის ზიანის ანაზღაურების დაფინანსება.⁴² მონაწილე სახელმწიფოებმა ასევე უნდა აღმოფხვრან იმგვარი ინსტიტუციური პრაქტიკა და საჯარო მოხელეთა ისეთი ინდივიდუალური ქცევა და მოქმედება, რომლებიც წარმოადგენს ქალთა მიმართ გენდერულ ძალადობას ან იწყნარებს ამ სახის ძალადობას და ქმნის ზოგად კონტექსტს რეაგირების არარსებობის ან დაუდეგარი რეაგირების გამო. ზემოხსენებული მოიცავს ძალადობის შემთხვევათა სათანადო გამოძიებას და სანქციების დანესებას ხელისუფლების იმ ორგანოების მხრიდან არაეფექტიანი ქმედებისათვის, თანამონაწილეობისა და დაუდევრობისათვის, რომელთაც ევალებათ ძალადობის შემთხვევათა რეგისტრაცია, პრევენცია ან გამოძიება ან მსხვერპლთათვის ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა. აღმასრულებელ დონეზე ასევე მიღებული უნდა იქნეს საჭირო ზომები იმგვარი ადათ-წესებისა და პრაქტიკის შესაცვლელად ან აღმოსაფხვრელად, რომლებიც წარმოადგენს ქალთა დისკრიმინაციას, მათ შორის ისეთი ადათ-წესების და პრაქტიკისა, რომლებიც ამართლებს ან ხელს უწყობს ქალთა მიმართ გენდერულ ძალადობას;⁴³

სასამართლო ხელისუფლების დონე

(გ) მე-2 მუხლის „დ“ და „ვ“ პუნქტებისა და მე-5 მუხლის „ა“ პუნქტის შესაბამისად, ყველა სასამართლო ორგანოს მოეთხოვება, თავი შეიკავონ ქალთა მიმართ რაიმე დისკრიმინაციული აქტის ან მოქმედების ან გენდერული ძალადობის ჩადენისაგან, ზედმინევით გამოიყენონ სისხლის სამართლის ყველა დებულება, რომელიც ითვალისწინებს ამ სახის ძალადობის დასჯას, და უზრუნველყონ, რომ ყველა სამართლებრივი პროცედურა ქალთა მიმართ სავარაუდო გენდერული ძალადობის შემთხვევებში იყოს მიუკერძოებელი, სამართლიანი და მათზე

42 იხ. სქოლიო 5 ზემოთ და ზოგადი რეკომენდაცია №33.

43 ერთობლივი ზოგადი რეკომენდაცია №31/ზოგადი კომენტარი №18.

არ მოქმედებდეს გენდერული სტერეოტიპები ან სამართლებრივი ნორმების, მათ შორის საერთაშორისო სამართლის ნორმების, დისკრიმინაციული ინტერპრეტაცია.⁴⁴ წინასწარ შექმნილმა შეხედულებებმა და სტერეოტიპულმა ცნებებმა იმასთან დაკავშირებით, თუ რა ნარმოადგენს ქალთა მიმართ გენდერულ ძალადობას, როგორი უნდა იყოს ქალების რეაგირება ამგვარ ძალადობაზე, ასევე ძალადობის შემთხვევის არსებობის დამადასტურებელი მტკიცების სტანდარტისადმი მოთხოვნებმა შეიძლება ურყოფითი ზემოქმედება მოახდინონ ქალთა უფლებაზე, ისარგებლონ თანასწორობით კანონის წინაშე, ასევე სამართლიანი სასამართლოსა და სამართლებრივი დაცვის ეფექტიანის საშუალების უფლებებზე, როგორც ეს დადგენილია კონვენციის მე-2 და მე-15 მუხლებით.⁴⁵

IV. რეკომენდაციები

27. №19 ზოგად რეკომენდაციაზე და აღნიშნული რეკომენდაციის მიღების შემდეგ კომიტეტის საქმიანობაზე დაყრდნობით კომიტეტი მოუწოდებს მონაწილე სახელმწიფოებს, გააუმჯობესონ ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის აღმოფხვრის თავიანთი ვალდებულებების შესრულება, მათ ტერიტორიებზე იქნება ეს თუ ექსტრატერიტორიულ იურისდიქციაში. კომიტეტი იმეორებს თავის მოწოდებას მონაწილე სახელმწიფოების მიმართ - მოახდინონ კონვენციის ფაქულტატური ოქმის რატიფიცირება და გადასინჯონ კონვენციის მიმართ გაკეთებული ყველა დათქმა საბოლოოდ მათი გაუქმების პერსპექტივით.
28. კომიტეტი ასევე რეკომენდაციას უწევს მონაწილე სახელმწიფოებს, მიიღონ ქვემოთ ჩამოთვლილი ზომები პრევენციის, დაცვის, სამართლებრივი დევნისა და დასჯის, დარღვეული უფლებების აღდგენის, მონაცემთა შეგროვების, მონიტორინგისა და საერთაშორისო თანამშრომლობის სფეროებში ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის აღმოფხვრის დასაჩქარებლად. ყველა აღნიშნული ზომა უნდა განხორციელდეს მსხვერპლზე ორიენტირებული

მიდგომის გამოყენებით, ქალების უფლებათა მფლობელებად აღიარებით და მათი ქმედუნარიანობისა და დამოუკიდებლობის, მათ შორის გოგობის (ბავშვობის ასაკიდან მოზარდობის ჩათვლით) განვითარების პროცესში მყოფი შესაძლებლობების ხელშეწყობით. გარდა ამისა, აღნიშნული ზომები უნდა ჩამოყალიბდეს და განხორციელდეს ქალების მონაწილეობით და იმ ქალთა კონკრეტული სიტუაციის გათვალისწინებით, რომლებიც დისკრიმინაციის ურთიერთგადაძმვეთ ფორმებს განიცდიან.

ა. ზოგადი საკანონმდებლო ზომები

29. კომიტეტი რეკომენდაციას უწევს მონაწილე სახელმწიფოებს, რომ მათ განახორციელონ შემდეგი საკანონმდებლო ზომები:
- (ა) უზრუნველყონ, რომ კრიმინალიზებული იქნეს ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის ყველა ფორმა ყველა სფეროში, რომლებიც უტოლდება მათი ფიზიკური, სექსუალური თუ ფსიქოლოგიური ხელშეუხებლობის დარღვევას, და დაუყოვნებლივ შემოიღონ ან გააძლიერონ დანაშაულის სიმძიმის პროპორციული სამართლებრივი სანქციები და დაცვის სამოქალაქო-სამართლებრივი საშუალებები;⁴⁶
- (ბ) უზრუნველყონ, რომ ყველა სამართლებრივი სისტემა, მათ შორის მართლმსაჯულების პლურალური სისტემები, იცავდეს ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის მსხვერპლებს, ასევე უზრუნველყონ მსხვერპლთათვის მართლმსაჯულებაზე და სამართლებრივი დაცვის ქმედით საშუალებაზე წვდომა, №33 ზოგად რეკომენდაციაში მოცემული ხელმძღვანელობის შესაბამისად;
- (გ) გააუქმონ, მათ შორის ჩვეულებით, რელიგიურ და მკვიდრი ხალხების კანონებში, ქალების მიმართ დისკრიმინაციული ყველა სამართლებრივი დებულება, რომლებიც უშვებს, ხელს უწყობს, აქეზებს, ამართლებს ან იწყნარებს ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის ნებისმიერ ფორმას.⁴⁷ კერძოდ, გააუქმონ:
- (ი) დებულებები, რომლებიც უშვებს ან იწყნარებს ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის ფორმებს, მათ შორის ბავშვის⁴⁸

44 „ვერტიდო ფილიპინების წინააღმდეგ“, პუნქტი 8.9(ბ), „რ.პ.ბ. ფილიპინების წინააღმდეგ“, პუნქტი 8.3; და ზოგადი რეკომენდაცია №33, პუნქტები 18 (ე), 26 და 29.

45 ზოგადი რეკომენდაცია №33.

46 იხ. სქოლიო 5 გემოთ.

47 №33 ზოგად რეკომენდაციაში მოცემული ხელმძღვანელობის შესაბამისად.

48 კონვენციის მუხლი 16(2) და ერთობლივი ზოგადი

ან იძულებით ქორწინებას და სხვა მავნე პრაქტიკას, ასევე ნორმები, რომლებიც უშვებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალებისთვის სამედიცინო პროცედურების მათი ინფორმირებული თანხმობის გარეშე ჩატარებას, ნორმები, რომლებიც ახდენს აბორტის,⁴⁹ ლესბოსელობის, ბისექსუალობის ან ტრანსგენდერობის, პროსტიტუციის და ადიულტერის კრიმინალიზაციას, ასევე სისხლის სამართლის ნებისმიერი სხვა ნორმები, რომლებიც ქალებზე არაპროპორციულ ზეგავლენას ახდენს, მათ შორის ის ნორმები, რომლებიც განაპირობებს ქალების მიმართ სასიკვდილო განაჩენის დისკრიმინაციული სახით გამოტანას;⁵⁰

(ii) მტკიცებულებებთან დაკავშირებული დისკრიმინაციული წესები და პროცედურები, მათ შორის პროცედურები, რომლებიც უშვებს ქალებისთვის თავისუფლების აღკვეთას ძალადობისგან მათ დასაცავად, „ქალწულობის“ პრაქტიკა და კულტურაზე, რელიგიასა თუ მამაკაცების უპირატეს მდგომარეობაზე დაფუძნებული იურიდიული დაცვა თუ შემამსუბუქებელი ფაქტორები, როგორც არის ე.წ. „ღირსების“ დაცვა, ტრადიციული ბოდიშის მოხდა, მსხვერპლის ოჯახის მიერ ძალადობის ჩამდენის პატიება ან მისი ქორწინება მსხვერპლზე, პროცედურები, რომლებიც განაპირობებს სასტიკ სასჯელს ქალებისთვის, მათ შორის ჩაქოლვას, გაროზგვას ან მოკვლას, და სასამართლო პრაქტიკა, რომელიც უგულებელყოფს გენდერული ძალადობის ადრინდელ შემთხვევებს მოპასუხე ქალის საზიანოდ;⁵¹

რეკომენდაცია №31/ზოგადი კომენტარი №18, პუნქტი 42 და პუნქტი 55(ვ) იმ პირობების შესახებ, როდესაც დასაშვებია 18 წლის ასაკზე უმცროსი ადამიანის ქორწინება გამონაკლის გარემოებებში.

49 იხ. ფილიპინებთან დაკავშირებული მოკვლევების დასკვნა (CEDAW/C/OP.8/PHL/1); შეტყობინება №22/2009, „ტ.პ.ე. პერუს წინააღმდეგ“, მოსაზრებები მიღებულია 2011 წლის 17 ოქტომბერს; და ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №22.

50 კომიტეტი ევრდნობა გენერალური ასამბლეის რეზოლუციებს №№62/149, 63/168, 65/206, 67/176, 69/186 და 71/187, რომლებშიც ასამბლეა მოუწოდებს ყველა სახელმწიფოს, სადაც ჯერ კიდევ არსებობს სიკვდილით დასჯა, დააწესონ მორატორიუმი აღსრულებაზე, საბოლოოდ გაუქმების პერსპექტივით.

51 იხ., სხვებთან ერთად, კომიტეტის დასკვნითი შენიშვნები შემდეგი მონაწილე სახელმწიფოების პერიოდულ ანგარიშებთან დაკავშირებით: ავღანეთი (CEDAW/C/AFG/CO/1-2); იორდანია (CEDAW/C/JOR/CO/6); პაპუა ახალი გვინეა (CEDAW/C/PNG/CO/3); და სამხრეთი აფრიკა (CEDAW/C/ZAF/CO/4); ასევე არასასამართლო, თვითნებურად და გამარტივებული წარმოების წესით

(iii) ყველა კანონი, რომელიც ხელს უშლის ან აბრკოლებს ქალებს სათანადო ორგანოებს შეატყობინონ გენდერული ძალადობის შესახებ, როგორც არის მეურვეობის შესახებ კანონები, რომლებიც ართმევს ქალებს სამართლებრივ უფლებაუნარიანობას ან ზღუდავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა შესაძლებლობას, ჩვენება მისცენ სასამართლოში, ე.წ. „დამცავი დაკავება“, შემზღუდველი იმიგრაციის კანონები, რომლებიც ხელს უშლის ქალებს, მათ შორის ოჯახებში მშრომელ მიგრანტ ქალებს, სათანადო ორგანოებს შეატყობინონ გენდერული ძალადობის შესახებ, და ასევე კანონები, რომლებიც უშვებს ორივე მხარის დაპატიმრებას ოჯახში ძალადობის შემთხვევებში ან ქალების სამართლებრივ დევნას ძალადობის ჩამდენის გამართლების შემდეგ;

(დ) შეისწავლონ გენდერული თვალსაზრისით ნეიტრალური კანონები და სხვადასხვა პოლიტიკა, რათა დარწმუნდნენ, რომ ისინი არ განაპირობებს და არ ნერგავს არსებულ უთანასწორობებს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი გააუქმონ ან შეცვალონ ისინი;⁵²

(ე) უზრუნველყონ, რომ სექსუალური ძალადობა, მათ შორის გაუპატიურება, დახასიათებული იყოს როგორც დანაშაული მიმართული ადამიანის პირადი უსაფრთხოებისა და ფიზიკური, სექსუალური და ფსიქოლოგიური ხელშეუხებლობის უფლების წინააღმდეგ⁵³ და რომ სექსუალური ხასიათის დანაშაულების, მათ შორის ქორწინებაში და ნაცნობის მიერ თუ პაემანზე გაუპატიურების დანაშაულების, განმარტება ეფუძნებოდეს თავისუფლად მიცემული თანხმობის არარსებობას და ითვალისწინებდეს მსხვერპლის იძულებას.⁵⁴ დროის თვალსაზრისით ნებისმიერმა შემთხვევებმა, სადაც ასეთი შემთხვევები არსებობს, პრიორიტეტული მნიშვნელობა უნდა მიანიჭოს მსხვერპლთა ინტერესებს და გაითვალისწინოს ის გარემოებები, რომლებიც ხელს უშლის მსხვერპლებს, კომპეტენტურ სამსახურებს თუ ხელისუფლების ორგანოებს შეატყობინონ განცდილი ძალადობის შესახებ.⁵⁵

სიკვდილით დასჯის საკითხებში სპეციალური მომხსენებლის ანგარიში (A/HRC/35/23).

52 ზოგადი რეკომენდაცია №28, პუნქტი 16.

53 იხ. „ვერტიდო ფილიპინების წინააღმდეგ“.

54 იხ. „ვერტიდო ფილიპინების წინააღმდეგ“ და „რ.პ.ბ. ფილიპინების წინააღმდეგ“.

55 იხ. „ლ.რ. მოლდოვის რესპუბლიკის წინააღმდეგ“ და ზოგადი რეკომენდაცია №33, პუნქტი 51 (ბ). კერძოდ, გათვალისწინებული უნდა იქნეს სექსუალური ძალადობის მსხვერპლი გოგონების სიტუაცია.

ბ. პრევენცია

30. კომიტეტი რეკომენდაციას უწევს მონაწილე სახელმწიფოებს, რომ მათ განახორციელონ შემდეგი პრევენციული ზომები:

(ა) მიიღონ და განახორციელონ ქმედითი საკანონმდებლო და სხვა საჭირო პრევენციული ზომები ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის ძირითადი მიზეზების, მათ შორის პატრიარქალური დამოკიდებულებისა და სტერეოტიპების, ოჯახში უთანასწორობისა და ქალთა სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების უგულებელყოფისა თუ მათზე უარის თქმის აღმოსაფხვრელად და ქალთა გაძლიერების, ქმედუნარიანობისა და ხმის უფლების ხელშესაწყობად;

(ბ) ყველა შესაბამისი დაინტერესებული მხარის მონაწილეობით, როგორებიც არიან ქალთა ორგანიზაციებისა და ქალებისა და გოგოების მარგინალიზებული ჯგუფების წარმომადგენლები, შეიმუშაონ და განახორციელონ ქმედითი ზომები კონვენციის მე-5 მუხლში მითითებული იმ სტერეოტიპების, ცრურწმენების, ადათ-წესებისა და სხვა პრაქტიკის გაუქმებისა და აღმოფხვრის მიზნით, რომლებიც იწყნარებს ან ხელს უწყობს ქალთა მიმართ გენდერულ ძალადობას და საფუძვლად უდევს ქალებსა და მამაკაცებს შორის სტრუქტურულ უთანასწორობას. აღნიშნულმა ზომებმა უნდა მოიცვას:

(i) გენდერული თანასწორობის იდეისა და ამასთან დაკავშირებული მასალების ჩართვა სასწავლო პროგრამებში განათლების - როგორც სახელმწიფო, ისე კერძო - ყველა დონეზე, დაწყებული უმცროსი ასაკის ბავშვებისთვის და შემდგომი პერიოდების სასწავლო პროგრამებში, ასევე საგანმანათლებლო პროგრამებში, რომლებიც ადამიანის უფლებებზე დამყარებულ მიდგომას იყენებენ. გენდერული თანასწორობის იდეა და ამასთან დაკავშირებული მასალები მიმართული უნდა იყოს სტერეოტიპული გენდერული როლების აღმოფხვრისკენ და ხელს უწყობდეს გენდერული თანასწორობისა და დისკრიმინაციის არარსებობის, მათ შორის არაძალადობრივი მამაკაცურობის ფასეულობების დამკვიდრებას, ასევე უნდა უზრუნველყოფდეს ასაკისათვის შესაფერის, მტკიცებულებებსა და ფაქტებზე დამყარებულ და სამეცნიერო თვალსაზრისით ზუსტ, ყოველმხრივ განათლებას სქესობრივ საკითხებზე გოგოებისა და ბიჭებისათვის;

(ii) ცნობიერების ამაღლების პროგრამები, რომლებიც ხელს უწყობს ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის, როგორც მიუღებელი და მავნე ფენომენის, გაგებას, იძლევა ინფორმაციას ამ ფენომენის წინააღმდეგ არსებული სამართლებრივი რესურსების შესახებ, მოუწოდებს ამ სახის ძალადობის შემთხვევათა სათანადო ორგანოებისთვის შეტყობინებისკენ და მოწმეებს - ჩარევისკენ, მუშაობს იმ სტიგმის აღმოსაფხვრელად, რომელსაც ძალადობის მსხვერპლები განიცდიან, და არღვევს საზოგადოებაში გავრცელებულ იმ შეხედულებებს, რომლებიც ადანაშაულებს მსხვერპლებს და ქალებს აკისრებს პასუხისმგებლობას საკუთარ უსაფრთხოებაზე და ძალადობაზე, რომელიც მათ შეიძლება განიცადონ. პროგრამების სამიზნე ჯგუფები უნდა იყვნენ ქალები და მამაკაცები საზოგადოების ყველა დონეზე, განათლების, ჯანდაცვის სისტემების, სოციალური სამსახურებისა და სამართალდამცველი ორგანოების თანამშრომლები და სხვა სპეციალისტები და უწყებები, მათ შორის ადგილობრივ დონეზე, რომლებიც მონაწილეობენ პრევენციისა და რეაგირების საქმიანობაში, ტრადიციული და რელიგიური ლიდერები და ნებისმიერი ფორმის გენდერული ძალადობის ჩამდენი პირები, რათა თავიდან იქნეს აცილებული დანაშაულის ხელმეორედ ჩადენა;

(გ) შეიმუშაონ და განახორციელონ ქმედითი ზომები, რათა საჯარო სივრცეები გახდეს უსაფრთხო და მისაწვდომი ყველა ქალისა და გოგოსათვის, მათ შორის ხელი შეუწყონ ქალთა ჯგუფების მონაწილეობით შემუშავებული სათემო ზომების განხორციელებას. ამ ზომებს შორის უნდა იყოს ადეკვატური ფიზიკური ინფრასტრუქტურის, მათ შორის განათების არსებობა ქალაქებსა და სოფლებში, კერძოდ კი სკოლებში და სკოლების გარშემო;

(დ) დანერგონ და განახორციელონ ქმედითი ზომები, რათა მოუწოდონ და წაახალისონ მედია, აღმოფხვრას ქალთა დისკრიმინაცია, მათ შორის ქალების ან ქალთა კონკრეტული ჯგუფების, როგორებიც არიან ქალთა უფლებადამცველები, საზიანო და სტერეოტიპული წარმოჩენა თავიანთი საქმიანობით, პრაქტიკითა და პროდუქციით, მათ შორის რეკლამაში, ინტერნეტში და სხვა ციფრულ გარემოში. აღნიშნულმა ზომებმა უნდა მოიცვას:

(i) მედიის ორგანიზაციების, მათ შორის

ინტერნეტ-ორგანიზაციებისა და სოციალური მედიის ორგანიზაციების მიერ თვითრეგულირების იმგვარი მექანიზმების შექმნის ან გაძლიერების ხელშეწყობა, რომლებიც მიზნად დაისახავს ქალებთან და მამაკაცებთან ან ქალების კონკრეტულ ჯგუფებთან დაკავშირებული გენდერული სტერეოტიპების აღმოფხვრას და მათი სამსახურებისა და პლატფორმების მეშვეობით ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის აღკვეთას;

(ii) სახელმძღვანელო მითითებები მედიის მიერ ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის შემთხვევათა სათანადო გაშუქებისათვის;

(iii) ადამიანის უფლებათა დამცველი ეროვნული ინსტიტუტების შესაძლებლობების შექმნა ან გაძლიერება, რათა მათ მონიტორინგი გაუწიონ ან განიხილონ საჩივრები ნებისმიერ მედიასაშუალებასთან დაკავშირებით, რომელიც წარმოაჩენს გენდერული თვალსაზრისით დისკრიმინაციულ სახეებს ან შინაარსს, რომელიც ქალებს განიხილავს როგორც ობიექტებს, აკნინებს მათ ან ახდენს ძალადობრივი მამაკაცურობის პროპაგანდირებას;⁵⁶

(ე) უზრუნველყონ სასამართლო სისტემის თანამშრომლების, ადვოკატებისა და სამართალდამცველი ორგანოების თანამშრომლების, მათ შორის სასამართლო ექსპერტიზის პერსონალის, საკანონმდებლო ორგანოს წევრებისა და ჯანდაცვის სპეციალისტების,⁵⁷ მათ შორის სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სფეროს, განსაკუთრებით კი სქესობრივი გზით გადამდები ინფექციებისა და აივ-ის პრევენციისა და მკურნალობის სამსახურების, სპეციალისტების, ასევე განათლების, სოციალური დაცვისა და კეთილდღეობის სისტემების ყველა თანამშრომლის, მათ შორის იმ თანამშრომლების, რომლებიც მუშაობენ ქალებთან სპეციალურ დაწესებულებებში, როგორებიც არის ინტერნატები, თავშესაფრები და ციხეები,⁵⁸ სავალდებულო პერიოდული და

ქმედითი შესაძლებლობების გაძლიერება, რათა მისცენ მათ შესაბამისი ცოდნა იმისათვის, რომ მათ შეძლონ ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის თავიდან აცილება და მასზე სათანადო რეაგირება. განათლებამ და ტრენინგმა ხელი უნდა შეუწყოს შემდეგის გათვითცნობიერებას:

(i) როგორ განაპირობებს გენდერული სტერეოტიპები და მიკერძოება ქალთა მიმართ გენდერულ ძალადობას და მასზე არაადეკვატურ რეაგირებას;⁵⁹

(ii) ტრავმა და მისი შედეგები, ძალთა თანაფარდობა, რომელიც ახასიათებს ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობას, და იმ ქალების განსხვავებული სიტუაციები, რომლებიც განიცდიან გენდერული ძალადობის სხვადასხვა ფორმას; ყურადღება უნდა გამახვილდეს დისკრიმინაციის ურთიერთგადამკვეთ ფორმებზე, რომლებიც ზემოქმედებას ახდენს ქალთა კონკრეტულ ჯგუფებზე, ქალებთან ურთიერთობის ადეკვატურ ფორმებზე მათი სამუშაოს კონტექსტში და იმ ფაქტორების აღმოფხვრაზე, რომლებიც იწვევს მათ რევიქტიმიზაციას და ასუსტებს მათ ნდობას სახელმწიფო ინსტიტუტებისა და სახელმწიფოს წარმომადგენლებისადმი;⁶⁰

(iii) სახელმწიფო სამართლებრივი ნორმები და სახელმწიფო ინსტიტუტები, რომლებიც მუშაობენ ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის საკითხებზე, მსხვერპლთა იურიდიული უფლებები, საერთაშორისო სტანდარტები და დაკავშირებული მექანიზმები და მათი პასუხისმგებლობა ამ კონტექსტში, რამაც უნდა მოიცვას სათანადო კოორდინირება და მიმართვიანობა სხვადასხვა ორგანოს შორის და ამ სახის ძალადობის შემთხვევათა სათანადო დოკუმენტირება, ქალთა პირადი ცხოვრების პატივისცემით და კონფიდენციალურობის უფლების გათვალისწინებით, ასევე მსხვერპლთა თავისუფალ და ინფორმირებულ თანხმობაზე დაყრდნობით;

(ვ) მოუწოდონ და ხელი შეუწყონ, სტიმულირებისა და კორპორაციული სოციალური

56 კომიტეტის დასკვნითი შენიშვნები ხორვატიის კომბინირებულ პერიოდულ ანგარიშებთან დაკავშირებით (CEDAW/HRV/CO/4-5).

57 იხ. სქოლიო 5 ზემოთ და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის კლინიკური და პოლიტიკის სახელმძღვანელო მითითებები ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობაზე და ქალთა მიმართ სექსუალურ ძალადობაზე რეაგირებისათვის (2013).

58 იხ. „აბრამოვა ბელარუსის წინააღმდეგ“; შეტყობინება № 53/2013, „ა. დანიის წინააღმდეგ“, მოსაზრებები მიღებულია 2015 წლის 19 ნოემბერს; და გენერალური ასამბლეის რეზოლუცია № 65/229 პატიმარი ქალების

მიმართ მოპყრობისა და დამნაშავე ქალებისთვის არასაპატიმრო სანქციების შესახებ გაერო-ს წესების თაობაზე (ბანგკოკის წესები).

59 იხ., სხვა საქმეებთან ერთად, „ბელოუსოვა ყაზახეთის წინააღმდეგ“, „რ.პ.ბ. ფილიპინების წინააღმდეგ“, „იალოუ ბულგარეთის წინააღმდეგ“ და „ლ.რ. მოლდოვის რესპუბლიკის წინააღმდეგ“.

60 იხ. „მ.ვ. დანიის წინააღმდეგ“, „რ.პ.ბ. ფილიპინების წინააღმდეგ“, „იალოუ ბულგარეთის წინააღმდეგ“ და „კელი კანადის წინააღმდეგ“.

პასუხისმგებლობის მოდელებისა და სხვა მექანიზმების გამოყენებით, კერძო სექტორის, მათ შორის სხვადასხვა ბიზნესისა და ტრანსნაციონალური კორპორაციების, ჩართვას ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრის მცდელობებში და ამ სახის ძალადობაზე კერძო სექტორის პასუხისმგებლობის გაზრდას მისი საქმიანობის ფარგლებში.⁶¹ ეს უნდა გაკეთდეს, სხვა საშუალებებთან ერთად, პროტოკოლებისა და პროცედურების დადგენით, რომლებიც გაითვალისწინებს გენდერული ძალადობის ყველა ფორმას, რომელიც შეიძლება მოხდეს სამუშაო ადგილზე ან შეეხოს ქალ მშრომელებს, მათ შორის უნდა დაინერგოს საჩივრების წარდგენის ქმედითი და ხელმისაწვდომი შიდა პროცედურები, რომელთა გამოყენება არ უნდა გამოიწვიოს სამართალდამცველი ორგანოებისათვის მიმართვას; გარდა ამისა, შემოღებული უნდა იქნეს მსხვერპლთათვის ზიანის ანაზღაურება სამუშაო ადგილზე.

8. დაცვა

31. კომიტეტი რეკომენდაციას უწევს მონაწილე სახელმწიფოებს, რომ მათ განახორციელონ შემდეგი დამცავი ზომები:

(ა) დანერგონ და განახორციელონ ქმედითი ზომები, რათა დაიცვან და დაეხმარონ გენდერული ძალადობის შესახებ მომჩივან და მოწმე ქალებს სამართალწარმოების დაწყებამდე, მის განმავლობაში და მისი დამთავრების შემდეგ, მათ შორის შემდეგი საშუალებებით:

(i) დაიცვან მათი კონფიდენციალურობა და უსაფრთხოება №33 ზოგადი რეკომენდაციის შესაბამისად; ამ დროს გამოყენებული უნდა იქნეს გენდერული თვალსაზრისით სენსიტიური სასამართლო პროცედურები და ზომები და გათვალისწინებული იქნეს მსხვერპლთა, მოწმეთა და მოპასუხეთა უფლება სამართლიან სასამართლოზე;

(ii) უზრუნველყონ შესაფერისი და მისაწვდომი დამცავი მექანიზმები შემდგომი ან პოტენციური ძალადობის თავიდან ასაცილებლად, მსხვერპლების მიერ სასამართლოსთვის მიმართვის წინაპირობის დაყენების გარეშე,

61 ზოგადი რეკომენდაცია №28, პუნქტი 28. იხ. „სახელმძღვანელო პრინციპები ბიზნესისა და ადამიანს უფლებების შესახებ: გაერო-ს პრინციპების „დაიცავი, პატივი ეცი და გამოასწორე“ განხორციელება“ (A/HRC/17/31).

მათ შორის აღმოფხვრან კომუნიკაციის ბარიერები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მსხვერპლთათვის.⁶² ეს მექანიზმები უნდა უზრუნველყოფდეს დაუყოვნებელი რისკების შეფასებას და დაცვას და მოიცავდეს მრავალ სხვადასხვა ქმედით ზომას, ხოლო, საჭიროების შემთხვევაში, გასახლების, დამცავი, შემზღუდველი ან სასწრაფო ამკრძალავი ორდერების გაცემას და მონიტორინგს ძალადობის სავარაუდო ჩამდენთა წინააღმდეგ, მათ შორის ადეკვატურ სანქციებს ამ ორდერების პირობების შეუსრულებლობისათვის. დამცავი ორდერები არ უნდა აწესდეს მსხვერპლი ქალებისთვის შეუსაბამო ფინანსურ, ბიუროკრატიულ ან პირად ტვირთს. გადანაცვლებები ძალადობის ჩამდენთა ან სავარაუდო ჩამდენთა უფლებებთან და პრეტენზიებთან დაკავშირებით სასამართლო პროცესის განმავლობაში ან მის შემდეგ, მათ შორის ქონებასთან, პირად ცხოვრებასთან, ბავშვზე მეურვეობასთან, ბავშვის ნახვასთან, კონტაქტთან და მონახულებასთან დაკავშირებულ უფლებებთან და პრეტენზიებთან მიმართებით, მიღებული უნდა იქნეს სიცოცხლეზე და ფიზიკურ, სექსუალურ და ფსიქოლოგიურ ხელშეუხებლობაზე ქალებისა და ბავშვების უფლებების გათვალისწინებით და ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების პრინციპზე დაყრდნობით;⁶³

(iii) გენდერული ძალადობის მსხვერპლი ქალებისა და მათი ოჯახების წევრებისთვის უზრუნველყონ ფინანსური დახმარების, უფასო ან დაბალი ფასის და მაღალი ხარისხის იურიდიული დახმარების,⁶⁴ სამედიცინო, ფსიქოსოციალური და საკონსულტაციო სერვისების,⁶⁵ განათლების, ხელმისაწვდომი საცხოვრებლის, მინის, ბავშვებზე ზრუნვის, ტრენინგებისა და დასაქმების შესაძლებლობათა მისაწვდომობა. ჯანდაცვის

62 მაგალითად, დამცავი ორდერები ზოგიერთ ქვეყანაში იძლევა ნებართვას, იმ ადამიანებს, ვისაც, როგორც მიჩნეულია, ემუქრება ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრების საფრთხე, აეკრძალოთ მოგზაურობა.

63 საქმეები „ილდირიმი ავსტრიის წინააღმდეგ“, „გოუკსე ავსტრიის წინააღმდეგ“, „გონზალეს კარენიო ესპანეთის წინააღმდეგ“, „მ.ვ. დანიის წინააღმდეგ“ და „ილოუ ბულგარეთის წინააღმდეგ“.

64 ზოგადი რეკომენდაცია №33, პუნქტი 37, და ზოგადი რეკომენდაცია №28, პუნქტი 34; იხ., სხვა საქმეებთან ერთად, აგრეთვე, საქმეები „ველი კანადის წინააღმდეგ“, „ვერტილო ფილიპინების წინააღმდეგ“, „ს.ვ.პ. ბულგარეთის წინააღმდეგ“ და „ლ.რ. მოლდოვის რესპუბლიკის წინააღმდეგ“.

65 ზოგადი რეკომენდაცია №33, პუნქტი 16.

მომსახურება უნდა იყოს გულისხმიერი ტრავმის გათვალისწინებით და უნდა მოიცავდეს ფსიქიკური, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანდაცვის დროულ და ყოველმხრივ მომსახურებებს,⁶⁶ მათ შორის სასწრაფო კონტრაცეფციას და ძალადობის შემთხვევის შემდეგ აივ-ის პროფილაქტიკას. სახელმწიფოებმა უნდა შექმნან ქალთა დახმარების სპეციალიზებული სამსახურები, როგორებიც არის უფასო ოცდაოთხსაათიანი ცხელი ხაზები და უსაფრთხო და ადეკვატურად აღჭურვილი კრიზისული დახმარებისა და მიმართვის ცენტრებისა და ადეკვატური თავშესაფრების საკმარისი რაოდენობა ქალებისათვის და მათი შვილებისა და ოჯახის სხვა წევრებისათვის, საჭიროების მიხედვით;⁶⁷ (iv) სპეციალურ დანებსებულებებში, მათ შორის ინტერნატებში, თავშესაფრების ცენტრებსა და თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მოთავსებული ქალებისთვის უზრუნველყონ დაცვისა და დახმარების ზომები გენდერულ ძალადობასთან დაკავშირებით;⁶⁸ (v) დააარსონ და განახორციელონ მრავალსექტორული მიმართვიანობის სათანადო მექანიზმები, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ამ სახის ძალადობის მსხვერპლთათვის ყოველმხრივი მომსახურებების რეალური მისაწვდომობა, და უზრუნველყონ ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების სრულფასოვანი მონაწილეობა და მათთან თანამშრომლობა ამ პროცესში; (ბ) უზრუნველყონ, რომ ძალადობის მსხვერპლებთან დაკავშირებული ყველა სამართალწარმოება, დაცვისა და დახმარების ზომები და სერვისები ემყარებოდეს მსხვერპლთა პატივისცემის პრინციპს და აძლიერებდეს მათ დამოუკიდებლობას, მისაწვდომი იყოს ყველა ქალისთვის, განსაკუთრებით იმ ქალებისთვის, ვინც დისკრიმინაციის ურთიერთგადაძვეთ ფორმებს განიცდის, ითვალისწინებდეს მათი ბავშვებისა და მათ კმაყოფაზე მყოფი სხვა პირების ნებისმიერი სპეციფიკურ საჭიროებებს,⁶⁹ მისაწვდომი იყოს მონაწილე სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე და უზრუნველყოფილი

იყოს მიუხედავად რეზიდენტის სტატუსისა თუ ძალადობის სავარაუდო ჩამდენის წინააღმდეგ წარმოებულ სასამართლო პროცესში თანამშრომლობის სურვილის თუ შესაძლებლობისა.⁷⁰ სახელმწიფოებმა ასევე უნდა დაიცვან გაუძევებლობის პრინციპი;⁷¹ (გ) იმუშაონ იმ ფაქტორების აღმოფხვრაზე, რომლებიც ზრდის ქალებზე გენდერული ძალადობის სერიოზული ფორმების საფრთხეს, როგორებიც არის, მაგალითად, ცეცხლსასროლი იარაღის, მათ შორის მათი ექსპორტის,⁷² ადვილად ხელმისაწვდომობა და არსებობა, დანაშაულის გავრცელების მაღალი მაჩვენებლები და გავრცელებული დაუსჯელობა, რაც შეიძლება გაიზარდოს შეიარაღებული კონფლიქტების ან გაზრდილი არასტაბილურობის დროს.⁷³ მიღებული უნდა იქნეს ზომები, რათა გაკონტროლდეს მუხავებისა და ისეთი სხვა ნივთიერებების ხელმისაწვდომობა და არსებობა, რომლებსაც ქალების მიმართ შეტევებისთვის იყენებენ ხოლმე; (დ) შეიმუშაონ და სხვადასხვა ხელმისაწვდომი მედიასაშუალებისა და სათემო დიალოგის მეშვეობით გაავრცელონ ინფორმაცია ქალებისთვის, განსაკუთრებით იმ ქალებისთვის, ვინც დისკრიმინაციის ურთიერთგადაძვეთ ფორმებს განიცდის, როგორებიც არიან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალები, წერა-კითხვის უცოდინარი ქალები ან ის ქალები, ვინც არ იცის ან ცუდად იცის ქვეყნის ოფიციალური ენა, იმ იურიდიული და სოციალური რესურსების შესახებ, რომლებიც არსებობს ძალადობის მსხვერპლთათვის, მათ შორის ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობების შესახებ.

66 ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი №22.
 67 ერთობლივი ზოგადი რეკომენდაცია №31/ზოგადი კომენტარი №18.
 68 იხ. სქოლიო 54 ზემოთ.
 69 საქმეები „რ.პ.ბ. ფილიპინების წინააღმდეგ“, „იალოუ ბულგარეთის წინააღმდეგ“ და „ვ.პ. ბულგარეთის წინააღმდეგ“.

70 ზოგადი რეკომენდაცია №33, პუნქტი 10.
 71 ლტოლვილის სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის და წამების საწინააღმდეგო კონვენციის შესაბამისად. იხ. ასევე ზოგადი რეკომენდაცია №32 და საქმე „ა. დანიის წინააღმდეგ“.
 72 იხ. იარაღით ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების მუხლი 7 (4). იხ., აგრეთვე, კომიტეტის დასკვნითი შენიშვნები შემდეგი მონაწილე სახელმწიფოების პერიოდულ ანგარიშებთან დაკავშირებით: პაკისტანი (CEDAW/C/PAK/CO/4); კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა (CEDAW/C/COD/CO/6-7); საფრანგეთი (CEDAW/C/FRA/CO/7-8); შვეიცარია (CEDAW/C/CHE/CO/4-5); და გერმანია (CEDAW/C/DEU/CO/7-8); და ადამიანის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №35 (2014) ადამიანის თავისუფლებისა და უსაფრთხოების შესახებ, პუნქტი 9.
 73 ზოგადი რეკომენდაცია №30.

დ. სამართლებრივი დევნა და დასჯა

32. კომიტეტი რეკომენდაციას უწევს მონაწილე სახელმწიფოებს, რომ მათ განახორციელონ შემდეგი ზომები ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის ჩამდენთა სამართლებრივი დევნისა და დასჯის თვალსაზრისით:

(ა) უზრუნველყონ მსხვერპლთათვის სასამართლოებისა და ტრიბუნალების რეალური წვდომა და რომ ხელისუფლების ორგანოები ადეკვატურად რეაგირებდნენ ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის ყველა შემთხვევაზე, მათ შორის სისხლის სამართლის და, საჭიროების შემთხვევაში, ex officio სამართლებრივი დევნის გამოყენების მეშვეობით ძალადობის სავარაუდო ჩამდენთა სასამართლოს წინაშე სამართლიანად, დროულად, მიუკერძოებლად და სწრაფად წარდგენის და მათზე ადეკვატური სანქციების დაკისრების მიზნით.⁷⁴ მსხვერპლებს არ უნდა დაეკისროთ რაიმე გადასახდელები ან სასამართლოს ხარჯები;⁷⁵

(ბ) უზრუნველყონ, რომ არ იყოს სავალდებულო ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის შემთხვევების მიმართვა დავების გადანაცვების ალტერნატიული პროცედურებისათვის, მათ შორის მედიაციისა და შერიგების პროცედურებისათვის.⁷⁶ აღნიშნული პროცედურების გამოყენება მკაცრად უნდა იყოს რეგულირებული და ნებადართული იყოს მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც სპეციალიზებული ჯგუფის მიერ წინასწარი შეფასებით დადგინდება მსხვერპლის თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობა, ასევე მსხვერპლების ან მათი ოჯახების წევრების მიმართ სამომავლო რისკების ნიშნების არარსებობა. პროცედურებმა უნდა გააძლიეროს მსხვერპლები და ისინი უნდა ტარდებოდეს პროფესიონალების მიერ, რომლებიც სპეციალურად იქნებიან მომზადებული ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის გაგების და ადეკვატური რეაგირებისთვის და რომლებიც უზრუნველყოფენ ქალებისა და ბავშვების უფლებათა სათანადოდ დაცვას, ასევე ინტერვენციების განხორციელებას სტერეოტიპების გამოყენებისა და ქალების

74 იხ., სხვა საქმეებთან ერთად, საქმეები „ვერტიდო ფილიპინების წინააღმდეგ“, „ს.ვ.პ. ბულგარეთის წინააღმდეგ“ და „ლ.რ. მოლდოვის რესპუბლიკის წინააღმდეგ“.

75 ზოგადი რეკომენდაცია №33, პუნქტი 17(ა).

76 როგორც მითითებულია №3 ზოგადი რეკომენდაციის 58(გ) პუნქტში.

რევიქტიმიზაციის გარეშე. დავების გადანაცვების ალტერნატიული პროცედურები არ უნდა წარმოადგენდეს დაბრკოლებას ქალებისათვის ოფიციალურ მართლმსაჯულებაზე წვდომისთვის.

ე. ზიანის ანაზღაურება

33. კომიტეტი რეკომენდაციას უწევს მონაწილე სახელმწიფოებს, რომ მათ განახორციელონ შემდეგი ზომები ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით:

(ა) ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის მსხვერპლთათვის უზრუნველყონ ეფექტიანი ზიანის ანაზღაურება. ზიანის ანაზღაურებამ უნდა მოიცვას სხვადასხვა ზომები, როგორებიც არის ფულადი კომპენსაცია, იურიდიული, სოციალური და ჯანდაცვის მომსახურებების, მათ შორის სექსუალური, რეპროდუქციული და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებების, განევა სრული გამოჯანმრთელების მიზნით, ასევე სატისფაქციის ზომები და გაუმეორებლობის გარანტიები, №28 ზოგადი რეკომენდაციის, №30 ზოგადი რეკომენდაციისა და №33 ზოგადი რეკომენდაციის შესაბამისად. ზიანის ანაზღაურება უნდა იყოს ადეკვატური, დაუყოვნებლად უზრუნველყოფილი, ყოვლისმომცველი და განცდილი ზიანის სიმძიმის პროპორციული;⁷⁷

(ბ) დააარსონ სპეციალური ფონდები ზიანის ანაზღაურებისთვის ან გააკეთონ შენატანები არსებული ფონდების ბიუჯეტებში, მათ შორის გარდამავალი პერიოდის მართლმსაჯულების სისტემების ფარგლებში, ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის მსხვერპლთათვის ზიანის ანაზღაურების მიზნით. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა დაწერონ ზიანის ანაზღაურების ადმინისტრაციული პროგრამები, მსხვერპლთა უფლების - ზიანის ანაზღაურების მიზნით მიმართონ სასამართლოს - ხელყოფის გარეშე, შეიმუშაონ ზიანის ანაზღაურების ტრანსფორმაციული პროგრამები, რომლებიც ხელს შეუწყობს იმ დისკრიმინაციის ან მძიმე მდგომარეობის აღმოფხვრას, რომელმაც გამოიწვია ან მნიშვნელოვანწილად განაპირობა ძალადობა, და ამ დროს გაითვალისწინონ ინდივიდუალური, ინსტიტუციური და სტრუქტურული ასპექტები. პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს მსხვერპლთა

77 იხ. სქოლიო 5 ზემოთ და ზოგადი რეკომენდაცია №33, პუნქტი 19.

არჩევანის თავისუფლებას, სურვილებს, გადანიშნულებებს, უსაფრთხოებას, ღირსებასა და ხელშეუხებლობას.

3. კოორდინაცია, მონიტორინგი და მონაცემთა შეგროვება

34. კომიტეტი რეკომენდაციას უწევს მონაწილე სახელმწიფოებს, რომ მათ განახორციელონ შემდეგი ზომები კოორდინაციის, მონიტორინგისა და ქალთა მიმართ გენდერულ ძალადობასთან დაკავშირებულ მონაცემთა შეგროვების მიზნით:

(ა) შეიმუშაონ და შეაფასონ ყველა კანონი, პოლიტიკა და პროგრამა სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, განსაკუთრებით ქალთა, მათ შორის იმ ქალთა ორგანიზაციებთან კონსულტაციების საფუძველზე, ვინც წარმოადგენს ქალებს, რომლებიც დისკრიმინაციის ურთიერთგადამკვეთ ფორმებს განიცდიან. მონაწილე სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ თანამშრომლობას მართლმსაჯულების სისტემის ყველა დონესა და შტოს და იმ ორგანიზაციებს შორის, რომლებიც მუშაობენ ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის მსხვერპლთა დასაცავად და ხელშესაწყობად, მათი შეხედულებებისა და გამოცდილების გათვალისწინებით.⁷⁸ მონაწილე სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ ადამიანის უფლებების დამცველი ორგანიზაციებისა და ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობას;⁷⁹

(ბ) დააარსონ სისტემა ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის ყველა ფორმის, მათ შორის ტექნოლოგიების მეშვეობით ძალადობის, შესახებ საჩივრების რაოდენობასთან, გაცემული დამცავი ორდერების რაოდენობასა და ტიპთან, საჩივრების უგულებელყოფისა და გამოტანის მაჩვენებლებთან, სამართლებრივ დევნასა და მსჯავრდებასთან და საქმეების დასრულებისთვის საჭირო დროსთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემების რეგულარულად შეგროვების, ანალიზისა და გამოქვეყნების მიზნით. სისტემაში უნდა შევიდეს ინფორმაცია ძალადობის ჩამდენებისთვის გამოტანილი განაჩენების და მსხვერპლთათვის უზრუნველყოფილი ზიანის

ანაზღაურების, მათ შორის კომპენსაციის შესახებ. ყველანაირი მონაცემები კლასიფიცირებული უნდა იყოს ძალადობის ტიპის, მსხვერპლსა და ძალადობის ჩამდენს შორის ურთიერთობის, ხოლო ქალთა დისკრიმინაციის ურთიერთგადამკვეთ ფორმებთან მიმართებით - სხვა სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლების, მათ შორის მსხვერპლის ასაკის მიხედვით. მონაცემთა ანალიზის შედეგად შესაძლებელი უნდა იყოს დაცვაში არსებული ნაკლოვანებების გამოვლენა და იგი უნდა ემსახურებოდეს პრევენციული ზომების გაუმჯობესებას და შემდგომ დახვეწას; ეს ზომები, საჭიროების შემთხვევაში, უნდა მოიცავდეს სამეთვალყურეო ორგანოების შექმნას ან დანიშნას ქალების გენდერული ნიშნით მკვლელობების, რომლებსაც ასევე „ფემიციდს“ უწოდებენ, და ქალთა მკვლელობების მცდელობათა შესახებ ადმინისტრაციული მონაცემების შესაგროვებლად.

(გ) ჩაატარონ ან ხელი შეუწყონ ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის შესახებ გამოკითხვების, კვლევითი პროგრამებისა და სხვადასხვა სახის შესწავლის ჩატარებას, რათა, სხვა საკითხებთან ერთად, შეაფასონ ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის და იმ სოციალური თუ კულტურული შეხედულებების გავრცელების მასშტაბი, რომლებიც ამძიმებს ამ სახის ძალადობას და აყალიბებს გენდერულ ურთიერთობებს. კვლევებმა და გამოკითხვებმა მხედველობაში უნდა მიიღონ დისკრიმინაციის ურთიერთგადამკვეთი ფორმები თვითიდენტიფიცირების პრინციპზე დაყრდნობით.

(დ) უზრუნველყონ, რომ ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის შესახებ მონაცემების შეგროვებისა და შენახვის პროცესი შესაბამებოდეს მიღებულ საერთაშორისო სტანდარტებს⁸⁰ და დაცვის საშუალებებს, მათ შორის მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ კანონმდებლობას. მონაცემებისა და სტატისტიკის შეგროვება და გამოყენება უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვის საერთაშორისო მასშტაბით აღიარებულ ნორმებს და ეთიკის პრინციპებს;

(ე) ჩამოაყალიბონ მექანიზმი ან ორგანო, ან

78 „ილდირიმი ავსტრიის წინააღმდეგ“ და „გოეკე (გარდაცვლილი) ავსტრიის წინააღმდეგ“.

79 ზოგადი რეკომენდაცია №28, პუნქტი 36.

80 გენერალური ასამბლეის რეზოლუცია №68/261 ოფიციალური სტატისტიკის ფუნდამენტური პრინციპების შესახებ.

არსებულ ორგანოს მინიჭონ მანდატი, რათა რეგულარულად გაუწიოს კოორდინირება, მოახდინოს მონიტორინგი და შეაფასოს ზომების, მათ შორის წინამდებარე რეკომენდაციაში რეკომენდებული ზომების და სხვა რელევანტური რეგიონული და საერთაშორისო სტანდარტებისა და სახელმძღვანელო მითითებების სახელმწიფო, რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე განხორციელება და ეფექტიანობა ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის ყველა ფორმის პრევენციისა და აღმოფხვრის მიზნით;

(ვ) გამოყონ საჭირო ადამიანური და ფინანსური რესურსები სახელმწიფო, რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის ყველა ფორმის პრევენციისკენ მიმართული კანონებისა და სხვადასხვა პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელებლად, მსხვერპლთათვის დაცვისა და დახმარების გასანვად, საქმეების გამოსაძიებლად, ძალადობის ჩამდენთა სამართლებრივი დევნის საწარმოებლად და მსხვერპლთათვის ზიანის ანაზღაურების უზრუნველსაყოფად, ასევე ქალთა ორგანიზაციებისთვის დახმარების გასანვად.

8. საერთაშორისო თანამშრომლობა

35. კომიტეტი რეკომენდაციას უწევს მონაწილე სახელმწიფოებს, რომ მათ განახორციელონ შემდეგი ზომები ქალთა მიმართ გენდერულ ძალადობასთან ბრძოლაში საერთაშორისო თანამშრომლობასთან დაკავშირებით:

(ა) საჭიროების შემთხვევაში მოიძიონ დახმარება გარეშე წყაროებიდან, როგორებიც არის გაერო-ს სისტემის სპეციალიზებული სააგენტოები, საერთაშორისო თანამეგობრობა და სამოქალაქო საზოგადოება, რათა შეასრულონ ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებით ნაკისრი ვალდებულებები: ჩამოაყალიბონ და განახორციელონ ყველანაირი შესაფერისი ზომები, რომლებიც საჭიროა ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის აღმოფხვრისთვის და მასზე რეაგირებისთვის,⁸¹ და ამ დროს გაითვალისწინონ განვითარების პროცესში მყოფი მსოფლიოს სხვადასხვა კონტექსტი და ამ სახის ძალადობის სულ უფრო ტრანსნაციონალური ხასიათი, მათ შორის ტექნოლოგიების მეშვეობით, და თავიანთი არასახელმწიფო აქტორების სხვა

ექსტრატერიტორიული საქმიანობა.⁸² მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მოუწოდონ ბიზნესის სფეროს სუბიექტებს, რომლებზეც მათ აქვთ ზემოქმედების ბერკეტები, დახმარება გაუწიონ სახელმწიფოებს, რომლებშიც თავიანთ საქმიანობას ეწევიან, მათ ძალისხმევაში - სრულად განახორციელონ ქალთა უფლება, არ დაექვემდებარონ ძალადობას;

(ბ) პრიორიტეტად დაისახონ მდგრადი განვითარების შესაბამისი მიზნების განხორციელება, განსაკუთრებით მე-5 მიზნის განხორციელება, რათა მიაღწიონ გენდერულ თანასწორობას და ყველა ქალისა და გოგოს გაძლიერებას, და მე-16 მიზნის განხორციელება, რათა ხელი შეუწყონ მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოებების არსებობას მდგრადი განვითარების მიზნით, უზრუნველყონ მართლმსაჯულებაზე წვდომა და ააშენონ ეფექტიანი, ანგარიშგალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტები ყველა დონეზე; და ხელი შეუწყონ ეროვნული გეგმების შემუშავებას იმგვარად, რომ ყველა მიზანი განხორციელდეს გენდერულ საკითხებზე ორიენტირებით, ქალთა მდგომარეობის კომისიის მესამოცე სხდომაზე შეთანხმებული, მდგრად განვითარებასთან ქალთა გაძლიერების კავშირის შესახებ დასკვნების შესაბამისად, შექმნან მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებასა და შემდგომ პროცესებში სამოქალაქო საზოგადოებისა და ქალთა ორგანიზაციების მიზანმიმართული მონაწილეობის შესაძლებლობა და გააძლიერონ საერთაშორისო დახმარება და თანამშრომლობა ცოდნის გაზიარებისა და ქმედითი და მიზანმიმართული შესაძლებლობათა განვითარების მიზნით.⁸³

81 ზოგადი რეკომენდაცია №28, პუნქტი 29, და ზოგადი რეკომენდაცია №33, პუნქტები 38 და 39.

82 ზოგადი რეკომენდაცია №34, პუნქტი 13.
83 გენერალური ასამბლეის რეზოლუცია №70/1 სახელწოდებით „ჩვენი მსოფლიოს ტრანსფორმირება: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის“.



გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women)
საქართველოს წარმომადგენლობა
კავსადის ქ. #3, ოფისი 11, 0179
თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 222 06 04
(995 32) 222 08 70

www.georgia.unwomen.org
www.unwomen.org